АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ С

Институт истории, археологии и этнографии им. И. А. Джавахишв

Н. А. Бердзенишвили

Вопросы истории Грузии

КНИГА

III

Издательство «Мецниереба»

Тбилиси 1966

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის არქეოლოგიისა ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

ნ. ბერძენიშვილი

საქართველოს ისტორიის საკითხები

წიგნი III

გამომცემლობა «მეცნიერება»

თბილისი 1966

9 (С41)
9 (47.922)
ბ 571

ნაშრომი წარმოადგენს გამოკვლევათა კრებულს საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის მრავალ საკვანძო პრობლემაზე. შესწავლილია ფეოდალური საქართველოს სახელმწიფოებრივი და სოციალური წყობა: სამართლის ინსტიტუტები, ფეოდალური მიწისმფლობელობის ფორმები და სხვ. ნაშრომი ეხება აგრეთვე ფეოდალური საქართველოს ზოგიერთი კუთხის პოლიტიკურ ისტორიას (აღმოსავლეთი კახეთი, აფხაზეთი), ისტორიოგრაფიასა და აქტუალურ საკითხებს კრიტიკის დარგიდან. წინამდებარე კრებულში შესულია ადრე გამოქვეყნებული ზოგი ნაშრომი.

შემუშავებული დასკვნები და კონცეფციები ფართოდაა გაზიარებული ქართულ საისტორიო მეცნიერებაში.

სავაზირო ფეოდალურ საქართველოში*

ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი

I

ფეოდალური საქართველოს სახელმწიფო სამართლის არც ერთს ინსტიტუტში კლასთა ბრძოლა ისე თვალნათლივ არ მოჩანს, როგორც ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის თანამდებობაში. ამასთან ერთად დღეს შეგვიძლია გამორკვეულად ჩავდვალოთ[1], რომ ხსენებული ინსტიტუტი ჩამოყალიბდა ფეოდალური საქართველოს სახელგადოებრივი გაიეითარების გარკვეულს საფეხურზე, რომ ეს „ქელი", ბატონყმური ურთიერთობის გამარჯვების მწვავე პროცესთან დაკავშირებული, კლასთა ბრძოლის უშუალო ნაყოფია. ამდენადვე ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესობა ქართული ფეოდალური სახელმწიფო სამართლის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკითხია.

როგორც ეს აღნიშნულია ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში[2], ამ „ქელის" სრულს ანალოგიას არც ერთს მეზობელ ხალხთა სახელმწიფო წყობილებაში არა აქვს ადგილი. მისი ნაწილობრივი მსგავსება მეზობელ სახელმწიფოთა სხვადასხვა „ქელთან" კიდევ უფრო საინტერესოს ხდის ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესობის არსებით განსხვავებას თითოეულ მათთან: ხაზს უსვამს ქართული სახელმწიფო სამართლის თავისებურ მხარეს. ამასთანავე ის მოვლენა, რომ ჭყ.-მწიგნ.-უხუცესობა მისი საბოლოოდ გამოკვეთილი სახით ქრონოლოგიურად ემთხვევა ფეოდალურ საქართველოს სახელმწიფოებრივი შემოქმედების უნაყოფიერეს გამოვლენას [როცა სხვა

---

* პირველად დაიბეჭდა 1940 წელს, ენიმკი-ს მოამბე, ტ. V—VI.

[1] ეს საკითხი ჩვენ შესწავლილი გვაქვს ამ ათიოდე წლის წინ დაწერილს შრომაში: „ქართული სავაზირო". ამ შრომის ნაწილი მოხსენების სახით წაკითხული იყო ყოფ. საისტორიო-საეთნოგრაფიო საზ-ბის საჯარო სხდომაზე 1929 წ. მაისში. წინამდებარე წერილი ამ შრომის ერთი მონაკვეთია.

[2] აკად. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. I.

ასევე საინტერესო თავისებურობებმაც იჩინეს თავი], საკითხს სვამს ორგანული კავშირის შესახებ ამ ჯელისა და ჩვენი სახელმწიფო მშენებლობის ისტორიული განვითარების შორის. ამიტომ ისტორიულად შესწავლა მწიგნობართუხუცესობისა: მის წარმოშობა-აღზეებისა, საბოლოოდ ჩამოყალიბების, დაცემა-გადაგვარებისა და გაქრობისა,—მნიშვნელოვანი ამოცანაა ქართული ფეოდალური სახელმწიფო სამართლის შესწავლის საქმეში.

ნაწილობრივ ეს საკითხი კარგა ხანია შესწავლილია აკად. ივ. ჯავახიშვილის მიერ[3]. ამდენადვე ჩვენი ამოცანა გაადვილებულია.

ჩვენი მიზანია სახელმწიფო სამართლის ამ ინსტიტუტის ისტორიული შესწავლა, ე. ი. შესწავლა მისი წარმოშობა-განვითარებისა ფეოდალური საქართველოს სახელმწიფოებრივსა და საზოგადოებრივს განვითარებასთან კავშირში.

ჩვენ დავიწყებთ ჰყონდიდელ-მწიგნობართუხუცესთა ქრონოლოგიის დადგენით.

როგორც ცნობილია[4], მწიგნობართუხუცესობა ჰყონდიდის მთავარეპისკოპოსობას მხოლოდ გარკვეულ დროიდან დაუკავშირდა [და ეს დაკავშირება მოხდა, როგორც დავრწმუნდებით, არა შემთხვევით, არამედ საამისო საკმაო საფუძველზე]. აქამდის ორივე ეს თანამდებობანი, ცალ-ცალკე წარმოშობილნი, ასევე ვითარდებოდნენ. ჩვენი ქრონოლოგიური ძიება, ამიტომ, დასაწყისში ორმხრივი იქნება: ჰყონდიდელთა და მწიგნობართუხუცესთა.

ზემოდასახელებულ ნაშრომში პ-ლ მკვლევარს უკვე აღნიშნული აქვს, რომ მწიგნობართუხუცესი პირველად მოიხსენიება ღრტილას კრებაზე XI ს-ში. ეს იყო პაექრობა სომეხ (ანტიქალკედონელ) სოსთენსა და ქართველ (ქალკედონელ) ეფთვმე გრძელს შორის ბაგრატ მეფის კარზე. „მაშინო“, მოთხრობილია ცნობის შემცველ წყაროში, „იყო ვინმე მწიგნობართუხუცესი მეფისა სახელით ეფთვმე ივიცა თანაზიარ ბოროტისა მის წუალებისა მათისა და შინაგან განმცემი სარწმუნოებისა ჩუენისა“[5] [„მწიგნობართუხუცესი ლიპარიტისი“ მოიხსენიება ქ-ცაში[6], საიდანაც ჩანს, რომ ამ დროს მწიგნობართუხუცესი ჰყოლია არა მარტო მეფეს, არამედ დიდ ფეოდალსაც კი].

ამის შემდეგ მწ.-უხუცესი მოიხსენიება 1085 წელს მოსე ხანცოელის [ხანძთელის?—ნ. ბ.] მიერ გადაწერილი საწელიწადო საწინასწარმეტყველოის ეგნატისეულ ანდერძში: „მე სულითა საწყალო-

---

[3] ივ. ჯავახიშვილი, op. cit.

[4] იქვე.

[5] „საქართველოს სამოთხე“ ბ. საბინინის გამოცემა, გვ. 616.

[6] მ-ბ დ-ფლსი ქ-ცა, 268*, 496.

ბელმან ეგნატი დავწერე წ´ ესე წიგნი ...სალოცველად ღმრთივ-
გვრგვნოსანთა მეფეთა ჩუენთა გიორგი მეფეთა მეფისა და კესარო-
სისა და ძისა მათისა დავით მეფისა სევასტოსისა ...და კ´ დ სალოცვე-
ლად ძმათა ჩემთა იოანე ჭყონდიდელ მთავარეპისკოპოსისა და
სჳნგელოზისა, პეტრე ვესტისა და მწიგნობართუხუცესისა და ჩემ
ცოდვილისაცა ეგნატისათვის ლოცვა ყავთ. ღ´ნ დაგაჯეროს. ქ´ კნი
იყო ტ:. და ე:. დაიწერა ქელითა მოსე ხუცისა ხანცოელისა"[7] (ქრო-
ნოლოგიური რიგით მწ.-უხუცესის შემდგომ მოხსენებას რუის-ურბ-
ნისის საეკლესიო კრების ძეგლის წერაში ვხვდებით: „ღირსისა მეუ-
ფისა ჩუჳნისა და თუალად წმიდისა ამის კრებისა ცნობილისა გიორ-
გი მონაზონისა და მწიგნობართა უხუცესისა მრავალმცა"[8]... ამის შემ-
დგომი ცნობებით მწ—უხუცესობა ჭყონდიდლობასთან არის განუწ-
ყვეტლივ დაკავშირებული) ერთადერთ გამონაკლისს გარდა, რომლის
შესახებ ჩვენ ქვემორე გვექნება საუბარი.

(ჭყონდიდლობისა და მწ.-უხუცესობის შეერთება) აკად. ივ. ჯა-
ვახიშვილის გამოკვლევით (1103—1110 წლებს შორის უნდა მომხდა-
რიყოს[9])

ზემომოყვანილი პირველი ორი ცნობა არას გვეუბნება იმის
შესახებ, ერის კაცი იყო მწიგნობართა უხუცესი, თუ მოწესე. მესა-
მე ცნობაში, როგორც ვხედავთ, გარკვევით არის ნათქვამი, რომ
გიორგი მწ.-უხუცესი მონაზონი იყო.

1085 წლის ეგნატისეულ ანდერძში მოხსენებული „პეტრე ვეს-
ტისა და მწ.-უხუცესის" შესახებ ჩვენ მეტი ცნობებიც მოგვეპოება.
ამ ანდერძის მიხედვით პეტრე ვესტი ძმაა იოანე ჭყონდიდელ მთ.-
ეპისკოპოსისა. იოანე ჭყონდიდელი მთ.-ეპისკოპოსი კი ცნობილია
გიორგი მთაწმიდელის ცხორებიდან. ის არის ერთერთი მაიძულებე-
ლი გიორგი ხუცეს-მონაზონისა, რათა უკანასკნელმა მთაწმიდელი
მამის ცხორება აღწეროს. „იოანეს ვიტყვი ჭყონდიდელსა, ძმასა ნე-
ტარისა პატრიკისასაო"[10], ამბობს ცხორების ავტორი. ეს იოანე ჭყონ-
დიდელი გიორგი მთაწმიდელის გარდაცვალებას „თანადახუედრებუ-
ლი" ყოფილა. დაბოლოს, იგივე იოანე და ძმა მისი „ნეტარი პეტრე"
განუწესებენ საღაპე დღეს ახლადგარდაცვალებულ გიორგი
მთაწმიდელს:... „რამეთუ ნეტარმან პეტრე და ძმამან შისმან იოანე
ჭყონდიდელმან ესრეთ განაწესეს"[11]. ცხადია, „ნეტარი პატრიკი"
იგივე „ნეტარი პეტრე" ყოფილა. პეტრე პატრიკი კი შრავალგზის

[7] თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, 232; პ. კარბელაშვილი, „ივერია", 1889, № 28.

[8] თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, 71.

[9] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. I.

[10] ათონის კრებული, 280.

[11] იქვე, 347.

არის მოხსენიებული იმავე თხზულებაში. აქ ის იწოდება „მამა პეტრე“, „პატიოსანი ბერი პეტრე“, „ნეტარი ბერი პეტრე პატრიკი, პეტრიკ ყოფილი“[12] და სხვ. აქედან ცხადია, რომ ეს პეტრე პატრიკი, ძმა იოანე ჭყონდიდლისა, შემონაზონებულია. ის ამ დროს ნეტარი ბერია, რომლის საერისკაცო სახელი პეტრიკი ყოფილა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ აქ მოხსენებული იოანე ჭყონდიდელი მთ.-ეპისკოპოსი და მისი ძმა პეტრე პატრიკი იგივენი არიან, რაც 1085 წლის ანდერძში მოხსენებული ძმანი: „იოანე ჭყონდიდელი მთ.-ეპისკოპოსი და სჳნგელოზი და პეტრე ვესტი და მწ.-უხუცესი“. დაბრკოლება თითქოს ის არის, რომ აქ იოანე სჳნგელოზის, ხოლო პეტრე ვესტის პატივით არის მოხსენებული. მაგრამ ასეთი დაბრკოლება ადვილად დასაძლევია. იოანე ჭყონდიდელ მთ.-ეპისკოპოსს, რომელიც საქართველოს მეფის დავალებით მნიშვნელოვან საელჩო საქმეებს ასრულებს ბიზანტიის სამეფო კარზე, ადვილად შეეძლო ეს მაღალი საეკლესიო პატივი მიეღო[13] [ასეთსავე პატივს ატარებს იმავ „ცხორების“ ცნობით ბედიელი მთ.-ეპისკოპოსი იოანე][14], ხოლო პეტრე პ ა ტ რ ი კ ი ს ეს საერო პატივი უახლოესი საფეხური იყო ვესტობამდის [თუ რა იყო იმის მიზეზი, რომ მონაზონი პეტრე საერისკაცო პატივს ატარებს, კიდევ მეტი: მონაზონობაში ახალი საერისკაცო პატივით—ვესტობით იქმნა დაჯილდოებული,—ჩვენთვის გარკვეული არ არის. ჩვეულებრივ, როდესაც საერო პატივის მქონე ერისკაცი შემონაზონდებოდა ხოლმე, ის სათანადო საეკლესიო პატივზე სცვლიდა ხოლმე ნაქონევ საერო პატივს. როგორც, მაგალითად, თორნიკ პ ა ტ რ ი კ ი შემონაზონების შემდგომ ს ჳ ნ გ ე ლ ო.ზ ი იქმნა. ჩვენი პატრიკი კი პეტრედ ქცეული ისევ პ ა ტ რ ი კ ა დ დარჩა და მეტიც: მან ახალი საერო პატივი — ვ ე ს ტ ო ბ ა მიიღო. ხომ არ მიგვითითებს ეს გარემოება პეტრე პეტრიკ-ყოფილის სახელმწიფო თანამდებობის საერო ხასიათზე?].

პატრიკოსობა პეტრეს ერისკაცობაშივე უნდა ჰქონდეს მიღებული, სახელდობრ, 1054 წელს, როცა ისა და მისი ძმა იოანე ჯერ კიდევ ერისკაცნი ბაგრატ IV-სთან და მარიამ დედოფალთან ერთად ბიზანტიის სამეფო კარზე იყვნენ და ათონის ქართველთა მონასტრის დიდ მოამაგეებად გამოდიოდნენ. ამ მონასტრის № 15 აღაპში ვკითხულობთ: „თუესა დეკენბერსა: ი᾽ გ წმიდათა ევსტრატეთ დღესასწაუ-

---

[12] იქვე, 343, 344, 331.

[13] ბერძნული საეკლესიო პატივის ტარებას უცხო არ იყვნენ ქართული ეკლესიის მოწესენი. კერძოდ, სჳნგელოზის პატივით XI ს-ში ჩვენ რამდენიმე ქართველ ეპისკოპოსს ვიცნობთ (ზაქარია ბანაელი, იოანე ბედიელი, იოანე ჭყონდიდელი...).

[14] ათონის კრებული, 331.

ლი პეტრიკისდა და ძმისა, მისისა იოანესდა აღაპად განგვწესებოს: ოდეს დედოფალმან ბაგრატის დედამან ლიტრაჲ ერთი სოლიმნი შეგვქმნა და ბაგრატ დიმოსი მოგვწყვეტდა, ორივე ესე დიდი საქმე მათითა თანადგომითა და მოღვაწებითა სრულ იქმნა"[15]. თავის ადგილას ჩვენ დამტკიცებული გვაქვს, რომ ეს აღაპი გაჩენილია არაუგვიანეს 1054 წლისა. მაშ ამ დროს ძმანი პეტრიკი და იოანე ერისკაცნი ყოფილან. თუ იოანეზე კიდევ შეიძლება შეეჭვება (მისი სახელი „იოანე" ამ მხრით მეტყველი არ არის), პეტრიკის შესახებ გადაჭრით ითქმის, რომ ის ამ დროს ერის კაცია: შემონაზონების შემდგომ ის პეტრე პეტრიკ ყოფილად იწოდებოდა. 1065 წელს ის უკვე მონაზონია. ამრიგად, მისი შემონაზონება 1054—1065 წლებს შორის მომხდარა.

მწ.-უხუცესობაც პეტრე პატრიკს 1065 წლის შემდეგ ხანაში აქვს მიღებული. უეჭველია გიორგი ხუცეს-მონაზონი პეტრეს ასეთ თანამდებობას მოიხსენიებდა, თუ უკანასკნელი ამ დროს [და, საფიქრებელია, ცხორების დაწერის დროსაც—ე. ი. 1066 — 1067 წლებში] მწ.-უხუცესი ყოფილიყო.

ამრიგად, ნეტარმა ბერმა პეტრე პატრიკმა პეტრიკ ყოფილმა 1067—1085 წლებს შორის მწ.-უხუცესობა და ვესტის პატივი მიიღო.

ეხლა, როცა დავრწმუნდით, რომ XI ს-ის მიწურულში პეტრე მწ.-უხუცესი მონაზონი იყო, ჩვენ საბუთი გვეძლევა შევეჭვდეთ ეფთვმე მწ.-უხუცესის ერისკაცობაში. მართლაც, თუ სათანადო ცნობას ჩავუკვირდებით, თითქოს იქ ჩვენი ეჭვების დამადასტურებელ ხაზებსაც ვიპოვით. ცნობა ასეთია: სოსთენისა და ეფთვმე გრძელის პაექრობის დროს—„... იყო ვინმე მწ.-უხუცესი მეფისა სახელით იგიცა თანაზიარ ბოროტისა მის წუალებისა მათისა და შინაგან განმცემი სარწმუნოებისა ჩუენისა"[16]... გამოთქმა „შინაგან განმცემი სარწმუნოებისა ჩუენისა" პირველყოვლისა გულისხმობს, რომ ეფთვმე მწ.-უხუცესი, ქართველი და გარეგნულად ქალკედონელი, პაექრობის დროს ანტიქალკედონელი აღმოჩენილა. მაგრამ შეიძლება თუ არა ეფთვმე მწ.-უხუცესი ერისკაცი ყოფილიყო და მისთვის „შინაგან განმცემელი სარწმუნოებისა ჩუენისა" ეწოდებინათ? აკი ეფთვმესთან ერთად მისი დისწული იორამიც ანტიქალკედონელ სოსთენის მომხრეა[17], რატომ ისიც არ იწოდება „შინაგან განმცემლად"? სარწმუნოების საქმეში „შინაგან განმცემელის" სახელი უფრო სამღვდელო პირს შეეფერება, როგორიც, ვფიქრობთ, უხდა ყოფი-

[15] „ათონის ... ებული, გვ. 220, *370.

[16] „საქ. სამოთხე", მ. საბინინის გამოცემა, გვ. 616.

[17] იქვე.

ლიყო ეფთვმე მწ.-უხუცესი. ჩვენს ეპვს თითქო მხარს უპერს ხსენებულ მწ.-უხუცესის სახელი—ეფთვმი. პირადად ჩვენ ძეგლებში არ შევხვედრივართ ასეთი სახელის მქონე არც ერთ ერისკაცს.

ამრიგად, მწ.-უხუცესთა ვინაობა მათ ჭყონდიდლობასთან შეერთებამდის გამოკვლეული გვაქვს. ესენი იყვნენ: ეფთვმე XI ს-ში, პეტრე XI ს-ის მესამე მეოთხედში და გიორგი, უნდა ვიფიქროთ, უშუალოდ პეტრეს შემდეგ. სამივე ისინი მონაზვნები უნდა იყვნენ. პეტრე და გიორგი ამ მხრივ ეპვს არ იწვევენ. ეფთვმეს შესახებ კი არა გვაქვს საბუთი ვამტკიცოთ, რომ ის ერისკაცი იყო.

ახლა ჭყონდიდელთა შესახებ. ცნობილია, რომ ჭყონდიდის საეპისკოპოზო კათედრა დააარსა გიორგი აფხაზთა მეფემ X ს-ის პირველ ნახევარში[18]. საფიქრებელია, რომ მანვე შეუწყო ხელი ამ კათედრის აღზევებას სხვა კათედრათა შორის. ყოველ შემთხვევაში, ბაგრატ IV დროს ის უწარჩინებულეს კათედრად ჩანს დას. საქართველოში[19].

პირველად ჭყონდიდელი მოხსენებულია X ს-ის უკანასკნელ მეოთხედში. ეს არის სტეფანე სანანოძისძე ჰიმნოგრაფი და თარგმანი[20]. ის იწოდება ეპისკოპოზად[21]. შემდგომი ცნობა, ჭყონდიდელის შესახებ გ'იხუცეს-მონაზონის თხზულებაშია დაცული. მის შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა გაკვრით საუბარი: ეს არის მთავარეპისკოპოსი იოანე, 1054 წელს ჯერ კიდევ ერისკაცი. 1065 წელს უკვე მთ.-ეპ-სი, ის, მართა უფლისწულს ახლავს კონსტანტინეპოლს თავის ძმასთან პეტრე პატრიკთან და ბედიელ მთ.-ეპ-ს იოანესთან ერთად. ამის შემდეგ ის კიდევ მისულა კონსტანტინეპოლს 1066—1067 წლებში ბავრატის „მოციქულად" ბიზანტიის იმპერატორთან. 1085 წელს იოანე ჭყონდიდელი უკვე სჯნგელოზის პატივითაა დაჯილდოებული[22]. იოანეს

---

[18] მ'ვ დ'ფლსი ქ'ცა 229 * 453; პროფ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია II, 1914. 405—406.

[19] ათ. კრებ., გვ. 305.

[20] პროფ. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართ. ლიტ. ისტორია, I 1923, 176—180; ს ა ბ ი ნ ი ნ ი, საქ. სამოთხე, 433; ძველი ქართ. სასულიერო პოეზია, პ. ინგოროყვას გამოც., გვ. რნა.

[21] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები II, 83.

[22] გიორგი ხუცეს-მონაზონს მოეპოება ცნობა, რომლიდანაც საფიქრებელი ხდება, რომ იოანემ ჭყონდიდელობა 1061—1065 წლებში მიიღო. ავტორი მოგვითხრობს, რომ მისი მოძღვარი—გიორგი მთაწმიდელი საქართველოში მისელის შემდეგ 1061 წლის ზამთარში მეფემ ქართლიდან ლიხთიმერეთს წაიყვანა: თვით მეფე საკუთრივ აფხაზეთს გაემგზავრა, ხოლო გიორგი ჭყონდიდს დარჩა, რადგან „ეპისკოპოსმან ჭყონდიდელმან არა განგვტევნა, რამეთუ მოწაფე იყო ბერისა" (ათ. კრ. 320). ამ დროს გიორგის ამ ცხორების ავტორი თან ახლდა. საფიქრებელია, რომ გიორგი ხუცეს-მონაზონი, რომელიც კარგად იცნობს იოანე ჭყონდიდელს და თვით მას სთელის ამ თხზულების დაწერის ერთ-ერთ მიზეზად, მას სახელდობ

შემდეგ ვინ ჭყონდიდლობდა, არა ჩანს. ვიცით, რომ გიორგი მონაზონი მწ.-უხუცესი 1103—1110 წლებს შორის ჭყონდიდელი იქმნა. თუმცა შეუძლებელი არაფერია ისეთ მოსაზრებაშიაც, რომ იოანე XI ს-ის 60-იანი წლებიდან XII ს-ის 10-ან წლებამდის ჭყონდიდლობდა. ასე რომ მისი უშუალოდ შემდგომი შეიძლება სწორედ გიორგი იყო.

მაშ, ჩვენი ქრონოლოგიური სია მწ.-უხუცესთა და ჭყონდიდელთა ამ ორი „ჯელის" შეერთებამდის შემდეგია:

მწ.-უხუცესნი:	ჭყონდიდელნი:
ეფთვმე—XI ს.	სტეფანე სანანოიძე „ეპისკოპოზი" XI ს.
	უცნობი— გიორგის მოწაფე, „მთ. ეპისკოპოსი" 1054 წლიდან.
პეტრე—XI ს-ის მესამე მეოთხედი	იოანე—ძმა პეტრესი, „მთ. ეპისკოპოსი" 1060-ანი წლებიდან.
გიორგი—XII ს-ის დამდეგი	გიორგი—1103/4 წლიდან.

გიორგი ჭყონდიდელ მწ.-უხუცესი გარდაიცვალა 1118 წელს[23]. მის შემდეგ მწ.-უხუცესობა დავით აღმაშენებელმა გიორგის დისწულს მისცა—სვმონ ბედიელ-ალავერდელ მთ.-ეპისკოპოსს[24]. 1123 წელს სვმონი ჯერ კიდევ ბედიელ-ალავერდელია და მწ.-უხუცესი[25], ხოლო 1125 წელს ის უკვე ჭყონდიდელ-მწ. უხუცესია[26]. გამოდის, რომ 1118—1125 წლებში ჭყონდიდელი ვიღაც უცნობი პირი ყოფილა და არც თუ სასურველი დავითისათვის. თუ ეს არა, მწ.-უხუცესად ის იქნებოდა. ამ უცნობის შემდეგ დავითს ჭყონდიდლობა თავისი ერთგული და გამოცდილი მწ.-უხუცესი სვმეონისათვის მიუბოძებია და სვმეონსაც ამიერიდან ბედიელ-ალავერდელობისათვის თავი დაუნებებია[27]. ამრიგად, 1118—1125 წლებს შორის მწიგნობარ-თუხუცესობა და ჭყონდიდლობა ურთიერთისაგან გაყრილან. 1125

მოიხსენიებდა, თუ კი იოანე ყოფილიყო ამ დროს ჭყონდიდის მთ.-ეპისკოპოსი. 1054 წელს ჭყონდიდის კათედრა ცარიელი იყო (ათ. კრ. 305). ამიტომ 1054—1064 (დაახლოებით) წლებში უცნობი ჭყონდიდელი მჯდარა—გიორგის მოწაფე. იოანე კი ჯერ კიდევ 1060 წელს უნდა წარევლინოს ბაგრატს გიორგის „მწოდებლად" ანტიოქიაში. ბაგრატმაო „წარმოაკლინა საკუთარი თვისი იოანე"-ო (ათ. კრ. 317).

[23] მ-მ დ-ფლსი ქ-ცა, 901—302, * 536; ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართ. ერის ისტორია, II, გვ. 515.

[24] მ-ამ დ-ფლისი ქ-ცა, 311, * 545.

[25] ისტ. საბ-ბი შიომღვიმის მონ-სა. გამ. თ. ე ო რ დ ა ნ ი ა ს ი, გვ. 18, 19.

[26] მ-ამ დფ-ლისი ქ-ცა, 311, * 545.

[27] ჩანს ჭყონდიდლობა უმაღლესი საეკლესიო პატივი იყო ბედიელ-ალავერდელობასთან შედარებით.

წლიდან კი XIII ს-ის პირველი ნახევრის გასვლამდის მაინცეს ორი ჰელი განუყრელნი არიან[28].

1141 წელს ჰუ-მწ.-უხუცესად ისევ სუმეონი ჩანს. ამას ამტკიცებს უბისის „სოკუტის“ თარიღიანი წარწერა: „მე საწყალობელსა: სულითა: სნჭსა მომემადლა ღისაგან აღშენებად მონასტერი ესე და სოკუტიცა ესე მეფობასა ღისა მიერ გრგსნნისა დიმიტრი მეფეთა მეფისა ძისა დიდისა მეფისა დავითისა: ქრონიკონი იყო: ტჲა: ზედა წელი სარკინოზთაჲ: ფლგ:“[29] ამის შემდეგ რამდენ ხანს დარჩა სუმეონი ჰუ.-მწ.-უხუცესად, არ ვიცით. საფიქრებელია, რომ სუმეონი თავისი სიცოცხლის ბოლო წლებში კზი გახდა. იბადება საკითხი, ხომ არ შეუთავსებია სუმეონს კათალიკოზობასთან მწ-უხუცესობა? ჯერჯერობით, სანამ კათალიკოზთა სია და მათი ქრონოლოგია აღნიშნული ხანისათვის შესწავლილი არა გვაქვს, ამ საკითხზე გადაჭრით რისამე თქმა შეუძლებელია.

სუმეონის შემდეგ უშუალოდ იოანე იქმნა ჰუ. მწ.-უხუცესად, თუ სხვა ვინმე იყო, არა ჩანს. 1161 წელს კი ანისის აღების დროს გიორგი III-ს „თანა: ვაზირობდეს: იოვანე: მწიგნობართ: უხუცესი: და: სუმბატ: სუმონ: ქმნილი“[30]. მწ.-უხუცესია იოვანე 1178—1179 წელსაც[31]. როდემდის დარჩა იოვანე ამის შემდეგ მწ.-უხუცესად, არ ვიცით. ყოველ შემთხვევაში 1184 წელს გიორგი III გარდაცვალების დროს მწ.-უხუცესი არის ანტონი. გიორგის გარდაცვალებისას რუსუდანმა და თამარმა მიმოიხილეს „გარემოს: და: იხილეს: მიქელ: პატრიაქი:.. და: ვაზირი: ანტონი: და: ამირ: სპასალარი: ყუბასარ: და: სხუანი: ჰელის: უფალნი:“[32] ჩქარა ამის შემდეგ (და შეიძლება სწორედ ამავე წელს) ანტონ გნოლის თავისძეს მწ.-უხუცესობა მიქაელ ქ. კათალიკოზმა მისტაცა და გარდაცვალებამდის ჰქონდა[33]. მიქაელის შემდგომ მწ.-უხუცესად ისევ ანტონი იქმნა[34], რომელიც ჩანს შანქორის ომის დროს[35] და თამარის მეფობის მეოცე წელს, ე. ი.

---

28 ჩვენ გვაქვს ცნობები, რომ მწ.-უხუცესობა მიტაცებული ჰქონდათ ხოლმე კათალიკოზებს ან კიდევ სხვა ეპისკოპოზს ჰქონდა ის, მაგრამ მწ.-უხუცესობასთან ერთად ისინი ყოველთვის ჭყონდიდლებიც იყვნენ ხოლმე, ასე რომ ჭყონდიდლობა მწ.-უხუცესობისაგან მაინც განუყრელი რჩებოდა.

29 Е. Такайшвили, Арх. экскурсии... вып. V, გვ. 10, ფოტ. სურათიდან.

30 მამ დფლსი ქცა. 370. *601.

31 ეს უდავოდ მტკიცდება ათონის აღაპთა დათარიღებიდან, რაიც ამ სტრიქონების ავტორს ცალკე ნაშრომში აქვს განხილული.

32 მამ დფლისი ქცა, 396 *623.

33 იქვე, 405 შენიშვნა 7, და გვ. 433 შენიშვნა 9.

34 იქვე, 433 შენ. 9.

35 იქვე, გვ. 462 შენ. 1; ისტ. საბ. შიომღ. მონასტრისა გამ. თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, 25—27.

1204 წელსაც[36]. ანტონის შემდგომი მწ-უხუცესი თეოდორე უნდა იყოს. ის ჩანს 1205—1207 წლებში[37]. ვინ იყო ეს თეოდორე ან სანამ გაგრძელდა მისი მწ.-უხუცესობა, ამის შესახებ აქამდის ცნობილი წყაროები არას გვეუბნებიან.

თეოდორეს გარდა XIII ს-ის მწ.-უხუცესთაგან მხოლოდ ორია ცნობილი: არსენი და ბასილი.

გამოსარკვევია მათი მწ.-უხუცესობის ხანა.

არსენი მწ.-უხუცესის შესახებ ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული აქვთ მოსაზრებანი განსვ. თ. ჟორდანიას, პროფ. კ. კეკელიძეს და ს. კაკაბაძეს.

თ. ჟორდანიას აზრით, არსენი კათალიკოზობდა (და მწ.-უხუცესობდა?—**ნ. ბ.**) 1218—1227 წლებში, ხოლო ამის შემდეგ 1240 წლამდის (დაახლოებით) ის უბრალო მონაზონია შიომღვიმის ლავრაში[38]. ასეთი თარიღის მისაღებად მკვლევრის მსჯელობა შემდეგია: მისი აზრით, ვაჰანის მონასტრის ცნობილი ტიპიკონი დადებულია ივანე სარგისის ძე მხარგრძელის მიერ, და, მაშასადამე 1227 წლამდის (მისი აზრით, ივანე ამ წელს გარდაიცვალა). ამ ტიპიკონში მოხსენებულია კ"ზი გიორგი, რომელიც თ. ჟორდანიას მიერვე ნაპოვნი ზატიკის ცნობის მიხედვით არსენის შემდგომი კათალიკოზი იყო[39]. და, რადგან 1218 წელს ეპიფანე მესაჭეობდა ქართლის ეკლესიას, ამიტომ არსენის კათალიკოზობა 1218—1227 წლის ახლო დროს მოდის. 1227 წელს კი, თუ ცოტა უფრო ადრეც არა, უკვე გიორგი კათალიკოზობს.

თ. ჟორდანიას ეს არსენი მიაჩნია იმ კ"ზად, რომელსაც „არსენი ყოვლად განთქმულისა სალმრთოთა წიგნთა თარგმანისა და საქართველოთა (sic) ეკლესიათა მნათობისაჲ"-ს სახელი ჰქონდა მოხვეჭილი[40]. ამავე დროს სწორედ იმ ცნობის მიხედვით, რომელსაც თვით მკვლევარი ემყარება, ეს „არსენი თარგმანი" სრულიად სხვაა და ის

---

36 ვაჰანის მონასტრის (ჯავახეთში) მცირე ეკლესიის შესავალის მარჯვენა მხარეს ქვა ასო-მთავრული წარწერით 6 სტრიქონად: I ქე . . [ორ]თავე II შა ს[უფევათა მე]ფე III თა [მეფე დ]ა დდ[ფ]ლ[ი] IV თმრ; წე[ლსა]მფბისა მა V თისასა: კ: ანტ: [ბ]სა: მ"რ VI აღეშენა ზღდე: ესე...

37 თეოდორე ჭყონდიდელს მოიხსენიებს სოფრომ მწიგნობარი მის მიერ ნასყიდ სახარების ანდერძში, ეს ანდერძი შესრულებულია თამარის, დავითის და მათი ძის ლაშას თანამეფობის ჟამს, ე. ი. არა უადრეს 1205 წლისა და არა უგვიანეს 1207 წლისა იხ. თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა. ქრონიკ. I, 292; და ხელნაწერი № 323, საქ. ცენტრარქივისა. შდრ. ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართ. ერის ისტ. II, 617, 618, 599, და სხვ.; ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, **Год смерти груз. царицы Тамары Великой, Извест. Тиф. высш женск. курсов, т. I, вып. I.**

38 თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქ"�sები, I, 79, 81; II, 91—92, 94, 97.

39 op. cit. I, 80—81.

40 იქვე 81; შიომღვიმის ისტ. საბუთები, 52.

არსენი კ"ზი კიდევ სხვა. მათ შორის გიორგი კათალიკოზობს[41]. შეიძლება თ. ჟორდანია არსენი კ"ზის დროებით გადადგომასა და გიორგის შემდეგ კვლავ გაკათალიკოზებას ჰგონებს, მაგრამ ამის შესახებ ის არას ამბობს. ეს მით უფრო გასაკვირველია, რომ სწორედ იმ სიგელს, რომელშიაც არსენი მწ.-უხუცესი და კ"ზი შიომღვიმის მონაზვნად იხსენიება, ამტკიცებს „ქ. კ"ზი არსენი"[42]. საკვირველია, რომ ამ გარემოებისათვის მას ყურადღება არ მიუქცევია და არ აღუნიშნავს ეს.

არსებობს მესამე დამოუკიდებელი ცნობა არსენი კ"ზის შესახებ. ეს არის კ"ზი არსენი ბულმაისიმისძე[43]. თედო ჟორდანია გარკვევით არ ლაპარაკობს ამ ერთი მეორის მოსახელე კათალიკოზთა ურთიერთშორის დამოკიდებულების შესახებ, მაგრამ მის მიერ წარმოდგენილი სინქრონიზმი და ამ კ-ზთა მოღვაწეობის მსგავსება გვაფიქრებინებს, რომ განსვ. მკვლევარს ესენიც ერთ პირად მიაჩნია. თ. ჟორდანიას მიერ წარმოდგენილი სქემის დაწვრილებით განხილვას ჩვენ არ შევუდგებით იმ იმედით, რომ სხვა მკვლევართა აზრების მოყვანის შემდგომ ჩვენ მიერ გამოთქმული მოსაზრება საკმაოდ ცხადყოფს წარმოდგენილი სქემის შეუწყნარებლობას.

ს. კაკაბაძე თავის გამოკვლევაში „მე-XIII საუკუნის პირველ ნახევრის საქართველოს კათალიკოზები" ამბობდა: არსენი IV, რომელიც 1224 წელს საქართველოს ეკლესიას განაგებდა, ბულმაისისძე... ყოფილა იმავე დროს მწიგნობართ-უხუცესიც ალბათ ისე, როგორც თამარის გამეფებისას (1184 წ.) მიქელ კათალიკოზი მწ.-უხუცესად ითვლებოდა[44]. კაკაბაძე აქვე შენიშნავს: რასაკვირველია, ისიც შესაძლებელია, რომ არსენი ბულმაისიძე მწიგნობართ-უხუცესად კათალიკოზად დადგინებამდის ყოფილიყო. ეს არსენი, ავტორის აზრით, 1233 წელს ჯერ ისევ კათალიკოზია; 1236 წლის ახლო ხანში კათალიკოზობისათვის თავგანებებულია და შიომღვიმეში უბრალო მწირია. მწირადვე რჩება ის შემდეგაც და ჩანს 1249 წელს[45].

პროფ. კ. კეკელიძე არსენი ბულმაისიმის-ძის საკითხში სარგის კაკაბაძის ზემორე დასახელებულ გამოკვლევას ემყარება და მას იმეორებს[46]. არსენი ჭყონდიდლის სიგლის აღმოჩენასთან დაკავშირებით

---

41 ქ"ქები I, 81.

42 ეუნ. სიძვ. საც. ხელწ. № 86, ფ. 233 r., ფ, 287 v, შდრ. ქრონიკ, II, 103; ხელნაწერში არსენი კ"ზი იხსენიება ბულმაისიმის-ძედ და არა ბულმაისისძედ ან ბულმაისიძედ.

43 თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, შ. მღ. ისტ. საბ., ქ"ქები II, 101.

44 ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, მე-XIII საუკუნის პირველნახევრის საქართველოს კათალიკოზები, გვ. 4—5.

45 იქვე, გვ. 7.

46 პროფ. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართ. ლიტ. ისტ. I, 343.

ს. კაკაბაძე იძულებული შეიქმნა ზემოდასახელებული მისივე გამოკვლევის დებულებანი საგრძნობლად შეეცვალა. აქ ის ამბობს[47]: „1224 წ. და 1233 წ. გარკვევით ცნობილია ქართლის კათალიკოზი არსენი ბულმაისისძე". ქვემოთ: „...შესაძლებელია მივიღოთ, რომ არსენი ბულმაისისძის შემდეგ საკათალიკოზო ტახტზე დამჯდარა მწ.-უხუცესი არსენი ჭყონდიდელი, ამ არსენს ჭყონდიდელყოფილს შესდგომია კვლავ ახალი არსენი (თუ ის იგივე არსენი ბულმაისისძე არ არის, დროებით, შესაძლებელია, ტახტიდან გადამდგარი). ამისდა მიხედვით აბულხოტრიძეთა ჩვენი სიგელის დამამტკიცებელი არსენი კათალიკოზი უნდა იყო(ს) არსენი ბულმაისისძე, რომელიც, ამგვარად, ცოცხალი ყოფილა 1242—1245 წლების ახლო ხანშიც. ჩვენი სიგლის მიმცემი არსენი ჭყონდიდელი და მწ.-უხუცესი კათალიკოზად შემდეგ, როგორც ჩანს, ძლიერ ცოტა ხანს დარჩენილა და მწირად შიო-მღვიმეში წარსულა, საკათალიკოზო ტახტზე დამჯდარა სხვა არსენი (იგივე ბულმაისისძე?) რომლის კათალიკოზობა აგრეთვე ფრიად ხანმოკლე ყოფილა. არსენი მწ.-უხუცეს ყოფილი და შიომღვიმის მწირი მოსწრებია ამ არსენის სიკვდილს და მისი მოადგილის მიქაელ კათალიკოზის მოსაყდრეობასაც"[48].

ამგვარად, ს. კაკაბაძის მიერ წარმოდგენილი სია საქ. კათალიკოზებისა XIII საუკუნის პირველ ნახევრისათვის შემდეგია:

იოანე თამარის დროს მე-XIII საუკ. დასაწყისში.

ეპიფანე—ჩანს 1218 წელს (ანისის ქართული წარწერით).

არსენი გიორგი	1218—1224 წ. (შიომღვიმის „ზატიკის" ცნობით).

არსენი ბულმაისიმისძე ჩანს 1224 წ. და 1233 წ. (შიომღვიმის „ზატიკისა" და უნ. სიძვ. საც. № 85 ხელნაწერის ცნობებით).

არსენი ჭყონდიდელ კ"ზი, შიომღვიმეში შემონაზონებული, ცოცხალია.

1242—1245 წ. (ქართლის ე"ვის გრიგოლ სურამელის სიგლის მიხედვით (და 1249 წ.) გვარამასძეთა სიგელით).

არსენ ბულმაისისძე (აბულახტარისძეთა და გრ. სურამელის სიგელების მიხედვით) 1240, 1242—45 წ. ახლო ხანებში.

მიქელ—1249 წელს (გვარამასძეთა სიგელით).

ნიკოლოზი—1250 წლიდან (მსახურთუხუცესი გრიგოლ სურამელის სიგელით).

ამ სიის თავიდან ბოლომდის დაწვრილებითი განხილვა ჩვენი ამოცანის საზღვრებს სცილდება. ამიტომ მას შეეხებით მხოლოდ

---

[47] საისტორიო მოამბე, წიგნი II, 1925, გვ. 130.

[48] იქვე, გვ. 131.

იმ ნაწილში, რომელიც არსენი მწ.-უხუცესთან არის დაკავშირებული.

სიის ავტორი ერთ პირად აღიარებს უნ. სიძ. საც. № 85 ხელნაწერით ცნობილ არსენი კათალიკოზს ბულმაისიმისძეს[49] და შიომღვიმის „ზატიკით" ცნობილ არსენის[50].

ვფიქრობთ, ცდება ს. კაკაბაძე. საიდან არის ცხადი, რომ არსენი ბულმაისიმისძე „1224 წ. საქართველოს ეკლესიას განაგებდა"?[51]. შიომღვიმის „ზატიკში" მოთავსებული ქართლის კათალიკოზთა სია, რომელიც, კაკაბაძის აზრით, 1224 წელს უნდა იყოს ქედგენილი, უკანასკნელ კათალიკოზად გიორგის ასახელებს, არსენის შემდგომს, ხოლო რაც შეეხება მეორე არსენის მოხსენიებას, ის აშიაზედაა მიწერილი ამ ზატიკის გადამწერის მიერ 1270 წელს[52] და საფიქრებელია, რომ სწორედ მისი ჩანართი ცნობაა (რომ ეს მინაწერი დედანში ყოფილიყო, გადამწერი მას აშიაზე კი არ დატოვებდა, არამედ ტექსტშივე მოათავსებდა). ამიტომ ამ მინაწერის მიჩნევა 1224 წელს შესრულებულად, ვფიქრობთ, შეცდომაა. გარდა ამისა, ეს მინაწერი საუკუნო მოსახსენებელს წარმოადგენს[53] და, მაშასადამე, დაწერილია იმ დროს, როცა მასში მოხსენებული არსენი უკვე გარდაცვლილია. ამიტომ თუნდაც ს. კაკაბაძის თანახმად დაგვეშვა, ვითომც ეს მინაწერი 1224 წელს არის შესრულებული, მაშინაც კი შეუძლებელი იქნებოდა ამ მინაწერში მოხსენიებული არსენისა და არსენი ბულმაისიმისძის ერთ პირად მიჩნევა, რადგანაც ერთი მათგანი უკვე ცხრა წელია საუკუნო მოსახსენებელს საჭიროებს იმ დროს, როცა მეორე ჯერ კიდევ ჯანსაღადაა და მხოლოდ მრავალჟამეულობა შეშვენის (ს. კაკაბაძის აზრით, ის 1245 წელსაც კი ქართლის კათალიკოზია).

ამ ორი არსენის გაიგივებას ზემოთქმულის გარდა ისიც კი აფერხებს, რომ ერთი მათგანი განთქმულია როგორც „საღმრთოთა წიგნთა თარგმანი", ხოლო არსენი ბულმაისიმისძის თარგმანობის შესახებ რაიმე ცნობა ჯერჯერობით არა ჩანს. № 85 ხელნაწერის მიხედვით ის მხოლოდ ჰიმნოგრაფია[54].

ამრიგად, ს. კაკაბაძის დებულება: „1224 წ. და 1233 წელს გარკვევით ცნობილია ქართლის კათალიკოზი არსენი ბულმაისიმისძე

---

[49] უნ. სიძ. საც. (საეკ. მუზ.) № 85 ფ. 293 v., 287v., 233 r.; ქრონიკები, II, 107—108.

[50] ქრონ. I, 80—81.

[51] ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, მე-XIII საუკ. პირველ ნახევრის საქართველოს კათალიკოზები, გვ. 4.

[52] ქრონიკ. II, 157; I, 79.

[53] „არშიაზე იმავე ხელით: არსენი ყოველად განთქმულისა საღმრთოთა წიგნთა თარგმანისა და საქართველოთა ეკლესიათა მნათობისაა საუკუნო იყავნ ჭსენება: მართლმადიდებელთა კაცთა საუკუნო იყავნ ჭსენება", ქრონიკ. I, 81.

[54] პროფ. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართ. ლიტ. ისტორია, I, 343—346.

იმავე დროს საეკლესიო მწერალი“—დაუსაბუთებელია. სახელთა იგივეობის გარდა საერთო არაფერია ამ ორ არსენის შორის.

ს. კაკაბაძის ამ პირველი დებულებიდან გასარჩევი დაგვრჩა ხელნაწერი № 85-ის ცნობა. აქ მოხსენებული „არსენი კათალიკოზი“[55] მას 1233 წელს მოღვაწე ქართლის კათალიკოზად მიაჩნია. თ. ჟორდანიას მიერ დაბეჭდილი ცნობების მიხედვით ეს მართლაც ასეა[56]. მაგრამ განსვ. ისტორიკოსს ხსენებული ცნობების გამოქვეყნებისას ძეგლის გარეგანი აღწერილობისათვის, სამწუხაროდ, სათანადო ყურადღება არ მიუქცევია, შენიშვნის ღირსი მოვლენები უყურადღებოდ დაუტოვებია და მისგან დამოკიდებული ს. კაკაბაძეც უეჭველუყვია არსენი ბულმაისიმისძის 1233 წელს ქართლის კათალიკოზობაში.

ხსენებულ ხელნაწერში არსენი ბულმაისიმისძე ორგან იხსენიება ქართლის კათალიკოზად. პირველი მათგანი იკითხვის შემდეგნაირად: „ესე იამბიკონნი. ხუთთა თუ8თა მეტნი არ იყუნეს: ენასა ზ~ა ქართულსა და ოთხთა თუ8თანი არსენი ბულმაისიმისძემ (თქ2) ქართლისა კათალიკოზმან ჩი~თა შეხუ8წითა“...[57]. ეს ცნობა აშიაზეა მინაწერი. ის შესრულებულია სინგურით. ხელი ჰგავს ტექსტის ხელს. იგივეობა არ ითქმის. მაგრამ თავი და თავი აქ ისაა, რომ მთელი ეს მინაწერი რაღაც ანაფხეკის ადგილზეა მოთავსებული. ამიტომაც ამ მინაწერის ცნობა საეჭვოა მიუხედავად მისი დამაჯერებელი შინაარსისა და პირველ ყოვლისა საეჭვოა მისი 1233 წლისადმი მიკუთვნება.

მეორე ცნობა თვით ტექსტშია მოთავსებული და იკითხვის: „ო~ო ღ~ღუ3 ხ~ტისა უხილ~ვისა2 ამავე გ~ლბითა თქ~ლი არ~სნი ბულმაისიმის ძისა გან ქართლისა კ~თ3ზისა“[58]. ეს ცნობა უდავოდ ტექსტის ხელითაა ნაწერი. ის სინგურითაა შესრულებული, მაგრამ გამოთქმა—„ქართლისა კთ3ზისა“-ს ნაწილი: „ქართლისა კთ3“ ანაფხეკზეა დაწერილი. ხელი ამ გამოთქმის ნაწილისა საერთოდ ჰგავს მთელი ცნობის ხელს, მაგრამ კიდევ უფრო ჰგავს პირველი ცნობის ხელს. რომ ეს გამოთქმა შემდეგ არის ჩაწერილი ეს იქიდანაც ცხადია, რომ ჩამწერი იძულებული გამხდარა ასო„ქ“-ანი ხაზს ქვედა ასოდ ექცია (მაშინ როცა სხვაგან ამ ხელნაწერში ეს ასო სიტყვის დასაწყისში სამხაზოვანია) და ეს იმიტომ, რომ ადგილის სიმცირის გამო, და ჩასაწერის მთლიანად მოთავსების მიზნით, ეს ასო ზემო სტრიქონის ერთი ხაზის ქვედა ასოს („გ“-ანის) ქვეშ დაუწერია. ამავე

[55] უნ. სიძ. საც. (ყოფ. საეკ. მუზ.) ხელნაწ. № 85, ფ. 293 v, ქრონიკ. II, 108.

[56] ქრონიკა II, 103—111.

[57] უნ. სიძ. საც. № 85, ფ. 233r.

[58] იქვე, ფ. 287 v.

მიზეზით აიხსნება ის მოვლენაც, რომ სიტყვა „ქართლისა“-ს ასოები უფრო წვრილია, ვიდრე ცნობის დანარჩენი სიტყვებისა. უფრო წვრილია ისინი აგრეთვე „კთ“ ასოებზედაც. ჩანს, ჩამწერს ადგილის სიმცირის შიშით ერთობ წვრილი ასოებით დაუწყია და როცა საკმაო ადგილი მორჩენია „ქართლისა“-ს დაწერის შემდეგ, „კთ“ ასოებიც გაუმსხვილებია. (თუმცა უნდა ითქვას, რომ „კთ(ზისა)“ უხეირო დაქარაგმებაა სიტყვის „კათალიკოზისა“ და ეს მოვლენაც იმავ მიზეზით უნდა იყოს გამოწვეული). თუ რა უნდა წერებულიყო იმ მცირე ადგილზე, სადაც „ქართლისა კთ“ ასეთი გაჭირვებით მოათავსა ჩამრთველმა, ამის გადაჭრით თქმა შეუძლებელია[59]. ცხადია, ვფიქრობთ, ერთი (ორივე მოყვანილ ცნობათა დაკავშირებით): არსენი ბულმაისიმისძის „ქართლის კათალიკოზობა“ 1233 წელს არ ეკუთვნის[60]. სადავოა, როგორც ვხედავთ, მისი „ქართლის კათალიკოზობაც“. მაგრამ ამავე დროს მისი კათალიკოზობა სადავო არაა: ამავე ხელნაწერის 293 ფ. V. სწერია არა აშიაზე ან ანაფხეკზე, არამედ ტექსტში და ტექსტისავე ხელით: „თ^ა აგ^სტოსა:იგ: თაყუანისცემაჲ ცხოველს მყოფელისა და საუფლოჲსა ხატისა კელით უქმნელისაჲ, ოდეს მიყვანებულ იქმნა ედესაჲთ კოსტანტინეპოვლედ, ხოლო მეორედ ვინაითგან მოემადლა ნათესავსაცა ჩუენსა... ანტონი მარტმყოფელისა მიერ და დღესა ფერისცუალებისასა ვემთხუჱვით კეცსა ზედა გარდამოტჳფრულისა ტილოჲსა მიერ. ამისთჳს ესე ო^ო. ღ^ვ ყ^ვ ითქუა არსენის მიერ კათალიკოზისა ესე რომელი ამას ზემოჲთ წერილარს“... რომ აქ მოხსენებული არსენი კ^ზი იგივე არსენი ბულმაისიმისძეა, ეს, ვფიქრობთ, საეჭვო არაა: სწორედ ანტონ მარტყოფელის მიერ მოტანილი „ხატისა უხილავისაჲ“-ს შესახებ აქვს მას „გალობანი“[61]. ამიტომ დაშვება იმისა, თითქო „ქარ-

---

59 თუ ჩვენ გვეცოდინება, რომ ამ გამოთქმის ბოლო „ზისა“ ტექსტის დამწერს ეკუთვნის და არა ამ გამოთქმის ჩამრთველს, მაშინ მეტის გაბედულობით ვივარაუდებდით... საქმეს ის გარემოება ართულებს, რომ, თუმცა ეს „ზისა“ ანაფხეკზედ არაა მოთავსებული, მაგრამ ეს ჩანართი გამოთქმა სტრიქონს აბოლოვებს და უკანასკნელი სიტყვის ბოლო მარცვალი „სა“ გვერდის აშიაზე გადადის. ამიტომ იმის თქმა თითქო ეს ნაწილი „ზისა“ „ქართლისა კთ“-ს ჩართვამდისაც აქ იყო, ძნელია (ტექსტის პირველი მწერალი აშიაზე წერის მოვალე არ იყო). პირიქით უფრო საფიქრებელია, რომ ეს „ზისა“-ც ჩამრთველს ეკუთვნოდეს. მაშინ უფრო გასაგებია მარცვალი „სა“-ს აშიაზედ მოთავსებულობა.

60 საერთოდ საეჭვოა, თითქოს ეს ხელნაწერი 1233 წელს იყოს დაწერილი. 1233 წელს აბუსერიძე ტბელმა დაწერა „ქორონიკონი სრული მისითა საუწყებელითა და განგებითა“, რაც შესაძლოა შემდეგ უცვლელად გადაიწერეს. სამწუხაროდ, ეს ძეგლი ვერ არის ჯერ სათანადოდ შესწავლილ-აღწერილი. ხელნაწერში არის ცნობა, რომ ის (თუ მისი ნაწილი?) გადაწერილია არა უადრეს 1278 წლისა.

61 ქრონ. II, 107—108.

თლისა კოკზისა“ ადგილას აფხეკამდის სხვა რაიმე პატივი (არა კ-ზობა) ეწერა, დაუშვებელი ხდება. მაშ, „კათალიკოზისა“ უნდა წერებულიყო. და თუ მარტივად „კათალიკოზისა“ ეწერა (თუმცა უშნო იქნებოდა გამოთქმა „არსენი ბულმაისიმის ძისაგან კათალიკოზისა“) რამ აიძულა ჩამრთველი საგანგებოდ ამოეშალა და „ქართლისა“ ჩაემატებინა? ხომ არ ეწერა იქ „ქართლისას“ მაგივრად „აფხაზთა“ ან „იმერთა“?

როგორც არ უნდა აიხსნას ეს ამოცანა, ს. კაკაბაძის დებულების მეორე ნაწილი:—„1233 წელს გარკვევით ცნობილია ქართლის კათალიკოზი არსენი ბულმაისისძე“ დღესდღეობით მაინც საეჭვოა. საეჭვოა არა მარტო ქრონოლოგიის მხრივ, არამედ ნივთიერადაც: დასამტკიცებელია, არსენი ბულმაისიმისძე „ქართლის კ-ზი“ იყო, თუ „აფხაზეთის კ-ზი“. ამის გამო ს. კაკაბაძის სქემის ის დანარჩენი ნაწილიც, რომელიც არსენი ბულმაისიმისძეს აღიარებს მეორედ გაკათალიკოზებულად 1242—1245 წ. ახლო, აგრეთვე სადავო და საეჭვოა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პროფ. კ. კეკელიძე არსენი ბულმაისიმისძის კათალიკოზობისა, მწ.-უხუცესობისა და მწერლობის საკითხში ს. კაკაბაძის გამოკვლევით სარგებლობს. მაგრამ მას შემდეგ, რაც უკანასკნელმა თვით უარყო ამ არსენის მწ.-უხუცესობა და შიომღვიმის მწირობა, პ-ლი პროფესორის საპასუხოდ ჩვენ აღარა დაგვრჩენია.

ს. კაკაბაძის აწინდელი აზრი არსენი ჭყონდიდლის შესახებ შემდეგია: ის მწ.-უხუცესია 1242—1245 წ. (დაახლოებით). შემდეგ იგი შიომღვიმის მწირია კ-ზ მწ.-უხუცესყოფილი[62]. ცოცხალია ის 1249 წელს. ამ არსენის კათალიკოზობა კაკაბაძის სქემის მიხედვით 1245—1247 წლებს შორის უნდა მოდიოდეს დაახლოებით, რადგან მის შემდეგ სხვა არსენი კათალიკოზობდა და 1249 წელს კი საკ-ზო ტახტი მიქაელს ეპყრა.

ამ სქემის პირველი დებულება აბულახტარისძეთა[63] სიგლის დათარიღებას ემყარება. ვფიქრობთ წლები: 1242—1245 შესწორებას მოითხოვს. 1245 წელს რუსუდანი გარდაიცვალა. ის კარგა ხანია „ტკბილისა შვილისა თვისისა ნაღვლითა და ტკივილითა მწარითა ილეოდა დასნეულებული“[64]. შვილი მისი მეფე დავით ნარინი უკვე

---

[62] სამწუხაროდ, კორექტორული შეცთომის გაუსწორებლობის გამო გაუგებარია, რა წლებით ათარიღებს ხსენებული ავტორი გრიგოლ სურამელის სიგელს (1245—1245?). უნდა ვიფიქროთ რომ 1245 წლის შემდგომი დროით, რადგან ამ წლამდის მას შესაძლებლად მიაჩნია არსენი ჭყონდიდლობდეს, ხოლო ბულმაისიმისძე კათალიკოზობდეს.

[63] და არა აბულხტრისძეთა. იხ. ი. ც ი ნ ც ა ძ ი ს შესწორება; საქართველ-ის არქიეი, წიგნი II, 24.

[64] მ-ამ დ-ფლსი ჭ-ცა, 622, შენიშვ. 6.

რამდენიმე წლის წინ ყარაყორუმს იყო წარგზავნილი. ცხადია, ამ წლებში სიგლის მიცემა, რომელსაც მეფენი რუსუდანი და დავითი ამტკიცებენ, ვერ მოხდებოდა. საფიქრებელი არაა, რომ დავით ნარინი 1242—1243 წელზე უფრო გვიან წასულიყოს, რადგანაც ყარაყორუმს წარგზავნამდის ბათო ყაენმა „ნარინ: დავით: მეფე: ორის: წლისა: ჟამთა: თვის: თანა: იპყრა:“ და მხოლოდ მერმე წარავლინა „ჩინმაჩინს და ყარაყორუმს“. და თუ 1245 წელს ის უკვე ყარაყორუმს იყო გამგზავრებული, უნდა ვიფიქროთ, რომ საქართველოდან ის 1242 წლის ბოლოს ან 1243 წლის დასაწყისს გამგზავრებულა. ჭყონდიდლის ელჩობა კი ბათო ყაენთან, რა თქმა უნდა, ამაზე უფრო ადრე უნდა ყოფილიყო[65]. 1238—1239 წელს რუსუდანი ჯერ კიდევ არ დამორჩილებოდა მონღოლთ. ამ დროს ის ჯერ კიდევ მათ განდევნას მცდელობდა. ამას მოწმობს მისი წერილი რომის პაპის გრიგოლ IX-სადმი. 1240 წელს მას პასუხი მოსდის. შველის იმედი არსაიდან ჩანს[66] და რუსუდანიც ბედს მორჩილდება. აი ამ დროს უნდა წასულიყვნენ ელჩები მისდა „სამსახურად“ ბათო ყაენთან. სიგელი დაწერილია არსენ მწ.-უხუცესის ელჩობიდან დაბრუნების შემდგომ. ამიტომ უფრო მართებულია, ვფიქრობთ, ამ სიგლის მიცემის დათარიღება 1241—1242 წლით[67].

ს. კაკაბაძის საბუთიანობა ასეთია: „სიგელის დასათარიღებლად მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ საბუთს რუსუდან მეფის გარდა ხელს აწერს დავით მეფეც, რომელიც, ცხადია, ნარინ დავითი უნდა იყოს. ნარინ დავითი დაიბადა 1230 წელს და 1236 წელს ექვსი წლის ის უკვე მეფედ აკურთხეს. თუ ხელის მოწერა სიგელზე თვით დავით მეფეს ეკუთვნის (? sic—ნ. ბ.), მაშინ საფიქრებელია, რომ სიგელი მიცემული იქნებოდა რუსუდანის მეფობის უკანასკნელ წლებში, როდესაც დავით უკვე მთლად მცირე არ იქნებოდა. დაახლოებით მაშასადამე, 1242—1245 წლებში“[68]. მკვლევარის მიერ აქ მიღებული თარიღი ნარინ დავითის დაბადებისა, „აფხაზთ ქრონიკიდან“ ამოღებული, ვფიქრობთ, ვერ არის მართებული. საქმე ის არის, რომ დავით

---

[65] ს. კაკაბაძეს მისდაუნებლიეთ არ შეეძლო ჰხედველობაში მიეღო ეს გარემოება, რადგან უმართებულო წაკითხვის შედეგად ჭყონდიდლის ელჩობას ის ჰგონებდა არა „ბათოისსა“; არამედ „ბათლისსა“ (=ბითლისს). იხ. ი. ცინცაძის შესწორება: საქართველოს არქივი, წიგნი II, 24.

[66] მიქელ თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 14—17.

[67] ამ თარიღის მეტი საფუძვლიანობით და ზედმიწევნილობით გამოკვლევა მთელი ეპოქის ქრონოლოგიის კრიტიკულ შესწავლას მოითხოვდა, რაც ამჟამად ჩვენთვის შეუძლებელია.

[68] საისტორიო მოამბე, II, 123.

ნარინი როცა მეფედ აკურთხეს „ვითარცა წლისა ხუთისა“[69], ეს მოხდაო ქუთაისში, სადაც რუსუდან მეფე ლტოლვილ იყო ჯალალედდინის მიერ ლიხთ-აქეთი საქართველოს დაპყრობის გამო. ამიტომ „ამიერი: ესე: სამეფო: უცალო: იყო: ხვარაზმელთაგან:... ყოველნი: სიმაგრეთა: შინა: ციხოვნობდენ: თვითეულნი: მორჩილებასა: შინა: (ქ~ცა: ზედა) მეფისა: რუსუდანისასა: და: უცალოებისა: ძალითა ვერ დაუხვდეს: დალოცვასა: მეფისა: დავითისასა:“[70] ამრიგად, ჯალალედდინი ჯერ კიდევ აღმოსავლეთ საქართველოში ბატონობდა, როცა დავით ნარინი მეფედ აკურთხეს[71]. ამიტომ ეს კურთხევა არ შეიძლებოდა 1230 წელზედ უფრო გვიან მომხდარიყო: ჯალალედდინი 1231 წელს მოჰკლეს. და თუ 1230 წელს დავითი იყო 5 წლის, ის უნდა დაბადებულიყო 1225 წელს. ასე რომ დავით ნარინის თითქოს-და წლოვანობითი სიმცირის გამო მის მიერ ხელმოწერილი სიგლის 1245 წელში გადატანა სრულიად საჭირო არაა: ის 1240 წელშიაც საამისოდ სრულასაკოვანი იყო. ამრიგად, ჩვენი კვლევის თანახმად, არსენი 1240—1242 წლებში მწ.-უხუცესია. თუ როდის მიიღო მან ეს ჯელი, ჩვენ ამის ცნობა არ მოგვეპოვება. მაგრამ არის საბუთი ვიფიქროთ, რომ ის 1240 წელს დიდი ხნის მწ.-უხუცესი არ შეიძლება ყოფილიყოს. აბულახტარისძეთადმი მიცემულ სიგელში ის თავის თავს რუსუდანის „გაზრდილს“ უწოდებს[72]. რუსუდანი 1240 წელს 45 წლის უნდა ყოფილიყოს. მისი „გაზრდილი“ არსენ მწ.-უხუცესი სულ ცოტა 8—5 წლით უფრო ახალგაზრდა უნდა ყოფილიყო. საქართველოში მაშინ მომქმედი საეკ. კანონის თანახმად ეპისკოპოსად კურთხევისათვის საჭირო იყო 35 წელი, არსენი 35 წლისა იქმნებოდა 1235—1238 წლებში (დაახლ.) და მაშ მხოლოდ ამ დროიდან შეიძლებოდა ის მწ.-უხუცესი ყოფილიყო.

მწ.-უხუცესი არსენი როდის იქმნა ~ზი არ ვიცით. ცხადია მხოლოდ, რომ შიომღვიმეში შემონაზონებამდის ის ~ზი ყოფილა. აბას ამტკიცებს გრიგოლ სურამელის სიგელი შიომღვიმისადმი[73].

ს. კაკაბაძე ამ სიგლის გამო ამბობს: „გრიგოლის მეოთხედ წასვლა თათრებში დიპლომატიური დავალებით უნდა მომხდარიყო დაახლოებით 1245— 124 (?) წლების ახლო ხანებში“ და ამ წლები-

---

[69] მ~ამ დ~ფლსი ~ცა, 582, *757.

[70] იქვე, 584, *759.

[71] არ არის უმართებულო ვიფიქროთ, რომ ასეთი ნაადრევი კურთხევა სწორედ ჯალალ ედდინის პოლიტიკის საწინააღმდეგო ზომა იყო. ლაშასძე დავითი აქ რაიმე მიზეზად მოსატანი არ უნდა იყოს. ჯალალისათვის ორივე უფლისწული ერთნაირად მიუღებელი იყო: მას თვით სურდა გამეფება.

[72] საისტორიო მოამბე, II, 1925, 132.

[73] თ. ე ო რ დ ა ნ ი ა, შიომღვიმის ისტ. საბუთები, 52—58; ქრონ. II, 97—102.

თვე ათარიღებს თვით სიგელსაც[74]. თარიღი დაახლოებით სწორია, მაგრამ მისი მიღების გზა კი მცდარი. გრიგოლ სურამელი თათრებში „დიპლომატიური დავალებით“ კი არ მიდიოდა, არც მათ წინააღმდეგ სალაშქროდ, როგორც ამას თ. ჟორდანია ჰგონებდა[75], არამედ „თათართა შიგან“ მიდიოდა „ქრისტეს სჯულისა და ერისა და ეკლესიათა დაცვისათვის“[76]. თუ რას ნიშნავს ეს, თათართა შიგან წასვლა, ამას არსენი მწ.-უხუცეს-ჯ ზ ყოფილი გვამცნობს. ამავე სიგელში. მეო,—ამბობს ის,--გრიგოლ სურამელსო ერთსა ჯერსა ლაშქარს წარმავალსა“ მოვახსენე ესა და ესო, რომ სოფელი გავაზელნი უკან დაებრუნებინა შიომღვიმისათვისო[77]. ეხლა, თუ ჩვენ ჩავუკვირდებით გამოთქმას: „ერთსა ჯერსა ლაშქარს წარმავალსა“ და დავუკავშირებთ მას გრიგოლის გამოთქმას: „მიმავალი მეოთხედ წარმართთა თათართა შიგან“... ადვილად მივხვდებით რომ აქ ლაპარაკია ქართველთა იმ იძულებითს ლაშქრობაზე, რომლის შესახებ ქამთააღმწერელი გვამცნობს:

რუსუდანის დამორჩილებისა და ნარინ დავითის მონღოლეთში გამგზავრების შემდეგ „თათართა: მათ: ოთხთა: ნოინთა: მოეკსენა: ბოროტი: ალმუთელთა: რომელი: შეამთხვიეს: მომავალთა: და: აღიმკედრეს: მათ: ალმუთსა: ზედა: და: თანა: მბრძოლობა: განაჩინეს: ქართველთა: და: წარმოუგზავნეს: მოციქული: მეფესა: რუსუდანს: რათა: მისცენ: საყოფი: საქართველოსა: ლაშქრად: ალმუთს:“[78] ამ ხანებში რუსუდანი გარდაიცვალა, საქართველო უმეფოდ დარჩა და „თჳთეული: ერის: მთავარი: თჳთოსა (ქ ცა: მათ ხვედრსა) ნოინსა: შეუდგა: (ქ ცა უმატებს: რამეთუ პირველვე გაყოფილ იყუნეს ნოინთა მიერ) და: განაჩინეს: თათართა: ბევრისა: მთავარნი[79]: (და ჩამოთვლილია შვიდი მთავარი, მათ შორის გრიგოლ სურამელიც) და... წარვიდეს: ბრძოლად ალმუთს: და: ქართველნი: თანა: წაიტანეს: რომელნი განყუეს: ორად: ნახევარნი: ერთსა: წელსა: და: ნახევარნი: ერთსა წელსა: იყუნიან: ალმუთს: რამეთუ: შვიდ: წელ: ვანგრძელდა: ბრძოლა: ალმუთისი[80],.. ხოლო: ქართველნი: განყოფილი: თჳთეული: მისსა წელიწადსა: ხვდის: და: იყჳს: ალმუთს და: კუალად: წარვიდიან: სხვანი: ხვედრსა: მისსა: წელიწად: ერთ: იყჳს: ალმუთს: და: კვალად: სხვა მხვედრსა: მათსა: და: ესრეთ: შვიდისა წლისა: ქამთა: განـ

---

[74] საისტორიო მოამბე II, 1925, 131.

[75] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები II, 99, შენიშვნა 1.

[76] ქრონიკები II, 99, შიომღვ. მონ. ისტ. საბ-ბი, 54.

[77] იქვე, 102, იქვე 58.

[78] მ-მ დფ-ლისი ქ-ცა, 622 *788.

[79] იქვე, 623, *788.

[80] იქვე, 624, *787.

გრძელდა: ყოფა"[81]. აი სწორედ ამ ჯერით ლაშქარს წასვლაზეა ლაპარაკი გრიგოლ სურამელის სიგელში.

ბრძოლა ალამუთის წინააღმდეგ მონღოლებმა განაახლეს ყიასედდინის დამარცხების შემდეგ და რუსუდანის სიცოცხლეში, საფიქრებელია—1244 წელში. მაგრამ გრიგოლ ქართლისა ე"ევ"ი მოვალე არ იყო მარტო ის ლაშქრობანი დაეთვალა და მოეხსენებინა თავის სიგელში, რომელიც მას ალამუთს შეხვდა ჯერით ის, როგორც აღმოსავლეთ საქართველოს ერთი მთავართაგანი, მონღოლთ, უეჭველია, სხვა ლაშქრობებშიც ახლდა.

ამ სიგელის მიხედვით, ჩვენი არსენი უკვე შიომღვიმის მწირია ქ. კ"ზ მწ.-უხუცეს-ყოფილი. მაშ 1242 წლის შემდეგ არსენი მწ.-უხუცესი კ"ზად კურთხეულა და გადამდგარა კიდეც. 1248 წელს კ"ზად ვიღაც არსენი ჩანს. არის ეს იგივე არსენი, რომელიც 1242 წელს კათალიკოზობდა თუ, ეს სხვაა—ძნელი სათქმელია.

ს. კაკაბაძის აზრით, არსენი კ"ზ-მწ.-უხუცეს-ყოფილი 1249 წელსაც ჩანს[82]. ამის საბუთს მკვლევარს ვაჩე გუარამისძისადმი მიქაელ ქ. კ"ზისგან მიცემული სიგელი აძლევს. ეს სიგელი მართლაც საინტერესოა, მაგრამ ჩვენამდის მოღწეული და ყოფ. პეტ. აზ. მუზ. დაცული პირი, როგორც ჩანს, ჰეტად საეჭვო ღირსებისაა. ამიტომ ამ სიგლის ცნობებით სარგებლობას აუცილებლად წინ უნდა უძღოდეს მათი კრიტიკული შეფასება. სამწუხაროდ, ს. კაკაბაძეს ასეთი შრომა არ მიუღია თავის თავზე და ამავე დროს აქ მოცემული ცნობებით უხვად და სრულის ნდობით უსარგებლნია.

ეს სიგელი გამოცემულია ორჯერ და, როგორც ჩანს, სხვადასხვა პირის მიხედვით—თ. ჟორდანიასა[83] და ს. კაკაბაძის მიერ[84]. ორივე გამოცემა შეუწყნარებელია. გარდა ტექსტის კრიტიკული დაუმუშავებლობისა, არც ერთ გამომცემელს არ დავიწყნია ერთი მეტად სამწუხარო ჩვეულება—ტექსტის შემოკლება.

სამწუხაროდ, თითოეულ გამომცემელს სხვადასხვა ადგილი უცვნია გამოცემის ღირსად. თ. ჟორდანიას ს. კაკაბაძისათვის (და ამ შემთხვევაში ჩვენთვისაც) საინტერესო ნაწილი (სიგლის დამტკიცებანი) არ გამოუცია, რომ ადამიანს შეეძლოს ამ მოწმობათა შეჯერება და ამით რამდენადმე პირმშო დედნისადმი მიახლოება...

ორივე გამოცემაში დაცული საერთო ადგილების შეჯამებიდან ირკვევა, რომ ს. კაკაბაძის გამოცემის დედანი განსხვავდება თ. ჟორდანიას გამოცემის დედნისაგან არა მარტო ორთოგრაფიისა და ენის მხრით, არამედ ნივთიერადაც.

---

[81] იქვე, 624, *787.

[82] საქ. მოამბე II, 131. XIII საუკ. პირვ. ნახევრის საქ. კ"ზები, 7.

[83] ქრონიკ. II, 176.

[84] ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე. op. cit., 5—6.

ამიტომ აღმოჩენა თ. ჟორდანიას გამოცემის დედნისა (თუ ის იმიერკავკასიაში დაღუპულ სიგელთა რიცხვში არ არის მოყოლილი) და მისი კრიტიკული გამოცემა (ყოფ. პეტ. აზ. მუზ. დაცულ პირთან. შეჯერებით) საბოლოოდ გაარკვევს ს. კაკაბაძის გამოცემით აღძრულ საცილობელ საკითხებს. ს. კაკაბაძის მიერ გამოცემული სიგლის ‘ნინაარსი ასეთია: მიქელ ქართლისა კ“ზი სამამულოდ აძლევს საკ“ზო კარის მსახურთუხუცესს ვაჩე გუარამასძეს სოფელ ორომაშენს. სიგელში მოიხსენიება „პირველ ხუარაზმელთაგან და მერმე თათართაგან“ საქართველოს მოოხრება. სიგელს წერს კ“ზის დისწული საჭურჭლის მწიგნობარი იოანე. სიგელს ამტკიცებენ: 1. მეფე („ჩუენ დავით მეფეს დამინიშნავს“); 2. კათალიკოზი (რომელიც დამტკიცების ტექსტში არც თავის სახელს და არც თანამდებობას არ ამჟღავნებს): 3. „გლახაკი არსენ“ („კირიელეისონ. ესე ვითა სანატრელსა ქრისტეს მიერ ქართლის კათალიკოზს მიქაილს გურამასძე ვაჩე შეუწყალებია... მტკიცე ყოს ღ“ნ ნაქმარი და ბრძანება მათი. მე მრწემი სიწმიდისა მათისა გლახაკი არსენ ნებითა ღმრთისათა ჩემითაც ყელითა დავამტკიცებ“...); 4. ამირსპასალარი („ამის ღმრთისა სწორთაგან დამტკიცებულის მოწამე ვარ და დაწერილისა დამამტკიცებელი ამისი გამთავებელი ამირსპასალარი“—სახელი არაა); 5. ვიღაც სასულიერო პირი („ამის ღმრთის მიერ ქართლის კათალიკოზებთა დაწერილისა და ღმრთისა სწორთა პატრონთაგან დამტკიცებულისა მოწამე და დამამტკიცებელი ვარ მიწა და მლცველი წ“ისა მეფობისა მათისა“... სახელი არაა).

ს. კაკაბაძის აზრით, ვინმე სასულიერო პირის მიერ ნახმარ გამოთქმაში: „ამის ღმრთისა მიერ ქართლის კათალიკოზებთა დაწერილისა და ღმრთისა სწორთა პატრონთაგან დამტკიცებულისა“— „კათალიკოზებათ ნაგულისხმევია თვით მიქაელ და ეს „გლახაკი არსენ“, ხოლო ღმრთის სწორთა პატრონებად დავით ლაშასძე და დავით რუსუდანისძე, რომელნიც რამოდენიმე ხანს ერთად განაგებდენ საქართველოს“[85]. ავტორი ხედავს, რომ მის მიერ გაკეთებულ დასკვნას მეფეთა შესახებ არ ამართლებს მის მიერვე გამოცემული ძეგლის ტექსტი და ცდილობს სძლიოს სიძნელე: „თუმცა კოპიოს მიხედვით, სიგელში მარტო ერთი დავითის ხელის მოწერა ჩანს, მაგრამ შესაძლებელია დედანში მეორე დავითის ხელის მოწერაც ყოფილიყოს—მინაწერში ღმრთის სწორთა პატრონების მოხსენება ამას უნდა გვიჩვენებდეს“[86]. ამრიგად, გამომცემელმა მის მიერვე გამოცემული ტექსტის ერთი ადგილი გამოცემის უმალვე შეასწორა. მოსალოდნელი იყო, რომ ახლა მაინც აღძვროდა სურვილი მთელი

[85] ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, op cit. 7.

[86] op. cit. 7, შენიშვნა 9.

ტექსტის კრიტიკულად შესწავლისა, მაგრამ, სამწუხაროდ, მან ეს არ მოისურვა და სხვა ცნობები ხალას ჭეშმარიტებად მიიღო.

მეორე საინტერესო დასკვნა ავტორს გამოჰყავს იმავე უცნობი სასულიერო პირის მინაწერიდან. „ამის ღმრთისა მიერ ქართლისა კათალიკოზებთა დაწერილისა“-ში ის ორი კათალიკოზის მოხსენებას ხედავს, ხოლო, რადგან სხვა მინაწერთაგან მხოლოდ ერთი კ´ზი ჩანს, ავტორი დაასკვნის, რომ „კათალიკოზებად აქ ნაგულისხმევია თვით მიქაელ და ეს „გლახაკი არსენ“, რომელიც, ჩემის აზრით, კათალიკოზად ნამყოფი ბულმაისისძე უნდა იყოს“[87].

განვიხილოთ ეს მინაწერი. უპირველეს ყოვლისა „ღმრთისა მიერ“ კ´ზი უცნაურია. კ´ზი „ქრისტეს მიერი“ იყო, მისი, როგორც „პირმეტყველ ცხოვართა მწყემსის“ მოადგილე და მის მიერ დადგენილი. სასულიერო პირის მიერ ასეთი შეცდომა და ისიც კ´ზის მიერ ბოძებულ სიგელზე მოსალოდნელი არაა. ამიტომ ეს ადგილი უნდა შესწორებულ იქნას.

მეორე: „კათალიკოზებთა“ ასეთივე უცნაურობაა იმ დროისათვის, მხოლოდ გრამატიკულად: gen. pl. „თა“ ნაწარმოები უნდა იყოს nom. pl. „ნი“-დან და nom. pl. „ები“ მოითხოვს gen. pl. „ების“ და არა «ებთა“-ს. ამიტომ ფორმა «კათალიკოზებთა“ გრამატიკულად მიუღებელია და ამდენადვე საეჭვო. ისიც უნდა შესწორდეს.

მესამე: ეს უცნობი სასულიერო პირი წერს: „ამის ღმრთისა მიერ ქართლის კათალიკოზებთა დაწერილისა და ღმრთისა სწორთა პატრონთაგან დამტკიცებულისა მოწამე ვარ“... თუ აქ სიტყვა „კათალიკოზებთა“ უცვლელად დავტოვეთ და ამ სიტყვაში ორი ქართლის კ´ზი ვიგულისხმეთ, წინაალმდეგობის აღმოსაჩენად დიდი ფიქრი არ დაგვჭირდება. ამ მინაწერიდან ისე გამოდის, რომ სიგელი მიუციათ ორ ქართლის კათალიკოზთ და დაუმტკიცებიათ ორ მეფეს. თუ აქ ორი ქართლის კ´ზია, მაშინ ერთი მათგანი მართლაც „გლახაკი არსენია“, როგორც ამას ს. კაკაბაძეც ჰგონებს. მაგრამ თავის მინაწერში „გლახაკი არსენ“ ამბობს: ესე ვითა სანატრელსა ქრისტეს მიერ ქართლისა კათალიკოზს მიქაილს (sic) გუარამასძე ვაჩე შეუწყალებია... მტკიცე ყოს ღმერთმან ნაქმარი და ბრძანება მათი, მე... გლახაკი არსენ ნებითა ღმრთისაჲთა ჩემითაც ჴელითა დავამტკიცებ“... აქედან აშკარაა, რომ ეს სიგელი მარტო კ´ზ მიქაელის „ნაქმარი და

---

[87] იქვე, მართალია, ავტორმა ამის შემდეგ შესცვალა თავისი აზრი ბულმაისიძისძეზე, თითქოს ის მწ.-უხუცესიც ყოფილიყოს, ხოლო კ´ზობის შემდეგ ზიარმღვიმეში შემონაზონებული,—მაგრამ ეს ჩვენთვის საინტერესო „გლახაკი არსენ“ მას ეხლაც კ´ზ—მწ.-უხუცესი ყოფილ მწირად მიაჩნია—იხ. ტომში II, 131—ასე რომ მოყვანილი აზრი ბულმაისი[ძი]სძის შეცვლით ავტორის მიერ დღესაც შეწყარებულია.

ბრძანებაა“ და „გლახაკი არსენ“ მხოლოდ ამტკიცებს მას ისევე, როგორც სხვები (ან კი რა წარმოსადგენია, რომ შიომღვიმის მწირი თანამონაწილეობდეს ქ. კ-ზის სამეურნეო საქმიანობაში). გამოდის, რომ „გლახაკი არსენ“ უარყოფს იმას, რასაც მას უცნობ სასულიერო პირის მოწმობაზე დაყრდნობით ს. კაკაბაძე მიაკუთვნებს. ასეთ შეცდომას, რა თქმა უნდა, თანამედროვე მოწამე და ისეთი პირი, რომელიც მოწოდებულია კ-ზის მიერ მიცემული და მეფეთა მიერ დამტკიცებული სიგელი ამტკიცოს, არ დაუშვებდა. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ სიტყვა „კათალიკოზებთა“ გარდა თავისი გრამატიკული შეუწყნარებლობისა ნივთიერადაც შეუწყნარებელია და ამდენადვე სათანადო შესწორებას მოითხოვს.

ეხლა განვიხილოთ ვინაა ეს „გლახაკი არსენ“?

უდავოა, რომ ის მაღალი სასულიერო პირია: ის სიგელს ამტკიცებს კ-ზის შემდგომ და ამირსპასალარის უწინ. შეიძლება თუ არა, რომ ის შიომღვიმის მწირი არსენ კ-ზ-მწ.-უხუცეს-ყოფილი იყოს? ვფიქრობთ, არ შეიძლება. ჯერ ერთი, გაუგებარი იქნებოდა მისი ჩარევა კ-ზის სამეურნეო საქმიანობაში და მეორე, შეუძლებელია არსენ კ-ზ-ყოფილს თავისი თავისათვის ეწოდებინა „მრწემი სიწმიდისა მათისა“—ე. ი. უ მ ც რ ო ს ი კ ა თ ა ლ ი კ ო ზ ი. თუ მიქაელზე უფროსი არა, არსენ კ-ზ-ყოფილი მისი სწორი მაინც იყო. მაგრამ, ესეც რომ არ იყოს, როგორ შეეძლო ყოველივე ამ სოფლის დამტოვებელს და შიომღვიმის მწირს თავისი თავისათვის ქ. კ-ზის მრწემი ეწოდებინა? ამავე დროს არავის გარდა კათალიკოზისა არ შეეძლო თავისი თავისათვის ეწოდებინა „მრწემი სიწმიდისა მათისა“ (ე. ი. კათალიკოზისა). გამოდის, რომ „გლახაკი არსენ“ კ-ზ ყოფილი კი არა, ნამდვილი კ-ზია, მაგრამ უფრო დაბალ საფეხურზე მდგომი, ვიდრე მიქაელ ქართლისა კ-ზი. ასეთი კი, როგორც ერთ ჩვენს წერილში ვეცადეთ ცხად გვეყო[88], აფხაზეთის კ-ზ იყო. ერთადერთს მას შეშვენოდა ასეთი წოდება. სიგლის დამტკიცება მის მიერ უფრო გასაგები და ბუნებრივია. უნდა ვიფიქროთ, რომ არსენ აფხაზთ კ-ზი რაღაც მიზეზის გამო აღმ. საქ-ში ყოფილა ამ სიგლის მიცემის დროს[89]. ამ შემთხვევაშიაც მის მიერ მცხეთის საკათალიკოზო ტახტის სამეურნეო ცხოვრების შესახები სიგლის დამტკიცება ფრიად საყურადღებოა.

---

[88] „მიმომხილველი“ № 1, ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დას. საქ. საეკ. წესწყობილება.

[89] შესაძლებელია, რომ აფხ. კ-ზი არსენ მეფე დავით ლაშასძის კურთხევაზე იყო ჩამოსული. „მეფის კურთხევის წესი“, რომელიც სწორედ ულუ დავითის კურთხევისათვის უნდა იყოს შედგენილი, მართლაც ითვალისწინებს აფხაზეთის კ-ზის დასწრებას მეფის კურთხევაზე.

ზემოთ ჩვენ არსენი ბულმაისიმისძეზე საუბრის დროს ეჭვი შეგვიტანეთ მის ქართლის კათალიკოზობაში. ეხლა შეგვიძლია ჩვენი ეჭვი კიდევ უფრო საფუძვლიანად მივიჩნიოთ და არსენ ბულმაისიმისძე იმ „მათისა სიწმიდისა მრწემი არსენიდ“ ვაღიაროთ, რომლის „აფხაზთა კ᾽ზობა“, ვფიქრობთ, ნაკლებ სადაოა.

რაც შეეხება ჩვენი სიგლის თარიღს, აქ ს. კაკაბაძე შეიძლება მართალი იყოს[90]. ასეთ მოსაზრებას მხარს უჭერს სიგლის შინაარსიც. ამრიგად, 1249 წელს ჩანს არა კ᾽ზ ყოფილი არსენ, არამედ აფხაზთა კ᾽ზი არსენ ბულმაისიმისძე.

ვინ იქმნა მწ.-უხუცესი არსენის შემდეგ, ამის პირდაპირი ცნობა არ მოიპოვება, მაგრამ არსენ მწ.-უხუცესის მიერ აბულახტარისძისადმი ბოძებული სიგლის აღმოჩენის შემდეგ ადვილად შეგვიძლია ეს საკითხიც გავარკვიოთ. ხსენებული სიგელი, როგორც ეხლა გამორკვეული გვაქვს, ბოძებულია 1241—1242 წლებში. ამ სიგელს ამტკიცებს ბასილი მწ.-უხუცესიც. ამ ძეგლს გამომცემელმა ს. კაკაბაძემ ბასილის ხელისმოწერა სიგლის ბოძების დროისად აღიარა და ორი მწ.-უხუცესის თანადროულობის საკითხი წამოაყენა. ის ამბობს: „ხელის მოწერის ადგილი და ხასიათი თითქმის უეჭველად ყოფს, რომ ბასილი ჭყონდიდელს ხელი მოუწერია სიგელზე საბუთის შესრულებისთანავე. მაშასადამე, საბუთის დაწერისას, საგულისხმებელია, იყო ორი მწიგნ.-უხუცესი თვით არსენი და ბასილიც“. ამხ. ი. ცინცაძემ სრული დამაჯერებლობით უარყო ს. კაკაბაძის ნაჩქარევი ჰიპოთეზი. მან დაამტკიცა, რომ ბასილი ჭყონდიდელს ხსენებულ საბუთზე ხელი მოწერილი აქვს ყოველ შემთხვევაში არა სიგლის ბოძებისას, არამედ შემდეგ[91].

ასე რომ უარყოფილ უნდა იქნას შესაძლებლობა, თითქო ბასილი 1242 წელს (უკეთ: არსენის მწ.-უხუცესობის დროს) მწ.-უხუცესი იყო. მეორე მხრით, ჩვენ ვიცით, რომ 1250 წელს ბასილი უკვე მწ.-უხუცესია. ამას იგივე არსენ მწ.-უხუცესის სიგელი არკვევს. ამ სიგელს, სხვათაშორის, ავაგ ათაბაგიც ამტკიცებს ხელრთვის რიგიდან ცხადია რომ ავაგი სიგელს ამტკიცებს ან ბასილთან ერთად, ან ბასილის შემდეგ და ყოველ შემთხვევაში არა უწინარეს მისა. ავაგი, როგორც ცნობილია, 1250 წელს გარდაიცვალა. მაშ 1250 წელს მაინც, თუ უწინ არა, ბასილი უკვე მწ.-უხუცესი ყოფილა.

---

90 მეფენიც, საფიქრებელია, ორნი აწერდნენ ხელს, როგორც ამას გამომცემელიც ჰგონებს. ეს ჩანს როგორც უცნობი სასულიერო პირის მოწმობიდან: „ღმრთისა სწორთ› პატრონთაგან“, აგრეთვე ამირსპასალარის მოწმობიდანაც: „ამისი ღმრთისა სწორთაგან დამტკიცებულის მოწამე ვარ“. „ღმრთისა სწორნი“ დამამტკიცებელნი აქ მხოლოდ მეფეები შეიძლება იგულისხმებოდნენ.

91 საისტორიო მოამბე II, 1925, 124.

აღნიშნული სიგლის გარეგანი შესწავლიდან ისიც ირკვევა, რომ მისი მესამე და მეოთხე კეფი ერთი ხელის მიერაა (და შეიძლება ვიფიქროთ—ერთად) სიგელზე მიკერებული. მესამე კეფზე ამტკიცებენ: კ´ზი არსენი, ბასილი ჭ´ლ—მწ.-უხუცესი და „დიდისა მონასტრისა (უნდა ვიფიქროთ გელათის) წინამძღვარი" ნიკოლოზ. სამივე ეს დამტკიცებანი ერთ დროს უნდა მიეკუთვნოს. და თუ ეს ასეა, მივიღებთ, რომ ბასილი ჭყონდიდლობს, მაშინ როცა ჯერ კიდევ არსენი კათალიკოზობს. სიგლის მბოძებელი არსენი კი ამ დროს უნდა ყოფილიყო ან შიომღვიმის მწირი (კ´ ზ-მწ.-უხუცეს-ყოფილი) ან უკვე გარდაცვლილი. არც კ´ზი და არც მწ.-უხუცესი ის ამ დროს არ შეიძლებოდა ყოფილიყო.

ეხლა თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ხსენებულ სიგელს ჭყონდიდელთაგან არსენის შემდეგ სწორედ ბასილი ამტკიცებს, შეიძლება დავასკვნათ, რომ არსენის შემდგომი მწ.-უხუცესი უშუალოდ ბასილი იყო. ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ 1248 წელს არსენი უკვე შიომღვიმის მწირი იყო. ხოლო მეორე არსენი კი 1249 წელს კ´ზი აღარ არის. ამიტომ, უნდა ვიფიქროთ, რომ 1248 წლიდან ბასილი უკვე ჭყონდიდლობს.

მართალია, ჩვენ ისიც ვიცით, რომ არსენი მწ.-უხუცესი კათალიკოზიც იქმნა, მაგრამ არ ვიცით, კათალიკოზობის მიღებისას მან მწ.-უხუცესობა დატოვა, თუ ორივე ეს ჯელი შეათავსა? ამიტომ ბასილის მწ.-უხუცესობის დასაწყისს ამაზე უფრო ადრინდელ წლებს ჯერჯერობით ვერ მივაკუთვნებთ. ბასილი მწ.-უხუცესის მოღვაწეობის დასასრული კარგად ცნობილია.

ამ ფრიად საინტერესო პიროვნების შესახებ ქ´ცა გვამცნობს:... „განდიდნა: ჭყონდიდელი: ბასილი: და უჯარმელი: და: იწყო: საურავთაცა: შინა: თვინიერ: მეფისა: ჯეთხვისა: და: მეფისა: იმერით: ყოფასა: შინა: დიადი: აწყინა: სეფეთა: ქვეყანათა: ვითარ: თვისთა: ხედვიდა: და სიტყუაცა: იყო: [ვითარმედ]. ესუქანს: თანა: ეყო: ამისთჳს შესმენილ: იქმნა: ბასილი: წინაშე: მეფისა: რომელმან: მსწრაფლ: მოიყუანა: და: ბრძანა: ძელსა: დამოკიდება: დამოჰკიდეს: ძელსა: შუა: ქალაქსა":[92].

ბასილ მწ.-უხუცესის სიკვდილად დასჯა უნდა მომხდარიყოს 1265 წელს. როგორც სამართლიანად ეჭვობს აკად. ივ. ჯავახიშვილი, ბასილი ჭყონდიდელის ტრაგიკულ დასასრულში ეკლესიის მესვეურნიც არ უნდა იყვნენ სრულიად უბრალონი. მათი ასეთი გაბოროტება კი შედეგი უნდა იყოს ბასილი მწ.-უხუცესის საეკლესიო პოლიტიკისა, რასაც 1263 წლის ახლო დროში ამ პოლიტიკის საპროტესტოდ მოწვეული საეკლესიო კრება მოჰყვა.

---

[92] მ´მ დ´ფსი ქ´ცა, 691.

ბასილ ჭყ.-მწ.-უხუცესის შემდეგ არც ერთი „მწ.-უხუცესი“ სახელდობ არ იხსენიება. რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ წყაროთა ნაკლებობით აიხსნება და არა იმით, თითქოს ამ ხანის შემდეგ მწ.-უხუცესობა მოსპობილიყოს. პირიქით, ჩვენ მოგვეპოება სწორედ ამ ხანის შემდეგ დროში შედგენილ-დაწერილი ძეგლი „გარიგება კელმწიფის კარისა“, რომელიც უმთავრესი წყაროა ჭყ.-მწ.-უხუცესის კელის შესასწავლად.

ერთადერთი ჭყონდიდელი, რომელიც ამავე დროს მწ.-უხუცესიც უნდა ყოფილიყოს, მოიხსენიება ჯვარის მონასტრის აღაპებში[93] და უნდა იყოს XIV საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწე[94] ამის შემდეგ ჭყონდიდელნი ჩვენ მხოლოდ XVI საუკუნიდან და შემდეგ გვხვდებიან. აქ ისინი მხოლოდ ჭყონდიდის ეპისკოპოსნი არიან და მწ.-უხუცესობასთან საერთო აღარა აქვთ რა. ამდენადვე ისინი ჩვენი ქრონოლოგიური ძიების ინტერესის გარეშე რჩებიან.

ამრიგად, არსებული ცნობების მიხედვით ჩვენ ვეცადეთ აღგვედგინა ჭყონდიდელ-მწ.-უხუცესთა სია XII საუკუნის დასაწყისიდან ვიდრე XIV საუკ. გასვლამდის. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი ქრონოლოგიური ძიების XIV საუკ. გასულით განსაზღვრა იძულებითია; ჩვენ სრულიადაც არ ვფიქრობთ, რომ ამ საუკუნის გასულიდან ჭყ.-მწ.-უხუცესობა ქრება. პირიქით, არის საფუძველი ვამტკიცოთ, რომ XV საუკუნის პირველი ნახევრის გასვლამდის, ე. ი. დიდი ალექსანდრეს მეფობაში მწ.-უხუცესობა ჭყონდიდლობისაგან ჯერ კიდევ განუყრელი იყო. მხოლოდ საქართველოს პოლიტიკური და საეკლესიო საბოლოო დაყოფის შემდეგ გვეძლევა საბუთი ვიფიქროთ ამ რთული კელის დაშლა-დანაწილებისა და საბოლოო გადაგვარების შესახებ. და თუ მიუხედავად ამისა ჩვენი ქრონ. ძიება XIV საუკუნის გასულზე შევწყვიტეთ, ეს იმიტომ, რომ წყაროები ჯერჯერობით არავითარ ცნობას XV საუკუნის ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესთა შესახებ არ გვაწვდიან.

---

[93] „აღაპნი ჯუარის მონასტრისანი“—ნ. მ ა რ ი ს გამოცემა. აღაპ. №№ 93, 107, 292.

[94] ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, წვრილი შტუდიები საქ. ისტ. საკითხების შესახებ, 4—6. ზედმიწევნილობას რომ თავი დავანებოთ, აქ ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე მართალი უნდა იყოს. ცდება ის მხოლოდ, როცა ამბობს, თითქოს ამ „გიორგი ჭყონდიდელს იერუსალიმს გამგზავრების წინ შიომღვიმეში თავისთვის მწირველი დაუყენებია“. 1376 წლის სიგელში მოხსენებული გიორგი ჭყონდიდლის მწირველი არის არა ხმის, არამედ დავით ალმაშენებლის თანამედროვის, დიდი გიორგი ჭყონდიდლის მწირველი. ამას ადასტურებს შიომღვიმის ერთი XIII საუკუნის სიგელი, რომელშიაც გიორგი ჭყონდიდლის მწირველი ნიკოლოზ მოიხსენიება. იხ. თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, შიომღ. საბ., 62.

ჩვენი სია ასეთია:

გიორგი	1103/4	წლიდან—	1118 წლამდის
სჯმეონ	1118	ჩანს	1141 წ.
იოანე	ჩანს 1161	წ. —	1178 წლამდის
ანტონ	1178/9	—	1184 —
მიქაელ	1184	—	1190 —
ანტონ	1190	—	ჩანს 1204 წ.

თეოდორე—1205/6 წ.

არსენი	—1235	—	1248 (წლები დაახლოებითია)
ბასილი	—1248 (?)	—	1265 წ.

გიორგი—XIV ს-ის მეორე ნახევარში.

რა თქმა უნდა, ეს ჩვენი სია, თუნდაც ბასილი მწ.-უხუცესის გარდაცვალებამდის აღებული, სრული არ არის. მაგალითად, სჯმეონსა და იოანეს შორის, აგრეთვე თეოდორესა და არსენის შორის მწ.-უხუცესნი უნდა ყოფილიყვნენ. სამწუხაროდ, არსებულ წყაროებს მათზე ცნობა არ შემოუნახავთ. ამათ გარდა, აღნიშნულ პერიოდში სხვა მწ.-უხუცესი ჩვენს სიას არ უნდა აკლდეს. მათი თანმიმდევრობაც, ვფიქრობთ, სწორია. ხოლო თარიღების აქა-იქ გამოურკვევლობას შემდგომი კვლევა-ძიება შეასწორებს.

II*

მწიგნობართუხუცესთა ზეობა-ვინაობის ქრონოლოგიური განხილვის შემდეგ ჩვენი ამოცანაა გავარკვიოთ: იმთავითვე იყო მწიგნობართუხუცესი ასეთი' აღზევებული, თუ როდის მოხდა მისი ამაღლება; შემთხვევითი იყო თუ გეგმითი მისი გაჟყონდიდლება; როგორი იყო მწიგნობართუხუცესის კელი და როგორი იყო ამ კელის ურთიერთობა ამირსპასალარის, აფხაზეთის კათალიკოზის, ქართლის კათალიკოზის და ათაბაგის კელთან; როდის, როგორ და რა მიზეზით მოხდა მწიგნობართუხუცესის კელის დამცრობა; როდის გაქრა მწიგნობართუხუცესობა?

ყველა აქ ჩამოთვლილ საკითხზე ამომწურავი პასუხის გაცემა ადვილი საქმე არ არის. საკითხთა სირთულეს მასალის სიმცირე და შეუსწავლელობა აორკეცებს. ამავე დროს აქ წამოჭრილ დამატებით

*პირველად დაიბეჭდა 1941 წელს, ენიმკი-ს მოამბე, ტ. X.

საკითხთა უმრავლესობა ჯერჯერობით შეუსწავლელია. თითოეული მათგანი კი სპეციალური მონოგრაფიული კვლევის ღირსია. ასეთი რამ, რა თქმა უნდა, აქ ვერ მოხერხდება. მიხუდევად ამისა, ჩვენ იძულებული ვართ მთავარ საკითხს არა-ერთხელ გადავუხვიოთ და, წინამდებარე ნაშრომის ტექნიკური მხარის საზიანოდ, ამ „დამატებით საკითხებზე“ ვიმსჯელოთ. თავისთავად ცხადია, რომ ჩვენი ასეთი სახელდახელო პასუხები ზემოთ დასმულ კითხვებზე ნაკლულევანობასთან ერთად შეცთომებისაგანაც ვერ იქნება დაზღვეული.

წინასწარ შეიძლება ითქვას, რომ მწიგნობართუხუცესის უფლება-მოვალეობა იმთავითვე ისეთი რთული და მრავალმხრივი არ იქნებოდა, როგორიც ის XII—XIII ს-ში ჩანს.

XI საუკუნესთან შედარებით, XII—XIII საუკუნეებში საქართველოს სახელმწიფოს თითქმის ყოველი ხელისუფლის უფლება-მოვალეობა გართულდა და გაიზარდა. ეს გამოწვეული იყო სახელმწიფოს იმ სწრაფი ზრდით, რომელსაც ამ დროს ჩვენი ქვეყანა განიცდიდა. მაგრამ არც ერთ ჯელს ისეთი ცვლილება არ განუცდია, როგორიც მწიგნობართუხუცესობამ განიცადა.

ჯერჯერობით შეეეცადოთ იმ დიდმნიშვნელოვან მოვლენაზე საუბარი, რომელმაც მწიგნობართუხუცესობა XII ს-ის დასაწყისიდან მოყოლებული ერთის დაკვრით ა რ ს ე ბ ი თ ა დ განასხვავა XI საუკუნის მისი პირველსახისაგან (ვგულისხმობთ ჭყონდიდლობის შეერთებას მწიგნობართუხუცესობასთან).

მწიგნობართუხუცესის ჯელის განსაკუთრებული ცვლილების მიზეზი თვით ამ ჯელის განსაკუთრებულ ბუნებაში უნდა ვეძიოთ. ფეოდალური პოლიტიკური წესწყობილების ხანაში მწიგბართუხუცესობა არსებითად განსხვავდებოდა სხვა სადარბაზისაკარო ჯელთაგან. ცნობილია, რომ თითოეული ჯელი ამ ეპოქაში მიწისმფლობელობასთან იყო დაკავშირებული. სამსახურის სამაგიეროდ ხელისუფალთ მეფისაგან წყალობად ეძლეოდათ მფლობელობის ამათუიმ სახით მთელი მხარეები, ქალაქები, ციხეები, სოფლები. მაგრამ ამ «საპატიო“ თუ „სახელო“ ქონებას გარდა, თითოეულ ხელისუფალს, როგორც დიდგვარიანს, „სამამულო“ ქონებაც დიდი ჰქონდა.

ამის შესაბამისად ფეოდალური პოლიტიკური წყობილებისას ყოველი სახელმწიფო ჯელი ორბუნება იყო. თუ ერთის მხრივ ხელისუფალი დამოკიდებული იყო მეფის წყალობისაგან და ამდენადვე მეფის „მორჩმა-გაძლიერებისათვის“ თავდადებული უნდა ყოფილიყო, მეორეს მხრით ის, როგორც დამოუკიდებელი „მემამულე“, სახელმწიფოს საშინაო საქმეებში მეფის ხელისუფლების გაძლიერების აგრე ერთგული მომხრე როდი იყო. ამიტომ ფეოდალურ ხელისუფალთა მეფისადმი ერთგულება პირობითი და საეჭვო იყო. აქ-

ვე უნდა აღინიშნოს ფეოდალური ეპოქის ჯელის კიდევ ერთი დამახასიათებელი მხარე, რაც იმაში მდგომარეობს, რომ თითოეული ჯელი აღნიშნულ ხანაში სამემკვიდრეოდ გარდაქცევის მიდრეკილებას ატარებს.

არც ერთი ამათგანი არ ახასიათებდა მწიგნობართუხუცესობას. მიწისმფლობელობასთან მის კავშირზე ზედმეტია ლაპარაკი მას შემდგომ, რაც ჩვენ ვიცით, რომ მწიგნობართუხუცესი მონაზონი იყო, ხოლო მონაზონს ქვეყნის (ქალაქის, ციხის, სოფლის) საკუთრებად თუ სახარაჯოდ ქონება არ შეეძლო. ასევე ვერ გამოიჩენდა მწიგნობართუხუცესობა სამემკვიდრეოდ გარდაქცევის მიდრეკილებას, რადგან მონაზონს მემკვიდრეები არა ჰყავდა.

ჩვენ არ ვიცით, როდის ან საიდან გაჩნდა ჩვენში მწიგნობართუხუცესობა, მაგრამ ის კი ცხადია, რომ მისი ასეთი თუ ისეთი არსებობა სათანადო „ბიუროკრატიულ" მართვა-გამგეობას გულისხმობს. მწიგნობარი სამწიგნობაროს თანამშრომელია, ხოლო მწიგნობართუხუცესი—ამათი უფროსი. რაც უფრო ძლიერი იყო ცენტრალური ხელისუფლება, რაც უფრო მჭიდროდ იყო დაკავშირებული სახელმწიფოს თითოეული ნაწილი მეფის უფლებასთან, მით უფრო რთული და მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო სახელმწიფო სამწიგნობრო (თუ სამწიგნობრონი). ამ დაწესებულების მნიშვნელობის ზრდასთან ერთად კი იზრდებოდა მნიშვნელობა თვით დაწესებულების მეთაურისა, მწიგნობართუხუცესისა.

(მწიგნობართუხუცესობა სავსებით ცენტრალური ხელისუფლებისაგან იყო დამოკიდებული. ამ ჯელსა და მეფის უფლების ძლიერებას შორის პირდაპირპროპორციული დამოკიდებულება იყო: რაც უფრო ძლიერი იყო მეფე (და სამეფო კარი) მით უფრო ძლიერი და მნიშვნელოვანი იყო მწიგნობართუხუცესობა და პირუკუ. ბუნებრივია, ამიტომ, რომ მწიგნობართუხუცესი ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერება-განდიდების თავდადებული მომხრე და მოღვაწე უნდა ყოფილიყო)

იმ ხანგრძლივი ბრძოლის დროს, რომელიც ცენტრალურ ხელისუფლებასა და დიდგვარიან აზნაურებს შორის იყო გაჩაღებული ბაგრატ III-დან მოყოლებული ვიდრე დავით აღმაშენებლამდის, საქართველოს მეფეს საკმაო დრო ჰქონდა დარწმუნებულიყო მწიგნობართუხუცესის ჯელის სავსებით სანდოობაში. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ბრძოლაში მწ.-უხუცესებს მცირე მონაწილეობა არ მიუძღოდათ ცენტრალური ხელისუფლების გასამარჯვებლად. სამწუხაროდ, საამისო ისტორიული ცნობები თავდაპირველად სრულიად არ გაგვაჩნია, ხოლო შემდეგ—მეტად მცირე. მაგრამ გამოთქმული მოსაზრე-

ბის ზოგადი დამტკიცებისათვის ეს ნაკლულევანი ცნობებიც საკმაოა.

როგორც ეს ზემოთ აღნიშნული გვაქვს, 1045—6 წელს ჩანს მწიგნობართუხუცესი ეფთვმე: ეს არის ლ ო ტ ი ლ ა ს საერო-საეკლესიო კრებაზე, სადაც სომეხ სოსთენსა და ქართველ ეფთვმე გრძელს შორის „სიტყვისგება“ გაიმართა. ბაგრატ IV აქ ბანაკად იდგა. მას დიდგვარიანი აზნაური, მისივე ხელისუფალი ქართლის ერისთავი და სპასალარი ლიპარიტი ებრძოდა. ჩვენ არა ვიცით რა ეფთვმე მწიგნობართუხუცესის საქმიანობის შესახებ მეფის გასამარჯვებლად, მაგრამ ის კი ჩანს, რომ მწიგნობართუხუცესი მეფის მომხრეთა ბანაკშია და მეფეს ახლავს. არაფერი ვიცით, აგრეთვე, ეფთვმეს ჩამომავლობის შესახებ. ცხადია მხოლოდ, რომ ის ქართველია და მონაზონი, მაგრამ ანტიქალკედონური მოძღვრების მიმდევარი, თუ აშკარად არა, ფარულად მაინც[1]. თავი რომ დავანებოთ მ. ბროსეს სამართლიან ეჭვს პეტრე პეტრიკ-ყოფილის კაკასისძეობის შესახებ[2] (რა თქმა უნდა, იმ მცთარი მსჯელობის გამოკლებით, რომელიც პეტრე პეტრიკ-ყოფილს იოანე პეტრიწონელთან აიგივეებს), ჩვენ პეტრე ვესტისა და მწიგნობართუხუცესის შესახებ მაინც გაცილებით მეტი ცნობები გვაქვს პირველ ცნობილ მწიგნობართუხუცესთან შედარებით. ზემოთ ჩვენ დავამტკიცეთ, რომ 1085 წლის მინაწერში მოხსენებული პეტრე ვესტი და მწიგნობართუხუცესი იგივე პეტრე პატრიკია, რომელიც გიორგი მთაწმიდელის ცხორებაში მოიხსენიება. უეჭველია, აგრეთვე, რომ ამავე პეტრიკ-ყოფილს და მის ძმას იოანეს შეეხება ათონის ქართ. მონასტრის აღაპი № 15. აღნიშნული აღაპიდან ჩანს, რომ 1054 წელს ბიზანტიაში მოსულ ბაგრატ IV-ს თან ახლავს პეტრიკი, ჯერ კიდევ ერისკაცი. თავის თავად იგულისხმება და ეს აღაპიდანაც ნათლად ჩანს, რომ პეტრიკი მეფესთან დაახლოებული და სამეფო კარზე წარჩინებული პირია. აქ მისი თანამდებობა, ისევე როგორც მისი ძმის იოანესი, აღნიშნული არ არის. საფიქრებელია, რომ ისინი „საკუთარნი მეფისანი“ არიან, ე. ი. არა სახელმწიფო მოხელენი, არამედ „ხელშინაურნი“[3], რაღა თქმა უნდა, რომ ბაგრატის ლიპარიტთან ბრძოლაში პეტრიკი

---

[1] შეიძლება სწორედ ამით აიხსნებოდეს ის მოვლენა, რომ გიორგი ხუცესმონაზონი არც ერთხელ არ იხსენიებს საქართველოს მწ.-უხუცესს ბაგრატ IV-ის დროს მიუხედავად იმისა, რომ ბევრს გვამცნობს საქართველოს ისეთ საერო და საეკლესიო საქმეებზე, რომლებთანაც მწ.-უხუცესს მაშინაც კი თითქოს უშუალო კავშირი უნდა ჰქონოდა.

[2] M. Brosset, Voyage archèologique en Transcaucasic, second rap. p. 185 n. 2.

[3] აკად. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, ტ. II, ნაკ. II, გვ. 217—218.

მეფის მომხრეა. 1065 წელს პეტრიკი უკვე შემონაზონებულია; იწოდება პეტრე პეტრიკ-ყოფილად და პატრიკის პატივით არის დაჯილდოებული. ბიზანტიის ეს მაღალი საკარისკაცო პატივი თავისთავად მოწმობს პეტრეს წარჩინებულობას როგორც ბაგრატ IV-ის, ისე ბიზანტიის სამეფო კარზე. ამის შესაფერისია მისი საქმიანობაც: ბაგრატმა პეტრე პატრიკი წამოატანა მხლებელთა მეთაურად უფლისწულს მართას, რომელიც მომავალი იმპერატორის მიხაელ დუკას საცოლოდ იყო თხოვნილი ბიზანტიის კეისრის მიერ. რა თქმა უნდა, პეტრე პატრიკი ბაგრატის განსაკუთრებული ნდობით უნდა ყოფილიყო აღჭურვილი.

მეტად საინტერესო და, ვფიქრობთ, ჩვენი საკითხისათვის არაუმნიშვნელო ჩანს ის გარემოება, რომ პეტრე პატრიკი ბერია. მისი საქმიანობა კი უმთავრესად საერო ხასიათისაა, რასაც სავსებით შეეფერება მისი საკარისკაცო საერო პატივი პატრიკისა. 1065 წლის შემდეგ პეტრე მთელი ოცი წლის განმავლობაში უბრალო მონაზონი დარჩა; ხოლო ამავე დროს საერო პატივის გზით მან ორი საფეხურით კიდევ მაღლა აიწია: 1085 წელს ის ვესტის პატივს ატარებს[4]. როგორც ჩანს, პეტრეს მონაზვნობა მხოლოდ მისი მოღვაწეობისათვის საჭირო გარეფორმაა. შემონაზვნება აუცილებელი პირობა უნდა ყოფილიყო მწ.-უხუცესობის მიღებისათვის. უნდა ვიფიქროთ, რომ პეტრე მწ.-უხუცესი იქმნა 1065 წლის შემდეგ ახლოდროში. მისი მაღალი მდგომარეობა სამეფო კარზე, უაღრესი ნდობით აღჭურვილობა მეფის მიერ და მონაზვნად აღკვეცილობა საკმაო პირობები იყო საამისოდ.

კიდევ უფრო შინაარსიანი ცნობები მოგვეპოვება მესამე მწიგნობართუხუცესის შესახებ. განსვ. თ. ჟორდანია ფიქრობს, რომ გიორგი მწიგნობართუხუცესი დავით აღმაშენებლის დედის ძმა შეიძლება ყოფილიყოს. მკვლევარის აზრით ასეთი მოსაზრების გამოთქმის საბუთს იძლევა: გიორგის დამარხვა გელათს (—„მონასტერსა ახალსა“); ამავე „აზრს თითქმის ამოწმებს „ბნელი ფრასაც მემატიანესი“ (ქ˘ცა 1.252); „ზედამხედველად საქმეთა მანდაურთა (შარვანისთა) აჩინა (მეფემან) მწიგნობართუხუცესი თჳსი სჳმონ ჭყონდიდელი, მაშინ ბედიელ-ალავერდელი; მიმსგავსებული გიორგი დედის ძმისა თჳსისა (მეფისა თუ სვიმონისი?)“. უკანასკნელი სიტყვა „თჳსისა“,—„მისისას“ მაგიერ,—აზრს ჰბადავს, რომ გიორგი ყოფი-

---

[4] Н. Скабаланович, Византийское государство и церковь в XI в., გვ. 154. უნდა ვიფიქროთ, პეტრე დიდად პატივცემული იყო მართა ბაგრატის ასულის მიერ და ბიზანტიის დედოფლად ყოფნისას მანვე დააჯილდოვა მამის ერთგული ხელისუფალი ამ მაღალი პატივით.

ლა დედის ძმა დავით აღმაშენებლისა... და ამ მეფის თვსტომობით შეიძლება აიხსნას ის დიდი გავლენა, რომელიც ჰქონდა გიორგი და სვმონ ჭყონდიდელთა მაშინდელ პოლიტიკურ ცხოვრებაში (ქ. ცხ. 1, 244—7)"[5]. შემცდარი აზრია, ასეთივე საფუძველზე აგებული.

საქმე ის არის, რომ „მემატიანეს ბნელი ფრასა" არც აგრე „ბნელია" და, ვფიქრობთ, არ „ჰბადავს" განს. მკვლევარის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას. პირიქით, ის ცხადად ამოწმებს, რომ გიორგი მწიგნობართუხუცესი დედის ძმა იყო სვმონ ჭყონდიდლისა. ზემომოყვანილ ამონაწერში განმარტება: „მიმსგავსებული გიორგი დედის ძმისა თვსისა" ეხება „სვმონს"; ის შემოკლებული წინადადების სახით არის წარმოდგენილი და მისი სრული სახე იქნებოდა: „რომელი მსგავს იყო დედის ძმისა თვსისა". თვსისა—აქ სწორედ სვმეონის დედის ძმას გულისხმობს და არ შეიძლება დავითის დედის ძმას გულისხმობდეს, რადგანაც მაშინ ეს წინადადება შემდეგნაირად უნდა გაგვეგო: დავითმა აჩინა... სვმეონ „მიმსგავსებული (მის მიერ) დედის ძმისა თვსისა", ე. ი. „რომელი იგი მსგავს ყო დედის ძმისა თვსისა", რაც გამოთქმის უჩვეულობასთან ერთად ნივთიერად უაზრობაა.

ამის შემდეგ ჩვენ აღარ გამოვუდგებით სხვა საბუთების მოყვანას განს. მკვლევარის აზრის უარსაყოფად. ორიოდე სიტყვა მხოლოდ გიორგის ვითომცდა გელათში დამარხულობის შესახებ. „მონასტერსა ახალსაში" მაინცდამაინც გელათის დანახვა არც ასე გადაჭრით შეიძლება. საყურადღებოა, რომ გიორგი ჭყონდიდელის საუკუნო მწირველს ჩვენ შიომღვიმეში ვხვდებით XIII—XIV საუკუნეებში. ესეც რომ არ იყოს, თუ მეფეთა საძვალე იყო გელათი და აქ მხოლოდ საქართველოს სამეფო ოჯახის წევრნი უნდა დამარხულიყვნენ, გიორგი მწ.-უხუცესის იქ დამარხვა მაშინაც კი. თუ ის დავითის დედის ძმა იყო. ასეთი წესის დარღვევა იქნებოდა. ამიტომ „გიორგის მეფური დამარხვა გელათს, მეფეთა სამარხავში" საეჭვოა და ვერ „ჰბადავს აზრს, რომ გიორგი უნდა ყოფილიყო ნათესავი მეფისა".

გიორგი მწიგნობართუხუცესის დიდი გავლენა საქართველოს სახელმწიფო ცხოვრებაზე საძიებელია არა მის გვარტომობაში, არამედ: მწიგნობართუხუცესის კელის ბუნებაში, გიორგის პირად დიდბუნებოვნობაში და დავით აღმაშენებლის საშინაო პოლიტიკაში.

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ მწიგნობართუხუცესობა, როგორც სახელმწიფო მნიშვნელობის კელი, ფუნქციონალურ დამოკიდებულებაში იყო ცენტრალურ ხელისუფლებასთან და რომ ეს დამოკიდე-

[5] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონ. 1, 242.

ბულება პირდაპირ პროპორციული იყო. ამიტომ არ შეგვიძლია ვამტკიცოთ, თითქო განსაზღვრული დროიდან მწიგნობართუხუცესის მნიშვნელობა სულ უფრო და უფრო იზრდებოდა, სანამ ის ბოლოს „ვაზირთა ყოველთა უპირველესი“ არ შეიქნა. საერთოდ კი შეიძლება ითქვას: განსაკუთრებული მნიშვნელობა ამ ჯელისა ცხადი უნდა გამხდარიყო იმ დროიდანვე, როგორც კი გადამჭრელი ბრძოლა გაჩაღდა დიდგვარიან აზნაურებსა და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის. თუ როგორ იყო საქმე საქართველოს ცალკეულ სამეფოსამთავროებში ამ მხრივ, ეს ჩვენ არ ვიცით, მაგრამ ბაგრატ III-დან მოყოლებული საკმაო მასალები მოგვეპოვება. აქ ბრძოლა ცვალებადი იყო. შეტევას საერთოდ ცენტრალური ხელისუფლება აწარმოებდა, მაგრამ პასიური თავდაცვით არც მოწინააღმდეგე მხარე კმაყოფილდებოდა და ხშირად იერიშებზე გადადიოდა. ხან რომელიმე ბაგრატ III მტკიცე ხელით ალაგმავდა ხოლმე ურჩ აზნაურებს, ხან კიდევ აღვირაშვებული ფეოდალების ზეიმი იყო, ბაგალითად, გიორგი II დროს.

ამ ცვალებადი და ხანგრძლივი ბრძოლის დროს მწიგნობართუხუცესის მნიშვნელობაც სახელმწიფოს ცხოვრებაში ასეთივე ცვალებადი უნდა ყოფილიყო. საერთოდ კი მისი მნიშვნელობა უნდა გაზრდილიყო.

რა თქმა უნდა, მის პირველობაზე ლაპარაკი სხვა მოხელეთა შორის ამ დროს შეუძლებელია. პირველი ხელისუფალი ამ დროს სპასალარი უნდა ყოფილიყო[6]. ცენტრალიზმისათვის მებრძოლი ხელისუფლება კარგად ხედავდა ასეთი სისტემის მთელს უხერხულობას: მისი პირველი ხელისუფალი-სპასალარი მეფის ხელისუფლების გაძლიერების მოწინააღმდეგე დიდგვარიანი ფეოდალი იყო. მაგრამ ფეოდალურ პრინციპზე აგებულ ჯარს მხოლოდ ასეთი სპასალარი შეეფერებოდა და არც ერთ მეფეს არ ძალედვა აქ საბოლოოდ გადამწყვეტი გამოსავალი ეპოვა. მეფეს შეეძლო ესა თუ ის დიდგვარიანი ხელისუფალი დაემცრო, მაგრამ ეს მხოლოდ დროებითი და პალიატიური ზომა იყო. დამცრობილის ადგილს მეორე დიდგვარიანი აზნაური დაიჭერდა, რომელიც ისეთივე კვალუკუღმართობას იწყებდა, როგორიც მისი წინამორბედი იყო. პირველობა ხელისუფალთ შორის ისევ დიდგვარიანთა ხელში რჩებოდა (და არც შეიძლებოდა სხვა რიგად ყოფილიყო, სანამ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიური წინსვლა ამ დიდგვარიან აზნაურთა აღზეება-გაძლიერების ნიშნის ქვეშ მიმდინარეობდა). იმისთვის რომ მწ.-უხუცესი „ვაზირთა ყოველთა უპირველესი“ გამხდარიყო, საჭირო იყო ცენტრალური

[6] ამ მხრივ სტეფანოს ორბელიანის ცნობა მართალი უნდა იყოს. იხ. მისი *Պատմութիւն Նահանգին սիւնեաց*, ტფილისის გამოცემა, გვ. 378.

ხელისუფლების დიდი გამარჯვება, რასაც მეფე ვერ მოიპოვებდა, სანამ მისი სოციალური და პოლიტიკური დასაყრდენი იგივე დიდგვარიანობა რჩებოდა. საჭირო იყო სულ სხვა დასაყრდენი, რომ ცენტრალურ ხელისუფლებას თავი შედარებით დამოუკიდებლად ეგრძნო დიდგვარიანთაგან. ამა თუ იმ დიდგვარიან აზნაურზე გამარჯვება არა ერთხელ მოუპოვებიათ დავითის წინაპრებსაც, მაგრამ გამარჯვების ნაყოფი დიდის ხნით მხოლოდ დავითმა შეინარჩუნა, და ეს იმიტომ, რომ მხოლოდ მან სცადა დიდგვარიან აზნაურებისაგან დამოუკიდებელი სოციალურ-პოლიტიკური დასაყრდენი გაეჩინა ცენტრალური ხელისუფლებისათვის.

მხოლოდ ცენტრალისტური ხელისუფლების დიდი გამარჯვების ნიადაგზე, მეფის ხელისუფლების ისეთი იდეოლოგიის ნიადაგზე, როგორც დავითისეულ შიომღვიმის ანდერძში ან ამავე მეფის ისტორიკოსის თხზულებაშია წარმოდგენილი, შესაძლებელი იყო მწიგნობართუხუცესის გაუპირველესება სხვა ხელისუფალთ შორის.

ჯერ კიდევ ყრმობიდანვე უნდა ხსომებოდა მომავალ აღმაშენებელს დიდგვარიანთა თვითნებობის სიმწვავე. ნიანია ქვაბულისძე, ივანე ლიპარიტისძე (სპასალარი) და ვარდან სვანთა ერისთავი ერთი მეორეს ეჯიბრებოდნენ გიორგი მეფის წინააღმდეგ განდგომაჯანყებაში (მ^ამ დ^ალისიქ^ა ცა, 278—279). ამ შინაურ განდგომაარეულობას „დიდი თურქობა" მოჰყვა და არა თუ სახელმწიფო მმართველობის ფორმა, თვით ქართველი ხალხის ფიზიკური არსებობაც საფრთხის ქვეშ მოექცა. დიდგვარიან აზნაურთათვის ცენტრალისტურად გაერთიანებული ძლიერი საქართველოს იდეა მიუღებელი იყო. ამიტომ ქართველი ხალხის თავსდატეხილი უბედურობის დროს ამ ხალხის მხსნელად დიდგვარიანი აზნაურები ვერ გამოვიდოდნენ. ისინი საამისოდ მოწოდებული არ იყვნენ. პირიქით, მეფის ხელისუფლების დასუსტებით ისინი გარეშე მტერს უწყობდნენ ხელს. აუცილებელი იყო ძლიერი ცენტრალური ხელისუფლება, რომელიც სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას დაიწყებდა მოზღვავებული თურქების წინააღმდეგ. დიდგვარიანების საქართველომ გამოცდა ვერ დაიტირა. გარეშე მტრის წინააღმდეგ ის უძლური აღმოჩნდა და ქართველი ხალხის მომავალი საფრთხეში ჩააგდო. აი ეს მომენტები განსაზღვრავდნენ ბრძოლის იმ სიმწვავეს, როგორიც ამ დროს ცენტრალურმა ხელისუფლებამ გაუმართა გალაღებულ თავნება დიდგვარიან აზნაურებს. მეფეს არ შეეძლო ლმობიერი ყოფილიყო ორგულთა და გამდგართ მიმართ: თუ ჩვეულებრივს პირობებში ასეთი განდგომა მხოლოდ ხელისუფლების ფორმის წინააღმდეგ აჯანყება იყო, ახლა ასეთი რამ ქვეყნის ღალატს უდრიდა. ამიტომ

ზედმეტი იყო „მაბრალობელთა“ საყვედურები: „შეიყვარნის ვინმეო (და) განადიდნის, მოიძულნის ვინმე და დაამცირნის; ესე აღამაღლის და ესე დაამდაბლის, ერია უსამართლობასა“[7]. შესაძლებელია „მაბრალობელნი“ გულწრფელადაც ჩიოდნენ და ფეოდალური სამართლის მიხედვით დიდგვარიანი აზნაურები მართლაც „უსამართლობაში“ გრძნობდნენ თავს, მაგრამ ასეთი იყო ნამდვილი „ერის“, ე. ი. ქართველი ხალხის გარდაუვალი განაჩენი და დავითი კი ამ განაჩენის სისრულეში მომყვანი გენიალური მოხელე იყო.

როგორც ცნობილია, აღმაშენებელმა შეძლო უძნელეს დაბრკოლებათა გადალახვა და ორმხრივი ბრძოლა ბრწყინვალე გამარჯვებით დაგვირგვინა.

ამ გადამჭრელი და ხანგრძლივი ორმხრივი ბრძოლის დროს მეფეს ყმაწვილობიდანვე მხარში უდგა მისი აღმზრდელი „და თანა განკაფული ყოველთა გზათა და საქმეთა და ღუაწლთა მისთა“[8] გიორგი მწიგნობართუხუცესი. ეხება საქმე საშინაო თუ საგარეო პოლიტიკას, საერო თუ საეკლესიო საკითხებს, ომსა თუ მშვიდობიან აღმშენებლობას, გიორგი მწიგნობართუხუცესი ყოველთვის მეფეს უდგას გვერდში, მისი მარჯვენა ხელია ის ჭეშმარიტი alter ego-ა დიდი მეფისა. დავითის შემდეგ მხოლოდ მას ემორჩილებიან და მისგანვე იღებენ მოქმედების დასტურს სახელმწიფოს პირველი ხელისუფალნი (სპასალარი, ერისთავნი...).

გიორგი ჭეშმარიტად „მამა არს მეფისა“ და ეს არა მარტო იმიტომ, რომ დავითი მისი აღზრდილია, არამედ იმიტომ რომ „ყველა საურავი უიმისოდ არ იქნების“[9], ის „თანა განკაფულია ყოველთა გზათა და საქმეთა და ღუაწლთა“ მეფისათა.

ამიტომ, და არა მისი ვითომდა მეფური ჩამომავლობისათვის, იგლოვა გარდაცვალებული გიორგი „ყოველმან სამეფომან და თჳთ მეფემან ვითარცა მამა და უმეტესცა მამისა[10] შემოსითა შავისითა ორმეოც დღე ვიდრემდის იშვა ვახტანგ, რომლისა ხარებითა დაკსნა გლოვა“[11]. დავით აღმაშენებელმა ფეოდალური საქართველო სახელმწიფო განვითარების ახალ გზაზე გამოიყვანა. უეჭველია,

---

[7] მ-მ დფ-ლისი ქ-ცა, 330.

[8] იქვე, 301.

[9] ხელმწიფის კარის გარიგება, პროფ. ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს გამოცემა, 9 61—62.

[10] მ-მ დ-ფ-ლსი ქ-ცა, 302, ტექსტი შესწორებულია ჩვენ მიერ ვარიანტებთან შედარების გზით.

[11] დაბეჭდილ მ-მ დფ-ლს ქ-ცაში „მამისა“-ს მაგივრად „ძაძისა“ არის, რასაც ხელნაწერი არ ამართლებს: იქ პირველად წერებულა „მამისა“ და „მ“ანების „ძ“ილებად გადაკეთების კვალი ეხლაც ნათლად აჩნია.

სახელმწიფო წყობილების ძლიერი გარდატეხისას სათანადო ცვლილება უნდა განეცადა ხელისუფალთა უფლება-მოვალეობასაც. სამწუხაროდ, ჯერჯერობით ამ მხრით კვლევა არავის უწარმოებია, რომ ეს ჩვენი a priori მსჯელობა საჭირო საბუთებით შეგვემაგრებინა. ამხელად ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ სპასალარობისა და მწიგნობართუხუცესობის მაგალითები მოვიშველოთ. დიდგვარიანთა პოლიტიკური ბატონობის ხანის სპასალარის პირველობა ხელისუფალთ შორის ახალი სახელმწიფო წყობილებისათვის მიუღებელი იყო. ამიერიდან სპასალარს პირველობა უნდა დაეთმო გამარჯვებული ცენტრალური ხელისუფლების ერთგული წარმომადგენელისათვის. ასეთი კი იყო მწიგნობართუხუცესი და ამიერიდან სწორედ ის იქმნა „ვაზირი მეფისა“.

დავით აღმაშენებლის დროს და მისივე წყალობით მწიგნობართუხუცესობამ საბოლოოდ ჩამოყალიბებული სახე მიიღო. ამიერიდან ვიდრე XIII საუკუნემდის მას რაიმე არსებითი ცვლილება არ განუცდია.

სამწუხაროდ, ჩვენ მოკლებული ვართ საშუალებას კონკრეტულად აღვნიშნოთ ყველა ის ახალი ფუნქცია, მწ.-უხუცესს დავით აღმაშენებლის დროს რომ შეემატა (მის გაჭყონდიდლებაზე ქვემოთ გვექნება საუბარი): ჩვენ არ ვიცით რა და რა ფუნქციები ეკუთვნოდა მას აქამდის. ზოგადად შეგვიძლია აღვნიშნოთ მხოლოდ: მეფის მწიგნობართუხუცესისაგან ის „ვაზირი მეფისა“ იქმნა. გამოთქმა „მწიგნობართუხუცესი მეფისა“ (ბაგრატ IV დროს)[12] გვაფიქრებინებს, რომ ეს ხელი ამ დროს მეფის „საკუთართა“ წრეში შედიოდა. თუ ეს ჩვენი მოსაზრება სწორია, მაშინ მეტად საინტერესო და ანალოგიებით მდიდარ მოვლენასთან გვექნება საქმე: საკუთართაგანის გაუპირველესება სახელმწიფოში, მაგრამ არა მისი პირადი აღზევების გზით, არამედ მისი ხელქვეითი უწყების მნიშვნელობის გაზრდა-გაფართოების საშუალებით.

კერძოდ, „ობოლთა და ქვრივთა და მიმძლავრებულთა მოჩივართა“ განკითხვის შესახებ მწიგნობართუხუცესის მიერ, ვფიქრობთ, ეს ერთი მთავარ ფუნქციათაგანი მწიგნობართუხუცესს დავით აღმაშენებლის მიერ მიენიჭა. „ქარის გარიგებაში“ ვკითხულობთ: „ჭყონდიდელი (ე. ი. მწიგნობართუხუცესი) ორშაბათს დღეს საჯო ქარსა შიგან დაჯდების, ობოლთა და ქვრივთა და მიმძლავრებულთა მოჩივართა განიკითხავს. და ყოველი საწოლის მწიგნობარი გვერდს უზის. და ზარდახანის მწიგნობარს გაგზავნის და მისის პირით მოახსენებს, რაც ვის რა სჭირს. და რასაც მისის პირით ვერ დაიურვებს,

[12] „საქ. სამოთხე“, გამოც. მ. საბანინისა, 616.

ადგების და რაჟამსცა ჟამი იყოს, თვთ მივა და მაშინ იურვის, რაც ვის უსამართლო სჭირს. არ მოეშვების, რომ არ დაიურვოს[13]. აქედან ჩანს: „სააჯო კარი“ ეწოდება სასამართლოს, რომელშიაც მიმძლავრებულ მოჩივართა საქმეები ირჩევა. ამ მიმძლავრებულებს „უსამართლო სჭირთ“. თუ ვისგან „სჭირთ“ „უსამართლო“, ეს კარგად ირკვევა იმ დროის საბუთებიდან. მაგალითად: ფავნელმა შიომღვიმეს სოფელი გავაზელნი მიჰყიდა, მაგრამ ისე, რომ წინასწარ ეს სოფელი ყოველგვარი სახელმწიფო თუ კერძო „შესავლისაგან“ გაათავისუფლა.—„მითავისუფლებიან მეფეთა და დედოფალთაგან და დიოფალთა და დიდებულთაგან, აზნაურთა და მათთა ცოლთაგან, მითავისუფლებიან ყოველთავე ჭელოსანთაგან, მოლარეთაგან, მეულუფეთა, მეჯინიბეთა, მესაბანჯრეთა, მეგოდრეთა, მეჯამეთა, ყოველთავე დარბაზით გამოსულთა ჭელოსანთაგან. თუ ვინმე გაწყენდეს და არავინ რას გაგიგონებდეს, სააჯოს კარსა მიიხვენით“-ო[14] ეუბნება ფავნელი მემღვიმეს. აქედან ირკვევა რომ სააჯო კარს მისულ მოჩივარს ორმაგი „უსამართლო სჭირს“. ერთი მისგან, ვინც „აწყინა“—ასეთი შეიძლებოდა ყოფილიყო, როგორც სახელმწიფო მოხელე, ისე კერძო პირიც—და მეორე მისგან, ვისაც მართებდა „გაგონება“ და „არავინ რა გაუგონა“—ასეთი შეიძლებოდა ყოფილიყო სახელმწიფო დაწესებულება-სასამართლო ან სასამართლოს მოხელე. მაშ, „სააჯო კარი“ ყოფილა უმაღლესი საპელაციო სასამართლო. აქ უნდა აღინიშნოს: „კარის გარიგების“ ტექსტიდან არა ჩანს, რომ ობოლნი და ქვრივნი „სააჯო კარში“ მხოლოდ მას შემდეგ მოდიოდნენ, რაც მათ არ „გაუგონეს“, ვისგანაც გაგონება ჯერ იყო. როგორც ჩანს, ისინი აქ აპელაციით კი არ მოდიან, არამედ პირველადი საჩივრით. და ეს იმიტომ, რომ ობოლნი და ქვრივნი თვით განგებისაგან უკვე „მიმძლავრებულად“ ითვლებოდნენ. ამიტომაც ისინი უმაღლესი ხელისუფლების განსაკუთრებული მზრუნველობის ქვეშ იმყოფებოდნენ[15].

„კარის გარიგების“ მიხედვით „სააჯო კარში“ სამი მოსამართლე იჯდა: მწიგნობართუხუცესი და ორი მწიგნობარი,—საწოლისა და ზარდახანის. მაგრამ ეს ასე იყო დავით აღმაშენებლის შემდეგ,—მის დრომდის სააჯო კარში სამართალი თვით მეფის უშუალო მონაწილეობით წარმოებდა. ამას გვაუწყებს დავითის ისტორიკოსი: რადგან გამუდმებული მიმოსვლის გამო დავითს „ვერ ადვილად მიემთ-

---

13 ჭელმწიფის კარის გარიგება, 850-55

14 ისტ. საბ. შიომღ. მონ., თ. ყორდანიას გამოც., 2—3.

15 იხ. გიორგი მთაწმინდელის სიტყვა ბაგრატ IV-სადმი ობოლთა და ქვრივთა განკითხვის შესახებ, ათ. კრებული, 321.

ხუეოდიან მოჩივარნი და დაჭირებულნი და მიმძლავრებულნი, განა-ღა ბიეთნივე, რომელთა სჭიროდა, უჯმდის განკითხუა და შეწევნა მეფობრივი..., ამისთჳს დაედგინეს კაცნი მართლად მცნობელნი და გამომკითხველნი მოჩივართანი, რომელთა მიერ მიიღებდეს კურნებასა"[16]. ვფიქრობთ, დავითის მიერ დადგენილნი „კაცნი მართლად მცნობელნი და გამომკითხველნი მოჩივართანი" იყვნენ სწორედ კარის გარიგებით" ცნობილნი tres (მწიგნობართუხუცესი, საწოლის მწიგნობარი და ზარდახნის მწიგნობარი), რომელთა მიერ მოჩივარნი „მიიღებდეს კურნებასა".

როგორც ცნობილია, დავით აღმაშენებელმა ჭყონდიდელ-მთ.-ეპისკოპოსობა მწიგნობართუხუცესობას შეუერთა. იყო ეს უბრალო შეთავსება ორი ჯელისა, თუ აქ სხვა რაიმე ღრმა საფუძველზე დამყარებულ მოვლენას ჰქონდა ადგილი? უკვე ის, რომ ამიერიდან ეს ორი ჯელი განუყოველი რჩება, საკმაოდ მოწმობს თვით მოვლენის საფუძვლიანობას. იბადება საკითხი: რა საფუძველი იყო ისეთი, რომელმაც ეს მოვლენა გამოიწვია?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ნიშნავს ჭყონდიდლობის ბუნების გარკვევას და მასში იმ სპეციფიკური თავისებურების აღმოჩენას, რომლის გამოც სწორედ ის და არა სხვა მთავარეპისკოპოსობა იქმნა შეთავსებული მწიგნობართუხუცესობასთან.

ჭყონდიდლობის საკითხი მჭიდროდ არის დაკავშირებული დასავ. საქ. ეკლესიის თავგადასავალთან. უკანასკნელი მეტად ბუნდოვანი, მასალებით ღარიბი და, რაც მთავარია, ჯერ შეუსწავლელი საკითხია (უძველესი დროიდან XIII საუკუნემდის მაინც). ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული ზოგადი ხასიათის მოსაზრებანი მ. ბროსესი[17], თ. ჟორდანიასი[18], პროფ. ე. თაყაიშვილისა[19]. აკადნიკ. მარისა[20], ს. კაკაბაძისა[21] და აკად. ივ. ჯავახიშვილისა[22] საკითხს მხოლოდ გაკვრით და ნაწილობრივ ეხებიან. სპეციალურად ჯერჯერობით არავის მოუცლია, რომ საჭირო მასალების დაგროვება-შესწავლით საკმაოდ დასაფუძვლებული აზრი გამოეთქვა მის შესახებ. მით უფრო ამხელად, ჩვენც არ ძალგვიძს ამ მნიშვნელოვანი საკით-

---

[16] მ-მ დფ-ლთი ქ-ცა, 323.

[17] M. Brosset, Essai chronologique sur la serie des catholicos d'Aphkhazeth, 1—5.

[18] Ф. Жордания, Абхазские Католикосы, 1—10.

[19] პროფ. ე. თაყაიშვილი, „ჰელმწ. კარის გარიგება", წინასიტყვაობა.

[20] „Ист. очерк груз. церкви"..., Церковные ведомости, 1907, № 3 вд. 115—121, акад. Н. Марр, Крещение армян, грузин, абхазов и аланов святым Григорием (арабская версия), СПБ., 1905.

[21] საისტორიო მოამბე, 1925, წიგ. II. 125—130.

[22] აკად. ივ. ჯავახიშვილი, ქართ. ერის ისტორია, წიგნი I, მესამე გამოცემა.

ხის არსებითი განხილვა და დიდის ხალისით გვერდს აუვლიდით, რომ აუცილებლობა არ გვაიძულებდეს რამდენადმე მაინც შევეხოთ მას.

დას. საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების შესახებ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში შეწყნარებულია აკად. ნიკ. მარის აზრი. მნიშვნელოვანი და არსებითი შესწორებანი აკად. ივ. ჯავახიშვილისა ავსებენ და ისტორიული სინამდვილის ხორცს ასხამენ ნიკ. მარის სამართლიანს, თუმცა რამდენადმე ცალმხრივ მოსაზრებას.

ამ შესწორებათა შემდგომ, საქმე შემდეგნაირად წარმოგვიდგება: ქრისტიანობა ლიხთიმერეთში ყველგან ერთ დროს და ერთი წყაროდან არ გავრცელებულა. მისი გავრცელების დროისა და გზების სხვადასხვაობა დამოკიდებული იყო: ლიხთიმერეთის ამა თუ იმ ტომის სოციალურსა და პოლიტიკურს ვითარებაზე, მის გეოგრაფიულ მდებარეობაზე და სხვა მრავალ დანართ ფაქტორზე. მაგალითად, ცნობილია, რომ ლიხთიმერეთის ქალაქებში—და უმთავრესად ზღვის პირად მდებარე ქალაქებში—ქრისტიანობა დიდის ხნით უფრო ადრე გავრცელდა, ვიდრე სოფლებში, ქვეყნის შუაგულში. ამის მიზეზი იყო: 1. ქალაქთა ბერძნული მოსახლეობა—მოახალშენეები, 2. ქრისტიანობის ბერძნულად ქადაგება ბერძნული მღვდელთმსახურებით, 3. სოფლის სუსტი ეკონომიურ-კულტურული დამოკიდებულება ქალაქისაგან. ან კიდეე: ლაზთა შორის ქრისტიანობა უფრო ადრე გავრცელდა, ვიდრე მათ მეზობელ აფხაზთ შორის. დასაშვებია, რომ აქ პოლიტიკურ მომენტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. ქრისტიანობა ლიხთიმერეთში, რა თქმა უნდა, მხოლოდ უშუალოდ ბერძნული გზით არ გავრცელებულა. ახალი მოძღვრება გზას იკაფავდა როგორც დასავლეთიდან, ისე აღმოსავლეთიდანაც და როცა, ერთის მხრით, კონსტანტინეპოლის პატრიარქისაგან დამოკიდებული სამიტროპოლიტო და სამთავარეპისკოპოსო ჩნდება, მეორეს მხრით ქართლის კათალიკოზი „მეგრელთა კათალიკოზადაც იწოდება“[23]. ხსენებული ორი ნაკადიდან პირველ ხანებში ბიზანტიური (—ბერძნული) სჭარბობდა. ეს ბუნებრივი იყო: ბერძნული საქრისტიანო ქადაგება აქ წინუსწრებდა ქართულს; სამისიონერო ძალებითაც ბიზანტიის ეკლესია შეუდარებლად ძლიერი იყო ახალმოზარდ ქართულ ეკლესიაზე; პოლიტიკური პირობებიც ბიზანტიის ეკლესიის სასარგებლო იყო: ლიხთიმერეთი პოლიტიკურად ბიზანტია-რომის ნაწილი იყო.

ამ ბერძნული სამისიონერო მოღვაწეობის შედეგი იყო ლიხთიმერეთში, ლაზიკის, აფხაზეთის (-აბაზგიის) და ჯიქთა (ზიკხთა) ეკლე-

[23] აკად. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართ. ერის ისტორია, 4. I, გამოც. 3, გვ. 279.

სიები. ყველა ისინი, ერთიმეორისაგან დამოუკიდებელნი, კონსტანტინეპოლის საპატრიარქო სამწყსოს ეკუთვნოდნენ[24]. როდის ჩამოყალიბდა თავისი საბოლოო სახით ლიხთიმერეთის ასეთი საეკლესიო ორგანიზაცია, ჩვენ არ ვიცით. ბერძნული ტექტიკონები, რომელნიც ამ ცნობებს შეიცავენ, ჯერ კიდევ არ არიან ზედმიწევნით დათარიღებული[25]. დაახლოებით კი ეს უნდა მომხდარიყო VI—VII საუკუნეებში.

მცხეთის საკათალიკოზოს, როგორც აღვნიშნეთ, ძველიდანვე შეუდგამს ფეხი ეგრისში და იქ თანდათანობით განმტკიცებულა. ქართულს ეკლესიასაც ჰქონდა ეგრისში თავისი ხელშემწყობი პირობები, რომელთა მეოხებით ის სულ უფრო და უფრო ძლიერ მეტოქეობას უწევდა ბიზანტიის ეკლესიას ამ ქვეყანაში.

ეს პირობები შემდეგი იყო: იბერია ძველი დროიდანვე ღრმად იყო შეჭრილი ლიხთიმერეთში. ლაზიკა-იბერიის პოლიტიკური საზღვარი სკანდა-შორაპანზე გადიოდა. ასე რომ არგვეთი იბერიაში იყო. ამრიგად, იბერიის ეკლესიას (—მცხეთის ტახტს) იმთავითვე ჰქონდა ლიხთიმერეთში ფეხი მოკიდებული[26], საიდანაც მას მოძმე მეგრულ მოსახლეობაში უშუალოდ შეჰქონდა ქრისტიანული მოძღვრება და აქ თანდათან მტკიცე პოზიციებს იპყრობდა. ამასვე ხელს უწყობდა იბერიისა და ლაზიკის პოლიტიკური სიძნელენი VI —

---

[24] ლაზიკის ეკლესიის მეთაური ფოთის მიტროპოლიტი იყო. მას ოთხი საეპისკოპოსო ექვემდებარებოდა [κζ. Επαρχια Λαζικῆς. ὁ φάσιδος. α. ὁ Ροδοπόλεως. β. ὁ τῆς Ἀβισσηνῶν. (ἀβισσινῶν—B. ἀβισηνῶν—g.) γ. ὁ Πετρῶν. δ. ὁ της Ζιγανέων (Ζηγανέων—c. ὁ τζυγανέων—E. ὁ τζιγγανέων). იხ. Georgius Cyprius edidit H. Gelzer. Bibliotheca scriptorum.. Teubneriana. გვ. 24. იხ. აგრეთვე, De cerimonlis aulae Byzantinae, Bonnae MDCCCXXIX. Constantini Porphirogeniti imperatoris, გვ. 797.]. აფხაზეთის (აბაზგიის) ეკლესია წყაროებში წარმოდგენილია სებასტოპოლის (ცხუმის) მთავარეპისკოპოსის სახით (Ἐπαρχία Ἀβασγίας ὁ Σεβαστουπόλεως). ჯიქთა ეკლესია სამი ერთიმეორისაგან დამოუკიდებელი მთავარეპისკოპოსითაა წარმოდგენილი (Ἐπαρχία Ζικχίας ὁ Χερσῶνος. Ἐπαρχία τῆς αὐτῆς ὁ Βοσπόρων. Ἐπαρχια τῆς αὐτῆς ὁ Νικόψεως). ამათგან ლიხთ-იმერეთის სახლერებში მხოლოდ უკანასკნელი შემოდიოდა.

[25] სამწუხაროდ, არც ეს წყაროები, ორიოდეს გარდა, და არც მათ შესახები ლიტერატურა ჩვენთვის ამხელად ხელმისაწვდომი არ აღმოჩნდა, რომ ამ დარგში მეცნიერების აწინდელი მდგომარეობა სისრულით წარმოგვედგინა.

[26] ამდენადვე IX საუკუნის პირველ ნახევარში გრიგოლ ხანძთელის მოწაფეთა მიერ უბმ-ს მონასტრის დაარსება—თუ აქ აწ ცნობილი უბისი იგულისხმება—ქართული ეკლესიის მისიონერულ აქტს კი არ წარმოადგენს, არამედ ისეთივე ჩვეულებრივ სამონასტრო საქმიანობას მცხეთის საკათალიკოზო სამწყსოს ფარგლებში, როგორიც იყო, მაგალითად, ზარზმის აგება სერაპიონ ზარზმელის მიერ.

VIII საუკუნეებში. ბიზანტია-სპარსეთთან ამ ქვეყნების ურთიერთობას, სპარსეთ-ბიზანტიას შორის გამუდმებულ მეტოქეობასა და ომებს ლაზიკა-იბერიის გამო V—VI საუკუნეებში და, ბოლოს, არაბთა მძლავრობას VIII საუკუნეში ის შედეგი მოჰყვა ლაზიკა-იბერიისათვის, რომ ლიხთიმერეთში ძველი მოსახლეობა (მეგრული) შემცირდა. ამ ქვეყნის გარკვეული მხარეები თავის ქვეყანაში (აღმოს. საქართველოში) ასევე შევიწროებულ და იქიდან ლტოლვილ იბერთა იმიგრაციის ობიექტად იქცა. ხიზან-მოახალშენეებს თან მოჰქონდათ ქართული ეკლესიაც და ადგილობრივი (მეგრული) მოსახლეობის ასიმილაციასთან ერთად აქამდისაც უცხო ბერძნულ ეკლესიას ნიადაგი კიდევ უფრო ეცლებოდა.

ამრიგად, ბუნებრივი გავრცელების გზით თუ სხვა მოვლენათა მეოხებით ქართული ეკლესია ლიხთიმერეთში შეტევას აწარმოებდა. ბერძნულ ეკლესიას ამიერიდან თავდაცვაზე უნდა ეზრუნა და ესეც კი, რაც დრო გადიოდა, მისთვის სულ უფროდაუფრო ძნელი უნდა ყოფილიყო. მხოლოდ ტრადიცია და ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობა (ლაზიკა VIII საუკუნის მიწურულამდე ბიზანტიაში შედიოდა) ანიჭებდნენ გამძლეობას ბერძნულ საეკლესიო ორგანიზაციას და ბუნებრივად მოზარდ ქართულ ეკლესიას ამ ქვეყანაში ძლიერ ხელოვნურ დაბრკოლებებს უქმნიდენ.

რა დრომდის გაგრძელდა ასეთი მდგომარეობა, დანამდვილებით თქმა ძნელია. ერთს მეცხრე საუკუნის პირველ ნახევარში შედგენილ ტაქტიკონში ლაზიკის, აბაზგიისა და ჯიქეთის ეკლესიები ძველებურად კონსტანტინეპოლის საპატრიარქო სამწყსოში შედიან[27]. ეს ტაქტიკონი შედგენილია ვინმე ბასილი სომხის მიერ სოფენიდან. შემდგენელი ძველი ტაქტიკონით სარგებლობს[28]. ამიტომ ეჭვი ბუნებრივია: მექანიკურად ხომ არ გადმოიწერა ბასილიმ ძველი წყარო და უკვე გადასული მოვლენები თავისი დროისად ხომ არ გაასაღა? საბოლოოდ, ძეგლის გამომცემელი ასეთ საკითხს არ სვამს. საერთოდ, მისი მსჯელობიდან კი ისე ჩანს, რომ ამ ტაქტიკონით წარმოდგენილი მდგომარეობა მას შემდგენელის (—ბასილის) დროის შესაფერად მიაჩნია[29]. თუ ეს ასეა, გამოდის, რომ IX საუკუნის პირველ ნახევარში ლიხთიმერეთი ეკლესიურად ჯერ კიდევ კონსტანტინეპოლის საპატრიარქოში შედიოდა.

არსებობს ერთი ტაქტიკონიც, რომელიც τὰ νέα τακτικὰ-ს სახელით არის ცნობილი. ჰ. ჰელცერი მას ლეონ ბრძენის

---

[27] Georgius Cyprius... Bibliotheca, Teubneriana, praefatio p. XIV—XV, და იქვე Basilii notitia, pp. 3, 4, 5, 24.

[28] იქვე, praefatio, pp. XIV—XV.

[29] იქვე.

მიერ პირველ შედგენილად სთვლის[30]. ამ ტაქტიკონში ლაზიკისა და აფხაზეთის ეკლესიები არ არის შეტანილი. ჯიქთა საარქიეპისკოპოსოებიდან ნიკოფსის სამთავარეპისკოპოსო აკლია. ცხადია, ეს ტაქტიკონი იმ დროს არის შედგენილი, როცა ლიხთიმერეთი ეკლესიურად კონსტანტინეპოლის პატრიარქისაგან განთავისუფლებულია. გამოდის, რომ ლეონ ბრძენის დროს, ე. ი. 886—912 წლებში ლიხთიმერეთი ეკლესიურადაც ჩამოცილებული ყოფილა ბიზანტიიდან[31]. მაშ, ამ მოვლენის ქრონოლოგიურ საზღვრებად ჩვენ მივიღეთ IX საუკუნის მეორე ნახევარი, ან უფრო დაახლოებით, 820—886 წლები. საყურადღებოა, რომ ეს დრო კარგად უდგება ბაგრატ I აფხაზთა მეფის ხანას (861—873 (906) წწ.) ამ მეფეს უნდა გულისხმობდეს ის ცნობა აფხაზეთში კათალიკოზობის დაარსების შესახებ, რომელიც გაუგებრობით ბაგრატ I არტანუჯელ კურაპალატს (826—876 წ.წ.) მიეწერება. თავის თავად ეს საყურადღებო ცნობა, უეჭველია, ზეპირად მოგონილი არ არის და რაღაც ძველი წყაროდან მომდინარეობს. ქ-ცი-ის ერთერთ ხელნაწერში ის XVIII საუკუნეშია შეტანილი აშიაზე მინაწერის სახით. ცნობის შემომტანმა ის შეცდომით მიაწერა ბაგრატ I არტანუჯელ კურაპალატის შემცველ ტექსტის აშიაზე (იხ. უნ. სიძვ. მუზ. ხელნაწ. № 25). ასეთი დედნიდან წარმომდინარე

---

[30] იქვე, praefatio, pp. LXII—LXIII.

[31] აქ უნდა აღინიშნოს: ამ ტაქტიკონში ავტოკეფალურ საარქიეპისკოპოსოთა შორის მე-26-ედ მოხსენებულია ἡ Σωτηριούπολις კონსტანტინე პორფიროგენეტით (იხ. Corpus scriptorum Historiae Byzantinae. Constantinus Porphirogenitus, volumen III. Bonnae impensis ed. Weberi MDCCCXL. De Administrando imperio cap. MB. p. 182) სოტერიოპოლისი ციხე-ქალაქია აბაზგიის საზღვარზე. გამოდის, რომ აფხაზეთის ერთი სამთავარეპისკოპოსო ისევ კონსტანტინეპოლის პატრიარქის ხელში დარჩენილა. ესევე საარქიეპისკოპოსო 1084 წელს რედაქციაქმნილ ტაქტიკონშიაც მოიხსენება. იხ. Скабаланович, Византийское государство и церковь в XI в., გვ. 419. თუ აქ რაიმე გაუგებრობას არ აქვს ადგილი (პირადად ჩვენ უფრო იმ აზრისა ვართ, რომ აქ ტექსტის დამახინჯებაა, როგორც ამას ერთი ვარიანტი ადასტურებს, სადაც სოტერიოპოლისის ნაცვლად Σταυροπολις-ია მოხსენებული, იხ. Codinus—გვ. 325—343 Ordo dispositus per imperatorem Leonem Sapientem..., ანარადა, არსებობდა სხვა სოტერიოპოლისი) და აქ სწორედ აფხაზეთის ეს ციხე-ქალაქი იგულისხმება, მაშინ დაგვრჩენია ის დაუკავშიროთ ბიზანტიის სახელმწ. პოლიტიკას აფხაზეთში უკანასკნელის განთავისუფლების შემდგომ: ბიზანტია ინარჩუნებს (თუ შემდეგ ჩაიგდებს ხელთ) აფხაზეთის ერთ კუთხეს, ციხე-ქალაქს. კონსტანტინ. საპატრიარქო იქვე აარსებს საარქიეპისკოპოსოს. [რომ ძველად ის არ იყო და აფხაზეთი მხოლოდ სებასტოპოლის (—სოხუმი) საარქიეპისკოპოსოთი იყო წარმოდგენილი, ამას ძველი ტაქტიკონები ამტკიცებენ] და ძველს ან უკვე მისი უფლებისაგან განთავისუფლებულ სამთავარეპისკოპოსოს უპირდაპირებს... ხომ არ შეიძლება ასეთ კუთხედ ჩვენ ვიცნოთ ანაკოფია?

ხელნაწერებში კი ეს ცნობა აშიიდან შიგ ტექსტში გადავიდა კავშირი «ხოლოს“ დართვით: „ხოლო ამან ბაგრატ გააჩინა და განაწესა კათალიკოზი აფხაზეთს ქ~ეს აქეთ ყ~ლ. (ბროსეთი—პლ?)“ (იხ. უნ. სიძვ. მუზ. ხელნაწ. 3665 და ბროსეს გამოცემა, გვ. 190). როგორც მ~მ დფ~ ლის ქ~ცა-ში, აგრეთვე არა ერთს XVIII ს-ში გადაწერილი ქ~ ც-ის ხელნაწერში ასეთი ცნობა არ მოიპოვება (იხ. უნ. სიძვ. მუზ. №№ 30, 354, 3666, 4730).

ამ ქართული ცნობის საფუძვლიანობის აღიარებით ჩვენ მეორე, არა ნაკლებ სადაო, საკითხი თითქოს წინასწარ გადაწყვეტილად მივიღეთ. ეს გახლავთ საკითხი აფხაზეთის კათალიკოზის შესახებ XIII საუკუნემდის.

ამ საკითხებს არა ერთი მკვლევარი შეხებია ჩვენს საისტორიო მეცნიერებაში, მაგრამ საბოლოოდ დადგენილი აზრი მის შესახებ დღემდის არ არსებობს. მ. ბროსე აფხ. კ-ზის არსებობის საკითხს XIII საუკუნემდის საბოლოოდ ვერა სწყვეტდა, უფრო კი მისი არსებობა შესაძლებლად მიაჩნდა[32]; თ. ჟორდანია აფხ. საკ-ზოს 820 წელს დაარსებულად სთვლის ბაგრატ I მიერ[33]; პროფ. ე. თაყაიშვილი აფხ. კ-ზის არსებობას XIII საუკუნემდის საეჭვოდ აღიარებს[34]; არც სარგის კაკაბაძე ამბობს რასმე გადაჭრილს და გარკვეულს[35]; აკად. ნიკო მარს აფხ. კ-ზის არსებობაში აღნიშნულ ხანაში ეჭვი არ შესდის[36]. სამწუხაროდ, საამისო დასაბუთება მას არ გააჩნია, თუ ასეთად არ ჩაითვლება ის გარემოება, რომ მელქისედეკ ქ.-კათალიკოზის სიგლის დამამტკიცებელი ოქროპირ კათალიკოზი მას აფხაზეთის კათალიკოზად მიაჩნია[37], რაც სამწუხაროდ შეცთომაა[38].

---

[32] Histoire de la Géorgie, გვ. 239, შენ, 6 და გვ. 265 შენ. 6. მასვე აქვს ამ საკითხის შესახებ ცალკე ბროშურა: Essai chronologique sur la serie des catholicos d'Aphkhazeth—მაგრამ აქ გამოთქმული მოსაზრებანი, როგორც ზემოდასახელებული შრომიდან ჩანს, ავტორმა შესცვალა.

[33] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა. Абхазские каталикосы, 9, ქრონიკები II, 88—90.

[34] ქელმწიფის კარის გარიგება, წინასიტყვაობა, V.

[35] საისტორიო მოამბე, II, 1925, 125—130.

[36] Н. Я. М а р р, Ист. очерк Груз. церкви с древн. времен. Церк. ведомости, № 3, 1907, გვ. 121, 137.

[37] იქვე.

[38] პ-ლი მეცნიერი შეცდომაში შეუყვანია ძეგლის გამომცემელს, განსვ. თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა ს. ხელნაწერებში—იხ. № № 631 (ყოფ. 379) და 7645 (ყოფ. 378) საქ. ცენტრარქივისა—ორივეში ოქროპირი ქართლის კათალიკოზს უწოდებს თავის თავს: „მეცა გლახაკსა ქეს მრ. ქ: კზსა ოქროპირს ჩემითა ჭელითა დამიწერია“... ეს ოქროპირ ქ-კზი ბაგრატ კურაპალატთან ერთად მოიხსენიება ფ ო კ ა ნ ი ს (ჭაეახეთში) ეკლესიის წარწერაში. კარიბჭის ორივე მხარეს ასომთავრული ამობურცული. მარჯვნივ: ქე ძო || დასტყო ღ || თსო ადე ჲ || ოვნე ოქრ || ოპრი

ხსენებული საკითხის არსებითი და ყოველმხრივი განხილვა შეუძლებელია წინამდებარე მონოგრაფიაში იქმნეს წარმოდგენილი. ამიტომ ჩვენი მსჯელობა აქ მოკლე და უფრო დასკვნითი ხასიათის იქნება.

ჩვენი მსჯელობის გამოსავალ წერტილად და აქ წარმოდგენილი კონცეფციის ღერძად ჩვენა გვაქვს სამი დადებითი ხასიათის ცნობა. ესენი არიან: 1. ბერძნულ ტაქტიკონებზე დაკვირვების გზით მიღებული დასკვნა ლიხთიმერეთის ეკლესიის კონსტანტინეპოლის საპატრიარქოსაგან განთავისუფლების შესახებ IX ს-ის მეორე ნახევარში; 2. გიორგი მთაწმინდელის პასუხი ანტიოქიის პატრიარქისადმი ქართული ეკლესიის თვითმწყსობის უფლებიანობის შესახებ, რომლიდანაც ყოველ ეჭვს გარეშე ჩანს, რომ ამ დროის (ე. ი. XI ს-ში) ლიხთ-ამერ-იმერეთის ეკლესიები უკვე დიდიხანია გაერთიანებულია ერთ მთლიან ქართულ ეკლესიად ერთი უზენაესი მეთაურის ხელქვეშ; 3. ს-ნ აფხაზეთის კათალიკოზის მოხსენიება ერთს XII ს-ში გადაწერილ ხელნაწერში[39] (აფხაზეთის კ-ზის XIII საუკუნემდის არსებობას ადასტურებს თვით მისი წოდება: „აფხაზეთის კათალიკოზი“. XIII ს-ში ახლად დაარსებული მეთაური დას. საქართ. ეკლესიისა ასეთ სახელს ვერ მიიღებდა. მას „იმერთა კ-ზი“ დაერქ-

---

ქრთლ || საკთალკ || ი ორთავ || ეშნა ცხრ || ებთა. ან, მარცხნით: ქე ადდებგ||რა კორპლტი. ცხადია, ეს იოანე ოქროპირი მელქიზედეკის მემკვიდრე ქართლის კათალიკოზია და ამიტომაც ამტკიცებს მელქიზედეკის სიგელს უკანასკნელის გაბრაცვალების შემდგომ. მელქისედეკ ქართლის კათალიკოზის მცხეთისადმი „დაწერილში“ აფხაზეთის კათალიკოზი მართლაც მოიხსენება, მაგრამ ის ოქროპირი არაა. ამის შესახებ ნ. ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, მცხეთის საბუთი XI საუკუნისა. საქ. მუზ. მოამბე, ტ. VI, 260.

[39] „ახალციხური ტყავის სახარება XII საუკ“.—იხ. თ. ყ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონ. II, 88—90; კოლეგა ს. ჯ ა ნ ა შ ი ა ს თავაზიანი დახმარებით ჩვენ საშუალება მოგვეცა გვენახა ეს ძვირფასი ხელნაწერი და გულდასმით გაგვესინჯა მისი მინაწერები. სამწუხაროდ, დროს განსაზღვრულობისა და ჩვენი იმ დროს მოუცლელობის გამო ხელნაწერის ტექსტის შინაგანი შესწავლა, მისი დათარიღების მიზნით, ვერ მოვასწარით (ტექსტის სანიმუშო ადგილისა და ყველა მინაწერთა ფოტოსურათები გადაეაღებინეთ და აწ ინახება საქ. საისტ. საეთნ. საზ-ში. თვით ხელნაწერი კუთვნილებისამებრ დაუბრუნდა მესხ-გვარამაძეს ახალციხეში). ხსენებულ მინაწერებზე და ტექსტზე დაკვირვებიდან ჩვენი დასკვნაა: წიგნის გადამწერი საბა, წიგნის მომგები გიორგი ხუცეს-მონაზონი და უკანასკნელის გამზრდელი აფხაზეთის კათალიკოზი სჯიმეონი ურთიერთის თანამედროვენი არიან, წიგნი გადაწერილია საბაას მიერ არა უგვიანეს XII ს-ის პირველი ნახევრისა. დამწერლობის ხასიათის მიხედვით სხვა დასკვნის მიღება, ეფიქრობთ, შეუძლებელია. ამასვე ადასტურებს მომგებელის გამოთქმა:... „ღირს მყავ მე... გ᾽ი... მოგებად... ამის სახარებისა ახლისა“... „ახალი“ ეწოდებოდა გ᾽ი მთაწმიდელის მიერ ბერძნული სახარებისადმი შეწამებულს და გასწორებულს სახარების რედაქციას. ვეჭვობთ, XIII ს-ში და შემდგომ ეს ტერმინი ამ რედაქციის მიმართ ცოცხალი დარჩენილიყოს.

მეოდა და მისი ტახტი აფხაზეთში—ბიქვინტაში კი არა, არამედ ქუთაისში იქნებოდა). ზემოხსენებული სამი ძირითადი ცნობის სინამდვილის აღიარების შემდგომ ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ ერთი რამ, რის შემდეგ დას. საქ. ეკლესიის თავგადასავლის მთავარი ხაზის ლოგიკური სქემა ისტორიული სინამდვილის იერს მოკლებული არ იქნება. ეს „ერთი რამ" გახლავთ საკითხი: ვინ იყო გაერთიანებული საქართველოს ეკლესიის უზენაესი მეთაური? აქ სრულიად მართალია აკად. ნიკო მარი, რომლის აზრით აფხაზთა კ-ზი იყო ადგილობრივი კ-ზი და ემორჩილებოდა ქართლის კათალიკოზს[40]. უკანასკნელს „ყოვლისა საქართველოჲსა მამამთავარი" ეწოდებოდა[41]. ამ რიგად, IX ს-ის მეორე ნახევარში კონსტანტინეპოლის საპატრიარქოსაგან განთავისუფლებული ლიხთიმერეთის ეკლესიები XI ს-ში უკვე მცხეთის საკათალიკოზო სამწყსოში შედიან. რა მიზეზით და როგორ მოხდა ეს მოვლენა?

როგორც ტაქტიკონებიდან ჩანს, ლიხთიმერეთი ეკლესიურად კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს ხელ-ქვეშ ერთს ორგანიზაციას არ წარმოადგენდა. ფოთის სამიტროპოლიტო, სებასტოპოლის საარქიეპისკოპოზო და ნიკოფსის საარქიეპისკოპოსო ერთიმეორისაგან სრულიად დამოუკიდებელი ერთეულები იყო. პატივით ამათ შორის ფოთის (ლაზიკის) მიტროპოლიტი უფრო მაღლა იდგა; მას ოთხი საეპისკოპოსო ემორჩილებოდა. არც სებასტოპოლის (აფხაზეთის) და არც ნიკოფსის (ჯიქთა) არქიეპისკოპოსებს ხელქვევითი ეპისკოპოსები არა ჰყოლიათ[42]. ყველა ესენი, სხვადასხვა დროს და პირობებში წარმოშობილნი, შეფარდებული იყვნენ იმ პოლიტიკურ პირობებთან, როგორიც მათი წარმოშობა-ჩამოყალიბების ჟამს ამ ქვეყანაში არსებობდა. ბიზანტიის პოლიტიკური, ხოლო კონსტანტ. საპატრიარქოს საეკლესიო ბატონობის დროს არ არსებობდა ნიადაგი ლიხთიმერეთის ეკლესიათა გაერთიანებისათვის. არც სახელმწიფო და არც საპატრიარქო ამაში დაინტერესებული არ შეიძლებოდა ყოფილიყვნენ. მხოლოდ ლიხთიმერეთის პოლიტიკური განთავისუფლებისა და მისი ერთ სახელმწიფო ერთეულად გარდაქმნის შემდეგ ამ ქვეყნის ეკლესიათა გაერთიანება-განთავისუფლება მო-

---

[40] Н. Марр, Историч. очерк Груз. церкви... Церковные ведомости, 1907, № 3, 137.

[41] ქრონ. II, 62, 70. ქართლის კ-ზის ასეთი წოდებულობა ისეთ ოფიციალურ დოკუმენტში, როგორიც არის რუის-ურბნისის საეკლ. კრების ძეგლის წერა, თავის მხრით ადასტურებს, რომ ქართლის კ-ზს „სრულიად საქართველოზე" მიუწვდებოდა ხელი.

[42] Codinus, ვენეტიკის გამოცემა, გვ. 291; Скабаланович, op. cit., გვ. 418.

.რიგ საკითხად უნდა ქცეულიყო. მთლიანი სახელმწიფო ასეთივე ერთიანი საეკლესიო ორგანიზაციის საკმაო საფუძველი იყო.

რომ საკითხი ასე მარტივად მდგარიყო, უეჭველია, საბოლოოდ ჩვენ მივიღებდით ლიხთიმერეთის („აფხაზეთის") ბერძნულ ეკლესიას თავისი სრულიად დამოუკიდებელი ან კიდევ ფორმალურად კონსტანტინეპოლის საპატრიარქოსაგან რამდენადმე დამოკიდებული მეთაურით. მაგრამ მდგომარეობას მცხეთის საკ-ზო ართულებდა. მას, როგორც აღვნიშნეთ, ძველიდანვე მტკიცედ ჰქონდა ფეხი მოკიდებული ამ ქვეყანაში. უკვე ბიზანტიის ბატონობის ჟამსაც კი შეუძლებელია ქართული მღვდელთმსახურება აქ, ნაწილობრივ მაინც, არ ყოფილიყოს გავრცელებული, უმთავრესად, ლაზიკის სამხრეთისა და აღმოსავლეთის მხარეებში. გარდა ამისა, აფხაზთა მეფეებმა იბერიისა და, მაშ, მცხეთის სამწყსოს მოზრდილი ნაწილი სკანდა-შორაპნის ხაზსა და ლიხს შუა იმთავითვე თავის პოლიტიკურ საბრძანებელში მოაქციეს. ყველა ამის გამო აფხაზთა მეფეები იძულებული იყვნენ სათანადო ანგარიში გაეწიათ ქართული ეკლესიის ინტერესებისათვის ამ ქვეყანაში.

პირველ ხანებში, საფიქრებელია, პოლიტიკურად ჯერ წელმოუმაგრებელი აფხაზეთის მეფეები მოერიდებოდნენ საეკლესიო საკითხის გამწვავებას და კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს მხოლოდ საეკლესიო გაერთიანების დასტურს მოსთხოვდნენ. არც საპატრიარქო უნდა წასულიყო ამის წინააღმდეგ: ბიზანტიის პოლიტიკური მარცხი ამ ქვეყანაში და მცხეთის საკათალიკოზოს საშიში მეტოქეობა საკმაოდ დამაჯერებელი საბუთები უნდა ყოფილიყო საამისოდ. ლიხთიმერეთის ეკლესიათა ასეთი გაერთიანება აფხაზეთის ავტოკეფალური არქიეპისკოპოზის მეთაურობით უნდა მომხდარიყო. ამას გვაფიქრებინებს: 1. აფხაზეთის პოლიტიკური ძლიერება და მისი მოთავეობა ლიხთიმერეთის გაერთიანების საქმეში, 2. სამეფო დინასტიის აფხაზეთიდან გამოსულობა და 3. ლაზიკის პოლიტიკური სისუსტე. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ დროიდანვე ეწოდა აფხაზეთას არქიეპისკოპოზს „კათალიკოზი": მისდამი მიტროპოლიტისა (ფოთის) და არქიეპისკოპოსის (ნიკოფსის) დაქვემდებარების შემდგომ შეუძლებელია მას მხოლოდ ძველი პატივი და წოდება შერჩენოდა. რასაკვირველია, აფხაზეთის ეს ახალი საკათალიკოზო პირველ ხანებში, საპატრიარქოსაგან ასე თუ ისე დამოკიდებული, ოფიციალურად ბერძნული ეკლესია იყო. მაგრამ ასეთი მდგომარეობა მყარი და საბოლოო ვერ იქნებოდა. არც ლაზთა ეკლესიის მეთაური (ფოთის მიტროპოლიტი) და არც მცხეთის ტახტი ამით კმაყოფილი არ უნდა ყოფილიყვნენ. მაგრამ თუ პირველის უკმაყოფილება მხოლოდ უფროს-უმცროსობის ნიადაგზე აღმოცენებული შეიძლებოდა ყო-

ფილიყო, მცხეთის ტახტის უკმაყოფილება უფრო ღრმა და პრინციპული ხასიათის იყო: მცხეთას ქართული ეკლესია შეჰქონდა მოძმე ქვეყანაში და ბერძნული ეკლესიის ყოველგვარ სახეს აქ უარჰყოფდა. კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს კანონიკური საფუძვლები, ბერძნული ეკლესიის ტრადიცია და აფხაზთა კ-ზების ინტერესების თანხმობა ლიხთიმერეთის დამპყრობელ აფხაზთა მთავრების პოლიტიკურ ინტერესებთან საკმაო საფუძველს ჰქმნიდნენ ლიხთიმერეთის ეკლესიის ასეთი ორგანიზაციისათვის პირველ ხანებში.

მაგრამ ლიხთიმერეთის დაპყრობით აფხაზთა მეფეები დიდი ხნით არ დაკმაყოფილებულან. ჩქარა ისინი აქტიურად ჩაებნენ დიდსა და ხანგრძლივ პოლიტიკურ ბრძოლაში, რომელიც მთელი საქართველოს ერთ ფეოდალურ მონარქიად გარდაქმნას გულისხმობდა.

ამ საქმეში მებრძოლი მხარეებისათვის მცხეთის ტახტის პოზიცია დიდმნიშვნელოვანი იყო. ამიტომ აფხაზთ მეფეებიც, უეჭველია, ეცდებოდნენ ამ ძვირფას მოკავშირის მიმხრობას. ამიერიდან მცხეთის საკათალიკოზოსა და აფხაზთა მეფეებს შორის სრული შეთანხმება უნდა მომხდარიყო. მცხეთა ლიხთ-იმერეთის კულტურულ-რელიგიური გაერთიანება-შემოერთებისათვის მიიწევდა, აფხაზთ მეფეები კი იმერ-ამერეთის პოლიტიკურ მთლიანობას უყრიდნენ საფუძველს. აფხაზთ მეფეები პოლიტიკურ მთლიანობას ქმნიდნენ, მცხეთა კი ამ პოლიტიკურ მთლიანობას ერთს და მთლიან კულტურულ შინაარსს აძლევდა: „ქართლად ფრიადი ქუეყანაჲ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცეაჲ ყოველი აღესრულების. ხოლო კჳრიელეჲსონი ბერძულად ითქუმის, რომელ არს ქართულად: უფალო წყალობა ყავ, გინა თუ: უფალო შეგვიწყალენ“[43].

---

[43] გრიგოლ ხანძთელის ცხორებაჲ, ნ. მარის გამოცემა ᲨᲥ 5–8. მოყვანილ ამონაწერში აკად. ნ. მარი ხედავს, „намек на то, что грузинский язык в Кларджии был лишь церковным, а не разговорною речью всего населения, даже в половине X-го века, когда писал Георгий Мерчул“. ibid, введение, § 14. შეიძლება კლარჯეთში მართლაც იყო ამ დროს (X ს-ში) მოსახლეობის არა ქართულ ენაზე მოსაუბრე – მცირე ნაწილი, მაგრამ ამის მაჩვენებლად მერჩულისეული „ქართლის“ განმარტება, ეფიქრობთ, მოსატანი არაა. უკანასკნელი არც კულტურულ-პოლიტიკური განმარტება, არამედ მხოლოდ კულტურული. საქმე ისაა, რომ მერჩული მოგვითხრობს მირონის „ᲥᲐᲠᲗᲚᲘ“ განწესების შესახებ იერუსალიმის პატრიარქის მიერ IX ს-ის პირველ ნახევარში და აქვე განმარტავს: „არამედ ქართლად ფრიადი ქუეყანა აღირაცხების“... და სხვ. ამ განმარტებით მერჩულს სურს აღნიშნოს, თუ სად უნდა იხმარებოდეს „ქართლში“ (მცხეთაში) ნაკურთხი მირონი. ამ მხრით კლარჯეთი მისთვის სადაო არ არის. ეს ქვეყანა უკვე დიდი ხანია მცხეთის სამწყსოში შედის. ამის უეჭველი საბუთია ჯავახეთის საეკლესიო კრება (IX ს-ის შუა წლებში). აქ კარგა ხანია კულტურული „ქართლია“ და

ასეთ პირობებში, ბუნებრივია, ქართულსა და ბერძნულ ეკლესიებს შორის ბრძოლა ლიხთიმერეთში თავის გადამწყვეტ ფაზაში უნდა შესულიყო. აფხაზეთის კათალიკოზი, როგორც კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ხელისუფალი, უეჭველია, ბერძნული ეკლესიის მომხრედ გამოდიოდა. ამიერიდან თანხმობა ლიხთიმერეთის საერო და სასულიერო უმაღლეს ხელისუფალთ შორის უნდა დარღვეულიყო.

აფხაზთა მეფეები მცხეთის თანხმობით და მასზე დაყრდნობით ქმნიან ახალ (ქართულ) საეპისკოპოსოებს ძველების გვერდით და მათ ნაცვლად და, ამგვარად, კანონიკური საფუძვლების დაურღვევლად საბოლოოდ აქრობენ მოსახლეობისათვის უცხო ბერძნულ ეკლესიას. „მატიანე ქართლისაჲს" მცირე ცნობები აფხაზთ მეფეების საეკლესიო პოლიტიკის შესახებ, ამ მხრით გაგებული მეტად საინტერესოა გიორგი აფხაზთ მეფე (912—957).. „იყო მაშენებელი ეკლესიათა... აღაშენა საყდარი ჭყონდიდისა, შექმნა საეპისკოპოსოდ და განაშუენა იგი (ქ'ცა უმატებს: ნაწილთა) სიმრავლითა წმიდათა მარტვილთათა"[44]. გიორგის ძემ ლეონ აფხაზთ მეფემ (957—967) „აღაშენა ეკლესია მოქვისა და შექმნა საყდრად საეპისკოპოსოდ, აკურთხა და განასრულა ყოვლითა განგებითა"[45]. ბაგრატ III (978—1014) აფხაზთა მეფემ და ქართველთა კურაპალატმა:—„აღაშენა საყდარი ბედიისა, შექმნა საეფისკოპოსოდ, მოცვალა გუდა-სი საეფის-

---

მცხეთას ნაკურთხი მირონიც აქ სავალდებულოა. სადაოა სულ სხვა მხარე და სწორედ ისა აქვს მხედველობაში მერჩულს თავისი საინტერესო განმარტების დროს. ასეთი მხარე „აფხაზეთია". აქ იყო სადაო იერუსალიმით მოტანილი ან მცხეთაში ნაკურთხი მირონის ხმარება: აქამდის აქ, რა თქმა უნდა, მირონი კონსტანტინეპოლით მოჰქონდათ. გიორგის დებულება ფრიად საინტერესოა. ის მცხეთის თვალსაზრისს მკაფიოდ გადმოგვცემს. მცხეთა ჯერ ენობრივად (ეთნიკურ ელემენტზე დაყრდნობით) შეიპრა ლიხთიმერეთში, ხოლო შემდეგ, როგორც ჩანს, ეს საინტერესო ფორმულა წამოაყენა თავისი ორგანიზაციული გაბატონების დასასაფუძვლებლად: „ქართლია" იქ, სადაც მღვდელთმსახურება ქართულ ენაზეა (მხოლოდ კვირიელეჲსონი შეიძლება ბერძნულად). მირონის კურთხევა „ქართლს" განეწესა. მაშ ქართლს ნაკურთხი მირონი სავალდებულოა ყველა იმ ეკლესიისათვის, სადაც მღვდელთმსახურება ქართულ ენაზეა. ცხადია, მცხეთის საკათალიკოზოს მხრით ეს არის კანონიკური საფუძვლების დაცვით კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს წინააღმდეგ მიმართული ბრძოლა ლიხთ-იმერეთის ეკლესიაზე ორგანიზაციულად გაბატონების მიზნით.

ყველა დანარჩენი ძვირფასი შენიშვნა აკად. ნიკო მარისა ენობრივი სხვაობისა თუ კვირიელეჲსონისა და ბერძნული მღვდელთმსახურების ნაშთების შესახებ საკუთარ ეთანხმება სწორედ ლიხთ-იმერეთის სინამდვილეს, როგორც ამას არა ერთგზის აღნიშნავს პ-ლი მეცნიერი სხვადასხვა ადგილას.

[44] მ'მ დფ'ლსი ქ'ცა, 229.
[45] იქვე, 223.

კოპოსო... აკურთხა და დასუა ეპისკოპოსი... ამანვე ბაგრატ აკურთხა ეკლესია ქუთათისა განგებითა დიდითა და მიუწდომელითა, რამეთუ ამან შემოკრიბნა მახლობელნი ყოველნი ჭელმწიფენი, კათალიკოზნი, მღუდელთ მოძღუარნი და ყოველთა მონასტერთა წინამძღუარნი და ყოველნი დიდებულნი ზემონი და ქუემონი მამულისა და სამეფოსა მისისა მყოფნი და სხუათა ყოველთა საჭელმწიფოთანი"[46].

და ყველა ეს ერთი საუკუნის სიგრძეზე, სახელდობრ მე-10 საუკუნეში. რა თქმა უნდა, ჩვენი ეს ცნობები მეფეთა მიერ ეკლესიათა მშენებლობის შესახებ სრული არ არის. ამას მოწმობს თუნდაც ბიზვინტის ტაძრის გადაკეთება (თუ აგება) X საუკუნეში ქართული ხუროთმოძღვრული სტილით[47]. ჩვენს სიტყვაძვირ მემატიანეს მხოლოდ ერთხელ წამოსცდა მეტად საინტერესო და დამახასიათებელი ცნობა: ბაგრატმა ააგო ბედიის ტაძარი და იქ გადმოიტანა („მოცვალა") „გუდი-სი (ჭ"ცა: გუდაყვისა) საეფისკოპოსო". გუდაყვა (გუდავა?) კი ერთი XI—XII ს-ში გადაწერილი სჯნაქსარის ცნობით, არის ბერძნული ზიღანეოს[48]. ბერძნული ტაქტიკონებიდან ჩვენ ვიცით, რომ სწორედ ეს ქალაქი იყო საჯდომი ლაზიკის მიტროპოლიტის ერთ-ერთი ხელქვეშე ეპისკოპოზისა, რომელსაც ὁ τῆς Ζιγανέων [ζηγανέων, ὁ τζυγανέων, ὁ τζέγγανέων] ეწოდებოდა. აქ დაცული უნდა გვქონდეს ცნობა იმისა, თუ როგორ აუქმებდნენ აფხაზთ მეფეები ბერძნულ საეპისკოპოსოებს და მათ მაგივრად ქმნიდნენ ქართულს.

მეათე საუკუნის დასასრულს ლიხთიმერეთის საეკლესიო რეფორმა დასრულებული ჩანს. გაქრა ბერძნული ეკლესია და მისი იერარქია. შეიქმნა ქართული იერარქია, რომლის უმაღლესი მეთაური აფხ. კათალიკოზი ქართლის კათალიკოზს დაემორჩილა. უკანასკნელი „ყოვლისა საქართველოჲსა მამათმთავარი" (პატრიარქი) შეიქმნა, როგორც ის საგანგებოდ წოდებულია რუის-ურბნისის ძეგლის წერაში[49].

საფიქრებელია, რომ აფხ. კ-ზის მნიშვნელობა ერთობ დამცირდა დავით აღმაშენებლის დროს და ამ მეფის საეკლესიო პოლიტიკის წყალობით. დამახასიათებელია, რომ რუის-ურბნისის ძეგლის წერაში აფხ. კ-ზი მოხსენებული არ არის, მაშინ როცა დავითის ისტორიკოსის სიტყვებიდან ჩვენ მხოლოდ ის შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ აღნიშნულ კრებაზე აფხ. კ-ზი მონაწილეობდა. დავითმაო... „შემოკ-

---

[46] მ"შ დფ"ლსი ჭ"ცა, 245.

[47] Христ. Древности Крыма, Кавказа и Киева, გვ. 61.

[48] უნ. სიძ. მუზ. ხელნ. № 97, გვ. 436.

[49] ქრონიკები II, გვ. 62, 70.

რიბა კრება ერი მრავალი, რამეთუ სამეფოსა თჳსისა კ ა თ ა ლ ი კ ო-ზ ნ ი, მღუდელთმთავარნი, მეუდაბნოენი, მოძღუარნი და მეცნიერნი შემოკრიბნა წინაშე მათსა ქამსა და ადგილსა ჯეროვანსა"[50]. ამის შემდეგ XIII საუკუნემდის აფხაზეთის კ-ზი აღარ იხსენიება ისეთ ძეგლებშიაც კი, სადაც მისი მოხსენება მოსალოდნელი იყო[51]. მაგრამ ამაების ძიება ამჟამად ჩვენს ამოცანას სცილდება.

შემთხვევითი არაა, რომ სწორედ იმ დროს, როცა აფხ. კ-ზის მნიშვნელობა სულ უფრო და უფრო ეცემოდა, ჭყონდიდელის პატივი და მნიშვნელობა სულ უფრო და უფრო იზრდებოდა.

თავიანთი საეკლესიო პოლიტიკის გატარების დროს აფხაზთ მეფეები, ბუნებრივია, უპირველეს ყოვლისა მათ მიერვე შექმნილ საეპისკოპოსოების მმართველთ დაეყრდნობოდნენ. ასეთ საეპისკოპოსოთაგან უძველესი ჭყონდიდლისა იყო. გიორგი აფხაზთა მეფემ ჭყონდიდის საეპისკოპოზო შექმნა X საუკუნის პირველ ნახევარში[52]. მისი იმთავითვე ქართულობა ყოველ ეჭვს გარეშეა. ცნობილია ჭყონდიდის ერთი პირველთაგანი ეპისკოპოზი ქართველი საეკლესიო მოღვაწე და მწერალი[53].

ჩვენ არ ვიცით, იმთავითვე სამთავარეპისკოპოსოდ იქმნა ჭყონდიდი თუ არა (სტეფანე სანანოიას-ძის მარტივად ეპისკოპოზად წოდება კიდევ არ არის ამის გადამწყვეტი მოწმობა). ცხადია მხოლოდ, რომ უკვე ბაგრატ IV დროს ის სამთავარეპისკოპოზოა და პირველი სამღვდელთმთავრო (აფხ. კ-ზის შემდეგ) ლიხთიმერეთში. ამ დროს უკვე ფოთის სამიტროპოლიტო გამქრალია და მისი პატივი ჭყონდიდელზეა გადმოსული. შემდეგდროინდელი წოდება პროტოჯპერტიმოსისა ჭყონდიდელს, შესაძლებელია, სხვა გარემოებასთან დაკავშირებით ჰქონდეს მინიჭებული. როგორც ფოთის მიტროპოლიტის მემკვიდრე, ის მხოლოდ ჯპერტიმოსის პატივის მატარებელი შეიძლებოდა ყოფილიყო[54].

აფხაზთ მეფეთა საეკლესიო პოლიტიკის წყალობით შექმნილი და აღზევებული ჭყონდიდელი საესებით დამოკიდებული იყო სწო-

---

[50] მ-მ დ ფ-ლსი ქ-ცა, 291.

[51] ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, წინასიტყვაობა არსენი ჭყონდიდლის სიგლის გამოც., საისტ. მოამბე. II, 1925, გვ. 125—130.

[52] შეიძლება ვიფიქროთ, რომ სწორედ გიორგი II დაიწყო ბერძნული იერარქიის საწინააღმდეგო აქტიური საეკლესიო პოლიტიკა ლიხთ-იმერეთში. ამ ნიადაგზე, გასაგები ხდება ამ მეფის ის ქება-დიდება, რომლისთვისაც სიტყვებს არ ჰზოგავს ჩვენი ჩვეულებრივ სიტყვაძვირი მემატიანე. მ-მ დფ-ლსი ქ-ცა, 229.

[53] პროფ. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე. ქართ. ლიტ. ისტორია I, 176—180.

[54] Codinus... 349, De ordine thronorum metropolitanorum.... M. Brosset, Voyage archeol. I, rapp. 45.

რედ ამ პოლიტიკის გამარჯვებისაგან: ფოთის მიტროპოლიტი (პირველ ხანებში) და აფხ. კათალიკოზნ საკმაოდ საშიშარნი იყვნენ ახალი იერარქისათვის. აქ შეიძლება ვეძიოთ მიზეზი ჭყონდიდელის განსაკუთრებული სანდოობისა. ის არც შეიძლებოდა მეფის პოლიტიკის მომხრე არ ყოფილიყო და ეს არა მარტო საეკლესიო საკითხში, არამედ საერთოდ: ჭყონდიდლის ბედი, როგორც საეკლესიო იერარქისა, განუყრელად დაკავშირებული იყო თვით მეფის ხელისუფლების არსებასთან, მის სიძლიერე-სისუსტესთან. ამით ჭყონდიდელი არსებითად განსხვავდებოდა ჩვეულებრივ ეპისკოპოსთაგან.

ბაგრატ IV მწარედ იგემა საეკლესიო იერარქთაგანაც თავისი დროის პოლიტიკური წყობის ნაყოფი. არა ერთი ეპისკოპოსი გადაუდგა მას და გადამწყვეტი ბრძოლის დროს შინაურს (დიდგვარიანს) თუ უცხო მტერს მიემხრო[55]. არც დავით აღმაშენებელს აკლდა ასეთი გაკვეთილები[56]. დიდგვარიანთა პოლიტიკური შეხედულებანი ამ დროს არა მარტო საერო ფეოდალების უმაღლეს ფენას ახასიათებდა, აქ დიდგვარიანებს გვერდში უდგა ეკლესიის უმაღლესი იერარქიაც. საინტერესოა, რომ ეკლესიის რეფორმებისათვის მებრძოლმა გ ი ო რ გ ი მ თ ა წ მ ი ნ დ ე ლ მ ა „აღლესა მახჳლი" არა იმ მხრით, რომ ეკლესია საერო ხელისუფლების ჩარევა-გავლენისაგან სავსებით განთავისუფლებულიყო (სწორედ ასეთი მოძრაობა იყო ამ დროს დასავლ. ევროპაში), არამედ თვით მეფისაგან მოითხოვდა ზომების მიღებას ეკლესიაში გაბატონებულ უკუღმართობათა აღსაკვეთად. ჩანს, IX—X ს. გაბატონებული შეხედულება საერო ხელისუფლებისაგან ეკლესიის სრული დამოუკიდებლობის შესახებ ეხლა მხოლოდ სანატრელი მოგონების საგანი იყო საეკლესიო მოღვაწეთათვის. ის ეხლა არც გამოდგებოდა: დიდგვარიანულ ტენდენციებს ისე ღრმად და ძლიერად ჰქონდა საეკლესიო იერარქიაში ფესვი მოკიდებული, რომ ეკლესიის რეფორმების მომხრეებს ამ ტენდენციების წინააღმდეგ ბრძოლა ისევ მეფის ძლიერი დახმარებით თუ შეეძლოთ, ამიტომაც იყო, რომ მეფეს მიმართავდა „მხილებათა მახჳლის აღლესვით" ამ დროჲს ქართული ეკლესიის უდიდესი წარმომადგენელი.

დიდგვარიან აზნაურთა პოლიტიკური ზრახვების წინააღმდეგ მებრძოლი ცენტრალური ხელისუფლება იძულებული იყო ეს ბრძოლა საერო ცხოვრების ასპარეზიდან საეკლესიო სფეროშიც გადაე-

---

[55] მ-მ დფ-ლსი ქ-ცა, გვ. 254, 262.

[56] თ. ე ო რ დ ა ნ ი ა, ისტ. საბ. შიომღვიმის მონასტრისა, 15.

ტანა, რის შედეგად აუცილებლად უნდა გაფართოებულიყო ეკლესიაზე ცენტრალური ხელისუფლების გავლენა სხვაგვარად არც შეიძლებოდა: სახელმწიფო ცენტრალიზმისთვის მებრძოლი მეფის ხელისუფლება თავის უშუალო მეთვალყურეობის გარეშე ვერ დასტოვებდა ისეთ ძლიერსა და მნიშვნელოვან ორგანიზაციას, როგორიც ეკლესია იყო და რომელიც დიდგვარიან აზნაურთა ერთგულ მოკავშირედ გადაქცეულიყო[57].

დავით აღმაშენებელმა ეს საქმეც თავისი პოლიტიკური მიზნების შესაბამისად გადაჭრა: ეკლესია „ავაზაკთაგან" გაათავისუფლა, მისი მართვა-გამგეობა საეკლესიო ხელისუფლებას დაუტოვა, ხოლო უკანასკნელზე უშუალო ზეგავლენის მიზნით ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის ინსტიტუტი დააკანონა.

მწიგნობართუხუცესი, როგორც მეფის ხელისუფლების წარმომადგენელი მონაზონი, უეჭველია, დავით აღმაშენებლამდისაც არ იყო უცხო საეკლესიო საკითხებში მონაწილეობისაგან (ღრტილას კრება შეიძლება საამისო საბუთად გამოდგეს), მაგრამ მისი გავლენა საეკლესიო საქმეებზე იმდენადვე მცირე და უმნიშვნელო იყო, რამდენადაც თვით ის ხელისუფლება, ვისი წარმომადგენელიც ივ დროს ის იყო.

სულ სხვა იყო დავითის დროს. ეხლა „ყოვლისა საეკლესიოსა განგებისასა დარბაზის კარით მიიღებდიან კანონსა უცთომელსა და ყოვლად შუენიერსა". შექმნილ პირობებში მწიგნობართუხუცესად უბრალო მონაზონი უხერხული იყო[58]. საჭირო იყო მაღალი იერარქი, მეფის ხელისუფლების ერთგული და მისი ინტერესების გამტარებელი. ასეთი იყო სწორედ ჭყონდიდელი მთავარეპისკოპოსი. ის იყო უწარჩინებულესი დას. საქართველოს ეპისკოპოსთ შორის. მას ახა-

---

57 აქ მოხსენებულის გათვალისწინებით დავითის ისტორიკოსის შეიძლება რამდენადმე მართლაც გადაჭარბებული ცნობა საერო ხელისუფლების. საეკლესიოზე გავლენის შესახებ თავის არსებით ნაწილში მართალი გვეჩვენება. იხ. ქცა, 320—321 და 325.

58 მართალია, ცნობილია გიორგი მწიგნობართუხუცესის, ჯერ კიდევ უბრალო მონაზონის, დიდი როლი რუის-ურბნისის საეკლესიო კრებაზე (რომლის ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი საეკლესიო ორგანიზაციაში ფესვგადგმული დიდგვარიანული ტენდენციების აღმოკვეთა იყო), მაგრამ აქ შეიძლება ინდივიდუალურ მომენტს (გიორგის პირად ღირსებას და სხვა) მიეწერებოდეს ბევრი რამ და მეორეც: ის გარემოება, რომ საჭირო შეიქმნა სწორედ ამის შემდეგ გიორგის გაჭყონდიდლება, ლაპარაკობს მოყვანილი მოსაზრების სასარგებლოდ.

სიათებდა მეფის ხელისუფლებისადმი ერთგულობის ორსაუკუნოვანი ტრადიცია და სწორედ მასზე შეჩერდა დავითის არჩევანი. ამგვარად მოხდა გაერთიანება მწიგნობართუხუცესის ხელში უმაღლესი საერო და საეკლესიო ხელისუფლებისა[59].

---

[59] აკად. ნ ი კ ო მ ა რ ი ერთს თავის უახლეს წერილში: „Происхождение терминов „книга“ и „письмо“ в освещении яфетической теории“—ამბობს: „Мы в линии развития наших мыслей не отрицаем и не может отрицать идеологической связи письменного или книжного дела с архаичным представлением о дереве и, следовательно, также его частях. Достаточно вспомнить, что в Грузии канцлер, ведавший письменностью, назывался Tkondid-el „Чкондидским“, т. е. происходящим из пункта с дубом-деревом отнюдь не без связи с названным деревом как культовым... იხ. „Книга о книге“ გვ. 57-58; პ-ლი აკად-სი შეიძლება მართალიც იყოს მოყვანილი ამონაწერის პირველ ნაწილში, მხოლოდ ამ ნაწილის დასამტკიცებლად მოყვანილი მაგალითი, ვფიქრობთ, უმართებულოა. მწიგნობრობა და მწ.-უხუცესობა როგორც სახელმწიფო თუ საკარისკაცო ქელი, საუკუნეებით წინუსწრებდა ჭყონდიდლობას. ჭყონდიდლობის დაარსებისა და საქართველოს გაერთიანების შემდგომაც კი მწ.-უხუცესობას ჭყონდიდლობასთან მთელი საუკუნის განმავლობაში არაეთარი კავშირი არა ჰქონია. ჭყონდიდლობის მწ.-უხუცესობასთან შეერთება, როგორც დავინახეთ, სულ სხვა ისტორიული მოვლენებისა და მიზეზების წყალობა იყო.

თათართა ბატონობის ხანა*

მტრობა-ომების გარდა, საქართველოს ახლობელსა თუ შორეულ მეზობლებთან მშვიდობიანი კულტურული ურთიერთობაც ჰქონდა.

ასეთი ურთიერთობისას ქართველი ხალხი უხვად სესხულობდა მეზობელთა კულტურულ მიღწევებს, ხოლო სამაგიეროდ საკუთარი შემოქმედების ნაყოფსაც ასევე უხვად უზიარებდა მათ.

სამწუხაროდ, ეს მშვიდობიანი კულტურული ურთიერთობა ხშირად ირღვეოდა. შეიძლება არც მოიძებნებოდეს მსოფლიოში მეორე ისეთი მხარე, რომელსაც იმდენი შემოსევა-დაპყრობა და ტაცება-ოხრება განეცადოს, რამდენიც საქართველომ თავისი ხანგრძლივი ისტორიის სიგრძეზე განიცადა.

ჩვენ მეზობელთაგან არა ერთმა ხალხმა დაჰკარგა პოლიტიკური დამოუკიდებლობა და დამპყრობელთ საბოლოოდ დაემონა. არა ერთი ძლიერი სახელმწიფო გაქრა და არა ერთი კულტურული ხალხი საბოლოოდ გადაშენდა. ქართველი ხალხი კი გადაურჩა ათას ქარტეხილს; უმაგალითო გმირული ბრძოლით მან დაიცვა თავისი კულტურული სახე და დიდჭირნახული, მაგრამ ბრძოლის უნარ-დაუშრეტელი, ის ახალი მსოფლიოსთვის მებრძოლთა მოწინავე რიგებში ჩადგა და თავისი ეროვნული მომავალი საბჭოთა წყობილების ურყევ ბჭეებს შეაფარა.

მეცნიერული პასუხი საკითხზე, თუ როგორ იბრძოდა ჩვენი ხალხი, რაში იყო მისი ძალა და ამოურწყველი სიცოცხლის უნარი, რა ჰკვებავდა მის უძლეველობას მტრებთან ბრძოლაში,—სრულიად კანონიერი მოთხოვნილებაა, რასაც საქართველოს ისტორიის მკვლევრებს საბჭოთა საზოგადოება დღეს უყენებს.

ამ წიგნაკის საგანი მარტივია. ეს არის ქართველი ხალხის გმირული ბრძოლა თათარ დამპყრობელთა წინააღმდეგ XIII-XIV საუკუნეებში. ხანგრძლივი და მძიმე იყო ეს ბრძოლა, მაგრამ თავი-

* პირველად დაიბეჭდა 1941 წელს.

სუფლებისათვის ბრძოლა, სამართლიანი ომი საზარელი არ შეიძლება იყოს და ქართველი ხალხიც თავდადებით და შეუნელებლად იბრძოდა, სანამ მოძალადე-დამპყრობელთა უღელი ამაყ ქედიდან არ მოიშორა.

* * *

X საუკუნისათვის ქართველმა ხალხმა გამარჯვებით დაასრულა სამსაუკუნოვანი ბრძოლა არაბ დამპყრობელთა წინააღმდეგ და ეროვნული შემოქმედების თავისუფალ გზაზე გამოვიდა.

X საუკუნის მიწურულისათვის ძირითადად დასრულდა საქართველოს ერთ ფეოდალურ მონარქიად გაერთიანების პროცესი. ამ ხანგრძლივ პოლიტიკურ პროცესს, საამისოდ საკმაო ეკონომიურსა და სოციალურ საფუძველზე გაშლილს, თანსდევდა ქართველი ხალხის კულტურული გაერთიანება. X საუკუნეში უკვე შემოსულია ამ პოლიტიკურ-კულტურული მთლიანობის აღმნიშვნელი ტერმინი „საქართველო". ამის შემდეგ ეს ტერმინი მკვიდრად დარჩა და ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურად დაშლის ჟამშიც კი არსებობდა ის. ძველი ერთიანი „ყოველი საქართველოს" ნაცვლად ეხლა, მაგალითად XVII საუკუნეში, მართალია, „ექვს საქართველოს" ითვლიდნენ (ე. ი. ქართლი, კახეთი, სამცხე-საათაბაგო, იმერეთი, სამეგრელო და გურია), მაგრამ ყველა ისინი მაინც „საქართველოები" იყვნენ, ე. ი. შინა-პოლიტიკურად დაყოფილი ერთი მოდგმისა და კულტურის თანამოძმეები და, ამდენადვე, უცხოელებისაგან განსხვავებულნი.

XI—XII საუკუნეებში ჩვენს ქვეყანაში დიდი ინტენსიური შემოქმედებითი მუშაობა მიმდინარეობდა. ამის შედეგი ის იყო, რომ საქართველომ დასავლეთის ბერძნულ-ქრისტიანული სიბრძნე აითვისა და კულტურით მოქადულ ბიზანტიას ღირსეულად თვალი გაუსწორა. ამავე დროს ქართველი ხალხი მწყურვალედ დაეწაფა აღმოსავლეთის ხალხთა (არაბთა, სპარსელთა) კულტურულ მიღწევებს. დასავლეთ-აღმოსავლეთის ამ საგანძურთა ქართულ კულტურულ ნიადაგზე გადმოტანით, ყველა ამათი ორგანული შედუღებით და ამ რთული სინთეზის შემდგომი განვითარება-ამაღლებით (XII ს.) ქართველმა ხალხმა თავისი შემოქმედებითი ძალა ძლიერად გამოამჟღავნა და საკუთარი კულტურული სახე უკვდავყო (რუსთაველი საამისო თვალშეუდგამი ძეგლის მწვერვალია).

თვითეულ გვიან-ფეოდალურ „საქართველოს" თავის წილი ედო ამ დიდს კულტურულ

მემკვიდრეობაში, რომლითაც ის უცხოელებისაგან განსხვავდებოდა და რომელსაც ის ამ უცხოელებთან ბრძოლაში იცავდა.

XI საუკუნის მეორე ნახევარში ახლო აღმოსავლეთმა თურქსელჩუკ მომთაბარეთა დიდი გადმოსახლება განიცადა. შუა აზიიდან გამოსულმა ამ ნომადებმა დაიპყრეს ირანი, ამიერ-კავკასია, ბიზანტიას ჩამოგლიჯეს მცირე-აზიის დიდი ნაწილი, სირია-პალესტინა, შექმნეს ძლიერი სამხედრო სახელმწიფო და დაპყრობილ ხალხთა უზარმაზარი კულტურული ტერიტორიები თავიანთი ჯოგების საძოვრებად გაიხადეს.

საქართველო უკიდურესი საფრთხის წინაშე დადგა. ქართლ-კახეთის თუ მესხეთის ჭალები თურქებმა თავიანთი ჯოგების საზამთრო საძოვრებად, ხოლო მთიანი ზეგანები იალაღებად გადააქციეს. ბაღ-ვენახისა თუ პურის ყანის ფართობები თანდათან ტრამალებმა და ტყეებმა დაიჭირეს. კულტურული ნამოსახლევი „აღსავსე იქმნა ირემთა და ეშუთა მიერ“.

დიდგვარიან აზნაურების საქართველო დამარცხდა თურქებთან ბრძოლაში და ქვეყანა ამოწყვეტა-გადაშენების საფრთხის წინაშე დადგა.

ქართველმა ხალხმა ამ საფრთხეს პოლიტიკური გადატრიალებით უპასუხა. ამ საქმის გმირი დავით აღმაშენებელი იყო. მან დიდგვარიან აზნაურთა მემკვიდრეობითი ბატონობა პოლიტიკურ სფეროში წვრილ აზნაურ მოხელეებით შესცვალა. მთელი ქვეყნის ძალებს მაქსიმალური მობილიზაცია უყო და კარზე მომდგარი სასიკვდილო საფრთხე ქართველ ხალხს თავიდან ააშორა. ქართველებმა დავითის ხელმძღვანელობით დაამარცხეს თურქი მომხდურები, მრავალწლოვანი ომებით გააძევეს ისინი საქართველოს საზღვრებიდან და საომარი ასპარეზი მათ წინააღმდეგ სომხეთსა და შარვანში გადაიტანეს.

XII საუკუნეში ფეოდალური საქართველო მსოფლიო პოლიტიკის ასპარეზზე გამოვიდა. თამარის დროშა „დავითიანი“ კი არ იყო მხოლოდ, არამედ „ალექსანდრიან“-„ავღუსტიანიც“. ალექსანდრე მაკედონელისა და ავგუსტუს კეისრის მემკვიდრეობის მითვისებით ქართველები არა მარტო თურქთა მიერ მიტაცებული მახლობელი აღმოსავლეთის კულტურული ქვეყნების განთავისუფლებას იჩემებდნენ, არამედ დასავლეთის კულტურული საგანძურის დაცვა-გავრცელების მისიასაც თავს იდებდნენ.

საქართველოს ასეთ როლს ახლო-აღმოსავლეთის კულტურულს თუ პოლიტიკურ სარბიელზე მაშინ არა მარტო ქართველები სცნობ-

დნენ, ამას აღიარებდნენ შორეული თუ ახლობელი მეზობლებიც— ზოგი სიხარულით, ზოგი შიშით და სინანულით.

თუ თამარის დროს ქართველთა ლაშქარი ირანის უშინაგანეს ქვეყნებს გამარჯვებული ეწვია, გიორგი ლაშა, თამარის ძე, იერუსალიმში სალაშქროდ და თურქების მფლობელობისაგან ქრისტიანთა ამ სალოცავის გასათავისუფლებლად ემზადებოდა. და ამ საქმის წარმატებით განხორციელებაში ეჭვი არ შესდიოდათ არა მარტო ქართველებს.

ამ ხანებში ფეოდალურმა საქართველომ სოციალური განვითარების იმ დონეს მიაღწია, როცა ქვეყანაში დიდი პოლიტიკური კრიზისი მოიწიფდა. ჯერ კიდევ გიორგი მესამემ, თამარის მამამ, დიდი გაჭირვებით ჩააქრო დიდგვარიანთა აჯანყება ხელისუფლების ცენტრალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ რომ იყო მიმართული. მეფის ხელისუფლების გამარჯვება დროებითი აღმოჩნდა. უკვე თამარის დროს ახალი საერთო გამოსვლის შედეგად დიდაზნაურებმა მტკიცედ მოიპოვეს მათი სოციალური მნიშვნელობის შესაფერისი პოლიტიკური უფლებები. გიორგი ლაშას ცდა, ძველი მდგომარეობის აღდგენისაკენ მიმართული, მარცხით დამთავრდა. დავით აღმაშენებლის მიერ შექმნილმა პოლიტიკურმა წესწყობილებამ თავისი დრო მოჭამა.

ამ შინა-პოლიტიკური კრიზისის დროს ჩვენ ქვეყანას უდიდესი განსაცდელი მოევლინა. შუა აზიიდან მონღოლ-თათართა გადმოსახლება დაიწყო.

მრავალი ცნობა შემოგვინახეს იმდროინდელმა მწერლებმა ქართველების ასწლოვანი გმირული ბრძოლის შესახებ თათარ-დამპყრობელთა წინააღმდეგ. ამ მწერლებს აღნიშნული აქვთ, თუ რაში იყო თათრების ძალა, როგორ მძიმე იყო მათი ბატონობის უღელი, როგორ ებრძოდა საქართველო ამ მოძალადეებს, რაში იყო ქართველთა ძალა ან სისუსტე. მოგვითხრობენ სასტიკი ბრძოლების ეპიზოდებს, გვიხატავენ, ქვეყნისათვის თავგანწირულ-თავდადებულ პირნათელ გმირებს. არც პირშავ მოღალატეებს ივიწყებენ.

თათრები ჩრდილო-აღმოსავლეთ აზიიდან გამოვიდნენ. მათი წინამძღოლი, თათართა მრავალი ტომის გამაერთიანებელი და მათი პირველი ხელმწიფეც, ჩინგიზ-ყაენი იყო. კულტურულად თათრები განვითარების დაბალ საფეხურზე იდგნენ. მათი მეურნეობა მეჯოგეობა და მონადირეობა იყო. სოციალური განვითარებაც ამის შესაფერი ჰქონდათ. კლასობრივი, ფეოდალური ურთიერთობა ახალი ფეხადგმული იყო ხალხის ფართო მასები ჯერ ისევ გვაროვნული წყობილების წესებით ცხოვრობდნენ. თათრები ღარიბები იყვნენ, როგორც ეს მათ პრიმიტიულ მეურნეობას შეეფერებოდა.

სულიერი კულტურაც საამისო ჰქონდათ: პირველყოფილი, წერაკითხვაც კი მათთვის ჯერ კიდევ უცხო იყო.

სამაგიეროდ თათრებს ბევრი ისეთი თვისება გააჩნდათ, რასაც მრავალი კულტურული ხალხი მოკლებული იყო. მონადირე-მეჯოგე თათრები უშიში მეომრები იყვნენ. ხანგრძლივი ლაშქრობა მათ პრიმიტიულ მეურნეობას ოდნავადაც არ აზიანებდა: საითაც მიდიოდნენ, თავისი ჯოგებიც თან მიჰყავდათ. ამ ჯოგებთან იყო მათი ცოლშვილიც. თათართა ლაშქარი სულ მხედრობა იყო, ხოლო შეიარაღებით ის არავის არ ჩამოუვარდებოდა. მზა იარაღს თათრები მეზობელი კულტურული ხალხებიდან არაბ და სპარს ვაჭრების საშუალებით იძენდნენ. ომში სპეციალური მომარაგება თათრებს არ სჭიროდათ: პურს არა სჭამდნენ, ხოლო ცხენის ხორცი და ცხენის რძე თან ჰქონდათ.

ჩინგიზ-ყაენმა დიდი ბრძოლის შედეგად გააერთიანა თათართა ტომები, ძლიერი და მტკიცე საომხედრო ორგანიზაცია შექმნა და უმალ მეზობელ ქვეყნების დაპყრობას შეუდგა საშოვარს დახარბებული მეომრების საშუალებით. ჩინგიზ-ყაენის ამ სამხედრო ორგანიზაციის წინააღმდეგ უძლური აღმოჩნდნენ კულტურული ქვეყნები: ჩ ი ნ ე თ ი, ი ნ დ ო ე თ ი, ხ ვ ა რ ა ზ მ ი ს ს ა ს უ ლ ტ ნ ო, კ ი ე ვ ი ს ს ა მ ე ფ ო, ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო. ერთი მეორის მიყოლებით სულ რაღაც ოცი წლის განმავლობაში ჩინგიზ-ყაენმა და მისმა მემკვიდრეებმა უზარმაზარი ქვეყნები დაიპყრეს. ასე შეიქმნა მონღოლ-თათართა სახელმწიფო, რომელსაც ისტორიაში არც მანამდე, არც შემდეგ სიდიდით ტოლი არა ჰყოლია.

საქართველოში მონღოლები ჯერ კიდევ 1220 წელს მოვიდნენ, როცა მათ მოსვლას აქ არავინ ელოდა. ქართველებს შორიდან ესმოდათ, რომ თათრები ხვარაზმის შაჰს ებრძოდნენ. ხვარაზმის ქვეყანა საქართველოს მეტოქე იყო და ქართველები თათართა მიერ ხვარაზმშაჰის დამარცხებას სასურველადაც სთვლიდნენ. მართლაც თათრებმა სწრაფად დაამარცხეს ხვარაზმ-შაჰი. ჩინგიზ-ყაენმა მხედართ-მთავარი ჯ ებ ე დ ა ს უ ბ უ დ ა ი ოცი ათასი კაცით ხვარაზმ-შაჰ მ უ ჰ ა მ ე დ ს დაადევნა, თვითონ კი მუჰამედის შვილს ჯ ა ლ ა ლ ს გამოუდგა. ჯებემ და სუბუდაიმ თათართა ჯარით ირანი მოითარეშეს და ამიერ-კავკასიაზე გავლით დარუბანდის გზით უკან დაბრუნება მოისურვეს. საქართველოს მეფემ გიორგი-ლაშამ სასწრაფოდ ჯარი შემოიყარა და ამ უცნაური ხალხის წინააღმდეგ წავიდა. უცნაურმა თათრებმა ომის ხერხიც უცნაური იხმარეს. თავიანთი ჯარი ორად გაჰყვეს. ერთი ნაწილი ჩაასაფრეს, მეორემ კი ომი დაიწყო. კარგა ხნის ბრძოლის შემდეგ თათრებმა პირი იბრუნეს და გაიქცნენ. ქართველები დაედევნენ და ჩასაფრებულ თათართა რაზმსაც გასცდნენ.

ამ დროს უკანასკნელნი წამოიშალნენ და ქართველთა ჯარი ორ ცეცხლ შუა მოჰყვა: თათართა გაქცეული რაზმი შედგა და შემოუტია, ხოლო უკანა მხრიდან ჩასაფრებულებმა დაჰკრეს. მოულოდნელმა ხიფათმა ქართველ მეომრებს გული გაუტეხა. დამარცხდნენ, 5000 მეომარი დაეღუპათ, თუმცა მცირე ზარალი არც თათარებს უნახავთ. გამარჯვების მიუხედავად თათრებმა ამ ხელად საქართველოს თავი დაანებეს და მხოლოდ მეორე წელს გაზაფხულზე სცადეს მდიდარი საქართველოს ძარცვით გული ეჯერათ. მოსულ მტერს ქართველები ეხლა უკვე დიდი ლაშქრით მზად დახვდნენ. თათრებთან ერთად საქართველოს საძარცვავად მეზობელი თურქებიც მრავლად დაძრულიყვნენ. ქართველებმა მომხდურები დაამარცხეს. ჯებე და სუბუდაი დარწმუნდნენ, რომ საქართველოს გაძარცვა უიმედო საქმეა და სასწრაფოდ დარუბანდისაკენ წავიდნენ.

ქართველებსაც ეგონათ, რომ თათრები სამუდამოდ გაქრნენ ახლო აღმოსავლეთიდან. გიორგი ლაშა ისევ იერუსალიმზე ლაშქრობის თადარიგს შეუდგა.

ქართველები ცდებოდნენ. თათართა საშინელი ძალა ჯერ, მართალია, შორეული და შუა აზიის დაპყრობაში იყო გართული, მაგრამ ჩინგიზ-ყაენის დაპყრობითს გეგმებში ახლო აღმოსავლეთის კულტურული ქვეყნები სულ უფროდაუფრო საპატიო ადგილს იჭერდა და ეს მით უფრო, რაც თათრები უშუალოდ ეცნობოდნენ ერთი მხრით ამ ქვეყნების სიმდიდრეს, ხოლო მეორე მხრით მათი თავდაცვის შედარებით მცირე უნარს. ამის შედეგი იყო, რომ ჩინგიზ-ყაენმა, როცა თავისი მეფობის ბოლო ხანებში შვილებს შორის სახელმწიფო დაანაწილა, მან დაპყრობილი ქვეყნების გვერდით დასაპყრობიც წილში ჩააგდო.

საქართველოში თათართა მეორედ მოსვლა 1236 წლიდან დაიწყო. მაგრამ არც 1221—1236 წლებს შორის ხანა ყოფილა ქართველებისათვის მშვიდობიანი. 1225 წლიდან 1231 წლამდე ახლო აღმოსავლეთი ხვარაზმის შაჰმა ჯალალ-ედდინმა შეაშფოთა. ხვარაზმიდან ლტოლვილ ჯალალს თათართა უკუქცევა გადაეწყვიტა. იგი ახლო აღმოსავლეთის კულტურულ ხალხთა გაერთიანებისა და თათართა წინააღმდეგ მათი დარაზმვის მეთაურობას იჩემებდა. მაგრამ ჯალალისა არავის სჯეროდა. გუშინდელი დამპყრობელი დღეს თავისუფლებისათვის მებრძოლი გმირის როლში არ გამოდგებოდა. ჯალალმა, რაკი მოლაპარაკებით არაფერი გაუვიდა, ისევ დაპყრობა არჩია: მრავალი ქვეყანა აიოხრა, მრავალი ათასი ადამიანი გაჟლიტა, მაგრამ ვერა გააწყო რა,—მოღალატეებისა და მტრების მეტი ვერაფერი შეიძინა. როცა, ბოლოს, 1231 წელს თათრებმა ირანი დაიპყრეს, ჯალალი სულ მარტო დარჩა: ჯარი გაექცა, ახლობლებმაც უღალატეს

და ხვარაზმ-შაჰი უსახელოდ დაიღუპა, ჯალალის ამ უგუნურმა მოღვაწეობამ თათრებს მოსვლა გაუადვილა: მისგან განაწამები ხალხები თათრებს მხსნელებად უყურებდნენ, პირველყოვლისა ქრისტიანები, რომელთაც ხვარაზმ-შაჰი განსაკუთრებით მტრობდა. მაგრამ ჯალალის მტარვალობისაგან „მხსნელი“ თათრები არანაკლები დამპყრობელები იყვნენ. ამაში კულტურული ახლო აღმოსავლეთი ჩქარა დარწმუნდა.

როგორც შევნიშნეთ, თათართა ქვეყანას ახლო აღმოსავლეთში ან სულ არა, ან კიდევ მეტად სუსტად იცნობდნენ. იცოდნენ, რომ თათრები ჩამორჩენილი, უკულტურო ხალხი იყო, არც მათი ძლიერებისა გაეგონათ რა. და ეხლა, როცა თათრები ასე უეცრად ასეთი საშინელი ძალით მოევლინენ ქვეყანას, დასცეს და დაამხვეს მთელი რიგი ძლიერი კულტურული სახელმწიფოები, ფეოდალური ახლო აღმოსავლეთი ეჭვმა შეიპყრო. კლასობრივი საზოგადოება კარზე მომდგარ თათრებს სხვადასხვანაირად შეხვდა. ვრცელდებოდა რწმენა, რომ ღმერთმა მფლობელ-მჩაგვრელთა ცოდვა-უსამართლობის გამო ეს ქვეყანა დასაჯა და დამსჯელად მას თათართა ურდოები მოუვლინა.

ასეთი შეხედულება, გასაგებია, უმთავრესად საზოგადოების დაბალ ფენებში ვრცელდებოდა.

თავის მხრით თათართა შეუცნობელი ძალის წინაშე შიშით შეპყრობილი ვერც მაღალი ფეოდალური საზოგადოება იჩენდა საჭირო მხნეობას, მას ვერც თათართა ძლევამოსილების მიზეზები აეხსნა.

ამრიგად, იმ ფეოდალურ ქვეყნებში, რომელთაც თათრები უტევდნენ, მათ გათიშული, ერთიანობის სიმტკიცეს მოკლებული და სულიერად გატეხილი საზოგადოება ხვდებოდა.

მოკლედ: თათართა განსაკუთრებულმა სიძლიერემ, მათმა უცნაურობამ, ქრისტიანებსა და მაჰმადიანებს შორის ბოლომოუღებელმა მტრობამ, ფეოდალური საზოგადოების შიგნით გამწვავებულმა კლასობრივმა ბრძოლამ დამპყრობელთა გამარჯვება შესაძლებელი გახადეს და კულტურულად დაწინაურებული საქართველოც (სხვა მეზობელ ქვეყნებთან ერთად) ჩამორჩენილ თათართა ბატონობის უღელს შეუდგა.

მაინც თათრებს დიდი ბრძოლების გადახდა დასჭირდათ, ვიდრე საქართველოს, თუნდაც დროებით, დაიმორჩილებდნენ. 6 წლის განმავლობაში აოხრებდნენ თათართა ურდოები ჩვენს ქალაქებს, ციხეებს, სოფლებს. მტერი კარგად ხედავდა ქართველთა ძლიერებასა და მოწინააღმდეგის გასატეხად ცდას არ აკლებდა. თათრები მზაკვრულად ცდილობდნენ ქართველთა საერთო ფრონტში განხეთქილე-

ბა შეეტანათ. კლასობრივ ფეოდალურ საზოგადოებაში ასეთი ხერხი ადვილად სჭრიდა. მტრის მხარეზე გადასულ ქართველ მოღალატეს თათრები უხვად წყალობას ანიჭებდნენ. მაგალითად, მოღალატე ელიგუმ ორბელს თათრებმა უწყალობეს ვრცელი ქვეყნები. ეს ქვეყნები ელიგუმის მეზობელი ქართველი ფეოდალებისა იყო, რომლებიც ჯერ არ დამორჩილებოდნენ და თათრების წინააღმდეგ მედგარ ბრძოლას განაგრძობდნენ.

ელიგუმს მოღალატეობა ჩქარა ჩამწარდა. რაკი საჭიროებისდაგვარად მოიხმარეს, შემდეგ არც თათრები სცემდნენ დიდ პატივს სამშობლოს ორგულს. ამიტომაც იყო, რომ თათრებმა არც დიდად შეიწუხეს თავი, როცა მათი ერთგული და ნამსახური ელიგუმი ქართველებმა საიქიოს გაისტუმრეს. ეს იყო 1242 წლის ახლო ხანში. მაგრამ ელიგუმისებრ საზიზღარ მოღალატეების გვერდით იმდროის მწერლები თავდადებულ მეომრებზედაც მოგვითხრობენ. როდესაც გამუდმებული ხანგრძლივი ბრძოლით მოღლილი ქვეყნები ერთი მეორის მიდევნებით დამპყრობელთ დაემორჩილნენ, სამცხის მთავარი ივანე ციხისჯვარელი ფარხმალს არ ჰყრიდა და, სანამ ქუთაისში შეხიზნულ მეფე რუსუდანს მტრისათვის მორჩილება არ გაეცხადებინა, ეს მთავარიც მედგარ წინააღმდეგობით სიცოცხლეს უმწარებდა თათართა ჯარებს.

XIII საუკუნის ორმოციან წლებში თათრები ყოველმხრივ შემოადგნენ თბილისს. ქართველებმა თვით გადასწვეს საყვარელი დედაქალაქი და მტერს ნაცარ-ფერფლი დაუტოვეს. რუსუდან მეფე ქუთაისს გადასულიყო. ამაოდ ცდილობდნენ თათრები დასავლეთ საქართველოში შეჭრას. ქართველებმა ადვილად ჩახერგეს ვიწრო გზები, მტკიცედ დაუხვდნენ მტერს გადასავლებსა თუ ხეობებში და მძიმედ დაზარალებული თათრები მალე აიძულეს ხელი აეღოთ ლიხთ-იმერეთის დაპყრობის განზრახვაზე.

სამაგიეროდ, საქართველოს დანარჩენი ნაწილები თათრებმა მკვიდრად ჩაიგდეს ხელში.

ქუთაისში გახიზნული მეფე უშედეგოდ ცდილობდა დამხმარე-მოკავშირე ეშოვნა თათართა წინააღმდეგ. ახლობელ ქვეყნები სულ თათრებს დაეპყროთ, შორეულნიც შიშით ილეოდნენ. მაინც, ქართველთა ძლიერი წინააღმდეგობის წყალობით რუსუდან მეფემ ზავის პირობები დამპყრობელთაგან შედარებით საპატიო მიიღო. ქართველთა მეფემ აღიარა თათართა ბატონობა და ყოველწლიური ხარკითა და ლაშქრით მიშველება აღუთქვა. თათრებმა რუსუდანის უფლება საქართველოს დაპყრობილ ნაწილზედაც სცნეს, ასე რომ ქვეყანა საშიშ დანაწილებას გადაურჩა.

ამით საბოლოო ზავი თათრებსა და ქართველებს შორის, რა თქმა უნდა, არ დამყარებულა და ქართველ ხალხს თავისუფლებისათვის ბრძოლაზე ხელი არ აუღია. მონება-მორჩილების გამოუცდელ ქართველთა თაობებს თათართა ხარკი და სამხედრო სამსახური ემძიმებოდათ. ქართველები თათართა მიერ დაპყრობილ ხალხთა შორის ყველაზე უფრო ქედფიცხელებად ითვლებოდნენ და, უნდა ითქვას, თათრები ქართველების ამ დაუმორჩილებლობას თუმცა სასტიკად ებრძოდნენ, მაგრამ ამაყ და მებრძოლ ხალხს პატივსაც სცემდნენ. თათართა ურდოში მაღალი და საპატიო თანამდებობების მინიჭებით დამპყრობელები ცდილობდნენ ქართველ დიდაზნაურების უმაღლესი ფენის მიმხრობას და ამით ქართველთა წინააღმდეგობის შენელებას. მტერს აქ მარცხი ელოდა. ცალკეული პირები მათ, მართალია, მოისყიდეს, მაგრამ უკმაყოფილება ისე ძლიერი იყო, რომ დამპყრობელთა წინააღმდეგ აჯანყება ჩქარა ქართველთა მორიგ საკითხად იქცა.

ერთ-ერთი აჯანყების შესახებ შემდეგი საინტერესო მოთხრობა აქვს დაცული იმდროინდელ მწერალს: 1247 წელს საქართველოში მეფე არ იყო. რუსუდანი გარდაცვლილიყო, მისი ვაჟი დავითი კი შორეულ მონღოლეთში წასულიყო, რომ თათართა ყაენისაგან, რომელიც ყარაყორუმში იჯდა, საქართველოში მეფობის ნებართვა მიეღო. იქვე გაპგზავრებულიყო ლაშა გიორგის შვილიც. ისიც მეფობას ეძებდა. აი ამ უმეფობის ხანს ქართველებს აჯანყება გადაეწყვიტათ. ქვეყნის მმართველი თავ-კაცები ჯავახეთში, კოხტასთავს, შეიკრიბნენ: ეგარსლან ბაკურციხელი, ცოტნე დადიანი, ვარამ გაგელი, ყვარყვარე ჯაყელი, შოთა კუპრი, თორღვა პანკელი, გამრეკელ თორელი, სარგის თმოგველი და სხვანი. მთავრები შეითქვნენ, შეთანხმდნენ და აჯანყების დღეც დანიშნეს, როცა ყველანი თავიანთი ლაშქრით შიდა-ქართლში უნდა მისულიყვნენ. მაგრამ ვიღაც მოღალატემ შეთქმულება გასცა. კრება ჯერ მთლად არ დაშლილიყო, რომ თათართა ჯარი შეთქმულებს თავს წამოადგა. კრების მონაწილენი დაპატიმრეს. ანისის მხარეს, შირაკავანს, თათართა მთავარ სადგომში წაიყვანეს. რა წამება არ მიაყენეს მტარვალებმა, შეთქმულები მაინც ვერ გასტეხს. თითოეული პატიმარი დაჟინებით ერთსადაიმავეს გაიძახოდა, რომ მათი შეკრების მიზანი არა შეთქმულება, არამედ თათართათვის მისართმეველი ხარკის აკრეფის საკითხი იყო. თათრებს ასეთი პასუხისა ბარემ არა სჯეროდათ, მაგრამ ბრალდებულთა ეს სიმტკიცე-გაუტეხელობა მათ თანდათან აეკვეტდა. პატიმარ ქართველებს შორის ცოტნე დადიანი არ ერია. კოხტასთავის კრებიდან მან ზოგიერთ სხვასთან ერთად თათართა მოსვლას გაასწრო და დაპატიმრებას გადარჩა. პაემანის თანახმად ცოტნემ მოუწოდა დასავლეთ

საქართველოს პატრიოტებს. აჯანყებულთა ლაშქარს ცოტნე წამოუძღვა და სამცხის საზღვარზე მოსულმა შეთქმულების ჩაშლის საზარელი ამბავი შეიტყო.

მარცხმა გმირი ვერ გასტეხა. აჯანყების საქმე ამჯერად წაგებული ჩანდა და მისი ასეთ პირობებში დაწყება მხოლოდ საზარალო და მავნებელი იქნებოდა. ცოტნემ სწორად განსაჯა, ლაშქარი სახლში დააბრუნა და შეთქმულ თანამებრძოლთა გადარჩენის საქმეს შეუდგა. დადიანმა დაპატიმრებულთა ვითარება გამოიკითხა და ამის შესაფერისად გაბედული მოქმედების გეგმა დააწყო. თათრებს შორის ქართველებს გულადებისა და პირდაპირ მთქმელთა სახელი ჰქონდათ დავარდნილი. ცოტნემაც ამ გარემოებაზე ააგო თანამებრძოლთა გამოხსნის გეგმა. დადიანი ორიოდე მხლებელით გაეშურა ანისისაკენ და იქ მიიჭრა, სადაც ნახევრად შიშველი მხარშეკრული შეთქმული ქართველები მოედანზე ეყარნენ. დადიანმა სამოსელი გაიხადა, მხლებელთ ხელები ზურგზე დააკვრევინა და მოედანზე პატიმრებს შორის დაჯდა.

ეს უცნაური ამბავი გაკვირვებულმა თათრებმა ჯარის სარდალს აცნობეს. ცოტნეს მთელ საქართველოში პატიოსანი და სამართლიანი კაცის სახელი ჰქონდა მოხვეჭილი. თათრებსაც გაგონილი ჰქონდათ ერისთავის ეს სათნოებანი. ცოტნე ძლიერი მთავარი იყო, ამასთან—შეთქმულების მონაწილეც და მისი დაუპატიმრებლობა თათრებს აფიქრებდა. ამიტომაც კიდევ უფრო უცნაური ჩანდა ცოტნეს საქციელი.

დადიანი თათართა სარდლის კარავში წაიყვანეს და იქ ასეთი საქციელის მიზეზი ჰკითხეს. ცოტნეც ამას ელოდა. მან მოახსენა თუ რა იყო ქართველთა ჯავახეთში შეკრების მიზანი. უარჰყო ბრალდება შეთქმულება-აჯანყების შესახებ და დაუმატა, რომ მისი ურდოში მისვლის მიზანი იყო სიმართლე მოეხსენებინა თათართათვის, რათა ამით თავისი თანამოძმეები ეხსნა განსაცდელისაგან, ან არა და უდანაშაულო თანამოძმეებთან ერთად თითონაც დაღუპულიყო იმ საქმისათვის, რომლის მონაწილეც სხვებთან ერთად ისიც იყო. ცოტნეს მოქმედებამ თათრებზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა, მის პასუხსაც ერწმუნენ და პატიმარი ქართველებიც გაათავისუფლესო, გადმოგვცემენ. მადლიერმა ქართველმა ხალხმა კი ფავდადებული პატრიოტის გმირული საქციელი ძვირფას გადმოცემად მომავალ თაობებს შეუნახა.

დამპყრობელთა უღელქვეშ საქართველო ვერ ისვენებდა. ქართველი ხალხის გულში მტარვალთა სიძულვილის ცეცხლი არ ნელდებოდა. აჯანყების ალი ხან ერთ კუთხეში ავარდებოდა, ხან მეორეში. მაგრამ მტერიც ფხიზლობდა და სხვადასხვა მზაკვრული ხერხით

ქართველთა ბრძოლის ძალას ანელებდა. ჯერ სულ არ იყო და 1250-იანი წლებიდან თათრებმა საქართველოში ორი მეფე დაამტკიცეს— რუსუდანისა და მისი ძმის გიორგის შვილები. თათრების აზრით ეს მეფეები ერთიმეორის მოქიშპენი იქნებოდნენ და, მაშ, თითოეული მათგანი თათრების ხელის შემყურე უნდა ყოფილიყო. მეორე მხრით, თათრებმა ქართველი დიდმოხელე აზნაურების მფარველობა დაიჩემეს, ქვეყნის ორგულები ერთგულთა ხარჯზე გააძლიერეს, გაამდიდრეს და ქართველ მეფეებს ორგულ, უამურ დიდმოხელეთა დასჯა-დატუქსვის საშუალება მოუსპეს. მოკლედ: ქართველთა შორის ურჩობას, ქვეყნის დაშლა-დანაწილებას, ერთმანეთის უნდობლობა-გაუტანლობას, მიმძლავრება-დაბეზღებას, ანუ, როგორც მაშინ იტყოდნენ, ყოველგვარ „ულუსობას" თათრებმა ხელი შეუწყვეს, რომ თავისი ბატონობა ქართველ ხალხზე უზრუნველეყოთ.

როგორც აღვნიშნეთ, თათრებმა უზარმაზარი ქვეყნები დაიპყრეს, მაგრამ იმდროინდელი განუვითარებელი მეურნეობისა და ტექნიკის პირობებში ასეთი დიდი სახელმწიფო დიდხანს ვერ იარსებებდა და თათართა სამფლობელომაც უმალვე დაშლა იწყო. ჯერ კიდევ ამ სახელმწიფოს შემქმნელმა ჩინგიზ-ყაენმა დაანაწილა დაპყრობილი (და დასაპყრობი) ქვეყნები თავის ოთხ შვილს შორის. ერთი ამ შვილთაგანი სხვების უფროსად გამოაცხადა და დანარჩენ შვილებს მისდამი მორჩილება დაავალა. ამით ჩინგიზ-ყაენს სახელმწიფოს მთლიანობის შენარჩუნება სურდა. მაგრამ, რაც დრო გადიოდა, ჩინგიზის მემკვიდრეები ერთი-მეორისაგან სრულიად დამოუკიდებელი ხდებოდნენ და ჩქარა ურთიერთ შორის მტრობა-ღმიც კი შემოერიათ. ასე რომ თათრები ფეოდალური დაშლა-დასუსტების გზაზე შედგნენ. ეს გარემოება დაპყრობილ ხალხებს თათართა მონობისაგან განთავისუფლების იმედებს აძლევდა. ამავე დროს თათართა მფლობელობა სულ უფროდაუფრო აუტანელი ხდებოდა. 1250-იანი წლებიდან თათრები ახალ ქვეყნებს იშვიათად იპყრობდნენ. ამისდაკვალად ნაალაფევ-ნატყვენავი შემოაკლდათ. ამავე დროისათვის თათართა ურდო ლოთობა-ღორმუცლობას, ფუფუნებასა და ფლანგვას შესჩვეოდა, და, როცა საფლანგავი შემოაკლდათ, საწველ ფურად, ბუნებრივია, დაპყრობილი ხალხები ამოიჩემეს. 1255-იან წლებში თათარმა მოხელეებმა საქართველო (ისე როგორც სხვა დაპყრობილი ქვეყნები) ასწერეს და ახალი გადასახადები შეაწერეს. როგორც სიმძიმიდ, აგრეთვე თავისი ხასიათით ეს გადასახადები ყოვლად უცხო და უჩვეულო იყო ქართველი მშრომელი ხალხისათვის. ხოლო კიდევ უფრო მძიმე ამ ხარკის შეგროვების თათრული წესი იყო. ხარკის შეგროვების საქმე თათართა საბატონოში უსინდისო მედროვე მოხელეთა და სპეკულანტ-მოიჯარადრეთა ხელში იყო.

ყოველ წელს უმოწყალო და ველურ მძარცველებად მოედებოდნენ ხოლმე ქართულ სოფლებს თათართა ხარკის მსუნაგი ამკრეფლები. მიჰქონდათ არა მარტო ის, რაც სავალდებულო გადასახადი იყო, არამედ იტაცებდნენ ყველაფერს, რასაც კი იმათი ხარბი თვალი და ხელი მისწვდებოდა. ასე ყოველწლობით იძარცვებოდა განაწამები ქართველი გლეხობა, ხოლო გამკითხავი არსად იყო... უჩვეულო და მძიმე იყო აგრეთვე სამხედრო მოვალეობა, დამპყრობელმა რომ საქართველოს დააკისრა. ახალი წესით ქართველ გლეხობას თათრებისათვის სალაშქროდ 90.000 მეომარი უნდა გამოეყვანა.

ყველა ამ „ულუსობამ" ქართველი გლეხი წელში გაწყვიტა. მრავალგზის დარბეულ-აოხრებულმა გლეხობამ მეურნეობაზე თანდათან გული აიყარა, ხიზნობა-ბოგანობა იწყო. ხოლო რაკი გლეხი-კაცი დასუსტდა, საქართველოც დაძაბუნების გზაზე შედგა. გაპარტახებული გლეხების პატრონ აზნაურებსაც სიღარიბე შემოერიათ. შემცირდა ხელოსნობაც, დაეცა ვაჭრობა...

1259 წელს საქართველოში კვლავ აჯანყებამ იფეთქა. მას სათავეში დავით ლაშას ძე ედგა. აჯანყების აქტიურ მონაწილეთაგან ცნობილი არიან სარგის ჯაყელი, ზაქარია მხარგრძელი და სხვები თათრებმა შეძლეს და ზოგიერთი ქართველი მთავარი გაიერთგულეს. ასე რომ ეს აჯანყება საყოველთაო არ გამოდგა. სუმბატ ორბელი და მისი მსგავსი მოღალატე მედროვეები მტრის ბანაკში იყვნენ და აჯანყებულ მოძმეთა ხარჯზე ხელის მოთბობას ლამობდნენ.

აჯანყებულთა ლაშქარმა ტაშისკართან (ბორჯომის ხეობიდან გამოსავალთან) სასტიკად დაამარცხა თათართა დამსჯელი ჯარი. მტერი სრულ განადგურებას მხოლოდ სამშობლოს მოღალატე ქართველმა მთავრებმა გადაარჩინეს. მეორე გზის ომში აჯანყებულნი დამარცხდნენ, მაგრამ თათრები გულისწადილს მაინც ვერ ეწივნენ, აჯანყების მეთაურები ვერ შეიპყრეს. უკანასკნელნი დასავლეთ საქართველოში გადავიდნენ და თათრებისადმი დამორჩილებას არ აპირებდნენ. ცოფმორეულმა, გამხეცებულმა მტერმა უდანაშაულო ტყვეებზე მოიკლა სისხლის წყურვილი: ურდოში დაახრჩვეს დავით ლაშას ძის მეუღლე დედოფალი გვანცა და მოჰკლეს ზაქარია ამირსპასალარი, შანშას ძე.

ჩქარა თათრები იძულებული შეიქნენ აჯანყებულთა შემორიგებას ცდილიყვნენ. ამ დროისათვის თათართა ძლიერებას უკვე წყალი შესდგომოდა. მათი სხვადასხვა ურდოები ერთი მეორეს მტრობდნენ. ჩრდილოეთის ურდო მდიდარი ამიერ-კავკასიის დაპყრობას აპირებდა და ამ მიზნით სამხრეთის ურდოზე ომით წამოსულიყო. ასეთ პირობებში ქართველთა აჯანყება საშიში იყო: აჯანყებულებს

შეეძლოთ ჩრდილოეთ კავკასიიდან ამიერ-კავკასიაში გადმოსავალი გზები ჩრდილოელებისათვის გაეხსნათ. ილხანმა (ასე ეწოდებოდა სამხრეთის ურდოს ყაენს) აჯანყებულებს „აპატივა“, საჩივარი გულისყურით მოუსმინა და სათხოვარიც შეუსრულა. ქართველებმა კარგად შეამჩნიეს, რომ თათრები ეხლა არც უძლეველები არიან და არც მათ წინააღმდეგ აჯანყებაა უიმედო. ამიერიდან ქართველები კიდევ უფრო მეტი მხნეობით განაგრძნობდნენ ბრძოლას სამშობლოს საბოლოოდ განთავისუფლებისათვის. აჯანყებამ დავით ლაშას ძის მეთაურობით ის შედეგიც მოიტანა, რომ თათართა მთავრობამ ყურად იღო ქართველთა საჩივარი გადასახადების სიმძიმისა და მოიჯარადრეების უსამართლობის შესახებ. ილხანმა ამ საქმის გამოსწორებაც სცადა, თუმცა უშედეგოდ.

უნდა აღვნიშნოთ: სამშობლოს ამ საერთო გაჭირვების დროს ყველა ერთნაირად როდი იბრძოდა. პირშავი მოღალატეებიც იყვნენ. ისინი ჯაშუშობდნენ, ორპირობდნენ, მტრის კალთას ეფარებოდნენ და თავდადებულ მებრძოლთა სისხლის ხარჯზე სუქდებოდნენ. ასეთები იყვნენ სუმბატ ორბელი, სადუნ მანკაბერდელი, მისი შვილი ხუტლუ-ბუღა, კახაბერ რაჭის ერისთავი და სხვა მისთანები.

საქართველოს მძიმე მდგომარეობით სარგებლობა ახლობელმა მეზობლებმაც მოისურვეს. აქამდე სოროებში მიმალული თურქები წამოიშალნენ. მათ თავისი ამინდი ეგონათ. ჯერ კიდევ 1250-იან წლებში, უმეფობის ხანაში, ერაყ-აზერბაიჯანელი თურქები ვიღაც ყარახანის მეთაურობით შემოესივნენ საქართველოს სამხრეთ სანაპიროებს და დაუცველ ქვეყანას სასტიკად არბევდნენ. საქართველოს ამ ნაწილის მთავარი შანშა მხარგრძელი 30.000 კაცით ფიცხლად გაეგება მტერს. ომი მდინარე არაქსის გაღმა მოხდა, ვალაშკერტის მიდამოებში. რიცხვით სიჭარბის მიუხედავად თურქები დამარცხდნენ, ნაძარცვთან ერთად მთელი თავისი ჯოგები თუ სხვა ქონება გამარჯვებულთ დაუტოვეს და თავქუდმოგლეჯილი გაიქცნენ. შანშას ლაშქარი ხოცვა-ჟლეტით შორს ხლათამდე მიჰყვა გაქცეულ მტერს და მტაცებელი ისე დააზარალა, რომ საქართველოს მიწაზე კვლავ ქურდობა-ტაცების ხალისი მას დიდი ხნით დაუკარგა.

ამავე ხანებში მცირე-აზიელი თურქები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სარბევად წამოვიდნენ. მრავალ ათას თურქთა მარბიელებს ალთუ-ხანი და ორ-ხანი მოუძღოდნენ. თურქებმა აიღეს ნაპირის ქვეყნები მათი ციხე-ქალაქებით: ბასიანი, ტაო, ბანაოლთისი. ამ სანაპიროების მთავრებმა დახმარება სთხოვეს სამცხის მთავარს ყვარყვარეს. მესხები ფიცხლავ მიეშველნენ

შევიწროებულ თანამოძმეებს. 10.000 მეომრით გაეშურა ყვარყვარე სამცხის სპასალარი და თავხედ მტერს ვ ა ნ ი ს-ვ ა კ ე ს ჩაეგება. თავის სიმრავლეს მინდობილი მტერი ძლიერად დადგა. მაგრამ სიმხნეს მინდობილი ქართველების მკლავ-მაგარ შეტევას მტერმა ვერ გაუძლო. მძიმე ომის შედეგად დამარცხებული მტაცებლები გაიქცნენ და ვანის-ვაკეს დასტოვეს მთელი ნარბევ-ნაძარცვი, საკუთარი იარაღ-მოკაზმულობა თუ ცხენ-ჯორ-აქლემი.

სამცხის სპასალარმა გაქცეულ მტერს თავისი შვილიშვილები ი ვ ა ნ ე და ს ა რ გ ი ს ი დაადევნა ქართველთა ჯარით. მდევრებმა ადვილად დააგდებინეს თურქებს მინატაცები ციხე-ქალაქები და საქართველო თურქ მარბიელთაგან სავსებით გასწმინდეს.

1300 წლის ახლოს, როცა აღმოსავლეთ საქართველოს უდიდესი ნაწილი თათართა წინააღმდეგ აჯანყების ალში გახვეულიყო, მცირეაზიელმა თურქებმა ერთხელ კიდევ სცადეს ჩვენი ქვეყნის მორპევა. ამ მომთაბარეთა მეთაური ვინმე ა ზ ა ტ-მ ო ს ე იყო. 60.000 თურქი მოედვა სარბევად სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს. თურქებს არავინ ელოდა და ქვეყანაც მ ტ ა ც ე ბ ლ ე ბ ს მ ო უ მ ზ ა დ ე ბ ე ლ ი დახვდა. მტერმა აიკლო და დაარბია ბ ა ს ი ა ნ ი, ტ ა ო, ნ ი გ ა ლ ი ს ხ ე ვ ი, მ უ რ ღ უ ლ ი. აქ გაუვალ ვიწროებში სახელ-დახელოდ გამოსულმა ქართველებმა ხ ე რ ხ ე მ ლ ი ს ძ ე ე ბ ი ს მეთაურობით დაამარცხეს და უკუაქციეს თ უ რ ქ ე ბ ი. ტაოს ერისთავი თ ა ყ ა ფ ა ნ ა ს კ ე რ ტ ე ლ ი თავგამოდებით ებრძოდა შემოსეულთ. თ ო რ თ ო მ ი ს თ ა ვ ს თავისი მცირე ჯარით თაყამ მძიმედ დააზარალა მტერი, მაგრამ თურქების განდევნა მათი სიმრავლის გამო მეტად ძნელი ჩანდა. ამ დროს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ბ ე ქ ა ჯ ა ყ ე ლ ი პატრონობდა. მისთვის მიეჩემებინა თათართა ყაენს საქართველოს ამ ნაწილის მმართველობა. აზატ-მოსეს შემოსევის გამო ბექამ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს თავ-კაცების კრება მოიწვია და მას შესანიშნავი პატრიოტული სიტყვით მიმართა. მთავარმა ქართველებს თურქთა წინააღმდეგ ომში მოუწოდა. ბექას მოწოდებას კრება მხურვალედ გამოეხმაურა. ეს იყო ზამთარში. როცა მეორე გაზაფხულზე თურქები საზაფხულო საძოვრებისაკენ წავიდნენ, ბექასთან უკვე თორმეტი ათასი მეომარი შეყრილიყო. ქართველებს თურქთა ნაწილ-ნაწილ დამარცხება ჰქონდათ განზრახული. ნაცნობ ადგილებში მცირე რაზმებით ქართველები ისე მოხერხებულად უხვდებოდნენ მტერს, რომ უკანასკნელის სიმრავლე უსარგებლო ჩანდა. ფიცხელი ბრძოლები მოხდა ვ ა შ ლ ო ვ ა ნ ს, ს პ ე რ ს, ბ ა ბ ე რ დ ს. სამშობლოს დამცველთა სიმხნემ და თავდადებამ სძლია მტრის სიმრავლეს. გამარჯვება ქართველებს დარჩა.

თურქებმა იგრძნეს, რომ საქართველოს ჯერ კიდევ შესწევს ძალა საკუთარი ქორბუდის დასაცავად.

XIII საუკუნის 80-იანი წლებიდან ილხანთა ურდოში ყაენის უფლისწულებს შორის ბოლომოუღებელი ქიშპი და ბრძოლა ატყდა. აღმოსავლეთ საქართველოში ამ დროს დიმიტრი დავითის ძე მეფობდა. დიმიტრი მოხერხებულად სარგებლობდა ყაენის უფლისწულებს შორის არსებული ამ მტრობით და საქართველოს თათართა მპყრობელობის ტვირთს თანდათან უმსუბუქებდა. თათართა ურდოში საქართველოს მეფეს მეგობარი დიდკაცები ჰყავდა და ხარკის ამკრები მოიჯარადრეები მის ქვეყანას ძველებურად ვეღარ აწუხებდნენ. დიმიტრი მეფე თავს სამშვიდობოს გრძნობდა, მაგრამ მწარე სინამდვილემ მალე მეფეს თავი მკაცრად მოაგონა: ბრძოლისაგან მოსვენება, უდარდელობა დანაშაულია, სანამ მტერი კარზე დგას დასაბოლოოდ არგანადგურებულა.

1289 წელს დიმიტრი მეფე ყაენმა ურდოში დაიბარა. მეფემ შეიტყო, რომ ყაენს დიმიტრის მეგობარი თათარი დიდკაცები ამოუხოცია: მათთვის მოღალატეობა შეუწამებია. ქართველი მეფეც შეთქმულ მოღალატეთა მედასედ ითვლებოდა. დიმიტრიმ იცოდა, რომ ურდოში მას სიკვდილი ელოდა. მეფემ დიდებულები იხმო და რჩევა მოსთხოვა. დარბაისლებმა აჯანყება ურჩიეს. მამა მისის, დავითის აჯანყების მაგალითით აიმედებდნენ. დიმიტრიმ ასეთი რამ ეხლა უიმედო და მავნებელ საქმედ აღიარა. სამხრეთის ყაენს იმ დროს ჩრდილოეთის ურდო არ ემუქრებოდა, არც სხვა ვინმე მტერი უჩანდა. ასეთ პირობებში აჯანყებას ქვეყნის სრული განადგურება მოჰყვებოდა, ხოლო საკუთარი თავის განწირვით მეფეს შეეძლო ქვეყანა აოხრებისაგან ეხსნა. დიმიტრის გმირის სულგრძელობა აღმოაჩნდა. მან თავისი ქვეყნისათვის თავი დასდო და მომავალ თაობებს სამშობლოსათვის გმირული თავგანწირვა ანდერძად დაუგდო. 1289 წლის 12 მარტს დიმიტრი მეფე ურდოში (მუღანის ველზე) სიკვდილით დასაჯეს. სამშობლოს ღირსეული შვილის თავმოკვეთილი სხეული ქართველებმა მოიპარეს და საყვარელ მცხეთას მეფეთა სამარხავში დაკრძალეს.

ამ თავდადებულთა სისხლი კი არ შლიდა და ასუსტებდა, როგორც ეს მტარვალს ეგონა, არამედ კიდევ უფრო აქვიტკირებდა ქართველთა ბრძოლას თავისუფლებისათვის.

1299 წლიდან საქართველოში ისევ აჯანყება დაიწყო. მისი მეთაური დავითი იყო, დიმიტრი თავდადებულის შვილი. აჯანყება მედგარი და მეტად ხანგრძლივი იყო. დავითს აღმოსავლეთ საქართველოს დიდი ნაწილი უჭერდა მხარს, მაგრამ აჯანყების სული და

გული შიდა-ქართლი და მთიულეთი იყო. თვით მეფე მთიულეთს იდგა და თათართა ყოველგვარი ცდის მიუხედავად ის ვერც შეირიგეს, ვერც დაიჭირეს და ვერც განდევნეს. დიდი მსხვერპლი გაიღო ქართველმა ხალხმა. დიდად შემცირდა ქართლის მოსახლეობა. თათართა ყოველწლიურმა შემოსევებმა გაანადგურა მეურნეობა. ამის მიუხედავად არ იქნა, ხალხი არ გატყდა. ეს აჯანყება 12 წელიწადს გაგრძელდა. აჯანყებულმა დავითმა ჩრდილოეთის ურდოს ყაენთან პოლიტიკური მოლაპარაკება გააბა და ილხანების მოქიშპეს ამიერკავკასიაში ეპატიჟებოდა. ბრაზი ახრჩობდა ილხანს ყაზანი ყაენს, რომ აჯანყების მეთაური დაუსჯელი რჩებოდა. ყაზანი ისე გარდაიცვალა, რომ აჯანყება ჩაუქრობელი დარჩა. კიდევ უფრო სუსტები იყვნენ მისი მემკვიდრეები. სხვა გზა არ იყო და მტერმა დაყვავების პოლიტიკა აირჩია. დავითი არ ენდო პირსისხლიანებს. ამ ხანებში პოლიტიკურ სარბიელზე დავით მეფის უმცროსი ძმა გიორგი გამოვიდა. მაღალნიჭიერმა პოლიტიკოსმა სწორად შეაფასა საქმის ვითარება და თათართაგან ქვეყნის განთავისუფლების განსხვავებული გეგმა დააწყო. გიორგი ხედავდა დავითის აჯანყების უიმედობას. ხედავდა რომ მხოლოდ ქართლის აჯანყებით საქართველო თავისუფლებას ვერ მოიპოვებდა,—რომ ურდო, მართალია, დაშლა-დასუსტების გზაზე შემდგარიყო, მაგრამ მას ჯერ კიდევ საკმაო ძალა ჰქონდა. ამიტომ თათართა ბატონობისაგან განთავისუფლების საქმეს დიდი წინასწარი მზადება სჭიროდა. უპირველეს ყოვლისა საჭირო იყო აოხრებული ქართლის შესვენება, მოშენება; საჭირო იყო საქართველოს გაერთიანება (თათართა მხრით ხელის შეწყობით ქვეყნის ცალკე ნაწილები ქართველ მთავრებს გაესაკუთრებინათ), დიდკაც-აზნაურთა თვითნებობის ალაგმვა, მტკიცე ხელისუფლების შექმნა. მხოლოდ ამის შემდეგ ექნებოდა თათართა წინააღმდეგ აჯანყებას გამარჯვების პერსპექტივი.

თავისი პოლიტიკური მოღვაწეობა გიორგი მეფემ თათრებისადმი მოჩვენებითი ერთგულობით დაიწყო. ქართლის აჯანყებით თავმობეზრებული თათრები გიორგის ამ მორჩილებას ძვირად აფასებდნენ. მეფემ ურდოში თათართა დიდკაცები დაიმეგობრა და მათი შემწეობით მნიშვნელოვანი შეღავათები ადვილად მოიპოვა. საქართველოში თათართა ხარკის აკრეფის საქმეს ამიერიდან თვითონ მეფე განაგებდა და არა ურდოს მოხელე-მოიჯარადრე. ამავე დროს ყაენისაგან გიორგიმ საქართველოს სხვადასხვა ნაწილის ერთ სამეფოდ გაერთიანების თანხმობა მიიღო. გამდგარი მთავრების წინააღმდეგ მეფემ გარშემოიყარა ყველა ისინი, ვისთვისაც ქვეყნის მთლიანობა და მტკიცე ხელისუფლება ძვირფასი იყო. ხერხიანი მოქმედებით გიორგიმ ადვილად შემოიერთა დასავლეთი საქართველო, სადაც და-

ვით რუსუდანისძის შვილიშვილი მეფობდა; ასევე შემოიერთა მან საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი, რომელიც თათართა დახმარებით ჯ ა ყ ე ლ თ ა ფეოდალურ გვარს გაესაკუთრებინა. კიდევ უფრო ადვილად დაიმორჩილა გიორგიმ საქართველოსა და სომხეთ-შარვანის სხვა გამდგარი მთავრები. სასტიკი ზომებით მეფემ ალაგმა ერისთავ-მთავრების თვითნებობა. ერთ-ერთ დარბაზობაზე მან შეუბრალებლად გასწყვიტა გაუსწორებელი მოღალატენი.

გაერთიანების შემდეგ ქართველები ქვეყნის პოლიტიკური წყობილების რესტავრაციას შეუდგნენ. აღადგინეს ძველი, თათართა ბატონობამდე ჩვენში არსებული წესები. დიდი ყურადღება მიაქცია მეფემ სამართლის საქმეს საქართველოს ბარსა თუ მთაში. არა ნაკლებ საზრუნავს შეადგენდა აგრეთვე ქვეყნის ეკონომიური გაძლიერება, მეურნეობა, აღებ-მიცემის გაცხოველებისათვის ხელის შეწყობა.

ამასობაში გიორგი მეფე მოსაჩვენარად თათართა ერთგულებას განაგრძობდა, ხოლო ამავე დროს ილხანის მოსისხარ მტრებთან მეგობრულ კავშირსა ჰკრავდა.

ასე თანდათან საქართველო ძლიერდებოდა და თათართა ბატონობის უკუსაგდებად ყოველ მხრივ ემზადებოდა. თათართა ურდოს საქმე კი სულ უკან და უკან მიდიოდა და 1327 წელს, როცა ყაენის კარზე დიდი არეულობა დაიწყო, გიორგიმ დრო ხელსაყრელად სცნო და თათრებს ხარკის მიცემა შეუწყვიტა. აჯანყებულთა დასასჯელად წამოსული მტრის ჯარი ქართველებმა სასტიკად დაამარცხეს და თათართა ასწლოვანი ბატონობაც საბოლოოდ თავიდან მოიცილეს.

ეპიზოდი ფეოდალურ საგვარეულოთა სამამულო ბრძოლიდან XIII საუკუნის საქართველოში*

მეტად სამწუხაროდ დამთავრდა უფლისწული დ ე მ ნ ა ს განდგომილება, როგორც თვით მისთვის, აგრეთვე ამ განდგომილების განმზრახ-გამგებელთათვის. ისტორიკოსის სიტყვით გ ი ო რ გ ი III დამარცხებულთ „შემსგავსებული საქმეთა მათთა მიჰგო მისაგებელი“ (ქ. ც-ა, მარიამ დედოფლის ვარ. 390, 616).

ს ტ ე ფ ა ნ ო ს ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს ცნობით, ეს „მისაგებელი“ დემნასა და ორბელთ მიმართ შემდეგში გამოიხატა:

„[გიორგი მეფემ] შეიპყრა ი ვ ა ნ ე [ორბელი] და თვალები დასთხარა მას, [აგრეთვე] შეიპყრა და წარსცა თვალების დათხრად და დასაჭურისებად დემნა, სიძე ივანესი; მოკლულ იქმნენ უმცროსი ძმა ივანესი ქ ა ვ თ ა რ, შვილი ივანესი ს უ მ ბ ა ტ და ძმისწული ინაჲ“ და „ყოველი თესლი“ მათი ერთიანად მოსპოო „ზოგი წყალში დაღრჩობით და ზოგი კლდიდან გარდაგდებით“... „გააჩინა და საეკლესიო შეჩვენებით დაამტკიცა, რათა მათს [ორბელთა] სახელს არავინ ახსენებდეს და საქართველოში მათგან არავის აბოგინებდნენ“... და ეს სასტიკი [„ბოროტი“] განაჩენი [„ანდერძი“] მეფემ საუკუნოდ დასაცავად „წიგნთ“-საცავში დაადებინაო... „და იყო ესე წელთა 626-სა“[1].

სტეფანოსის გარდა, დემნას განდგომილებისა და ორბელთა დასჯის შესახები ცნობები დაცული აქვთ თამარის პირველ ისტორიკოსს (ქ. ც-ა 388—389, 616), ვ ა რ დ ა ნ ს (*Հաւաքումն պատմութեան Վարդանայ վարդապետի լուսաբանեալ* ვენეტიკის 1862 წ. გამოც.,

---

* პირველად დაიბეჭდა 1938 წელს, თბილისის უნივერსიტეტის შრომები, ტ. VII.

[1] *Պատմութիւն նահանգին Սիսական արարեալ Ստեփաննոսի Որբէլեան արքեպիսկոպոսի Սիւնեաց* ტფილისის 1911. წ. გამოც., გვ. 329, ამიერიდან ამ წიგნს უჩვენებთ ორი ასოთი· *Ս. Ո.*

გვ. 130), ჟ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ს (ქ. ც-ა 655. 812) და ერთ უცნობ წყაროს (იქვე, გვ. 390, შენ. 4), (თამარის მეორე ისტორიკოსს?). ამათი შედარებითი შესწავლიდან ირკვევა, რომ სტეფანოსის ცნობა მთლიანად მისაღები არ არის. სიკვდილად დასჯა ორბელთაგან უნდა შეხებოდა მხოლოდ იმათ, რომელთაც სტეფანოსი ასახელებს კიდეც. რაც შეეხება ორბელთა „ყოველი თესლის" მოსპობას, მამრისას თუ დედრისას, ეს არცერთი სხვა წყაროთი არ მტკიცდება და დაუჯერებელიცაა. ის, უნდა ვიფიქროთ, სტეფანოსს გაზვიადებულ საგვარეულო ზეპირგადმოცემაზე აქვს დამყარებული.

ამ სასტიკისა, მაგრამ „საქმეთა შემსგავსებული მისაგებლის" აზრი დინასტიისა და არსებული წესწყობილების თავდაცვა იყო შეურიგებელი მტრობის გამომმჟღავნებელ ქვეშევრდომ ფეოდალთაგან[2].

სასტიკი განაჩენი მართლაც რომ „საქმეთა შემსგავსებული" „მისაგებელი" იყო. მაღალ ფეოდალთა 1178 წლის აჯანყება განსაკუთრებული მნიშვნელობისა იყო მათს მრავალსაუკუნოვან სოციალურ ბრძოლაში მწარმოებელ საზოგადოების დაუფლებისათვის ბრძოლა წვრილსა და მაღალ ფეოდალებს შორის უმაღლეს საფეხურს, გადამწყვეტ მომენტს იყო მიახლოებული. XI და განსაკუთრებით XII საუკუნე დიდგვარიანთა შემდგომ გაძლიერება-გამრავლების ხელშემწყობი ეპოქა იყო (ამდენადვე ის არ იყო წვრილ აზნაურთა, „ყმათა", „მოლაშქრეთა" სოციალ-ეკონომიური სიმტკიცის ხელშემწყობი ხანა)... და მაღალი ფეოდალებიც იბრძვიან მიღწეულ სოციალ-ეკონომიურ უპირატესობათა პოლიტიკურ რეალიზაციისათვის, რის შემდეგ მათ ველარაფერი შეუშლის ხელს შემდგომს სრულყოფაში: მწარმოებელ საზოგადოების საბოლოოდ და საკუთრად დაუფლების საქმეში... 1178 წელს მაღალი ფეოდალები უტეედნენ, ცენტრალური ხელისუფლება თავს ოცავდა...

დარბაზის გადაწყვეტილება, სტეფანოსის ცნობით, ეკლესიასაც განუმტკიცებია და განდგომილ-ექსორიაქმნილნი შეუჩვენებია. როგორც ცნობილია, ეკლესიის მიერ დაკრულვილი არ შეიძლებოდა „ლაშქარსა შიგან" შეშვებულიყო და ამდენადვე მას „მამული" უნ-

---

2 რა თქმა უნდა თეორიულად ეს თავისთავად არ იყო იმ დროს გაგებული და სასჯელს შურისგების პრინციპზე აგებული „მისაგებელი" ერქვა, მაგრამ სწორედ ამ „მისაგებელთა" ხასიათი გვაფიქრებინებს, რომ სასამართლოს ზოგჯერ მაინც თავდაცვად ესმოდა მისაგებელთა სახით მის მიერ მიღებული ღონისძიებანი. შდრ. ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართ. სამ. ისტორია, 4. II, გვ. 351—543.

რომ ამ განდგომილების დროს სიკვდილად დასჯილნი და ექსორიაქმნილნი მარტო ორბელნი არ ყოფილან, ამას თამარის პირველი ისტორიკოსი მოწმობს; ორბელთ კი, როგორც განდგომილების მოთავეებს, უმთავრესად შეეხო სასჯელი.

და „დასჭირვოდა“ ე. ი. ეკლესიის მიერ შეჩვენებული eo ipso სამოქალაქო უფლებააყრილი იყო.

ორბელთაგან ექსორია-დაკრულვა ეხებოდა ლიპარიტ სუმბატის ძეს (ქართლის ერისთავს) და მის ორ ძეს, ელიგუმს და ივანეს[3]; ყველა ესენი ერანს იყვნენ წასულნი მეფის წინააღმდეგ განდგომილთათვის დახმარების საძიებლად.

სტეფანოსი განაგრძობს:... „ორბელთა განდევნის შემდგომ [მეფე] გიორგიმ მათი მამულის ნაწილი [ორბელთა] მტრებსა და მოღალატეთ[4] უწყალობა, და დანარჩენი კი—ყივჩაყს, რომელსაც ყუბასარ ერქვა. [მეფემ] იგი ორბელთა სამთავრო პატივში აიყვანა და ყოვლისა საქართველოისა სპასალარ ყო“ (*ᲥᲐ.* *Ⲛ.* 390—391).

როგორც ცნობილია, „უგვარო“ ყუბასარი გიორგი მეფის გარდაცვალების უმალვე მსხვერპლი შეიქმნა „უგვაროთა“ წინააღმდეგ დიდგვარიანთ ახალი შეტევისა. ის დაამხვეს (მეორე ასეთივე „უგვარო“ აფრიდონთან ერთად) და მეფე თამარმა ორბელთა პატივი ამირსპასალარობისა ჯერ სარგის ზაქარიას ძე მხარგრძელს, შემდეგ დიდ გამრეკელს, ხოლო ამის გარდაცვალებისას ზაქარია სარგისის ძეს მიუბოძა. ამ დროდან და შემდეგ XIII საუკუნეში ამირსპასალარობა (ათაბაგ-ამირსპასალარობა) მხარგრძელთა სახლის პატივი შეიქმნა.

ასეთი იყო 1177 წლის ფეოდალთა განდგომის შედეგი ორბელთა სახლისათვის.

ერანში მივლენილი ლიპარიტ ქართლის ერისთავი განდგომილთა გულის წადილს ვერ ეწია.

მიუხედავად იმისა, რომ აჯანყებულთა ლორეში ჯდომა თითქმის შვიდ თვეს გაგრძელდა[5], მუჰამედ ფეჰლევინ-ჯეჰანის

---

[3] რომ სპარსეთს მივლენილ იქნა ორბელთაგან ლიპარიტ სუმბატის ძე თავისი ორი შვილით, ამას მოწმობს ვარდანიც (op. cit., loc. cit.), ხოლო, რომ ერთს ამ ძეთაგანს ერქვა ელიგუმ, ამას ადასტურებს ნორავანქის 1221 წლის წარწერა.

[4] „მტრებში“ სტეფანოსი, საფიქრებელია, გულისხმობს აფრიდონს, ჭიაბერს და რატი სურამელს; პირველს გიორგი მეფემ ორბელთა „მამულიდან“ კლდე-კარის ერისთავთ-ერისთავობა და მსახურთუხუცესობა მიუბოძა, მეორეს მანდატურთუხუცესობა, ხოლო მესამეს ქართლის ერისთაობა; „მოღალატეთა“ შორის კი მხარგძელნი უნდა იგულისხმებოდნენ: აჯანყებულთ პირველი „წამოუვიდეს სარგის მხარგრძელი შვილითა და ძმისწულითა მისითა, ძმა და საყუარელი ორბელთა“ (ქ. ცა, 387).

[5] *ᲥᲐ.* *Ⲛ.* გვ. 386. სტეფანოსით ლიპარიტი ელდიგუზ (*Ելտեկուզ*) ათაბაგთან წავიდა. შემდეგაც მას ელდიგუზი რამოდენიმეჯერ ჰყავს გამოყვანილი მომქმედ პირად, რაც ჰეცთომაა. ელდიგუზ ათაბაგი ამ დროს კარგახნის გარდაცვლილი იყო (გრდ. 1172/3 წ.) და ათაბაგობა მის ძეს მუჰამმედს ეპყრა (1172—1186).

დახმარებამ აჯანყებულთ ვერ მიუსწრო. ადერბეიჯანის ათაბაგი, როგორც ჩანს, ფრთხილად იქცეოდა; ამბების განვითარებას უცდიდა, რომ უდროვო და ნაადრევი ჩარევით თავისთვის ზიანი არ მიეყენებინა. ამასობაში აჯანყების საქმე სულ უკან მიდიოდა და ბოლოს მხოლოდ ლორეს ციხე-ქალაქით შემოიფარგლა. დამარცხებულ დიდგვარიანთა შველა ათაბაგ მუჰამმედმა, რა თქმა უნდა, თავს არ იდვა და თავისი საომარი განწყობილება საქართველოს მიმართ სამშვიდობოზედ შესცვალა[5].

სტეფანოსის ცნობით, ლიპარიტი თავის შვილებით და სპარსელთა დიდი ლაშქრით აჯანყებულთა დასახმარებლად წამოსული, უკუიქცა, რაკი ეუწყა, რომ აჯანყებულნი დანებდენ მეფეს[6].

თუ საქართველოს წინააღმდეგ ლაშქრობა ასეთ პირობებში ათაბაგს თავისთვის სარფიან საქმედ არ მიაჩნდა, ქართლის ერისთავისა და მისი ორი ძმის თავის კარზედ ყოლა შესაფერ შემთხვევისას კარგი პოლიტიკური იარაღი შეიძლება აღმოჩენილიყო... და ლიპარიტიც იძულებული იყო თავის ბედს შეჰრიგებოდა და შვილებთან ერთად სამშობლოდან უნებური „ღარიბობის“ მწარე ხვედრი ეგემა.

[აჯანყებულთა დასახმარებლად ერანელთა ლაშქრით წამოსული ლიპარიტი] უკუმოიქცა და ელდიგუზთან[7] დარჩა. მწარე გლოვაში გაატარა მან თავის სიცოცხლის უკანასკნელი დღენი და უცხოობაშივე ჩქარა გარდაიცვალა (*Ქ.Რ.* გვ. 390).

ლიპარიტის ძეთაგან ელიგუმი ერანშიე დარჩა, ივანე კი განძის ამირას შემოეკედლა, სადაც, სტეფანოსის ცნობით, დიდი პატივი და სახელი მოიხვეჭა. „რომელიც შემდეგ, თამარის დროს, დიდის ვედრებითა და ფიცით მოიყვანეს [საქართველოში] და მამეულისაგან ორბეთიღა მისცეს მხოლოდ“ (*Ქ. Რ.* 390).

ამ ივანეს ეშვა შვილები, რომელთაგან ჩამომავლობენ აწინდელი ორბელნნიო. საერთოდ ეს ცნობა სწორი ჩანს, მხოლოდ დეტალები იწვევენ ეჭვს. სვეტრებელი ქართველთა მეფესა და დიდებულთ დევნილი ივანეს წინაშე არა ჰქონდათ რა. პირიქით, დაკრულვილსა და გაძევებულ ორბელიანს შეშვენოდა ასეთი რამ და, უნდა ვიფიქროთ, ასეც იყო. გიორგი მესამის კურსისაგან განსხვავებული შინაური პოლიტიკის წყალობით — საშინაო პოლიტიკის ეს ახალი კურსი

იხ. Стэнли Лэн-Пуль, Мусульманские династии, 144.

[5] ასეთსავე დასკვნას გვაძლევს თამარის ისტორიკოსი სათანადო ცნობის შესწავლაც. იხ. ქ. ც.-ი. 389, 615.

[6] ლიპარიტის გრძნობიერი გულისთქმანი „უდანაშაულო ქრისტიანეჰის“ შესახებ და თითქო ამ მიზეზით ლაშქრობის მოხსნა, რა თქმა უნდა, სინამდვილეს მოკლებული უსუსური შენათხზია.

[7] უნდა: მუჰამმედთან.

შედეგი იყო 1184-5 წლის ამბებისა — მონანული დიდგვარიანის ვედრება ყურად იღეს. შეცოდება აპატიეს მას და მონდობის პირი მისცეს; ეკლესიამ შეჩვენება ახსნა და „მამულიდან“ ნაწილი დაუბრუნეს, ე. ი. აწინდელი ტერმინოლოგიით სამოქალაქო-პოლიტიკურ უფლებებში აღადგინეს[8]. ორბელთა ამ შტოს თავგადასავლის ძიება ჩვენ იძულებული ვართ აქ შევწყვიტოთ.

სულ სხვა გზით წავიდა ელიგუმ ლიპარიტის ძე. ის საქართველოში მონანულად დაბრუნებას არ აპირებდა. შურისძიების გრძნობით იყო გატაცებული და საამისო ხელსაყრელ დროსა და შემთხვევას უცდიდა[9].

ათაბაგმა ელიგუმს ქალაქი ჰამიანი (ჰამადანი)? სამამულოდ მისცა. „და დაადგინა იგი თორმეტის წლით სპარსეთის დიდ ქალაქების ამირად: რეისა, ისპაჰანისა და ყაზვინისა“ (*U. Л.* 392 და Vimakan taregir კ. კოსტანიანცისა, 65—66).

„სულტანი“ ამავე დროს სულ იმას მცდელობდა, რომ ელიგუმს მამეული სარწმუნოება მუსლიმანობაზე შეეცვალა და სიძეობასა და ქვეყნის უდიდესი ნაწილის მიცემას აღუთქვამდა. „ხოლო ელიგუმ, თუმცა ყრმა (*տղայ*) იყო ჰასაკითა, გარნა აღსავსე იყო გონიერებითა“. ის გულთან ახლოს არ იკარებდა სულტანის სიტყვებს და სარწმუნოებას არ ჰღალატობდა. სპარსნი ავიწროებდენ მას და ელიგუმიც შიშში იყო, რათა არ აიძულონ სჯულის დატევებაო. ამიტომაც ცდილობდა ნახჭავნის სანახებში გადმოსლვას და თავის ამ განზრახვას ათაბაგის წინაშე ასე ასაბუთებდა: „ქვეყანა იგი [ნახჭავნის სანახები] საქართველოს ახლოს არის; აქედან უფრო ადვილია ჩემთვის შურისგება ჩემს მამათა და ძმათათვის“ (*U. Л.* 392). ათა-

---

[8] სავსებით სწორი ჩანს და ნიშანდობლივი: განდგომილებისათვის დევნილი დიდგვარიანი დაბრუნეს, სამოქალაქო უფლებაში აღადგინეს, მაგრამ ნაქონევი „ხელი“ და სამოხელეო ქონება არ დაუბრუნეს. ორბელთა უკან დაბრუნება საკუსებით შეეფერებოდა დიდგვარიანთა გამარჯვების შედეგად შექმნილს ახალ პოლიტიკურ კურსს თამარის მეფობაში. ეს დიდგვარიანთა კლასობრივ ინტერესებში შედიოდა. „ამნისტია“ ამ დროს არა მხოლოდ ორბელთ შეეხო: მრავალი ექსორიაქმნილი მოინდვეს, შემოიყვანეს და სამოქალაქო უფლებებში აღადგინეს... სხვა საქმე იყო მონდობილთა ძველს პატივში აღდგენის საკითხი. აქ უკვე შინაკლასობრივი ეშმში იჩენდა თავს და დევნილ კლასობრივ მოძმეების დაბრუნების მომხრე დიდგვარიანები შეწყალებულ-მონდობილთა ძველს პატივში აღდგენას წინააღუდგებიან.

[9] საფიქრებელია, რომ განძის ამირას კარზედ მყოფი ივანე ლიპარიტის-ძეე პირველ ხანებში ამასვე ოცნებობდა. მაგრამ საქართველოსთან სიახლოვემ და მისი ძლიერების ზრდამ ის, როგორც ჩანს, ჩქარა დაარწმუნა თავისი ოცნების სრულს უნიადაგობაში და მოქადული შურისძიების გრძნობა კეთილგონიერ მონანულის გრძნობად შეუცვალა.

ბაგს სათნო უჩნდა ესო და „მისცა მას ციხე იგი ერენჯაკი და ჭაჭუ-კი-სოფელი და ქალასრაჰი ნახჭავანში და სხვა მრავალი ნიჭი და და-ადგინა საქმეთა გამგედ და მხედართმთავრად ქვეყნისა მის“... (იქვე, 393) და დიდის დიდებით გამოისტუმრა ნახჭავანშიო.

მოყვანილი ცნობები აქ წარმოდგენილი სახით მისაღები არ არის. სარწმუნოებრივი ელემენტი აქ უადგილოდ მიკერებულის შთაბეჭდილებას სტოვებს და კრიტიკასაც ვერ უძლებს. ემჩნევა სხვა გაზვიადებანიც. ყველა ამათი გამოკლებით ცნობა ელიგუმის ნახჭავნის სანახებში გადმოსახლების შესახებ მართალი უნდა იყოს, ხოლო ამ ცნობის სხვა მოვლენებთან დაკავშირებაში ამ ხანის ისტორიული ფაქტების გათვალისწინება გვიშველის.

სტეფანოსი ამ ამბების მოთხრობისას „ათაბაგის“ მაგივრად ორჯერ სიტყვა „სულტანს“ ხმარობს[10], თუ ეს ავტორის დაუდევრობაა და ამ ნიადაგზე ცნებათა უმართებულო ხმარებას არ მიეწერება, მაშინ ჩვენ საინტერესო დეტალთან გვაქვს საქმე.

ერანის ათაბაგთაგან „სულტანის“ წოდება მხოლოდ ყ ი ზ ი ლ ა რ ს ლ ა ნ მ ა მიიღო მას შემდეგ, რაც თავისი „პატრონი“, ერაყის სულტანი—ტოღრილ III დაატყვევა 1188 წელს და ადერბეიჯანის ერთ-ერთ ციხეში გამოამწყვდია. „აწ გასულტნებული“ ყიზილ არსლან ათაბაგი 1191 წელს მოიკლა „მუჰლიდთა მიერ“, ხოლო მისი ძმისწული, ათაბაგი ხ უ ტ ლ უ-ი ნ ა ნ ჩ ი, „მფლობელი ერაყით ხვარასნამდე და ბაბილოვნამდე“, ტყვეობიდან თავდაღწეული სულტანი ტ ო ღ რ ი ლ III-ის მიერ დამარცხებული, ხორეზმშაჰ თ ა ქ ა შ თ ა ნ ივლტოდა[11]. ქ. ც-ის ცნობით ხუტლუ-ინანჩის წინააღმდეგ თვით მისივე ძმა ა ბ უ ბ ე ქ რ ი იბრძოდა: „სძლია ამირა აბუბაქრ და [აოტა] უფროსი ძმა (ე. ი. ხუტლუ-ინანჩი) და თვით დაჯდა ათაბაგად“. შემდეგ აბუბექრი უმცროს ძმასაც, არრანის მფლობელს, „დაესხა და გააქცივნა და თვით დარჩა განდიდებული და გალაღებული ქამადმდე“ (ქ. ც-ა *665—666, გვ. 454—455).

და მართლაც „ქამადმდე“ იყო აბუბექრ ათაბაგის ძლიერება. უკვე 1192 წელს ხორეზმშაჰ თაქაშმა რეი აიღო. თვით სულტანი ტოღრილ III ჰამადანში დაესახლა იმავ 1192 წლიდან და იქ იყო 1194 წლამდის, როცა ხორეზმშაჰთან ომში დაიღუპა: ასე რომ, სამფლობელო ხუტლუ ინანჩისა (რომელიც თაქაშთან შეხიზნული თა-

---

[10] მართალია, სტეფანოსის „სულტანი“ აქ ე ლ დ ი გ უ ზ ა თ ა ბ ა გ ს ჰგულისხმობს, მაგრამ როგორც უკვე შევნიშნეთ, ავტორს, უეჭველია, თავისი წყაროს ცნობები აურევია; ელდიგუზის მაგივრად ზემოთ მ უ ჰ ა მ მ ე დ ფ ე ჰ ლ ე ვ ა ნ ჯ ე ჰ ა ნ ი, ხოლო აქ ყ ი ზ ი ლ ა რ ს ლ ა ნ ი უნდა იგულისხმებოდეს.

[11] **А. М ю л л е р, История Ислама, III, 144—174, 196—198; С т э н л и Л э н-П у л ь, Мус. дин., 144.**

ვის საბრძანებლის დაბრუნებას მცდელობდა), აბუბექრ ათაბაგმა შეძენის უმალ დაკარგა და მის მფლობელობაში ადერბეიჯანი და არრანი ღა დარჩა[12]. უკანასკნელი, როგორც ცნობილია, შანქორის ომის შედეგად ჩამოერთვა მას ქართველთა მიერ 1195 წელს[13].

ამიტომ ათაბაგ-„სულტანის“ წყალობა ელიგუმისადმი ეს არის ყიზილ არსლან ათაბაგის წყალობა, რასაც შეიძლება ადგილი ჰქონოდა მხოლოდ 1186 წლის შემდეგ (ამ წელს იქმნა ყიზილ არსლანი ათაბაგად). 1192 წლის გასულს ეს „ქონება“ უკვე ელიგუმის ხელში აღარ შეიძლებოდა ყოფილიყო: მის ერთ ნაწილს ხორეზმშაჰ თაქაში, ხოლო შეორეს სულტანი ტოღრილ III დაეპატრონა. ამიერიდან ათაბაგებმა საბოლოოდ დაკარგეს ერანის ეს ნაწილი.

მოვლენების ასეთმა განვითარებამ და არა რაღაც სარწმუნოებრივმა მოტივებმა აიძულეს ელიგუმი ნახჭავნის სანახებში ეძია თავშესაფარი[14]. თავისთავად საქართველოს სიახლოვის მოტივი მასზე შურისსაგებლად ბუნებრივი და მისაღები ჩანს.

საქართველოს მეზობლად დასახლებული შურისმაძიებელი ჩქარა უნდა დარწმუნებულიყო თავისი მცდელობის სრულს უნაყოფობაში. საქართველო ამ დროს მტკიცედ იდგა ფეოდალურ ძლიერებაა-აყვავების მწვერვალზედ. ამდენადვე ყოველი განდგომილი, თუნდაც ათაბაგის დახმარებით აღჭურვილი, „სვეუბედური“ და განწირული იყო, იქნებოდა ის ყოფილი დიდგვარიანი თუ ყოფილი მეფე[15]. ელიგუმს უნდა დაენახა ეს. მაგრამ მას, როგორც ჩანს, ერთხელ აღებული გეზის შემობრუნება ნაკლებ ეხერხებოდა, ვიდრე მის ძმას, ივანეს. და დარჩა ის ნახჭავნის ოლქში, სანამ ერთხელ „ათაბაგის ძესთან ერთად“ განძაზე ომით წამოსული ბრძოლაში არ მოიკლა. ათაბაგის ძედ აქ აბუბექრი იგულისხმება. განძის მხარეში აბუბექრს ბრძოლა არა ერთგზის ჰქონდა, ხოლო თვით განძის წინააღმდეგ მისი საომარი მოქმედება 1192 და 1195/6 წლებშია საგულისხმებელი[16]. 1191/2 წელს „სამამულო“ ჰამიანის დამტეეებელი ელიგუმი კარგა ხანს ცხოვრობს ნახჭევანის სანახებში, ასე რომ, თუ ის განძის წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლაში მოიკლა, ამის თარიღად შეიძლება 1195/6 წელი ვიგულისხმოთ.

---

[12] А. Мюллер, loc. cit; Стэнли Лэн-Пуль, loc. cit.

[13] ივ. ჯავახიშვილი, ქართ. ერის ისტორია, II, 600—607.

[14] სწორედ ამ „სამშვიდობოს“ დამკვიდრების შემდეგ მიიღო ელიგუმმა მუსლიმანობა იხ. *И. П.*, 394—395.

[15] ივ. ჯავახიშვილი, op. cit. გვ. 600.

[16] იქვე, გვ. 602, 608—609.

ელიგუმმა ჰაბუკ-ქალასრაჰში დამკვიდრების შემდეგ ცოლად შეირთო სივნიეთის ეპისკოპოსის ტერ-სტეფანოსის დისწული[17], რომლისაგან ეშვა ძე ლიპარიტი (*Ս. Ո.* 394).

ამ ლიპარიტს ჯერ კიდევ მამის ავადმყოფობის დროს ათაბაგმა „დიდითა სიგლითა და დროშემოუღებელითა დაწერილითა უბოძა ჰაჰუკი და ქალასრაჰი და ნახჭავანში მთავარ ფოლოცსა ზედა ქულბაქი ოცდაათი, აზატი და თარხანი ყოვლისა ხარკისაგან... თესლითი თესლადმდე სამამულოდ“ (*Ս. Ո.* 395).

ელიგუმს ლიპარიტი მცირეწლოვანი დარჩა.

მამის სიკვდილის შემდეგ ლიპარიტი დედითურთ ქალაქის [ნახჭავნის] მამასახლისებმა (*Ֆլխաւորք*) წაიყვანეს ნახჭავანში და იქ მძევლებად ჰყავდათ (*Ս. Ո.* 395).

სტეფანოსი არ გვეუბნება. თუ რა მიზეზით ან სად აპირებდნენ წასვლას ლიპარიტი და დედამისი, რომ ნახჭავნის ქედნუდებმა ათაბაგის მიერ აგრე შეწყალებულ-პატივცემული ყმის ცოლშვილი „მძევლებად“ წაიყვანეს.

ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ სტეფანოს სივნიეთის ეპისკოპოსმა გადაწყვიტა მათი საქართველოს საზღვრებში გადაყვანა. საქართველო სულ უფრო და უფრო უახლოვდებოდა ნახჭავნის მხარეს და დღეს თუ ხვალ ელიგუმის მიერ შეძენილი ორბელთა ახალი სამკვიდრებელი საქართველოს ფარგლებში მოექცეოდა. ასეთ პირობებში მტრის ბანაკში დარჩენა მრავალ უსიამოვნო შედეგების შემცველი შეიძლებოდა გამხდარიყო. ამიტომ ლიბარიტის საქართველოში დაბრუნება დროული და მიზანშეწონილი ჩნდა, მით უფრო რომ ლიპარიტის ბიძის ივანეს მაგალითი თვალწინ ექნებოდათ: მამეულ შეცოდებათა მიტევების სრული იმედი იყო. ეპისკოპოს-მზრუნველისათვის, რა თქმა უნდა, უმნიშვნელო არ უნდა ყოფილიყო ის მოტივიც, რომ ათაბაგის კალთებს ქვეშ ლიპარიტი მუსლიმანი უნდა დარჩენილიყო (ქრისტიანობა ჯერ კიდევ ელიგუმმა უარყო — *Ո. Ս.* 394—395 — და მხოლოდ ამის შემდეგ დაუმტკიცა ათაბაგმა ლიპარიტს მამეული ქონება ე. ი. „სიგელი განუახლა“). და ლიპარიტი მართლაც მუსლიმანად დარჩა, ვიდრე ნახჭავნიდან არ ილტვოდა[18].

ათ წელს გაგრძელდა ლიპარიტის მძევლობა. ის იზრდებოდა ვინმე მუსლიმანის სახლში. უკანასკნელმა ელიგუმის ქვრივი მძლავრობით შეირთო ცოლად.

---

[17] ამ სტეფანოსის შესახებ ცნობები იხ. M. Brosset, Listes chronologiques des princes et metropolites de la Siounie, 586—589.

[18] *Ս. Ո.*, 395, და Vimakan taregir კ. კონსტანიანცისა, გვ. 65—66.

ამასობაში საქართველო შეუნელებელ შეტევას აწარმოებდა თურქ-სპარსთა წინააღმდეგ და კავკასია-მცირეაზიის პოლიტიკური კონცერტიდან გამორიცხული ბიზანტიის ადგილს იპერდა; 1206 წლისათვის, როცა, ვფიქრობთ, უნდა ჰქონოდეს ადგილი ლიპარიტის საქართველოში შემოყვანას, ერთის მხრით დვინი, ხოლო მეორე მხრით კარი უკვე აღებული იყო[19]. და როცა აგრე „უღონოქმნილიყო სახლი სპარსთა, იწყეს ძიებად"—ზაქარია და ივანე მხარგრძელებმაო, —„ნუ უკვე არსა ვინმე სპარსეთს ძეთაგან ლიპარიტისა" და მათ აუწყაო სტეფანოს სივნიეთის ეპისკოპოსმა, „ვიდარმედ არს ყრმა ერთი... სახელით ლიპარიტ და არს იგი დაცულ [მძევლად] ნახჭავანს" (*ᲥᲐ. Მ.* 396). მხარგრძელთ ეს ცნობა ფრიად გახარებიათ და ტერ-სტეფანოსისათვის დაუვალებიათ ლიპარიტის ნახჭავნიდან გამოყვანა. სივნიეთის ეპისკოპოსმა დანაკისრი შეასრულა და ლიპარიტი ივანე მხარგრძელს მიჰგვარა. გახარებულმა ივანემ ორბელთ ჩამომავლის მოყვანა მეფე თამარსა და ლაშას მოახსენა, რომელთაც „ფრიად განიხარეს" (იქვე).

სტეფანოსის ამ მოთხრობის ნიადაგზე სინამდვილე ჩვენ შემდეგნაირად წარმოგვიდგება: სივნიეთის ეპისკოპოსი ტერ-სტეფანოსი ცდილობს თავისი დის ასული შვილითურთ საქართველოში შემოიყვანოს[20]. ის წიხასწარ იღებს (შესაძლებელია ივანე ორბელის საშუალებით) საამისო ნებართვას მეფეთაგან (თამარ და ლაშა) და ამის შემდეგ ლიპარიტი დედითურთ საქართველოში შემოჰყავს. თუ მეფეთა ნებითა და ბრძანებით არა, ისე გაუგებარი იქნებოდა, რად უნდა დაეწყოთ ორბელთა ადგილზე მსხდომთ და მათი სამამულო თუ საპატიო ქვეყნების მქონებელ მხარგრძელთ ოდესმე გარდახვეწილი ლიპარიტ ორბელის ჩამომავალთა ძიება. გარდა ამისა, ძნელი

---

19 ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართვ. ერის ისტორია, წ. II, გვ. 609—611.

20 სივნიეთის [-ადერბეიჯანის ათაბაგის სამფლობელოს ნაწილი სომხური მოსახლეობით] სომეხ ეპისკოპოსის პოლიტიკური განწყობილება საქართველოს სასარგებლოდ ინდივიდუალური ხასიათისა არ არის. ასეთი „ორიენტაცია" დამახასიათებელია იმდროინდელი სომხური საზოგადოებისათვის. მუსლიმან მფლობელთა და საქართველოს შორის კავკასია-წინააზიაში ჰეგემონიისათვის გამართულ ბრძოლაში, რომელსაც ადგილი ჰქონდა დაეით აღმაშენებლიდან ვიდრე მონღოლთა შემოსევამდე, სომხეთი საქართველოს ედგა გვერდში და საერთო საქმის წარმატებისათვის თავის ძალ-ღონეს არ ზოგავდა. სომეხთა ასეთ განწყობილებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს მიერ სომხური პროვინციების მუსლიმან მფლობელთაგან ჩამოშორების საქმეში, ხოლო სომეხ-ქართველთა ასეთი კავშირი ხელსაყრელი ნიადაგი იყო იმ ახალი ეკონომიურ კულტურული ურთიერთობის წარმატებისათვის, რომელიც ე. წ. „ჯვაროსანთ" ლაშქრობათა შედეგად განვითარდა ახლობელ აღმოსავლეთსა, წინააზიასა და სამხრეთ-დასავლეთ ევროპას შორის.

საფიქრებელია, რომ მათ არ სცოდნოდათ ელიგუმის თავგადასავალი, თუ მისივე ძმის, ივანე ორბელისაგან არა, თვით სტეფანე სიუნიელისაგან მაინც. ესეც რომ არა, ძნელი დასაჯერებელია, რომ იმ გაცხოველებული კულტურული ურთიერთობისას, საქართველოსა და ერანს შორის ამ დროს რომ ჰქონდა ადგილი, მხარგრძელთ არა სცოდნოდათ რა 1177 წლის განდგომის მოთავეთა გარდახვეწილ შემკვიდრეთა შესახებ.

რაც შეეხება ლიპარიტის დაბრუნების გამო მხარგრძელთ სიხარულს, ეს სახარების სიუჟეტს უფრო შეეფერება, ვიდრე დიდგვარიანთ სახლების დაუნდობელ მეტოქეობაში გამარჯვებული სახლის წარმომადგენელთ. მხარგრძელთ კარგად უნდა სცოდნოდათ, რომ უკუმოქცეული და შემორიგებული ორბელიანნი დღეს თუ არა ხვალ, ოდესმე მაინც, შეეცდებიან თავიანთ სახლს ძველი პატივი და ქონება დაუბრუნონ. და ეს კი უპირველეს ყოვლისა მხარგრძელებს ემუქრებოდა. ამირსპასალარობის პატივი და „ლორე სათავადო" მათ ორბელთა „სახელო"-დან ჰქონდათ მიღებული.

ივანე მსახურთ-უხუცესმა დიდად პატივსცა ლიპარიტს. სტეფანოსის გადმოცემით მხარგრძელს მისი სიძედ მოკიდება სურდა: თავის დას თამთის აძლევდა ცოლადო. ეს საინტერესო ცნობა, ვფიქრობთ, შესწორებას უნდა საჭიროებდეს იმ მხრით, რომ თამთის მოსახელე ივანეს და სხვა წყაროებით ცნობილი არ არის[20]. ამიტომ უფრო შესაძლებლად მიგვაჩნია ვიფიქროთ, რომ სტეფანოსს აქ შეცდომა მოსდის (თუ ეს მერმინდელ გადამწერალთა შეცდომა არ არის) და ეს თამთი სწორედ ივანეს ის ქალია, რომელიც ხლათის მფლობელს, მელიქ აუჰარს მიათხოვეს 1208 წლის ხლათის საზავო პირობებისამებრ[21].

ათაბაგი ივანესათვის ეს სასურველი დამოყვრება არ მოხდა. ერთმა ვინმე დიდებულთაგანმა, სახელით ბუბამ, (ივანე) ათაბაგის სახლთუხუცესმა შეაცთინა (ლიპარიტ) და (ივანე ათაბაგისაგან) ფარულად დაისიძა ის, თავისი ქალი ასფაჲ შერთო, რაის გამოც

---

[20] ზაქარიას და ივანეს დების შესახები ცნობები შეკრებილი აქვს მ. ბროსეს იხ. Additions, p. 273, 27; ავტორი ფიქრობს, რომ სტეფანოსის მიერ დასახელებული თამთი იგივე ხორიშაპი არის, რომელიც ცოლი იყო ვახტანგ საკარიანის (ხაჩენელის). ასეთ გაიგივებას ის გარემოება უნდა ეწინააღმდეგებოდეს, რომ ხორიშაპს, 1214 წელს დაქორწეულს—(ამ წელს მოკვდა ვახტანგ ხაჩენელი), სამი ვაჟი და სამი ქალი ჰყავდა (იხ. И. А. Орбели: hАсан-Джалал князь Хаченский), ასე რომ 1206 წელს ის კარგა ხნის გათხოვილი უნდა ყოფილიყო ვახტანგზე.

[21] ივ. ჯავახიშვილი, ქართ. ერის ისტორია. წ. II; ამ თამთის თავგადასავალი იხ. *Պատմութիւն Հայոց արարեալ Կիրակոսի վարդապետի Գանձակեցւոյ*, 276—77. ტფ., 1910 წ. გამოცემა.

„ეამ რაოდენიმე ფრიად განრისხნა ათაბაგი ივანე“-ო, მოგვითხრობს სტეფანოსი (*Ս. Ո.* 396—397).

თუ მთელი ეს მოთხრობა აქ წარმოდგენილი სახით სინამდვილეს შეეფერება და ივანე ათაბაგის ვითომცდა სურვილი ლიპარიტის დამოყვრებისა ნაგვიანევად შეთხზული ორბელთა საგვარეულო საპატიო სამკაულს არ წარმოადგენს (რაც ჩვენ უფრო ბუნებრივად გვეჩვენება), მაშინ, როგორც ივანე ათაბაგის, აგრეთვე ლიპარიტის მოქმედებას საინტერესო მოტივები შეგვიძლია მოვუძებნოთ: ათაბაგს თითქოს დამოყვრების გზით სურს უვნებელყოს მისი სახლის შესაძლებელი მოქიშპე, ლიპარიტი თითქო გაურბის ამ მოყვრობას, რა თქმა უნდა, არა იმიტომ, რომ მას უკვე ამ დროს ათაბაგის სახლთან ბრძოლა ჰქონდა გადაწყვეტილი,—ასეთი კადნიერი ოცნება მისთვის ჯერ ხელმისაწვდომი ვერ იქნებოდა,—არამედ სხვა რაღაც მოსაზრებით. ბუბამ, ათაბაგის ყმამ და მისმა სახლთუხუცესმა, „აცთუნა“ ლიპარიტი და თავის ქალი შერთო. თუ ეს ბუბა, იგივე „ბუბაკია“, რომელიც დვინის ცნობილ სასამართლოს დაესწრო ივანეს მიწვევით (*Ս. Ո.* 359) და რომელიც ნორვანქის 1223 წლის წარწერაში თავის თავს ერისთავთ-ერისთავს (*իշխանաց իշխան*) უწოდებს[22], და ივანე და შანშას ყმა ჩანს, მაშინ ჩვენ კიდევ ერთი შესაძლებლობა შეგვიძლია დავურთოთ[23]. მოხსენებული წარწერა ნორვანქის შეწირულობის სიგელს წარმოადგენს. სიგელში ბუბაკი გარდა თავისი გარდაცვალებული დედისა სახლეულთაგანს არავის იხსენიებს. საერთოდ კი ბუბაკის ჩამომავლობა არსად ჩანს. საფიქრებელი ხდება, რომ ის უმკვიდრო ყოფილა, ვაჟი არა ჰყოლია. ამიტომ შეგვიძლია ვიკითხოთ: ხომ არ „აცთუნა“ ბუბამ უმამულო ლიპარიტი თავისი სახლის დამკვიდრების პერსპექტივის გადაშლით? მართალია, ლიპარიტის მიერ შექმნილ ორბელთ „მამულში“ ბუბაკისეული მემკვიდრეობა არსად აღნიშნული არ არის, რაც, რა თქმა უნდა, საეჭვოდ ჰხდის მოყვანილ მოსაზრებას, მაგრამ საბოლოოდ მაინც ვერ აბათილებს მას.

სტეფანოსი განაგრძობს: „რომლისა შემდგომად ბრძანებითა მეფისათა მისცა [ათაბაგმა ივანე] ლიპარიტს გარდაუვალითა დაწერილითა ნაცვლად მამულისა ჰრაშკაბერდი მისითა სანახებითა და მრავალნი სოფელნი ვაიოცძორს, ელარი კოტაიქს და სხვა მრავალი დაბანი, ჰამასარი გელაქუნს და სხვა მრავალნი სოფელნი, აღსტევი კაიენს მისითა მოსამჭმელოთა. და რადგან იგი (ლიპარიტი) იყო მეწი-

---

22 *Ս. Ո.* 357—358; Vimakan taregir კ. კოსტანიანცისა, გვ. 67.

23 სტეფანოსის ცნობები ამ ბუბაკის შესახებ ნორვანქის ამ წარწერით განისაზღვრება.

ნავე სივნიეთისა და სხვა სიმაგრეთა დაპყრობასა[24], მისცა აგრეთვე ხელთა მისთა სივნიეთი, ოროტენი, ბარკუშატი და სხვა სიმაგრენი, და დაადგინეს ლიპარიტ მეფემან ლაშა და ათაბაგმან ივანე ერისთავად (*կողմնակալ*) ქვეყნისა ამის. აგრეთვე სხვაჲ მთავარი (*իշխան*) ...ვასაკ ხაჩენელი[25]... დაადგინეს ერისთავად ვაიოცძორის სანახებისა" (*Ս. Ո.* 397).

„სამამულო ქონების" ბოძებითა და საგამგეო ქვეყნის ჩაბარებით ლიპარიტი სამოქალაქო პოლიტიკურ უფლებებში აღდგენილ იქმნა. ის, როგორც სივნიეთის ერისთავი, ვასაკ ხაჩენელთან ერთად „მხარგრძელთა სახლის" ყმად იქცა: სივნიეთი, ივანე ათაბაგის უმაღლესი სარდლობის ქვეშ დაპყრობილი[26] 1219 წელს, „ათაბაგის სახლში" შედიოდა.

საინტერესოა სტეფანოსის მიერ ხაზგასმა, რომ ლიპარიტს „სამამულო ქონება" „ნაცვლად მამულისა" (*փոխան հայրենեաց*) მისცეს. ეს აზრი და თვით გამოთქმაც ჩვენს ავტორს ამოღებული აქვს ლიპარიტისავე სიგლიდან[27], ასე რომ ეს მოვლენა ლიპარიტსაც ასევე ესმოდა. მაგრამ გასარკვევია, რომელ მამულის სანაცვლოდ გულისხმობენ ლიპარიტ და ორბელთა ისტორიკოსი სტეფანოსი ქართველთა მეფის მიერ ნაწყალობევ „მამულს"? თუ გავიხსენებთ ლიპარიტის ბიძის, ივანე ორბელის საქმეს,—მასაც ხომ მისცეს «მამეულთაგან მისთა ორბეთი ხოლო",—უფრო ბუნებრივი გვეჩვენება ვიფიქროთ, რომ აქაც ორბელთა 1173 წლამდის ნაქონევი „მამული" იგულისხმება და არა ნახჭავნის სანახებში ყიზილ არსლან ათაბაგის მიერ ემიგრანტ-ექსორიაქმნილ ელიგუმისადმი ნაწყალობევი ქონება.

ასეთ გაგებისას მეტად დამახასიათებელია, რომ ლიპარიტს მის წინაპართა ნაქონევიდან არა დაუბრუნეს რა, არამედ მხოლოდ „ნაცვლად მამულისა მისცეს". ორბელთ ნაქონევი ამ დროს, ჩანს, ერთობ ძლიერ ფეოდალთა ხელშია.

---

[24] სივნიეთის დაპყრობის თარიღის შესახებ იხ. ბ რ ო ს ე, Additions, 321, შენიშვნა 1, სადაც ავტორი სრულიად სამართლიანად აძლევს უპირატესობას ვარდანის თარიღს (1219 წელი) სტეფანოსის თარიღთან შედარებით (1211 წელი).

[25] ამ ვასაკ ხეჩენელისა და მისი ჩამომავლობის შესახებ იხ. ბ რ ო ს ე, op. cit. 321, შენ. 2.

[26] *Ս. Ո.* 392 და *Հաւաքումն պատմութեան Վարդանայ վարդապետի լուսաբանեալ* ვენეტიკის 1862 წ. გამოცემა, გვ. 140. იხ. აგრეთვე Vim. taregir, გვ. 144.

[27] *Ս. Ո.* 360 და Vimakan taregir კ. კ ო ს ტ ა ნ ი ა ნ ც ი ს ა გვ. 66: *եկի առ մեծ աթաբեկն Իւանե և նորա բազում սիրով ընկալեալ զմեզ շնորհեաց փոխան հայրենեաց իմոց զհարշկաբերդ* და სხვ.

რა თქმა უნდა, ასეთი სანაცვლოთი ლიპარიტ ორბელი საბოლოოდ კმაყოფილი ვერ იქნებოდა: მცირე და უმნიშვნელო იყო მისი დიდება და პატივი შედარებით მის ქედფიცხელ წინაპრებთან. მაგრამ მორჩილების გარდა ჯერჯერობით არა გაეწყობოდა რა:ერთობ ძლიერნი ჩნდენ მხარგრძელნი და ორბელთა ნაქონევის სხვა მჭირავნი. ასე რომ მათთან ბრძოლა ჯერჯერობით ყოველად უიმედო საქმე იყო.

გარდა ამისა, ლიპარიტი ეხლახან შეწყალებული იყო, საეკლესიო დაკრულვით შემტკიცებული სახელმწიფო დარბაზის 1177 წლის მრისხანე განაჩენი ორბელთა გვარის შესახებ ჯერ ისევ სამეფო სამდივანმწიგნობროს არქივში იყო და ფორმალურად გაუქმებული არ ყოფილა. გარკვეულ პირობებში შესაძლებელი იყო ამ საბუთის კვლავ ძალაში შესვლა...

ლიპარიტიც გონივრულად ბედს დასჯერებია და თავის ახალ „მამულსა“ და საგამგეოში აღმშენებლობითი მუშაობა გაუჩაღებია (*U. П.* 351—368 და 397; Vim. tar. 66); აქვე ნორავანქის მონასტერში მას, როგორც ეს დიდგვარიანს შეშვენოდა, საგვარეულო საძვალე შეუქმნია.

მაგრამ საგვარეულო პატივის დაბრუნების საქმეში ბედმა ორბელთ სულ სხვა მხრიდან გაუღიმა...

1225 წელს ჯალალ-ედინის წინააღმდეგ ბრძოლაში ლიპარიტიც მონაწილეობდა (*U. П.* 399). გარნისით ლტოლვილი ის მშვიდობით დაბრუნდა სივნიეთში.

შვიდ წელს გაგრძელდა ჯალალის სასტიკი ბატონობა, „ხოლო შემდგომად ათერთმეტისა წლისა (ე. ი. 1236 წელს) აღძრა უფალმან აღმოსავლეთით ნათესავი იგი მოისართა, რომელთაც მუღალნი, ხოლო მდაბიურად თათარნი ეწოდება“ (იქვე, 400).

ლიპარიტი მონღოლთ ამ შემოსევას არ მოსწრებია. ის ჯერ კიდევ შუახნის კაცი (*ի միջոցեալ հասակի*) ციხე ბოროტენის პირდაპირ უცაბედი ისრით დაჭრილი გარდაიცვალა (იქვე, 398).

ლიპარიტს ხუთი ძე დარჩა: ელიგუმი, სუმბატი, ივანე, ფაჰრადავლა და ტარსაიჭი[28] 1220—1221 წლის ნორავანქის წარწერაში ყველა ესენი უკვე იხსენიებიან.

ლიპარიტის სიკვდილით ორბელთა სახლს მფლობელობის მხრით ცვლილება რაიმე, როგორც ჩანს, არ განუცდია. ყოველ შემთხვევაში სტეფანოსი საამისოს არაფერს გადმოგვცემს. მისი: „დარჩნენ ობოლნი და უპატრონონი“ ამ მხრით ნიშანდობლივს არაფერს ამბობს.

---

[28] საინტერესოა, რომ არც ერთს ძეთაგანს პაპის სახელი (ბუბა) არა ჰქვიან. ან შეიძლება ბუბას სხვა სახელიც ჰქონდა—(ტარსაიჭი, ფაჰრადავლა)?

ჩქარა ელიგუმმა, ლიპარიტის უფროსმა ძემ, ცოლად შეირთო გრიგოლ მარწანეანის ქალი (ეს გვარი, იტყვიან, მამიკონიანთაგან ჩამომავლობსო. შენიშნავს სტეფანოსი) და მამის უფლებებიც დაიმკვიდრა.

ახლად შემოსეულ მონღოლებს ელიგუმი ჰრაშკაბერდში გამაგრებული დახვდა.

ასლან ნოინისაგან ალყაშემორტყმული ის მეტისმეტად ჩქარა დარწმუნდა, რომ მონღოლთათვის „თვით ღმერთს მიეცა ეს ქვეყანა" და ნოინის პირველსავე წინადადებას დამორჩილდა.

საქართველოს მონღოლთადმი უბრძოლველად დამორჩილების გადაწყვეტილება არ მიუღია. ამდენად სახელმწიფო თვალსაზრისით ელიგუმის მოქმედება ღალატი იყო.

ელიგუმი ჩქარა მიხვდა, რომ მონღოლთა გზით მას შეუძლია მიაღწიოს იმას, რის ოცნებაც კი ჩვეულებრივ პირობებში შეუძლებელი ჩნდა. საქმე იმ თავითვე კარგად წავიდა.

ასლან ნოინმა, რა იხილა აგრე ადვილად მის ნებას მოყოლილი და დიდის ძღვენით მის წინაშე წარმდგარი ჯერ კიდევ დაუმორჩილებელი საქართველოს ხელისუფალი, „ფრიად შეიყვარა იგი... და ქმნა მშვიდობა [მასთან]". უკვე ასლან ნოინის ანისის მიმართულებით ლაშქრობაში ელიგუმი მონღოლთა მეწინავე რაზმში იყო[29]. „და დაიპყრო მან (ე. ი. ასლანმა) ვაიოცძორი და ეღეგიქი ვიდრე დაბა ერერონადმდე, რომელ არის პირისპირ გარნისისა" (*Ս. Ո.* 404).

ყოველივე ეს მოხდა ჯერ კიდევ მანამდის, სანამ არც ერთი საქართველოს სხვა ხელისუფალი მონღოლთ არ ემორჩილებოდა.

„და მისცა [ასლან ნოინმა],—განაგრძობს სტეფანოსი—ყოველი იგი ელიგუმს და უთხრა: ხმლით ნაშოები [ქონება] და ნასყიდი [ქონება] თანაბარ [საკუთრების] მამულია. ეს სანახები, რომელიც მე ხმლით მიშოებია, იყოს სამამულედ შენდა და მემკვიდრეთა შენთა. ხოლო შენ ერთგულ იყავ ჩვენი და მონებდი დიდს ყაენს, რომელმაც ჩვენ მოგვავლინნა".—და ის [ელიგუმი] მმადლობელი გულსრულად ჰმორჩილებდა მათო (*Ս. Ո.* 404).

ვითომდა ასლან ნოინის მიერ აქ გამოთქმული უფლებრივი მოსაზრება, ეს ფეოდალურ საქართველოში არსებული იურიდიული ნორმაა. და შეუძლებელია, რომ მიწის მფლობელობის ასეთი ნორმები ჰქონოდათ მომთაბარე ელის შვილთ.

---

[29] ასე უნდა გავიგოთ, ვფიქრობთ, სტეფანოსის: *Կալեալ զնա առաջնորդ*... ასე ექცეოდნენ მონღოლნი უბრძოლველად დამორჩილებულ მთავრებს. იხ. Бартольд, Туркестан в эпоху монгольского нашествия, ч. II, стр. 432.

...„და მიერ დღითგან დამტკიცდა ესე მამულად სახლისა და ნათესავისა ორბელიანთა“-ო ამტკიცებს სტეფანოსი.

როგორც ზემოთ ვნახეთ, ვაიოცძორი ვასაკ ხაჩენელის (და მის ჩამომავალთა) საგამგეოს შეადგენდა, ხოლო გარნისის ოლქი ავაგ ამირ-სპასალარის უშუალო სამფლობელო იყო.

ასე რომ ელიგუმმა სახელმწიფო ღალატი ახლო მფლობელთა აშკარა მტრობით დააბოლოა: მონღოლთა წყალობა იმათ ხარჯზედ მიიღო.

მონღოლთათვის ეს ნაცადი პოლიტიკა იყო: უომრად და უწინ დამორჩილებულს ისინი უბრუნებდნენ არა მარტო მათ ძველ ნაქონებს, არამედ მეტსაც უწყალობებდნენ ხოლმე (კირაკოს განძაკელი, 255) და, რა თქმა უნდა, უმატებდენ იმათ ხარჯზე,რომელნიც ჯერ კიდევ არ დამორჩილებოდნენ. ფეოდალურ მფლობელთა მიმართ, რომელთა „ერთგულებისა და სამსახურის“ მთავარ საფუძველს სწორედ ეს „სამფლობელონი“ შეადგენდნენ, ეს მონღოლური ხერხი თითქმის უმცთარი იარაღი იყო. ამ შემთხვევაში მონღოლთ ფეოდალურ სახელმწიფოთა აქილევსის ქუსლი ნაპოვნი ჰქონდათ. „ყმები“ სტოვებდნენ „პატრონს“, რომელმაც ვერ დაიცვა ისინი უცხოსაგან და ახალი პატრონის „ყმობაში“ გადადიოდნენ, მათგან მიიღებდნენ „შეწყალებულ ქონებას“.

საქმე რომ მარტივ ბატონყმურ მოვლენასთან გვქონოდა, მაშინაც კი ელიგუმის საქციელი გაუმართლებელი იქნებოდა: „პატრონი“ ჯერ კიდევ ბრძოლას განაგრძობდა და „ყმაც“ მოვალე იყო ამ ბრძოლაში მის გვერდით მდგარიყო. მაგრამ ჩვენს შემთხვევაში მოვლენა კიდევ უფრო რთული იყო. ამ დროს საქართველო ფრიად განვითარებული ფეოდალური სახელმწიფო ორგანიზაცია იყო. თითოეული მთავარი ან დარბაზის კარის ან კიდევ საქვეყნოდ გამრიგე მოხელე იყო და ამდენადვე მისი სახელმწიფოსთან საპატრონყმო ურთიერთობა წმინდა სახელმწიფოებრივი მომენტით იყო გართულებული. ეს მოვლენა ყოველი პირობის გარეშე ავალებდა ასეთ მოხელეს ცენტრალური ხელისუფლების ერთგული დარჩენილიყო, მაგრამ, რადგან ყოველ ასეთ „მოხელეობასთან“ განუყრელად დაკავშირებული იყო ამა თუ იმ სახის მფლობელობა, ამიტომ ეს „ქელიც“ ერთგვარ საპატრონყმო იერს იღებდა. „სამამულო“ ფეოდალური აზროვნება სძლევდა სახელმწიფოებრივ ცენტრალისტურ აზროვნებას და ეს „ქელიც საპატიო ქონების ატრიბუტად განიხილებოდა და არა პირუკუ. აქ იყო ფეოდალურ სახელმწიფოთა სისუსტე. რითაც ასე კარგად სარგებლობდენ მონღოლები. საინტერესოა, რომ სტეფანოსი, რომელმაც თითქო კარგად იცის ქვეშევრდომის მოვალეობა სახელმწიფოსადმი (*U. П.* 390), ელიგუმის მოქმედებას

ბუნებრივად სთვლის და მის კანონიერებაში ეჭვიც არ შესდის, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს იმით არ აიხსნება, თითქო ასეთი მოქმედება ძაშინ საერთოდ კანონიერად მიაჩნდათ. ასეთ აზრს სრულიად აბათილებს შეჭურჭლეთუხუცესი ივანე ციხისჯვრელის მოქმედება (ქ. ცა 769, გვ. *590).

ამრიგად, ელიგუმმა სახელმწიფოს მიმართ ღალატი, „პატრონის" მიმართ ორგულობა, ხოლო მეზობელ მთავართა მიმართ მტრობა გამოამჟღავნა.

გასაკვირი არაა, თუ ამ დროიდან სიძულვილი და მტრობა ჩამოვარდა ავაგისა და ორბელთა „სახლებს" შორის.

ჩქარა ავაგ ათაბაგიც დამორჩილდა მონღოლებს. მას მიჰყენენ შანშა მხარგრძელი, ვარამი გაგელი... და ყველაზე ბოლოს სამცხის მთავარიც.

ელიგუმის სიკვდილს სტეფანოსი მონღოლთა მიერ მარტიროპოლისის ალყას[30] უკავშირებს. სენმარტენი და ბროსე ამ მოვლენას 1243 წლით ათარიღებენ[31]. ალყის დროს ელიგუმი ავად შეიქმნა და, როგორც ამბობენ, მოწამლულ იქმნა მკურნალის მიერ ავაგის ბრძანებისამებრო, გადმოგვცემს სტეფანოსი.

ელიგუმი ორბელთა საგვარეულო საძვალეში, ნორვანქში დამარხეს. მას დარჩა ვაჟი ბურთელი.

ელიგუმის სიკვდილში ავაგ მხარგრძელის მონაწილეობას კატეგორიულად ვერც სტეფანოსი ამტკიცებს. მაგრამ ის მოვლენა, რომ ასეთ რასმე „იტყვიან", იმის მაჩვენებელი მაინც არის, რომ ხსენებულ ორ „სახლს" შორის სამკვდრო-სასიცოცხლო მტრობა ჩამოვარდნილა...

ელიგუმის შემდეგ ორბელთ სახლის უფროსობა სუმბატ ლიპარიტის ძის ხელში გადავიდა. სტეფანოსის სიტყვით ეს სუმბატი „იყო გონებით და ზრახვით ძლიერი, გონიერებით შეუდარებელი, გამოგონებით მრავალღონე, სიტყვით უხვი და ტკბილი, ენათა მეცნიერ და მჭევრმეტყველ, დივნის საბჭოში უძლეველი „რამეთუ მეტყველებდა სომხურითა და ქართულითა, უიღურულითა და ფარსულითა და მონღოლთაცა ენითა" (*U. Л.* 405).

---

[30] რომ ნეფრკერტი იგივე მუფარკინია: *Նփրկերտ որ ասեն Մուփարկին* — ვარდანი, ვენეტ. გამოც. 59; რომ მუფარკინი მარტიროპოლისია: ჰულაუ ყაანმა— *պաշարեցաւ Մուփարկին քաղաքն Մարտիրոսաց*, ვარდანი, 150; კირაკოსით (გვ. 368): *քաղաքն Մարտիրոսաց որ կոչի Մուփարկին*; სტეფანოსით; *քաղաքին Մարտիրոսաց որ Նփրկերտ կոչի*: გვ. 404.

[31] M. I. Saint-Martin, Mémoires historiques... II, 291, შენიშ. 38; Brosset Additions... 323. შენიშ. 4.

ჩვენ განზრახ მოვიყვანეთ სტეფანოსის მიერი ეს დახასიათება თავისი ბიძისა და გამზრდელის. ამ ცნობის სიმართლის ძიება ჩვენთვის ამ ჟამად საინტერესო არ არის. ერთი ცხადია: სტეფანოსი ცდილობს თავისი ბიძის სახით მისი დროის იდეალური ადამიანი წარმოგვიდგინოს. ამ მხრით მივაქცევთ ჩვენც მას ყურადღებას.

ადამიანის იდეალის დაკავშირება მის გონებრივ ავლადიდებასთან ბუნებრივია ისეთ დაწინაურებულ ქვეყნებში, როგორც მაშინდელი საქართველო [და მასში შემავალი სომხეთი] იყო. თავის თავად არც მრავალ ენათა მცოდნეობა იყო ახალი რამ სამკაული. სტეფანოსის იდეალი სხვა მხრით არის საინტერესო: ძველი კულტურულ ენების, ბერძნულისა და არაბულის, ადგილი უკულტურო უიღურულსა და უმწერლობო მონღოლურს დაუჭერია, რაც საუკეთესო მაჩვენებელია საქართველოს კულტურული დაქვეითებისა XIII საუკუნეში[32].

სტეფანოსი ადამიანის მიერ მრავალ ენათა მცოდნეობას გარკვეულად უკავშირებს მის ეძლეველობას „დიენის საბჭოში". რა თქმა უნდა, აქ ლაპარაკია მონღოლთა დივანზე ურდოში, სადაც ირჩეოდა და წყდებოდა დამორჩილებული ქვეყნების სხვადასხვა საკითხები. XIII საუკუნის სინამდვილეში ადამიანის იდეალად ქცეულია ამ დივან-სასამართლოში უძლეველობა, რაც იმ მოვლენიდან გამომდინარეობდა, უეჭველია, რომ მონღოლთა სახელმწიფო პოლიტიკის წყალობით განსაკუთრებით შესაძლებელი შეიქმნა მედროვეთა მიერ[33] მრავალგვარი უკანონო მიტაცებანი, ხოლო თავიანთ უფლებათა დაცვის სხვა საშუალებას მოკლებულნი იძულებულნი იყვნენ მონღოლთა დივანში სარჩელის გზით ეძიათ დაკმაყოფილება. აქ კი მრავალენოვანობა საერთოდ და უიღურულ-მონღოლურის ცოდნა კერძოდ მართლაც ძლიერი იარაღი უნდა ყოფილიყო.

ელიგუმის გარდაცვალებით ავაგისა და ორბელთ სახლებს შორის მტრობა, რა თქმა უნდა, არ შეწყვეტილა. „ელიგუმის [გარდაცვალების] შემდეგ ავაგის სახლი, განსაკუთრებით გ ვ ა ნ ც ა, მეუღლე ავაგისი, შეუნელებლად მტრობდა ორბელთა სახლს. სუმბატის და მისი ძმების, ობლად დარჩენილ ყრმათა, ამოწყვეტა ან განდევნა ენე-

---

[32] სწავლა-მეცნიერების დაცემა-დაქვეითებაზე ხორასანში და კულტურულ ენათა ადგილის უიღურულის მიერ დაჭერაზე იხ. მ ი უ ლ ე რ ი, op. cit. 252, სადაც მას მოჰყავს მონღოლთა კარის ისტორიკოსის მოწმობა.

[33] იხ. В. Б а р т о л ь д, Персидская надпись на стене Анийской мечети Мануче, გვ. 26--27, სადაც ავტორი D'Ohsson-იდან დასესხებით ამბობს, რომ მონღოლ დიდკაცთა მფარველობის მომპოვებელნი „люди с поддельными документами в руках начинали процессы для отнятия земельных участков у их законных собственников"...

ბათ; მისტაცეს მამული, ხოლო ისინი [ორბელნი] აქეთ იქით იმალებოდნენ“ (*Ս. Ո.* 405).

ამრიგად, ავაგის სახლს ორბელთა სახლი მიუმძლავრებია და მათი *հայրենիք*-იც ნაწილობრივ მიუტაცნია.

მაინც მოყვანილ ამონაწერს განხილვა-შეფასება სჭირდება. სტეფანოსით ორბელთა სახლი ელიგუმის გარდაცვალებით „ობლად“ დარჩა: სუმბატი და ძმანი „ყრმები“ იყვნენო. ნორვანქის 1220—1221 წლის წარწერიდან კი ჩანს, რომ ლიპარიტ ორბელიანს ამ დროს უკვე ჰყავს შვილები: ელიგუმი, სუმბატი, ივანე, ფაჰრადავლა და ტარსაიჯი.

ამათში უფროსი ელიგუმია, ხოლო სუმბატი მისი მომდევნო. ამიტომ შეუძლებელია სუმბატი 1215 წელზედ უგვიანეს დაბადებულად ვიგულისხმოთ. მაშინ 1243 წელს, როცა უნდა გარდაცვლილიყოს ელიგუმი, 28 წლის სუმბატს უწლოვანობა არ ეთქმოდა.

ამიტომ საქმე აქ უფრო სხვა მოვლენასთან უნდა გვქონდეს: ავაგს, რომლის მნიშვნელობა შეუდარებლად დიდი იყო საქართველოს სახელმწიფოში, ვიდრე მისი ყმის ელიგუმის, მონღოლთ მიერ თანდათან მეტი პატივი უნდა დასდებოდა შედარებით, მართალია, გულწრფელ მომხრესთან, მაგრამ მაინც წვრილფეხა ელიგუმთან, და ეს მით უფრო მას შემდეგ, რაც ავაგი ყარაყორუმს მივლენილი დიდი პატივით დაბრუნდა და თან მოიტანა ყაენის იერლაყი, „რათა მასვე მისცენ ნაქონევი მისი, [მოინდონ ის] და მისი [საშუალებით] დაიმორჩილონ განდგომილი [მთავრები]. და მართლაც ასე მოხდა როგორც კი დაბრუნდა ავაგ [ყარაყორუმიდან] და მონღოლ მხედართმთავრებმა ყაენის ბრძანება შეასრულეს [ე. ი. ავაგს მამულები დაუბრუნეს], მონღოლთა მორჩილებაში მოვიდნენ შაშა ზაქარიასძე [მხარგრძელი], მთავარი ვარამ [გაგელი] და მისი ძენი აღბუღა და ჰასან—მეტსახელით ჯალალ-ერისთავი ხაჩენის მხარეთა და სხვანი მრავალნი [მთავარნი] და [მონღოლები] თითოეულს უბრუნებდნენ მათსავე ნაქონევსაო“ (*ك ي ر ا ك ي س گ ا ن ذ ز ا ك ي*, op. cit., 249).

რა თქმა უნდა, ელიგუმს ავაგის წინააღმდეგ ბრძოლა ეხლა აღარ ძალედვა; ის ამის შემდეგ ვერც მონღოლთა ნაწყალობევ ავაგისეულ ქონებას შეინარჩუნებდა. ამიტომ ორბელთა მიმძლავრება ავაგის სახლის მიერ ჯერ კიდევ ელიგუმის სიცოცხლეშივე შეიძლება დაწყებულიყოს. ხოლო სტეფანოსის მიერ ამ ფაქტის ელიგუმის სიკვდილთან დაკავშირება ნაგვიანევი შენათხზის შთაბეჭდილებას სტოვებს. ასე რომ სტეფანოსის ცნობა მისაღებია იმდენად, რამდენადაც ამ ორ სახლს შორის დაუცხრომელ მტრობას ააშკარავებს.

ელიგუმის გარდაცვალებით ორბელთა სახლის მდგომარეობა ზართლაც უნდა გაუარესებულიყო. ახალგაზრდა სუმბატი, რომელიც

ეხლა ამ „სახლს“ წინამძღოლობდა, ჯერ კიდევ მონღოლთა კარზე უცნობი და გამოუცდელი იყო. ავაგის წინააღმდეგობა მას კიდევ უფრო ნაკლებ შეეძლო, ვიდრე მის ძმას, მონღოლთა წინაშე ერთგულად ნამსახურს.

ასეთი მდგომარეობა გრძელდებოდა 1250 წლამდის.

ბოლოს შევიწროებულ ორბელთ „მოჰხედა ღმერთმა და მათი სახლის აღდგენა-გაძლიერება ინება“... მონღოლთ მთავარი იმ დროს ბ ა ჩ უ ნ ო ი ნ ი იყო. ის იდგა სანახებსა ჰაბანდისასა ძაგეძორის შესავალში (სივნიეთში). „და იყო იქ ძალით მოყვანილ მცირე მ ე ფ ე ს ო ნ თ ა დ ა ვ ი თ და დგა იგი პყრობილი [მონღოლთა] ბანაკში“... (*ᲥᲐ. Ლ.* 406). ეს დავითი სამი კაცის თანხლებით ღამით იკლტოდა მონღოლთა ბანაკიდან. მეფეს თან ჰქონდა ერთი მეტად ძვირფასი წითელი ქვა, რომლის ფასი „ძელი ცხოვრების“ ნაწილთან ერთად,—რაც აგრეთვე თან ჰქონდა მას, მთელი მისი სახელმწიფოს ფასს უდრიდა.

ლტოლვილმა დავითმა დაბა გუთენზედ გაიარა. ამ დაბის „უფალი“ თ ა ნ კ რ ე ყ უ ლ ი იყო, სუმბატის აზნაური. თანკრეყული დაედევნა, დაეწია და ენება მეფის შეპყრობა. შეშინებულმა მეფემ უბიდან კისაკი ამოიღო, მისცა თანკრეყულს და უთხრა: „ვისი [ყმა] ხარ? მან უთხრა: სუმბატისა ვარ ორბელიანისა. მეფემ უთხრა: „წაიღე ეს, მიეც სუმბატს და უთხარი თუ: ეს მთელ ჩემ სამეფოდა ღირს; წაიღე და შეინახე. თუ [მშვიდობით]გავიდე და მეფე ვიქმნე ჩემს ქვეყანაში, მოდი, მომიტანე და შენ მოგცემ ქვეყანას, თუ ქალაქს, რომელიც გსურს ხოლო თუ ვერ გამოვიდე სონთა ქვეყნიდან, გქონდეს ეს შენ“. და [მეფე] გავიდა რა [უვნებლად], შევიდა სონთა მაგარსა და ვიწრო ქვეყანაში და იქ დარჩა სიკვდილამდის (*ᲥᲐ. Ლ.* 406—407).

ჩვენ განგებ მოვიყვანეთ მთელი ეს ამონაწერი: ჩვენთვის ამჟამად საჭიროს გარდა მას დამოუკიდებელი მნიშვნელობაც აქვს.

უპირველეს ყოვლისა საყურადღებოა, რომ ქართ. ჟ.-აღმწერელის ცნობით, ლტოლვილ დავითს თვით სუმბატი შეეყარა, ნადირობას მყოფი, რომელმაც მეფე „სახლად თვისად“ წარიყვანა და მხოლოდ ძვირფასი თვალის მიღების შემდეგ გაუშვა ის. და ყველაფერი ეს იყო „ქვეყნად ამავე ათაბაგისა“ (ქ. ც-ა *812, გვ. 655).

ამრიგად, ჟ.-აღმწერელის (თუ მისი წყაროს) ცნობით სუმბატ ორბელის „სახლი“ ავაგ ათაბაგის „ქვეყანაში“ იყო.

განვიხილოთ სტეფანოსის ცნობა. სტეფანოსით დავითი მცირე მეფეა სონთა. ის მონღოლთ გამოექცა და თავის ქვეყანაში ილტვის.

ამბობს—თუ გადავრჩი და გავმეფდი ჩემს ქვეყანაში, მოდი ჩემთან, მომიტანე ეს თვალი და მოგცემ იმ ქვეყანასა და ქალაქს, რომელიც გსურსო. შემდეგ კი იქვე: ხოლო უკეთუ ვერ მოვიდე სვანთა ქვეყნიდან, ეს ძვირფასი თვალი შენი იყოსო. თუ დავითი, როგორც სტეფანოსი უწოდებს, მხოლოდ „სონთა“ მეფე იყო და იქით ივლტოდა გასამეფებლად, სადღა უნდა გამოსულიყო? და თუ სუმბატის ბასთან მისვლა მხოლოდ მას შემდეგ უნდა მომხდარიყო, როცა მეფე „სონთა ქვეყნიდან“ გამოვიდოდა, ცხადია, დავითი მარტო „სონთა მცირე მეფე“ კი არ ყოფილა, არამედ იქით მხოლოდ დროებით დასამალავად ივლტოდა იმ იმედით, რომ კვლავ გამოვიდოდა და იმ ქვეყანას (თავის სამეფოს) დაეუფლებოდა, საიდანაც სუმბატზედაც ხელი მიუწვდებოდა, ე. ი. აღმოსავლეთ საქართველოს[34]. დავითი სვანთა ქვეყნიდან აღარ გამოსულაო, უმატებს სტეფანოსი, რათა გაამართლოს თავისი ბიძის საქციელი: სუმბატს ძვირფასი თვალი მეფისათვის არ დაუბრუნებია.

სტეფანოსი ვერ ამჩნევს (თუ ტექსტის დამახინჯებასთან არა გვაქვს საქმე), რომ ის წინააღმდეგობაში ვარდება, როცა დავითს „სონთა მცირე მეფეს“ და არა საქართველოს მეფეს უწოდებს. ამ თხზულების წერის დროს, XIII ს-ის მიწურულში, მას, შესაძლებელია, მეხსიერებაში წარმოუდგა დავით ნარინი, რომელიც მის დროს მართლაც „სონთა“ (ე. ი. დასავლეთ საქართველოს) მეფე იყო, და ეს მერმინდელი მდგომარეობა თავდაპირველად მიიჩნია და თავისი წყაროს პირველი ნაწილი თავისი ცოდნის მიხედვით (შეიძლება თავისდა უნებურადაც) გაასწორა[35].

თანკრეყულმა ძვირფასი განძი სუმბატს მიუტანა. ორბელს მისი შენახვისა შეეშინდა და, მართალია, მეფისადმი ერთგულების ხარჯზედ, მაგრამ თავისი თავისათვის კი გონივრულად განსაჯა: მოულოდნელად მოპოებული ძვირფასი საშუალებით საკუთარი „სახლის“ საქმეთა გამობრუნებას შეეცადა.

ძვირფასი განძით სუმბატი ბაჩუ ნოინს წარუდგა. უთხრა: „ან შენ აიღე [ეს]და მე მომანიჭე, რასაც ვეძიებ, ან მიმავლინე ყაენთან,

---

[34] ამრიგად, სტეფანოსის ამ ცნობაში ჩვენ გვაქვს კიდევ ერთი დადასტურება ე. აღმწერელის იმ სამართლიანი მტკიცებისა, რომ XIII საუკუნის შუაწლებში საქართველოს ერთ სამეფო ტახტზე ორი მეფე ერთად იჯდა: ულუ დავითი და ნარინ დავითი. შდრ. ე. თაყაიშვილი: **Арх. Экск. раз. и зам., II, 16—19.**

[35] ორივე მოყვანილი ცნობა (სტეფანოსისა და ე. აღმწერელისა) ერთი მეორეს ავსებს. სხვაობანი სათანადო შესწორებით ადვილად შესათანხმებელი არიან. თითოეულს ცალკ-ცალკე, როგორც ვხედავთ, მეტად საინტერესო დეტალები შემოუნახავს. შეიძლება ძვირფასი თვალის ამბავი სინამდვილეც არ იყოს, ამით მთელი ცნობის უარყოფა ვერ იქნებოდა მართებული.

რათა მიუძღვნა მას“ (*И. П.* 407). ბაჩუ ნოინმა სუმბატი მანგუ ყაენთან მიავლინაო, უმატებს სტეფანოსი[36].

მ ა ნ გ უ იქმნა ყაენად 1251 წელს[37]. ამიტომ სუმბატის პირველი მგზავრობა ყარაყორუმს 1251 წლის უადრეს არ შეიძლება ყოფილიყო. მეორე მხრით სტეფანოსის მოთხრობიდან ჩანს, რომ სუმბატის ყარაყორუმს ყოფნისას მანგუ ყაენის დედა ჯერ კიდევ ცოცხალი ყოფილა. მანგუს დედა კი 1252 წელს გარდაიცვალა[38]. ამიტომ შეუძლებელია სუმბატის ეს მგზავრობა 1252 წელზედ უგვიანეს ყოფილიყო[39].

არსებობს სხვა საშუალებაც სტეფანოსის ამ თარიღის სინამდვილის შესამოწმებლად. ს ე ნ მ ა რ ტ ე ნ ი განიხილავს ორივე მოთხრობას სუმბატის ყარაყორუმს მგზავრობათა შესახებ და რ ა შ ი დ ე დ ი ნ ის ცნობებთან შედარების შედეგად სამართლიანი შესაძლებლობით დაასკვნის, რომ ჩვენს ავტორს ორი მგზავრობის შინაარსი ერთიმეორეში აურევია და პირველი მგზავრობის შემთხვეულებანი

---

[36] როგორც ვხედავთ, სტეფანოსს სუმბატის ეს პირველი მგზავრობა ქრონოლოგიურად დაკავშირებული აქვს დავით ნარინის იმ აჯანყებასთან მონღოლთ წინააღმდეგ, რომლის შედეგი იყო მისი სამუდამო გარდახვეწა ლიხთ-იმერეთში.

რომ დავით ნარინის საბოლოოდ დამკვიდრებას ლიხთ-იმერეთში ადგილი არა ჰქონია 1259—1260 წლამდის, ამას მოწმობს სპარსელი თანამედროვე ისტორიკოსის მოწმობა (ამ მითითებისათვის დიდად ვმადლობ პროფ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლს) და მ ხ ი თ ა რ ა ო რ ი ვ ნ ე ლ ი ს ქრონოლოგიური ცნობა.

ასე რომ სტეფანოსის მოთხრობის საეკვოობა მისი სისწორის მხრით (ეს ჩვენ ზემოთაც აღვნიშნეთ) ამით კიდევ უფრო სარწმუნო ხდება. ორბელთ სახლში (შეიძლება თვით სტეფანოსმა) შეაკეთეს, ზნეობრივად მისაღები გახადეს სუმბატის საქციელი. ამიტომ საჭირო გახდა ჩართვა, რომ დავითი მხოლოდ „სონთა მეფე“ იყო და რომ ის ამ ლტოლვილების შემდეგ იქიდან აღარ გამოსულა, მაგრამ ის გარემოება, რომ ე.—აღმწერელსაც შემოუნახავს ცნობა დავით ნარინის ლტოლვილების შესახებ ამ დროს (საყურადღებოა, რომ ეს ავტორი სრულიად არ აღნიშნავს, თითქო დავით რუსუდანის-ძე ამ ლტოლვილების შედეგად საბოლოოდ დამკვიდრა ლიხთ-იმერეთს), გვაკვალებს ხელაღებით არ უარეყოთ ორი ერთი მეორისაგან დამოუკიდებელი წყაროს ცნობა. შესაძლებელია აქ იგულისხმებოდეს იმ აჯანყების ეპიზოდი, რომელიც კ ი რ ა კ ო ს გ ა ნ ძ ა კ ე ლ ს 1249 წლის ქვეშ აქვს მოთხრობილი?...

[37] Стэнли Лэн-пуль, Мусульманские династии. ბართოლდის რუს. თარგმანი, გვ. 279, შენ. 3.

[38] M. Saint-Martin, Memoires... sur e'Armenie, 283 შენ. 7, M. Brosset Additions... 329. შენიშ. I.

[39] ამის მიხედვით ჩვენ შეგვიძლია მნიშვნელოვანი ქრონოლოგიური დასკვნა მივიღოთ. სახელდობრ: თუ დავით ნარინის ლიხთ-იმერეთს რომელსამე ლტოლვილებას სუმბატის ყარაყორუმს მგზავრობასთან მართლაც რაიმე ქრონოლოგიური კავშირი აქვს, მაშინ ეს ლტოლვილებაც ამავე ხანებში, ე. ი. 1250—1251 წელს უნდა მომხდარიყო.

მეორეში გადაუტანია: რომ სუმბატის მიერ არღუნ-აღას გამართლებას მანგუ ყაენის წინაშე, სტეფანოსს რომ მეორე მგზავრობის შინაარსში აქვს შეტანილი, ნამდვილად ადგილი უნდა ჰქონოდა პირველი მგზავრობის დროს, რადგან რაშიდ-ედინის ცნობით არღუნ-აღა ყურულტაის წინაშე პასუხსაგებად ყარაყორუმს იქნა გაწვეული სწორედ 1251 წელს აგვისტოში, საიდანაც მხოლოდ 1253—1254 წელს დაბრუნდა. ამავე დროს [სტეფანოსით] არღუნ აღასთან ერთად [სენმარტენით] დაბრუნდა სუმბატიც. ამრიგად, სუმბატის პირველი მგზავრობა ყარაყორუმს მართლაც 1251—1254 წლებში ყოფილა[40].

სუმბატის მიერ მოტანილი ძვირფასი თვალი მანგუ ყაენს მიართვეს. ყაენმა კეთილად იხილა სუმბატი და მისვლის მიზეზი ჰკითხა. სუმბატმა „ყოველი იგი სავსებით მიუთხრა: შევიწროება ეკლესიათა, მიმძლავრებულობა და ერთგულება ძმისა თვისისა, რომელი ასლან ნოინს [მსახურებდა] და ყოველი მდგომარეობა ქვეყნისა ამის წარმოუთხრა“ (*ᲥᲐ*. 408—409).

ამ ცნობას[41] რომ გამოვაკლოთ ეკლესიათა შევიწროებულობაზედ ნათქვამი, რომელიც სინამდვილეს ნაკლებ შეეფერება (მონღოლები ამ დროს ჯერ კიდევ არც ერთ სარწმუნოებას არ სდევნიდენ) და სტეფანოსის მიერ დანართი ჩანს, ჩვენ დაგვრჩება საინტერესო ცნობა სუმბატის მგზავრობის მიზეზისა და მიზნების შესახებ.

სუმბატი ჩივის თავის მიმძლავრებულობას. ვის მიერ? რა თქმა უნდა არა მონღოლთა მიერ. იგი ბაჩუ ნოინის მიერ მოვლენილი და, მაშ, მისი მმადლობელი მასვე ვერ უჩივლებდა. არც არღუნ-აღას უკმაყოფილო ჩანს სუმბატი. პირიქით, ერთ-ერთი მგზავრობის დროს მან არღუნ-აღას დიდი სამსახური გაუწია[42].

---

[40] M. Saint-Martin, op. cit., გვ. 982—983. მიუხედავად სენმარტენის მსჯელობის საფუძვლიანობისა ჩვენ ჯერ-ჯერობით, სანამ ყველა წასთან დაკავშირებული ისტორიულ-ქრონოლოგიური საკითხები სათანადოდ გარკვეული არაა, არ მიგვაჩნია შესაძლებლად სენმარტენის მიერ სტეფანოსის მოთხრობათა გადაჯგუფება.

[41] აქ საინტერესოა სტეფანოსის მიერ შეტანილი დეტალი: მანგუ ყაენის კითხვაზედ თუ ვინ არის ის, სუმბატმა უპასუხა: „სარწმუნოებით ქრისტიანი, ხოლო ნათესავით სომეხი“... ამაზედ ვრცლად საუბარის დრო აქ არა გვაქვს; უეჭველია მხოლოდ, რომ ეს სტეფანოსის (და შეიძლება უკვე სუმბატისაც) შემეცნების ნაყოფია სარწმუნოების ნიადაგზე: „სომხობა“ ჯერ კიდევ სტეფანოსის პაპას ლიპარიტს უნდა მიეღო.

[42] ესეც რომ არ იყოს, რა საფიქრებელია, რომ მონღოლებმა მათზე მოჩივარი სუმბატი თვითვე გაისტუმრეს ყარაყორუმს (შდრ. ჰასან-ჯალალის მგზავრობა ყარაყორუმს არღუნ აღაზე საჩიველად არა ადგილობრივი ულუსის, არამედ ჯუჩიან სართახის საშუალებით),

ამიტომ, უეჭველია, სუმბატი თავის მოძმეებს უჩივის და უპირველეს ყოვლისა „ავაგის სახლს“. სუმბატს მეტად ხელსაყრელი დრო უდგა. სწორედ ამ ხანებში ავაგ ათაბაგი უმკვიდროდ გარდაცვლილიყო. „ათაბაგის სახლი“, კირაკოს განძაკელის ცნობებით, ჯერ შანშა ზაქარიას ძეს გადასცეს, ხოლო შემდეგ ჩქარა ჩამოართვეს მას და ავაგის ცოლყოფილს გვანცას დაუბრუნეს.

ჭკუასთან ახლოა ვიფიქროთ, რომ მოხერხებულმა ორბელმა სწორედ მას შემდეგ შეძლო ყარაყორომს ავაგის სახლზედ საჩიველად წასვლა, რაც ძლიერი ათაბაგი გარდაიცვალა. ადგილობრივ ულუსში სუმბატის ძიების[43] დაკმაყოფილება ამის შემდეგაც შესაძლებლად ვერ უცვნიათ და მხოლოდ ყარაყორუმს წასვლის ნებართვა მიუციათ და ეს იმიტომ, რომ „ათაბაგის სახლი“, რომელიც თავისი წარმოქმნით საქართველოს სახელმწიფოებრიობას და მის კანონებს ემყარებოდა, ყაენის იერლაყითაც უზრუნველყოფილი იყო. ამის გამო სუმბატის ძიება „ავაგის სახლის“ წინააღმდეგ, ასლან ნოინის მიერ ელიგუმისადმი ნაწყალობევობაზედ დამყარებული[44], ადგილობრივ ულუსში არ შეიძლებოდა გადაწყვეტილიყო.

მიუხედავად ყაენის მიერ კეთილად შეწყნარებისა სუმბატი იძულებული იყო სამი წელი დაეყო შორეულ ყარაყორუმს. მონღოლთა ყაენებს საქმის ნაჩქარევად და ზედაპირულად გარდაწყვეტა საერთოდ არ სჩვეოდათ. ამ შემთხვევაშიაც, უნდა ვიფიქროთ, ადგილობრივი ულუსიდან მოითხოვეს ცნობები და მხოლოდ ასეთის მიღებისა და გამოძიების შემდგომ მიიღეს სათანადო გადაწყვეტილება[45]. შეწყალებული სუმბატი ყაენმა თავის დედას ს ურ ა ხ-

---

[43] ამ მოსაზრებით დედნისეული *խնդրել* განზრახ აწინდელი სასამართლო ტერმინით [ძველი „სარჩელის“ ნაცვლად] „ძიებათი“ ვთარგმნეთ.

[44] საქართველოს სახელმწიფო კანონთა შელახვა-უარყოფა მონღოლთა სამართლის სასარგებლოდ სათაკილოდ არ მიაჩნდათ პოლიტიკურ მედროვეებს. სუმბატი, რა თქმა უნდა, მარტო არ იყო. თვით სამეფო ტახტის მაძიებლის დ ა ვ ი თ ლ ა შ ა ს ძ ი ს „საბუთიანობა“ მონღოლთა კარზედ, უეჭველია, მისიეე, მედასეთა მიერ ნაკარნახევი, რომ „licet sim filius concubinae, peto tamen, ut fiat mihi justitia secudum legem Tartarorum, qui nullam differentiam faciunt inter filios legitimae et ancillae“ (პლან კარპ., ‰. II, თ. 7. ციტირებულია პ ა ტ კ ა ნ ო ვ ი თ) ყველაზედ დიდი შელახვა იყო საქართველოს სახელმწიფო სამართლის ნორმისა და ამავე დროს სამაგალითო და მისაბაძი ყოველი ჯურის მედროვეთათვის.

[45] ამიტომ სუმბატის „ენჩუდ“ აღიარება ყაენის მიერ ჯერ კიდევ ს ურ ა ხ თ ა ნ ბ ე კ ი ს სიცოცხლეში, ე. ი. 1252 წლამდის, ჩვენ ორბელთ სახლში ზეპირად შენახულ ამბის შეცთომად მიგვაჩნია. „ენჩუდ“ წოდება სუმბატს პრივილეგირებას ნიშნავდა: ამით ორბელთა მამული ხასი ხდებოდა. ამიტომ ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ორბელთ სახლის სამამულო ძიება ამ დროისათვის, ე. ი. სუმბა-

თ ა ნ ბ ე კ ს[46] ჩააბარა სიტყვებით: „არქაუნი ესე ჩვენდა დავიმარ-ხოთ და ნუ მივსცემთ სხვათა ვისმე სუფევად მას ზედა“ და „უწო-დეს მას ენჩუ[47], ე. ი. არს ს ა მ ე ფ ო—უმატებს სტეფანოსი — ...და [სუმბატს] დაუწერეს იერლაღი ე. ი. ბრძანება... და უბოძეს ასლან ნოინის მიერ ხმლით შოებული [ქვეყანა] და ოროტენი მისი გარემო-თი და ციხე ბოროტენისა მისი შესავლით“. ეს უკანასკნელი მამის სისხლში მისცეს: ლიპარიტი აქ მოიკლაო. „და ყაენმა [სუმბატი] სა-ქართველოისა თუ სხვა [საგადასახადო] დავთართაგან[48] ამოშალა. [ასე რომ]ეს იყო მეორე გზისი მოპოვება „[„დამტკიცება“] მამული-სა, რათგან ერთხელ ასლან [ნოინის] მიერ ხმლით აღებული ებოძა მას, როგორც ყმას [„მონას“], ხოლო მეორე გზის ყაენისაგან ებოძა [არსებითად] სყიდვის სახედ: ძვირფასი თვალის ფასად“ (*ᲥᲐ*. 411).

საქართველოს და სხვათა საგადასახადო სიებიდან სუმბატის ამოშლა შედეგი იყო მისი «ენჩუდ“ „ხასად“ შეწყალებისა მონ-ღოლთა მფლობელობის პირობებში ხასობა მრავალმხრივ საინტე-რესო ინსტიტუტი იყო. ხასად შეწყალებულს ის დიდ ეკონომიურ უპირატესობას ანიჭებდა: ხასი ქვეყანა მონღოლთა დივნის მოხე-ლეთა (ხარკის ამკრებთა) თვითნებობისაგან დაცული იყო[49], ხოლო, როგორც ცნობილია, მონღოლთა მფლობელობის უმთავრესი სიმძი-

---

ტის ხასად ქცევისას, სავსებით დაკმაყოფილებული იყო და ამის შემდეგ მისი ყარაყორუმს სამი წლის ლოდინი გაუგებარი ჩანს. ამიტომ, ვფიქრობთ, ორბელთ სახლის „ენჩუდ“ ქმნა, „საქართველოსა და სხვათა დავთართაგან“ მისი ამოშლა და მისი სამამულო ძიების დაკმაყოფილება უნდა ერთად და ერთი მეორის შედეგად მომხდარიყო საქმის სათანადო გამოძიების შემდგომ, რის შემდეგ სუმბატი ჩქარა სამშობლოში დაბრუნდა.

[46] რომ სურახთანბეკი ანაქრონიზმია, ამის შესახებ ზემო შენიშვნა.

[47] მანგუ ყაენის მოყვანილი სიტყვები ცნება „ენჩუს“ პოლიტიკური შინაარ-სის განმარტებას წარმოადგენს. ამის მიხედვით „ენჩუ“ ეწოდებოდა ისეთ პირს (ან ქვეყანას; ჩვენს შემთხვევაში ორბელის სახლი), რომელიც უშუალოდ ყაენის სახ-ლისიგან იყო დამოკიდებული. ენჩუდ შეწყალებულს სხვა ბატონი გარდა ყაენისა და მისი სახლისა აღარა ჰყავდა. ვ. ბ ა რ თ ო ლ დ ი (op. cit. 27) დ'ოჰსონიდან დასესხებით განმარტავს, რომ ამ ტერმინით აღინიშნებოდა, როგორც კერძო პა-რის პირადი დამოკიდებულება სამეფო სახლის წევრისაგან, ისე საუფლისწულო მამულებისადმი მიკუთვნება ამა თუ იმ ტერიტორიისა. დ' ოჰსონის ეს განმარტება სავსებით ეთანხმება სტეფანოსისას. ქართ. ქ.—აღმწერელის ენით რომ ვთქვათ „ენჩუ“ არის „ულოსიანი“. თუ მიუხედავად ამისა ჩვენ სტეფანოსის „*տեքստնք*“ „სასეფო-თი ეთარგმნეთ და არა „ულოსიან“-ად, ეს იმიტომ, რომ „*տեքստնք*“ ში ავტორს ,ვფიქრობთ „ენჩუ“-ს ეტიმოლოგიური შინაარსი სურდა გადმოეცა.

[48] ვფიქრობთ ტერმინი „დავთარი“ ამ დროს უკვე ჩვენშიც შემოსული იყო.

[49] **ბ ა რ თ ო ლ დ ი, Персидская надпись** და სხვ., **გვ. 27.**

მე ხარკის აკრების საქმის ეს მოუწესრიგებლობა იყო[50]. ხასის მფლობელი ამიერიდან ფეოდალი ექსპლოატატორი ხდებოდა; ის ფეოდალ მეურნის დაინტერესებულობით უყურებდა თავის „სახასოს“ და არა დივნის ვიგინდარა მოხელის ან კიდევ იჯარადრის გაუმაძღარი თვალით...

ხასის ინსტიტუტზე ჩქარა გამომჟღავნდა მონღოლურ ცენტრალურ სისტემის ეკონომიური უვარგისობა ფეოდალურ მეურნეობის პირობებში: იმ დროს, როცა დივნის სახელო ქვეყნები სწრაფ ეკონომიურ უკანდახევას განიცდიან და თანდათან ვერანდებიან, ხასი ქვეყნების ეკონომიური საფუძვლები შერყეული არა ჩანს.

ბუნებრივია თუ ხასობა სასურველ და სანატრელ მიღწევად უჩნდათ ილაჯგაწყვეტილ გადამხდელთ.

მაგრამ ხასობა, რომელიმე დიდებულისა შეუწყნარებელი უნდა ყოფილიყო იმ ორგანიზაციის (=სახელმწიფოს) სხვა წევრებისათვის, საიდანაც ხასი ამოირიცხებოდა ხოლმე. საქმე ის არის, რომ ყოველი ორგანიზაცია (=სახელმწიფო) საგადასახადო და სხვა მოვალეობათა ერთეულს წარმოადგენდა. ამ ტვირთს თითოეული წევრი თავის ძალთა შესაფერისად ეწეოდა. იბადება საკითხი: ამა თუ იმ ქვეყნის გამოსავლის დავთრებიდან ხასად ქცეულის ამორიცხვის დროს შესაფერისად ჩამოუმცრობდნენ თუ არა ხარკის ამკრეფნი საგადასახადო ტვირთს მოხარკედ დარჩენილ ნაწილს? „სარგებლობდნენ რა საგადასახადო ზედმიწევნითი სიების უქონლობით ხარკის ამკრეფნი გამორიცხავდნენ ხოლმე დივნის შემოსავლითგან (ე. ი. იმ თანხებიდგან, რომელიც მათ უნდა ხაზინაში წარედგინათ) გაცილებით მეტს, ვიდრე აღნიშნული ქვეყნის წილზედ მოდიოდა“-ო[51], გვეუბნება დ'ოჰსონი და თუ ამას ჰბედავენ მონღოლთა სახელმწიფო სალაროს მიმართ, რაღა უნდა ჩაედინათ მათ ხელში საწველ ფურად მიჩემებული ქვეყნის მიმართ?

სხვა მხრითაც არ უნდა ყოფილიყო სასურველი მეზობლისა და მოძმის ხასად გადაქცევა. ამიერიდან მისი პრივილეგირებული ქვეყანა მიმზიდველი ხდებოდა მეზობელ მფლობელთა ილაჯგაწყვეტილ ყმებისათვის, რომელნიც, ბუნებრივია, ეცდებოდნენ ასეთი „პატრონის“ „ყმობაში გადასვლას. არა ხასი პატრონი სუსტდებოდა და ძველი ოდენობით გადასახადი და სამსახური მონღოლთა კარზე სულ უფრო და უფრო უმძიმდებოდა. და ჰყიდდა შევიწროებული მემამულე მწარმოებელთაგან (ყმათაგან) დაცლილსა და ფასდაკარ-

---

[50] Бартольд, იქვე 27; ჯაყელთა სამოცწლოვან ხასობაში უნდა ვეძიოთ მთავარი მიზეზი მესხეთის ნაკლებ დაზარალებულობისა საქ-ლოს დანარჩენ ნაწილებთან შედარებით.

[51] Бартольд, იქვე დ'ოჰსონიდან დასესხებით.

გულ მამულს. მას ჩალის ფასად იგივე ხასი ყიდულობდა, რომლის ხელში ეს მამული სულ სხვა ეფექტის მომცემი იყო...

სახელმწიფოს პოლიტიკურ ინტერესების თვალსაზრისითაც მიუღებელი იყო ამა თუ იმ პირის ხასად ქცევა. ხასი ფეოდალი ფორმალურად ღა ითვლებოდა საქართველოს სახელმწიფო ორგანიზაციაში, არსებითად ის, ეკონომიურად მონღოლ დიდკაცისადმი განსაკუთრებული და მისგან დამოკიდებული, პოლიტიკურადაც თანდათან ეთიშებოდა საქართველოს სახელმწიფოს. თუ ყაენის შიშით საქართველოს მეფე „ნებისაებრ" ვერ სცვლიდა არა ხას ერისთავებსაც კი, მით უფრო ნაკლებად მიუწვდებოდა მას ხელი ხასად ქცეულზე. ასე რომ ხასობა ფეოდალს მეფის ხელისუფლებისაგან შეუვალობის მოპოვებას უადვილებდა.

კიდევ უფრო მიუღებელი იყო ორბელთა სახლის ხასად ქცევა. ამ საშუალებით სუმბატი აშკარა მტრული ზრახვების განხორციელებას მცდელობდა ათაბაგისა და სხვა მეზობელ მფლობელთა სახლების მიმართ: თავის *հայրենիք*-ს მათ ხარჯზე ქმნიდა. თუ პოლიტიკური მედროვეები ჩვეულებრივ მაღალი მფარველის მოპოვების შემდეგ „ასეთ მფარველთა ფრთებ ქვეშე უზრუნველყოფილნი"... ყალბი საბუთებით ხელში იწყებდნენ სამამულო სარჩელს მათი წართმევის მიზნით კანონიერ მფლობელთაგან[52], სუმბატი იმ თავითვე მტრობით იწყებდა. საქართველოში მოქმედი კანონების მიხედვით მისი ახლად შექმნილი *հայրենիք*-ის უდიდესი ნაწილი ასეთ უკანონო მინატაცებს წარმოადგენდა. ამ კანონთა მიხედვით, დანარჩენი „უდავო" ნაწილიც კი სუმბატის „მამულისა", ე. ი. სივნიეთის საერისთავო ათაბაგის „სახლში" შედიოდა. ამიტომაც მისი ხასად ქცევა საპატრონყმო ურთიერთობის დარღვევა იყო ყმის მიერ. მაგრამ საქმეც ის არის, რომ სუმბატი საქართველოს სახელმწიფო სამართლის გზით კი არ ეძიებდა თავისი *հայրենիք*-ის ტერიტორიულ სამზღვრებს, არამედ „ასლან ნოინის ხმლის" უფლებას ემყარებოდა. საქართველოს სახელმწიფოს სამართალს ის განზრახ გაურბოდა[53]. რადგან მისი ეს საქმიანობა ამ სამართლის ნორმების წინააღმდეგ იყო მიმართული. ამდენადვე სუმბატის ხასობა მიუღებელი იყო საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლებისათვისაც.

---

[52] Бартольд, იქვე დ'ოჰსნსონი ოჰსონიდან დასეხებით, გვ. 26—27.

[53] დამახასიათებელია, რომ ამ ამბის გადმოცემისას სტეფანოსი ერთხელაც არ ახსენებს ლაშას და თამარის ნებისაებრ ივანე ათაბაგის მიერ ლიპარიტისადმი სივნიეთის ნაწყალობეობას. ჩანს, ეს „საბუთი" ეხლა მისთვის ზედმეტია და უსიამოვნოც.

სტეფანოსი დიდის გულმოდგინებით ამტკიცებს ორბელთა ამ ახალი *հայրենիք*-ის უდავოობას, ჩვენ არ ვიცით, რა პირობებში წერდა სტეფანოსი თავის ისტორიულ შრომას. ხომ არ ედავებოდა ვინმე ორბელიანებს მათი „მამულის“ სამართლიანობაში?. შთაბეჭდილება ისეთი რჩება, თითქო სტეფანოსი უმტკიცებს ვილაცას, რომელსაც ეს არა სჯერა. თუმცა, უნდა ითქვას, ტყუილუბრალოდ არ ირჯება ორბელთა გვარის ისტორიკოსი: მისთვის შეეძლოთ ეპასუხნათ: არც ხმალი და არც სასყიდელი ორბელთა არა ყოფილა. ხმალი სამშობლოს მტრის იყო, მამული—მოძმის, ძვირფასი თვალი კი ორგული ყმის მიერ გაპირვებული პატრონისაგან მონაგერაგები რამ იყო. ასე რომ არც ერთი დებულება იმ დროის კანონისა და ეთიკის მიხედვით წესიერი და მისაღები არ ყოფილა: არც ერთი ეს არ შეეფერებოდა საქართველოს დიდებულს და დასაგმობიც იყო.

ასე შეწყალებული და ძალცემული სუმბატი 1254 წელს საქართველოში დაბრუნდა. ის ბაჩუ ნოინს წარუდგა და ყაენის იერლაყის თანახმად თავის ძიების სრულყოფა მოითხოვა. „და მიიღო რა მათგან (ე. ი. მონღოლთაგან) შემწეობა, აიღო და გაანთავისუფლა ქვეყანა იგი ოროტენისა სავსებით ვიდრე სამზღვრამდე ბოროტენისა და ბღენისა, სადაც საყდარი სიონიეთისა, ტათევი იდგა მოოხრებული. აიღო ეღეგნი და ყოველი სანახები ვაიოცძორისა, ფოღაპანქი, ურწი და ვედი მისითა ხეობითა ვიდრე ერერონადმდე, ხოლო კოტაიქსა და გეღაქუნში მრავალნი სოფელნი და დაბანი [აიღო]“ (*Ս. Ո.* 411—412).

ეხლა სუმბატმა ორბელთ *հայրենիք* -ში აღმშენებლობა იწყო. სიონეთის საეპისკოპოსო საყდრის რესტავრაციას შეუდგა.

ამის შემდეგ სრულიად ბუნებრივია, რომ ხასი სუმბატის წინაღმდეგ „კეთილის მოძულე სატანამ შურმტრობით აღატყინა სახლი ავაგისი“ და სხვა საქართველოს დიდებულნი—(ათაბაგის სახლს ამ დროს ენერგიული მანდილოსანი გვანცა განაგებდა) რაისთვისაც, თურმე, „შეკრბეს ტფილისს არღუნისთანა“... და დიდი ქრთამითა სუმბატისა დაღუპვას და მისთვის ყეენის მიერ ნაწყალობევ ქვეყნების არდამკვიდრებას ცდილობდნენო *Ս. Ո.* (412—413). სუმბატის მოქმედებით აღშფოთებულ დიდებულებს მონღოლთა დივანში უჩივლიათ. მოჩივართა სიმართლე იმდენად ცხადი ყოფილა, რომ, მიუხედავად ორმაგი საბუთიანობისა [ჯერ „ხმლით“ და მერმე „სყიდვით“ მოპოვება] და ყაენის იერლაყისა, არღუნ-აღას ხასი და მისი *հայրենիք* -ი ვერ დაუცავს და მოჩივართ „წარუღეს სუმბატს მრავალი ადგილები, ხოლო დანარჩენსა და მას სასტიკად ტყვენვიდეს“, რისთვისაც იძულებული იქმნა იგი კვლავ წასულიყო მანგუ ყაენთან. (*Ս. Ո.* 413).

საქმე ის არის, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივობას მონღოლთა ბატონობის დროს და მათ თვალში, უეჭველია ჰქონდა ერთნაირი raison d'être და ამ ნიადაგს ემყარებოდა მისი იმდროინდელი modus vivendi-ც. მონღოლთათვის ის იყო ეკონომიური და სამხედრო ორგანიზაცია, რომლის მოშლა სრულიადაც არ იყო მათთვის სასურველი, ხოლო, რომ ამ ორგანიზაციას თავისი ეკონომიური და სამხედრო მოვალეობანი მონღოლთ წინაშე წესიერად აესრულებინა, აუცილებელი იყო მისი საარსებო პირობების მინიმუმი თვით დამპყრობელთა მიერაც დაცული ყოფილიყო. მონღოლთა დახმარებით და მათ სამართალზე დაყრდნობით სუმბატის მიერ საქართველოს მიწათმფლობელობის კანონთა უგულებელყოფა, დიდებულთა ქვეყნების მიტაცება და ათაბაგის სახლის მიმძლავრება ძირიან-ფესვიანად ეწინააღმდეგობოდა აღნიშნულ modus-ს. „ღრმად გამგონე“ არღუნ აღას, როგორც ჩანს, კარგად ესმოდა ეს მოვლენა, რომ, მიუხედავად უმაღლესი ბრძანებისა, მტკიცე ხელით არ დაუცავს თავგასულ ხასის უსამართლო მოქმედებანი.

შევიწროებული და მოძმეთაგან მოძულებული სუმბატი ორი წლის შემდეგ კვლავ მანგუ ყაენის კარს მიადგა.

აქ სუმბატი თავისთვის მეტად ხელსაყრელ შემთხვევას წააწყდა. არღუნ აღას თანაშემწეს შერეფ ედდინს და ვინმე სევინჯბეკს,— დივნის მოხელეებს, არღუნი დაებეზღებინათ ყაენის წინაშე. სუმბატის მისვლისას არღუნს ბორკილები ედო[54]. ყაენმა სუმბატს არღუნისა და მის შემწამებელთა შესახებ ჩვენება ჩამოართვა. სუმბატმაც თავისი ცოდნა გონიერად მოიხმარა: ძლიერი არღუნი გაამართლა, ხოლო მისი მაბეზღარნი „ყოვლადვე გაამტყუენა“. ამიერიდან მან მფარველად მოიგო არა მარტო შორს მყოფი ყაენი, არამედ მისი ადგილობრივი მოხელე, ყოვლის შემძლე არღუნიც. ჰასან ჯალალის მაგალითით[55] სუმბატმა მშვენივრად იცოდა, თუ რა ფასისა იყო არღუნის მტრობა ან მოყვრობა.

ყაენმა ყოველივე საჩივარი მოუსმინა სუმბატს, მასზედ მზრუნველობა არღუნს მიანდო „და ბრძანა დაწერად ახალი ბრძანება და უმეტესითა სიმტკიცითა, ვიდრე პირველ, დაუმტკიცა მემკვიდრეობა

---

[54] საინტერესოა, რომ სწორედ ამ დროს არღუნზედ საჩივრით იქვე იყო ჰასან-ჯალალ ხაჩენელიც, აქიდანაც საფიქრებელია, რომ სუნბატის და ივანე ათაბაგის დისწულის ჰასან ჯალალის დამოკიდებულება ვერ იქნებოდა მეგობრული.

[55] მიუხედავად ბორა ნოინის მფარველობისა არღუნს გადატრერებულმა ჰასანმა თავი ვერ იხსნა მრავალგზისი დარბევისაგან და ბოლოს 1261 წელს არღუნის მიერვე დაიღუპა. იხ. И. Обрели, op. cit.

იგი სუმბატს". გამარჯვებული სუმბატი უკუმოიქცა არღუნ-აღასთან ერთად.

„ხოლო მოსვლასა სუმბატისასა სირცხვილეულ იქმნეს ყოველნი მტერნი და წინააღმდგომნი მისნი"—განაგრძობს სტეფანოსი გამარჯვებულის კილოთი. მაგრამ მომდევნო ცნობა საეჭვოდ ხდის როგორც გამარჯვების საბოლოო ხასიათს და სისრულეს, ისე ორბელთ სიმართლეს. სუმბატიო „ეუფლა ყოველსა სანახებსა და დაბებსა თვისსა. გარნა შემდგომად თვისითა ნებითა სიყვარულისათვის და თანხმობისათვის უკუსცა და დაუტოვა" ზოგიერთი სოფელი და აგარაკიო, „ხოლო სხვა [ე. ი. დანარჩენი] დაამტკიცა საკუთრად მამულად ნათესავისა და ტომისა [=სახლისა] თვისისა" (*Ս. Ո.* 414).

ვფიქრობთ, გვაქვს საფუძველი ეჭვი შევიტანოთ სტეფანოსის მონათხრობის სისწორეში. აბა რა დასაჯერებელია, რომ სუმბატმა რაღაც თანდაყოლილ სათნოებათა [რომელნიც მეტად მცირე ოდენობით უნდა ჰქონოდა მას] მოყვასისადმი გამომჟღავნების მოტივით დაარიგა ის დაბა-სოფლები, რომელთა შეძენა-შემომტკიცების ნიადაგზე ამდენი დათმენა და შრომა გადაიხადა? ამიტომ ბუნებრივია ყოველივე ეს ასე გავიგოთ: ყაენმა სუმბატის საქმე არღუნ-აღას მიანდო გადასაწყვეტად. სუმბატის მხარეზე არღუნის დადგომით მართლაც „სირცხვილეულ უნდა ქმნილიყვნენ ყოველნი მტერნი და წინააღმდგომნი"—ე. ი. თავიანთი მტრობა, ცოტა არის, უნდა შეენელებინათ, უნდა უფრო საზავოდ განწყობილიყვნენ. მიუხედავად, ამისა „ზოგი რამ" მაინც უნდა დაეთმო სუმბატს: ერთობ ცხადი იყო სიმართლე მოდავეთა და ძლიერი—მათი წინააღმდეგობა.

მთელი ამ ბრძოლის დროს სუმბატს უნდა დაენახა, რომ საქართველოს სახელმწიფოსა და მის დიდებულთა ხმას ჯერ კიდევ ისეთი ფასი და მნიშვნელობა აქვს თვით მონღოლთა თვალში, რომ მისი უგულებელყოფა ერთ რომელიმე დიდებულთაგანს, თუნდაც ხასად ქცეულს, არ ძალედვა; რომ სწორედ იმ *հայրենիք* -ის სიმტკიცისა და მოუდევრობისათვის, რომლის შექმნას ასე თავდადებით ცდილობდა სუმბატი, საჭირო და აუცილებელი იყო არა იმდენად მონღოლთა მიერ შეწყალებულობა, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ადგილობრივი კანონიერების საფუძველზე მოპოვებული ლეგალობა.

აი ამ ნიადაგზე უფრო ბუნებრივია ავხსნათ სუმბატის სასიყვარულო და საზავო განწყობილება მოდავე მეზობლებისადმი და „თვისითი ნებითა" მათდამი „ზოგი" რისამე „დათმობა".

ასე და ამნაირად, სუმბატმა ორბელთა „მამულიც" შექმნა და საქართველოს და მისი დიდებულნიც შემოირიგა.

საყურადღებოა, რომ სტეფანოსი ამიერიდან აღარას ამბობს სუმბატის „ენჩუდ" შეწყალებულობის შესახებ, შემდგომი ამბები

კი მოწმობენ, რომ ორბელნი წინანდებურად საქართველოს დიდებულთა რიცხვში შედიან; სუმბატის ძმა ტარსაიჩი ათაბაგიც კი იქმნა. ამიტომ, ხომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ სუმბატის ხასობა 1258 წელს [როცა მანგუ ყაენი მოკვდა[56]], ან თვით სუმბატის სიცოცხლეს მაინც არ გადაშორებია და ორბელთა სახლი ისევ საქართველოს გამოსავლის დავთარში შესულა?

ორბელთა ამ საგვარეულო მამულის შექმნით არ დამთავრებულა პატივმოყვარე და ენერგიული სუმბატის საქმიანობა. მთავარი მიზანი, ე. ი. ორბელთა სახლის ძველ პატივში აღდგენა ჯერ კიდევ შორს იყო და ახლად მოპოვებული „მამული" მხოლოდ აუცილებელი პირობა იყო ამ მიზნისათვის წარმატებითი ბრძოლის საწარმოებლად.

1256 წელს მოსულმა ჰულაუ ყაენმა ფრიად შეიყვარა მანგუ ყაენის მიერ შეწყალებული სუმბატი—„და მრავალთა საქმეთა თვისთა ზედამდგომელ ქმნა" (*ᲥᲐ.* 414).

ამ ხანებში სუმბატს მოუკვდა ძმები ივანე და ფაჰრადავლა (1261 წლამდის), ძმისწული ბურთთელი ელიგუმის ძე (1261 წელს) და დედა ასფა (1263 წელს). დარჩა მხოლოდ ძმა ტარსაიჩი, რომელიც ფლობდა ოროტენს, და ძმისწული ლიპარიტ ივანეს ძე.

უმაღლესი პატივი საქართველოს სამეფო კარზედ უკვე XIII საუკუნის დასაწყისიდანვე ათაბაგობა იყო. ორბელთა სახლის იდეალი, ბუნებრივია, ამ პატივის მიღწევა შექმნილიყო[57]. ეს ამ დროს თითქო ადვილ შესაძლებლადაც მოჩანდა: ათაბაგი ავაგ კარგა ხანია უმკვიდროდ გარდაცვლილიყო და დავით მეფეს ჯერ კიდევ ახალი ათაბაგი არ დაენიშნა[58].

ავაგის სახლს, როგორც ვიცით, მისივე ცოლყოფილი ენერგიული გვანცა განაგებდა, რომელთანაც მტრობის უსიამოვნო შედეგი არაერთხელ იწვნია სუმბატმა. მით უფრო უაზრო იყო მის წინააღმდეგ ბრძოლა მას შემდეგ, რაც ეს მანდილოსანი მეფე დავითის მეუღლე შეიქმნა. თუ რისამე მიღწევა სურდა სუმბატს, ამიერიდან ეს

---

[56] Л э н-П у л ь, Мус. дин. ბართოლდის თარგმ. გვ. 177, შენიშვნა. I, იქვე 182.

[57] მართალია ორბელთა სახლის ძველი პატივი ამირსპასალარობა და მანდატურთუხუცესობა იყო, მაგრამ ჯერ ერთი, რომ ათაბაგობა ეხლა მაღლა იდგა, მეორე,—რომ ათაბაგობასთან ამირ-სპასალარობის შეთავსება აღვილი საქმე იყო: ასეთი იყო ტრადიცია, და მესამეც ისა, რომ ეს „ჭელები" ძლიერისა და მრავალიანი შანშა მხარგრძელის სახლში იყო ამ დროს.

[58] თუ რატომ, ამას [და საერთოდ ათაბაგობის საკითხს] ჩვენ ვიკვლევთ სპეციალურ წერილში: „საქართველოს ათაბაგნი".

შესაძლებელი ჩნდა მხოლოდ მორჩილებისა და ერთგული სამსახურის გზით. სწორედ ასეთ გზას დაადგა გონიერი ორბელიც.

ჟ.-აღმწერელის ცნობით, დავით მეფემ გვანცა „წამოიყვანა სამეფოდ"... გვანცას დედოფლობა ემძიმებოდა წინარე დედოფლის— ჯიგდა-ხათუნის მესტუმრე ჯიქურს: ურთიერთის მტრები იყვნენო. სუმბატ ორბელის რჩევით ჯიქური შესმენილ იქმნა მეფის წინაშე, (უნდა ვიფიქროთ, დედოფალი გვანცას მიერ), თითქო მესტუმრე ჯიქური ულაუ ყაენს აცნობებს მეფის სიმდიდრეთა შესახებ, თითქო ის განდგომას აპირებდა, და მეფე დავითმა ჯიქური ამ დასმენის შედეგად განუკითხავად მოაკვლევინაო (ქ. ც—ა. 823, გვ. 669).

მოყვანილი ამონაწერიდან უდავოა, რომ სუმბატი გვანცა დედოფლის „მისანდო ყმა" შექმნილა, მისი მრჩეველი გამხდარა, ყოვლის შემძლე მესტმურის თავიდან მოშორება გვანცა დედოფალმა მხოლოდ სუმბატის „კეთილად განმზრახობის" წყალობით შეძლო.

საფიქრებელია, რომ ჯიქურის დაღუპვა თვით სუმბატის მიზნებშიც შედიოდა; ამით ის თავიდან იცილებდა იმ დიდ დაბრკოლებას, რომელიც მას აღმატება-დაწინაურების გზაზედ ეღობებოდა: თუ ვინმე შეიძლებოდა ყოფილიყო ათაბაგობაზე პრეტენდენტი, ეს უწინარეს ყოველთა ჯიქური იყო[59]. საინტერესოა, რომ ჟ.-აღმწერელი (თუ მისი წყარო) ჯიქურს უსამართლოდ დაღუპულად სთვლის და გულჩათხრობილი შენიშნავს: „ხოლო ვინათგან დავით მეფე უმანკო იყო, რომლისათვის უმანკოსა ყოველი რწამნ", ამიტომ ეს შესმენა დაიჯერა და უდანაშაულო ჯიქური საქმის გამოუძიებლად მოაკვლევინაო (ქ. ც—ა, იქვე).

რაღა თქმა უნდა, რომ დედოფლისათვის აგრე „მისანდო" სუმბატი „უმანკო და ლიტონ" მეფესთანაც დაახლოებული და მის მიერ პატივმოსილი იქნებოდა.

ამის შესახებ უკვე სტეფანოსი მოგვითხრობს: სუმბატი ერთგულად მსახურებდა მეფეს და დიდად ჰშველოდა მას ჰულაუ ყაენის წინაშე, თუ მონღოლთა დივანში. მეფის მრავალ მტრებს სუმბატი ღუპავდა ურდოში, რადგან ყაენი იმდენად უსმენდა სუმბატს, რომ მას შეეძლო თავისი სურვილის მიხედვით სიცოცხლე მიენიჭებინა ან სიკვდილი დაეტეხა ვისთვისაც ენებაო (*Ქ.Ⲛ.* 421). ერთი სიტყვით, ეს ყაენის „მისანდო" ქართველი ხასი თავის ძალ-ღონეს არ იშურებს „პატრონის" სამსახურისათვის და მის ნამდვილს თუ მოგონილ მტრებს უხვად ისტუმრებს „საიქიოს".

მადლობელი მეფე მზადაა ერთგულ ყმას შესაფერისი პატივი

---

[59] სწორედ ამ ნიადაგზეევე, ეფიქრობთ, წარმოშობილი იყო გვანცას მტრობაც ჯიქურისადმი: ათაბაგობასთან „ათაბაგის სახლის" ასეთი თუ ისეთი ფლობა იყო დაკავშირებული. ამის შესახებ იხ. ჩემი: „სქართველოს ათაბაგნი".

უყოს. და აი მან მიიწვია სუმბატი ტფილისს და ჰკითხა, თუ რას ისურვებდა, რომ მეფისაგან წყალობად მიეღო. სუმბატის უმაღლესი სურვილი აღმოჩნდა: „ჰოი მეფეო... აღხოცე (*բարժ*) ძეგლი იგი ბოროტი, რომლითაც შენმა წინაპარმა [მეფე] გიორგიმ ცილი დასწამა[60] ჩემს წინაპრებს და ბრძანა დაწერად და [საეკლესიო] დაკრულვით დაამტკიცა, რათა არაოდეს მოგვეცეს ნება ჩვენი მამულის დაუფლებისაო" (*Ս. Ո.* 422). და ქვეეით სტეფანოსი აგვიწერს მეფის მიერ გამოცემული ძეგლის მოსპობის ფრიად საინტერესო პროცედურას.

რომ ამ ძეგლის მოსპობა მხოლოდ პატივმოყვარეობის საკითხი ყოფილიყო, უეჭველია, საქმიანი სუმბატი ამისათვის სხვა დროსაც შეარჩევდა და ამ განსაკუთრებულ შემთხვევას კი სხვა უფრო სასარგებლო და საჭირო საქმეს მოახმარდა. ყოველგვარ პრაქტიკულ მნიშვნელობას მოკლებული ძეგლის მოსპობა, რომლის არსებობა სიძველეთსაცავის მოხელეებს გარდა აღარავის ახსოვდა, რა სუმბატის უმაღლესი ნატვრის ღირსი იყო? ამიტომ მართებულია, ვფიქრობთ, საქმე ცოტა სხვაგვარად წარმოვიდგინოთ.

1177 წლის დადგენილების არსებობა ორბელთა სახლის შესახებ, რა თქმა უნდა, ყველამ, და უპირველეს ყოვლისა მეფემ კარგად იცოდნენ. იმ გამწვავებული ბრძოლის დროს, რომელსაც ადგილი ჰქონდა ორბელთა სახლსა და ქართ. დიდებულთა შორის მონღოლთა დამკვიდრებიდან 1256 წლამდის, შეუძლებელია ორბელთა მოპირდაპირენი ამ ძეგლის არქივიდან გამომზეურებას და მასზედ დაყრდნობას არ ცდილიყვნენ. და თუ ის საბოლოოდ ძალაში ვერ შეიყვანეს, ეს მხოლოდ სუმბატის ხასობით შეიძლება აიხსნას[61].

ამ საბუთის მეფის მიერ მოსპობით ორბელთ სახლი საქართველოს კანონების მიხედვით ფორმალურად აღდგენილ იქმნა სახელმწიფოს მკვიდრისა და დიდებულის უფლებებში: ამიერიდან სუმბატს (ან სხვა ორბელთაგანს) შეეძლო ცდილიყო დაებრუნებინა თავისი სახლისათვის ძველი საგვარეულო პატივი და მისი შესაფერისი საპატიო ქონებაც. აი ეს იყო სუმბატ ორბელიანის უმაღლესი სურვილი, ხოლო ხსენებული ძეგლის მეფის მიერ ოფიციალური მოსპობა ამისთვის აუცილებელი პირობა იყო.

---

[60] ამ სიტყვით „ცილი დასწამა" ვთარგმნეთ ჩვენ დედნის *զբարպարտեաց* რომელიც სიტყვა-სიტყვით სწორის მაგრამ გარემოებათა გათვალისწინებით უფრო მართებულად გვეჩვენება: „დასაჯა".

[61] ის მოვლენა, რომ ახალ *հայրենիք* -ზე თავისი უფლებების დასაბუთებების დროს სტეფანოსი (peis. სუმბატი) მხოლოდ მონღოლთა ნაწყალობევობას და არა მეფის (ლაშას) და ათაბაგის (ივანეს) ბოძებულობას ემყარება, შესაძლებელია სწორედ ამ გარემოებით აიხსნებოდეს.

ამრიგად, სუმბატს საქმე ყოველმხრივ გაჩარხული ჰქონდა: ყოვლის შემძლე არღუნ-აღა და თვით ულაუ ყაენი მისი მწყალობელი იყვნენ, გვანცა დედოფალი ძველი შურისა და მტრობის ნაცვლად ეხლა მას ყველაზე მისანდო პირად უყურებდა, მეფე დავითი მხოლოდ იმის საგონებელშიღა იყო, თუ რით დაეჯილდოებინა აგრე დიდად და ერთგულად ნამსახური ყმა.

1177 წლის პროსკრიფციის მოსპობით სუმბატი გზა-ხსნილზედ გამოდიოდა. ამიერიდან აღარავინ ჩნდა საქართველოს დიდებულთ შორის, რომელსაც მისი მეტოქეობა შესძლებოდა. ასეთ პირობებში სუმბატს სრული საბუთი ჰქონდა„ ათაბაგის სახლის“ ხელში ჩაგდება ოცნების სფეროდან რეალურ შესაძლებლობათა რიგში გადმოეტანა. მართალია, დავით მეფე არ ჩქარობდა ათაბაგის დანიშვნას, მაგრამ ხვაშაქზე, ავაგის ასულზე, მზრუნველობა და „ათაბაგის სახლის“ მმართველობა გვანცას ცოლად შერთვისა და მისი ტფილისს წამოყვანის შემდგომ მეფეს ვისთვისმე უნდა ჩაებარებინა. ხოლო „ათაბაგის სახლის“ ასეთ „შეევედრებითგან“ მისი „სამამულოდ“ მიღება არც ისე შორს უჩნდა მოხერხებულ სუმბატს.

მაგრამ სწორედ ამ დროს სამოქმედო ასპარეზზედ სადუნ მანკაბერდელი გამოდის.

მეტად საინტერესოა სადუნის შესახები ცნობების შედარება ამავე დროის სუმბატის შესახებ ცნობებთან. პირველი უმთავრესად ქართ. ჟ.-აღმწერელს აქვს დაცული, მეორე სტეფანოს ორბელიანს.

სუმბატი, როგორც ვიცით, დიდად მიღებული იყო ულუყაენის კარზედ. ასევე იყო სადუნიც (მ მ დფ-ლსი ქ-ცა, 668 *823 *839 და სხვ.), სუმბატი იქნა ავაგის სახლის მზრუნველი და მერმე მფლობელიც კი (*U. Π.* 418). სწორედ ამავე ხანებში „მეფემ სადუნს შეჰვედრა სახლი ავაგისი და ხვაშაქი“. (ქ. ც-ა *823, გვ. 668). ჟ.-აღმწერელით. საფიქრებელია, რომ სადუნი, როგორც ათაბაგის სახლის გამგე და მზრუნველი, თვით დემეტრე უფლისწულის აღმზრდელიც უნდა ყოფილიყოს. სტეფანოსი კი გვარწმუნებს, რომ მეფემ ახლად შობილი დემეტრე უფლისწული ხელთ უდვა სუმბატს „ვითარცა შვილი“ (*U. Π.* 421), ხოლო დავითის გარდაცვალების შემდეგ ტარსაიჭ ორბელიანმა თავისთან წარიყვანა ტახტის მემკვიდრე აღსაზრდელად და შემდეგ კი დიდად შეუწყო ხელი მის გამეფებასო (იქვე, 425). ამავე დროს ჟ.-აღმწერელით და სხვა უეჭველი ცნობებით ვიცით, რომ დემეტრეს გამეფებისას სადუნი ათაბაგი იქმნა (ქ. ც-ა *870, გვ. 714; vim tar. 115 a და b).

ცნობები ქრონოლოგიურად და შინაარსით ისე უდგება ერთი მეორეს, რომ პირველი შთაბეჭდილების ქვეშ ეჭვი იბადება: ხომ არ არის ერთი მათგანი მეორისაგან ნასესხები?

მოყვანილ ცნობათა შეფასება-ქრონოლოგიურ დაჯგუფებაში სტეფანოსის ერთი ცნობა გვიშველის. ის ამბობს: მას შემდეგ რაც სუმბატი ავაგის სახლის მზრუნველი იქმნა, მან ურჩია მთავართ, ე. ი. მონღოლთა დივანბეგებს და ამათ ჰულაუ ყაენის ბრძანებით გვანცა ზღვაში დააღრჩვეს. ხოლო თვით კი (სუმბატი) ავაგ ათაბაგის მთელს საბრძანებელს დაეუფლა და ხვაშაქი, ავაგის ასული, დიდს ხოჯა საჰიბს მეუღლედ მისცა. ეს ხოჯა საჰიბი აბაღა ყაენის მთელს სამფლობელოს განაგებდაო, ის დივნის მეთაური იყო და ყოველთა უფროსიო. და იყო ესე წელთა 718 (—1269′)" (*ᲣᲐ.* *Ⲛ.* 418—419). მონათხრობში ორი მთავარი მოვლენაა: გვანცა დედოფლის დაღუპვა ურდოში და მისი ასულის ხვაშაქის მითხოვება ხოჯა საჰიბზე. პირველი მათგანი შეუძლებელია 1260—1261 წლის უგვიანეს მომხდარიყოს. მაშ სტეფანოსის თარიღი, 1269 წელი, ხვაშაქის გათხოვების წელს აღნიშნავს.

ამრიგად, დედოფალ გვანცას დაღუპვის მთავარი მონაწილე, სტეფანოსით, არის სუმბატი. გარდა ამისა სუმბატის ეს მოქმედება დროშიაც და მიზეზობრივადაც დაკავშირებული ჩანს მის მიერ ავაგის სახლის დაპატრონებასთან, რაც სინამდვილის იერს ანიჭებს მთელს ცნობას.

ე.-აღმწერელით კი გვანცას დაღუპვა მისივე ასულის, ხვაშაქის განზრახვით იქმნა (მ-მ დფ-ლსიქც-ა 688 *843). თავისდა სასახელოდ ისტორიკოსი აქვე აღნიშნავს თავისი ცნობის სათუობას: „ვითარცა იტყვიან"-ო ამბობს ის. და მართლაც საეჭვოა ეს ცნობა: ხვაშაქი ამ დროს (ე. ი. 1260 წელს) ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა[62] გაუთხოვარი[63] ქალწული იყო, სადუნ მანკაბერდელის მზრუნველობის ქვეშ მყოფი. ამიტომ დაუჯერებელი ჩანს მისი ასეთი მტრობა დედისადმი. მეორე მხრით ასეთ რასმე რომ ადგილი ჰქონოდა, უეჭველია სადუნი მისი განზრახვის თანაზიარი უნდა ყოფილიყო (ყოველ შემთხვევაში სადუნი ამის შემდეგაც დიდად მისანდო პირია ხვაშაქისა; ის მისი ეჯიბია და ავაგის სახლის გამგე); გამოდის, რომ სადუნი მტერი იყო მეფისა. მაგრამ ამას ეწინააღმდეგება სადუნის საქმიანობა დავით მეფის ულაუ ყაენის წინაშე წარდგომის დროს, აჯანყების შემდეგ რომ დაბრუნდა. ამიტომ, ვფიქრობთ, ე.-აღმწერელის ეჭვი სრულიად სამართლიანია.

---

62 1245-ან წლებში ავაგს გვანცა ჯერ კიდევ ცოლად შერთული არ უნდა ჰყოლოდა. ამ ხანებში მას ურდოში შერთეს ცოლი (იხ. ქ. ცნ. 649), ამიტომ 1260 წელს ხვაშაქი 11—12 წლისა და არა მეტი უნდა ყოფილიყო.

63 რომ ხვაშაქი გვანცას სიკვდილის შემდეგ გათხოვდა, ამას სტეფანოსიც მოწმობს.

ასე რომ, სტეფანოსის ცნობა გვანცას დაღუპვაში სუმბატის მონაწილეობის შესახებ ჩვენ საბუთიანად მიგვაჩნია. ამდენადვე შეუძლებელია სუმბატის მიერ დავით მეფისადმი ერთგულება-სამსახურზედ ლაპარაკი 1260 წლის შემდეგ.

ამის გათვალისწინებით სუმბატ-სადუნის შესახებ ცნობათა შეთავსება შესაძლებელი ხდება:

ყარაყორუმს შეწყალებული და არღუნ-აღას მფარველობის ქვეშ მყოფი სუმბატი დიდი გავლენით სარგებლობს საქართველოს სამეფო კარზედ—1256—1259 წლებში.

ამავე ხანებში იწყება სადუნ მანკაბერდელის აღზევებაც[61].

სუმბატი ჰღუპავს ჯიქურს, რომ გზა გაიხსნას საქართველოს სახელმწიფო კარზედ ხელისუფლების უმაღლესი საფეხურისაკენ (ე. ი. ათაბაგობისაკენ). სადუნი სუმბატთან შედარებით ჯერ კიდევ უმნიშვნელოა, მაგრამ დროს შესაფერისი ნიჭით და ხასიათით დაჯილდოვებულს, ე. ი. ტიპიურ მედროვეს, მასაც დიდი მომავალი მოელის. ცბიერი, მჭევრმეტყველი, უპრინციპო ან უკეთ ცალპრინციპა. პირადი შეძენისა და განდიდების მოღვაწე სადუნი იმთავითვე სუმბატის მეტოქედ უნდა გამოსულიყო. სამწუხაროდ, ცნობები მათი ურთიერთ შორის დამოკიდებულების შესახებ ჩვენ არ გვაქვს, მაგრამ, ვფიქრობთ, შესაძლებლობათა შორის მათი ერთი მეორისადმი მტრობა ყველაზედ უფრო მისაღები მოსაზრებაა.

მეფე-დედოფალთან დაახლოებული, მონღოლთა მიერ გაძლიერებული სუმბატი „ათაბაგის სახლისაკენ“ იწვდიდა ხელს.

მაგრამ სწორედ ამ დროს სამოქალაქო სარბიელზედ გამოსული სადუნი იმავე „სახლის“ ბედს უთვალთვალებდა. მართალია, სადუნი ავაგის სახლის ყმა იყო, მაგრამ XIII საუკუნე სწორედ იმით იყო თავისებური, რომ პატრონის ნაქონების მოვერაგება სადუნ-სუმბატისებურ ყმათათვის შეუძლებელს არაფერს შეიცავდა.

„ავაგის სახლის“ ხელში ჩაგდება მას შემდეგ, რაც გვანცა დედოფალი იქმნა, ხვაშაქის მზრუნველობით უნდა დაწყებულიყო.

სტეფანოსის ცნობით, ხვაშაქის მზრუნველი (*հալրադիր*) სუბატი იყო: ჟ.-აღმწერელის ცნობით, გვანცას წამოყვანისას „მეფემ სადუნს შეჰვედრა სახლი ავაგისა და ხვაშაქი“.

ჟ.-აღმწერელის ცნობა ნიშანდობლივია: როგორც შევედრების სუბიექტი, ისე ობიექტიც და აგრეთვე დრო და მიზეზი შევედრებისა მოცემულია.

---

[61] მალაქია აბეღას ცნობით სადუნის აღზევება ურდოში მანგუ ყაენის გარდაცვალებამდის იქმნა. ხოლო მანგუ ყაენი 1259 წელს გარდაიცვალა. იხ. *Մաղաքիայ աբեղայի պատմութիւն լաւն Սգդին Նեռողաց*—პეტერბურგის 1870 წლის გამოცემა, გვ. 32—36.

სტეფანოსის ცნობა კი ნიშანდობლივი არ არის (*իսկ Սմբատայ հայրադիր լեալ տանն Աւագին...*). აქ არ ჩანს, თუ ვის მიერ და როდის იქმნა სუმბატი ავაგის სახლის მზრუნველი. ცნობა უშუალოდ წინ უსწრებს გვანცას დაღუპვას. რის შემდეგ სუმბატი კიდეც დაეუფლა „ავაგის სახლს". ამიტომ გვაქვს საბუთი ვიფიქროთ, რომ ეს მეფე-დედოფლის წყალობა არ იყო. წინააღმდეგ შემთხვევაში ძნელად ასახსნელი იქნებოდა სუმბატის საქციელი გვანცას მიმართ.

მოხსენებულის გათვალისწინებით საქმე შემდეგნაირად წარმოგვიდგება: გვანცას შერთვით მეფე უშუალოდ დაეპატრონა „ათაბაგის სახლს". სუმბატი „ერთგული სამსახურით" ცდილობს მიიღოს მეფისაგან ეს საგამგეო. მეფის ანგარიშში არ შედის, როგორც ჩანს, ამ „სახლის" ძლიერი ხასი ორბელისათვის ხელში ჩაგდება, რომელსაც საგვარეულო პრეტენზიებიც კი აკავშირებდა მხარგრძელთა ნამემკვიდრეების დაუფლებასთან[65]. და მეფე უპირატესობას ანიჭებს სუმბატთან შედარებით ჯერ კიდევ სუსტ სადუნს, ავაგის სახლის ყმას.

იმედგაცრუებული სუმბატი ბოღმას გულში იმარხავს და მოხერხებულ დროს უცდის.

XIII საუკუნის პოლიტიკური დაუდგრომლობის წყალობით სუმბატს დიდხანს ცდა არ დასჭირებია.

1260 წელს დავით მეფე ყაენს აუჯანყდა და მორჩილებას არ აპირებდა. სამხედრო მარცხით ცოფმორეული არღუნ-აღა მხოლოდ აჯანყებულის დატყვევება-დაღუპვაზედ ოცნებობდა. დედოფალი გვანცა და უფლისწული დემეტრე ბიჯნისს დატყვევებულნი ურდოში წაიყვანეს.

აი სწორედ ამ დროს უნდა მოევერაგა სუმბატს „ავაგის სახლზედ და ხვაშაქზედ მზრუნველობა არღუნ-აღას წყალობით".

სუმბატის მოქიშპე სადუნი გონიერად მიდუმდა.

მეფე დავითის საქმე მორჩომილი ჩნდა. სუმბატს საშური დრო უდგა და მისი ხელიდან გაშვება ორბელთა *հայրենիք*-ის შემქმნელს არ ეპატიებოდა.

გვანცა დედოფალი სუმბატის გზაზედ უდიდესი დაბრკოლება იყო. ცოცხალი დარჩებოდა მეფე თუ არა [უფრო კი ჩნდა, რომ ის

---

65 ფრიად საინტერესო ჩანს ამასთან დაკავშირებით სტეფანონის ცნობა, რომ «მეფემ ახლად შობილი ყრმა დემეტრე სუმბატს ხელთ უდეა ვითარცა შვილი". თითქოს ისე გამოდის, რომ მეფე დავითს სუმბატის ათაბაგობის საწინააღმდეგო არა ჰქონდა რა, ისე კი, რომ ეს ათაბაგობა „ავაგის სახლის" მფლობელობასთან დაკავშირებული არ ყოფილიყო ამის შესახებ უფრო დაწვრილებით იხ. ჩემი: „საქართველოს ათაბაგნი".

დაიღუპებოდა], გვანცა, როგორც ავაგის ცოლყოფილი და ხვაშაქის დედა, საშიში იყო სუმბატისათვის.

რომ მონაევრაგები შერჩენოდა, სუმბატს ან უდიდესი სამსახური უნდა გაეწია საფრთხეში ჩავარდნილ დედოფლისათვის, ან კიდევ უნდა მის დაღუპვას ცდილიყო.

სუმბატი პოლიტიკური რომანტიკოსი არ ყოფილა, რომ ესა თუ ის მოქმედება მისთვის წინასწარ მიუღებელი ყოფილიყო. აქაც, უნდა ვიფიქროთ, მდგომარეობა შეაფასა და გარდაწყვეტილებაც მიიღო და, მიუხედავად ენუქ არქაუნის და ტონღუზხათუნის წინააღმდეგობისა, მეფესა და მის სახლზედ მოვლენილი ჰულაუ ყაენის რისხვა გვანცას დაატეხა თავს. სუმბატმა ბოროტება მოხერხებულად დამალა. თუ მისი ნაშვილები ძმისწული სტეფანოსის უმადური გულახდილობა არა, ჩვენ არაფერი გვეცოდინებოდა სუმბატის ამ ბოროტმოქმედების შესახებ და ჟ-აღმწერელის ნაგვიანევი და შემცთარი ზეპირგადმოცემა გვექნებოდა ერთადერთ წყაროდ.

საქმე ისე არ წავიდა როგორც სუმბატმა ივარაუდა. საქართველოს მეფე ელხანისათვის ბერქა ყაენთან ბრძოლის მოლოდინში განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. დავითის შემცვლელი სამეფო გვარში არავინ იყო: უფლისწული გიორგი ჯერ მხოლოდ 10 წლისა იყო. ნარინ-დავითი კი მიუღებელი იყო: ის თვითონ მეამბოხე იყო და სულ ოქროს ურდოსაკენ ეჭირა თვალი.

და დავით ლაშას ძეც შემოირიგეს.

სუმბატს მეფესთან ძველი ნდობის მოპოვება, რა თქმა უნდა, აღარ ძალედვა. ეხლა გასაგებია, რომ ურდოში მოყვანილს და ყაენის წინაშე პასუხსაგებად წარმდგარ მეფესა და სარგის ჯაყელს მთარგმნელად ჰყავთ სადუნი და არა მჭერმეტყველი სუმბატი.

ამის შემდეგ რა გზით მიდიოდა სუმბატ-სადუნის ქიშპი ნათლად არა ჩანს. ჟ.-აღმწერელიდან ვიცით, რომ ხოჯა საჰიბის ცოლის, ხვაშაქის ეჯიბი სადუნია, რომელიც, ეჭვი არაა, განაგებს საჰიბის ხელში გადასულ „ავაგის სახლს“.

სუმბატის სიკვდილის შემდეგ (1273 წ.) მის ძმას და მემკვიდრეს ტარსაიჭს „ათაბაგის სახლი“ არ დაუმკვიდრებია. ცხადია, ეს ქვეყნები სუმბატისათვის ჩამოურთმევია ხოჯა საჰიბს, ხვაშაქის ქმარს. სტეფანოსი გვამცნობს, რომ ხვაშაქი სუმბატმა მიათხოვა ხოჯა საჰიბსო. შეიძლება ეს ასეც იყო, მაგრამ, თუ რამდენად შედიოდა ეს სუმბატის ანგარიშებში, ეს იქიდანაცა ჩანს, რომ ჰოჯა საჰიბს მისთვის ჩამოურთმევია „ავაგის სახლი“ და საგამგეოდ მისი მოქიშპე სადუნისათვის გადაუცია, რომელიც ხვაშაქს თავის ეჯიბადაც კი გაუხდია.

სადუნმა სძლია სუმბატს... ეს უნდა ყოფილიყო სტეფანოსის თარიღის თანახმად 1269 წელს. ვინ იცის რას იღონებდა ამის შემდეგ მოხერხებული სუმბატი, რომ სიკვდილს არ შეეწყვიტა მისი მოღვაწეობა. მაგრამ სუმბატს ღირსეული მემკვიდრე დარჩა ტარსაიჭის სახით. ამ ხანებში მეფე დავით გარდაიცვალა. ტახტის მემკვიდრე დიმიტრი ყრმა დარჩა. ყაენმა საქართველოს საქმეები ხოჯა საჰიბის წყალობით სადუნს ჩააბარა.

ასეთ პირობებში სადუნი, რა თქმა უნდა, არ იჩქარებდა ვიზიმე გამეფებას. მაგრამ ეჩქარებოდათ სხვა დიდებულთ. სადუნის ბატონობა, თუნდაც დროებით, მათთვის ყოვლად მიუღებელი იყო. ივანე შანშას ძის, მანდატურთუხუცესის, და ტარსაიჭის მცდელობით ყაენმა საქართველოს მეფედ დაამტკიცა 12 წლის დიმიტრი.

როლები შეიცვალა: ეხლა ორბელთ გვარი (ტარსაიჭის სახით) იცავს მეფის ინტერესებს...

მაგრამ სადუნი ეხლა მეტად ძლიერია და მის წინააღმდეგ აშკარა ბრძოლა უიმედოა. ტარსაიჭიც მიყუჩდა.

სადუნი ათაბაგი იქმნა და დიმიტრი მეფე სავსებით მის ხელში მოექცა. სადუნმა შესაფერისად ისარგებლა თავისი მდგომარეობით: ამ საერთო გაღატაკების დროს აურაცხელი სიმდიდრე შეიძინა. მთელი ათი წლის განმავლობაში მისი სწორი საქართველოში მეფის შემდეგ აღარავინ იყო.

მხოლოდ სადუნის გარდაცვალების შემდეგ შეეძლო დიმიტრი მეფეს თავისი ნებისაებრ ემოქმედნა.

1284 წელს სადუნის მფარველი ხოჯა საჰიბი დაიღუპა არღუნ ყაენის მიერ. დიმიტრი მეფე ტახტის მეძიებელ მონღოლთა უფლისწულების ბრძოლაში გამარჯვებული არღუნ ყაენის მხარეს მოჰყვა. ახლად ტახტზე ასულმა ყაენმა ყმას—დიმიტრის სახელმწიფო დაუმტკიცა და აქამდის ხოჯა საჰიბის სარგებლობაში მყოფი „ათაბაგის სახლიც“ მისცა (ქ. ც—ა 734 *U. Π.* 426).

სადუნით თავმობეზრებულმა დიმიტრიმ ათაბაგობა მის „სახლში“ (ხუტლუბუღა, ზანგასარი) კი არ დატოვა, არამედ „ერთგულ ყმას“ და მეფის „მორჩმა-განდიდებისათვის მრავალფერად ნამსახურ“ „ტარსაიჭს“ მიუბოძა. მასვე მიაბარა შვილები დავითი და მანოელი აღსაზრდელად. ხოლო „ათაბაგის სახლი“ საუფლისწულოდ დაამტკიცა.

სადუნის ღირსეული მემკვიდრე ხუტლუბუღა მხოლოდ დროებით ითმენდა თავის სახლის შეურაცხყოფას მეფის მიერ და 1289—90 წელს სადუნ-სუმბატის სიეერაგით გადაუხადა მეფეს სამაგიე-

რო და თავის სახლის პატივი აღადგინა (ქ. ც—ა 899—900, გვ. 739). დიმიტრის ურდოში დაღუპვის შემდეგ ხუტლუბუღას საშუალებით იმერეთით ნარინ-დავითის ძე ვ ა ხ ტ ა ნ გ ი გაამეფეს საქართველოში... ხუტლუბუღა ათაბაგი იქმნა... (იქვე, 904, გვ. 744). დამცირებულ ტარსაიჭს კვლავ ბრძოლა უნდა დაეწყო[66]. მაგრამ ჩვენ შეიძლება აქ შევწყვიტოთ: ორბელთ გვარმა კარგა ხანია კანონიერი *հայրենիք* -ი მოიპოვა და თავისი ძველი პატივიც აღიდგინა.

---

[66] სტეფანოსით ტარსაიჭი 1290 წელს გარდაიცვალა (იხ. *Ս. Ո.* 330), ხოლო ი. ორბელით ის 1295 წელსაც ცოცხალია (იხ. hАсан-Джалал, князь Хаченский, გვ. 420. შენ. 1).

„მოკიდებულისათვის“*

„სწავლულ კაცთა ნაშრომში“ ვკითხულობთ: სურამის ბოლოზე ოსმალებსა და ყირიმელ თათრებზე ქართველებმა რომ გაიმარჯვეს (1609 წ.), „ამა შინა უფროსად განმდიდრდა მოურავი, მოიპოვა ღონე ესე, რამეთუ ცოლი არა ესვა მეფესა ლუარსაბს, ყმაწვილიცა იყო; არჩივა მოურავმა, დაჰპატიჟა მეფესა და დახუდა კეთილად და გამოჩენებით. და მაშიგან გამხიარულდა დიდად მეფე ლუარსაბ. მაშინ ჰყუანდა მოურავსა და ერთი მეტად მშვენიერი და კეკლუცი და დააყენა მეღვინეთ თავს მეფესა. და მოეწონა მეტად დიდად და ეტრფიალა. მაშინ მოურავს წინათვე განეგულა გულსა შინა, რამეთუ, წინად რომ მოურავმა ღალატი დასწამა მეფეს, ჰგონებდა არ დამინდობსო, ესრეთ განიზრახა, ვითარმედ. მოეწონება და ჩემი დიდად მეფესა და ეტრფიალება და მაშინ მოინდომებს დასა ჩემსა და მივცემ ცოლად, და თუ უკეთ არ ინდომებს ცოლად, მაშინ ვინც ვინ ჩემი მოკიდებულნი კაცნი არიან, უფროსად ყოველნივე მე მომიდგებიან და მეფეს შეორგულდებიან და ამით წავახდენო, და თუ ცოლად შეირთავს, მტერნი ჩემნი გაორგულდებიან და მეფეს ჩემის მეტი ღონე არ ექნება, და რა ხელთ ჩამომივარდება, რასაც მინდა, ვიქო, — დაასკუნა რჩეუა ესე“[1].

მოტანილ ამონაწერში ჩვენი ყურადღების !აგანია ტერმინი „მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ნ ი კ ა ც ნ ი“.

სწავლულ კაცთა ამ მოწმობის მიხედვით ასეთი მსჯელობა შეიძლება: მოურავ სააკაძეს ქართლის ფეოდალურ საზოგადოებაში ჰყავს მტრები, მაგრამ აქვე ჰყავს მას „მოკიდებულნი კაცნი“. ეს

---

* წაკითხული იყო მოხსენებად აკად. ივ. ჯავახიშვილის გარდაცვალების წლისთავის აღსანიშნავად გამართულ სესიაზე 1944 წლის ნოემბერში. პირველად დაიბეჭდა 1949 წელს, მიმომხილველი, ტ. I.

[1] ე გ ნ ა ტ ა შ ვ ი ლ ი ბერი, ახალი ქართლის ცხოვრება, XVIII ს. დამდ. I ტექსტი ივ. ჯავახიშვილის წინასიტყვაობითა და რედაქციით, 121.

„მოკიდებულნი კაცნი“ სააკაძის ყმები არ არიან. ამიტომაცაა, რომ მოურავს ფიქრი უხდება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იმოქმედოს, რათა ეს „მოკიდებულნი კაცნი“ ბოლომდე მისი „მიმდგომნი“ დანარჩენ: ბატონყმობის ხანაში ყმის (თუნდაც აზნაურის) მხრით ბატონის ერთგულება აგრე პირობითი აღარაა.

„მოკიდებულნი კაცნი“, თუმცა სააკაძის ყმები არ არიან, მაგრამ ისინი ერთნაირად მაინც დამოკიდებულნი არიან მოურავზე. სააკაძის „მოკიდებულნი“, მართალია, მეფის ერთგულნი არიან, მაგრამ „მიმდგომნი“ არიან ისინი მოურავისაც. ხოლო მეფესა და მოურავს შორის კონფლიქტის შემთხვევაში ისინი შესაძლებელია სააკაძის მხარეზეც აღმოჩნდნენ და მეფეს შეორგულდნენ, თუ უკანასკნელი უსამართლო რასმე დამართებს მოურავს (აქედანვე ივარაუდება ისიც, რომ ასეთი კონფლიქტის შემთხვევაში ,სააკაძის მოკიდებულნი შესაძლებელია მეფის ერთგულებას შერჩნენ, ხოლო სააკაძეს კი „გარდაუბრუნდნენ“).

„სწავლულ კაცთა“ აზრით ამ მოკიდებულთა მნიშვნელობა სააკაძისათვის მეტად დიდია. მათზე დაყრდნობით ფიქრობს ის „ჰელთ ჩაიგდოს“ მეფე ან კიდევ „წაახდინოს“ ის. ასე რომ მოურავის ძალა, „სწავლულ კაცთა“ აზრით, მის მოკიდებულ კაცთა სიმრავლესა და ერთგულებაშია.

ეხლა, თუ გავყვებით სწავლულ კაცების აზრთა მსვლელობას[2], ჩვენ ადვილად დავინახავთ, რომ სააკაძის „მოკიდებულნი კაცნი“, მათი აზრით, არის „ჯარი“, რომლის „დახვევას“, იოსებ თბილელის გადმოცემით, თეიმურაზ მეფე შეცოდებად უთვლიდა თავის მოურავს. ამ „ჯარზე“ დაყრდნობით მოურავი, თითქო, „საპატრონყმოდ“ „თავს არ უდებდა“ მეფეს[3].

სხვა საისტორიო მასალაზე დაკვირებით შესაძლებელი ხდება სააკაძის „მოკიდებულ კაცთა“ კიდევ უფრო მეტი დაზუსტება. 1620 წლის სარჩელის წიგნში გიორგი სააკაძე თითონვე ასახელებს თავის ამ „მომდგომთ“, „მოყვრებს“ და „მოსამართლეებს“. ესენია: „არაგვის ერისთავი, მუხრანის ბატონი, ქსნის ერისთავი. ფალავანდიშვი-

---

[2] თუმცა ისტორიულად მცდარს, მაგრამ ამ გარემოებას ჩვენი მიზნისათვის მნიშვნელობა არ აქვს. საქმე ის არის, რომ ჩვენ ავტორებს თავისი წყარო, იოსებ თბილელის პოემა, სწორად ვერ გაუგიათ. თეიმურაზ-სააკაძის კონფლიქტი 1625 წლისა მათ მეფე ლუარსაბსა და მოურავს სააკაძეს შორის 1612 წელს მომხდარ კონფლიქტად წარმოუდგენიათ. იხ. ან. ფურცელაძე, გიორგი სააკაძე და მისი დრო, ტფილისი, 1911 წ., გვ. 10—14, 47. შენიშვნა; კ. კეკელიძე, ქართული ლიტ. ისტორია, ტ. II, 1941 წ., 474, შენ. 2; იოსებ თბილელი, დიდმოურავიანი გ. ლეონიძის რედაქციით, შესავალი.

[3] ი ო ს ებ თ ბ ი ლ ე ლ ი, დიდმოურავიანი, გ. ლეონიძის რედაქციით, 1939, გვ. 5.

ლი, ციციშვილი, ბარათაშვილი, და სრულიად ქართველნი“ (საქ. სიძველენი II, 52). ამათგან ზოგი გიორგის სიძეა, ზოგი მძახალია, აქვეა გიორგის სიმამრი, სხვები კიდევ სხვა რაიმე გზით არიან მოურავის „მოყენებულნი“. საინტერესოა, რომ მოურავი საკაძე სრულიად გარკვევით გამორიცხავს თავის ამ „მომდგომ-მოყენებულთაგან“ საკუთარ ყმებს. „დღეს ამისთანა საქმეში (ე. ი. ქაიხოსრო ჯავახიშვილთან ქიშპისას) ყველანი (ე. ი. ზემოდასახელებული თავადები და „სრულიად ქართველნი“) თუ უნდოდა მამდგომოდეს, კიდევ ქაიხოსროს სათნოს გულისთვის არც ერთი მოვიყენენ[4] და მარტო ჩემის ყმით გავემარჯვეო და ჩემი მოყვარე და მოსამართლე არც ერთი ვინდომე[5] ამ საქმეზედაო“[6].

იმავე სარჩელის წიგნიდან და სხვა დოკუმენტებიდან კარგად ჩანს, თუ როგორ ცდილობს მოურავი თავის ამ „მოყვარე-მოსამართლეთა“ გამრავლებას. ის „შვილივით ზრდის“ და მზრუნველობს ბერუკა ჯავახიშვილს; ემძახლება ქაიხოსრო ჯავახიშვილს, მფარველობს მას და „წასახდენლად“ თუ „გასაგდებლად“ არავის ანებებს[7]. ასევე მფარველობს გაძლიერებული მოურავი ზაქარია და იესე ჯავახიშვილებს[8], ცდილობს დაემძახლოს გიორგი იმერთა მეფეს...

რა თქმა უნდა, ასეთი საქმეები არ ხდება სოციალურ და პოლიტიკურ ინტერესებისა და ანგარიშის გარეშე. ეს კარგად ჩანს თვით საკაძისა და ქაიხოსრო ჯავახიშვილის სიტყვა-მიგებისაგან.

დამოყვრება-დამძახლება, სახლის კაცად შეყრა, მოდაწერილობა თუ სხვა გვარი „მოკიდება“ უაღრესად სოციალურ-პოლიტიკურ საფუძვლებს და ანგარიშიანობას ემყარებოდა. ვახტანგ მეფე აღნიშნავს: „როგორც კაცი მამულით, კაცობით, ბატონის სამსახურით, ციხით, მონასტრით და უფროსის კაცის მოყუსად მოკიდებით ამაღლდების და სისხლი გაუდიდდების, ისე გაყრითა და მამულის მოკლებით სისხლიც მოაკლდების“ (სამართლის წიგნი, 23). მაგრამ

---

[4] ასე ვასწორებთ ტექსტისეულს „მოყვნენ“-ს: ვფიქრობთ, გადაწერისას თუ ბეჭდვისას დაშვებული შეცდომაა.

[5] ასე ვასწორებთ ტექსტისეულ „ეინადმე“-ს.

[6] საქ. სიძვ. II, 52.

[7] იქვე.

[8] საქ. სიძვ. II, 61.

„მოყუსად მოკიდება“ არა მარტო სოციალურად უფრო დაბლა მდგომისათვის იყო საინტერესო (ამაღლებისა და სისხლის გადიდებისათვის), მოკიდებულთა სიმრავლეს დიდად ემყარებოდა სოციალურად თუ პოლიტიკურად მაღლა-მდგომთა ძლიერება-გავლენაც. სააკაძის საქმიანობა, ზემოთ რომ აღვნიშნეთ, ამ დებულების კარგი მოწმობაა (მეორე მხრით, სააკაძის საქმიანობა ვახტანგ მეფის სამართლის წიგნში გამოთქმული დებულების საილუსტრაციოდაც სამაგალითოა). მაგრამ ამის მაგალითი ჩვენ უფრო თვალსაჩინო შეგვიძლია მოვიტანოთ. გენერალი ტორმასოვი 1811 წელს საიდუმლო ინსტრუქციას უგზავნის გენერალ სიმონოვიჩს იმერეთში. ამ დოკუმენტის ერთი ადგილი შეეხება ზურაბ წერეთელს. ტორმასოვი წერს: „...Неоспоримо то, что сотрудник ваш носит личину и может быть пщтает в сердце вредныя какия намерения, но по мнению моему еще не время приняться за него, не имея ясных доказательств, кои бы могли обличить его в неверности. Итак, необходимость заставляет до времени уважать его и ласкать; старайтесь вести с ним обращение самое обязательное; Оказывайте ему перед другими предпочтительное уважение; давайте вид, что вы все делаете с его совета и выставляйте его перед другими, как человека верного, усердного к России и который действует согласно с вами, дабы сим средством поселить к нему недоверчивость других сильных в Имеретии фамилий и через то ослабить его партию“ (Акты, IV, § 457). როგორც ვხედავთ, ზურაბ წერეთლის „პარტიაში“ გენერალი ტორმასოვი იმერეთის სხვა ძლიერ სახლებსაც გულისხმობს (сильные в Имеретии фамилии) ესენი, რა თქმა უნდა, წერეთლის ყმები არ არიან, თუმცა უსმენენ კია გავლენიან სახლთუხუცესს და უძლიერეს თავადს. წერეთლის „პარტიაში“, უეჭველია, ამათ გარდა სხვა, ნაკლებ ძლიერი სახლებიც შედიოდა (ამას პირდაპირ გულისხმობს კიდევაც ტორმასოვი); ესენი კიდევ უფრო მეტად იქნებოდნენ დამოკიდებული ამ ძლიერი თავადისაგან. ასე რომ ზურაბ წერეთლის „პარტიაში“ შედიან სხვადასხვა სახლები. ისინი მეტნაკლებად დამოკიდებული არიან ძლიერი სახლთუხუცესისაგან, მაგრამ ფორმალურ-იურიდიულად თავისუფალნი არიან. ამიტომაცაა, რომ წერეთელი უნდა ზრუნავდეს, რათა ეს სახლები მის ერთგულებას შერჩნენ და არ „გადაუბრ უნდნენ“.

ეხლა, თუ გავიხსენებთ მოურავის „მომდგომ-მოყენებულთ“, მის „მოყვარე-მოსამართლეებს“, რომელთაც ვახტანგის სწავლულთა გამოთქმით სააკაძის „მოკიდებულნი კაცნი“ ეწოდება, ჩვენ უყოყმანოდ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სააკაძის „მოკიდე-

ბულნი“ ეს ისეთივე „პარტიაა“, ზურაბ წერეთლის გარშემო რომ გულისხმობს გენერალი ტორმასოვი.

ტერმინი „მოკიდებულნი“ ასეთივე პოლიტიკური შინაარსით ერთი კიდევ შეგვიძლიან დავასახელოთ გვიანფეოდალური ხანის წყაროში. ვახუშტი მოგვითხრობს[9]: XVII საუკუნის 90-იანი წლები იყო. გიორგი ქართლის მეფეს კახეთის შემოერთება სურდა. მას იქ მრავალი მომხრე ჰყავდა.—„ხოლო გიორგი მეფე ფიცისათვის კახთა განვიდა ლილოსა ზედა, რათა დაიპყრას კახეთი და მუნიდამ წარავლინა ბარძიმ თავად სპათა, გივი ამილახორი და სპასპეტი თამაზ და ქართველნი. ამათ მისრულთა ნინოწმინდას მოერთო სახლთუხუცესი ჩოლაყაშვილი რევაზ მოკიდებულითა თვისითა და ნინოწმინდელი უმასპინძლებდათ არაშედ დუშია ქისიყის მოურავი მოვიდა მთა-მთად მცირედითა თუშითა და ქისიყითა არა ბრძოლად, გარნა რათა ჰყოს ზავი მათთანა“. როგორც ვხედავთ, კახეთში ყოფილა ფეოდალური დაჯგუფება, რომელიც გიორგი ქართლის მეფეს (ან მის ძმას არჩილს) ირჩევდა, ამ დაჯგუფებას კახეთის სახლთხუცესი რევაზ ჩოლოყაშვილი მოთავეობდა, ან უკეთ, ეს იყო დაჯგუფება რევაზ სახლთუხუცესის გარშემო და მისივე ინიციატივით კახ ფეოდალთა ეს დასი რევაზის „მოკიდებული“, მისი „მიმდგომი“[10] იყო. ამ დაჯგუფებაში არ შედიოდა დუშია ქისიყის მოურავი თავისი მომხრეებით. სწორედ ამიტომ ტერმინი „მოკიდებული“ აქაც შეიძლება მხოლოდ ისე გავიგოთ, როგორც ჩვენ ეს ზემოთ დავადგინეთ: ფეოდალური ხანის „პარტია“ და არა ქვეშეთ დაწესებულ-დამოკიდებული სამოხელეო თვალსაზრისით[11]. ასე რომ ყოფილიყო, დუშია ქისიყის მოურავი ქისიყელებით და თუშები რევაზ სახლთუხუცესის მოკიდებულთა გარეშე ვერ იქნებოდნენ.

ჩვენ ამჟამად ამით დავკმაყოფილდებით და თავადურ საქართველოში ფეოდალურ დაჯგუფებათა („პარტიების“) შემდგომ კვლევას სხვა დროისათვის გადავდებთ. აქ კი იმას დავუმატებთ, რომ გვიანფეოდალურ საქართველოში თითოეული სახლი (თავადის, თუ დიდ მოხელე-აზნაურის) ასე თუ ისე „მოკიდებული“ იყო, ამა თუ იმ დაჯგუფებაში („პარტიაში“) შედიოდა...

---

[9] საქართველოს ცხოვრება 1469—1800-მდე ბატონიშვილი ვახუშტის მიერ. მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისაგან, თბ., 1913, გვ. 91.

[10] იქვე, 196.

[11] სწორედ ამ უკანასკნელი გაგებით უნდა ესმოდეს ხსენებული ტერმინი ბროსეს H. de la G., II, 90—„Quand ils *arriverent a Nino-Tsmidna, Revaz Tcholagachuilci grand-matre du palais* et tous *les gens dépendant de lui*, se goignirent à eux“. „მოკიდებულის“ ბროსესეული გაგება „მიმდგომს“ მა-

* * *

ეხლა ჩვენს ლექსიკონებში ჩავხედოთ. სამწუხაროდ, ტერმინი „მოკიდებული“ საბას არ მოეპოვება. სიტყვა „მ ო კ ი დ ე ბ ა“ კი განმარტებული აქვს: ‘ელით რასაცა უპყრა, ანუ თვალი... ანუ სიტყვა ვისმე მოჰკიდო... ‘გინა მოყუარეთ მობმა[12]. საბა ჩვენთვის საინტერესო ხაზით „მოკიდებაში“ მხოლოდ „მოყვარეთ მობმას“ აღნიშნავს, მაგრამ საბას რომ „მოკიდებულის“ სოციალურ-პოლიტიკური შინაარსი კარგად ესმოდა, ეს ჩანს მობმა სიტყვის განმარტებიდან: «მობმაა ზურგად მოყუარე ანუ დიდი ვინმე მოიკიდოს“[13]. აქ უკვე საბა ორბელიანი მოყვრობის გარდა სხვაგვარ მოკიდებასაც გულისხმობს და ასეთი აქტის მიზანსაც ასახელებს: ესაა „ზურგი“.

ჩუბინაშვილი განმარტავს: მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ი, მ ო კ ი დ უ ლ ი, მიმ(ღეობა)—დამოკიდებული, привязанный, зависимый, приверженный, преданный, როგორც ვხედავთ, ლექსიკოგრაფი ამ ტერმინის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მხარესაც აქცევს ყურადღებას და უჩვენებს კიდევაც ასეთი განმარტების წყაროს—ქ-ცა I, 293.

როგორც საბას, ისე ჩუბინაშვილის განმარტებანი კარგად უდგება ტერმინ „მოკიდებულის“ ჩვენ მიერ ზემორე დადგენილ შინაარსს.

„მოკიდებული“ („მოკიდული“), „მოკიდება“ ტერმინები სოციალურ-პოლიტიკური შინაარსით ჩვენ ბატონყმობის წინახანაშიაც გვხვდება. ერთი ასეთი მაგალითისათვის დ. ჩუბინაშვილსაც მიუქცევია ყურადღება, და, როგორც ზემორე ვუჩვენეთ, ასახელებს კიდევაც ამ წყაროს. თამარის პირველი ისტორიკოსი მოგვითხრობს 1190 წლის ამბებს. ქართველ დიდებულთა ნაწილი გადაუდგა თამარს (და დავით სოსლანს) და საქართველოდან გაძევებული რუსი, თამარის ქმარყოფილი, ისევ გასამეფებლად მოიწვიეო. შემდეგ ავტორი ჩამოთვლის თამარის უკუმდგარ დიდებულებს: „პირველად მიერთო გუზან, პატრონი კლარჯეთისა და შავშეთისაჲ... აქაჲთ ბოცო, სამცხის სპასალარი და სისრულისაცა აღმატებითა შეწყალებული სხუათა მესხთა დიდებულ აზნაურითურთ თჳნიერ ივანე ციხისჯუარელისა, რომელსა ყუარყუარეცა ეწოდების; ესე დამაგრდა თჳსით მოკიდულითურთ, ვითარ გვარეულადცა მომგონებელი სულაჲსა ერთგულებისაჲ, რომელმან ბაღუაშსა ზედა უერთგულა ბაგ-

---

ინცდამაინც გამორიცხავს. ვახუშტი კი, როგორც ზემოთაც უჩვენეთ, ამ ორ ტერმინს, ზოგ შემთხვევაში მაინც, ერთი მეორის შესატყვისობით ხმარობს.

[12] ქართული ლექსიკონი, მოკიდება.

[13] იქვე.

რატს[14]. აი ამ ადგილის დამოწმებით განმარტავს დ. ჩუბინაშვილი ტერმინ „მოკიდებულს“ (მოკიდულს)— **привязанный, зависимый, приверженный, преданный**[15] ბროსეც ხსენებული ადგილის თარგმნისას „მოკიდებულს ზოგადი ახსნით გადმოგვცემს: **avait les gens dépendants de luis**[16]. უპირველეს ყოვლისა აქ საყურადღებო ის არის, რომ ჩვენთვის საინტერესო ტერმინი მსოლობითი რიცხვის ფორმით არის წარმოდგენილი („მოკიდულითურთ“) და სიმრავლეს კი აღნიშნავს. ეს გარემოება, ვფიქრობთ, მოწმობს, რომ ტ ე რ მ ი ნ ი „მოკიდული“ ამ დროს უკვე დიდი ხნის წინ ჩამოყალიბებული და სავსებით გარკვეული შინაარსის შემცველი ცნება იყო.

სამწუხაროდ, ჩვენ არ ვიცით, თუ რა თანამდებობა ეჭირა ივანე ციხისჯვრელს 1190-იანი წლებში. ვიცით, რომ ის არ იყო სამცხის ერისთავი ან სამცხის სპასალარი. ორივე ეს ჯელი ამ დროს ბოცო ჯაყელსა ჰქონდა[17]. ივანე ციხისჯვარელი არც დარბაზის კარის დიდმოხელეებს შორის ჩანს ამ დროს. აჯანყებულთა მოქმედებიდან ირკვევა, რომ თამარის მხარეზე „დამაგრდა“ არა მარტო ციხისჯვარი, არამედ ოძრეც. მაგრამ ეს ქალაქიც ციხისჯვართან ერთად ივანეს მამული იყო (ბაგრატ IV მიერ სამკვიდროდ ბოძებული სულა კალმახელისათვის)[18].

ერთი გარემოება იქცევს ყურადღებას: ავტორი, აქვე, როცა ბოცოსა და მის მომხრე მესხებზე ლაპარაკობს, ის არ ხმარობს ტერმინს „მოკიდულს“, არამედ გადმოგვცემს ტერმინით „მიმდგომნი“[19]. თუ „მოკიდული“ უდრიდა ქვეშე-დაწესებულს, მაშინ მოსალოდნელი იყო, რომ ავტორი ამ ტერმინით სწორედ იმ მესხებს აღნიშნავდა, რომელნიც ბოცოს „მიმდგომნი“ იყვნენ: ბოცო ჯაყელი ხომ სამცხის ერისთავი და სპასალარი იყო... ამრიგად, არც აქედან ჩანს, რომ „მოკიდული“ ქვეშე-დაწესებულს, ხელქვეითს ნიშნავდა. მაგრამ აქედან არც ის ჩანს, რომ „მიმდგომი“ და „მოკიდული“ ერთი მეორეს გამორიცხავდა. როგორც ზევით ვნახეთ „მოკიდებულში“ „მიმდგომი“ იგულისხმებოდა კიდევაც. საკითხია მხოლოდ, „მიმდ-

---

[14] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. აკად. კ. კეკელიძის რედაქციითა და გამოკვლევით, 90—91; ქ-ცა, 293.

[15] დ. ჩ უ ბ ი ნ ო ვ ი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, მოკიდება.

[16] H. de la G. I, 424.

[17] ქ-ცა, 411.

[18] ქ-ცა, 257.

[19] ქ-ცა, 294.

გომში“ აგრეთვე ყოველთვის იგულისხმებოდა თუ არა „მოკიდებული“?[20].

მაშ, ვინ შედიოდა ივანე ციხისჯვარელის „მოკიდულში“? „მოკიდული“ აქ არც ნათესავ-ნატამალის შესატყვისობით არის ნახმარი, თუნდაც იმიტომ, რომ ივანე ციხისჯვარელის არა ერთი ნათესავ ნატამალი, მაგალითად, ბოცოს სახლი, სწორედ თამარის მოწინააღმდეგეთა ბანაკში იყო (ამით ჩვენ იმის უფლება, რა თქმა უნდა, მაინც არ გვეძლევა, რომ „მოკიდულიდან“ ნათესავ-ნატამალი საერთოდ და სავსებით გამოვრიცხოთ).

ამრიგად, ციხისჯვარელის „მოკიდულში“ სრულიად არ იგულისხმებოდა სამხედრო ხაზით ქვეშედაწესებულნი და არც მხოლოდ ნათესავ-ნატამალი იგულისხმებოდა იქ. ასეთი გამორიცხვის გზით ჩვენ იმ დასკვნამდის მივდივართ, რომ ციხისჯვარელის „მოკიდული“ დაახლოებით ისეთივე შედგენილობისა იყო, რაც საakaძის „მოკიდებულნი კაცნი“, რაც რევაზ ჩოლოყაშვილის „მოკიდებული[21], რაც ზურაბ წერეთლის „партия“.

XIII ს-ნის 60-იან წლებში შიომღვიმის მონასტრის ძმობა („მოწაფენი და შვილნი წმიდისა მამისა შიოჲსნი“) აძლევს „დაწერილს“ ზოსიმეს, კვრიკე კახთა მეფის მწირველს. საბუთში მოთხრობილია ზოსიმეს და მისი გამზრდელი იოანეს სამეურნეო საქმიანობა, ამ სამწირველოს სასარგებლოდ რომ გაუწევიათ. აქ „მოკიდება“ ჩვენთვის საყურადღებო შინაარსითაც არის ნახმარი.

საბუთის მიმცემნი ეუბნებიან ზოსიმეს და მის გამზრდელ იოანეს: კვრიკე კახთა მეფის სამწირველოს „ნაშვილებნი სახლნი და ერთნი მამულნი“ გამოგართვით „და მისად სანაცვლოდ თომაურნი სახლნი მოგცენით... და თქუენ დიდი ჭირი ჰნახეთ და სახლი მოაშენეთ, უკმარი საკმარად შეჰქმენით და ესე საკურთხეველსა აქა შ ე ს-

---

[20] უნდა შევნიშნოთ: ჩვენი ივანე ციხისჯვარელის „მოკიდულიდან“ გამოვრიცხეთ სამხედრო წესით დაქვემდებარებულნი, ქვეშე-დაწესებულნი და არა საერთოდ მოკიდულიდან. რომ სამხედრო წესით დაქვემდებარებული, ქვეშედაწესებული, შეიძლებოდა „მოკიდული“ ტერმინით აღნიშნულიყო, ამის მოწმობა თითქო მოიპოვება კიდეც (თუმცა ნაგვიანევი). ვახუშტი გადმოგვცემს „ცხოვრება ბაგრატ მეფობისა“-დან ამოღებულ ცნობას, (ქ-ცა, 899—900). XV ს-ის მიწურულს იაუბ ყაენის მოლაშქრენი „დაესხნენ ქვეშის-ჴევს, მოსტყვენნეს და წარვიდნენ. ქართველები „გადაუდგნენ სიმაგრეთა“ და მომხდურნი სასტიკად დაამარცხეს. „მაშინ მჴნედ იყო სულხან ბარათაშვილი, რამეთუ სხვათაგან კიდე მოჰკლა წარჩინებული ერთი ყენისა, რომელსა ზედა სპანი ყენისანი მ ო ვ ი ბ ა ნ ე ნ, რომლისთჳსცა დამძიმდაცა ფრიად ყენი“. საქართველოს ცხოვრება... გვ. 20.

[21] ვახუშტიც მხოლობით რიცხვის ფორმით გადმოგვცემს ამ ტერმინს.

ძ ი ნ ე თ; და კულა საკურთხევლისა ვენაკსა ზედა აგარას თორმეტი-
სა დრაჰკნისა ვენაკი იყიდეთ კვრიკაჲსძისაგან და იგიცა ზ ე დ ა
მ ო ჰ კ ი დ ე თ.

...და კულა მასვე ვენაკსა საგლეხოსა ზედა იოანეს, შენსა გამ-
ზრდელსა, ნაკალოები მჴედლურა ეყიდა და ზ ე დ ა ვ ე მ ო ე კ ი-
დ ა, და კულა იოანეს მთხრობელი აუდგა ივანბერი წუერგრძელისძე
და მიწაჲ დაკარგული უთხრა და მან მისითა მოჴირვებითა და
საურავითა ზ ე დ ა ვ ე შ ე ს ძ ი ნ ა. თჳთ ამის დაწერილი ძეს. ესე
საკურთხევლისადა აქა შ ე უ ძ ე ნ ი ა; და კულა საკურთხევლისა მი-
წაჲ შალტამი კოდათა, გაუტეხელი, უკმარი საკმარად შეჰქმენით,
დიდნი ჴირნი ჰნახენით შენ და შენმა გამზრდელმან იოანე. ესე ყო-
ველი საკურთხეველისადა შ ე გ ვ ი ძ ე ნ ი ა (?) შენ და შენსა გამზრ-
დელსა იოანეს.

...და ამას მიწასა დედისა შენისა ზითევსა ზედა შენ, ზოსიმე,
და შენმან გამზრდელმან სახლ-კარი ააშენეთ და მ ო კ ი დ ე ბ ი თ
ვენაკი კარგი...

...როსტომაჲსძისაგან ეყიდა დღისა და ნახევრისა მიწაჲ შენსა
გამზრდელსა იოანეს და კულა მასვე ზ ე დ ა მ ო კ ი დ ე ბ ი თ მატ-
ლაშნისძისაგან დღისა ერთისაჲ და მასვე ზ ე დ ა მ ო კ ი დ ე ბ ი თ
ზკადისძისაგან დღისა ერთისაჲ და ზ ე დ ა ვ ე მ ო კ ი დ ე ბ ი თ
დღისა ერთისაჲ სტეფანესძისაგან. ესე სამისა დღისაჲ შენ, ზოსიმეს,
გეყიდა წყაროთა ზედა. ამასვე გვერდით ზ ე დ ვ ე მ ო კ ი დ ე ბ ი თ
სამისა დღისა მიწაჲ იყო ეკლესიისაჲ და თქუენვე მოგეცით...

...ესე შენ, ზოსიმეს, და შენისა გამზრდელისა ნასყიდი და ნაჴირ-
ვები და დედული, მზითვად მოცემული, ყოველივე ესე თქუენი ამის
კვრიკე კახთა მეფისა სამწირველოსა ზ ე დ ა მ ო ჰ კ ი დ ე თ თქუე-
ნისა სულისა და მშობელთა და გამზრდელთა სულისა სალოცავად...

...ესე შენ, ზოსიმეს, შენთჳს და შენთა მშობელთა და გამზრ-
დელთათჳს სალოცავად სახლ-კარიოა, ვენაკითა, წისქუილითა საკმ-
რითა და უკმრითა შ ე მ ო გ ი წ ი რ ა ვ ს ეკლესიისადა საალაპედ"[22].

მოტანილ ამონაწერში საინტერესო განსხვავება შეინიშნება „შე-
ძენა" და „მოკიდება" ტერმინებს შორის. ზოსიმესი და მისი გამზრ-
დელის ორგვარი საქმიანობაა აქ აღნიშნული. ისინი კვრიკე კახთა მე-
ფის სამწირველოის საკუთარ ქონებას, ან აოხრებულს მოაშენებენ,
ან დაკარგულს ამოიგებენ, ან შალტამს, გაუტეხელ მიწას ახლად
დაამუშავებენ („უხმარს საკმარად შექმნიან"); — დაწერილის ენით
ისინი ყველაფერს ამას სამწირველოს „შ ე ს ძ ე ნ ე ნ". მეორე
მხრით, ზოსიმე და მისი გამზრდელი თავის საკუთარს, მოუდევარს

---

[22] ქრონიკები, II, 150—151.

და ხელშეუვალ ქონებას (ნასყიდს, ნამზითეს, ნაჭირვებს) სამწირველოს „მოჰკიდებენ". ამრიგად, სამწირველოს „მოჰკიდებენ" იმას, რაც აქამდე მას არ ჰკუთვნებია, რაც მას ეხლა პირველად ექვემდებარება. „შეძენაში" კი ახალი ურთიერთობის აღმოცენება არ იგულისხმება, „შეძენა" არსებულის შემატება ჩანს მხოლოდ[23].

თვით ტერმინი „მოკიდება" აქ ორგვარი აზრით იხმარება. ზოგჯერ ის ქონების (მიწა-ადგილის) მატერიალური განლაგების აღმნიშვნელია[24], ზოგჯერ კი დაქვემდებარებას უდრის[25].

ნიკორწმიდის ცნობილ დაწერილში ერთი საინტერესო ადგილი მოიპოვება. საბუთის დამწერი მოგვითხრობს თავის სამეურნეო საქმიანობას ნიკორწმიდის მონასტრის სასარგებლოდ; მოიხსენიებს სხვადასხვა პირთა საქმიანობასაც და ერთგან აღნიშნავს: „წონელამან მოჰკიდა ჩიხას სახლი მისი წმიდასა ნიკოლაოსს და ყოველთა წელიწადთა მოსცემს მარილსა-ლიტრასა ოცდაათსა. ფ-ეთამან შემოსწირა — ჯითს ვენაჯი ერთი"[26]...

მოტანილი ადგილი ადვილად გასაგები არ ჩანს.

ჩვენი ამოცანისათვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, წონელა კაცის „სახელია" თუ „გვარი". საკმაოა რაც ვიცით: წონელა კაცია. სოციალურად ის „გლეხი" არაა: წონელა რომ გლეხი ყოფილიყო, ეს გარემოება უსათუოდ აღნიშნული იქნებოდა ამ იურიდიულ დოკუმენტში ისევე, როგორც აღნიშნულია გლეხის საქმიანობა აქვე ყველა სხვა შემთხვევაში[27].

აგრე ადვილად არ წყდება საკითხი წონელას აზნაურობის შესახებ. ეს უკვე დამოკიდებულია მოტანილი ადგილის ინტერპრეტაციაზე, იმაზე, თუ როგორ გავიგებთ წონელას საქმიანობას და იმ ურთიერთობას, რომელიც მისი საქმიანობის შედეგად დამყარდა.

---

[23] ქართული სამოქალაქო სამართლის ისტორიის ეს საინტერესო საკითხი შეუსწავლელია და ეს სახელდახელოდ შენიშნული გარემოება შემდგომ დაკვირვება-დაზუსტებას საჭიროებს.

[24] „დაგიწერეთ დაწერილი ესე... მოგყიდე ნავენაჯები... შენისა კალოჲსა პირსა, ნასყიდსაე, ზედა მოგეკიდებოდა"... ქრონ. II, 148.

[25] აქვე, როგორც ზემოთ ვნახეთ, მონასტრის ძმობა უდასტურებს ზოსიმეს, რომ მან ყველაფერი ეს ეკლესიას შესწირა. ამრიგად, ის რაც ზოსიმეს და მისმა გამზრდელმა იოანემ კვირიკე კახთა მეფისა სამწირველოს მოჰკიდეს, ზოსიმემ (eo ipso?) შეიმღვიმის მონასტერს საღაპად შესწირა. ჩვენთვის მთლად ნათელი არაა ურთიერთობა აქ აღნიშნულ „მოკიდებასა" და „შეწირვას" შორის. მაგრამ, ეფიქრობთ, ის მაინც შეიძლება გარკვეეით ითქვას, რომ „შეწირვა" და „მოკიდება" აქაც კი ერთი მეორის შესატყვისი ტერმინები არაა.

[26] ქრონიკები, II, 48.

[27] აქ უადგილოდ რომ არ გვეჩვენებოდეს,—საუბარიც მეტად გაგვიგრძელდებოდა,—ჩვენ შეგვეძლო ისიც დაგვესაბუთებია, რომ წონელა არ შეიძლება გლეხი იყოს.

ტექსტის ინტერპრეტაციაზევე არის დამოკიდებული ისიც, წონელა ნიკორწმიდის „მონასტრის შვილია“, თუ გარეშე კაცი. ჯერჯერობით ჩვენ ერთი ვიცით მტკიცედ: წონელა იურიდიულად უფლებამოსილი პირია.

რას ნიშნავს „მოჰკიდა“? ჩვენი საბუთის ავტორმა ქონების გასხვისების მრავალი ფორმა იცის და თითოეულ ფორმას, უნდა ვიფიქროთ, საჭირო სიზუსტითაც ხმარობს ის ამ იურიდიულ დოკუმენტში: შეწირვა, ყიდვა, მოგება, საზღვავად აღება, მოცვლა, გაცემა თუ მიცემა (საბეგროდ, საკაბალოდ)—და მხოლოდ წონელას მოქმედების აღსანიშნავად ხმარობს ის ამ უცნაურ ტერმინს: „მოჰკიდა“. უეჭველია, რომ „მოჰკიდა“ არ ნიშნავს ქონების გასხვისების არცერთს ზემოდასახელებულ ფორმას. ის რაღაც სხვა ურთიერთობას აღნიშნავს. ამრიგად, წონელას „სახლი მისი“ არც შეუწირავს, არც მიუყიდნია წმიდა ნიკოლაოზისთვის, არამედ „მოჰკიდა“ მას და ამიტომ ყოველწლიურად 30 ლიტრა მარილს „მოსცემს“ მონასტერს. ასე რომ „მოკიდება“ აქ ისეთი მოქმედება ჩანს, რომლის ნიადაგზედაც მყარდება ურთიერთობა, როცა „მოკიდებულს“ გარკვეული მოვალეობა ეკისრება იმის მიმართ, ვისაც ის „მოეკიდა“.

ეხლა „სახლის“ შესახებ. არაა საფიქრებელი, რომ აქ მხოლოდ სახლი-შენობა იგულისხმებოდეს: ძნელად გასაგები იქნებოდა შენობა სახლის ასეთი გადასახადი. ამიტომ წონელას „სახლი“ ან სამეურნეო ერთეულია, ან კიდევ მოსახლეობის ერთეული.

საკითხის გასარკვევად ზედმეტი არ იქნება გადასახადის სახეობასაც ჩაუკვირდეთ, წმიდა ნიკოლაოზს მოკიდებულმა წონელამ (თუ მისმა სახლმა) ყოველწლიურად ოცდაათი ლიტრა მარილი უნდა მისცეს მონასტერს. მარილი რაჭა-არგვეთში (და მთლად საქართველოში) უცხოეთიდან შემოჰქონდათ. სამწუხაროდ, ჩვენ არ ვიცით, თუ როგორ იყო ამ დროს (XI ს-ში) მარილის შემოტანა-ვაჭრობის საქმე ჩვენში. ამ საბუთით კი იგულისხმება, რომ წონელას (თუ მის სახლს) რაღაც კავშირი აქვს მარილის შემოტანა-ვაჭრობასთან. შეიძლება ვიფიქროთ, რომ წონელა (თუ მისი სახლი) მარილის მომტანია და ამ საქონლით მოვაჭრე. მაინცდამაინც წონელა თავისი სახლით მიწისმოქმედების ერთეული არაა. წინააღმდეგ შემთხვევაში მისი გადასახადიც მიწისმოქმედების ნაყოფი იქნებოდა...

რა ურთიერთობაში იმყოფებოდა წონელა ამ თავის „სახლთან“? ან წონელა თვით იყო ამ სახლის წევრი. მაშინ ის ამ სახლის უფროსი უნდა ყოფილიყო, რომელსაც უფლება ჰქონდა „მოეკიდებინა“ ის წმიდა ნიკოლაოზისათვის. ან ეს სახლი წონელას განკარგულებაში იყო, როგორც ნასყიდი, ნამზითვი თუ სხვა წესით სასა-

კუთროდ შეძენილი,—ან როგორც საყმო, მემკვიდრეობით მიღებული თუ მის მიერვე ყმად მოგებული. უკანასკნელ შემთხვევაშიაც წონელას უფლება ჰქონდა ასეთი ნაშვილებნი სახლნი[28] წმიდა ნიკოლაოზისათვის „მოეკიდნა“.

ეხლა თვით ამ კაცის სახელის შესახებ. თუ „წონელას“ „წონა“-დან[29] (გეოგრაფიული სახელი) ნაწარმოებად ვივარაუდებდით, უნდა გვქონოდა „წონაელმან“ ან „წონელმან“[30], ჩვენ კი გვაქვს „წონელმან“ (თუ, რა თქმა უნდა, ასეთი ფორმა საბუთის გადაწერა-გამოცემის დროს დაშვებული შეცთომის შედეგი არაა). სახელობითში ეს იქნებოდა „წონელაჲ“ ან „წონელაი“.

ეს (ნავარაუდევი) ფორმა თავის მხრით გვაფიქრებინებდა: ხომ არ გვაქვს ჩვენ „წონელაში“ ამ კაცის (თუ მისი „სახლის“) საქმიანობიდან (წონვიდან) წარმოებული სახელი კნინობითი ფორმით? (მიმღეობის მაწარმოებელი მანის ჩვეულებრივი გაქრობით, შდრ, ჰედელი, ზომელი, ცეხველი და ა. შ.). წონვა ძველ ქართულში, როგორც ჩანს, არა მარტო სიმძიმის გაზომვას, რაოდენობის გაზომვასაც (აღრიცხვას, აღთვალვას) ნიშნავდა[31].

ასე რომ, „წონელაჲ“ შესაძლებელია ვაჭარიც (მარილით მოვაჭრე)? იყო. ასეთი ვარაუდის სასარგებლოდ თითქო ისიც გამოდგებოდა, რომ წონელაის სახლი ჩიხას იყო. სავაჭრო პუნქტი ჩიხას (ვფიქრობთ, აქ ნაგულისხმევია ყვირილას ხეობაში მდებარე გეოგრაფიული პუნქტი) მოულოდნელი არაა: ჩიხა ამერეთ-იმერეთის შე-

---

[28] ქრონიკები, II. 150. ტერმინი „ნაშვილებნი სახლნი“ განსაკუთრებით საინტერესო გვეჩვენება. ჩვენი აზრით, „ნაშვილეობა“ „მოკიდების“ ერთ-ერთი სახეა. „ნაშვილები-სახლი“ ძველადვე შემუშავებული სოციალური ტერმინია, როცა „შვილი“ „ყმის“ (უფრო გვიან შემოსულის) შესატყვისი ტერმინი იყო, როცა სოციალური ტერმინი „ყმა“ ჯერ კიდევ არ გაბატონებულიყო ქართულ ფეოდალურ ურთიერთობაში. ასე რომ „ნაშვილები სახლი“ ტექნიკური ტერმინია იმის აღსანიშნავად, რომ მავანმა—მამაუფალმა,—„მამფალმა“, გვიან კი—„პატრონმა“ მავანი სახლი „იშვილა“,—უფრო გვიანი გამოთქმით—„იყმო“.

[29] დასახელებული პუნქტი ასეთი სახელით მართლაც მოიპოვება დღეს მდინარე ყვირილას სათავეებში. იხ. ხუთვერსიანი რუკით Цона; საქართველოს სსრ ადმინისტრატიულ ტერიტორიული დაყოფა, თბილისი, 1937, გვ. 195. აკად. ივ. ჯავახიშვილს ამ სახელწოდების პუნქტი აღნიშნული აქვს მის მიერვე შედგენილ ისტორიულ რუკაზეც. უნდა ვიფიქროთ, ავტორს საამისო ცნობა რაღაც ისტორიული მასალიდან აქვს ამოღებული.

[30] შდრ. ბანელი, ბანელი...

[31] ...„სეფედაელეს რომელ კაცი მოეკლა, ვიწონეთ და იყო ათი ათასი კაცი“, იხ. ამირანდარეჯანიანი მოსე ხონელისა, ს. კაკაბაძის რედაქციით, 1939 სახელგამი, გვ. 116. ...„გვიხაროდა მის რემისა სიკეთე, რომელ ვიწონეთ, იყო ოციათასი ცხე-

მაერთ გზაზე მდებარე პუნქტი იყო. IX საუკუნის მეორე ნახევარში ის აფხაზ მეფეთა ერისთავის რეზიდენციაც ჩანს[32].

ამრიგად, ჩვენ ჯერჯერობით ის ვიცით, რომ იურიდიულად უფლებამოსილმა პირმა, შეიძლება ვაჭარმა, ჩიხას, არგვეთში, თავისი სახლი, შეიძლება სავაჭრო-სამეურნეო ორგანიზაცია, წმიდა ნიკოლაოზს „მოჰკიდა". არც მიჰყიდა, არც შესწირა და ისეთი ურთიერთობა კი შექმნა, რომ ეს „მოკიდებული" ამიერიდან ყოველწლიურად ოცდაათ ლიტრა მარილს „მოსცემს" მონასტერს.

მაგრამ, შეიძლება წონელა „შვილი" იყო ნიკორწმიდის მონასტრისა, ისევე, ვთქვათ, როგორც გელათის მონასტრის დეკანოზი იაკობ, რომელმაც მაღლაკს „აბანოისა სახლი" სადეკანოზოდ „შექმნა" და თხუთმეტითა ლიტრითა ზეთითა ხახულისა ღვთისმშობელს შესწირა[33], ან, კიდევ, ისევე, როგორც ზოსიმე, კვირიკე კახთა მეფის მწირველი შიომღვიმის მონასტერში, რომელმაც „ნასყიდი და ნაჭირვები და დედული ზითვად მოცემული" კვირიკე კახთა მეფის სამწირველოსა „ზედა მოჰკიდა"?—შეიძლება, მაგრამ ამ შემთხვევაშიაც კი „მოჰკიდა" ტერმინში ჩვენ დაქვემდებარების მომენტს, მომენტს რამოდენადმე განსხვავებულს შეწირვა-მისყიდვით წარმოქმნილ დაქვემდებარებისაგან ვერ გამოვრიცხავდით. მაშინ ჩვენი ტექსტი ასე უნდა გაგვეგო: წონელამან („მონასტრის შვილმა") მოჰკიდა ჩიხას სახლი მისი (მამული თუ მოგებული) წმიდასა ნიკოლაოზს და ყოველთა წელიწადთა მოსცემს (ეს სახლი, და არა წონელა), წმიდასა ნიკოლაოზს მარილსა ლიტრასა ოცდაათსა.

ჩვენ კი უფრო მართებულად გვეჩვენება ეს ტექსტი შემდეგნაირად გავიგოთ: ვაჭარმა წონელამ „მოჰკიდა ჩიხას სახლი მისი (ე. ი. სახლი, რომლის წევრი და უფროსი თითონაა) წმიდასა ნიკოლაოსს და ყოველთა წელიწადთა მოსცემს (წონელა მონასტერს) მარილსა ლიტრასა ოცდაათსა"[34]. ე. ი. თავისუფალი კაცი, ჩიხელი ვაჭარი წონელა თავისი სახლით ნიკოლაოზ წმიდის მოკიდული (თუ მოკიდებული) შეიქმნა. ამიერიდან წმიდა ნიკოლაოზი (ნიკორწმინდის მონასტერი) წონელას მფარველია. მონასტერი იცავს წმიდა ნიკოლოზის მოკიდულს, ხოლო ეს უკანასკნელი ყოველწლიურად მიართმევს მფარველს ოცდაათ ლიტრა მარილს.

ნი"... იქვე 134. ამ ციტატში რედაქტორისეული სასვენი ნიშნები ჩვენ შევცვალეთ.

[32] მატიანე ქა. 323.

[33] ქრონიკები, .II, 128; საქ. სსრ მეცნ. აკად. „მოამბე", ტ. IV, № 7, 1943, 715—724.

[34] გრამატიკული დაბრკოლება თანაბრად შესამჩნევია ორივე შემთხვევაში: წონელა მოსცემს ოცდაათ ლიტრა მარილს, თუ მისი სახლი.

მივიღეთ: მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ი (მოკიდული) ა რ ი ს ის, ვ ი ნ ც მ ფ ა რ ე ე ლ ო ბ ი ს ქ ვ ე შ ა ა. ამრიგად, ჩვენ ამ აქტში გვაქვს მფარველობის ნიადაგზე დაქვემდებარების მაგალითი, ფეოდალური დაქვემდებარების მაგალითი[35].

ასე რომ, მოკიდულში ჩვენ აქ, როგორც ვხედავთ, სწორედ ისინი შევიყვანეთ, ვინც გიორგი საკაძის მოკიდებულიდან გამოვრიცხეთ —ყმები. ამ საინტერესო გარემოების შესახებ ცოტა ქვემოთ ვიტყვით, აქ კი გვეჩქარება აღვნიშნოთ: ამ ფაქტის (წონელას მოკიდების) მიხედვით ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იოანე ციხისჯვარელის მოკიდულში მისივე ყმების გარკვეული კატეგორიაც იგულისხმებოდა.

„ეკიდა" ტერმინის ჩვენთვის საინტერესო შინაარსით ხმარობს ლეონტი მროველი.

ლეონტის კონცეფციით ქართლი ერთდროს სომხეთის მეფეთაგან გარკვეულ პოლიტიკურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა. ქართლის მეფე მოვალე იყო ლაშქრით შესწეოდა სომხეთის მეფეს, როცა უკანასკნელს „მოღმართ" ვინმე ებრძოდა, ან კიდევ თვით ებრძოდა ვინმეს „მიღმართ". ასეთი დამოკიდებულების კიდევ უფრო ცხადი მაჩვენებელი იყო, რომ ქართველები მცხეთაში დრამას სომეხთა მეფის „ხატით დასცემდნენ" ხოლმე[36]. და აი, IV საუკუნეში სპარსეთის ხელმწიფემ, ქასრე სასანიანმა, დაამარცხა სომხეთი, დაიპყრო ის და აქედან ქართლზე წამოვიდა. ამ დროს ასფაგურ ქართლის მეფე უძეოდ გარდაიცვალა. მას ქალი დარჩა მხოლოდ. შეშფოთებული ქართველები გამოსავალს ეძებენ. ერისთავებს თათბირი აქვთ. მაიჟან სპასპეტი აღნიშნავს ქართველთა გასაჭირს, მტრის სიმრავლეს, მეფის უმკვიდროდ გარდაცვალებას და განაგრძობს:... „მოიკლა სპარსთაგან დიდი იგი მეფე სომხითისა, წაღებულ არს სომხითი, რომელსა ე კ ი დ ა სამეუფო ჩუენი და აღუღია პირი მისი სპარსთა მეფეთა შთანთქმად ყოველისა ქვეყანისა. არავინ არს წინაალმდგომი მისი, და დარჩომილვართ ჩუენ ობლად, ვითარცა ცხოვარნი უმწყემსონი". და მაიჟან სპასპეტი ურჩევს თანამემამულეებს, რათა დამორჩილდნენ სპარსთა ხელმწიფეს, თუ უკანასკნელი დაიცავს ქართველებისათვის მისაღებ პირობას[37].

---

[35] ჩვენი ამოცანისაგან დამოუკიდებლად, თავისთავად მეტად საინტერესოა: აზნაურის მოკიდების, თუმცა არა ამ ტერმინით აღნიშნულის, მოწმობა ჩვენ სხვაც უფრო ადრინდელი ხანიდანაც, შემოგვრჩენია. არა აზნაურისა კი—ამაზე უწინარესი ჩვენ სხვა არ შეგვიმჩნევია.

[36] ანას ქ-ცა, 30—31, 37; მარიამ ქ-ცა, 36, 43.

[37] ანას. ქ-ცა, 39; მარიამ. ქ-ცა; 47.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ „ეკიდა“ ლეონტის არ ესმის მატერიალური მეზობლობის ანუ მოსაზღვრეობის აზრით. მაშინ, მაიჟან სპასპეტი ამ ზმნას ნამყო დროშიაც არ იხმარდა: მაიჟანი აღნიშნავს იმ ურთიერთობას, რომელიც იყო („ეკიდა“), და ეხლა კი აღარ არის. სომხეთის მოსაზღვრედ კი საქართველო იყო და ასეთადვე დარჩა ის მას შემდეგაც, რაც სომხეთი ქასრემ დაიპყრო.

მით უფრო თანასწორთა კავშირის აზრით არ ესმის ლეონტის „ეკიდა“: ამის წინააღმდეგია მისი ისტორიული კონცეფცია (შეიძლება სწორედ ამ კონცეფციის გამოხატულებაც იყო მაიჟან სპასპეტის პირში სომეხთა მეფის წოდებულება „დიდი მეფე“)[38]. დარჩა ერთადერთი შინაარსი,—პოლიტიკური დამოკიდებულება და სწორედ ამ შინაარსით, ვფიქრობთ ჩვენ, ხმარობს აქ ამ სიტყვას ლეონტი მროველი. ცხადია, მაშასადამე, საქართველო, ლეონტის ენით, სომხეთის „მოკიდული“ („მოკიდებული“) იყო.

„მოკიდებული“ („მოკიდული“) სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის გარკვეული სახეობის აღსანიშნავად იგულისხმება, ვფიქრობთ, გვიანფეოდალური ხანის მოწმობებში რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობიდან.

ალექსანდრე კახთა მეფემ, თედორე რუსთა მეფის ხელდებულმა, რუს ელჩებთან საუბრისას 1596 წელს სოფელ მატანში შემდეგი სიტყვებით გამოსთქვა თავისი პოლიტიკური დამოკიდებულება რუს ხელმწიფესთან: „Ухватился де у. в. г. ц. и в. к. Ф. И. И. В. Р. самодержца за его царскую полу и от его царской полы не оторвусь и от его государства жалованья не отстану и по свою смерть“[39].

მეფე ბორის გოდუნოვის ელჩებმა, ნაშჩოკინმა და ლეონტიევმა, ხელმწიფეს მოახსენეს 1603 წელს, რომ ალექსანდრე კახთა მეფემ ის (მოსკოვის მეფე) უკადრისად მოიხსენია. ალექსანდრემაო,—სწერენ რუსი ელჩები,—„Ухватя себя за полу“ სთქვაო: „так де я ухватился за государя нашего за полу шестнадцать лет, а помочи от него не видал ни с син волос; лише де меня тешит словом, а не правдою“[40]. როცა ამის გამო ალექსანდრე მეფის ელჩს კირილეს დაჰკითხეს მოსკოვში, მან ასე იმოწმა: „Поедучи

---

[38] მოტანილ ადგილს: „რომელსა ეკიდა სამეფო ჩვენი“ ბროსე სთარგმნის: aupuel notre royaume est intimément lié [H. de la G. I 82].

როგორც ჩანს, ტერმინში „ეკიდა“ ბროსე იურიდიულ შინაარს არ ხედავდა.

[39] Белокуров, Сношения России с Кавказом, 297.

[40] Белокуров, Сношения... 384.

ис Крыму, царь Александр говорил царьского величества послом, ухватя себя за полу: так де я ухватился за полу и душу свою дал в. г. блаженной нам ц. и. в. к. Ф. И. В. Р. с, а царское величество его пожаловал взял его во оборону под свою царскую высокую руку". როგორც ვხედავთ, კახეთის მეფე ქართული ფორმულით, რამოდენადმე ხატოვანად (ухватя себя за полу) გამოსთქვამს იმ ურთიერთობას, რომელიც მასა და მოსკოვის მეფეს შორის დამყარდა 1587 წ. უეჭველია, ქართულად არსებობდა ასეთი ურთიერთობის გამომხატველი ტექნიკური გამოთქმა, ეს გამოთქმა უნდა იყოს ის, რასაც რუსულად სთარგმნიან: (ухватился за полу). „Ухватился за полу" რომ ტექნიკური გამოთქმაა, გარკვეული პოლიტიკური ურთიერთობის აღსანიშნავად, ეს იქიდანაც ცხადია, რომ მატერიალურად ალექსანდრე მეფე ხელმწიფის კალთას არასოდეს არ მოჰკიდებია. კირილე ელჩის ენით მოტანილი, გამონათქვამის (ухватился за полу) პოლიტიკური შინაარსი კიდევ უფრო ცხადია: ალექსანდრე მეფე ხელმწიფის „კალთას მოეკიდა" (ухватился за полу), ხოლო ხელმწიფემ მას „მფარველობის ხელი დასდო" (взял его во оборону под свою царскую высокую руку). ასე რომ, აქ „ხელმწიფის კალთას მოეკიდა" და „მფარველობის ხელი დასდო" თანაბარი ღირსების ტექნიკური გამოთქმანია „მოკიდებულისა" და „მფარველის" გამოსახატავად გამოთქმა „ухватился за полу" („მოვეკიდე") კირილე ელჩის ენაზე გადმოსცემს: „მფარველობა ვითხოვე" და ამისათვის რისამე დამატებას არ საჭიროებს.

ჩვენი მსჯელობა რომ მართებულია, ухватился за полу რომ კახეთის მეფის მჭერმეტყველების ნაყოფი არაა, არამედ ტექნიკური ფორმულა გარკვეული პოლიტიკური ურთიერთობის გამოსახატავად მიღებული, ეს იქიდანაც ჩანს, რომ ნახევარი საუკუნის შემდეგ ამავე გამოთქმას მიმართავს იმერეთის მეფე ალექსანდრე იმ ურთიერთობის აღსანიშნავად, რომელიც მასა და რუს-ხელმწიფე ალექსის შორის დამყარდა 1651 წელს, როცა იმერეთის მეფემ მოსკოვის მეფის ერთგულების ფიცი მიიღო: До сих мест был яз Александр царь самодержавен, и ни к которым мусурманским царем не приставал и совету их не принимал и против их стоял ... а ныне преклонил голову свою перед ногами царского величества государю своему ц. и. в. к. А. М. в. Р., с... и ухватился за его пареву полу и учинился ему великому государю вечной холоп дондеже свет стоит и солнце сияет[41].

---

[41] სტოლნიკი ტოლოჩანოვისა და დიაკი ივლევის ელჩობა იმერეთში—1650—1652 საბუთები გამოსცა და შესავალი დაურთო მ. პოლიევუქტოვმა. თბილისი, 1926, გვ. 181.

თითქო ისე ჩანს: როგორც ალექსანდრე კახთა მეფე, ისე ალექსანდრე იმერეთის მეფე თავიანთ „მოკიდებას“ (ухватился за полу) სრულიად გარკვეულ მოვლენას უკავშირებენ, უკეთ, ამ „მოკიდებაში“ ისინი სრულიად გარკვეულ მოვლენასაც ჰგულისხმობენ: ერთგულების ფიცის მიღებას. გამოდის, მაშასადამე, რომ „მოკიდებულია“ ის, ვინც ერთგულობის ფიცი მიიღო. ზემომოტანილ მოწმობებში მეტიც ივარაუდება: „მოკიდებული“ არ ეწოდება რაგინდარა დამოკიდებულს. „მოკიდებული“ იყო ის, ვინც, თავისუფალი, თავისი ნებით მფარველობის მაძიებელი ასეთ მფარველობას პოულობდა და სამაგიეროდ მფარველს ერთგულობის ფიცს აძლევდა.

ამრიგად, პოლიტიკური ტერმინი „მოკიდებული“ („მოკიდული“), ჩვენი აზრით, აქ იგივეა, რაც „კალთას მოკიდებული“. ამ რუსული მოწმობებიდან ისიც საფიქრებელია, რომ კალთას მოკიდების ეტიკეტი გარკვეულ დროს, შეიძლება უფრო ძველად, მატერიალურადაც სრულდებოდა და ქართველებს XVI—XVII საუკუნეებშიაც ამ ეტიკეტის ცოცხალი წარმოდგენა ჰქონდათ. ამის მაჩვენებელია, თითქო, რომ ალექსანდრე კახთა მეფე, ухватя себя за полу, მიუთითებს რუს ელჩებს: так де я ухватился за государя нашего за полу. ამასვე მოწმობს ალექსანდრე იმერთა მეფის განცხადება 1651 წელს. ერთგულობის ფიცის მიღების შემდეგ იმერეთის მეფე ეუბნება რუს ელჩებს: პირობები რომ ნებას მაძლევდნენ, მე თვით ვეახლებოდი ხელმწიფეს „и голову свою к нему ко государю принес и за пол его государя своего ухватился[42].

მაგრამ ხომ არ შეიძლება, რომ რუსულ წყაროებში შემონახული ეს გამოთქმანი ქართული ინსტიტუტის მოწმობა არ იყოს და ამდენადვე „კალთას მოკიდება“ და „მოკიდებული“ ჩვენი საკუთარი ნათარგმნ-შენათხზი აღმოჩნდეს? ვფიქრობთ, არა. მოტანილ მოწმობებში ქართველ მეფეთა განცხადებანი ამ მეფეთა სიტყვების (ქართულად თუ თურქულად გამოთქმულის) მეტნაკლებად ზედმიწევნითი თარგმანია, და არა რუს ელჩების (თუ მდივნების) მიერ შეთხზული რამ. ამაში გვარწმუნებს არა მარტო დანასაქმი, რუს ელჩებს რომ ჰქონდათ მოსკოვს მიღებული იმის შესახებ, თუ რა და როგორ უნდა ჩაეწერათ თავიანთ ელჩობის აღწერა-მოხსენებაში,— არამედ, კიდევ უფრო, ის, რომ ხელმწიფის „კალთას მოკიდებას“ ალექსანდრე კახთა მეფე არა მარტო სიტყვიერად გამოსთქვამდა, არამედ ხატოვანად აჩვენებდა კიდევაც რუს ელჩებს „კალთას მო-

---

[42] იქვე, 103.

კიდების“ ეტიკეტის ერთ-ერთ მომენტს. და ყველაფერ ამას მოწმობენ არა მარტო რუსი ელჩები (სხვადასხვა პირნი და სხვადასხვა დროისანი), ამასვე მოწმობს კახთა მეფის ელჩიც.

ამიტომ, ჩვენ საბუთიერად გვეჩვენება დასკვნა: ეტიკეტი კალთას ანუ სამოსლის ფესვს [საბა ორბელიანი, კალთა—სამოსლის ფესვი] მოკიდება ქართულ ურთიერთობაში (დიდი ხნის წინ, შეიძლება, ვიდრე XVI—XVII საუკუნეები) არსებობდა, რომ „კალთას მოკიდებული“ თუ „კალთას მოკიდული“ სოციალურ-პოლიტიკური ტერმინი „მოკიდებულის“ („მოკიდულის“) ერთერთი სახეობა იყო[43].

ჩვენი საკითხისათვის ორიოდე საინტერესო ადგილი ვეფხისტყაოსანსაც შემოუნახავს.

ასმათი ეუბნება ავთანდილს:

> გული, ცნობა და გონება ერთმანერთზედა ჰკიდიან,
> რა გული წავა, იგიცა წავლენ და მისკენ მიდიან;
> უგულო კაცი ვერ კაცობს, კაცთაგან, განაკიდიან.

(აკად. გამოც. 848). როგორც არ უნდა გავიგოთ უკანასკნელი წინა-

---

43 ამის შემდეგ ჩვენ მხოლოდ უცხო სინამდვილის კუთვნილებად აღარ მივიჩნევთ ქართულად ნათარგმნ ძეგლებში არსებულ ცნობებს კალთას მოკიდების შესახებ.

შეუყვარებული რამინი ვისის ძიძას სთხოვს მფარველობას და სიყვარულის საქმეში შემწეობას, შველას: „ჰე, ძიძაო, ზენაარ, ზენაარ! ერთხელ კულა მეწიე. ქუეყანასა ზედა შენს მეტი არავინ მივის, შ ე ნ ს ა კ ა ლ თ ა ს ა დ ა კ ი ს ე რ ს ა მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ვ ა რ; მე და ჩემი სიხარული შენი ზენაარი ვართ. თუ შენგან უიმედო ვიქნები, აწვე სიცოცხლე დამელევის“. ვისრამიანი, ალ. ბარამიძის, პ. ინგოროყვას და კ. კეკელიძის რედაქციით და შესავალი წერილით. ლექსიკონი ი. აბულაძისა. ტფილისი, 1938, გვ. 74.

ვისი სთხოვს გამწყარალ რამინს შემორიგებას: „...შემოიქეც,—თუ არ შ ე მ ო ი ქ ც ე ვ ი, მე თანა წამიტანე, სადაც წახუალ, არსად არ დაგაგდებ... რაზომცა შენგან უ ს ა ფ ა რ უ ე ლ მ ყ ო და არ გინდე, თუ ა ნ უ ჭ ე ლ ს ა რ მ ო მ კ უ ე თ, ა ნ უ კ ა ლ თ ა ს ა ა რ ა მ ო ი კ უ ე თ, მ ო მ ი წ ყ უ ე დ ვ ე რ ა“... იქვე 291. აქ გარკვევით იგულისხმება: კალთა საფარველის სინონიმია, ვინც კალთას დაანებებს მფარველობის მაძიებელს ,ამით საფარველს დასდებს მასვე, ხოლო კალთას მოკიდებული მფარველობის ქვეშ იმყოფება.

ერანის ხელმწიფე მალიქ-შაჰის დიდებულმა ერთ ქვრივ დედაკაცს ძროხა დაუკვლევინა. ქვრივი შაჰთან წამოვიდა საჩივლელად და ხიდის ყურში დადგა, სადაც ხელმწიფეს უნდა გაევლო. „რა ჭელმიფემ გამოიარა, დედაკაცმა ცხენის სადაკე დაუჭირა. მაშინ იმავე კაცმან, რომე იმ დედაკაცის ძროხა დაეკლა, მათრაკი გადაჰკრა; ჭელმწიფემ უბრძანა: დაეკსენ, ვნახოთ რა საჩივარი აქვსო. დედაკაცმან მოაკსენა გულმწუხარედ, ვითა: ეჰა არსლანის შვილო, თუმცა ამ ჭიდზედ კ ა ლ თ ა ს ა რ დ ა მ ა ნ ე ბ ე ბ, ჩემ საჩივარს არ გაიგონებ და არ გამიელენ, მას საიქიოს განკითხვის დღეს დ ა გ ი ჭ ე რ კ ა ლ თ ა ს ა ღვთის წინაშე და გაგიელენ ჩემს საჩივარსა. გინდა აქ გამიკითხე და გინდა იქ“.—მეფეთა სალარო, კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1941, გვ. 402. აქაც კალთის და-

დადება: მას განაკიდიან ისინი[44] თუ ის შექმნილა განაკიდი[45], სულერთია, ჩვენ ეს სიტყვა შესაბამისად მოკიდების ან მოკიდულის (მოკიდებულის) დაპირისპირებად წარმოგვიდგენია: ან მას შემოაცალეს მოკიდებული და ამით ის განაკიდი გახადეს, ან ის შექმნილა მოკიდებულ. შემოცლილი ე. ი. განაკიდი, განკიდებული[46].

მეორე ადგილი კიდევ უფრო შინაარსიანია. ტარიელმა ხატაეთს გაილაშქრა, რამაზ მეფე მის მოტყუებას და ღალატად მოკვლას აპირებს. ერთი ვინმე რამაზის მოლაშქრეთაგანი ტარიელს უერთგულებს და მეფის განზრახვას აცნობებს მას. მადლობელი ტარიელი შესაფერის წყალობას ჰპირდება მოლაშქრეს და ფიცავს:

თუ დაგიეწყო, უთუოდ, მემცა ვარ განაკიდია[47]

აქაც „განაკიდი“ ნიშნავს მიტოვებულს, განდევნილს, უთვისტომოს „მოკვეთილს“, მიუსაფარს. ჩვენ აქ განსაკუთრებით საინტერესოდ ის მიგვაჩნია, რომ ტერმინი „განაკიდი“ („განკიდებული“) ნაწარმოები ჩანს „მოკიდული“ („მოკიდებულის“) დაპირისპირებით და ამ უკანასკნელის არსებობას გულისხმობს.

ასე რომ „მოკიდული“ საზოგადოებრივი ერთეულია. მთელი ქვეყანა ასეთ მოკიდულთაგან შედგება და თითოეული ადამიანი, თუ ის განაკიდი (განკიდებული) ე. ი. განდევნილი, განმარტოებული, მიტოვებული არაა,—ამა თუ იმ მოკიდულში შედის „თვისი მოკიდებული“ ჰყავს, „თვსი მოკიდული“ ჰყავს (ამით აიხსნება ის მოვლენა, რომ ვახუშტი და თამარის ისტორიკოსი არ ცდილობენ ამ გამოთქმათა ახსნას: ჩანს, ივანე ციხისჯვარელის „მოკიდული“ და რევაზ ჩოლაყაშვილის „მოკიდებული“ არაფერს ისეთს არ წარმოადგენდა, რაც სხვას არ გააჩნდა. ეს მოვლენა საყოველთაო იყო და საამისო გამოთქმაც ჩვეულებრივი და ყველასათვის გასაგები)—„თავის მოკიდულსა“ თუ „თავის მოკიდებულს“ გარეთ ცხოვრება ძნელია; განკი-

---

ჰერა, „კალთის მოკიდება“—ვისრამიანი, ...16,—როგორც ყველა სხვა შემთხვევებში, ტექნიკური ტერმინია და ნიშნავს შეხვეწას (ძველი გაგებით), საფარველში შესვლას (შემწეობისა თუ სამართლის ძებნის მიზნით). ის ვინც კალთას მოეკიდება შველას, საფარველს, სამართალს ეძებს; ის ვინც კალთას დაანებებს მფარველია, განმკითხველი, გამვლენელი, ხელისამპყრობელია.

[44] ასე ესმის აკად. გამოცემის რედაქციას. ეფიქრობთ,—არა სწორად.

[45] ჩვენ ეს უფრო სწორად გვეჩვენება. უნდა იყოს არა „განაკიდიან“, არამედ „განაკიდია“.

[46] ტერმინისათვის: სოლომონ I უბოძებს სიგელს წულუკიძეს, „გიბოძეთ სადიდებულთაეადო სრულიად ყოველივე საწულუკიძო მამაპაპათა თქვენთა მამული. მრგულივ ერთობით თავისის სამართლიანის სამძღვრითა ყოველთა მეზობელთა და მახლობელთაგან **გ ა ნ კ ი დ ე ბ უ ლ ი**“ საისტორიო მოამბე, I, 1925. გვ. 140.

[47] აკადემიური გამოცემა, 436.

დება უდიდესი სასჯელია. განკიდება ეს ღარიბობაა. ღარიბობაში სიხარული არაა, იქ სიკვდილიც კი საზარელია:

> თუ საწუთრომან დამამხოს ყოველთა დამამხობელმან:
> ღარიბი მოვკვდე ღარიბად, ვერ დამიტიროს მშობელმან,
> ვეღარ შემსუდრონ დაზრდილთა და ვერცა მოსანდობელმან[48].

„სამშობლოს“ შესანიშნავი სურათი ვისრამიანში რომ არის აღწერილი[49] ვეფხისტყაოსნის ამ მოწმობათა ნიადაგზე ჩვენ მიერ დადგენილი „მოკიდულის“ შინაარსისაა. ადამიანის „სამშობლო“ იქაა და ისაა, სადაც მისი მეყვისი, ნატამალი, მზახალი, ცოლშვილი, მოყუარე, მშობელი, დაზრდილი და მოსანდობელია...

ამრიგად, ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ტერმინი „მოკიდული“ შესაძლებელია ხმარებულიყოს ფეოდალური ხანის „სამშობლოს“ თუ „სამკვიდროს“ შინაარსითაც. ჩვენ არ გვავიწყდება, რომ ამით „მოკიდულის“ ცნება მეტად გაგვიფართოვდა და ის მოკიდების პრინციპსაც კი გადაშორდა: აშკარაა, რომ ღვიძლი შვილი, ძმა, ბიძა თუ ძმისწული და სხვა „სახლისკაცები“ „მოკიდების“ გზით არ შედიან ასეთ გაერთიანებაში.

მოულოდნელი ან უცნაური ჩვენთვის აქ არაფერია. ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ მოკიდების ერთადერთი ფორმა „კალთას მოკიდება“ იყო და რომ ოდესმე მოკიდულში მხოლოდ ასეთები იგულისხმებოდნენ. „მოკიდულის“ ბუნების ისტორიული გათვალისწინება გვავალებს დაუშვათ, რომ მოკიდება თავდაპირველადვე სხვადასხვა სახისა იყო და „კალთას მოკიდება“ ერთ-ერთი ასეთი სახეობა იყო. ასე რომ მფარველობის მაძიებლის (კალთას მოკიდებულის) გვერდით ამა თუ იმ პირის (თუ სახლის) მოკიდულში იმთავითვე იყვნენ

---

[48] ვეფხისტყაოსანი, აკადემიური გამოც. 602.

[49] უცხო ქალაქსი მყოფი რამინი, თავის სამშობლო ქალაქს მონატრებული, ეუბნება რაფედს: „მე ადრითგან მით უუმეცრე ვარ, რომელ მოყუარეთა და ნატამალთა ჩემთა კიდეგანობა არ მიმძიმდეს. გორაბი შენი ქალაქი და სამშობლო არის: ვისცა ჰნახავ, ყველა შენი მეყუისი და ნატამალია, შენ მიწყით შენთა მოყუარეთა და მეყუისთა გვერდით ჯზი. არ ჩემებრ ღარიბი სხვისა ქალაქსა და ქუეყანასა შინა ხარ. ღარიბი რაზომცა გაჭელმწიფდეს, ეგრეცა დაიღრეჯს, რა მეცნიერი ვერავინ ნახოს. კაცსა საწუთრო თავისათუის უნდა და ყუელა რამე თავის სამეცნიეროსა უფრო იამების. თუმცა სიხარული კარგი არის ათასისა სიხარულისაგან ერთი მოყუარე უამეა. რაცა კარგია, ვითა თავისათუის მომინდების, ეგრევე მოყუარეთათუის. მე შენთვის მრავალჯერ შემშურდების. სითცა მოხვიდე გზით ანუ ნადირობით. ნატამალნი, მზახალნი, ცოლი და შვილნი ზედა მ ო გ ე ხ უ ე ვ ი ა ნ მხიარულად, ვითა ტოილო ერთმანეთზედ გ ა მ ო ბ უ ლ ნ ი ხართ“... ვისრამიანი, 235—236.

მისივე თანასწორნი „მოყვარე-მოსამართლენი“ (სიძეები, მძახლები, სიმამრ-ცოლისძმები, საფიცრით თუ სხვა რიგად შეყრილ-მოწყობილ-მორთულნი). უნდა ვიფიქროთ, ამათი მნიშვნელობა „მოკიდულში“ იმთავითვე მეტად დიდი იყო. აი ასეთი დაშვებისას ადვილგასაგები ჩანს, თუ როგორ გახდა შესაძლებელი მოკიდულის შინაარსის ისეთი გაფართოება, რომ მოყვარე-მოსამართლეთა გვერდით ამ გაერთიანებაში ნათესავ-სახლიკაციც მოთავსდა; ამ დროს, რა თქმა უნდა, ტერმინ „მოკიდულში“ კალთას მოკიდების მომენტი აღარავის ახსოვდა.

ეხლა მართებულია საკითხი დაისვას თვით „მოკიდულის“, როგორც საზოგადოებრივი გაერთიანების აღმნიშვნელი ტერმინის, წარმოშობის შესახებ. „კალთას მოკიდება“ იყო ერთადერთი წყარო მისი წარმოშობისა, თუ მოკიდების სხვა სახეობანი -კიდევ უფრო ძველად არსებობდა და კალთას „მოკიდება“ შემდეგ წარმოიშვა?. გადაჭრით პასუხის გაცემა ამ საკითხზე, ჩვენ ჯერჯერობით გვიჭირს. მაინც, მეორე შესაძლებლობა უფრო საბუთიანად გვეჩვენება.

ამით, ვფიქრობთ, აიხსნება ის მოვლენა, რომ ტერმინმა—„მოკიდულმა“ სოციალური ტერმინების „შვილის“ და შემდეგ მისი შემცველი „ყმის“ ადგილი ვერ დაიჭირა.

აქვე გვეჩქარება გავაცხადოთ: „მოკიდულისა“ და „სამშობლო“—„სამკვიდროს“ შინაარსობლივი დამთხვევა მხოლოდ განსაზღვრული მხრით შეიძლებოდა. საქმე იმაშია, რომ „სამშობლო“—„სამკვიდრო“ საზოგადოების ბუნებრივი ერთეულია, „მოკიდული“ კი ამა თუ იმ პირის თუ პირთა მოქმედების შედეგად „ხელოვნურად“ შექმნილი ერთეულია. მოკიდულის წევრებს ინტერესთა თანხმობა და ზოგჯერ სრულიად გარკვეული მიზანდასახულობაც ახასიათებს, არც ამ მხრით ემთხვევა „მოკიდული“ „სამშობლოს“. გასაგებია ეხლა, თუ ტერმინმა „მოკიდულმა“ რატომ ვერ დაიჭირა „სამშობლო“—„სამკვიდროს“ ადგილი.

* * *

თითქო ირკვევა: ჯერ კიდევ პატრონყმური ეპოქის წიაღში (ამ ეპოქის წარმოქმნასთან ერთად) წარმოიქმნა ფეოდალური ინსტიტუტი „მოკიდული“ ანუ „მოკიდებული“ (ცალკე საკითხია, თუ რა გენეტიურ ურთიერთობაში იმყოფება ან შეიძლება იმყოფებოდეს ფეოდალური ეპოქის „მოკიდული“ წინარე ხანის შესაბამის საზოგადოებრივ გაერთიანებასთან. მაგრამ როგორც არ უნდა იყოს, ფეოდალური ხანის ეს ინსტიტუტი დამოუკიდებელი მოვლენაა, და მისი დამოუკიდებლადვე შესწავლა შესაძლებელიცაა და მართებულიც.).

„მოკიდულში“ იმ დასაწყის დროსვე იგულისხმებოდა როგორც თანასწორნი, ისე სოციალურად მეტნაკლებად დამოკიდებულნიც. იურიდიულად ეს უკანასკნელი კატეგორიაც თავისუფალი იყო. ესენი იყვნენ, ვინც „შვილად“ შეეწყნარებოდნენ „მამაუფალს“ „ანუ ვისაც შვილად „მოიკიდებდა“ „მამაუფალი“. ეს „შვილები“, საფიქრებელია, შეადგენენ „კალთას მოკიდულთა“ კატეგორიას მოკიდულის საერთო შედგენილობაში.

ასე რომ მოკიდული იმ თავითვე ფართო მოცულობის საზოგადოებრივ გაერთიანებას წარმოადგენდა. მოკიდულის დამახასიათებელი იყო მისი წევრების თავისუფლება და ინტერესთა თანხმობა.

დროთა განმავლობაში საზოგადოებრივი ურთიერთობა იცვლება. „მოკიდულში“ შემავალ „შვილებს“, „ყმებად“ ქცეულთ „მამაუფლისა“ და „პატრონის“ ნაცვლად „ბატონი“ უჩნდება: ყმები თავისუფლებას ჰკარგავენ, მათი უდიდესი ნაწილი „გლეხებად“ იქცევა. ბატონს (თავადს) მიუტაცნია აზნაურის თავისუფლებაც, ასე რომ მის მოკიდულში არც ყმა აზნაურები იგულისხმებიან.

„მოკიდული“ ისევ ძველი შინაარსით დარჩა. გვიანფეოდალურ ხანაშიაც ესაა თავისუფალ პირთა (თუ სახლების) გაერთიანება ამა თუ იმ პირის (თუ სახლის) გარშემო.

ქართული ფეოდალიზმის ყველა საფეხურზე მოკიდულის ძირითადი შინაარსი (ინტერესთა თანხმობის ნიადაგზე მეტნაკლებად თავისუფალი გაერთიანება) უცვლელი დარჩა.

საქართველოს ისტორიაში ფეოდალურ დაჯგუფებათა ბუნების მეცნიერული შესწავლისათვის ჯერ არავის მოუცლია. ჩვენი ეს მცირე ცდა საქმის დასაწყისია მხოლოდ. საკითხი კი ფრიად მნიშვნელოვანია. კერძოდ, ინსტიტუტი „მოკიდულის“ („მოკიდებულის“) გათვალისწინება საქართველოს ისტორიის არა ერთ საინტერესო საკითხის სწორად გაგებას შეუწყობდა ხელს.

მიწათმფლობელობის ფორმებისათვის ფეოდალურ საქართველოში

„ქ ე ლ ი“*

ქართული დიპლომატიკის საკითხების სპეციალური კვლევა მიზნად არა მქონია. ძველ საქართველოში მიწის საკუთრების (კერძოდ, „ნასყიდის“) ინსტიტუტზე მუშაობისას საჭირო იყო ამ საკუთრების აღმნიშვნელი მატერიალური თუ წერილობითი ძეგლების ერთად შესწავლა. ასეთმა მუშაობამ იმთავითვე ქართული დიპლომატიკის ზოგიერთი საკითხი დასვა. შემდგომი თანდათანი დაკვირვებით ცხადი გახდა, რომ უხვი და მნიშვნელოვანი მეცნიერული შედეგები ელის მკვლევარს, თუ ის დოკუმენტების დიპლომატიკურ შესწავლას ამ ძეგლებში გათვალისწინებულ მოვლენათა ისტორიულ შესწავლაზე ააგებს.

გაირკვა, რომ ქართული დიპლომატიკის, როგორც სამეცნიერო დისციპლინის, ფუძემდებლის, განსვ. აკად. ივანე ჯავახიშვილის წამოწყება ამ მიმართულებით უნდა გაგრძელდეს. ჩვენ ასეთი შრომა არ გვაკისრია და ამ ნაშრომის საგანი ქართული დიპლომატიკის მხოლოდ ერთი კერძო საკითხი გახლავთ და ისიც ნაწილობრივ განხილული: რამდენადაც ამას ჩემი სპეციალური საკვლევო სამუშაოს ინტერესი მოითხოვდა.

* * *

ერეკლე მეფემ პაატა და ნიკოლოზ ციციშვილები ურჩობისათვის დასაჯა, აზნაური მეღვინეთხუცესიშვილი ჩამოართვა, მეფე უბრძანებს იასაულს: „მეღვინეთხუცესიშვილი თომა... საჩვენოთ სახასოთ დავიჭირეთ... ახლა, რაც ამათ ნასყიდობა აქვსთ, თავეთს ნასყიდობას ჭელი უნდა მოჰკიდონ. შენც ჭ ე ლ ი ა მ ა რ თ ე დ ა ა მ ა თ მ ო-

* მოხსენება ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესიას 1942 წელს. იბეჭდება პირველად.

ა ბ ა რ ე... და თუ... სიტყვა თქვას ვინმე, რომ ეგ მაგათი ნასყიდი არ არისო, ის სამართალში მოვიდეს და ილაპარაკოს"[1].

მეღვინეთხუციშვილი სათავადო აზნაური იყო. ნასყიდს გარდა ის, რა თქმა უნდა, სხვა მიწა-მამულსაც ფლობდა. ქართული სამართლის თანახმად სამეფო-სახასოდ „დაჭერილ" სათავადო აზნაურს უფლება ჰქონდა თავისი ნასყიდობისათვის „ქელი მოეკიდა". მეფე გზავნის იასაულს, რომელმაც ეს ნასყიდობა მეღვინეთხუციშვილს უნდა მიაბაროს, მაგრამ მობარებისათვის საჭიროა, რომ იასაულმა „ქ ე ლ ი ა მ ა რ თ ო ს".

ამ საბუთში ჩვენს ყურადღებას იქცევს გამოთქმა „ქელი ამართე". რას ეწოდება „ქელი ამართე", ვისი „ქელი" უნდა ამართოს იასაულმა, რაზე ან რას ამართავენ „ქელს", ვისი ბრძანებით ხდება „ქელის ამართვა", როდის, რა შემთხვევაში ხდება „ქელის ამართვა", როგორ ხდება „ქელის ამართვა"?

საბუთები, სადაც „ქელის ამართვაა" აღნიშნული, საკმაოდ მოიპოვება (შვიდი ათას საბუთში, ჩვენ რომ გავსინჯეთ, ასეთი სამოცი შეგვხვდა). ამ საბუთებზე დაკვირვებით შესაძლებელი ხდება ზემოდასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა.

ერეკლე მეფის ბრძანებით ერისთვიანთ სახლს ქსანი ჩამოართვეს. საერისთავო ქსანს მეფის მოხელეები იბარებენ. ერისთვის ყმას ბერიანიძეს ამოწყვეტილი ხიზანას ბეითალმანი დავით ერისთვისაგან ჯერ კიდევ 1765 წელს წყალობად ჰქონდა ბოძებული. იოანე ბატონიშვილი სწერს მოხელეებს: „ბატონიშვილის იოანეს სიკეთით სახსოვარო ეშიკაღასბაშო ზაზავ და მოურაო ბაშარულო სიხარულო! მერმე ამ ბერიანიძის მ ა მ უ ლ ზ ე ქელს ნუ ამართავთ. ამას დავით ერისთვის წიგნი და მისის ძმებისა აქუს, რომ წყალობად მიუციათ ეგ ამისის სახლის კაცის მამული და ამას დაესხენით, ქ ე ლ ს ნ უ ა მ ა რ თ ა ვ თ, რადგან დავით ერისთვის წყალობა ჰქონია, ვერც ჩვენ მოუშლით და დაეხსენით, მაზედ ქელი აიღეთ. აგვისტოს. ბ. ქკს. უპგ".

„ქ. თუ დავით ერისთვის წყალობის გარდა უწიგნოდ სხვა მამული ჰქონდეს, ი მ ა ზ ე დ კ ი ქ ე ლ ი ა მ ა რ თ ე თ"[2].

მოტანილი საბუთიდან ჩანს, რომ მოხელეები ხელისუფლების ბრძანებით ქელს ამართავენ მ ა მ უ ლ ზ ე.

გოსტაშაბიშვილებს და ზაალ ყაფლანიშვილს დავა ჰქონდათ წისქვილსა და საწისქვილოებზე. ლაშქარნიკისი ომან და მდივანი ესავ სწერენ 1789 წელს: „...მისმა უმაღლესობამ ბედნიერმა მეფემ ღოლოვნის საწისქვილოების გასაშინჯავათ გამოგვგზავნა, რომ გოს-

[1] ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი Qd, 423.
[2] ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, 5367.

ტაბაშიშვილებს ზაალისთვინ ორი საწისქვილო უნდა ეჩვენებინათ ღოლოვნის მიწაში და თუ ვერ უჩვენებდნენ, გოსტაშაბიშვილის ტეტიას წისქვილი რომ არის გაკეთებული, იმაზე კელი უნდა აგვემართა და ზაალისთვის მიგვებარებინა".

გოსტაშაბიშვილებმა სასამართლოს უჩვენეს ღოლოვნას ორი ხარაბა ნაწისქვილარი, მაგრამ ზაალ ყაფლანიშვილი ამტკიცებდა, რომ ეს ნაწისქვილარი კი არა ნაგომურალიაო. სასამართლომ ზაალს ფიცი დაადო: „ზაალმა თუ ორი კაცი შეაფიცა, რომ... ეს ნაწისქვილარი არ იყოს, ტყუილათაც არქმევდეთო და კიდეც თარაქამის ნაგომურალი იყოს, თუ ასე შეაფიცა, ბატონის ბრძანებისაებრ, ტეტიას წისქვილზე კელს ავმართავთ და ზაალს მივაბარებთ"-ო გააჩენს სასამართლო[3].

არა ერთი მოიპოვება სხვა მოწმობაც, რომ კელს ამართავდნენ ხოლმე საწისქვილოზე და წისქვილზე.

მამუკა თარხნიშვილმა ხახანაშვილს ნასყიდი ვენახი წაართვა. ხახანაშვილმა იჩივლა. ორჯერ სამართალში ილაპარაკეს და თარხნიშვილი გამტყუნდა. ხახანაშვილს სასამართლოს განაჩენი მეფის ოქმით მიეცა. ამისდა მიუხედავად თარხნიშვილს „ნასყიდი ვენახი და მამული" ხახანაშვილისთვის არ დაუნებებია. უკანასკნელს ისევ უჩივლია: გიორგი ბატონიშვილი მეფის ბრძანებისა და სამართლის წინააღმდეგობისთვის „ავად მოპყრობით" ემუქრება ურჩ თავადიშვილს, ხოლო იასაულს უბრძანებს: „აბაზაძე უთრუთ, ეს ახლავ ასე აღასრულე. იანვარს ვ. ქკს უოვ.—და კელი უნდა ამართო იმ ვენახს და მამულს და ამ ხახანაშვილს უნდა მიაბაროო".

საუბრის გაგრძელების რიდით ჩვენ სათანადო ამონაწერების მოუტანლად საბუთების დასახელებით დავკმაყოფილდებით, რომ კელი აიმართებოდა ხოლმე: „მამულზე"[4], „მიწა-მამულზე"[5], „მამულსა და ვენახზე"[6], „სახელოსა და ყმაზე"[7], „ყმასა და მამულზე"[8], „გლეხზე"[9], „საწისქვილო-

---

[3] ხელნ. ინსტ. ფ. Hd, 2304; ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, II, 147—148.

[4] ძვ. საქ. IV, 41. 44; საქ. სიძვ. 1, 460; III, 412, 444; დოკუმენტ. I, 138—139, 207; Hd, 5323; Hd, 9990.

[5] საქ. სიძვ. III, 172, 525; გუჯრები, 16; Hd, 5329; Qd, 423.

[6] ძვ. საქ. IV, 41, 44; საქ. სიძვ. II, 486; III, 7—8; 528; Hd, 3002.

[7] Hd, 2882.

[8] საქ. სიძვ. I, 446, 448; საქ. სიძვ. II, 362; დოკ. I, 402; Sd, 395; Hd, 6972; Hd, 5040.

[9] დოკ. I, 122, 196, 206, 247, 324; ისტ. საბ. V, 109; საქ. სიძვ. 11, 308, 488, 498; III, 172; საქ. ცენტრ. საისტ არქ. ფ. 229, დავთ. 13, № 137; Hd,2821; Hd, 2157;Hd, 10141; Hd, 2676; Hd, 2311.

სა დაწისქვილზე"[10], „აზნაურზე"[11], „სათავადოს ნაწილზე"[12], „სოფელზე"[13].

ჭელს ამართავდა ხოლმე იასაული, ამისთვის საგანგებოდ დასაქმული პირი (ეშიკაღასბაში, მამასახლისი, ამილახორი, მილახვარი...).

ჭელის ამართვის ბრძანებას გასცემდა უზენაესი ხელისუფლება (მეფე, ფაშა—ოსმალობისას, ხანი—ყიზილბაშობისას) ანმის მიერ უფლებამოსილი პირი (დედოფალი, ბატონიშვილი, ვექილი—ყიზილბაშობისას) და დაწესებულება (სასამართლო ან სასამართლოს სახელით, მდივანბეგი). რა თქმა უნდა, ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ ჭელის ამართვის უფლება ფეოდალურ საქართველოში ყოველთვის და ყოველგან მხოლოდ მეფის პრივილეგიას შეადგენდა. თავი რომ დავანებოთ მთავრებს ადრინდელის თუ გვიანფეოდალური ხანისას,—ესენი იგივე ხელმწიფენი იყვნენ,—თავადურ საქართველოში, მაგალითად, საკუთარ საყმოში ჭელის ამართვის უფლება მითვისებული შეიძლება ჰქონოდა ბატონს—საეროს თუ საეკლესიოს. საამისო მოწმობებია თითქო Hd, 6972 და საქ. სიძ. III, 7—8 (ის გარემოება, რომ ასეთი მოწმობა მხოლოდ ორი მოგვეპოვება, ჩვენ შემთხვევით მოვლენად მიგვაჩნია). მაგრამ ამით ის პრინციპი მაინც არ ირღვევა, რომ ჭელის ამართვა იმის კომპეტენციას შეადგენდა, ვინც პოლიტიკურ ხელისუფლებას ახორციელებდა.

ჭელის ამართვა ხდება სასამართლოს დადგენილებისა და ხელისუფლის ბრძანების თანახმად და ნიშნავს ამათუიმ პირის უფლების უარყოფას ან ასეთი უფლების დამტკიცებას.

ზაალ და სხვა დავითიშვილები მთელ სადავითიშვილოს იჩემებდნენ და შანშე რამაზიშვილს წილს არ უდებდნენ: ჩვენი სახლის-კაცი არ არისო. სასამართლომ ზაალის მტკიცება უსაფუძვლოდ სცნო და იასაულს უბრძანა: ნაიბ ეშიკაღასბაშო შანშე და აბაშიძე გიორგი: სადავითიშვილოს მამულის მეოთხედზედ ზაალსა და სხვათ ჭელი აუმართეთ და შანშე მილახვარს, იმის შვილს როსტომს და სოლომონს მოაბარეთ"[14]. „ზაალს და სხვათ ჭელი აუმართეთ" აქ ნიშნავს: სადავითიშვილოს მეოთხედზე ზაალისა და მის

---

[10] საქ. სიძვ. I, 163—164; Hd, 2279; Hd, 2304; Hd, 11438; Hd, 2036, Qd, 789; Qd, 787.

[11] საქ. სიძვ. II, 362.

[12] საქ. სიძვ. I, 448, 446: III, 182.

[13] Hd, 9721; საქ. სიძვ. III, 290.

[14] საქ. სიძვ. III, 181.

მომხრეთა უფლება უარყავ, ანუ, როგორც მაშინ იტყოდნენ, ზაალისა და მის მომხრეთა უფლება „დააყენე“.

გოგია თუმანიშვილი სთხოვს ვახტანგ ბატონიშვილს:... „ამას გეევედრები, რომ ერთი ოქმი და იასაული გვიბოძოთ, რომ რაც ამ ჩემს განაყოფს კაციას ჩემთვის მიწები წაერთმიოს, ქ ე ლ ი ა უ მ ა რ თ ო ს, დ ა ჩემი მიწები და ან რაც ღალა ედოს ჩემს მამულშია, ისიც გამომირთვას და მე მომაბაროს“[15].

ასე რომ იასაულმა კაციას ქელი უნდა აუმართოს იმ მიწაზე, რომელიც მას, გოგიას აზრით, უსამართლოდ უჭირავს, ე. ი. კაციას უფლება უნდა უარყოს, მისი უფლება უნდა „დააყენოს“.

კიდევ ერთი მოწმობა. ნიკოლოზ თუმანიშვილმა თავისი სახლისკაცი მანუჩარის უნებურად თუმანიანთ სახლის საკუთრება ვენახი ზურაბა ტერტერაშვილს მიჰყიდა. მანუჩარმა იჩივლა და მეფისაგან ითხოვა, რომ „ი ს ნ ა ს ყ ი დ ო ბ ა დ ა დ გ ე ს“. მეფემ პეტრე ავალიშვილი იასაულად აჩინა და სწერს, რომ ტერტერაშვილს ის მამული „არ უნდა ეყიდნა. რომ უყიდია, დაუშავებია. ახლა იმ მაგისგან ნაყიდ ვენახზე ქ ე ლ ი ს ა მ ა რ თ ვ ი ს ო ქ მ ი სხვა გვიბოძებია. მაგას ის ნასყიდობის სიგლები ჩამოართვი, დაბეჭდე და აქ გამოგვიგზავნე“.

ამის გამო ნიკოლოზ თუმანიშვილი არზას მიართმევს მეფეს: „...მერმე ოქმი აუღია მანუჩარ მდივანს, პეტრე ავალიშვილი იასაული არის, რუისს ვ ე ნ ა ხ ზ ე ქ ე ლ ი ა უ მ ა რ თ ე ო და სიგლებიც წაართვეო“.. ნიკოლოზი მოახსენებს მეფეს, რომ ის მამული თუმანიანთ სახლს დიდი ხანია დაკარგული ჰქონდა და რომ ის მან პირადი შრომით ამოიგო და გააკეთა, ნიკოლოზი მზადაა მეფის სამართალში ელაპარაკოს თავის სახლის კაცს და თუ სამართალში“ არ გიახლო, ქ ე ლ ი ც ა მ ი მ ა რ თ ე თ და იმას უბოძეთო“, აცხადებს მთხოვნელი. ამ არზას ახლავს მეფის ოქმი: „ქ. ჩვენი ბრძანება არის, ავალიშვილო ეშიკაღასბაშო პეტრე და მამაცაშვილო იოსებ! მერე ამ არზით ნიკოლოზ თუმანიშვილს ასე რომ მოუხსენებია, მანამდისინ მანუჩარ მდივანი და ეს ნიკოლოზ ერთად სასამართლოში არ ილაპარაკებენ, მაგ ვენახზედ ქ ე ლ ს ვ ე რ ა უ მ ა რ თ ა მ თ, ქელი აიღევით. მშვიდობა არის, ქალაქს რომ ჩავალთ, ნიკოლოზა იქ ჩამოვა და სამართალი იქ გადასწყდება. ე ნ კ ე ნ ს თ ვ ი ს ი ზ ქ კ ს უ ო ზ[16]“.

ამ საბუთიდანაც ცხადად ჩანს, რომ იმისთვის, რათა „ნასყიდობა დადგეს“, ერეკლე მეფემ იასაულს უბრძანა, მყიდველს (ტერტე-

---

[15] საქ. სიძვ. III, 525.

[16] საქ. სიძვ. III, 529.

.რაშვილს) „ვ ე ნ ა ხ ზ ე დ ‌ ‌ ‌

კიდევ ერთი მოწმობა მოვიტანოთ. იულონ ბხტონიშვილი უბრძანებს იასაულს: „წედისს ჩვენი სახასო საბატონიშვილო კაცები და ბეითალმანი მამულები, თოთხმეტი საკომლო მეღვინეთხუციშვილს თომას და ამის ძმისწულებს პაატას და სვიმონს მივეცით. შენ მიდი და ქელი აუმართე და ამათ მოაბარე... ღვინობისთვის კდ ქკს უოა. ქ. საკაძე გოგიავ, ეს შენ გაარიგე"[21].

რა თქმა უნდა, „ქელი აუმართე" აქაც მხოლოდ იმას გულისხმობს, ვისაც ეს ყმა-მამული უნდა მიჰბარდეს და, მაშ, ქელიც მისი უფლების დადგენის ნიშნად აიმართება.

საამისო სხვა მოწმობათა მხოლოდ დასახელებით დავკმაყოფილდებით[22].

ამრიგად, ქელს ამართავს ქელისუფლება. ქელი აიმართება ვინმეს სასარგებლოდ დავინმეს, თუ ასეთი მხარეარის, საზიანოდ; ვისი უფლებაც აღდგენილია თუ ახლად დადგენილია, მას ქელს აუმართავენ ამ უფლების დადგენის ნიშნად, ხოლო თუ ამავე დროს ვისიმე უფლება უარყოფილია, ეს ქელის ამართვა მისი უფლების უარყოფის ნიშნადაც ხდება.

ქელის ამართვა ხდებოდა მამულზე (მიწა, ვენახი, ტყე, ბაღი), წისქვილზე (და საწისქვილოზე), ყმაზე (აზნაურზე, გლეხზე), სათავადოზე (თუ მის ნაწილზე), სოფელზე.

ვისი უფლებაც მტკიცდებოდა (ვისაც ქელს აუმართავდნენ), ის მამულზე (თუ სხვა) „ქელს დაიდებდა", ხოლო ვისი უფლებაც უარყოფილი იყო (ვისაც ქელს აუმართავდნენ), ის მამულზე (თუ სხვა) „ქელს აიღებდა".

ხელისუფლება (მეფე, ან მის მიერ საგანგებოდ დანიშნული პირი, დაწესებულება) „ქელის ამართვის ოქმს" და „კაცს" უბოძებდა ხოლმე იმ პირს, ვის სასარგებლოდაც უნდა ქელი ამართულიყო[23]. ეს „კაცი", ვისაც „განაჩენის იასაულობა" ჰქონდა ნაბრძანები დაინტერესებულ პირს „ქელს აუმართავდა და მოაბარებდა"[24].

ქელის ამართვა ყოველთვის სასამართლოს განაჩენის შედეგად არ ხდებოდა. ქელის ამართვა ხდებოდა აგრეთვე მეფის ბრძანებით, ამა თუ იმ პირის არზაზე მიწერილი ოქმით[25]. ან ზოგჯერ, იმ შემთ-

---

[21] Qd, 388.

[22] საქ. სიძვ. I, 163, 446, 448, 346; II, 308, დოკუმენტები, I, 122, 206, ისტ. საბ. V, 109, საქ. ხელნ. ინსტ. Hd, 2279; Hd, 9721.

[23] საქ. სიძვ. III, 412, 528; Hd, 2011.

[24] Hd, 9721; საქ. არქ. ფ. 229 (4), დავთ. 13, № 137.

[25] Hd, 9990; Sd, 394; საქ. სიძვ. III, 172.

ხვევაშიაც, როცა მეფე (დედოფალი, ბატონიშვილი) ამა თუ იმ პირს წყალობად უბოძებდა ხოლმე რასმე[26].

ვახტანგ მეფე თავისი სამართლის სო მუხლში წერს:

„წესად ასე იყო: ანუ თუ ბატონი ვისმე გლეხს უ ბ ო ძ ე ბ დ ა ან წ ა ა რ თ მ ე ვ დ ა, ან ასაყრელი იყო და აყრიდნენ, ე შ ი კ ა ღ ა ს ი და ი ა ს ა უ ლ ნ ი იმავ გლეხს ჯარსა და მარჩილს გამოართმევდნენ. ს ა მ დ ი ვ ნ ო ს ა და ს ა მ უ რ დ რ ო ს ა ც გლეხს გამოართმევდნენ. ეს დიაღ დიდი უსამართლო იყო. ახლა ჩვენ ასრე გაგვირიგებია. ვისაც ან გლეხი მიეცეს ს ა მ ა რ თ ლ ი თ ა თუ წ ყ ა ლ ო ბ ი თ, იასაულს ჯარი და მარჩილი, ვისაც მიეცეს, იმან მისცეს. გლეხს ამაში ნურას გარჯიან. თუ ბატონისათვის ჯ ე ლ ი ა ი მ ა რ თ ო ს, ბატონმა იასაულს სხვა რიგი წყალობა უყოს და გლეხს ნურას გამოართვამს“.

მოტანილ მუხლში აღნიშნულ ხარჯებზე დაკვირვებით შეიძლება იმის გათვალისწინება, თუ როგორ ხდებოდა „ჯელის ამართვა“, სულერთია, იყო ეს სასამართლოს განჩინებისა თუ მეფის (დედოფლის, ბატონიშვილის, ფაშის, ხანის) წყალობის შედეგი. „სამდივნოში“ სასამართლოსა და წიგნის (სასამართლოს განაჩენი თუ მეფის წყალობის წიგნი) დაწერის ხარჯები იგულისხმება, „სამურდრო“ კი მეფის ბეჭდის დასმის ხარჯია. „ჯარი და მარჩილი“ „ჯელის ასამართავი“ ხარჯის ის ნაწილი იყო, იასაულებსა და ეშიკაღასს რომ მიჰქონდათ საქმის სისრულეში მოყვანისათვის ანუ „ჯელის ამართვისა და მობარებისათვის“.

მაგრამ ყველა ზემოთქმულის შემდეგ ჩვენ მაინც არ ვიცით რას ეწოდებოდა „ჯელის ამართვა“ ან როგორ ხდებოდა ის. ამ საკითხებს ქვემომოტანილი სამი საბუთი გაგვიშუქებს.

მეფე ერეკლემ აზნაურ თომა მელვინეხუციშვილს ორმოცდაათი დღის ბეითალმანი ნაწყალობევად უბოძა ქართლში, ხიდისთავის მიდამოში. ნაწყალობევი მიწა თომამ სრულად ვერ მიიღო. ერთი ნაკვეთის შესახებ ის ჩივის მეფესთან: „თქვენ ოქმშიც ასე აცხადებს, გორში რომ მიწა არის, ის უნდა მიეცესო. თქვენს იასაულს სამჯერ ჯ ე ლ ი ა უ მ ა რ თ ა ვ ს და ჯ ვ ა რ ი დ ა უ ს ვ ა მ ს და ვისაც უჭირავს, იმ გლეხკაცს ჯ ვ ა რ ი მ ი ღ მ ა გ ა დ ა უ გ დ ი ა და კიდევ მოუხნავს და თქვენს სამართალში ვეპატიჟებით, თუ სიტყვა აქვს რამე თქვენ სამართალს მოახსენოს და ისიც პირობას მომცემს ხოლმე, მოვალ სამართალშიო, მაგრამ ექვსი წელიწადია ასე გვატყუებს, არც სამართალში მოგვდევს და ახლა ბაღათაც კეთება დაუწყო და თქვენი ამდენი ოქმიც გაგვიბათილა“. ამ არზას ერეკლეს

[26] საქ. სიძვ. I, 446; II, 308; III, 488; დოკუმენტები. I, 122; Qd, 388.

ოქმი ახლავს, მეფე მიმართავს დიმიტრი თარხნიშვილს: „შენ უნდა მიხვიდე და რომელიც სახნავი მიწები ჩვენი ოქმით ამ თომასთვის გვიბოძებია და იასაულიც მივეცით და მივიდა ჩვენმა წარგზავნილმა იასაულმა, ქელი ამართა ამ მიწებზედა, ის ქელი მოუგლეჯია და გადაუგდია,—იმ ჩვენის ოქმის რიცხვიდამ აქამდინ რაც ამ მიწებში მოსავალი მოსვლია, იმისი ღალა უნდა გამოართვა და ამ თომას მოეც. ის მიწებიც ამას დაანებე. ამისთვის უნდა წაერთვას იმ ჩვენი ოქმის თარიღიდამ დღევანდლამდინ ღალა, რომ ჩვენს ბრძანებას არ დამორჩილდა და ქელი რომ ამართა იასაულმა, იმან მოგლეჯა და გადააგდო. თუ სიტყვა ჰქონდა რამე. ჩვენ რატომ არ მოგვახსენა“?.. ამას გარდაო, უმატებს მეფე, „რომელიც ბეითალმანი მიწა ამ თომასთვის გვებოძებინოს და ამ თომამ გიჩვენოს, იმაზედაც ქელი ამართე და ამ თომას დაანებე და თუ სიტყვა ჰქონდეს ვისმე, ჩვენ მოგვახსენოს“[27].

დარეჯან დედოფალი ოქმითა სწერს ცხინვალის მოურავს ამილახვრიშვილს იოანეს: „მერე მეთოდი მდივანბეგს მათი უმაღლესობის ოქმი ჰქონია ამილახვარის შუილს ბეჟანზედ, ასე რომ ვისაც ტრძნისის მამული მიმძლავრებით ეჭიროს, ქელი ამართე და ტრძნელებს მოაბარეო. ბეჟანსაც, ბრძანებისაებრ, მიმძლავრებულს მამულზე ქელი აუმართავს და ტრძნელებისათვის მიუბარებია. შემდგომად ფალვენისშვილს თეიმურაზს ჯვარები დაუგლეჯია, კაცებიც დაულახავს და იმ მამულს თურმე აღარ ანებებს. ახლა შენ უნდა მიხვიდე და, როგორც მათის უმაღლესობის ოქმი აცხადებდეს, ისე რაც ტრძნისის მამული ფალვენისშვილს მიმძლავრებით ეჭიროს, ახლავ ქელი უნდა ამართო და ტრძნელებს მოაბარო. სანამდინ სამართალში ილაპარაკებდნენ, ტრძნელებს უნდა ეჭიროსთ და, როდესაც სამართალში ილაპარაკებენ, მაშინ ვისაც სამართლით დარჩება, იმისი იქნება“[28]. ასეთივე გამონათქვამებით ამავე საგნის შესახებ მოიპოვება იულონ ბატონიშვილის ოქმი[29].

მოტანილი საბუთები უეჭველად მოწმობენ, რომ „ქელი“ ეწოდებოდა მიწაზედ უფლების მაჩვენებელ მატერიალურ ნიშანს, მიწაზე უფლების აღსადგენად „ქელს ამართავდნენ“ ხოლმე, ხოლო ამ

---

[27] ხელნ. ინსტ. ფ. Qd, 385.
[28] ხელნ. ინსტ. ფ. Hd, 2946.
[29] Hd, 2947.

უფლების დამრღვეველი „ქელს მოგლეჯდა“ (და „გადააგდებდა“). მაგრამ „ქელი“ ამავე დროს და ამავე საბუთებში თვით იმ უფლებასაც ეწოდებოდა, რომელსაც ეს მატერიალური ნიშანი გამოხატავდა. ასე რომ ბრძანებაში „ქელი ამართე“ იგულისხმებოდა მამულზე უფლების განცხადება და ამ უფლების განცხადების ნიშნად მატერიალური ძეგლის დასმა.

დავითიშვილები მიწებზე სარჩლობდნენ. ერთერთი დავითიშვილის მომხრე რამინ ამირეჯიბი ეუბნება მეორე დავითიშვილს: „ამ მიწაში არც სულ შენს კაცებს საქმე არა აქვს რაო... ამაზე შენ რომ ლაპარაკი დაიწყეე, შანშე მილახვარმა გიჩივლა და პეტრე ავალიშვილი იასაულად მოიყვანა და ქელი აგიმართა და მიაბარა“.. სასამართლო განაგრძობს: „პეტრე ავალიშვილს ვკითხეთ და ასე იმოწმა: შანშეს ჩემზე ოქმი აეღოო. მიველ და ქელი აუმართეო. ზაალ და ელიზბარ ორნივ იქ იყვნენო. საცა ეს შანშე ამბობს, მაჭავარიანისა აქამდინ არისო, სწორედ იქამდინ ავმართე ქელიო. არც ზაალს და არც ელიზბარს არც ერთსა ქმა არ ამოუღიათო და ამაზე ზურაბ ავალიშვილიც ემოწმებოდა, აქამდინ ამართა ქელიო. ამისი ზაალმა ასე მიუგო: ეს წიგნი, რომელიც ჩემს კაცს ზაალ მახვილაძისათვის მიეცა, იქ არა მქონდაო. მას უკან, როდესაც ვიპოვნე, მდივანბეგებთან ჩაველ და ამ წიგნის ძალით ეს განაჩენი მომცეს. მოველ ქელი მოვგლიჯე და ჩემი მამული მევე დავიჭირეო“[30]. გამოთქმაში: „აქამდინ. იმ უფლებას ჰგულისხმობს, რომელიც „აღმართული“ მატერიალური ძეგლით არის აღნიშნული, ხოლო „ქელი მოვგლიჯე“ გამონათქვამში „ქელი“ სწორედ ამ „აღმართული“ მატერიალური ძეგლის სახელია.

ზემომოტანილი მოწმობიდან ისიც ჩანს, თუ რა სახის იყო ხოლმე ეს „ქელი“. „იასაულს სამჯერ ქელი აუმართავს და ჯვარი დაუსვამს და ვისაც უჭირავს, იმ გლეხკაცს ჯვარი მიღმა გადაუგდია“—ამბობს თომა მეღვინეთხუცეშვილი. ამ მოწმობაში რომ „ქელი“ ჯვარის სახითაა ამართული, ეს თითქო ერეკლეს ოქმიდანაც ჩანს. ამავე მოვლენის შესახებ მეფის ოქმში ნათქვამია, რომ „იასაულმა ქელი ამართა ამ მიწებზედა“ და იმ გლეხს „ის ქელი მოუგლეჯია და გადაუგდია“ და შემდეგ კიდევ: ის გლეხი „ჩვენს ბრძანებას არ დამორჩილდა და ქელი

---

[30] საქ. სიძვ. III, 176.

რომ ამართა იასაულმა, იმან მოგლიჯა და გადააგდო". ასე რომ თომას განცხადებით გლეხკაცს „ჯვარი მიღმა გადაუგდია", ხოლო მეფის ოქმით ამ გლეხკაცს „ის ქელი მოუგლეჯია და გადაუგდია". შეიძლება დავასკვნათ: იასაულს „ქელის ამართვის" ნიშნად „ჯვარი დაუსვამს". ამ დაკვირვებას ამტკიცებს და ერთ ახალს, არსებით გარემოებასაც არკვევს დარეჯან დედოფლის ოქმი, ზემოთ რომ მოვიტანეთ: „...მეთოდი მდივანბეგს მათის უმაღლესობის (ე. ი. ერეკლე მეფის) ოქმი ჰქონია ამილახვარისშვილს ბეჟანზედ: „ასე რომ ვისაც ტრძნისის მამული მიმძლავრებით ეჭიროს, ქელი ამართე და ტრძნელებს მოაბარეო. ბეჟანსაც, ბრძანებისაებრ, მიმძლავრებულს მამულზე ქელი აუმართავს და ტრძნელებისათვის მიუბარებია. შემდგომად ფავლენისშვილს თეიმურაზს ჯვრები დაუგლეჯია, კაცებიც დაულახავს და იმ მამულს თურმე აღარ ანებებს. ეხლა შენ უნდა მიხვიდე და როგორც მათის უმაღლესობის ოქმი აცხადებდეს, ისე, რაც ტრძნისის მამული ფავლენისშვილს მიმძლავრებით ეჭიროს, ახლავ ქელი უნდ› ამართო და ტრძნელებს მოაბარო".

ამრიგად, იასაულმა მეფის ბრძანებისაებრ მამულზე ქელი ამართა და ტრძნელებს მიაბარა. თეიმურაზ ფავლენიშვილმა კი „ჯვრები დაგლიჯა" და ეს „ქელიც", ამიტომ, ხელმეორედ ასამართავი შეიქმნა. აშკარაა, ეს „ქელი" აქაც ჯვარის სახითაა ამართული. მაგრამ ამ საბუთში სხვა რამეც იქცევს ყურადღებას. მეფის ოქმის თანახმად იასაულმა ქელი ამართა იმ მამულზე, რომელიც თეიმურაზ ფავლენიშვილს მიმძლავრებით ეჭირა. თეიმურაზმა კი „ჯვრები" დაგლიჯა. გამოდის, რომ ერთ მამულზე ამართული „ქელი" აქ ერთი „ჯვარით" კი არა, არამედ „ჯვრებით" არის წარმოდგენილი. თუ ეს ასეა, მაშინ შეგვიძლია ვიფიქროთ რომ ეს „ქელის" გამოხატულება „ჯვრები" აქ ხელდადებული მამულის საზღვრებზეა დასმული, რომ ეს „ჯვრები" აქ იგივე საზღვრის „ქვებია". თუ ეს არა, „ჯვრების" ეს სიმრავლე გაუგებარი იქნებოდა.

ამ დაკვირვების სისწორეს მოწმობს თითქო ზემოთ ერთხელ უკვე მოტანილი საბუთი. დავითიშვილები მიწებზე სარჩლობდნენ. ერთერთი დავითიშვილის მომხრე რამინ ამირაჯიბი ეუბნება მეორე დავითიშვილს: „ამ მიწაში არც სულ შენს კაცებს საქმე არა აქვს რა... ამაზე შენ რომ ლაპარაკი დაიწყევ, შანშე მილახვარმა გიჩივლა და პეტრე ავალიშვილი იასაულად მოიყვანა და ქელი აგიმართა და მიაბარა". და სასამართლო განაგრძობს: „პეტრე ავალიშვილს ეკითხეთ და ასე იმოწმა: შანშეს ჩემზე ოქმი აეღოო. მიველ და ქელი აუმართეო. ზაალ და ელიზბარ ორნივ იქ იყვნენო.

შანშე ამბობს, მაჭავარიანისა აქამდინ არისო, სწორეთ იქამდინ ავმართე ჯელიო. არც ზალს და არც ელიზბარს არც ერთს ჯმა არ ამოუღიათო და ამაზე ზურაბ ავალიშვილიც ემოწმებოდა, აქამდინ ამართა ჯელიო. ამისი ზალმა ასე მიუგო: ეს წიგნი, რომელიც ჩემს კაცს ზალ მახვილაძისათვის მიეცა, იქ არა მქონდაო. მასუკან როდესაც ვიპოვნე, მდივანბეგებთან ჩაველ და ამ წიგნის ძალით ეს განაჩენი მომცეს. მოველ ჯელი მოვგლიჯე და ჩემი მამული მევე დავიჭირეო. შანშე მიუგებდა: მაგ შენს წიგნში აღმოსავლეთის მჯრისაკენ, სადაც შენ ამბობ, მაჭავარიანის მიჯნა ეს არისო, იმ მიჯნასა და ამ ქვემოთს მიწის შუა რომ ეს დიდი სასოფლო შარა ძევსო, როგორც სამხრეთის მჯრისკენაც, რატომ შარა არა სწერიაო? მაგრამ შარას ზეითაც და შარას ქვეითაც, სადამდინაც პეტრე ავალიშვილმა ჯელი ამართა, იქამდინ ორივ მაჭავარიანისა არისო".

გამონათქვამი: „საცა ეს შანშე ამბობს, მაჭავარიანისა აქამდინ არისო, სწორეთ იქამდინ ავმართე ჯელიო", ვფიქრობთ, მოწმობს, რომ იასაულმა ჯელი ამართა (და ჯვარიც დასვა) სწორედ იქ, სადაც მას მამულის საზღვარი (თუ საზღვრები) უჩვენეს.

ამ სადაო მამულის შესახებ სასამართლომ გააჩინა: „რადგან ის მიწა დღეს ზალს უჭირავს. თავისი ორი კაცი, ერთი კოკოლაშვილი ბერი და მეორე კვერნიაშვილი ჯაფარა, ეს ორნი შეფიცოს, ასე რომ ხატი აასვენონ კოკოლაშვილმა ბერმა და კვერნიაშვილმა ჯაფარამ და სადამდინაც ეფიცებოდესთ, იმ მიწას შემოუარონ და ასრე თქვან: ამისმა მადლმა და განმაცხოველებელმა ღ[illegible]თმა, რომ ეს მიწა ბატონის ჩვენის ზაალ დავითაშვილის ყმის რამაზიშვილისა არის და ამაში არც მაჭავარიანსა და არც ქვრივიშვილს არც ერთს საქმე არა აქვს. თუ ასე იფიცეს, დარჩება ზაალს და თუ ვერ იფიცეს დარჩება მილახვარ შანშეს".

ამ განაჩენის იასაულად სასამართლომ გიორგი აბაშიძე დანიშნა.

იასაული აბაშიძე სადაო მამულზე მივიდა (ფცას). აქვე მოვიდნენ მოდავეებიც. ზაალის კაცებმა არ დაიფიცეს და სადაო მამული სასამართლოს განჩინების თანახმად შანშე მილახვარს დარჩა. იასაული კი წერს: „მიველ ფცის იმ მამულში და, რაგვარადაც ეს განჩინება აცხადებდა, ისე გავმიჯნეთ და მიჯნები ჩავყარეთ". იასაულ აბაშიძეს ამის მაგივრად შეეძლო ეთქვა: რადგან ზაალის კაცებმა ვერ დაიფიცეს, მამული სასამართლოს განჩინების თანახმად შანშე მილახვარს დარჩა და მე ჯელი აუმართე და მივაბარეო.

ასე რომ, ჩვენ ვფიქრობთ, „ჟელის ამართვა“ ამ შემთხვევაში გასამართლებული მამულის გამიჯვნასა და მიჯნების ჩაყრაში გამოიხატა. ასეთი დაკვირვება თითქო კიდევ უფრო სარწმუნო გამოჩნდება თუ ვიკითხავთ: რად დასჭირდა იასაულს ამ მამულის ხელმეორედ გამიჯვნა,-ის აკი ერთხელ უკვე იყო გამიჯნული და მიჯნებ-ჩაყრილი (გაუმიჯნავი მამულის დაუფლება ე. ი. გაუმიჯნავ მამულზე „ჟელის ამართვა“ შეუძლებელია?). დასჭირდა ეს იმიტომ, რომ ზაალმა „მ ო გ ლ ი ჯ ა“ იასაულ პეტრე ავალიშვილის მიერ სასამართლოს განჩინების თანახმად ამ მამულზე ა მ ა რ თ უ ლ ი ჟ ე ლ ი. ამრიგად, მამული სადაო იყო. სასამართლოს განჩინების თანახმად იასაულმა პეტრე ავალიშვილმა მამულს ჟ ე ლ ი ა მ ა რ თ ა და შ ა ნ შ ე ს მ ი ა ბ ა რ ა. შემდეგ ზაალმა რაღაც საბუთი გამოაჩინა და სასამართლოსავე განაჩენით ის ჟ ე ლ ი მ ო გ ლ ი ჯ ა დ ა მ ა მ უ ლ ი თ ა ვ ი ს თ ვ ი ს დ ა ი ჭ ი რ ა. შანშემ საქმე გაასაჩივრა. სასამართლომ მესამეჯერ განიხილა ის და სადაო მამული ისევ შანშეს დარჩა. განაჩენის აღმასრულებლად სასამართლომ აბაშიძე დანიშნა. იასაულმა, აბაშიძემ შანშეს უფლება აღადგინა ამისათვის ის მივიდა იმ მამულში, ზაალს რომ ეჭირა და „რაგვარადაც განჩინება აცხადებდა“.. ისე „გამიჯნა და მიჯნები ჩაყარა“.

თითქო პირდაპირი ჩვენებაა იმის, რომ მ ა მ უ ლ ზ ე „ჟ ე ლ ი ს ა მ ა რ თ ვ ა“ ამ მ ა მ უ ლ ი ს „გ ა მ ი ჯ ვ ნ ა ს ა“ და „მ ი ჯ ნ ე ბ ი ს ჩ ა ყ რ ა ში“ გამოიხატა, ხოლო „ჟ ე ლ ი ს მ ო გ ლ ე ჯ ა“ ამ ჩ ა ყ რ ი ლ ი მ ი ჯ ნ ე ბ ი ს ა ნ უ ს ა მ ნ ი ს მ ო გ ლ ე ჯ ა ში.

ეხლა ორიოდე სიტყვა ფორმულის შესახებ, „ჟელის ამართვის“ საბუთებში რომ გვხვდება: „ჟელი აუმართე და მოაბარე“ ან „ჟელი ამართე და მოაბარე“.

როგორც ზემოთ დავინახეთ, „ჟელის ამართვა“ ხელისუფლების საქმეა. „ჟელი“ აიმართება ერთის უფლების „დასაყენებლად“ და მეორის უფლების დასადგენად. ამიტომაც „მიბარება“ თუ „მობარება“ (ე. ი. ჩაბარება) თან ახლავს „ჟელის ამართვას“, სულერთია, ამართავს „ჟელს“ ხელისუფალი ვინმე სხვის სასარგებლოდ თუ თავისი თავისათვის. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ პირველ შემთხვევაში „ხელის ამართვისა“ და „მიბარების“ სუბიექტი სხვადასხვა პირია, ხოლო მეორე შემთხვევაში „ჟელსაც ამართავს“ და „მიიბარებს“. ერთი იურიდიული პირი. უკანასკნელ შემთხვევაში „ჟელის ამართვა“ და „მიბარება“ ერთი მეორეს ემთხვევა, ერთ მოქმედებაში (ჟელის ამართვაში) გამოვლინდება და ამიტომაც „ჟელის ამართვის“ ბრძანებას ასეთ შემთხვევებში ა ღ ა რ ა ხ ლ ა ვ ს ბ რ ძ ა ნ ე ბ ა „მ ი ბ ა რ ე ბ ი ს“ შ ე ს ა ხ ებ.

თავადის გასამყრელოში მეფის მიერ აყვანილი ხატის ყმა, მღვდელი ონოფრე, სთხოვს მეფე ერეკლეს: „რადგან თქვენი ულირსი მოწყალება დამემართა, ამ მოწყალებასაც ვითხოვ: ერთი ოქმი მებოძოს ზალ დავითიშვილზედა, თვალყური დაიჭიროს ჩემზედა, უბრალოთ არავინ გამაცოდვილოს, ხ ა ტ ი ს თ ვ ი ნ და თ ქ ვ ე ნ თ ვ ი ს კ ე ლ ი ა მ მ ა რ თ ო ს, რომ თქვენს მეტს კელი აღარავის ჰქონდეს ჩვენთანა“. აქვე ერეკლეს ოქმში ვკითხულობთ: „ონოფრე მღდელი გასამყრელოთ ჩვენ აგვიყვანია თავისი მამულით და ხატის ყმათ როგორც ყოფილა, ჩვენც ისევ ხატის ყმათ დაგვიდვია. ამასთან სხვას ვისმე საბატონყმოთ კელი არავის აქვს. დავითაშვილო ზალ, ამ ოქმით როგორც გვებრძანებინოს, ასრე უნდა ა მ ა რ თ ო კ ე ლ ი ჩ ვ ე ნ თ ვ ი ს და ხატის ყმათ უნდა იყოს“[31].

თეიმურაზ მეფე 1750 წელს უბრძანებს ბეკამის მამასახლისს, „...ეს ბადრიაშვილი ბერი ჩვენი სახასო ყოფილა. კ ე ლ ი ა მ ა რ თ ე. ს ა ხ ა ს ო თ ი ყ ო ს. ჩვენი სახასო არის. ვისაც გაუყიდნია, ავალიშვილმა თავისი თეთრი იმას სთხოვოს“.

ქართლის მმართველი ოსმალობის დროს, ისაყ ფაშა, უბრძანებს როინ ჯავახიშვილს: „...მანდ ნიკოლოზ რომ ატენის ომში მოკლეს, მისი მამულს გარდა რაც მანდ მამული, სახლი, გლეხი გასყიდულა, რატიშვილი რომ იმერეთს არის, ხუთი სახლი და კიდევ მისი ძმა რომ ვახტანგს გაჰყოლია, ოთხი სახლი და კიდევ ამირბარს უყიდია ხუთი კვანბლი კაცი, ერთიც შენი ძმას რომ გაუყიდია,—ეს ხუთმეტი კონბლი კაცისათვინ ჩ ვ ე ნ თ ვ ი ნ ს კ ე ლ ი ა უ მ ა რ თ ე და ხარჯში და სალიანში, როგორც უწინვე ყოფილა, ეგრევე საჯავახიანთ მამულში გაურიე. შენ გებარებოდეს და მათი ახლანდელი ბატონები, თეთრი ვისთვინაც მოუციათ, იმასვე გამაართვან“[32]...

სამივე მოწმობაში კ ე ლ ი ს ა მ ა რ თ ვ ი ს ა და მ ო ბ ა რ ე ბ ი ს ი უ რ ი დ ი უ ლ ი ს უ ბ ი ე ქ ტ ი ე რ თ ი და ი გ ი ვ ე პ ი რ ი ა: კელი აიმართება (ე. ი. უფლება, განცხადება) ხელისუფლის სასარგებლოდ ამავე ხელისუფლის (ან მის მიერ დანიშნული პირის, იასაულის) მიერ.

ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს, როცა ხელისუფლის როლში კერძო ფეოდალი გამოდის (საერო თუ საეკლესიო): უმკვიდრო ქიტესა გეგელიშვილმა სვეტიცხოვლის ყმის ქობელი ზაალისაგან ვენახი იყიდა იმ პირობით, რომ მისი გარდაცვალების შემდეგ ეს ვენახი ისევ ეკლესიას დაუბრუნდებოდა. კათალიკოზი ანტონ სწერს: „გეგელიშვილი ქიტესა მოკვდა და უმკვიდრო იქნა. რაც ჩვენის ეკ-

---

[31] Hd, 2821.

[32] დოკუმენტები, I, 207.

ლესიისა და ჩვენი მამული ეჭირა, ისევ ჩვენთვისვე ქელი აუმართეთ"[33].

იოანე აბაშიძის ქვრივი კნეინა ანა თავის ურჩ აზნაურს მამისთვალ ყიფიანს შესწყრა. კნეინა სთხოვს თავის მაზლს ურჩი აზნაურის აკლებას: „...რომელიც მოგახსენო, თქვენ ასე შემწე ბრძანდებოდეთ და სასამართლოში ვინც მოდავე იქნება, მე პასუხს მივსცემ: რაც ყმა ჰყავს, სულ ქელი აუმართეთ, თუ ან ხარი, ძროხა ან გარეშე საქონელი ცხენი თუ რაცა ჰყავს, ისინიც წაართვით და რაცა თავის სახლში საქონელი ნივთი აქვს, იმას ხელს ნუ შეუხებთ და ცოლშვილი გაურეკეთ, სადაც უნდა წავიდეს, ჩემს მამულში ნუღარ დააყენებთ".

სამაგიეროდ იმ შემთხვევაში, როცა ქელის ამართვისა და მიბარების იურიდიული სუბიექტი სხვადასხვა პირია ქელის ამართვა და მიბარება მკაფიოდ განსხვავებული ორი იურიდიული აქტის სახითაა ნაგულისხმევი.

მეფე ერეკლე უბრძანებს ციციშვილს: „ამილახორს რადგან სამართლით ცხრამუხა სოფელი დარჩა, მიდი და ქელი აუმართე და რაგვარადაც განაჩენი აცხადებდეს, იმგვარად მოაბარე"[34].

თეიმურაზ მეფის მეუღლე დედოფალი თამარ მიუწერს იასე ეშიკაღასბაშს (ანდრონიკაშვილს): „...მერმე, შენც მოიკითხე და მართალი შეიტყე, შეცდომით არ მოგვიდეს, ჯავახის წილზედ ქელი ამართე და კიდეც მიიბარე და ბეჟანისშვილის წილს მამულთან ქელი ნუ გაქვს და არც გვიბრძანებია"[35].

იესე მაჩაბელს და მის ძმებს დავითიშვილი დავითისაგან გლეხი რაზმიაშვილი ნასყიდი ჰყავდათ. ერეკლე მეფემ იესე მაჩაბელი და მისი ძმები ღალატისათვის დასაჯა. მათი ქონება, სამაჩაბლოს ნაწილი, სახასო შეიქნა. დავით დავითიშვილმა მეფეს გასყიდული გლეხი წყალობად სთხოვა. ერეკლემ გლეხი თავისი მამულით დავითს უბოძა. მეფე სწერს:... „მაჩაბლებს ნასყიდობის სიგელი რომ აქვს დავითისაგან მიცემული, ამ წიგნმან გააბათილოს ის სიგელი. იასაულო ავთანდილ ხერხეულიძე! ეს კაცი ამას მოაბარე, ქელი ამართე"[36].

ამ საბუთებში „ქელის ამართვა" სრულიად ცალკე აქტია და მისი კავშირი ამა თუ იმ პირისათვის მიბარებასთან შემთხვევითია: ხელისუფლება ქელს ამართავს მამულზე (თუ რაგინდა რაზე) და

---

[33] საქ. სიძვ. III, 7—8.
[34] Hd, 9721.
[35] საქ. სიძვ. III, 444.
[36] საქ. სიძვ. II, 488.

მხოლოდ ამის შემდეგ „მიაბარებს“ ამ ჯელამართულ მამულს (თუ რაგინდარას) ამა თუ იმ პირს.

მიბარების და ჯელის ამართვის აქტების სხვადასხვაობისათვის ქვემო მოტანილი საბუთი განსაკუთრებით საინტერესოა:

ელიზბარ დავითიშვილი არზას მიართმევს მდივანბეგს:... „რუ-ისს ჯიგრიაშვილს დათუნას ჩემი ყმის კუპრიაშვილის ნავენახარი უპირამს. ვითხომ, არ მანებებს. ღმერთი გაგიმარჯვებს, ერთი იასაულის წყალობა მიყაკით, რომ ჩემი მამული დ ა მ ა ნ ე ბ ო ს. თუ სიტყვა აქვს რა, მოგახსენოს. აგვისტოს იგ. ქკს უზ“.

აშიაზე მიწერილია მდივანბეგების ოქმი: „ქ. მდივანბეგები მოგახსენებთ, ყორიასაულბაშო ზაზავ, ამ არზის პატრონს ერთი იასაული მამადა გაატანეთ. თუ სიტყვა არა ჰქონდეს, თ ა ვ ი ს ი მ ი ა-ბ ა რ ე ო ს. თუ სიტყვა ჰქონდეს, სამართალში მოიყვანოს. მარიამობის იდ“ (მდივანბეგთა ბეჭდები).

ჩანს, საქმე სასამართლოდ გამხდარა: ამ საბუთის მეორე გვერდზე მოთავსებულია მდივანბეგების ოქმი. „ქ. დავითისშვილი და ბეჟუასშვილი სამართალში ვალაპარაკეთ. ნავენახობი დავითისშვილის ყმის ნასყიდი ყოფილიყო და სამართლით დავითისშვილს ელიზბარს დარჩა. ბეჟუასშვილს ჯელი არა აქვს, თუმცა ძველად იმისი ყოფილა, მაგრამ მამას იმისას გაუყიდია. იასაულო ზაზავ, ჯ ე ლ ი ა უ მ ა რ-თ ე, დავითისშვილს ელიზბარს მ ი ა ბ ა რ ე აგვისტოს იზ, ქკს უ“ (მდივანბეგთა ბეჭდები)[37].

მდივანბეგები საქმის მოგვარებას, როგორც ამას პროცესის წესები ითხოვდა, ჯერ მის სამართალში გაუვლელად ცდილობდნენ. სასამართლო ვარაუდობს, რომ მოადს, შესაძლებელია, „სიტყვა არა ჰქონდეს“, ე. ი. სადაო მამულზე მოჩივარის უფლებას აღიარებდეს. ამიტომ სასამართლო უბრძანებს იასაულს, რომ „თუ (მოადს) სიტყვა არა ჰქონდეს (იასაულმა მოჩივარს) თავისი (მამული) მოაბარ-ვოს“. ასე რომ სასამართლო იასაულს მ ი ბ ა რ ე ბ ა ს უ ბ რ ძ ა-ნ ე ბ ს, ხ ო ლ ო ხ ე ლ ი ს ა მ ა რ თ ვ ა ს კ ი ა რ ა. და ეს გასაგებია თითქო: თუ მოადს „სიტყვა არ ექნებოდა“ ე. ი. თუ მამულს მოჩივარის საკუთრებად სცნობდა, აღარც ჯელი იყო ასამართავი და, რადგან მამული მოადს ეჭირა, მისი მ ი ბ ა რ ე ბ ა-ლა იყო საჭირო. და სასამართლოც იასაულს მ ხ ო ლ ო დ მ ი ბ ა რ ე ბ-ას უბრძანებდა.

მაგრამ მოადს „სიტყვა ჰქონდა“ ე. ი. მოჩივარის უფლებას ამ მამულზე უარჰყოფდა. საქმემ სამართალში გაიარა. სასამართლომ მოჩივრის უფლება სცნო და მოადის „სიტყვა“ არ შეიწყნარა. ამ გან-

---

[37] საქ. სიძვ. II, 486.

ჩინების შესაბამისად სასამართლოს აღმასრულებელს (იასაულს) მოჩივარის უფლება უნდა აღედგინა, ე. ი. მამულზე უნდა „ქ ე ლ ი ა ე მ ა რ თ ა“ და ის მოჩივრისათვის მ ი ე ბ ა რ ე ბ ი ა. და ბრძანებაც ასეთი გაუციათ მდივანბეგებს ქელის ა მ ა რ თ ვ ი ს ა და მ ი ბ ა რ ე ბ ი ს შესახებ.

განხილულ საბუთში ისიც საყურადღებოა, რომ აქ მიბარების გვერდით და მის ნაცვლად ტერმინი „დანებება“ იხმარება. მოჩივანი წერს არზაში: „ღ´თი გაგიმარჯვებს, ერთი იასაულის წყალობა მიყავით, რომ ჩემი მამული დ ა მ ა ნ ე ბ ო ს“. ამის საპასუხოდ მდივანბეგები კი იასაულს უბრძანებენ, რომ მან ეს მამული მოჩივარს „მ ი ა ბ ა რ ვ ო ს“.

„მიბარების“ ნაცვლად „დანებება“ ტერმინი ჩვენ სხვაგანაც გვხვდება. ზემოთ ერთხელ უკვე მოტანილ საბუთში ერეკლე მეფე უბრძანებს იასაულს: „რომელიც ბეითალმანი მიწა ამ თომასთვის გვებოძებინოს და ამ თომამ გიჩვენოს, იმაზედაც ქ ე ლ ი ა მ ა რ თ ე და ა მ ა თ ო მ ა ს დ ა ა ნ ე ბ ე“[38].

კიდევ უფრო საინტერესოა შემდეგი საბუთი. 1724 წ. ბოლნისი. საიბეგაშვილებს და პუპლიაშვილებს ბიძინას ყმის, აბოვაშვილის, ტყე გაეყენებიათ (sic). ქელისუფალს („ბატონს“) სოფლის მოხელეებისათვის სამართლის ქმნა უბრძანებია. მოსამართლენი ადგილზე წავიდნენ. მომჩივანი მოადიც იქ წაიყვანეს. საქმე «გამიჯნეს“. ერთ ერთმა მოადმა მომჩივანის სიმართლე აღიარა. საიბეგაშვილმა საიბეგამ „ისულა“ (ე. ი. სულზე შეიგდო) და „ასრე თქო, რომე მამაპაპითგან ასრე გამიგონია, რომ ეს აბოვაშვილისა არისო“ და მოსამართლეებს უთხრა: „საიდკენაც მე წავიდე, თქვენ დ ა ს ა მ ძ ღ უ რ ე თ“ და სასამართლო ამბობს: „იმისის სიტყვით, საიდანაც საიბეგას უთქომს, მ ო ვ ჭ ე რ ი თ და აბოვაშვილს დ ა ვ ა ნ ე ბ ე თ“. ისე როგორც ზემოთ ერეკლეს ბრძანებაში („ქელის ამართვა“ და „დანებება“). აქაც ორი აქტი სრულიად გარკვევითა ჩანს („დასამძღურა“, „მოჭრა“ და „დანებება“). განსხვავება, ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებო, ისაა, რომ ქელის ამართვის ნაცვლად (და მის შესატყვისად) უკანასკნელ საბუთში „დასამძღურა-მოჭრა“ ტერმინია ნახმარი.

კიდევ ერთი საბუთი. სოლომონ იმერეთის მეფეს მიქელაძეებისთვის ჭყვიშურში ტყე ებოძებინა. მეფის სახლთუხუცესი წერს: „პირველათ მიქელაძეებს რომ ბატონმა ჭყვიშურშიდ ტყე უბოძა, მე, სახლთუხუცესი წერეთელი ზურაბ, ვიყავ ჩ ა მ ბ ა რ ე ბ ე ლ ი და იმ ტყის მცველები თან მახლდნენ და მე დ ა ვ თ ა რ ჯ ე. ჩ ა ვ ა ბ ა-

---

[38] Qd, 385,

რე და მივეცი მიქელაძეებს, როგორც ახალს დავთარშიდ უწერიათ"[39]...

ასე რომ თითქო უფრო გაირკვა: მამულზე „ქელის ამართვა" მის დასამძღურაში („დათარჯვაში", „თარჯის კვრაში") ჩანდა, „მიბარება", „ჩაბარება" კი იყო „დანებება" ე. ი. მამულის გადაცემა იმის უფლებაში, ვის სასარგებლოდაც საქმე გადაწყვეტილიყო.

ქელის ამართვა რომ მიბარებისაგან განსხვავებული ცალკე აქტია, ეს ყველაზე კარგად იმ საბუთებიდან ჩანს, როცა ქელს აუმართავენ იმათ, ვისი უფლებაც სურთ „დააყენონ", ხოლო მიბარება კი ამავე დროს მოპირდაპირე მხარის სასარგებლოდ ხდება.

ზაალ და სხვა დავითიშვილები მთელ სადავითიშვილოს იჩემებდნენ და შანშე რამაზიშვილს წილს არ უდებდნენ: ჩვენი სახლისკაცები არ არიანო. სამართალმა ზაალის სიტყვა უსაფუძვლოდ სცნო და შანშეს უფლება სადავითიშვილოს ნაწილზე აღიარა. სასამართლოს ოქმში ვკითხულობთ: ნაიბ ეშიკაღასბაშო შანშე და აბაშიძე გიორგი ! სადავითიშვილოს მამულის მეოთხედზე ზაალსა და სხვათ ქელი აუმართეთ და შანშე მილახვარს და იმის შვილს როსტომს და სოლომონს მოაბარეთ[40].

გოგია თუმანიშვილი არზით სთხოვს ვახტანგ ბატონიშვილს:... „ამას გევედრებით, რომ ერთი ოქმი დაიასაული გვიბოძოთ, რომ რაც ამ ჩემს განაყოფს კაციას ჩემთვის მიწებ წაერთმიოს, ქელი აუმართოს და ჩემი მიწები... მე მომაბაროს"[41].

მანუჩარ მდივანმა თავის ბიძაშვილს ნიკოლოზს სასახლიკაცო მამულის გაყიდვა მეფესთან უჩივლა. მეფემ ეს ნასყიდობა უკანონოდ იცნო.

ნიკოლოზი ამ სადაო საქმის სასამართლოში გარჩევასა სთხოვს მეფეს, და ურთავს: „როდესაც სამართალში მიბძანოთ, თუ არ გიახლო, ქელიც ამიმართეთ და იმას უბოძეთ"[42].

ამის შემდეგ თითქო სადაოც აღარ უნდა იყოს, რომ „ქელის ამართვა" და „მიბარება" ორი სხვადასხვა იურიდიული აქტი იყო.

დაუბრუნდეთ ისევ „ქელის ამართვის" საკითხს.

---

[39] დას. საქ. საეკ. სბ. II, 160—161.

[40] საქ. სიძვ. III, 181.

[41] საქ. სიძვ. III, 525.

[42] საქ. სიძვ. III, 528—529.

„ქელის ამართვის“ დოკუმენტები მე-18 საუკუნის უფრო ადრინდელი არ მოგვეპოვება. ყველაზედ უძველესი ცნობის შემცველი წყარო ეს ვახტანგის სამარეთლის წიგნია, ჩვენ რომ ზემორე დავიმოწმეთ (მუხლი სო). მაგრამ, უეჭველია, ეს შემთხვევითი მოვლენაა და „ქელის ამართვა“ ძველი დროიდან მოდის.

ჩვენ ზემოთ შევნიშნეთ და ვეცადეთ დაგვემტკიცებია, რომ გარკვეულ შემთხვევებში „ქ ე ლ ი ს ა მ ა რ თ ვ ა“ მ ა მ უ ლ ი ს მ ი ჯ ნ ე ბ ი ს დ ა დ გ ე ნ ა ში გ ა მ ო ი ხ ა ტ ე ბ ო დ ა. ამ მიმართულებით განსაკუთრებით საინტერესოა ორი ცნობა დასავლეთ საქართველოდან. „ქუთაისის საყდრის გამოსავალი ბეგრის“ 1578 წლის დავთარში ვკითხულობთ: „ჯიმასტაროს წყაროს აქათ დიდი მუხა რომე დგას, ბ ა ტ ო ნ ი ს ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ს დ ა ბ ა გ რ ა ტ ი ს ქ ე ლ ი ც ა ა ზ ი ს დ ა თ ა რ ჯ ი ც ა ჲ; იმ წყაროს აქეთ საჯიმანშტარო არ არის, საქუთათლო არის“[43]. აქ მოხსენებული ალექსანდრე (1484—1510) და ბაგრატ (1510—1564) იმერეთის მეფეებია, მამა-შვილი. ცნობის ჩამწერს სურს სთქვას, რომ საქუთათლო მამულები ალექსანდრე და ბაგრატ მეფეებმა შემოსაზღვრეს. ამისთვის მეფეებს დიდ მუხაზე, რომელიც მათ სასაზღვრო მიჯნად გამოუყენებიათ, „თ ა რ ჯ ი ც უ კ რ ა ვ თ“ დ ა „ ქ ე ლ ი ც დ ა ე უ ს ვ ა მ თ“.

მეფე სოლომონ II წერს ბიჭვინტის ღ ̄თის მშობლისათვის მიცემულ წიგნში: „ხოლო აწ განვიხილე ბიძისა ჩემისა, მეფე სოლომონის დავთარი, რომელიც შენთვის შემოეწირა საჭილაოს, რიონის გაღმა, ორწყალს შუა მიწა და ტყე და მამული. მას დავთარსა ჩვენც ვამტკიცებთ და განვაახლებთ და პ ი რ ვ ე ლ ს ძ ვ ე ლ ს თ ა რ ჯ ე ბ ზ ე ჩ ვ ე ნ ი თ ა რ ჯ ი ც დ ა ვ ს ძ ი ნ ე თ დ ა ქ ე ლ ი ც დ ა ვ ა ს ვ ი თ. და რომელიც ამ ძველსა და ახალ თარჯს შუა ან მამულია, ან ადგილი, ან ტყე, ის ბიჭვინტისა ღ ̄თის მშობლისათვის დავსდევით და დავამტკიცეთ“[44].

მეფე სოლომონ I ბიჭვინტას „მიწა ტყე და მამული“ შესწირა. თავისი შეწირული მეფემ თარჯებით შემოსაზღვრა და ეკლესიას ამ შეწირულობის „დავთარი“ მიართვა. მეფე სოლომონ II ჯერ ეს შეწირულობა ეკლესიას გამოსწირა და ის მიქელაძეს უწყალობა, ხოლო შემდეგ ეკლესიასვე დაუბრუნა. და რომ მეფეს ამ მამულზე „ქელი აემართა“ და ბიჭვინტის ღ ̄თის მშობლისათვის „მოებარებია“, მან ეკლესიას არა მარტო ძველი დავთარი განუახლა, არამედ მამულის საზღვრის ნიშნებიც: ძველს თარჯებზე ახალი თარჯიც „დასძინა“ და „ ქ ე ლ ი ც დ ა ს ვ ა“.

---

[43] ძვ. საქ. IV, 5.

[44] დას. საქ. საეკ. საბ. II, 114.

მოტანილი ორი მოწმობა, ვფიქრობთ, ამაგრებს იმ მოსაზრებას, რომ მამულზე „ჯელის ამართვა“ ამ მამულის გამიჯვნაში გამოიხატებოდა. ზემოთ ჩვენ დავინახეთ, რომ მამულის გამიჯვნისას მასზე მატერიალურ „ჯელს“ ამართავდნენ (ჯვარს დასვამდნენ); ეხლახან მოტანილ ორი ცნობიდან ვხედავთ, რომ მამულის მიჯნებად ჯელს არა მარტო მიწაზე „ამართავდნენ“, არამედ, სადაც ეს მოსახერხებელი იყო, ხეზედაც „დაასვამდნენ“ აგრეთვე. ამასთანავე ამ საბუთებით, ისიც დასტურდება, რომ ჯელის ამართვა თუ დასმა უზენაესის ხელისუფლების საქმეა.

ჩვენ უკვე ვუჩვენეთ, რომ მამულის საზღვრის მატერიალურ ნიშანს ზოგჯერ „ჯელი“ ეწოდებოდა (და ამ ჯელს ჯვარის სახე ჰქონდა). ზემომოტანილი ორი საბუთი ამ დაკვირვებასაც ადასტურებს. სწორედ საზღვრის ნიშნად „ჯელს დაასვამს“ მეფე დათარჯულ ხეებს. რა სახისა იყო მეფის ეს „ჯელი“ ჩვენ არ ვიცით, მაგრამ „სამიჯნო ხეებს რომ „ჯვარს შეაჭრიდნენ“[45], ეს ჩვეულებრივი იყო. ამ ჩვეულების მოწმობა შეიძლება იყოს ჩვენში არა ერთ ადგილას აღნიშნული „ჯვარიანი ხე“ („ჯვარიანი მუხა“, „ჯვარიანი ცაცხვი“, ჯვარიანი წიფელი“). კერძოდ, ჩვენ სოფელში, გოგოლეისუბანში „ჯვარიანი წიფელი“, რომელზედაც მართლაც ჯვარი იყო ამოჭრილი, სასოფლო ტყეს სახელმწიფოსაგან ჰყოფდა. ასევე ბოსლევში „ჯვარიანი მუხა“ საიაშვილო ადგილ-მამულის საზღვრის ერთერთი ნიშანთაგანი იყო[46]. შესაძლებელია კიდევ უფრო საინტერესო იყოს „ჯელფეხიანი მუხა“ ინტაბუეთს, გურიაში. შეიძლება ამ ბებერ მუხაზე— ის არა ერთი ასეული წლის უნდა ყოფილიყო—მართლაც იყო ოდესმე ჯვარცმა-ინტაბუეთის საზღვრის ნიშნად „ჯელი დასმული“ და შემდეგ, როდესაც ამ ჯელის რეალური მნიშვნელობა აღარ ესმოდათ „ჯელიანი მუხა“ „ჯელფეხიანად“ იქცა და ლეგენდაც შეითხზა, თითქო იმ მუხაზე ადამიანის ხელფეხი ეკიდა?...).

„ჯელთან“ „დაკავშირებით საინტერესოა ძველ ქართულ სამამულო ურთიერთობის იურიდიულ საბუთებში ჩვეულებრივი გამოთქმა „სამართლიანი სამძღუარი“. თითოეულ მამულს ჰქონდა თავისი „ს ა მ ა რ თ ლ ი ა ნ ი ს ა მ ძ ღ უ ა რ ი“. „სამართლიანი სამძღუარი“ (თუ სამძღუარები) აღნიშნავდა, რომ მამული ამ საზღვრებს შიგნით „ჯელდადებული“ იყო „ჯელდადებულ მამულს“ სასამზღვრო ნიშნად „მიჯნებზე სამნები უსხდა“[47]. სამართლიან საზღვარს ხელისუფლება იცავდა. საზღვრის „მოშლისას“ ან საზღვრის „გატეხისას“

---

[45] ალი დავითიანის ცნობა მიჯნის გარშემო სვანეთში.

[46] დას. საქ. საეკ. საბ. II, 113.

[47] დოკუმენტები, I, 109.

(sic! დოკუმენტები, 88), სასაზღვრო ნიშნის („ქვის“, „სამნის“) „მოგლეჯისას“, „მოსამართლე“ (მეფე, მთავარი, თავადი, ხევი, თემი) აღადგენდა „სამართლიან სამძღუარს“, რისთვისაც მოგლეჯილ სასაზღვრო ნიშანს („სამანს“, „ქვას“) ისევ „ჩასვამდა“[48] ან „ამართავდა“[49]. „ს ა მ ა რ თ ლ ი ა ნ ი ს ა მ ძ ღ უ ა რ ი“, ა მ რ ი გ ა დ, ი ყ ო მ ა მ უ ლ ი ს მ ფ ლ ო ბ ე ლ ო ბ ი ს ნ ი შ ა ნ ი, ხ ე ლ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს მ ი ე რ უ ზ რ უ ნ ვ ე ლ ყ ო ფ ი ლ ი, ე. ი. „ჰ ე ლ ი“.

ამასვე, ვფიქრობთ, მოწმობს სამანზე დაფიცების ქართული საამართლის წესი. მოვიტანთ ერთ საბუთს. მეფე სოლომონ II წერს განჩინების წიგნში: „ქ. ყ ̄დ უსამღვდელოესმან ქუთათელ მიტროპოლიტმან, განმგებელმან საკათალიკოზოთა მამულთამან, დოსითეოს სამართალში მოიტანა დავთარი, ბიჭვინტის ღ ̄თისმშობლისა შეწირულნი მეფეთაგან, რომელშიაც აცხადებდა შეწირულობასა ორწყალშუა ტყითა და მამულითაო და დავთრითა მით ედავებოდა ორწყალშუა მამულსა და ალაგს მიქელაძეებს. მიქელაძეებმა აშორო უთხრეს ასე რომ: რომელიც თქვენ დავთარში ორწყალშუა შეწირულობა გიწერიათო, არც ის ორწყალშუა მამული ეს იყოსა, არც შეწირული იყოს ღ ̄თის მშობლისა და არც ს ა მ ა რ თ ლ ი ა თ თქვენ საქმე გქონდესთო, ამისი სამართალი ასე განვაჩინეთ. მ ი ვ ი დ ნ ე ნ ა მ ზ ე მ ო ხ ს ე ნ ე ბ უ ლ ი ს მ ა მ უ ლ ი ს ს ა მ ა ნ ზ ე მიქელაძე დავით, შაქარაშვილი ზურაბიშვილი დავით და მიქელაძე მერაბ და ასე უფიცონ: „რომელიც შეწირულობის დავთარში ორწყალშუა ტყე და მამული გიწერიათ, ბატონო ქუთათელო, ეს ადგილი არც ის ორწყალშუა ადგილი იყოს და არცა რა საქმე გქონდეს. თუ ესე დაიფიცეს, დარჩებათ მიქელაძეებს, და თუ ვერ დაიფიცეს, დარჩება ბიჭვინტისა ღ ̄თის მშობლის ეკლესიას, როგორც დავთარში უწერია. ოკდომბრის, ია. ქკს უჟბ“[50].

ამ საბუთში საყურადღებო ისაა, რომ მოფიცარნი უნდა სადაო მამულის, „ს ა მ ა ნ ზ ე“ მოვიდნენ და იქ დაიფიცონ. და ეს იმიტომ, ვფიქრობთ, რომ „ამ მ ა მ უ ლ ი ს კ უ თ ვ ნ ი ლ ე ბ ი ს ე რ თ ა დ ე რ თ ი „ს ა მ ა რ თ ლ ი ა ნ ი“ ნ ი შ ა ნ ი ე ს ს ა მ ა ნ ი ა (სულ ერთია, „სამანი“ აქ რა მნიშვნელობითაა ნახმარი: საზღვრის თუ სასაზღვრო ნიშნის). ამ მამულს რომ კუთვნილების სხვა რაიმე ნიშანი ჰქონოდა, ე. ი. „ჰელი“ (=„ჯვარი“) სხვაგან ყოფილიყო დასმული, სამნისაგან კიდე, მოფიცარნი, უეჭველია, ასეთ „ჰელზე“ (=„ჯვარზე“) მივიდოდნენ და იქ დაიფიცებდნენ.

---

48 დასტურლამალი, 37.

49 იქვე, 39.

50 დას. საქ. საეკ. სა-ბი II, 145—146.

მამულის სასაზღვრო ნიშნისა („სამანი“, „ქვაᲘ“...) და „ჟელის“ იგივეობაზე მიუთითებდეს, შესაძლებელია, ვახტანგ მეფის სამართლის სმბ მუხლი: „ქ. სამნის მოგლეჯისათვის. როგორის საქმითაც მჯდარიყოს, დიდი იყოს თუ მცირე, თავის ჟელის სისხლის ფასი ჯურუმი გარდიჯადოს. ამისთვის რომ სამნის მომგლეჯელი ჟელმოსაჭრელი არის“.

კანონმდებელი ცდილობს ახსნას ეს, როგორც ჩანს, მისი თანამედროვეებისათვის გაუგებარი სასჯელი. ვახტანგის კომენტარი განსაკუთრებით საინტერესოა. უეჭველია სჯულმდებელ მეფეს კანონის ეს მუხლი პირველად არ შემოუღია. მას იგი ძველი ქართული სამართლის პრაქტიკიდან უნდა ჰქონდეს შემოტანილი. მაგრამ რატომ არის „სამნის მომგლეჯელი ჟელმოსაჭრელი“, და არა, ვთქვათ, ფეხმოსაჭრელი? აქ ბუნებრივად ჩნდება კითხვები: ხომ არ იცოდა ვახტანგმა სამართლის ამ მუხლის შესახებ უფრო მეტი, ვიდრე მან სთქვა, საიდან მოდის ეს სამართალი? ამ საკითხს ჩვენ აგრე შორს ვერ გავუყვებით და მხოლოდ ერთი მოსაზრების მოტანით დავკმაყოფილდებით. სამნის მოგლეჯისათვის ასეთი სასჯელი ბუნებრივი გამოჩნდება, თუ „სამნის“ ადგილზე და მის ნაცვლად „ჟელს“ წარმოვიდგენთ. უნდა წარმოვიდგინოთ ის ვითარებაც, როცა მამულის მფლობელობის ნიშნად ამართულ „ჟელში“ ადამიანის ამ ასოს განსახიერებას ხედავდნენ. ასეთი ჟელის მოგლეჯისათვის საკუთარი ხელით პასუხისგება ადვილად გასაგებია... „თუალი თუალისა წილ, ჟელი ჟელისა წილ, კბილი კბილისა წილ, ფერჯი ფერჯისა წილ“[51]...

ამრიგად, მოტანილი საბუთები თითქო თანხმობით და უეჭველად მოწმობენ, რომ მამულზე „ჟელის ამართვა“ ამ მამულის გამიჯვნაში ე. ი. „სამართლიანი საზღვრის“ დადგენაში და მატერიალური სასაზღვრო ნიშნების შექმნაში („საზღვრის“, „სამანის“, „ქვის“, „ჩაყრა“-„ჩასმა“-„ამართვაში“, „ჯვარის დასმაში“, „თარჯის კვრასა და ჟელის დასმაში“ თუ „ჯვარის შეჭრაში“...) გამოიხატებოდა, რომ მამულზე ამართული „ჟელი“ მატერიალურად იგივე საზღვრის ნიშანი იყო.

ზემოთ სრულიად უდავოდ გაირკვა, რომ მამულის მფლობელობის ნიშნად მასზე ამართულ „ჟელს“ „ჯვარიც“ ეწოდებოდა[52]. აქედან

---

[51] ბ. მ ო ს ე, კა, კგ.; შდრ. ქართული „მისაგებელი“, ივ. ჯავახიშვილი, ქართ. სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკვეთი II, 505.

[52] ეს გარემოება, ვფიქრობთ, გარკვეული მოსაზრების წამოყენების უფლებას იძლევა ქვაჯვარათა თუ სხვა ჯვრების შესახებ საქართველოში, ჯვარის სიმრავლე ჩვენში ცნობილია: მრავალი მათგანი უკვე აღნუსხულია და სამეცნიერო ლიტერატურაშიც გამოვლინებულია. მაგრამ ასეთი ჯვრების უდიდესი ნაწილი ჯერ კიდევ არ გამხდარა ჩვენი ისტორიული მეცნიერების ყურადღების საგნად. მკვლევართა ყურადღების გარეშე, განსაკუთრებით, საამისო გეოგრაფიული სახელები, დარ-

ჩვენ ასეთი დასკვნაც შესაძლებლად დავინახეთ, რომ მამულზე ამართული „კელი“ ჯვარის სახისა იყო. „ჯვარის შეკრა ხეზე“ და „ჯვარიანი“ ხეები, აგრეთვე, მოწმობენ, რომ თარჯიც იყო ჯვარის სახისა. მაგრამ ნიშნავს ეს გარემოება იმას, რომ ნამულზე ამართული კელი ან ხეზედ ნაკრავი თარჯი ყოველთვის ჯვარის სახისა იყო?

რა თქმა უნდა, არა. მამულების გაყოფა-გამიჯვნის დოკუმენტები თუ სხვა წერილობითი ძეგლები ჩვენ მრავალი მოგვეპოვება. ამ ძეგლებში საზღვრის ნიშნებად დასახელებულია: „ჯუარი ამართული“, „ჯუარი კლდეზე გამოქანდაკებული“, „ჯვარიანი ქვა“, „ჯვარიანი“, „ჯვარი“, სამანი-ქვა, ქვა, ქვაკაცა, ხის სამანი, ხე (მუხა, თელა, იფნი, კურინჩხი:...), მდინარე, ტბა, ღელე, რუ, მთა, ქედი, გორა, ბორცვი, კლდე, ხევი, ციხე, კოშკი, საყდარი, შარა და სხვ... ერთსა და იმავე საბუთში[53] საზღვრის ნიშნად „ჯვარიანი ქვის“ დასახელება „სამანი-ქვისა“ და „ქვის“ გვერდით, იმას უნდა მოწმობდეს, რომ ეს უკანასკნელნი არც ჯვარიანი და არც ჯვარის სახის არიან.

არც თარჯი იყო ყოველთვის ჯვრის სახისა (ამის უცილებელი მოწმობაა ეთნოგრაფიული მასალები).

აქვე ბუნებრივია კითხვა: თუ მამულის საზღვრის ნიშანი იგივე „კელი“ იყო, როგორ მოხდა რომ საზღვრის აღმნიშვნელ ჩვეულებრივ ტერმინად „კელი“ არ იქცა და ასეთ ტერმინებად „სირონი“, „სამანი“, „სამძღუარი“, „ქვა“, „თარჯი“ და სხვ. შერჩა? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მამულის დაუფლებისა და მისი დასაზღვრა-გამიჯვნის ისტორიულ შესწავლას მოითხოვდა. ჩვენ დღეს ეს არ შეგვიძლია და არც გვეკალება: ჩვენი თემისათვის სრულიად საკმაოა ის, რაც დავადგინეთ, რომ მამულზე უფლების აღმნიშვნელ მატერიალურ ნიშანს, რომელსაც ხელისუფლება ამართავდა (თუ „დასვამდა“) „კელი“ ეწოდებოდა, რომ ამ „კელს“ „ჯვარიც“ ერქვა და რომ ეს „ჯვარი“ „ხელდადებული მამულის“ საზღვრის ნიშანიც იყო.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ გამოთქმა „კელი ამართე“ მატერიალური „კელის“ ამართვის („ჯვარის დასმა“) გვერდით იურიდი-

---

ჩენილა. ხსენებულს ლიტერატურაში მოსაზრებაც არის გამოთქმული ამ „ქვაჯვართა“ დანიშნულების შესახებ. (მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის, III, გვ. 62—63, ვ. თოფურია, ქვაჯვარანი საქ-ში). ამ მოსაზრების რამოდენადმე შესწორება ხდება შესაძლებელი: სალოცავი ჯვარი უმრავლეს შემთხვევაში ამავე დროს მიწის (ქვეყნის) საკუთრების ნიშანიც იყო; სხვა მრავალ შემთხვევაში კიდევ „ჯვარი“ თუ „ჯვარიანი ქვა“ ან მარტივად „ჯვარიანი“ საზღვარს აღნიშნავდა მამულებსა, სოფლებსა, კუთხეებსა თუ ქვეყნებს შორის.

53 დასტურლამალი, 36—39.

ულ შინაარსსაც გულისხმობდა („უფლება განაცხადე"). იქვე იყო აღნიშნული, რომ გამოთქმა „ქელი ამართე" იმ შემთხვევაშიაც იხმარებოდა, როცა მატერიალური „ქელის" ამართვა, საფიქრებელია, არ ხდებოდა, არ ხერხდებოდა (მაგალ., „ქელის ამართვა" სოფელზე, სათავადოზე, წისქვილზე, აზნაურზე, გლეხზე). გამოთქმა „ქელის ამართვა" ასეთ შემთხვევებში მხოლოდ იურიდიული შინაარსით იხმარებოდა და უფლების განცხადებას ნიშნავდა. ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ გამოთქმა „ქელი ამართე" ასეთი შემთხვევებისათვის მას შემდეგ იქნა გამოყენებული, რაც ის ტექნიკურ გამოთქმად იქცა. „ქელის ამართვა" თავდაპირველად, საფიქრებელია, იქ შემუშავდა, სადაც ეს აქტი მატერიალურადაც სრულდებოდა, როცა და სადაც „ქელში" მატერიალური ნივთი იგულისხმებოდა, რომელსაც უფლების ნიშნად მართლაც ამართავდნენ ხოლმე. ამის შემდეგ ბუნებრივია დავასკვნათ, რომ „ქელის ამართვის" წესი სამიწო ურთიერთობის ნიადაგზე უნდა შემუშავებულიყოს და რომ მიწის დასაკუთრების ნიშნად ასეთი მატერიალური ნივთის შექმნა („ქელის ამართვა") იმ ძველ ხანაში, როცა მიწისმფლობელობის კერძო საკუთრების ფორმა იმარჯვებდა, ჩვეულებრივი ყოფილა.

როგორ შემუშავდა ქელის ამართვის წესი, როგორ იქცა ის კერძო ხასიათის აქტიდან[54] სახელმწიფო კომპეტენციის აქტად, ეს საკითხები ჩვენს ამოცანას სცილდება. ჩვენთვის საკმაოა აღვნიშნოთ, რომ ქელის ამართვა პოლიტიკური ხელისუფლების კომპეტენციაში მას შემდეგ შევიდა, რაც ეს ხელისუფლება მიწის ინდივიდუალური მფლობელობის დამცველად გამოვიდა. ასე რომ ქელის ამართვის ის წესი, ჩვენ რომ განვიხილავთ, იმავე ჰასაკისაა, რაც მიწის კერძო საკუთრების დამცველი პოლიტიკური ორგანიზაცია (სახელმწიფო). და ამ დროიდან მოკიდებული, ქართული სამართლის ეს წესი უცვლელად მოქმედებდა. გვიანაც ხომ „ქელის ამართვა" მამულის სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადებას არ ნიშნავდა, არამედ ამა თუ იმ იურიდიული პირის უფლების დადგენა-დაცვას. ეს იყო მხოლოდ, რომ კერძო პირის ამ უფლების დადგენა-დაცვა სახელმწიფოს პრეროგატივს შეადგენდა (ეხლა გასაგებია, თუ როგორ, რა შინაარსით იტყოდა ხოლმე კერძო პირი: მე მას ქელი აუმართეო, ან მან იმას ქელი აუმართაო. ეს იმას ნიშნავდა, რომ სახელმწიფოს საშუალებით ამა თუ იმ პირმა მისი მოდავის უფლება „დააყენა", უარყო და თავისი უფლება დაადგინა).

---

[54] ამით ჩვენ შესაწყნარებლად მიგვაჩნია მოსაზრება, რომ თავდაპირველად მიწაზე „ქელის დადება" და ასეთი მფლობელობის ნიშნად „ქელის ამართვა" კერძო აქტი იყო (თემის, ძმობის, სახლის, კერძო პირის).

ეხლა მივმართოთ უფრო ძველი ხანის ძეგლებს წერილობითს თუ მატერიალურს. ჩვენს ყურადღებას ბუნებრივად იპყრობს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დღემდის დაცული არაერთი ქვა, რომელზედაც ადამიანის ხელია გამოქანდაკებული. დღეს ასეთი ქვები ზოგიერთი დასმულია სვეტის სახედ, ზოგიერთი უადგილოდ გდია მიწაზე (ჩხიკვთას, თბილის-თეთრი წყაროს გზაზე), ზოგიერთი დატანებულია ეკლესიის საშენ მასალად (დიღმის წმ. გიორგის ეკლესია, ზემო სკრის ღ-თის-მშობლის ეკლესია), ზოგიერთი კიდევ გამოყენებულია საფლავის ლოდად[55].

როგორც ამ ძეგლების ფორმიდან ჩანს, ზოგი მათგანი თავდაპირველად „დასმული" (ან „ამართული") უნდა ყოფილიყო მიწაზე.

ზოგიერთ ამ ქვაზე ადამიანის ხელის მეტი არაფერია, ზოგიერთი კი ამას გარდა შემკულია ჯვრით, რომელიც, ჩვეულებრივ, ხელის ზემოთ არის მოთავსებული; ოთხ მათგანს ხელს გარდა ის სიმბოლური ნიშანიც ამკობს, რომელიც თამარ მეფისა და დავითის სახელით მოკრილ ფულზე მოიპოვება. ამ ქვებიდან ზოგიერთი წარწერიანია, ზოგიერთი უწარწერო. ასე რომ ამ ქვების საერთო (და უმთავრესი) ნიშანი არის ხელის გამოსახულება. დანარჩენი ნიშნები: ჯვარი, წარწერა თუ სხვ. მეორე ხარისხოვანია: ისინი შეიძლება იყვნენ, შეიძლება არა.

წარწერებით ეს ძეგლები, სამწუხაროდ, ღარიბია. ერთ მათგანზე ამოკრილია ასომთავრული Ղ (გიორგი), მეორეზე კი, ხელის გამოსახულების ზემოდან და მის მარჯვნივ, ამოკრილია ათი ასო, თითქო მხედრულით. ამ წარწერის ამოხსნა ჩვენ ვერ მოვახერხეთ. ჩვენდა სანუგეშოდ ერთ მათგანზე ძვირფასი შინაარსის წარწერა მოიპოვება[56]. შინაარსის მიხედვით ეს წარწერა, და მაშ თვით ძეგლიც, ზედმიწევნით თარიღდება. ხსენებული ქვა საგანგებოდაა დამზადებული. სუფთად გათლილ ქვის ფიქალზე მოცემულია ორი თაღისებური ჩარჩო, მცირე და დიდი. პირველი მათგანი მეორეშია მოთავსებული. მცირე ჩარჩოს შიგნით გამოქანდაკებულია ხელი (მაჯით), რომლის

---

55 ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, და გ. ჩ ი ტ ა ი ა, ქართული ხალხური ორნამენტი, ხევსურული, გვ. 20.

56 ცნობა ამ უკანასკნელი ძეგლის შესახებ პირველად პროფ. ლეონ მელიქ-სეთ-ბეგმა გამოაქვეყნა. 1936 წელს ეს ძეგლი ამხ. გ. ჩიტაიამ ჩამოიტანა და საქ. მუზეუმში მოათავსა. ძეგლი აღმოჩენილია თრიალეთში სოფელ წალკაში (გუნიაყალა). ვ. ბარდაველიძემ და გ. ჩიტაიამ ამ ძეგლის ფოტოსურათი და წარწერა გამოაქვეყნეს (op. cit. 19—20). წარწერა პ. ინგოროყვას წაუკითხავს. განსვ. ლ. მუსხელიშვილმა წარწერა შეამოწმა და მის შინაარსსაც ნაწილობრივ შეეხო. (იხ. ლ. მუსხელიშვილი: „თორელთა გენეალოგიის გარკვევის ცდა ჰამამლუს XII ს-ის წარწერებთან დაკავშირებით". საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, X, 36).

ქვეშ ამოკვეთილია თამარ მეფისა და დავითის ფულზე მოცემული სიმბოლური ნიშანი. მეორე ჩარჩოში მოთავსებულია თითქო მზისა და მთვარის გამოსახულება. მზე—ამობურცული წრე მრავალი ქიმით, მთვარე—ამოკვეთილი წრე-ხაზი, აქვე გვერდებზე ასომთავრული წარწერა ორ სვეტად. ჯვარი ამ ძეგლზე არ მოიპოვება. წარწერა იკითხება: „სახელითა(ა) ღმრთისაჲ(თა), ბრძანებითა (ღმრ)თის სწორთ თამარის და გიორგისითა(ა), ჭყონდიდელის, ზაქარია, შალვ(ა), ოსიყმ(ა) ვაჩესითა[57], ჯულაბაჲს მოჭირვებჲთა, სანობაჲს ძისა ინაჲსა ჭელით (ა) დაჲსვა ჭელი ესე ღმრთის სწორთა მეფეთმეფის(ა) გიორგჲსი“.

როგორც ვხედავთ, ამ ძეგლს ლოცვასა და სხვა ასეთთან არავითარი კავშირი არ აქვს. ის არც „ჯვარია“,—როგორც აღვნიშნეთ, ამ ქვაზე ჯვარის გამოსახულება სულ არაა,—არც „მატურია“ და არც „ლოდი“, მას „ჭ ე ლ ი“ ეწოდება. და კიდევ მეტი: ის „მ ე ფ ე თ მ ე ფ ი ს გ ი ო რ გ ი ს ჭ ე ლ ი ა“. წარწერაში მოხსენებული „ღმრთისა სწორნი“ თამარ და გიორგი, თამარ მეფე და მისი ძე ლაშა-გიორგია[58]. მაშასადამე ეს „ჭელი“ თამარის მეფობის უკანასკნელ პე-

---

[57] სამწუხაროდ, ძეგლის პირველ წამკითხველს შეცდომა მოსვლია: მეხუთე სტრიქონში ჯგუფი „ვჩესითა“ წაუკითხავს „ვნესითა“ და წინ ი-ნის მიმატებით გაუხსნია „(ი) ვანესითა“. ეს შეცდომა ვერ შეუნიშნავს და მას იმეორებს განსვ. ლ. მუსხელიშვილიც.

[58] ამას უნდა მოწმობდეს აქვე წარმოდგენილი სავაზიროს შედგენილობა. რომ აქ მოხსენებული პირნი ვაზირებია, ჩვენ ამაში ეჭვი არ შეგვლის: მეფეებთან ერთად ბრძანების გამცემი თამარის დროს სხვა არავინ წარმოიდგინება, თუ არ სავაზირო. სხვა საკითხია ამ სავაზიროს შედგენილობა (ის გარემოება, რომ ჩვენ მათ თამარის ვაზირებად არ ვიცნობდით, მხოლოდ ჩვენი ცოდნის ნაკლულობის მოწმობაა.). ორ პირს გარდა აქ ყველა უცნობია. ზაქარია, ვფიქრობთ, მხარგრძელია, —ამირსპასალარი, შალვა თორელია, მანდატურთუხუცესი (შალვა თორელის მანდატურთუხუცესობა სხვაგანაცაა დამოწმებული). ოსიყმა მეჭურჭლეთუხუცესადაა საგულვებელი, ვაჩე კი, უნდა ვიფიქროთ ამირახორია. მის მსახურთუხუცესობას ვერ ვივარაუდებთ: მსახურთუხუცესი ამ დროს, თითქო უდავოდ, ივანე მხარგრძელი იყო, ხოლო მისი აქ მოუხსენებლობა იმ ცნობის სისწორის მოწმობაა, რომ რუსუდანის დრომდის მსახურთუხუცესი სავაზიროში არ შედიოდა (იხ. გარიგება ჭელმწიფის კარისა...). ასეთი შედგენილობის სავაზირო მხოლოდ გიორგი რუსის აჯანყების შემდეგ შეიძლებოდა, როცა ამირსპასალარად ზაქარია მხარგრძელი შეიწყალეს, ასე რომ ორივე გიორგი, როგორც თამარის მეუღლე, ისე მით უფრო, თამარის მამა აქ გამორიცხული არიან. ამ წარწერაში მოხსენებული გიორგი, ამიტომ, მხოლოდ ლაშა-გიორგი შეიძლება იყოს თამარის ძე, რომელიც ჯერ კიდევ დედის სიცოცხლეშივე მეფედ იხსენიება. მაგრამ ამ წარწერაში თამარის მეუღლის, დავით მეფის მოუხსენებლობა იმასაც უნდა მოწმობდეს, რომ მეფეთმეფის გიორგის ეს ჭელი დავით მეფის გარდაცვალების შემდეგ უნდა იყოს „დასმული“. ძეგლის თარიღის შესახებ ასეთივე დასკვნამდის მიდის ოდნავ განსხვავებული საბუთებით განსვ. ლ. მუსხელიშვილიც.

რიოდში დაუსვამთ. წარწერაში მეფეების შემდეგ მოხსენებული ხუთი პირი ვაზირებია (და ეს ასეა დამოუკიდებლად იმისგან, თუ ვინ იგულისხმებიან პირადათ ამ „ვაზირებში“). უცნობია წარწერაში უკანასკნელად მოხსენებული ორი პირი. ჯულაბაჲ და ინაჲ (ვაურკვეველია, რომელი მათგანია სანობაჲსძე).

როგორც წარწერიდან ნათლად ჩანს, „მეფეთმეფის გიორგის ჴელის დასმა“ მეფეების, თამარის და გიორგის, გარდა ვაზირებსაც „უბრძანებიათ“ ე. ი. ეს საკითხი მეფეთა და ვაზირთა თათბირის (ვაზირობის) საგანი ყოფილა და ეს გადაწყვეტილებაც იქ მიუღიათ. უეჭველია, ამიტომ, ამ აქტში რაღაც დიდი მოვლენა იგულისხმება.

ის, რაც ჩვენ ვიცით ეხლა „ჴელისა“ და მისი „დასმა-ამართვის“ შესახებ, საშუალებას გვაძლევს ამ წარწერის შინაარსის გარშემო გარკვეული მოსაზრება გამოვთქვათ.

„ჴელის“ შინაარსში, როგორც ზემოთ დავინახეთ, აუცილებლად იგულისხმებოდა არა მარტო ის, თუ ვისი ბრძანებით „დაისვა“ ან „აიმართა“ ეს „ჴელი“, არამედ ისიც, თუ ვის სასარგებლოდ იქმნა ეს უფლება განცხადებული, თითოეულ „ჴელში“ ორივე ეს ელემენტი თანაბრად არსებითია და რომელიმე მათგანის გარეშე „ჴელი“ არც წარმოიდგინება. ჩვენ მიერ აქამდის შესწავლილ ძეგლებში ჴელის მატერიალური ნიშანი და მისი წერილობითი შინაარსი („დაწერილი“) ურთიერთისაგან ცალ-ცალკე გვქონდა მოცემული. უკანასკნელ შემთხვევაში კი „ჴელის“ შინაარსი (აქტი) თვით ამ „ჴელზე“ გვაქვს დაწერილი. ჩვენი „ჴელის“ წარწერაში კარგად ჩანს, თუ ვისი ბრძანებით დაისვა ის,—ესენია მეფეები თამარ და გიორგი და ვაზირები. გასარკვევი რჩება, თუ ვის სასარგებლოდ დაისვა ის. ჯულაბაჲ და ინაჲ ჩვენ აქედან გამორიცხულად მიგვაჩნია. წარწერით მათი როლი ამ საქმეში გარკვეულია: ეს ძეგლი „ჯულაბაჲს მოჭირვებით“[59] (ე. ი. გარჯით) და „ინაჲს ჴელით“ დაისვა, ე. ი. ორივე ისინი „ჴელის დასმის“ საქმის ტექნიკური შემსრულებელი არიან; ჯულაბაჲ შედარებით მსხვილი საქმის-მოქმედია, ინაჲ უფრო წვრილი (ან, შეიძლება, ქვის ოსტატი...). დაგვრჩა ერთადერთი: რომ ეს ჴელი დასმულა მეფეთამეფის გიორგის სასარგებლოდ და მაშ, გამოთქმაში „დაჲსვა ჴელი ესე ღმრთის სწორთა მეფეთ მეფის გიორგისი“ იგულისხმება არა ის, რომ ეს „ჴელი“ არის გიორგი მეფის სახელით ვინმე მესამის სამამულო უფლების დამტკიცების ნიშანი, არამედ ის, რომ ეს ჴელი მეფეთა და ვაზირების

---

[59] ტექნიკური შემსრულებელი მოხსენებულია მაგ., ფოკას წარწერაშიც „ქ. სახელითა ღმრთისაჲთა მე ბევრელი (ბავრელი?) ღირს ვიქმენ შენებასა წმინდაჲსა ამის ეკლესიისა. საფუძველი დაიდუა (sic), მე თანა დავუშუერ. ჴელოსანი ვიყავ ოქროპირისა ქართლისა კათალიკოზისა“.

ბრძანებით მეფეთ მეფის გიორგის რაღაც სამამულო უფლების ნიშნად დასმული ძეგლია (აქვე ერთი კერძო დაკვირვება: „მავანის ქელი“ ჩვეულებრივი გამოთქმა ყოფილა. ასეთი რამ ზემოთ ჩვენ მიერ შესწავლილი დოკუმენტებითაც იგულისხმებოდა, თუმცა ამის პირდაპირი ჩვენება არ მოგვეპოვებოდა).

რა სამამულო მფლობელობა იგულისხმება მეფეთ მეფის გიორგის ამ ქელში, ამის გადაჭრით თქმა ძნელია. შეეხება ეს მფლობელობა მთელ თრიალეთს, თუ მარტო წალკას? მეფეთა და ვაზირთა ბეჭბით დადგენილება და ამის საგანგებოდ მოხსენებულობა, როგორც უკვე შევნიშნეთ, მოწმობაა, რომ ამ ქელის საგანი დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფო აქტია[50].

ჩვენ ვფიქრობთ, ეს არის თრიალეთის საუფლისწულო (სახასო) ქვეყნად დამტკიცების აქტი. ქელის დასმის ადგილი, წალკა, თრიალეთის ცენტრი, ამასვე უნდა მიუთითებდეს. თუ ეს ასეა, ბუნებრივად გვიტაცებს საინტერესო პოლიტიკური აქტი: საუფლისწულო (სახასო) ჯავახეთი ერთის მხრით უშუალოდ ეკვრის ახლად შემოერთებულს და საუფლისწულოდ (სახასოდ) გამოცხადებულ კარს და კარულ ქვეყანას (ქ ც, მარ. 509, შენ. 10), ხოლო მეორეს მხრით ის საუფლისწულოდ ქცეულ თრიალეთს ემიჯნება. ამრიგად შეიქმნა

---

[50] ბაღუაშთა სახლის გადაშენების შემდეგ თრიალეთის ერისთავი ჩვენ აღარა გვხვდება. თუმცა შეიძლება ეს გარემოება ცნობათა შემოუნახველობით აიხსნებოდეს. თრიალეთში, ჯინისის ეკლესიის 1178—1184 წლის წარწერა იხსენიებს „ერისთავთ ერისთავს მსახურთუხუცესს აფრიდონს“. ჯინისის ეკლესიას აშენებს და ამ წარწერითაც ამკობს მას აფრიდონის ცოლი ხოშაქი, ოსიყმის ასული (**ИКО ИМАО, вып. III, 51**). შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ აფრიდონ მსახურთუხუცესი თრიალეთის ერისთავი იყო, მაგრამ ამას რამოდენადმე ეწინააღმდეგება თამარის პირველი ისტორიკოსის ცნობა. მისი მოწმობით აფრიდონი იყო „აზნაურისა ყმობისაგან,.. მსახურთუხუცესობამდის, თმოგვისა სახლთა და ციხეთა და ქვეყანათა პატრონობამდის აღზეებული“ (ქართლის ცხოვრება, მარიამისეული, 406). აქედან ის უცილობელი დასკვნა გამოდის, რომ აფრიდონ მსახურთუხუცესი თმოგვის ერისთავთ-ერისთავი იყო (თმოგვი დიდი ხანია საერისთაო „სახლი“ იყო...). ან, შეიძლება, აფრიდონ მსახურთუხუცესს თმოგვთან ერთად თრიალეთის ერისთაობაც ჰქონდა? ორი საერისთაოს ერთი პირის ხელში შეთავსებას ჩვენ სხვაგანაც ვხვდებით. მაგრამ თუ აფრიდონ მსახურთუხუცესი თრიალეთის ერისთავი არ იყო, ამ შემთხვევაში ასახსნელია, რაღა ესაქმებოდა თმოგვის ერისთავთ ერისთავის აფრიდონის ცოლს თრიალეთში? ის ხომ არა, რომ აფრიდონის მეუღლე ხოშაქი ოსიყმის ასული იყო? შეიძლება ეს ოსიყმა იყო თრიალეთის ერისთავი? თუ ხოშაქის მამა ოსიყმა და მეფეთ მეფის გიორგის „ქელის“ წარწერაში მოხსენებული ვაზირი (მეპურეტლეთუხუცესი?) ოსიყმა ერთი და იგივე პირია, (და ეს თითქო ასეც არის), მაშინ მართლაც უნდა დაუშვათ, რომ ეს ოსიყმა ერისთავია, თუ 1178—1184 წლებში არა, ამ „ქელის“ დასმის დროს მაინც (ბუონდიდელს გარდა თითოეული ვაზირი ამავე დროს ერისთავიც იყო). თუმცა აქედან ის კიდევ არ ჩანს, რომ, ვაზირი ოსიყმა მაინც და მაინც თრიალეთის ერისთავი იყო.

საუფლისწულო-სახასო ქვეყნების უწყვეტი ზოლი თბილისიდან „აღმართ“ კარნუქალაქის სანახებამდის. „დიდებულთა“ „გახელმწიფების“ (ერისთავთა გამთავრების) ხანაში მეფის ხელისუფლების ასეთი პოლიტიკა, სახასო ქვეყნების გამრავლების ცდა, ბუნებრივია და მრავალმეტყველი. ასეთ კონტექსტში განსაკუთრებით შინაარსიანი ხდება თამარის მეორე ისტორიკოსის მიერ საგანგებოდ აღნიშვნა, რომ მეფემ მხოლოდ „ეს ერთი ქალაქი და ციხე (ე. ი. კარი.—ნ. ბ.) თკსად დაიჭირა ყოველთაგან, რომელი აიხვნა ზორაკერტით რახსამდის, გაგით განძამდის და ჯავახეთით სპერამდის“ (ქ˘ცა, მარ., 609, შენ. 10).

ასე რომ დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური საკითხი—თრიალეთის საუფლისწულოდ (სახასოდ) დამტკიცება ე. ი. ამ ქვეყანაზე სამეფოდ „ჟელის ამართვა“ ვაზირობაზე (ვაზირთა ბჭობაზე) მიუღიათ და ვაზირობის მონაწილეებს (მეფეებს და ვაზირებს) ამ სახელმწიფო აქტის ნიშნად წალკაში (თრიალეთის ცენტრში) „მეფეთ მეფის გიორგის“ „ჟელის“ „დასმა“ „უბრძანებიათ“[61].

ამრიგად, მეფეთ მეფის გიორგის „ჟელის“ კავშირი გვიანფეოდალურ სამამულო „ჟელთან“ ჩვენ უეჭველი გვგონია. „მეფეთ მეფის გიორგის ჟელის“ მსგავსად შუასაუკუნეთა ეს ქვის „ჟელები“ ამა თუ იმ პირის უფლების ნიშნად ცენტრალური ხელისუფლების ბრძანებით „მამულზე“ (მიწის ნაკვეთზე, სოფელზე, მხარეზე) დასმული ძეგლებია.

აქ უადგილო არ უნდა იყოს შემდეგი დაკვირვება. მეფე ერეკლეს ბრძანებით თომა მეღვინეთხუციშვილს იასაულმა მამულზე „ჟელი აუმართა“ და ამის ნიშნად „ჯ უ ა რ ი დ ა ს ვ ა“; XIII საუკუნეში მეფე-ვაზირთა ბჭობით თრიალეთზე გიორგი მეფის „ჟელი აიმართა“ და ამის ნიშნად სათანადო მოხელემ წალკაში „ჟ ე ლ ი დ ა ს ვ ა“. ასე რომ XIII საუკუნის „ჟელი“ XVIII საუკუნისათვის „ჯუარით“ შეცვლილა. ეს რომ ასეა, ამას ერეკლე მეფე მოწმობს:

---

[61] უადგილობის გამო ჩვენ აქ ვერ შევჩერდებით ამ წარწერაში აღნიშნულს ერთს განსაკუთრებით საინტერესო გარემოებაზე. ეს გახლავთ სახელმწიფო მნიშვნელობის ბრძანების გაცემა მ ე ფ ე თ ა დ ა ვ ა ზ ი რ თ ა ს ა ხ ე ლ ი თ. ჩვენი წარწერა უნიკალური დოკუმენტია ამ რიგისა და ერთბაშათ ნათელს ჰფენს თამარის დროს ცნობილი პოლიტიკური მოძრაობის შედეგად შემუშავებულ სახელმწიფო წესწყობილების უაღრესად მნიშვნელოვან მომენტს; შესამჩნევად მეტი შუქი ეფინება და მტკიცე დასაყრდენიც უჩნდება თამარის ისტორიკოსთა მიერ თუ სხვა წყაროებით დამოწმებულ ცნობებს სახელმწიფო მმართველობაში „დიდებულთა“ „თანადგომა-ერთნებობისა“ თუ „მეფობის თანაზიარობის“ შესახებ... („ქ˘ცა, მარ, 409, 444; ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე, ნაკვეთი მეორე, 176—181).

როგორც ზემოთაც ვუჩვენეთ, იასაულის მიერ დასმულ ჯვარს ის „ქელს“ უწოდებს.

ჩვენ არ ვიცით ერეკლეს დროის „ქელის“ ამ მატერიალურ ნიშანზე ჯვართან ერთად ადამიანის ხელის გამოსახულება იყო თუ არა (უფრო საფიქრებელია, რომ არა), მაგრამ თუნდაც ყოფილიყო, ის მაინც აშკარაა, რომ მე-18 საუკუნეში მთავარი მნიშვნელობა ამ ნიშანზე უკვე „ჯვარსა“ ჰქონდა და „ქელი“ მას იურიდიულად ტრადიციულად ეწოდებოდა. სამაგიეროდ ის უეჭველად ვიცით, რომ შუასაუკუნეებში „ქელის“ ამ მატერიალურ ნიშანზე ადამიანის ხელის გამოსახულება უმთავრესია და ჯვარი აქ მეორე ხარისხოვანი მნიშვნელობისაა, არა-არსებითია: ხშირად ის სრულიადაც არ მოიპოვება. ბუნებრივად გვეხატება სურათი: თავდაპირველად მიწის მფლობელობის ნიშნად დასმულ მატერიალურ ძეგლზე მხოლოდ ქელი იყო გამოსახული. შემდეგ ერთვის მას სიმტკიცის ქრისტიანული ნიშანი—ჯვარი, რომელიც არა არსებითი მნიშვნელობიდან თანდათან მთავარი მნიშვნელობისა ხდება და, ბოლოს, სავსებით გააძევებს ქელის გამოსახულებას. მატერიალური გამოსახულების არედან გამოძევებული „ქელი“, როგორც მიწა-მამულის მფლობელობის იურიდიული ტერმინი, ძველებურადვე რჩება და იმ „ჯვარსაც“ შეერქმევა, რომელმაც, როგორც სამამულო მფლობელობის მატერიალურმა ნიშანმა, ამ „ქელის“ გამოსახულების ადგილი დაიჭირა. პროცესი ასეთი ჩანს. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ამიერიდან ყველა ფაქტი, რომელიც კი აღმოჩნდება, ჩვენს ქრონოლოგიას დაემთხვევა ე. ი. თითქო XII საუკუნემდის ქელის გამოსახულება მამულის მფლობელობის ნიშნად დასმულ ყველა ძეგლზე უცილობლად ბატონობდა და ჯვარი მხოლოდ ამის შემდეგ ხანაში თანდათან იჭერს ქელის ადგილს. ჯვარს ამა თუ იმ კერძო შემთხვევაში გაცილებით უფრო ადრე შეეძლო ქელის ადგილი დაეჭირა (ვგულისხმობთ უპირატესად საეკლესიო-სამონასტრო მიწათმფლობელობის სფეროს. ამის ერთ-ერთი მაგალითი სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაშიცაა). ჩვენ მეტსაც ვფიქრობთ: რომ ქრისტიანობის „პირველ ხანებში“ (V—VIII სს.) სალოცავად აღმართული ჯვრები, თუ ყველა არა, მრავალი მათგანი მაინც იმავე დროს მიწის დასაკუთრების მაჩვენებელი ძეგლებიცაა (წყისეს ჯვარის წარწერა ჩვენ ამის მოწმობადაც მიგვაჩნია).

ასე რომ სამამულო მფლობელობის სფეროში „ქელის“ შეცვლა „ჯვარით“, ბუნებრივია, ძველი დროიდანვე მოდის და ამ პროცესის სისწრაფე-მიმდინარეობა მრავალ სხვადასხვა გარემოებისაგან იყო დამოკიდებული.

აქვე შეიძლება აღვნიშნოთ: ჩვენი ამ დაკვირვებიდან გამოდის:

თუ „ჯვარი“, როგორც სამამულო მფლობელობის მატერიალური ნიშანი, „ჟელსა“ სცვლის, უნდა მივიღოთ ისიც, რომ „ჟელი“, როგორც სამამულო მფლობელობის მატერიალური ნიშანი და, მაშასადამე, სახელმწიფოს მიერ გარანტირებული მიწის კერძო მფლობელობის ინსტიტუტიც, ჩვენში ჯერ კიდევ ქრისტიანობის საყოველთაო გაბატონებამდის შემუშავებულა.

როგორც დავინახეთ, „ჟელი“ ეწოდებოდა ამა თუ იმ პირის სამამულო უფლებას და უფლების განცხადების ნიშნად შექმნილ მატერიალურ ძეგლსაც. ბუნებრივად მოსალოდნელი იყო, რომ „ჟელი“ სწოდებოდა წერილობით საბუთსაც, სადაც ეს უფლება იქნებოდა დასაფუძველებული, სადაც ეს უფლება წერილობით იქნებოდა განცხადებული. ასე რომ, „დასმული“ (თუ „ამართული“) „ჟელის“ გვერდით სავარაუდებელია არსებულიყო „დაწერილი ჟელიც“.

საამისო რამოდენიმე მოწმობა ჩვენ მართლაც მოგვეპოვება.

1924 წელს სოფ. მეჯვრისხევში (ახალუბანში) ვ. და პ. ფსიტიძეებთან აღმოჩენილ იქნა ჭალისუბნიდან (მეჯუდის ხეობაზეა) ჩამოტანილი ორი ქვა. ერთ მათგანზე ორი საბუთია მოთავსებული, რომელთაგან ერთი ამოკვეთილია ასომთავრულით, მეორე ნუსხურით[62].

---

[62] ამ ქვის შუბლი მცირე ზომის (34×34 სანტ.) კვადრატი ყოფილა (დღეს, ვვერდების ჩამოცრეცის გამო მისი ზომაა 34×33 სანტ.). ქვის სისქე გათლილ გვერდებში 9 სანტიმეტრს აღწევს. ეს ქვა იმთავითვე ასეთი ყოფილა და მას, გვერდების მცირედ ჩამოცრეცის გარდა, არა აკლია რა. ქვა სუფთად ყოფილა გაკუთხული; თავ-ბოლო და გვერდები გათლილი ჰქონია, ისევე, როგორც შუბლი. გაუთლელი მას მხოლოდ ზურგი აქვს. ძეგლის აღმომჩენს და გამომცემელს, (გ. ბოჭორიძე, ორი ფიქალწარწერა, საისტორიო მოამბე, I, 1925 წ. 96—102), სამწუხაროდ, არ გამოუკითხავს ფსიტიძეებისათვის, რომელთაც ეს ქვა ჭალისუბნიდან ახალუბანში ჩამოუტანიათ და თავიანთ სახლის კედელში შეუშენებიათ, თუ როგორ მდგომარეობაში იყო ეს ქვა ჭალისუბანში, იქაც სახლის კედელში იყო დატანებული თუ არა? საფიქრებელი არაა, რომ ფსიტიძეები გასათლელად, თუნდაც მცირედ, შეეხნენ ამ ქვას. ამისი ჯვალი მას არ აჩნია. ასეთი რამ არც მოსალოდნელი იყო: როგორც გამომცემელი აღნიშნავს ფსიტიძეები ამ ქვას „თავიანთ საგვარეული საბუთად სთვლიან“. ასე რომ ამ ქვის ოდენობა და ფორმა ისეთივე იყო ძეგლის დაწერისას, როგორც დღეს არის. მისი ჭაუთლელობა მხოლოდ ზურგის მხრიდან გასაგებია: ეს ქვა მაშინვე განზრახული იყო კედელში შესაშენებლად, და, როგორც ირკვევა, იმთავითვე შეშენებულიც ყოფილა. ამის სხვა საბუთს ცოტა ქვემოთ მოვიტანთ, აქ კი ყურადღებას მივაქცევთ იმ გარემოებასაც, რომ ქვას ზურგის მხრიდან დუღაბის კვალი (გაქვავებული კირი) დღემდისაც კარგად შერჩენია. საფიქრებელი არაა, რომ ასეთი ძველი დუღაბი ფსიტიძეების ახალუბნური სახლის კედლისა იყოს: ეს სახლი, როგორც ჩვენი ძეგლის გამომცემლის ცნობიდან შეიძლება დავასკვნათ, 40—50 წლისაზე უფრო დიდი ხნისა არ შეიძლება იყოს.

პირველი იკითხება (ვსარგებლობთ გამომცემლის წანაკითხით):
1. სახელითა ღმრთისაჲთა ესე ჴელი ჩუენ ბე
2. რმან[63] და გიორგი დავწერეთ ოდეს (კოსტა)
3. ნტი ქართლისა გამგებელი იყო
4. ჩუენ ცხრაზმის ჴევის ჴევისოჴფლად ვ
5. იყვენით მას ჟამსა ავაგეთ
6. წისქოჴლნი და ზემოთ სახლი ერთი.
7. სამსახოჴრი ჰკიდავს ϭ
8. კაცი.

აქ უშუალოდ მიჰყვება სამი ჯვარი და შვიდი სხვადასხვა სახის ხაზოვანი ნიშანი. ყველა ესენი ერთ ხაზზეა ამოკვეთილი[64].

აქვე მისდევს მეორე საბუთი (ნუსხური):
10. ქე ა
11. ცისკარ ამინ[65].

---

[63] გამომცემელი პირველი სტრიქონის ნაკლულ ბოლოს აღადგენს: „ჩნ“ (ჩინის ნაწილი კარგად ჩანს). მაგრამ ასეთი აღდგენის შემდეგ ცარიელი ადგილი დიდი რჩება: სხვა სრული სტრიქონების ზომა ამის საბუთია. გამომცემელი გრძნობს ამას, აღნიშნავს კიდეც, მაგრამ საკითხის გადაწყვეტას აღარ ცდილობს. რა თქმა უნდა, საფიქრებელი არ.ა, რომ სიტყვა „ჩუენ“ (ჩ-ნ) აქ შეუმოკლებლად შეიძლებოდა ყოფილიყო დაწერილი, როგორც ამას საბუთიერად გამომცემელიც შენიშნავს. ამიტომ უფრო მართებული იქნებოდა „ჩნ“ ჯგუფს ე. ი. „ჩუენ“-ს შემდეგ აქ კიდევ ერთი ასო გვევარაუდნა. ასე რომ შეიძლება მეორე სტრიქონის ასოთა პირველი ჯგუფი რმნ (გამომცემელი აქ „რამინ“ სახელს კითხულობს) არ იყოს სრული და მისი დასაწყისი პირველი სტრიქონის ამ ნაკლულ ბოლოში იყოს აღსადგენი? სხვადასხვა ასოებიდან უპირატესობას ბ-ანს მივანიჭებდით: ჯგუფი ბრმნ ძველ ქართულ სახელს მოგვცემდა (მოთხრობით ბრუნვაში): ბერმან, და ეს სახელი უფრო შესაფერისიც იქნებოდა იმ ხანისათვის, ვიდრე უცხოური რამინ (ან კიდევ ბარამან, ყარამან, ნარიმან და სხვ.).

ზემოთქმულის საფუძველზე გამომცემლისეული „რამინ“ ჩვენ შევასწორეთ „ბერმან“.

[64] აქ უნდა აღინიშნოს, რომ ამოკვეთილობის ხასიათის მიხედვით ეს ნიშნები ორ ჯგუფად იყოფა. პირველი ნიშანი (ჯვარი) „სტრიქონის“ დასაწყისში და უკანასკნელი ნიშანი (ϭ) „სტრიქონის“ დასასრულს ამოკვეთილობის ხასიათით მკაფიოდ განირჩევა საბუთის ტექსტის ამოკვეთილობის ხასიათისაგან, მაშინ როცა ყველა სხვა რვა ნიშნის ამოკვეთილობა ერთი ხასიათისაა და საბუთის ტექსტის ამოკვეთილობის მსგავსია.

[65] ამ X, XI სტრიქონებს არა აკლია რა. ამის მეტი, რაც აბლა არის, აქ არც იმ თავშივე ყოფილა რა. X სტრიქონის „ქე“ და „ა“ იმ რიგის ნიშნებია, როგორიც მრავლად მოიპოვება აქვე, მომდევნო ტექსტის ბოლოს ცარიელ ადგილზე. XI სტრიქონის „ცისკარ(თ)ამინ“ (წანაკითხის მეორე ნახევარი საეჭვოა), ამიტომ, შეიძლება ამის მომდევნო ტექსტის (XIV სტრიქონის) დასასრულ იყოს (მაშინ

12. ქ. ესე ჯელი მე გიორგი დავწერე ქრისტე განმგებელო,
13. ორთავე ცხორებათაო დააწესე სოლი ფარაისი.
14. წიაღთა აბრაჰამისთა. მიეც განსოენება უკუნისამდე[66].
15. + ა.
16. მე[67].

გამომცემლის განცხადებით ამ უკანასკნელ საბუთსაც „იმგვარივე ხელის მოწერა აქვს“, რაც პირველს.

გამომცემელი მართებულად მიაქცევს ყურადღებას ამ ძეგლის დიპლომატიკურ სახელწოდებას. ცდება ის მხოლოდ, როცა აცხადებს, რომ „ჯელი“, როგორც დიპლომატიკური ტერმინი, „არ გვხვდება არც ერთ სხვა საბუთში“[68]. მთლიანად ამ ძეგლს (როგორც ჩანს, ორივე საბუთს) გამომცემელი X საუკუნით ათარიღებს, რაც, შეიძლება, დაახლოებით, სწორი იყოს. ცდება ის, ვფიქრობთ, ამ საბუთების განსაზღვრაში. მისი აზრით პირველი „საბუთი წარმოადგენს კერძო, ორი პირის მიერ ურთიერთ შორის დადებულ ხელწერილს. იგი იყოფა ორ ნაწილად: პირველი—თვით ხელწერილი, რომელზედაც სიმბოლიურად ხელს უწერენ ხელწერილში მოხსენებული პირნი; მეორე, ასე ვთქვათ, მინაწერი იქნებ იმავე გვარის კაცისა, რომელსაც იმგვარივე ხელისმოწერა აქვს“.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს საბუთი კერძო ორი პირის მიერ ურთიერთ შორის დადებული ხელწერილი კი არაა[69], არამედ ეს არის „დაწერილი ჯელი“ ანუ სამამულო უფლებიხ წერილობითი შინაარსი, წერილობითი საფუძველი. ჩვენი გაგებით ცხრაზმის ჯევისუფალნი ბერი და გიორგი ამ „ჯელს“ უმტკიცებენ რომელიღაც ეკლესიას ცხრა-

---

ჩვენი კონიექტურა: ოკე:—XIV სტრიქონში— საეკეო შეიქნებოდა და: ო ო: კონიექტურა აჯობებდა...).

[66] გამომცემელი აქ მხოლოდ ო-ნს ხედავს. დაჟინებით ვერც ჩვენ დავიცავთ ამ ჩვენს წანაკითხს: ოკე; ასეთი წაკითხვა ჩვენ იმანაც გვიკარნახა, რომ ამ ჯელის ტექსტი აქ სრულდება. ამის ქვეშეთ უწესრიგოდ მიმობნეულია არაღრმად ამოკვეთილი ჯვრები, ხაზოვანი ნიშნები (ზოგი მათგანი შემთხვევით დაჩნეული ხაზიც შეიძლება იყოს), ასოები.

[67] ეს „მე“ ქვის ქვემო კიდეზე სრულიად სხვა ხელით, ასომთავრულით, სწერია. ასე რომ მას წინა ტექსტთან არავითარი კავშირი არა აქვს.

[68] Op. cit., 100.

[69] გამომცემელი, ჩანს, ტერმინ ხელწერილს მისი აწინდელი გაგებით ხმარობს. მაგრამ ამ საბუთის ასეთ გაგებას ეწინააღმდეგება როგორც მისი ფორმა, ისე შინაარსიც; ასეთ გაგებას ეწინააღმდეგება მეორე საბუთი, ასევე „ჯელი“, რომლის „დაწერა“ უეჭველ კავშირშია იქვე მოხსენებულ გარდაცვალებულთა სულის ცხონებასთან.

ზმის ხეობიდან[70]. ეს გარემოება უფრო ნათლად ჩანს მეორე საბუთიდან[71], სადაც ჭელის დამწერი გიორგი ჭელის დაწერას უშუალოდ უკავშირებს ვინმე ფარაჲს (სხვების) და სულის ცხონების საქმეს. ე. ი. ეს „ჭელი" დაწერილი ჩანს ვინმე ფარაჲს და სხვების სულის სალოცველად.

ამ ძეგლის ასეთ, გაგებას თითქო ეწინააღმდეგება ზმნის საარვისო ქცევა: „ესე ჭელი... დ ა ვ წ ე რ ე თ" (პირველი საბუთი), „ესე ჭელი... დავწერე" (მეორე საბუთში) და ის გარემოება, რომ არც ერთ საბუთში აღნიშნული არაა, თუ ვის სასარგებლოდ დაიწერა ისინი. მაგრამ ეს სიძნელე მხოლოდ მოსაჩვენარია. ეს ქვა ამ ორი ჭელით მამულზე (მიწაზე) დასმული ძეგლი კი არაა, არამედ ის დანატანებია ეკლესიის კედელში. ასეთ პირობებში „საბუთის მიმღები" ანუ ის, ვისაც „დაუწერეს ეს ჭელი" (ე. ი. ვის სასარგებლოდაც იყო სამამულო უფლება წერილობით განცხადებული), თავისთავად იგულისხმებოდა: ეს იყო იგივე ეკლესია, ან, უკეთ, ის, ვის სახელზედაც ეს ეკლესია იყო აგებული. ამის შემდეგ სრულიად ბუნებრივად გამოიყურება გიორგის ვედრება მაცხოვრისადმი (მეორე საბუთში), აქამდი რომ უადგილო და უსაფუძველო გვეჩვენებოდა: ჩანს, ეკლესია, რომლის კედელშიც ეს ქვა იყო „დასმული" (კედელში „ქვის დასმა" ჩვეულებრივი სააღმშენებლო ტერმინი იყო), მაცხოვრის სახელზე იყო აგებული[72].

---

[70] ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს ჭელის დამწერთა ცხრაზმის ჭეეისუფლობა, მაგრამ ასეთ მოსაზრებას რამოდენადმე აფერხებს თვით ძეგლის აღმოჩენის ადგილი—მეჯუდა-ისროლის ხეობა. ან თუ ასეთ ეკლესია-მონასტერს უკანასკნელ ხეობაში ვიგულისხმებდით, მაშინ ამ საბუთში მოხსენებული ცხრაზმა უნდა გაგვეგო არა საკუთრივ ცხრაზმის ხეობად—ქსნის შენაკადზე,—არამედ „ყოველი ცხრაზმის ჭეეის" შინაარსით, როგორც ეს XV საუკუნეში „ძეგლი ერისთავთას" დამწერს ესმოდა. ქრონ. II, 6.

[71] გამომცემლის აზრით ეს მეორე საბუთი არის „მინაწერი იქნებ იმაეე გვარის კაცისა". მინაწერი კი არა და, შეიძლება საბუთის განახლება და უეჭველად „იმავე გვარის კაცის" მიერ. ჩვენ გამორიცხულად არც ის მიგვაჩნია, რომ ამ მეორე ჭელის დამწერი გიორგი, პირველ საბუთში მოხსენებული ამავე სახელის მატარებელი პირი იყოს.

[72] ჭელის ამ ჩვენი გაგების აგრე ადვილად ახსნილი სიძნელეები გადაულახველ დაბრკოლებებად რჩებიან ამ ძეგლის ისეთი გაგებისას, ვამომცემელი რომ წარმოგვიდგენს. სისრულისათვის აქვე უნდა შევნიშნოთ: როგორც ძეგლის აღმომჩენი გადმოგვცემს, ფსიტიძეები ამ ძეგლებს (მეორე ქვასაც) „თავიანთ საგვარეულო საბუთებად სთვლიან". მეფე ვახტანგს ჩვენ მამაპაპისათვის მამული მიეცია და ეს ამ ქვებზე სწერიაო"—ამბობენ ოურმე. მეორე ქვისა რა მოგახსენოთ, ამის შესახებ სხვაგან, ხოლო ამ „ჭელის" გამო კი გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ მას ფსიტიძეების სახლში დაცულ გადმოცემასთან არავითარი კავშირი არ აქვს.

ქელის, როგორც დიპლომატიკურ ტერმინის, არსებობის შესახებ. საინტერესო ცნობა შემოუნახავს ცნობილ „ნიკორწმიდის სიგელს“[73].

საბუთის დამდები, ნიკორწმიდის მონასტრის წინამძღვარი, ამ თავის დაწერილში აღნუსხავს მონასტრის სასარგებლოდ მის მიერ გაწეულ მუშაობას და ერთ ადგილას ამბობს: „-ბას ვიყიდე აჩეჩლისაგან გლეხი: ა: ბობოთს და მივეც ცხენია: ა: ჯარი: ა: დრაჰკანი კოსტანტინატი: გ: ცჯილი ლიტრა: იდ: და ბოსლაი: ა: და ქ ე ლ ი ს ს ა წ ე რ ლ ა დ მივეც ცჯილი ლიტრაჲ: თ: და მოწამე არიან კაცნი“ (ქრონიკები II, 48). მოტანილი ამონაწერი ჩვენ ასე გვესმის: მონასტრის წინამძღვარმა აჩეჩლისაგან გლეხი იყიდა და ზემოჩამოთვლილი საფასე მისცა. აჩეჩელმა სათანადო წერილობითი საბუთი მისცა მყიდველს. ა მ ს ა ბ უ თ ი ს დ ა წ ე რ ი ს ხ ე ლ ფ ა ს ი („ქელის საწერელი“) ისევ მყიდველმა გაიღო. ეს არაჩვეულებრივი ხარჯი მყიდველმა საგანგებოდ აღნიშნა[74]. და აი ამ საბუთის დაწერის ხელფასს ნიკორწმიდის წინამძღვარი „ქელის საწერელს“ უწოდებს. აქ ორი რამ არის საფიქრებელი: 1. შეიძლება ნიკორწმიდის მონასტრის წინამძღვარი აჩეჩლისაგან მიღებულ საბუთს (ე ს ი ყ ო საბუთი, რომლითაც აჩეჩელი თ ა ვ ი ს ს ა კ უ თ ა რ უ ფ ლ ე ბ ა ს ბ ო ბ ო თ ე ლ გ ლ ე ხ ზ ე მ ო ნ ა ს ტ რ ი ს წ ი ნ ა მ ძ ღ ვ ა რ ს გ ა დ ა ს ცე მ დ ა გარკვეული საფასის მიღების სანუქფოდ ე. ი. ეს იყო „ნასყიდობის“ თუ „მოსყიდულობის წიგნი“) „ქელს“ უწოდებდა; მაშინ ჩვენ გვექნებოდა იმის დამოწმება, რომ XI საუკუნეში ნასყიდობის წიგნს (ე. ი. ყიდვის საშუალებით ერთი პირის მიერ მეორესათვის გადაცემულ უფლების შემცველ წიგნს) ჯერ კიდევ „ქელი“ ეწოდებოდა, ან 2. შეიძლება „ქელის საწერელი“ ამ დროს ტექნიკური გამოთქმა იყო და რაგინდარა საბუთის დაწერის ქელფასს „ქელის საწერელი“ ეწოდებოდა (ხოლო აჩეჩლისაგან მიცემულ საბუთს ქელი კი არა, „მონასყიდობის“ „თუ „ნასყიდობის წიგნი“ ერქვა). ორივე ვარაუდისას ქ ე ლ ი, რ ო გ ო რ ც დ ი პ ლ ო მ ა ტ ი კ უ რ ი ტ ე რ მ ი ნ ი, დ ა მ ო წ მ ე ბ უ ლ ი ჩ ა ნ ს. თუ ჩვენ იმ აზრს შევიწყნარებდით, რომ „ქელის საწერელი“ ამ საბუთში ტ ე ქ ნ ი კ უ რ ი გ ა მ ო თ ქ მ ა ა (მონასყიდობის თუ „ნასყიდობის წიგნი“ ან „დაწერი-

[73] ქრონიკები, II, 43—40. რა თქმა უნდა, ეს თავ-ბოლონაკლული დოკუმენტი „სიგელი“ არაა. ის, ისევე როგორც მცხეთის საბუთი მელიქსედეკ კათალიკოზისა, უნდა „დაწერილი“ იყოს.

[74] წესით, ჩანს, ამ დროსაც, ისევე, როგორც უფრო გვიან ხანაშიც, ასეთი საბუთის დაწერის ხარჯი მისი მიმცემის მოვალეობა იყო.

ლი მონასყიდობისაი“ ან „დაწერილი გასყიდულობისაი“, როგორც დიპლომატიკური ტერმინი ამ დროს უეჭველად არსებობდა), მაშინ შემდეგი მოსაზრების წამოყენების საბუთი მოგვეცემოდა: „ჭელის საწერელი“ ტექნიკურ გამოთქმად იმიტომაც იქცა, რომ „ჭელი“ უძველესი დიპლომატიკური ტერმინია, რომ ყველა სხვა „დაწერილი“ და „წიგნი“ შემდეგ გაჩენილი ლიპლომატიკური ტერმინებია, რომ „ჭელი“ უძველეს დროს ფრიად გავრცელებული (თუ ერთადერთი არა) დიპლომატიკური ტერმინი იყო, რომელიც ეხლა ესეც შეგვიძლია ვივარაუდოთ, ერთ გარკვეულ დროს ერთი პირის მიერ მეორესათვის უფლების გადაცემის ყოველგვარ შემთხვევას შეიცავდა. ან, შეიძლება ეს უფრო გასაგებად გამოთქმული აღმოჩნდეს, თავდაპირველად დიპლომატიკური ტერმინი „ჭელი“ ეწოდებოდა ერთი პირის მიერ მეორესათვის უფლების გადაცემის შემცველ საბუთს (სულ-ერთია, თუ რაზე იქნებოდა ეს „ჭელი“ დაწერილი: ქვაზე, თიხაზე, ეტრატზე და სხვ.). დროთა განმავლობაში, სამოქალაქო ურთიერთობანი რთულდებოდა და ერთი პირის მიერ მეორესათვის უფლების გადაცემის სახეობანიც მრავლდებოდა. ასეთ პირობებში ბუნებრივი იყო ქართული დიპლომატიკის სფეროში ორ მოვლენას ეჩინა თავი: 1. დიპლომატიკური ტერმინი „ჭელი“ გაფართოებულიყო და ის უფლების გადაცემის ამ ახალ სახეობათა შემცველი საბუთების სახელადაც ქცეულიყო: და 2. „ჭელის“ ამ ახალ სახეობათათვის ახალ ტერმინთა შექმნის ტენდენცია გაჩენილიყო, მაგრამ ისიც შეიძლება, და ჩვენ უფრო ამ აზრისა ვართ, რომ ამ დროს ნასყიდობის აქტის შემცველ საბუთის აღსანიშნავად სხვა ტერმინიც არსებობდა და ამავე დროს ამ საბუთის (და სხვა ასეთი საბუთების) დაწერილი ხელფასის აღსანიშნავად „ჭელის საწერელი“ იყო ტექნიკური გამოთქმა (ასეთი მოსაზრების სასარგებლოდ მიუთითებდეს შეიძლება საბუთში მოცემული ფორმა „ჭელის საწერელად“). მაშინ უნდა მივიღოთ, რომ ნიკორწმინდელი წინამძღვრის ენით „ჭელი“ ამ დროს ცოცხალი, ზ ო გ ა დ ი დ ი პ ლ ო მ ა ტ ი კ უ რ ი ტ ე რ მ ი ნ ი ი ყ ო, რომელიც, სხვათა შორის „მონასყიდობის დაწერილსაც“ შეიცავდა. ეს მოვლენა კი მისივე მაჩვენებელი იქნებოდა, რაც ჩვენ ზემორე იმ შემთხვევისათვის ვივარაუდეთ, თუ „ჭელის საწერელი“ ტექნიკური ტერმინი აღმოჩნდებოდა.

ნიკორწმიდელი წინამძღვრის დაწერილში ჩვენთვის საინტერესო სხვა ცნობაც მოიპოვება. საბუთის დამდები სწერს: „ოკრიბას, ჯუარისას, ვიყიდე ნასრაჲსა ასულისაგან გლეხი, რომელი მიეცა მისდა წირქუალელის ძესა, მამამთილსა მისსა ჯე(ლ) წერით უკუნისამდე და მისთვის მივეც ფასად ცხენი: ა: დრაჰკანი დუკატი: ზ: და ფური: ბ: და მოწამე არიან კაცნი“ (ქრონ. II, 49). მოტანილ ამონაწერში

ჩვენთვის საინტერესო მომენტის სწორად გაგებისათვის საჭიროა ვიცოდეთ, რომ ნიკორწმიდელი წინამძღვრის მიზანი იყო დაეწერა „ერთიანი წიგნი“, დოკუმენტი, სადაც აღნუსხული (ჩამოთვლილი) იქნებოდა მისი სამეურნეო მოღვაწეობა მონასტრისათვის და ამ ნამოღვაწეების ჲურიდიული საფუძვლიანობაც იქნებოდა ხაზგასმული. და ამ შემთხვევაშიაც მონასყიდე ასაფუძვლებს ნასყიდი გლეხის მოუდევრობას. წინამძღვარი არ კმაყოფილდება იმის მოთხრობით, თუ რა ფასი მისცა ამ გლეხში გამომყიდველს და რომ ეს აქტი (ნასყიდობა) მოწმეთა დასწრებით (და ნასყიდობის წიგნის მათ მიერ დამოწმებით) შესრულდა, არამედ იმასაც აღნიშნავს, თუ რა უფლებით ჰყავდა ეს გლეხი მის გამომყიდველს და მოკლედ (თანამედროვეთათვის გასაგები ჲურიდიული გამონათქვამით) აღნიშნავს, რომ ნასრას ასულისათვის ეს გლეხი მისვე მამამთილს წისქვალელისძეს მიეცა (არ მიუყიდია !), მაგრამ არა ზეპირი ბოძებით ან დროებით (რა შემთხვევაშიაც ნაბოძები გლეხის უკან გამორთმევის უფლება წირქვალელისძის მემკვიდრეს ექნებოდა), არამედ „ჰ ე (ლ) წ ე რ ი თ უ კ უ ნ ი ს ა მ დ ე“ ე. ი. წერილობითი საბუთით („ჰელწერით“) და სამუდამოდ. მყიდველმა, უეჭველია, ნასყიდ გლეხთან ერთად გამომყიდველისაგან ამ გლეხზე მისი უფლების დამამტკიცებელი საბუთიც მიიღო (ასეთი იყო ქართული ნასყიდობის წესი). წინამძღვრის გამონათქვამი: „მიეცა... ჰელწერითი უკუნისამდე“ მოწმობს, რომ ამ დროს „ჰელწერით მიცემა“ და, მაშასადამე, ხელწერით ყოლა-ქონება (შეადარე „ნასყიდობით“ ქონება!) ჩვეულებრივი და გასაგები იურიდიული გამოთქმა იყო.

ჩვენ რომ გამოთქმა „ჰელის საწერელი“ ამავე საბუთში დამოწმებული არ გვქონოდა, „ჰელწერა“ ტერმინის გვერდით დიპლომატიკური ტერმინი „ჰელის“ ამ ხანებში ცალკე არსებობა შეიძლებოდა არ გვევარაუდებინა. მაგრამ ნიკორწმიდელი წინამძღვრის დაწერილით, როგორც ვხედავთ, დამოწმებული გვაქვს „ჰელიც“ (როგორც ზოგადი დიპლომატიკური ტერმინი) და მისგან ნაწარმოები „ჰელწერით მიცემაც“ უკანასკნელი ჩვენ ჲურიდიული გამონათქვამი გვგონია. ამას უნდა მოწმობდეს მსგავსიეე გამონათქვამი „ჰ ე ლ წ ე რ ი თ დაუწერე“. უკანასკნელი ჩვენ დავიდასტურეთ გოხნარის ეკლესიის XI საუკუნის წარწერაში[75].

---

[75] ეს წარწერა წაიკითხა და გამოსცა პროფ. ე. თაყაიშვილმა.

პროფ. თაყაიშვილის წანაკითხი შეასწორა პროფ. ვ. თოფურიამ. ჩვენთვის საინტერესო ადგილი ე. თაყაიშვილით ასე იკითხება (ეკლესიის ამშენებელი გვაუწყებს, რომ მან აღაშენა ეკლესია და):

„ჰელწერით მიცემა“, „ჰელწერით დამტკიცება“ თუ „ჰელწერით დაწერა“ რაღაც გარკვეული ჯურიდიული სახით გადაცემას უნდა ნიშნავდეს. თვით იმ საბუთს კი, რომელიც ამ აქტის ნიშნად იწერებოდა, ვფიქრობთ, „ჰ ე ლ წ ე რ ი ლ ი“ („ჰ ე ლ ი თ წ ე რ ი ლ ი“, „ჰ ე ლ ი ს წ ე რ ი ლ ი“) ეწოდებოდა. ეს უკანასკნელი ტერმინი ჩვენ საკმაოდ გვაქვს დამოწმებული ძველ ქართულ წყაროებში.

განსვ. აკად. ივ. ჯავახიშვილს შენიშნული აქვს, რომ „საბუთის ერთი გვარის მნიშვნელობით იხმარებოდა აგრეთვე ტერმინი ჰ ე ლ ი თ წ ე რ ი ლ ი“[76–79]. სამწუხაროდ, მკვლევარი მხოლოდ ფაქტის აღნიშვნით დაკმაყოფილდა და ამ დიპლომატიკური ტერმინის შინაარსის გარკვევას არ ცდილა.

---

7 ლს სლსა ჩმისა (თვინ) სახუცოთ სანე
8 ბიეროდ შევწირეთ მ ე ნებითა
და შევ
9 წირეთ და მტკიცე (და) უმტკიცოთ შეუ
10 ვალად .

პროფ. ვ. თოფურია ამ ადგილს შემდეგნაირად კითხულობს:

6 . . . . სჷსრდ ცდ
7 ლ^ნა ს^ნლისას სახოცოდ სანე
8 ბიე ებითა და ჰეე
9 წერით და ო ტ ო მტკიცეთ შეო
10 ვალად

პროფ. ვ. თოფურიას შესწორება ჩვენთვის მეტად სიანტერესოა. პროფ. ე. თაყაიშვილის წანაკითხს: „შ ე ვ წ ი რ ე თ“ მაგივრად პროფ. ვ. თოფურია კითხულობს: „ჰ ე ვ წ ე რ ი თ“. შენიშვნაში ასაბუთებს თაყაიშვილის წანაკითხის მცდარობას და თავის წანაკითხსაც სამართლიანად ასწორებს: ჰ ე ლ წ ე რ ი თ. ამ ნაკლულ წინადადებას პროფ. ვ. თოფურია კითხულობს: ნებითა და ჰელწერით დამტკიცეთ (ე. თაყაიშვილით ეს ადგილი იკითხვის: ნებითა და შევწირეთ და მტკიცე...) ვფიქრობთ, პროფ. ვ. თოფურიას კონიექტურაც შეიძლება შესწორდეს და ეს ისეთივე საბუთით, რომლითაც მან პროფ. ე. თაყაიშვილის წაკითხვა „შევწირეთ“ უარყო, უნდა იკითხებოდეს არა „ჰელწერით დაუმტკიცეთ“, არამედ „ჰელწერით დაუწერეთ“. ჯერ ერთი თვით პროფ. ვ. თოფურიას ამონაკითხით ჩვენ გვაქვს არა „დამტ“, რომ მისი „დამტკიცეთ“ წაკითხვა შეიძლებოდეს, არამედ „დაოტ“; მეორეც, თუ ჩვენ აქ ამოვიკითხავდით „დამტკიცეთ“, უმალვე სიძნელეს შექმნიდა ამავე სტრიქონში ცხრა ასოს შემდეგ უეჭველობით ამონაკითხი: „დამტკიცეთ შეუვალად“. ამიტომ, ეკადნიერობთ „ზეპირ“ შესწორებას, პროფ. ვ. თოფურიას ამონაკითხი ჯგუფი „დაოტ“ შეიძლება იკითხებოდეს „ღაოწ“ (ამას გვაფიქრებინებს ტ-არისა და წი-ლის მოხაზულობის მსგავსებაც) და მისი ერთადერთი ამოხსნაც იქნებოდა „დაოწ(ერეთ)“. მაგრამ, თუნდაც ჩვენი კონიექტურა—„ჰელწერით დაუწერეთ“ მცდარი აღმოჩნდეს და ნამდვილად კი აქ „ჰელწერით დაუმტკიცეთ“ იქნას დადასტურებული, მით ჩვენი საკითხისათვის ამ ფაქტის მნიშვნელობა მაინც არ მცირდება.

[76–79] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სიგელთა მცოდნეობა ანუ დიპლომატიკა, 31.

ტერმინი „ქელით წერილი“ დამოწმებულია როგორც ნათარგმნს, ისე ორიგინალურ ქართულ ძეგლებში. გიორგი მთაწმინდელი მოგვითხრობს, რომ იოანემ და ეფთჳმემ ქართველთა ლავრას „მოუგნეს დაბანი და სოფელნი და მონასტერნი და საყუდებულონი და განუწესნეს წესნი და კანონნი დიდებულნი და ყოვლად შუენიერნი. და დაუსხნეს სიმტკიცენი და ქელით წერილნი და ოქრო-ბეჭედნი ღმრთისმსახურთა მეფეთანი[80]. ამ ამონაწერიდან არა ჩანს გარკვევით, თუ როგორ საბუთს ეწოდებოდა „ქელით წერილი“ და ეს დამოუკიდებლად იმისგან თუ როგორ გავიგებთ ტექსტს: ყველა ეს საბუთები („სიმტკიცენი“, „ქელით-წერილნი“ და „ოქრობეჭედნი“) „ღმრთისმსახურთა მეფეთა“ დაუდვეს მონასტერს, თუ მათი მხოლოდ „ოქრობეჭედნი“ იყო.

ნაკლულობის გამო, სამწუხაროდ, არც არსენი კათალიკოზის XIII სი-ს შიომღვიმის მონასტრისათვის დაწერილიდან ჩანს, თუ როგორ საბუთს ეწოდებოდა „ხელით წერილი“. „...და ვინც ეს დაწერილი და გაგებული წ-სა უდაბნოსა მღუიმისასა შეუცვალოს-(უწ)ინდელი წდისა მამათმთავრისა იოვანესი ქ-ზისა ანუ ოქროპირი ქ-ზისა ანუ გაბრიელ... (და რაო) დენნი სხუანი შემდგომითი შემდგომად სხენან ქელით წერილნი სანატრელთა--წისა მამათმთავრისა მელქიზედეკისი. ვინ შეცვალოს ამას ყოველსა შენ-- მათ სანატრელთა ქელითა დამტკიცებული, გინა დიდისა დავითის ანდერძ(ი და)- სიგლები მათი - - შეცვალებულყოს, ჰრისხავს ღმერთი... კრულია ქ-ეს ღი-სა მიერ... (წყევა) ამენ. მე არსენ (ქ-ზმან) ჩემით ჭელითა დავწერე ყოველი ესე სიმტკიცე და სახენი მტკიცემ-ყოფელნი... (აკურთხ)ნეს ღ-ნ და წდამან დედაქალაქმან:“—

სხვა ხელით, მხედრულად: („ესე) ვითა წდასა კრებასა და წმიდასა მამამთავარსა ჩუენსა არსენის ქ-სმ-რ:ქ:ეზსა განუჩენია ბჭობითა და დიდთა მამათმთავართა და მოძღუართა ჩუენთა ქელით წერილნი - - დაუმტკიცებიან მეცა გლახაკი ქ:მ-ზი საბა ქელის წერით ვამტკიცებ“[81].

ამ ნაკლული ამონაწერიდან (სამწუხაროდ, გამომცემელს არ აღუნიშნავს სად რამდენი აკლია ტექსტს, ამიტომ აღდგენის ცდა სახიფათოა)—მხოლოდ ისაა ცხადი, რომ შიომღვიმის მონასტერს „ქელითწერილნი“ მრავალი ჰქონია და ეს საბუთები დასხმული ყოფილა „მამამთავართა და მოძღუართაგან“. გარდა ამისა ცხადია, აგრეთ-

---

[80] ცხოვრება იოანე და ეფთვიმესი, ათონის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი ალაპებით, გამოც. ა. ხახანაშვილის, 3.

[81] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა, 51—52; ქრონიკები, II, 95—96.

ვე, რომ ამ „ჭლითწერილთა“ შორის „ანდერძი“ და „სიგელები“ არ იგულისხმება.

„ჭელითწერილის“ რაობის გარკვევისათვის უფრო შინაარსიანია „სასწაული მერვე წმიდისა შიოსი[82].

სტეფანოზ ქართლის მთავარმა შიომღვიმის მონასტერს ორი აგარაკი მისტაცა .წმინდა შიომ, ამიტომ, სტეფანოზი დასაჯა. მხედველობა წაართვა. სტეფანოზმა შეცოდება მოინანია: „მოუწოდა უკუე სტეფანოზ მწიგნობარსა თჳსსა და უბრძანა მას, რათა დასწერნეს ორნი დაბანი დაბათაგან სამეფოთა ურჩეულესნი. მერმე აღიღო ჭელითა თჳსითა ქარტა იგი და დადვა საფლავსა ზედა წმიდისა შიოსსა და ესრეთ ჰგოდებდა: აჰა მამაო პატიჟი ბრალისა ჩემისა. მიიღე ჭელით წერილი ესე და შემინდევ ბრალი ჩემი“. წმინდა შიომ შეუნდო სტეფანოზს, მხედველობა დაუბრუნა. და სტეფანოზმა „დაამტკიცა უკუე ჭელითა წერილი იგი ჭელითა თჳსითა“. მოტანილი მოწმობიდან უპირველეს ყოვლისა ჩანს, რომ „ჭელით წერილს“ საკუთარის ხელით დაწერასთან, ხელრთვასთან ანუ საკუთარის ხელით დამტკიცებასთან კავშირი არ აქვს: „ჭელით წერილი“, რომლითაც სტეფანოზმა მონასტერს ორი დაბა „დაუწერა“, მას კი არ დაუწერია, არამედ მისმა მწიგნობარმა; ეს საბუთი სტეფანოზს ჯერ არ დაემტკიცებია და მას იგი მაინც „ჭელითწერილს“ უწოდებს; მხოლოდ შემდეგ, როცა სტეფანოზს თვალები აეხილა, „მან დაამტკიცა ჭელთწერილი იგი ჭელითა თჳსითა“ (ეს „დამტკიცება ჭელითა თჳსითა“ საბუთის სუბიექტის მიერ ისეთივე არსებითი ნიშანია, „ჭელითწერილისათვის“, როგორც მრავალ სხვა საბუთისათვის, სადაც კი ერთი პირი რაიმე უფლებას მეორეს გადასცემს, ვთქვათ, ნასყიდობის წიგნისათვის, წყალობის წიგნისათვის, ანდერძისათვის და სხვ.; ამიტომ, არაა საფიქრებელი, რომ ამ ტერმინის „ჭელითწერილის“, წარმოშობა რაიმე კავშირში იყოს ამ საბუთის სუბიექტის მიერ მის დამტკიცებასთან). მოტანილი მოწმობით სტეფანოზის „ჭელითწერილი“ არის ჯურიდიული საბუთი, რომლითაც ამ მთავარმა შიომღვიმის მონასტერს საკუთრების უფლება გადასცა ორ დაბაზე, მაგრამ გადასცა არა ნასყიდობით, ან წყალობით (მონასტერს აჯით და მოხსენებით არ მიუმართავს ღმრთის შემცოდე მთავრისათვის), ან ანდერძობით, არამედ რაღაც სხვა წესით.

სტეფანოზის „ჭელით წერილი“ ისეთივე „ჭელწერით უკუნისამდე“ დადებული საბუთია, ჩანს, როგორც წირქუალელის ძის მიერ ნასრას ასულისათვის მიცემული წიგნი. არც ეს უკანასკნელია ნასყიდობა, ან წყალობა, ან ანდერძი .ესეც მიცემულია .რაღაც მიზეზის

---

[82] ქრონ. II, 96; საბინინი, საქ. სამოთხე, 258.

გამო და „უკუნისამდე“ პირობის აღთქმით, ვალდებულებით, ისევე, როგორც ეს იგულისხმება სტეფანოზის „ჴელითწერილში“. უკანასკნელი მომენტი, პ ი რ ო ბ ა-ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ე ბ ა, საფიქრებელია, განსაკუთრებით განასხვავებდა, „ჴელწერილს“ ყველა სხვა „ჴელისა“ თუ „დაწერილისაგან“.

პირობა-ვალდებულობის წიგნის შინაარსით „ჴელითწერილი“ ჩვენ უკვე დაბადების თარგმანში გვხვდება. „და ოდეს იხილა (ტობიამ)... გაბაილ სიგლახაკესა შინა მყოფი, რომელი იყო ტომისაგან მისისა, მისცა მას ვეცხლი ესე შემდგომად ჴელითწერილისა მისისა“[83]. შემდეგ ტობია ეუბნება თავის შვილს: „...მივეც ათი ტალანტი ვეცხლი... გავალს... და ჴელითწერილი მისი მაქუს მე ჩემთანა. და ამისთვის იძიე ვითარ მისა მიმართ წარხვიდე და მოიღო მისგან ზემოხსენებული წონა ვეცხლისა და მიეც მას ხელითწერილი მისი“[84]. რაფაილ მართლაც „წარვიდა,... პოვა ღავალ, მისცა მას ჴელითწერილი მისი და მოიღო მისგან ყოველი ვეცხლი“[85]. აქ, როგორც ვხედავთ, ხელითწერილი უდრის „ვალის წიგნს“ თამასუქს, ვექსილს.

ასევე ვალდებულობა-პირობის წიგნის შინაარსით ხმარობს ამ ტერმინს ლეონტი მროველიც. მირიან მეფეს ორი ვაჟი ჰყავდა: რევ და ბაქარ. რევი სომეხთა მეფის თრდატის სიძე იყო. ის მირიანის სიცოცხლეშივე გარდაიცვალა. მირიანმა მეფედ ბაქარი დასვა. რევის ძეებმა ტახტის ძებნა იწყეს. მათ სომხები ეხმარებოდნენ, ბაქარმა სპარსელები მოიშველა. ომი ჯავახეთს მოხდა. ბაქარმა გაიმარჯვა. „მაშინ მეფემან ბაქარ, შუამდგომლობითა ბერძენთა მეფისა და სპარსთა მეფისათა, დ ა წ ე რ ა ჴ ე ლ ი თ- წ ე რ ი ლ ი ძმისწულთა მისთა და დედისა მათისა სალომესაგან ესრეთ: ვიდრემდის იყოს ნათესავი ბაქარისი, რომელსა ეძლოს პყრობა მეფობისა, მისი იყოს მეფობა. არა ოდეს ძებნონ მეფობა ნათესავთა რევისთა. მაშინღა მოიყუანნა ძმისწულნი მისნი და მისცნა კუხეთი და დასხნა რუსთავის ერისთავად“[86].

გვიანფეოდალურ საქართველოში, ისევე როგორც ჩვენ დროშიაც, ტერმინი ხელწერილი ჩვეულებრივ პირობა-ვალდებულობის შინაარსით იხმარება[87].

---

[83] ტობია 1, 17.

[84] ტობია 4, 21, 22, 23.

[85] ტობია 9, 6.

[86] ქ ᲙᲐ, (მარ.), 112 (ქართლის ცხოვრება, I, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, 1965, გვ. 131).

[87] დას. საქ. საეკ. საბ., II, 77; ქცა (მარ.), 943. (ქართლის ცხოვრება, I, 370, 516).

„ქელი“, როგორც დიპლომატიკური დოკუმენტის ზოგადი სახელი, ვფიქრობთ, დამოწმებული გვაქვს XI საუკუნის მეორე ცნობილ საბუთში, ბაგრატ IV სიგელში[88].

შავშეთში ორ მონასტერს, მიჯნაძორს და ოპიზას, შფოთი ჰქონდათ: მამულებზე დაობდნენ. მოჩივარნი ქუთაისს ბაგრატ მეფის წინაშე მივიდნენ. აქვე „მოიყვანნეს“ სარჩელის იურიდიული პირები:—„ხატნი წმიდათა მოციქულთა პეტრესი და პავლესი და ნაწილნი წმიდისა ბართლომე მოციქულისანი“ და თან მოიტანეს მათი სამამულო უფლების დამამტკიცებელი საბუთებიც. მეფე სწერს: „მიჯნაძოროელთა... მოიხუნეს სიგელნი გურგენ ერისთავთა ერისთავისაი[89], გურგენ მეფეთა მეფისაი[90], პაპისა ჩემისა ბაგრატ კურაპალატისაი[91] და მამისა ჩემის გიორგი მეფისაი[92], რომლითა იგი ტყენი და ზღვარნი მიჯნაძოროისათუის დაემტკიცნეს... და მოიღეს ოპიზართა დაწერილი გუარამ მამფლისაი[93], რომლითა მას ტყესა და ზღვარსა მიჯნაძოროელთა ერჩოდეს. და ამათ, მიჯნაძოროისა სიგელთა შინა გუარამ მამფლისა დაწერილი რომელ ოპიზართათუის დაუწერია, არა ჯსენებულ იყო არცა დამტკიცებულად და არცა გარდაგდებულად.. და ქელეყავ ხარკებით საურავსა მათსა. შეეკრიბენ კარსა დარბაზისა ჩუენისასა მღვდელთმოძღუარნი, ერისთავთ-ერისთავნი, ერისთავნი და ყოველთა ქევთა ზემოთა და ქუემოთა აზნაურნი, მეცნიერნი საბჭოთა საქმეთანი და დავსხენით წინაშე ჩუენსა და წავიკითხენით მათნიცა და მათნიცა დაწერილნი და რომელი სიტყვისგებაი იყო მათ შორის, მოვისმინეთ და სამართლად ესე გავიგონეთ, რომელ ქელნი ამათნი მრავალნი და მტკიცენი იყუნეს და ჩუნგან მათი გატეხაი არა ჯერ იყო, და სულსა მათ პირველთა მეფეთასა არა დავამძიმებდით. და თუმცა ოპიზარნი უნუგეშინისცემოდ გაგუეშნეს, იგინი შეწუხდებოდეს და ესე ჩუნ ბრალად შევინახეთ და აწ... ესრეთ განვაგე და დავამტკიცე საქმე მათი: ტყენი და ზღვარნი ამათნი, ვითა მათ პირველთა მეფეთა დაწერილთა სიგელთა შიგან უწერიან... ესე ზღვარნი მტკიცენი არიან მიჯნაძოროელთა ზედა... და ამისდა ნაცვლად, რათამცა ოპიზარნიცა გულსავსე ვყვენ, სალოცველად სულისა ჩემისა თავსავე ჩემსა დავათმინე: ავიღე სამამასახლისოისა სამსახურებლისა ჩუენისაგან ბარევანი სოფელი და მივეც ოპიზართა სატრაპეზოდ და გარდავსწყუიდე მათ შორის საზიდი და სარჩელი“...

---

[88] საქ. სიძვ. II, 2; შიომღვ. ისტ. საბ-ბი, 8.
[89] + 968 წ.
[90] + 1008 წ.
[91] + 1014 წ.
[92] + 1027 წ.
[93] + 883 წ.

ამ ამონაწერში ჩვენს ყურადღებას იქცევს გამოთქმა: „რომელ ჯელნი ამათნი მრავალნი და მტკიცენი იყუნეს და ჩუენგან მათი გატეხა არა ჯერ იყო". ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ წინადადებაში „ჯელი" ნახმარია სიგლის, უკეთ, უფლების ამსახველი დოკუმენტის „ზოგადი" მნიშვნელობით ე. ი. რომ ამ „ჯელნში" ბაგრატ მეფე გულისხმობდა მიჯნაძოროის მონასტრისათვის მეფეთა მიერ ბოძებულ სიგლებს.

ერთის შეხედვით ადამიანს შეიძლებოდა ეფიქრა რომ „ჯელნი" აქ ხელჩართულობის საკუთარის ხელით დამტკიცების მნიშვნელობით არის ნახმარი[94], მაგრამ ეს შეცდომა იქნებოდა:

1. მიჯნაძოროელებს ბაგრატ მეფესთან ერთი სიგელი კი არ მიუტანიათ, რომელიც ზემოხსენებულ ხელმწიფეთა მიერ ერთი მეორის შემდგომ სიმტკიცის მოწერით (ხელჩართულობით) იყო დადებულ-განახლებული, არამედ მათ წარადგინეს ოთხი სიგელი, რომელთაგან თითოეული დამტკიცებული იყო მისი მბოძებლისაგან და კათალიკოზ-მღვდელმოძღვართაგან. ამიტომ გამოთქმაში „ჯელნი ამათნი მრავალნი და მტკიცენი იყუნეს" უფრო მართებულია ვიგულისხმოთ: „სიგელნი (წერილობითი საბუთნი) ამათნი მრავალნი და მტკიცენი იყუნეს", თუნდაც რომ სიტყვა „ამათში" სიგელთა მბოძებელი პირები იგულისხმებოდნენ;

2. თუ ტერმინში „ჯელნი" ჩვენ სიგლების მბოძებელთა ხელჩართულობებს ვიგულისხმებდით, ასეთ ჯელთა სიმტკიცის მეტ-ნაკლებობაზე ან საერთოდ ასეთ ჯელთა სიმტკიცეზე ლაპარაკი უადგილო და ზედმეტი იქნებოდა: ჯელჩართულობა ყველა ერთნაირად მტკიცეა (თუ, რა თქმა უნდა, ის ნატყუარი არაა). ამავე დროს ამ ჯელთა სიმტკიცის აღნიშვნა სრულიად ბუნებრივია, თუ „ჯელში" ჩვენ სიგელს (წერილობით საბუთს) ვიგულისხმებდით;

3. ნაცვალსახელში „ამათნი" („ჯელნი ამათნი მრავალნი და მტკიცენი იყუნეს)", ჩვენ ვფიქრობთ, იგულისხმება არა სიგელთა მბოძებლები, არამედ მიჯნაძოროელი მოსარჩლე მონაზვნები. მეფე მოგვითხრობს, რომ ამ სარჩელის გადასაწყვეტად დარბაზის სხდომა მოვიწვიეთ „და წავიკითხენით მათნიცა და მათნიცა დაწერილნი და რომელი სიტყუისგებაი იყო მათ შორის, მოვისმინეთ და სამართლად ესე გავიგონეთ, რომელ ჯელნი ამათნი მრავალნი და მტკიცენი იყუნეს და ჩუენგან მათი გატეხა არა ჯერ იყო და სულსა მათ პირველთა მეფეთასა არა დავამძიმებდით და თუმცა ოპიზარნი უნუგეშინისცე-

[94] ისევე, ვთქვათ, როგორც ეს ტერმინი შეიძლება ნახმარი იყოს ერთს XV ს-ის მეტად საინტერესო იურიდიულ დოკუმენტში. იხ. მასალები საქ. და კავ. ისტ., 1937, ნაკვ. I. ნ. ბერძენიშვილი, ფეოდალური ურთიერთობიდან XVს-ში, გვ. 45 20—21.

მოდ გაგუეშნეს, იგინი შეწუხდებოდეს და ესე ჩუენ ბრალად შევინახეთ და აწ... ესრეთ განვაგე და დავამტკიცე“... ეს ადგილი ჩვენ ასე გვესმის:

დარბაზის სხდომაზე მხარეთა წერილობითი საბუთები ე. ი. მათი უფლების დამამტკიცებელი მოწმობანი („მათნიცა და მათნიცა დაწერილნი“)[95] წავიკითხეთ და მათი ზეპირი სიტყვა-პასუხიც მოვისმინეთ და ასე გავსაჯეთ, რომ ამათი (ე. ი. მიჯნაძოროელთა) წერილობითი საბუთები („ჟელნი“) მრავალი და მტკიცე იყო და ჩვენ მათ ვერ უარეყოფდით... მაგრამ უნუგეშინისცემოდ ვერც ოპიზართ დავტოვებდით და ამიტომ ასე და ასე განვაგე და დავამტკიცეო. კონტექსტით „ჟელნი ამათნი“ აქ სხვაგვარად არ გაიგება, თუ არ „ჟელნი“ მიჯნაძოროელთა. ამას მოწმობს მისი დაპირისპირებული: „თუმცა ოპიზარნი უნუგეშინისცემოდ გაგუეშნეს“ და სხვ. მაგრამ დაპირისპირება მხოლოდ იმ შემთხვევაში გვექნება, თუ „ამათში“ მიჯნაძოროელნი იგულისხმება;

4. ჩვენს ამ გაგებას მხარს უჭერს შემდეგი გარემოებაც: ვისაც „ჟელი“ ეკუთვნის, ის ნაჩვენებია ნაცვალსახელით „ამათნი“ („ჟელნი ამათნი“), ხოლო მეფენი, რომელთაც ეს სიგლები მონასტერს უბოძეს, იმავე წინადადებაში აღნიშნულია ნაცვალსახელით „მათ“ („სულსა მათ პირველთა მეფეთასა“). თითქო ცხადია, რომ „ამათში“ ეს მეფენი კი არ იგულისხმებიან, არამედ მიჯნაძოროელი მონაზვნები (და „ჟელნი ამათნი“ ნიშნავს სარჩელზე მიჯნაძოროელ მონაზვნების მიერ წარმოდგენილ წერილობით საბუთებს). ხოლო თუ ეს ასეა, „ჟ ე ლ ნ ი ც“ აქ ნ ა ხ მ ა რ ი ა მ ო ნ ა ს ტ რ ი ს ს ა მ ა მ უ ლ ო უ ფ ლ ე ბ ი ს დ ა მ ა მ ტ კ ი ც ე ბ ე ლ ი უ რ ი დ ი უ ლ ი ს ა ბ უ თ ი ს ზ ო გ ა დ ი მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ი თ. ეხლა ისიც გასაგებია, თუ ბაგრატ მეფემ ეს საბუთები რატომ აქაც „სიგლებად“ არ მოიხსენია;

5. დასასრულ, ბაგრატ მეფე „ჟელს“ რომ აქ „სიგლის“, დაწერილის“ მნიშვნელობით ხმარობს, ამას ქართულ დიპლომატიკაში არსებული წესიც მოწმობს: როცა ვინმე ძველს ურთიერთობას, წერილობით საბუთში აღნიშნულს, არღვევდა ან ასეთი დარღვევის შესაძლებლობას ითვალისწინებდა და ახალ ურთიერთობას ამყარებდა, ის საამისო წერილობით საბუთში ამ ფაქტს (ე. ი. ძველი ურთიერ-

---

[95] განსვ. აკად. ივ. ჯავახიშვილი ამ სიტყვაში: „დაწერილნი „ზემოდასახელებულ სიგლებს არ ჰგულისხმობს. იხ. ქართული სიგელთ-მცოდნეობა ანუ დიპლომატიკა, 25—26. ჩვენ კი გვგონია, რომ ამ სიტყვაში აქ სწორედ ორივე მხარის ეს იურიდიული საბუთები იგულისხმება ე. ი. გვგონია, რომ „დაწერილი“ აქ დიპლომატიკური ტერმინია და ეწოდება როგორც გვარამ მამფლის-დაწერილს, ისე მეფეთა სიგლებსაც.

თობის დარღვევას ან დარღვევის შესაძლებლობას) შემდეგი სიტყვებით გამოსთქვამდა (დაახლოებით): თუ ვინმე სხვას ამ საქმის გამო წიგნი (სიგელი, დაწერილი...) აღმოაჩნდეს,—ყველა ამ წიგნით გაგვიტეხია და მტკიცე ესე ოდენ არსო[96]. ასე რომ გატეხა იგულისხმებოდა წერილობითი აქტის (სიგლის, დაწერილის და ყოველგვარი სიმტკიცის) და არა ამ წერილობით აქტის ხელრთვისა. ამასვე ჰგულისხმობს ბაგრატ მეფეც.

ამრიგად, მივიღეთ, რომ ჯელი ამ საბუთით დიპლომატიკური ტერმინია და იხმარება სამამულო უფლების დამამტკიცებელ წერილობითი საბუთის ზოგადი მნიშვნელობით. ეს დასკვნა სავსებით ეთანხმება ზემორე, ნიკორწმიღელი წინამძღვრის „დაწერილით" მიღებულ დასკვნას. იქ „ჯელში" „ნასყიდობის წიგნი" და „ჯელწერილი" იგულისხმებოდა, ბაგრატის სიგლით კი მამულის წყალობა-დამტკიცების სიგელ-დაწერილნიც „ჯელია".

ბაგრატ მეფის განცხადება, რომ მიჯნაძოროელთა „ჯელნი" მტკიცენი იყუნეს და ჩუენგან მათი გატეხა არა ჯერ იყო, იურიდიულ საბუთის „გატეხის" აღნიშვნის უძველესი მოწმობაა. როგორც ზემოთ შევნიშნეთ, ასეთი გამოთქმა შემდეგ ხანებშიაც არა ერთხელ გვხვდება. მაგრამ ყურადღებას იქცევს ის მოვლენა, რომ საბუთის „გატეხის" ნაცვლად თანდათან შემოდის და მის ადგილს იჭერს საბუთის „მოშლა", „გაცუდება", „გაბათილება", „გაუქმება".

არა გვგონია, რომ ეს შემთხვევითი გარემოებით აიხსნებოდეს. ბუნებრივად შემდეგი ისტორიული სურათი გვეხატება: „ჯელის გატეხა" უძველეს ქართულ დიპლომატიკაში ჩვეულებრივი ფორმულა იყო (ბაგრატთანაც ის ასეთი ჩვეულებრივი ფორმულის მნიშვნელობითაა ნაგულისხმევი). შემდეგ, როცა „ჯელი (დაწერილი) მრავალ სხვადასხვა სიმტკიცის წიგნად იქცა, მათ მიმართ „გატეხა" გამოთქმაც თანდათან სხვა უფრო „შესაფერისი" გამოთქმებით შეიცვალა. ეს ასე იყო. მაშასადამე, გამოდის, რომ „ჯელის" მიმართ „გატეხა" ბუნებრივი და შესაფერისი გამოთქმა იყო, სხვა „წიგნების" მიმართ ის გადატანითი მნიშვნელობით იხმარებოდა და მისი შეცვლაც ამ ნიადაგზე გახდა საჭირო და შესაძლებელი. კი მაგრამ ეს ჩვენი „ჯელიც" ხომ წერილობით დოკუმენტს ნიშნავდა?. როდის და როგორღა იყო ბუნებრივი „ჯელის გატეხა", ანუ როდის შეიქმნა გამოთქმა „ჯელის გატეხა"??

ეხლა, როცა „ჯელის", როგორც დიპლომატიკური დოკუმენტის, ძველისძველობა (თავდაპირველობა) თანდათან თითქო სულ

[96] საისტორიო მოამბე I, 1925. დავით ნარინის სიგელი; ქრონ. II, 138. კახა თორელის დაწერილი და სხვ.

უფრო და უფრო სარწმუნო ხდება, ვფიქრობთ, შეიძლება ვიკითხოთ: „ქელის გატეხა“ ხომ არ არის იმ დროს შემუშავებული გამოთქმა, როცა იურიდიულ საბუთს, „ქელს“ მხოლოდ მკვრივ (ტეხად) ნივთიერებაზე წერდნენ, ხოლო ასეთი საბუთის იურიდიული შინაარსის გაუქმებისას ამ „ქელს“ მართლად სტეხდნენ?? რა თქმა უნდა, ჩვენ ამით რისამე დამტკიცებას არ ვიჩემებთ. აღსანიშნავია მხოლოდ, რომ გამოთქმა „ქელის გატეხა“ ისევე ძველი ჩანს, როგორც თვით „ქელი“. შემდგომი ხანის იურიდიული დოკუმენტების მიმართ ეს გამოთქმა თანდათან ქრება[97].

* * *

ქართული დიპლომატიკის ისტორიული შესწავლა მხოლოდ დაწყებულია. შეუსწავლელია, კერძოდ, ქართული იურიდიული დოკუმენტების ხელრთვა-დამტკიცების რაობა, ამ ხელრთვის წარმოშობა, მისი განვითარება.

ქართულ დიპლომატიკის ძეგლთა („ქელის“) ჩვენ მიერ აღებული თვალსაზრისით შესწავლისათვის განსაკუთრებით საყურადღებო ჩანს ხელრთვის წესთან დაკავშირებული მოვლენები[98]. ჩვენთვის, რა თქმა უნდა, საინტერესო იქნებოდა იმის შესწავლა, თუ საიდან, როგორ და როდის წარმოიშვა და შემუშავდა საბუთების დამტკიცების ასეთი წესი, მაგრამ ამ ხელად ჩვენ აგრე შორს ვერ წავალთ (ეს თვით საბუთის წარმოშობა-განვითარების საკითხის შესწავლასთან მიგვიყვანდა) და მხოლოდ რამოდენიმე ტერმინოლოგიური ხასიათის დაკვირვებით დავკმაყოფილდებით. განსვ. აკად. ივ. ჯავახიშვილი თავის სიგელთმცოდნეობაში სწორად აღნიშნავს, რომ საბუთზე „ხელის მოწერა“ მისი მიმცემის თუ დამდების მიერ აუ-

---

[97] პირდაპირი თუ გადატანითი მნიშვნელობით ძველ ქართულ იურიდიულ საბუთებში გატეხა იხსენიება: სიგლიხ, ფიცის, პირის, შეწირულობის, ნასყიდობის, ანდერძის, სითარხნის, გუჯრის, ნიშნის, დაწერილის და... ყოველგვარი „სიმტკიცის“; ეკლესიის, ხატის, სასახლის, სასაფლაოსი, ბეღლის, წისქვილის, ჯოგის, ნახირის, ხვასტაგის, სასაძოვრესი, საზღვრის... სხვა წერილობით ძეგლებით კიდევ აღნიშნულია გატეხა: ქალაქის, ციხის, ქვის, პურის, ნამუსის, სახელის, თავის, რჯულის, რაზმის და სხვ. მრავალი.

[98] სამწუხაროდ, „ქელი“ წერილობითი დოკუმენტის სახით ჯერჯერობით ჩვენ მხოლოდ ორი მოგვეპოვება. ამიტომ არა გვაქვს საკმაო საფუძველი გადაჭრით ვამტკიცოთ: ის სიმბოლური ნიშნები, ჭალისუბნურ „ქელს“ რომ ახლავს, შემთხვევითი ხასიათის რაღაც მოვლენაა, „ქელის“, როგორც სპეციფიკური დოკუმენტის, დამახასიათებელი ხელრთვანია თუ საერთოდ იურიდიულ წერილობითი დოკუმენტის, ე. ი. ზოგადი მნიშვნელობით გაგებული „ქელის“ დასამტკიცებლად ძველიდანვე მიღებული წესის გადმონაშთია, ამ ჭალისუბნურ „ქელზე“ აგრე თავისებური ფორმით შემონახული? უკანასკნელი ვარაუდი ჩვენ უფრო საბუთიერად გვეჩვენება...

ცილებელი იყო და უამისოდ „თვით საბუთს რასაკვირველია. არავითარი იურიდიული ძნიშვნელობა არ ჰქონდა“[99].

„ქართული სიგელმცოდნეობის“ ავტორი წერს: „როცა საბუთს სიგელისა ან გუჯრის მიმცემი ხელს აწერდა, ამას, „ქელის ჩართვა“ ან მარტივად „ქელის რთვა“ ეწოდებოდა“. მასვე აღნიშნული აქვს, რომ ქართულ საბუთებს, „თვით მეფისაგან ნაწყალობევსაც კი დამსწრეთა და მოხელეთა ჩვეულებრივი მოწმობანიც ხელრთულობითურთ ჰქონდათ ხოლმე[100]. და განაგრძობს: „ეს მოწმობანიც, რასაკვირველია, სიგელის სიმტკიცისათვის იყო შემოღებული, რადგან საბუთში აღნიშნული გარემოების მოწმეთა ხელის მოწერა უფრო უზრუნველყოფდა საბუთის ეჭვმიუტანილობას“[101].

საბუთის დამტკიცებას ანუ, როგორც იტყოდნენ, „სიმტკიცის დაწერას[102]“ „ქელის ჩართვა“ ან „ქელჩართვა“ ეწოდებოდა. „კვირიკე კახთა მეფე ამტკიცებს მელქისედეკ კათალიკოზის დაწერილს: „ესე ვითა, დიდებულ ყავნ ღმერთმან სული მათი, მელიქიზედეკს. ქართლისა კათალიკოზსა, სულისა მათისათჳს გაუგია და დაუწერია და შედეგად, ადიდენ ღმერთმან, ბაგრატ კურაპალატსა ქელითა მათითა ჩაურთავს და დაუმტკიცებია, მეცა კჳრიკე მეფესა, დისწულსა კჳრიკე მეფისასა ქელითა ჩემითა ჩამირთავს და დამიმტკიცებია“[103].

ქამთა-აღმწერელი იმის დასასაბუთებლად, რომ დავით ლაშასძე და დავით რუსუდანის-ძე ერთად მეფობდნენ, ამბობს: „მრავალი სიგელი იპოვების და თჳთ მე მინახავს, რომელ სიგლებისა თავსა სწერია: „მეფენი ბაგრატიონნი ნებითა ღᲜთისათა დავით და დავით“

---

[99] გ. ბოჭორიძე, op. cit. 113.

[100] ივ. ჯავახიშვილი, op. cit., 113, 116

[101] ეს დაკვირვება, საერთოდ აღებული, სწორია და სახელმწიფო წესწყობილების პირობებში, გარკვეულ დროს მოწმე-დამამტკიცებელთა ხელრთვა, უმთავრესად, მართლაც საბუთის ეჭვმიუტანლობის უზრუნველყოფას ემსახურებოდა. ისტორიულად კი ეს ყოველთვის ასე არ ყოფილა და მოწმე-დამამტკიცებელთა ხელრთვის უმთავრესი დანიშნულებაც სულ სხვა რამ იყო. ასე რომ ეს სწორია მხოლოდ ნაწილობრივ: ეს დამტკიცება-მოწმობანი იმათ ესაქმებოდა, ვისაც ამ აქტის დარღვევა შეეძლო, ვინც საბუთის მიმცემის „მოსამართლენი“ იყვნენ... ვინც საბუთის სიმტკიცეს, მაშასადამე, უზრუნველყოფდა. რაც უფრო ძველია დოკუმენტი, ხელრთვისათვის ეს ზომენტი მით უფრო ჩანს, მაგრამ საბოლოოდ ის ბურჟუაზიული ურთიერთობის შემოსვლამდე გამქრალა... (თუმცა არც ბურჟ. ურთიერთობისას გამქრალა საბოლოოდ: ოჯახის წევრების ხელის მოწერა საჭირო იყო).

[102] საქ. მუზ. მოამბე, VI, 293.

[103] იქვე.

და ჭელიცა ორთავესი რთავს: „ჩემ დავითისაგან ძტკიცესარსI და ჩემ დავითისგანცა მტკიცე არს“[104].

აღბუღას სამართალი ითვალისწინებს გლეხის თავდებობის უფლებრივ შეზღუდულობას: „გლეხი თუ გლეხსა თავსდებად დაუდგეს ერთისა ჯარისა ანუ მისის ფასისა უფროსითა, საპატიოს კაცისა იყოს, მისსა ჭ ე ლ ი ს უ ფ ა ლ ს ა ჩ ა ა რ თ ვ ე ვ ი ნ ო ს ჭ ე ლ ი და თუ ქვეყნის დიდებულისა და ანუ აზნაურისა იყოს, მ ა ს ჩ ა ა რ თ ვ ე ვ ი ნ ო ს და ესეთი რაზომცა ზედა დაუდგეს, უზღოს და თუ ჭ ე ლ ი ა რ ა ე რ თ ო ს, გლეხი ამის უფროსითა კერ დაუდგების ამად, რომე არა ღირსა და მისმან პატრონმან ავად გახადოს, იგი გლეხი“[105].

ამ ტექსტიდან ცხადია: გარკვეულ ნორმის ზევით გლეხის თავდებობა რომ კანონიერი იყოს, ამისთვის ამ გლეხის მიერ მიცემული თავდებობის წიგნი ჭელისუფალმა (როცა თავსმდები გლეხი „საპატიოს კაცისაა“, სახელმწიფოა?) ან დიდებულმა და აზნაურმა (როცა ეს გლეხი კერძო, საბატონოა) უნდა დაამტკიცოს, უნდა „ჭელი ჩაურთოს“.

XV საუკუნეში ზევდგინიძიანთ სახლში უთანხმოება იყო. ერთ-ერთი ზევდგინიძე დარბაზში ჩივის, რომ სახლისკაცი მას ყალბი ნაშვილობის წიგნით „ეუბნება“ ე. ი. სასახლეკაცო ქონების ნაწილს უსამართლოდ ითვისებს. და მომჩივანი ამ ნაშვილობის წიგნის უკანონობის დასამტკიცებლად მოახსენებს სასამართლოს, რომ კანონიერი ნაშვილობის წიგნი „მ ე ფ ე თ ა ჭ ე ლ ჩ ა რ თ უ ლ ი და მისთა მდივანთა ჭელწერილი და თავადთა მოწმობითა უნდოდა...., მაგრა ეგრე ტყუილი არის, რომე (მეფეთა) ჭელჩართულის მაგიერი გ ა ბ ე ლ ი ს ძ ი ს (ჭ ე) ლ ჩ ა რ თ უ ლ ი და ნიშანი აქუს“[106]...

1635 წელს თბილელი ეპისკოპოსი და აზნაური ყორღანაშვილი ერთ სოფელზე ცილობდნენ. თბილელი ამბობდა: „ფიცხისის ნასოფლარი სათბილელო არისო. დიდის ლუარსაბის ძმის რამაზისაგან შეწირულობის წიგნი ჭელთა გუაქუსო, ქ მ რ ი ს ა და ც ო ლ ი ს ჭ ე ლ ი უ რ თ ა ვ ს ო“[107].

ვახტანგის სამართლის წიგნის „რნი მუხლში მსჯელობაა მამულის სამართლიან სყიდვაზე და ნათქვამია: „სყიდვა ასრე უნდა: კარგა გამოძიებით მართლის შეტყობით უნდა იყიდოს, რომე ან სხვისი მამული არ შემოატყუოს ან მზღუარი ტყუილად არ დაუწეროს; კაის მოწმით წიგნის დაბეჭდვით უნდა იყიდოს. იქნების დაჭირებული იყოს და იაფად მოჰყიდოს, იქნების მსყიდველს უნდოდეს და

[104] ქართლის ცა (მარ), 652; (ქართლის ცხოვრება, II, 226).

[105] მუხლი 25.

[106] მასალები საქ. და ამიერკავკასიის ისტორიისათვის, I, 1937, 45.

[107] ისტორიული საბუთები, IV, 21.

ძვირად მოსცეს, მაგრამე, რა წიგნი დაიწერების და ქელი ჩაირთვის, რაგინდ ფასი მოუმატონ და ან მსყიდველს აღარ უნდოდეს, ვეღარ მოუშლიან".

გამოთქმა „ქელის ჩართვა" სტერეოტიპულია ეგრეთ წოდებული საფიცრის წიგნისათვის. განცხადება ხელის ჩართვის შესახებ, ჩანს, ამ დარგის საბუთების არსებით ნაწილს შეადგენდა. ჩვეულებრივ საფიცრის წიგნის მიმცემი მის მიერ მიცემულ წიგნს შემდეგი განცხადებით აბოლოებდა: „და ქელიც ასრე ჩაგირთეთ: ამისი-გასატეხი გულში არა აღვიაროთ რა"[108], „და ქელიც ასრე ჩაგირთოთ, რომე ამის გათავების მეტი გულში არა აღვიაროთ რა"[109], და ქელიც ასე ჩაურთოთ: ამ ფიცის გათავების მეტი არა აღვიაროთ რა"[110], ან კიდევ: „და ქელიც ასე ჩაგირთოთ, რომ ამის გათავების მეტი გუნებაში არა აღვიაროთ რა"[111].

მოტანილი მოწმობებიდან ჩანს, რომ ქელის-ჩართვა რაგინდარა საბუთის (სიგლის, დაწერილის, შეწირულობის წიგნის, ნასყიდობის წიგნის, თავდებობის წიგნის, ნაშვილეობის წიგნის, საფიცრის წიგნის...) დამტკიცებას ეწოდებოდა, დამოუკიდებლად იმისგან, თუ ვინ იქნებოდა ეს დამამტკიცებელი: საბუთის მიმცემი, მეფე, სახელმწიფო მოხელე თუ კერძო მებატონე.

ამავე დროს ცხადია აგრეთვე, რომ ეს „ქელჩართული" იყო საბუთის კანონიერების არსებითი ნიშანი, „ურომლოდაც თვით საბუთს, რასაკვირველია, არავითარი იურიდიული მნიშვნელობა არ ჰქონდა"[112].

ზემომოტანილი ამონაწერიდან ისიც კარგად ჩანს, რომ საბუთის დამტკიცების ნიშნად მასზე მოწერილ ფორმულას („რთულსა" თუ „მარტივ ქელრთულობას"[113]) „ქელი" ეწოდებოდა ე. ი. რომ „ქელის ჩართვა" „სიმტკიცის დაწერის" შესატყვისი გამოთქმა იყო და „ქელი" ამ „სიმტკიცეს" ერქვა. საყურადღებოა, რომ მეფის ქელის ანუ საბუთის დამტკიცების თუ სიმტკიცის ნიშნად მეფის მიერ მოწერილ ფორმულას „საუფლოჲ ქელი" ეწოდებოდა[114]. „საუფლოჲ" ამ ტერმინის სიძველეს უნდა მოწმობდეს: საფუძვლიანი ჩანს ვარაუდი, რომ „საუფლო ქელით" საბუთის დამტკიცების წესი იმ დროს შემუშავებული მოვლენაა, როცა „უფალი" ჯერ კიდევ ცოცხალი სოციალური ტერმინი იყო.

---

108 ხელნ. ინსტ., Hd, 2121, Hd, 2128.
109 Hd, 2129.
110 Hd, 2116.
111 Hd, 2149.
112 ივ. ჯავახიშვილი, op. cit. 113.
113 ივ. ჯავახიშვილი, op. cit. 131—132.
114 შიომღ. საბ-ბი, 27; ქრონ. II, 74 და სხვ.

1412 წელს ზევდგინიძეებმა შოთა, შიაოშ და მირიან შიომღვიმის მონასტრის ყმები, დედაბრიშვილები, ყოველივე საბატონო „სათხოვარისა და გამოსაღებისაგან“ გაათავისუფლეს. საამისო საბუთმა დედნის სახით მოაღწია ჩვენს დრომდის. და აი იმ ადგილას, სადაც საბუთის მიმცემთ უნდა „ჴელი ჩაერთოთ“ (ე. ი. სათვალავის ანუ ქრონიკონის შემდეგ და მოწმეთა ჴელრთვის უწინ) დასმულია სამი ჯვარი; ერთ მათგანს მიწერილი აქვს „ჴელი შოთაისი“, მეორეს „ჴელი შიაოშისი“, მესამე „ჴელი მირიანისი“[115]. ამით მწერალს სურდა აღენიშნა, რომ ეს „სიმტკიცის ნიშნები“ ანუ „ჴელჩართულები“ ხსენებულ პირთ ეკუთვნის. ამავე დროს კი ეს „ჴელები“ გამოსახულია ჯვრებით. ამ ჯვრებს რომ აქ „ჴელი“ არა რქმეოდა, მწერალი დასწერდა: ჯვარი შოთაისი და ა. შ.; ვერც იმას იტყოდა მწერალი, რომ ესა და ეს ჯვარი ამა და ამ პირის ნახელავიაო (თუ, რა თქმა უნდა, ეს ჯვრები „ჴელის“ მნიშვნელობით არ ესმოდა): მნიშვნელობა ჰქონდა და აუცილებელიც იყო სითარხნის მიმცემთ „სიმტკიცე დაეწერათ“ და ისინიც ამ სიმტკიცის ნიშნად „ჴელებს ურთავენ“, ჯვრებს ასვამენ.

მანუჩარ გლურჯიძე შვილებით: ზაზათი და გაბრიელით მოურავისშვილ ზაზას სამი დღის მიწას მიჰყიდის. ნასყიდობის წიგნს თითონ მანუჩარი წერს და თავის ადგილას ამბობს: „მე მანუჩარს ეს ჩემის ხელით დამიწერია. ბეჭედი გორს გირაოთ მქონდა. ამისი ყაბულიც მაქვს და ჴელიც მე ჩამირთავს ერთი ჩემი და ორის ჩემის შვილისა“. ამის შემდეგ საბუთს მიჰყვება სამი ასწვრივი პარალელური ხაზი ერთი ჰორიზონტალური ხაზით გადაჯვარული. აშკარაა, ესაა მანუჩარის მიერ ჩართული სამი „ჴელი“. ასე რომ ხელრთვის ანუ საბუთის სიმტკიცის ფორმულის ნიშნად აქაც ჯვარია გამოყენებული, ამ ჯვარის დასმას „ჴელის ჩართვა“ ეწოდება, ხოლო თვით ჯვარს— ჴელი[116].

მანგლელი ეპისკოპოსი იოვანე ვენახს უცვლის ფარემუზ ჯავახიშვილს. ამ გაცვლილობის წიგნს თავის ადგილს მიჰყვება: „კაცთაგან ამისნი მოწამენი ჩვენი სახლთუხუცესი გიორგი, მოურავი მღვდელი ათანასე, მღდელმონაზონი ბართლომე შალიკაშვილი, მღდელმონაზონი ევდომოზ და სრულ ერთობილნი ჩვენის მონასტრის მანგლისისა და ღთისმშობლის ყმანი. მე სიონის დეკანოზს, მღდელს გაბრიელს დამიწერია და მოწამეც ვარ ამისი. დაიწერა მარიამობისთვის ოცდა სამს ქ^კს უე“.

---

[115] დოკ. I, გვ. 1.

[116] ხელნ. ინსტ. ფ. Hd, 5246.

აქ მოჰყვება ხელრთვა: მანგლელი იოანე.

შემდეგ სხვა ხელით: „ქ. ჩვენის კრებულის ჯელი + + +". ამას მისდევს აგრეთვე განსხვავებულის ხელით: „ქ. ჩუენ კათალიკოზ-პატრიარქი დომენტი მოწამე და დამამტკიცებელი სიგლისა ამის. კ-ზ პატრიარქი დომენტი" (ხვეულად).

გამოთქმა „ჩვენის კრებულის ჯელი" ეკუთვნის მანგლელს (სულერთია, ვინ დასწერა ის). ამ „კრებულში" იგულისხმება ის სამი მღვდელი და მღვდელ-მონაზონი, ზევით რომ მოწმეებად არიან დასახელებული. და აი ამ კრებულის „ჯელი" აქ სამი ჯვარით არის წარმოდგენილი. ამრიგად, სრულიად უეჭველია, რომ საბუთის ბოლოზე დასმულ ჯვარს „ჯელი" ეწოდებოდა.

საამისო მოწმობათა გამრავლება ადვილად შეიძლებოდა[117].

ეხლა ადვილად გასაგებია, რომ ნასყიდობის წიგნს ხშირად იმდენი ჯვარი აზის ბოლოზე, რამდენი პირის სახელითაც ეს გასყიდვა ხდება: ეს ჯვრები მათი ხელრთვაა. ასევე ჯვრებით ურთავენ „საკუთარ ხელს" ხშირად სხვადასხვა მოწმეებიც[118].

ამ მხრით კიდევ უფრო დამაჯერებელია ამბ. დ. გვრიტიშვილის მიერ ამოწერილი ერთი საბუთი[119]. ეს არის ჩვეულებრივი მიწის ნასყიდობის წიგნი. „წიგნი და სიგელი დაგიწერე და მოგეცი მე, გაგაძემ ფოცხვერამ და დათუნამ შენ, ტატუნაშვილს შიოსა და შვილსა შენსა ბერუასა, აღდგომელასა და ნინიასა, შვილთა და მომავალთა სახლისა შენისათა; ასე რომა მოგყიდე გზის ძირი გზას ქვემოდამ წყალს გამოღმა, ზეით გზამდინ, ქვეით წყლამდინ, იქით ხატის მიწამდინ, აქეთ ზურაბაშვილის წურბელამდი. ავიღე ფასი სრული და უკლებელი, რითაც ჩემი გული შეგჯერდებოდეს. არის ამის მოწამე თვით ღმერთი და ყოველნი მისი წმინდანი. კაცთაგან: შიო ბეშქელი, გაგაძე შარმაზან, ქერაური ფოცხვერა, ნინია ქუციშვილი და მე არონ არხიდიაკვანს დამიწერია ამ ფოცხვერას სიტყვით და მოწამეცა ვარ ამის. დაიწერა ესე წიგნი თებერვალს კდ ქ^ კს უოთ".

და აი აქ ბოლოზე, სადაც უნდა ყოფილიყო გამყიდველთა და მოწმე-დამამტკიცებელთა ხელრთვანი (ჯვრები), დახატულია თურმე „ხუთი ხელი შიგ შემოკლებული ასოებით და ჯვრებით".

ხელების დახატვა ჯვრებთან ერთად თითქო დამარწმუნებელი

---

[117] საქ. სიძვ. II, 136—137, 484; დოკუმენტები I, გვ. 442.

[118] საქ. სიძვ. I გვ. გვ. 81, 92, 125, 132, 145, 146, 150, 256, 257, 261, 302, 305, 306, 343, 386, 387, 386, 393, 483. საქ. სიძვ. II, გვ. გვ. 165, 166, 169, 173, 244 — 245, 257 — 258, 262, 310 — 311, 315, 316, 317, 345, 345 — 346, 347 — 348, 353 — 354, 354 — 355, 364, 369, 382, 289, 401, 405, 423, 426, 436, 445, 449 — 450, 470; 472, 473, 474, 475, 492, 513 და სხვ.

[119] ხაქ. ცენტ. არქივი ძველ საბუთთა განყოფილება, ფ. 226, № 5505.

მოწმობაა იმისა, თუ ამ დროს ჯერ კიდევ როგორ ცოცხლად იყო შემორჩენილი საქართველოს ზოგ კუთხეში (მთიანეთში) „ქელის ჩართვის“ უძველესი, რეალური წარმოდგენა.

გვიანფეოდალური ხანის ქართულ საბუთებში „სიმტკიცის დაწერა“ ანუ „ქელის ჩართვა“ სხვა სახითაც გვხვდება. ქელის ჩართვის ნიშნად ებრაელები წრეს ასვამენ ხოლმე, სხვები კიდევ საბუთს ბ ე ჭ დ ი ს დასმით ან საკუთარი ს ა ხ ე ლ ი ს მიწერით ამტკიცებენ. რა თქმა უნდა, თითოეული ეს ისეთივე „ქელია“, როგორც ძველი „ქელჩართული“ ან ამისი შესატყვისი, „ჯვარი“[120].

ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ ხელის ჩართვის ეს სახეები მხოლოდ გვიანფეოდალური ხანის ქართული დიპლომატიკის შენაძენი იყოს, წარმოდგენილი სურათი ჩვენ იმ შემთხვევითი გარემოების ბრალი გვგონია, რომ ძველი ხანის საბუთები მეტად მცირე რაოდენობით, და ისიც უმთავრესად ერთფეროვანი, შემონახულა. ბეჭედი, კერძოდ, უეჭველია, საბუთის დასამტკიცებლად იმ დროსაც იხმარებოდა, როცა სიმტკიცის გრძელი თუ მოკლე ფორმულაც („ქელი“) იწერებოდა ხოლმე[121]. ამას ამტკიცებს „გარიგება ქელმწიფის კარისას“ არაერთი ადგილი[122]. ამით აიხსნება ერთის შეხედვით ის უცნაური გარემოება, რომ ზოგჯერ მეფე ხელრთვის ანუ დამტკიცების ფორმულას საკუთარი ხახელისა და ვინაობის მოუხსენებლივ სწერდა[123]: მისი ვინაობა ცხადი იყო იმ ბეჭდით, რომელიც ამ საბუთს ჰქონდა შეკიდული.

ქართული წერილობითი წყაროებით ბეჭდის კიდევ უფრო მეტი სიძველეა დამოწმებული[124], მაგრამ ჩვენ არ ვიცით ეს ბეჭდები საბუთების დასამტკიცებლად იხმარებოდა თუ არა (მით უფრო ვერას ვიტყვით უფრო ძველი ხანის ბეჭდებზე, საქართველოს მიწის წიაღში რომაა არაერთი აღმოჩენილი).

„სიმტკიცის დაწერის“ ნიშნად ჯვარის დასმაც ადრევე უნდა იყოს შემოღებული. ჭალისუბნური ქელის „დამტკიცებანი“ სხვა ნიშნებთან ერთად, ამ ძეგლის დაწერის თანადროულად ამოკვეთილი ორი ჯვარი, ჩვენ საამისო მოწმობა გვგონია. სიმტკიცის რა ნიშნები იხმარებოდა უფრო ძველ დროს, ჩვენ არ ვიცით. ჭალისუბნური ქელის მიხედვით ასეთი ნიშნები მრავალნაირი უნდა ყოფილიყო.

ამიტომ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ჯვარი თანდათან ცვლიდა სიმტკიცის ყველა სხვა ნიშანს. ძლიერ ავიწროებდა ეს „ქ რ ი ს-

---

120 საქ. სიძვ. II, 484, საქ. ხელ., ინსტ., Hd, 2149, Hd, 2147 და სხვ.

121 სხვა საკითხია, თუ ვის ჰქონდა ბეჭედი ან დაბეჭდვის უფლება.

122 იე. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სიგელთმცოდნეობა ანუ დიპლომატიკა, 70—78.

123 იე. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, op. cit. 131.

124 წამებაჲ, შუშანიკისი, 12 27—29.

ტ ᲣᲡ ᲑᲔᲭᲔᲓᲘ“[125] სიმტკიცის ისეთ ძველს და ოფიციალურ ნიშანსაც კი, როგორიც იყო „საუფლო ბეჭედი“. (ძეგლებზე დაკვირვებიდან ჩანს, რომ საბუთის (და თვით ხელრთვის?) სიმტკიცის ნიშნად დასმულ ჯვარს, ბეჭედს თუ საკუთარის ხელით მოწერილ სახელს „ჭელი“ თანდათან და საკმაო გვიან შერქმევიათ).

ეხლა ორიოდე სიტყვა ტერმინი „ხელის ჩართვის“ შესახებ. ზემოთ ჩვენ იმ ფაქტის გამო, რომ ერთს ნასყიდობის წიგნში საბუთის მიმცემისა და მოწმეთა ხელის მოწერის ადგილას ჯვრებთან ერთად ადამიანის ხელები აღმოჩნდა დახატული, აღვნიშნავდით: ეს მოვლენა მოწმობაა იმის, თუ ამ დროს (ე. ი. XVIII საუკუნეში) ჯერ კიდევ როგორ ცოცხლად იყო შემორჩენილი საქართველოს ზოგიერთ კუთხეში „ჭელის ჩართვის“ უძველესი რეალური წარმოდგენა. მართლაც და ამ საბუთში ჩვენ დამოწმებულიგვაქვს არა მარტო, ის, რომ საბუთის დამტკიცებისათვის მოწერილ ნიშნებს „ჭელი“ ეწოდებოდა, არამედ ისიც, რომ ამ „ჭელში“ ადამიანის ხელი იგულისხმებოდა, რომ, მაშასადამე, სიმტკიცის ნიშნად ასეთი „ჭელის ჩართვა“ ხდებოდა.

ბუნებრივად გვაგონდება პ-ლ გიორგი ჩიტაიას მიერ თავაზიანად მოწოდებული ეთნოგრაფიული მასალა „ხევსურული ფიცი“[126]. ხევსურეთში (დასაწყისს გამოვტოვებთ) „ფიცი ორგვარია: მარტოს დაფიცება და ხელის მომკიდით. ხელის მომკიდეს შეუთვლიდნენ ბრალმდებელნი, ვინ უნდა ყოფილიყო. თუ ხელის მომკიდე უარს იტყოდა, ბრალდება დამტკიცდებოდა. ფიცის მისაღებად ბრალდებული მოვიდის ჯარჩი (ხატში)... მარცხენა ხელზე თავისიანებმა (მეგვარეებმა) ერთმა ან რამდენიმემ, შეიძლება მთელმა გვარმა, მოკიდიან ხელები. შეიძლებოდა ყველას უშუალოდ ბრალდებულისათვის არ მოეკიდა ხელი, არამედ ერთმანერთისათვის მოეკიდათ ე. ი. ხელებით გაბმულიყვნენ (ამხ. გიორგის კომენტარი). ვისაც უნდა დაეფიცა, მან მარჯვენა ხელის მიუშვირის ხატს (შეიძლებოდა დანარჩენებს პირჯვრისწერა დაეწყოთ) და სთქვის: შენამც იქები და იდიდები შენის მორიგის ხთისაგან. შენ დალიე და ამოსწყვიტე ჩემობა, ჩააჭოლე ჩემი სახლკარი, გამითავე წილბოლო... ამ სიტყვების დამთავრების ბოლოს დაუშვის ხელი ძირს და მობრუნდის უკან, რის შედეგადაც მისმა ხელის მომკიდეებმაც გახსნიან ხელები“...

---

[125] ცხოვრებაჲ გრიგოლ ხანცთელისაჲ, ლბ.

[126] ამხ. გიორგისათვის ეს მასალა მიუწოდებია მიხეილ სიმონის ძე კედელაძეს.

ამხ. გ. ჩიტაიას გადმოცემით ასეთივე ხელის მოკიდებით (ფიცით?) იციან ხევსურეთში მიწის გაყოფა და სამნის ჩაგდება.

ხელის მომკიდით ფიცი დადასტურებულია მთიულეთშიც[127].

„სვანეთში ამ თუ იმ ბრალდებულის დაფიცებისას მისი მეგვარეები, თუ ბრალდებულის სიმართლეში დარწმუნებული არიან, მასთან ერთად დაიფიცებენ: ბრალდებულს მეორე მოფიცარი მხარზე ხელს დაადებს, მესამე ამ მეორეს დაადებს მხარზე ხელს, მეოთხე მესამეს და ა. შ.“[128].

საქართველოს მთიანეთში დღემდის ცოცხლად შემონახული ეს ფიცი (ხელის მომკიდით) უეჭველია ძველად ბარშიაც იქნებოდა. ვახტანგის სამართლით გათვალისწინებული შ ე გ დ ე ბ უ ლ მ ო ფ ი ც ა რ თ ა ინსტიტუტი ამის მოწმობად შეიძლება გამოდგებოდეს[129].

ვფიქრობთ, ამ „ფიცში ჩაყოლის“ აქტის გარეგანი სურათის გადმოცემას ისახავდა მიზნად თავდაპირველად გამოთქმა „ქელის ჩართვა“ (შეადარე რუსულად „круговая порука“). „ქელი“ აქ სიმტკიცის ნიშანია, ხოლო ჩართული ხელები მოფიცართა ერთპიროობის მაჩვენებელია.

ხელის ჩართვა სიმტკიცის საერთო გარანტიაა, ამა თუ იმ აქტისთვის საერთო პასუხისმგებლობის ნიშანია. აქედან გასაგებია ნაგვიანევი ხანის მოწმე-დამამტკიცებელთა ხელის ჩართვის წესის განვითარება.

ხელი, როგორც სიმტკიცის ნიშანი, და ხელის მიცემა, როგორც მტკიცე ფიცი, ჩვენ დამოწმებული გვაქვს როგორც ძველს, ისე ნაგვიანევი ხანის ძეგლებში.

გიორგი მერჩულე მოგვითხრობს, რომ ხანძთელი მონაზვნები, თეოდორე და ქრისტეფორე, გრიგოლ ხანძთელის უნებურად ფარულად „აფხაზეთს“ წავიდნენ. სამცხეს ისინი დიდი აზნაურის, მირეანის, სახლში მივიდნენ. აქ მათ დაიმოწაფეს მირეანის შვილი, ჯერ კიდევ ყრმა არსენი. „კაცთა მათ ღმრთისათა განზრახვითა მირეანისათა მოწესეთა სამოსლითა შემოსეს ყრმაჲ იგი და მ ა რ ჯ უ ე ნ ა ჲ მ ი ს ც ე ს ფ ი ც ი ს ა ჲ მ ი რ ე ა ნ ს და ჰრქუეს: „მოძღუარი ჩუენი გრიგოლ არს მამაჲ ხანძთელი, და უფალსა თუ უნდეს, ესეცა მოწაფჱ იყოს მისი ჩუენ თანა, სადაცა ჩუენ ვიყვნეთ“[130].

პირობის თუ დაპირების ნიშნად (სიმტკიცის ნიშნად) ხელის მოცემის ჩვეულებას მოწმობს ერთი XVIII საუკუნის საბუთი.

---

127 იმავე მიხეილ კედელაძის ჩანაწერი.

128 ცნობა მომაწოდა სვანმა ა. დავითიანმა.

129 მუხლი 10, „ფიცი ასე უნდა“.

130 ცხორებაჲ გრიგოლ ხანძთელისაჲ, ით.

შიო საყვარელიძე არზას მიართმევს მეფის ძე ვახტანგს, მე და ფავნელიშვილმა თქვენს სამართალში გავიარეთო. ივანე ამილახვრიშვილი იასაულად გვიბოძეთო. რაც ფავნელიშვილს უსამართლობით ეჭირა, იასაულმა გამომირთვა და მომაბარაო. ბიძინა ფავნელიშვილზე 15 კოდი პური დარჩაო. „ამ ბიძინას თაობაზე დოიჯასშვილმა ხ ე ლ ი მ ო მ ც ა, რომ ბიძინა რასაც მოსაცემს არის, მე მოგცემო, იასაულსაც ხელი ააღებინა, რომ მე მივცემო[131]...

ვენახის ნასყიდობის „თანდამსწრე და მოწამე დურგლიშვილი მარქარა“ უწიგნური იყო. და საბუთის დამწერი აღნიშნავს: „რადგან მარქარამ წერა არ იცოდა, მარქარას ხ ე ლ ი ს მ ო ც ე მ ი თ ხელს ვაწერ ანტონ ზახაროვ“[132].

1865 წელს დავით ბერძენიშვილი თავისი შვილით გიორგით საწაშენოდ მიწას აძლევს მამუკას, ბერს და სვიმონ სიხარულიძეებს. დავითმა და მისმა ძემ წერა არ იცოდნენ და მწერალი აღნიშნავს: „მათის პირისპირ თხოუნით და ხ ე ლ ი ს ჩ ა მ ო რ თ მ ე ვ ი თ მათ მაგიერ ხელს ვაწერ მე ლაზარე სიხარულიძე“[133].

1830 წელს იესე, დავით და ივანე კაცობეისშვილები მიჰყიდიან თავის „საკედარო“ საყანე ადგილს დავით ბერძენიშვილს. საბუთის ბოლოს დამწერი აღნიშნავს: „დამიწერია მე აზნაურს იაკობის-ძეს ორთავე თხოვნითა და ხელჩამორთმევითა და ესენი ჯოარს ასმენ და მოწამე ვარ ამისი“.

ამრიგად, უწიგნური ადამიანი „ხელის მიცემით“, „ხელის ჩამორთმევით“[134] ანუ, როგორც გიორგი მერჩულე იტყოდა, „მარჯუენაჲ ფიცისაჲს მიცემით“ არწმუნებდა (რწმუნებით აღჭურავდა) იმას, ვინც მის მაგივრად ხელს აწერდა.

ხ ე ლ ი ს მ ი ც ე მ ა (ხ ე ლ ი ს ჩ ა მ ო რ თ მ ე ვ ა) პ ა ს უ ხ ი ს მ გ ე ბ ლ ო ბ ი ს (ფ ი ც ი ს) თ ა ვ ზ ე დ ა ღ ე ბ ი ს ნ ი შ ნ ა დ დ ა ხ ე ლ ი ს მ ო წ ე რ ი ს („ ქ ე ლ ი ს ჩ ა რ თ ვ ი ს“) მ ა გ ი ვ რ ა დ, ვ ფ ი ქ რ ო ბ თ, კ ა რ გ ა დ მ ო წ მ ო ბ ს, რ ო მ ე ს ჩ ვ ე უ ლ ე ბ ა ა რ ი ს გ ა დ მ ო ნ ა შ თ ი (გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ა) უ ძ ვ ე ლ ე ს ი ქ ა რ თ უ ლ ი ს ა მ ა რ თ ლ ი ს ა, რ ო მ ლ ი ს ე რ თ ე რ თ ი ს ა ფ ე ხ უ რ ი, რ ა თ ქ მ ა უ ნ დ ა ა რ ა თ ა ვ დ ა პ ი რ ვ ე ლ ი, ც ო ც-

---

131 Hd, 5328.

132 საქ. სიძვ. II, 469.

133 ჩემი კოლექციიდან.

134 ხელის ჩამორთმევა მოტანილ საბუთებში ნახმარია ხელის მიცემის შინაარსით. დღესაც „ხელშეკრულობის“ აქტში ხელის მიმცემს და ხელის ჩამორთმევს ზემო გურული მეტყველება ურთიერთისაგან აღარ ასხვავებს და „ხელის მიცემას“ და „ხელის ჩამორთმევას“ ორივეს ამ უკანასკნელი ტერმინით გამოხატავს.

ხლადაა, როგორც ზემოთ დავინახეთ, შეძონახული საქართველოს მთიანეთში.

ასე რომ „ქელჩართულში“ ისეთივე „ქელია“ აღბეჭდილი, როგორიცაა იმ ქვაძეგლზე ხელი, უფლების განცხადება-დამტკიცების ნიშნად რომაა გამოკვეთილი. მაშასადამე, დიპლომატიკური დოკუმენტი „ქელი“ ქვა-ქელის შემდგომი განვითარებაა: „ქელის“ იურიდიული საფუძველი აქ მოთხრობითაა მოცემული, ხოლო მისი („ქელის“) სიმტკიცე „ქელჩართულშია“ განსახიერებული.

აქვე ერთი პრინციპული ხასიათის დებულებაც: თუ მიწის მფლობელობის საბუთს „ქელი“ იმიტომ ეწოდებოდა, რომ ის იყო სიმტკიცე, ქელის ჩართვით უზრუნველყოფილი საბუთის მიმცემთა მიერ (და რომლის საბოლოო გარანტად ხელისუფლების პოლიტიკური ორგანო გამოდიოდა), მაშინ უნდა მივიღოთ აგრეთვე, რომ ასეთი სიმტკიცით აღჭურვილი ყოველი საბუთი „ქელი“ იყო დამოუკიდებლად იმისგან, თუ რა შინაარსის აქტი იყო ამ საბუთით მოწესრიგებული და რომ, მაშასადამე, მამულის სიმტკიცის საბუთი „ქელის“ მხოლოდ ერთერთი სახეობა იყო. თუ ჩვენი მსჯელობა ხელის შესახებ სწორია, ამ დებულებას შემდგომი კვლევა დაადასტურებს.

დასასრულ „დაწერილის“ შესახებ.

სამწუხაროდ, „ამ დიპლომატიკური ფაქტის შესახებ ჩვენ დღეს მხოლოდ წინასწარი დაკვირვებების გაზიარება შეგვიძლია.

„ქელის“ გვერდით „დაწერილი“ უძველესი ქართული დიპლომატიკური ტერმინია.

როგორც თავისი იურიდიული შინაარსით, ისე ფორმით „დაწერილი“ არაფრით განსხვავდებოდა „ქელისაგან“ (ისე როგორც „ქელი“, „დაწერილიც“ იყო სიმტკიცე, საბუთის მიმცემთა და მოწმე-დამამტკიცებელთა „ქელჩართულით“ უზრუნველყოფილი).

ამიტომაც, დროთა განმავლობაში, ტერმინი „დაწერილი“ თანდათან იჭერს „ქელის“ ადგილს.

IX—XIV საუკუნეებში „დაწერილი“ ფრიად გავრცელებული ზოგადი დიპლომატიკური ტერმინია (ამა თუ იმ საბუთის ნიშანდობლივ აღსანიშნავად ე. ი. „დაწერილის“ ამა თუ იმ სახეობის აღსანიშნავად, ტერმინ „დაწერილს“ ამ საბუთის შინაარსის მიხედვით მისი თვისების აღმნიშვნელი სახელიც ემატებოდა ხოლმე). აღნიშნული ხანის წყაროების მიხედვით „დაწერილი“ ეწოდებოდა, ნაგვიანევი ტერმინებით რომ გამოვთქვათ, წყალობის წიგნს, შეწირულო-

ბის წიგნს, ანდერძის წიგნს, გაუყრელობის წიგნს, ხელწერილს, ფიცისა და პირის წიგნს—„დაწერილი სიმტკიცისაჲ“, საერთპირო წიგნს—„დაწერილი საერთპიროჲ“, გასყიდულობის წიგნს—„დაწერილი გასყიდულობისაჲ“, მონასყიდობის წიგნს—„დაწერილი მონასყიდობისაჲ“ და სხვ.

გვიანფეოდალურ ხანაში „დაწერილს“ საბოლოოდ სცვლის დიპლომატიკური ტერმინი „წიგნი“.

ეხლა, ორიოდე სიტყვით რომ შევაჯამოთ ჩვენი დაკვირვება, მივიღებთ:

ქართულ დიპლომატიკის სათავე ორგანულ კავშირშია ჩვენი საზოგადოებრივი განვითარების გარკვეულ საფეხურთან: ქართული დიპლომატიკის უძველესი (თავდაპირველი?) ფაქტი (-„ჴელი“) თავისი ფორმით უშუალო ანარეკლია ამ ურთიერთობისა. ქართული დიპლომატიკის შემდგომი განვითარება ჩვენი საზოგადოებრივი განვითარების საფუძველზე და მის პარალელურად მიმდინარეობს.

„ჴელი“, როგორც სამამულო უფლების მატერიალური ნიშანი, უძველესი დროიდან მოდის. ქრისტიანობის ხანაში ასეთ ძეგლებზე ხელის გამოსახულებას თანდათან სცვლის ჯვარი. ამისდა მიუხედავად ტერმინი „ჴელი“ ამ ძეგლებს მტკიცედ შერჩებათ.

უძველეს დროსვე გაჩენილი ჩანს ქვა-ჴელის წერილობითი შესატყვისი, დიპლომატიკური ტერმინი „ჴელი“. აქედანვე უნდა განვითარებულიყო მეორე უძველესი დიპლომატიკური ტერმინი „დაწერილი“ („ჴელი დაწერილი“).

როგორც „ჴელი“ ისე „დაწერილი“ იურიდიულ საბუთთა გარკვეული დარგის შემცველი ზოგადი დიპლომატიკური ტერმინებია. ამავე დროს თითოეული მათგანი საბუთის სპეციალური სახეობის აღმნიშვნელიცაა.

გარკვეულ დროს „ჴელისა“ და „დაწერილის“ გვერდით ჩნდება მესამე ზოგადი დიპლომატიკური ტერმინი „წიგნი“, რომელიც ნელ-ნელა და თანდათან ვრცელდება დოკუმენტების იმ დარგზედაც, „ჴელსა“ და „დაწერილში“ რომ იგულისხმებოდნენ. ამით „წიგნმა“ ტერმინები „ჴელი“ და „დაწერილი“ ქართული დიპლომატიკის არედან საბოლოოდ გააძევა.

„დ ა წ ე რ ი ლ ი“, „ს ი გ ე ლ ი“, „წ ი გ ნ ი“*.

ჩემი მიზანი მიწათმფლობელობის ფორმების შესწავლაა ფეოდალურ საქართველოში.

---

* მოხსენება ისტორიის ინსტიტუტის ფეოდალური ხანის ისტორიის განყოფ. 1952 წელს. პირველად დაიბეჭდა 1956 წელს, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. II.

საკითხის კვლევისას აუცილებელი გახდა ამ მიწათმფლობელობასთან დაკავშირებული იურიდიული ძეგლების ისტორიული შესწავლა.

ამ ჩემი შრომის ერთ-ერთ მონაკვეთში მე უკვე შევისწავლე ერთი ასეთი ძეგლი—„ჟელი“[1].

წინამდებარე მონაკვეთში საუბარი მექნება „დაწერილსა“, „სიგელსა“ და „წიგნზე“. შემდეგ, შეძლებისდაგვარად, მე განვიხილავ ამავე ხასიათის სხვა ძეგლებს.

* * *

„დაწერილი“, როგორც დიპლომატიკური ტერმინი, აღნიშნული აქვს აკად. ივ. ჯავახიშვილს[2]. ამ ფაქტის შესახებ ავტორს შემდეგი აქვს გამოთქმული:

...„მე-IX-ე ს-ში საბუთებს ჯერ „სიგელი“ არ ქმევიათ, არამედ „დაწერილი“ დამხოლოდ მე-X-ე საუკუნის მეორე მეოთხედითგან უნდა იყოს ტერმინი „სიგელი“ ხმარებაში შემოსული[3]. **მე-X ს-თგან მოყოლებული მე-XV ს-ის დამდეგამდის სიგელი განსაკუთრებით მეფეთა მიერ ბოძებულ საბუთების აღმნიშვნელ ტერმინად იხმარებოდა“[4].**

...„ირკვევა, რომ მე-X ს-ითგან მოყოლებული „სიგელი“, ხოლო მე-XV ს-ის დასასრულითგან მოყოლებული „გუჯარიც“ მეფეთა ნაბოძები საბუთების საზოგადო სახელი იყო. კერძო პირთა საბუთებს დაწერილი ჰრქმევია, როგორც ეტყობა“[5]. აქ მკვლევარს მოაქვს უკანასკნელ წინადადებაში გამოთქმული აზრის დამამტკიცებელი საბუთები და, შემდეგ, „წიგნის“, როგორც დიპლომატიკური ტერმინის, აღნიშვნასთან დაკავშირებით, ერთხელ კიდევ გამოთქვამს „დაწერილის“ შესახებ:

„თუ „სიგელი“ მე-X ს-ითგან და „გუჯარი „მე-XV ს-ის პირველი ნახევრის დამლევითგან მეფეთა მიერ ბოძებული საბუთების აღსანიშნავად იხმარებოდა და ამავე დროს „დაწერილი“ დანარჩენ პირთა და დაწესებულებათაგან შედგენილს საბუთს ერქვა, „წიგნი“ ყველასი და ყოველგვარი საბუთების საერთო სახელი იყო“[6].

---

[1] მოხსენებად იყო წაკითხული ისტ. ინსტიტუტის სამეცნ. სესიაზე 1942 წელს. იხ. აქვე პირველი ნაწილი.

[2] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სიგელთამცოდნეობა ანუ დიპლომატიკა, გვ. 25, 26, 30.

[3] ავტორის ამ დებულებას არ ეთანხმება ს. კაკაბაძე—იხ. საისტორიო კრებული, წ. II, 1928, გვ. 95, — მაგრამ, სამწუხაროდ, კმაყოფილდება მხოლოდ ზედაპირული განცხადებით და სადაო არგუმენტით.

[4] იქვე, გვ. 26. [5] იქვე, გვ. 29.

[6] საისტორიო კრებული, წ. II, 1928, გვ. 30.

ამრიგად, ივ. ჯავახიშვილის აზრი დიპლომატიკური ტერმინის „დაწერილის“ შესახებ შემდეგია: IX საუკუნეში დიპლომატიკურ საბუთებს „დაწერილი“ ეწოდებოდა. X საუკუნიდან მოყოლებული, მეფეთა მიერ გაცემულ საბუთებს „დაწერილი“ აღარ ეწოდებოდა, არამედ „სიგელი“, „დაწერილი“ კი დანარჩენ პირთა და დაწესებულებათაგან შედგენილს საბუთს ერქვა“. ამავე დროს „წიგნი ყველასი და ყოველგვარი საბუთის საერთო სახელი იყო“.

ავტორის მსჯელობა „დაწერილისა“ და „სიგელის“ ურთიერთობის შესახებ პრინციპულად სწორია. შეიძლება მომავალში ახალი ფაქტი დადგინდეს და ტერმინი „სიგელის“ შემოტანა-დამკვიდრების თარიღმა რამდენადმე უფრო ღრმად გადაიწიოს (ვფიქრობთ, არც თუ ძლიერ), მაგრამ „დაწერილი“ რომ „სიგელს“ წინ უსწრებს და რომ „სიგელი“ ერთ-ერთი სახეობაა „დაწერილის“, ეს, როგორც ქვევითაც დავრწმუნდებით, უცილობლად ირკვევა.

ჩვენი ავტორი არ სვამს საკითხს იმის შესახებ, თუ როგორ იყო საქმე IX საუკუნემდე. მისი მსჯელობა არსებული ფაქტების ქრონოლოგიურ საზღვრებს არ სცილდება. ამავე დროს უცილობელია, და ეს გარემოება განსვ. მკვლევარს, რა თქმა უნდა, მოეხსენებოდა, რომ IX საუკუნეზე დიდი ხნით ადრე (VI—VII საუკუნეებში) არსებობდა ჩვენში დიპლომატიკური საბუთები (ნაგვიანევი ხანის ტერმინებით რომ გამოვთქვათ, „ნასყიდობის“ „შეწირულობის“, „წყალობის“ და სხვ.).

რა იყო ამ საბუთების საერთო თუ კერძო სახელი? მით უფრო არას ამბობს მკვლევარი ამ ტერმინების წარმოშობის შესახებ.

რაც შეეხება „წიგნისა“ და „დაწერილის“ ურთიერთობას, აქ ჩვენი ავტორის აზრი, თუ ჩვენ სწორად გავიგეთ, ისაა, რომ „დაწერილი“ X-XV საუკუნეებში (ისევე როგორც, ვთქვათ, „სიგელიც“) „წიგნის“ სახეობაა.

„დაწერილი“, როგორც დიპლომატიკური ფაქტი, ჯერჯერობით მხოლოდ XI საუკუნიდან მოყოლებული გვხვდება. უძველესი საამისო საბუთი არის მელქისედეკ ქართლისა კათალიკოზის „დაწერილი“[7]. მაგრამ ბაგრატ IV სიგელის[8] მოწმობით, „დაწერილი“ უკვე იმ საბუთს ეწოდებოდა, რომლითაც გუარამ მამფალმა (+882) ოპიზის მონასტერს „ტყე“ და „ზღვარი“ „დაუწერა“[9]. ავტორი აკვირდება

[7] თ. ყორდანია, ქრონიკები, I, 181—188; ნ. ბერძენიშვილი, მცხეთის საბუთი XI საუკუნისა, საქართველოს მუზეუმის მოამბე, VI, 1931, 288—290.

[8] Д. Бакрадзе, Статьи по истории и древностям Грузии, 20—30; საქართველოს სიძველენი, II, 2—5; თ. ყორდანია, ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა, 8—9.

[9] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სიგელთამცოდნეობა ანუ დიპლომატიკა, 25.

დასახელებული საბუთის დამახასიათებელ მოვლენას—დიპლომატიკური ტერმინების სხვაობას და ფრთხილად გამოთქვამს მოსაზრებას: „თუ აქ ტერმინების სხვაობა თვით დარბაზში განხილული საბუთებითგან მომდინარეობს და შემთხვევითი მოვლენა არ არის, მაშინ ირკვევა, რომ IX საუკუნეში საბუთებს ჯერ „სიგელი“ არ რქმევიათ, არამედ „დაწერილი“ და მხოლოდ X საუკუნის მეორე მეოთხედითგან უნდა იყოს ტერმინი „სიგელი“ ხმარებაში შემოსული“[10]. ს. კაკაბაძე არ ეთანხმება მკვლევარის ამ დასკვნას და აცხადებს, რომ ეს მოსაზრება „მოკლებულია მკვიდრ საფუძველს, რადგან დასახელებულ სიგელში ტერმინების შემთხვევით სხვადასხვანაირად ჩამოთვლაზე არის დამყარებული“ (საისტორიო კრებული, II, 1928, გვ. 95). ჯერ ერთი, როგორც ზემორე მოტანილ ამონაწერიდან ჩანს, ივ. ჯავახიშვილი კარგად ითვალისწინებდა შესაძლებლობას ამ „შემთხვევით ჩამოთვლისას“, ს. კაკაბაძე რომ მის წინააღმდეგვე საკუთარ არგუმენტად (sic) იშველიებს და მეორეც, კრიტიკოსის კატეგორიული განცხადება დასახელებულ სიგელში ტერმინების შემთხვევით „სხვადასხვანაირად ჩამოთვლის“ შესახებ მოკლებულია არა მარტო „მკვიდრს“, არამედ ყოველივე „საფუძველს“, რამდენადაც თავისი ამ განცხადების დასაბუთებისათვის ს. კაკაბაძეს თავი არ შეუწუხებია, კრიტიკოსის ეს შეხედულება რომ ზედაპირული და მცდარია, ამაში ჩვენ ქვემოთ კიდევ უფრო დავრწმუნდებით, აქ კი ერთი ზოგადი ხასიათის არგუმენტის მოყვანით დავკმაყოფილდებით. ივ. ჯავახიშვილის მიერ გათვალისწინებული ეჭვი, ს. კაკაბაძემ რომ მიიჩემა და კატეგორიულ დებულებად მის წინააღმდეგვე გამოიყენა, ჩვენ ვფიქრობთ უმართებულოა და ხსენებულ სიგელში „ტერმინთა სხვაობა“ სწორედ „თვით დარბაზში განხილული საბუთებითგან“ უნდა მომდინარეობდეს. ამის სასარგებლოდ მოწმობს თვით ამ საბუთის ხასიათი. ბაგრატ IV სიგელი მოგვითხრობს ოქმის შინაარსს (ჩვენ გამორიცხულად არ მიგვაჩნია შესაძლებლობა, რომ ეს სიგელი ამავე დროს იყო იმ სხდომის ერთადერთი „ოქმი“) იმ სხდომისას, რომელიც მეფემ ოპიზართა და მიჯნაძოროელთა სარჩელის განსახილველად მოიწვია. მართებულია ვიფიქროთ, რომ ოფიციალურ დოკუმენტში, სადაც კონკრეტული საბუთების იურიდიულ ძალასა და მნიშვნელობაზეა ლაპარაკი, დაცული იყოს ამ საბუთების საკუთარი სახელები.

* * *

მეფე დავითი თავის ანდერძში ავალებს დიმიტრი მეფეს გელათის მონასტრის შესახებ: ...„ადგილნი, რომელნი მიშოვებიან

[10] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სიგელთამცოდნეობა ანუ დიპლომატიკა, 26.

უმკვედრონი და უმამულონი, მათგანნიცა ვითარცა ბერმან არსენი და კათალიკოზმან გამოარჩიონ, მეფემან დიმიტრი მიცემითა წ ე რ ა თ ა და ს ი გ ე ლ თ ა განასრულონ ყოვლიურთ უნაკლულოდ“[11].

მოტანილ ამონაწერში უჩვეულო გამოთქმა: „მიცემითა წერათა და სიგელთა“ სხვა აზრების აღმძრველიცაა, და ამაზე თავის ადგილას გვექნება საუბარი,—აქ კი ჩვენთვის საკმაოა, რომ დიმიტრი მეფემ მამამისის, დავით მეფის ნაშოები უმკვიდრო და უმამულო ადგილები გელათს უნდა შესწიროს ს ი გ ლ ი თ.

იგივე მეფე დავითი შიომღვიმის მონასტრისათვის მიცემულ ანდერძში ხსენებული მონასტრის სოფლების შესახებ წერს: „ვითარად მამათაჲ და პაპათა ჩემთაგან სიგელნი ჰქონან სოფელთათჳს მათთა წმიდასა ამას უდაბნოსა, რაჲცა სიბოროტითა ჟამთათა შეცვალებულ იყო, მე კულა გამიახლებიან იგი სიგელნი ანუ მეფეთა შეწირულთა ანუ მთავართა ვიეთმე და თჳთ ძუᲭლი და ძუᲭლისძუᲭლი ნასყიდი მონასტრისაგან, ყოველი უბეგროდ, უბაჟოდ და უწყინლად კულა მომიკსენებია წმინდისა მამისა შიოსათჳს“[12].

ეს ამონაწერიც ჩვენი საკითხისათვის სხვა მხრივაც დამაფიქრებელია (ამაზეც თავის ადგილას ვისაუბრებთ), მაგრამ სავსებით საკმაოა იმის საჩვენებლად, რომ დავითის ამ ანდერძითაც მეფეთა მიერ მონასტრისათვის მიცემულ შეწირულობისა თუ სხვა დოკუმენტს ს ი გ ე ლ ი ეწოდება.

გიორგი მეფე 1170 წელს შიომღვიმის მონასტრისათვის მიცემულ საბუთში წერს: „მოვიდეს ჩუენ წინაშე წმიდანი მამანი უდაბნოისა დიდისა მღუიმისანი, მამაი იოანე მემღუიმე და მოიხუნეს ს ი გ ე ლ ნ ი დიდისა მეფეთა მეფისა, პაპისა ჩუენისა დავითისი და მამისა ჩუენისა დემეტრე მეფისანი და სხვანი ძუელნი მრავალნი პაპათა და მამათა ჩუენთანი და გვეჰაჯნეს და მოგუაკსენეს, რათამცა..... ჩუენ გაუახლენით ძუელნი სიგელნი სიგლითა ჩუენითა და დავამტკიცეთ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა ი და ს ი გ ე ლ ი პაპათა და მამათა ჩუენთაი: ჩვენ ვისმინეთ ჰაჯაი მათი და მოკსენებაი და დიდთა მეფეთა პაპისა ჩუენისა და მამისა ჩუენისა ბრძანებანი და ს ი გ ე ლ ნ ი ამით ჩუენითა ს ი გ ლ ი თ ა გაგუიახლებიან და მათნი დაგუიმტკიცებიან“...

„პირველად თუით წმიდაი იგი უდაბნოი მღუიმე, ვითა ყოვლითურთ უწყენარი ყოფილა და თავისუფალი ყოვლისა წყენისაგან, ეგრეევე იყოს, ვითა თუით პაპისა ჩუენისა ანდერძსა სწერია. ...აწ ვინცაღა ნახოთ ბრძანებაი და ს ი გ ე ლ ი ესე ჩუენი, ყოველთავე დაუმტკიცეთ“...

---

[11] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, 1952.

[12] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ისტორ. საბ-ბი შიომღვიმის მონასტრისა, 16.

„დაიწერა ბრძანებაი და ს ი გ ე ლ ი ესე ჩუენი ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისასა იდ“ (საქ. სიძ. III, დამატება 2—3, 6—7). ასე რომ ამ მოწმობით „სიგელი“ ეწოდება მეფეთა მიერ მონასტრისათვის მიცემულ საბუთებს: — შეწირულობისას, წყალობისას. კერძოდ, გიორგი მეფე ამ „სიგლებშივე“ გულისხმობს იმ საბუთსაც, რომელსაც ცალკე აღნიშვნისას „პაპისა ჩუენისა ა ნ დ ე რ ძ ს“ უწოდებს.

თამარ მეფე 1189 წლის საბუთში ამბობს: „შევსწირე და მოვაკსენე დიდსა ლავრსა (ე. ი. გელათს—ნ. ბ.) და მუნ შინა დაუსრულებლად განჩენილსა ტრაპეზსა არგუითს (sic) ჭორვილაი კავაისძისა (?) ტოლყოლი“. იქვე ბრძანებულებასა და ხელრთულობა-სათვალავში ამ საბუთს „ბრძანებაი და სიგელი“ ეწოდება. „აწ ვინცა ჰნახოთ ბრძანებაი და სიგელი ესე ჩემი“... დაიწერა ბრძანებაი და სიგელი ესე ჩემი ინდიკტიონსა მეფობისა ჩემისასა მეხუთესა კელითა საწოლისა და საჭურჭლისა მწიგნობრისა არსენ სამძიეარისაითა“. ასევე „სიგელს“ უწოდებს ამ საბუთს თეოდორე კათალიკოსიც (ქრონ. II 73-65).

შიომღვიმის კრებული უმტკიცებს ტოხაისძეებს კვირიკე კახთა მეფის სამწირველოს, რომელიც ტოხაისძეთა წინაპარს ბასილის ებოძებოდა მეფისაგან: „სამწირველოი გბოძებოდა ს ი გ ლ ი თ ა (მკუიდრა)დ კვრიკე კახთა მეფისაგან და ჩუენცა მოგეცით და მოგაკსენეთ სამამულოდ და მკუიდრად“...

ამრიგად, კვირიკე კახთა მეფემ X-XI სს. თავისთვის სასულიეროდ საუკუნო სამწირველო სახლი გაიჩინა. მწირველად ტოხაისძე (ბასილი) შეიწყალა, მას უბოძა საშვილიშვილოდ ეს სახლიც. მეფის საამისო საბუთი (შეწყალების) ს ი გ ლ ა დ იწოდება.

1202 წელს თამარ მეფემ ანტონ ჭყონდიდელს გ ლ ე ხ ი მ ი უ ბ ო ძ ა „სამკჯდროდ შესაწირავად მღუიმისად სულისა მათისათუის“. და აი ამ ბოძებულობის საბუთს თამარის მწიგნობარი იაკობ აწრელისძე უწოდებს „ბრძანებაი და სიგელი“[13].

ამავე ტერმინით („სიგელი“) აღნიშნავენ თამარის ამ საბუთს ანტონ ჭყონდიდელიც და შიომღვიმის კრებულიც. უკანასკნელი იქვე კრებულის სახელით გაცემულ საბუთს „დაწერილს“ უწოდებს[14].

გიორგი მეფემ, თამარის ძემ, იოანე ქართლისა მთავარეპისკოპოსის თხოვნით „გაუშუა“ „ზროხისა შებმაი, რომელი ზედა ედვა უდაბნოისა მღუიმისა სოფელსა აგარასა, რაც მღუიმისაი არს სა-

---

[13] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ისტორ. საბ-ბი შიომღვიმის მონასტრისა, 26.

[14] იქვე, 27.

კუირაოისა გლეხითურთ", რაისთვისაც მონასტერმა მეფეს სამარადისო მწირველი გაუჩინა. მეფის სახელით მიცემულ საამისო საბუთს „ბრძანებაი და სიგელი" ეწოდება[15].

ესევე მეფე მეორე საბუთით აწესრიგებს საკუთარი სამწირველოს საქმეს გელათის მონასტერში. ამტკიცებს თავისი მწირველის ნამოქმედევს (სამწუხაროდ, საბუთი ნაკლულია და შინაარსი ზედმიწევნილობით არ ირკვევა). ამ საბუთსაც ეწოდება „ბ რ ძ ა ნ ე ბ ა ი და ს ი გ ე ლ ი"[16].

XIII საუკუნის 50-იან წლებში ქ. ე"ვმა და მსახურთუხუცესმა გრიგოლ სურამელმა გაუთავისუფლა შიომღვიმეს „სოფელი გავაზელნი უსამართლოისა ზედა დადებულისა ბეგრისაგან". ქართლის ერისთავი ბრძანებს: „...ნუცა ჯელისუფალი შევა, ნუცა ციხისთავი... ნუცა მესაჯმარე... და ნუ რაი მაწყინარი, ნუცა მენუკვარი, ნუცა მოხარაჯე, ნუცა მესაბანჯრე, ვინაითგან თჳთ წმიდათა მეფეთაგან და ჩუენისა სახლისაგანც წმიდისა შიოს ცხვარნი და მეცხვარენი ყოველსა ადგილსა თავისუფალნი არიან და შეუვალნი საბანჯრობისაგან და მისი სიგელიც აქვნ(და) დაწერილი ჩუენისა სახლისაგან"[17]. მოტანილი ამონაწერი თითქო მოულოდნელ ვითარებას შეიცავს: თითქო სიგელი ეწოდება გრიგოლ მსახურთუხუცესის სახლისაგან შიომღვიმის მონასტრისათვის მიცემულ საბუთს. მაგრამ საკმაოა მოტანილ ამონაწერს ჩავუკვირდეთ, რომ ამ დოკუმენტის გამოცემის სისწორეში საბუთიერად შეეეჭვდეთ (სამწუხაროდ, ამ საბუთის დედანი ჩვენ არ გვინახავს). ამ ამონაწერის მიხედვით გამოდის, რომ გრიგოლის სახლისაგან მიცემული სიგელი შიომღვიმის მონასტერს უდასტურებდა ცხვარისა და მეცხვარეთა თავისუფლებას, მინიჭებულს როგორც სურამელის სახლის მხრით, ისე თჳთ წმიდათა მეფეთა მხრით. ეს, რა თქმა უნდა, შეუძლებელია: ქართლის ერისთავის სახლს მეფეთა მიერ მონასტრისათვის ბოძებული შეუვალობის განახლება-დადასტურება არ ეკითხებოდა. აღნიშნული გაუგებრობა უმალვე გაქრება, თუ სიტყვებს შორის: „აქვნდა დაწერილი" კავშირ „და"-ს გამოტოვებულად ვიგულისხმებთ[18].

---

[15] შ. მღვ. საბ. 14.

[16] ქრონ. II, 50; საისტორიო მოამბე II, 1925, 127.

[17] ქრონ. II, 98, შ. მღვ. საბ. 53.

[18] უფრო საფიქრებელია, რომ ეს ძეგლის გამომცემლის შეცდომაა, თუმცა არც ისაა შეუძლებელი, რომ თვით დედანივე ყოფილიყოს ამ მხრით დეფექტური: სამ ერთნაირ მარცვალთა თავმოყრისას ასეთი შეცდომა ბუნებრივია. ასე რომ ჩვენ საფუძვლიანი გვეჩვენება ტექსტის შემდეგნაირი შესწორება: ...„და მისი სიგელიც აქვნდა [და] დაწერილი ჩუენისა სახლისაგან". ასეთი შესწორების შემდეგ შეიძლებთ, რომ გრიგოლის ენით შიომღვიმის მონასტერს უსაბანჯრობა-თავისუ-

ასევე ესმის ტერმინი სიგელი კახა თორელს. თავის შესანიშნავ დაწერილში კახა ამბობს: სოფელ ხოვლესიო „თუ რაი ვის სხუასა სიგელი და ანუ დაწერილი ჰქონდეს, ყუელაი ცუდია აფხაზთ მეფეთავე ვაჰრამისთუის ბოძებულობითა გაუტეხია, ვითა დაწერილთა შეეტყუების მათგან გასყიდულობისათა“ (ქრონ. II, 138). მოტანილი ადგილი ასე უნდა გვესმოდეს: მეფეს ვაჰრამისათვის ხოვლე უბოძებია. საამისო საბუთში („წყალობის სიგელი“) მეფეს აღუნიშნავს, რომ ხოვლეს შესახებ ყველა აქამდე არსებული სიგელი თუ დაწერილი მას ამ სიგლით გაუტეხია. აღბუღას (ჩვენის აზრით ვაჰრამისძეს) და მის შვილებს ხოვლე გაუყიდნიათ და „გასყიდულობის დაწერილში“, მათ რომ ორტაღთათვის მიუციათ, ეს გარემოება (მეფის მიერ ხოვლური საბუთების გატეხვა) აღნიშნული ყოფილა. ასე რომ „სიგელი“ აქაც დაპირისპირებულია „დაწერილთან“ და ამ ტერმინით მხოლოდ მეფის მიერ გაცემული საბუთი აღინიშნება[19].

ასევე გარკვევით განასხვავებს სიგელს, როგორც მეფისაგან გაცემულ საბუთს, ნიკოლოზ ქართლისა კათალიკოზი თავის „დაწერილში“, რომელიც მან არვანბეგ საბაისძეს „დაუწერა“.

სოფელი შუბანი, კლარჯეთს, მცხეთისა ყოფილიყო. ეს სოფელი მეფე დავით გიორგის ძეს XIII საუკუნის 60-იან წლებში ვინმე საბაისძისათვის „ებოძებინა სიგლით“. ნიკოლოზ კათალიკოზმა მცხეთის სოფელი მოიკითხა და თქვენო, ეუბნება კ^ზი საბაისძეს, „ღმრთისა სწორთა სიგელნიც მოიხუენით სამამულოდ ბოძებულობისანი“-ო.

ასე რომ სრულიად გარკვევით ნიკოლოზ კ^ზი მეფის მიერ გაცემულ საბუთს „სიგელს“ უწოდებს, ხოლო ასეთივე საბუთს კ^ზისაგან გაცემულს „დაწერილი“ ეწოდება.

მეფე დავით ნარინმა იყიდა სოფელი საბანელა კანონიკოსებისგან და გელათს შესწირა. და აი ამ საბუთის ხელრთულობა-სათვალავში წერია: „დაიწერა სიგელი და ბრძანება ესე ჩუენი“ და სხვა (ქრონ. II, 160).

დაწერილთან დაპირისპირებით არის ნახმარი ტერმინი სიგელი დავით რუსუდანის ძის მეუღლის, დედოფალი თამარის შეწირულობის საბუთში. „ვიყიდე სოფელი კვახჭირი... ამირაჯიბის ქობულისძისა ბელესგან... პატრონთაგან მისთჳს ესეთითა სიგლითა ბოძე-

---

ფლობის სიგელი წმიდათა მეფეთაგან ჰქონდა ბოძებული, ხოლო დაწერილი თვით მისი, მსახურთუხუცესის სახლისაგან—ასე რომ სიგელი აქაც მეფეთა მიერ გაცემულ საბუთს (აქ უსაბანჯრობა-თავისუფლების საბუთს) ეწოდება.

[19] ამავე საბუთში მიოპოვება სამეცნიერო ლიტერატურაში გამოყენებული ადგილი „სიგლოსან“ გლეხებს რომ შეეხება. იხ. აქვე, გლეხთა ამ კატეგორიის განმარტება მოხსენებულის კვალად უნდა შესწორდეს.

ბული, რომელსა ესე სწერია:—თუ რაჲ ვის კვახჭირ(ი)ს სიგელი და დაწერილი ჰქონდეს ამით სიგლითა იგი ყოველი გაგვიტეხ(ი)ა და მტკიცე ესე ოდენ (არს)"[20]. „და თჳთ იგი სიგელი და ბეღესაგან ჩემთჳს მოცემული დაწერილი დავსდევ დიდსა მონასტერსა შინა"...

აქაც, როგორც ვხედავთ, მეფის („პატრონთაგან") ბოძებულობის აღმნიშვნელ საბუთს „ს ი გ ე ლ ი" ეწოდება, ხოლო ბეღესაგან დედოფლისათვის მიცემულ ნასყიდობის წიგნს ეწოდება „დაწერილი", ისევე როგორც თვით დედოფალი თამარის შეწირულობის ამ საბუთსაც.

ასეთივე მნიშვნელობით ხმარობს ტერმინ „სიგელს" საეკლესიო კრების ოქმი 1263 წლის ახლო დროისა. კრება მიჰმართავს მეფეს, „რომელსა დიდებულსა ანუ აზნაურს, ანუ დარბაზის ერსა, ანუ გლეხსა აქუს სიგელი თქუჷნთა გუართაგან ბოძებული, და თუ ვის აქუს, არავინ დაჰმალავს, რად არავინ გამოაჩენს, რომე საყდართა სოფელი ვის ზედა გაცემული იყოს და ეწერ.ოს თუინიერ ამისსა, რომ თქუჷნ გაგიცემიან და გიბოძებიან სიგლითა? (ქრ. II, 165). და კრება სთხოვს მეფეს: „მოაღებინეთ სიგლები და ნიშნები ყუალაჲ ყუალას ვისთჳსცა გიბოძებია"[21].

„ს ი გ ე ლ ს" უწოდებს მეფე დავით ნარინი მის მიერ ხეფინისკეველთა და წაქველთათვის ბოძებულ წყალობის წიგნს (საქ. სიძ. II, 6—7).

დიპლომატიკური ტერმინოლოგია ასეთივეა მეფე დავით დიმიტრის ძის საბუთში. წყალობის „ს ი გ ლ ი თ" სამამულოდ მიუბოძებს დავით მეფე გრიგოლ ჭარმაულს სოფელ ლაუშას[22].

ასევე „ს ი გ ე ლ ი" ეწოდება მეფის მიერ მიცემულ წყალობის საბუთს 1338 წელს (საქ. სიძ. II, 9), 1348 წელს (იქვე. II).

* *

ეხლა ვნახოთ ტერმინი „დაწერილის" ვითარება ამავე XII—XIII საუკუნეებში.

XII საუკუნის ცნობილ საეკლესიო მოღვაწეს ნიკოლოზ გულაბერის ძეს იერუსალიმის ჯვარის მონასტრისათვის დიდი ქონებრივი სამსახური გაუწევია. თავისი ამ საქმიანობის შესახებ მას საბუთი

---

[20] სამივე ადგილი ჩვენი შესწორებულია. ქრონ. II, 161, (ნ. ბ.).

[21] ქრონ. II, 164; საისტორიო მოამბე, I, 1925, 220—221.

[22] საქ. ხელნაწერთა ინსტ. Hd, 1330.

დაუწერია და მონასტერში დაუდვია. ესაა გვიანი ტერმინოლოგიით „შეწირულობის წიგნი“. მონასტრის კრებული სამაგიეროდ საუკუნო აღაპს გაუჩენს ნიკოლოზს. აქ კრებული აღნიშნავს ნიკოლოზის სამსახურს და მიუთითებს: „წაგებული მისგან ამას მონასტერსა შინა მისისა დ ა წ ე რ ი ლ ი ს ა გ ა ნ სცანით“. ასე რომ ნიკოლოზის იმ შეწირულობის წიგნს მონასტრის კრებული დ ა წ ე რ ი ლ ს უწოდებს (აღაპნი ჯუარის მონასტრისანი, § 125).

მანდატურთუხუცესი და ამირსპასალარი ჭიაბერი შეწირულობის საბუთს, რომელიც მან შიომღვიმის მონასტერს მისცა, დ ა წ ე რ ი ლ ს უწოდებს: „—ესე დაწერილი დაგიწერე და მოგაკსენე მე მანდატორთხუცესმან და ამირსპასალარმან ჭიაბერმან... შენ... მამასა შიოს“. ამასვე იმეორებს შემწირველი საბუთის ხელრთულობის ნაწილშიც: „ესე დაწერილი მე ჭიაბერსა მეფეთ მეფისა თამარის... დღეგრძელობისათვის შემიწირავს იგი კაცი და დაწერილი დამიმტკიცებია და ჩემად სალოცავად“... „დაწერილს“ უწოდებს ამ საბუთს კათალიკოზიც: „ესე დაწერილი ჩუენ ქ~ეს მიერ ქ~კსა თეოდორეს დაგუიმტკიცებია“. (შ. მღ. ისტ. საბ. 22).

ჭიაბერის ეს „დაწერილი“ გვიანი ტერმინოლოგიით „შეწირულობის წიგნია“. გვაქვს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ XII—XIII საუკუნეებში ასეთ საბუთს „დ ა წ ე რ ი ლ ი შ ე წ ი რ უ ლ ო ბ ი ს ა ჲ“ ეწოდებოდა.

შიომღვიმის კრებული უმტკიცებს ძმებს ტოხაჲსძეებს კვრიკე კახთა მეფის სამწირველოს... „ერთგულობასა შინა წმიდისა ამის უდაბნოისა“. ამ საბუთს როგორც მღვიმის კრებული, აგრეთვე დამამტკიცებელნიც დ ა წ ე რ ი ლ ს უწოდებენ: „ესე დაწერილი და სიმტკიცე დაგიწერეთ და მოგაკსენეთ ჩუენ... ყოველმან კრებულმან... თქუენ ტოხ(აჲსძეთა)... და აწ სრული არს დაწერილი ესე ჩუენგან და შემდგომთა ჩუენთაგან. მოწამენი და დამამტკიცებელნი ვართ ამა დაწერილსა ზედა ბასილი მემღუიმე, ლუკა წილკნელი და ნიკოლოზ მნათე და ერთობით ყოველი კრებული... და აწ ვინცა ვინა ესე ჩუენი დაწერილი შეცვალოს... ქ. ესე დაწერილი ჩ~ნქ~ეს მიერ ქ~კზსა თეოდორეს ჴელითა ჩუენითა დაგუიმტკიცებია... ქ. ესე დაწერილი ჩუენ ქრისტეს მიერ ქართლისა მთავარეპისკოპოზსა გიორგის ჩუენითა ჴელითა დაგუიმტკიცებია“. (შ. მღ. საბ. 24-25).

ეხლა, თუ ჩვენ ამ საბუთის რაობას ვიკითხავთ, ეს არის წ ყ ა ლ ო ბ ა, რაც კარგად ჩანს ფორმულიდან: „აწ გიბედნიეროს ღმერთმან... უკუნისამდე ერთგულობასა შინა წმიდის ამის“. გვიანი ტერმინოლოგიით ეს იქნებოდა „წყალობის წიგნი უდაბნოისა“—(იქვე 24). XII—XIII სს.-ში ამ საბუთს, გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, ეწოდებოდა „დ ა წ ე რ ი ლ ი წ ყ ა ლ ო ბ ი ს ა ჲ“.

ანტონ ჭყონდიდელმა შიომღვიმეს სხალტბიდან წყალი გამოუყვანა. ამ წყლის „სათავესა ზედა გლეხი ჯდა სასეფო“. ეს გლეხი ჭყონდიდელმა თამარ მეფეს გამოსთხოვა „წყლისა მკაზმავად“. მეფემ უბოძა ჭყონდიდელს გლეხი მონასტრისდა შესაწირავად და საამისო ბრძანება და სიგელიც დასწერა. ჭყონდიდელმა გლეხები (ერთი ფუძე ორ კვამლად) — ამ წყალს მიუყენა და მათ მიწა და ვენახი სარჩოდ მისცა. შიომღვიმის კრებულმა საქმეს დახედა და დაინახა, რომ ორი კომლი გლეხი წყალს მკაზმავად არ ეყოფოდა და თავის მხრით მესამე გლეხი მიუმატა და ამის შესახებ „დ ა წ ე რ ი ლ ი“ დაწერა. (შიომღ. საბ. 27).

XIII საუკუნის 40-იან წლებში მიქელ ქართლისა კათალიკოზი ეუბნება. მცხეთის სახლის მსახურთუხუცესს ვაჩე გუარამასძეს: „დაგიწერეთ. და მოგეცით დ ა წ ე რ ი ლ ი ესე. გუეჰაჯენით რაითამცა შეგუეწყალენით... და საყდრის სასამსახურო სამამულოდ სარჩომი გაგუეჩინა... ვისმინეთ აჯი თქუენი და მოგეცით სამამულოდ... სოფელი ორომაშენი ...არა შეგეცვალოს დ ა წ ე რ ი ლ ი, ესე მიუკუნისამდე ერთგულად მსახურებასა შინა კათოლიკე ეკლესიასა და ქართლისა კათალიკოზთასა“. ამ საბუთს ამტკიცებს მეფე დავითი. ამტკიცებს მას აგრეთვე ავაგ ათაბაგი და ამირსპასალარი: „ქ. ამის ღთისა სწორთაგან დამტკიცებულისა მოწამე ვარ და დ ა წ ე რ ი ლ ი ს ა დამამტკიცებლი ავაგ ათაბაგი და ამირსპასალარი“. როგორც ვხედავთ, ტიპიური წყალობის საბუთია, ეწოდება კი „დაწერილი“. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იმ დროს ასეთ საბუთს „დ ა წ ე რ ი ლ ი ს ა მ ა მ ა მ უ ლ ო დ შ ე წ ყ ა ლ ე ბ ი ს ა ჲ“ ეწოდებოდა.

შიომღვიმის მონასტერს, სხვათა შორის, ჰქონდა სოფელი გავაზელნი, ფავნელთაგან ჯერ კიდევ IX საუკუნეში ნასყიდი. ეს სოფელი დროთა განმავლობაში სურამელთა სახლის შესავალი შექმნილიყო. XIII საუკუნის 50-იან წლებში შიომღვიმის მონასტრის მწირმა არსენი მწიგნობართუხუცესყოფილმა იშუამდგომლა ქართლის ერისთავის გრიგოლ სურამელის წინაშე, საჭირო ქრთამი გაიღო და აღნიშნული სოფელი „უსამართლოჲსა ზედადებულისა ბეგრისაგან გაათავისუფლა“. გრიგოლმა საამისო საბუთიც მისცა მონასტერს.

არსენი წერს ამის შესახებ: „ქ. მე გლახაკმან არსენი მწირობასა შინა ჩემსა მღჳმეს ვეჰაჯე ნათელსა სულისა ჩემისასა გრიგოლ ქართლის ერისთავსა, რათამცა უბადოთა კაცთაგან შესავალად გასრული სოფელი გავაზელნი ძუელითავე წესითა გაუთავისუფლნა წმიდასა მამასა შიოს და უდაბნოსა მღჳმისსა, ვითა ძუ‍ელი დ ა წ ე რ ი ლ ი ა ქ უ ს ფ ა ვ ნ ე ლ თ ა გ ა ნ მ ო ნ ა ს ყ ი დ ო ბ ი ს ა ჲ მღვიმესა“... შემდეგ არსენი აღნიშნავს, თუ რაოდენი ქრთამი გაიღო,

რომ გრიგოლს გავაზელთა სოფლის შეუვალობა აღედგინა და განაგრძობს: „აწ გრიგოლ, ქვათაკევს წინაშე ხატსა ყოვლად წმიდის ღმრთის მშობლისასა მჯდომარემან, მისითა თავსმდებობითა და წმიდისა მთავარ მოწამისა გიორგისითა, ესე ზემოით დ ა წ ე რ ი ლ ი დ ა მ ი წ ე რ ე ს“...

ამრიგად, შიომღვიმის მონასტერს ჰქონია ძველი „დ ა წ ე რ ი ლ ი მ ო ნ ა ს ყ ი დ ო ბ ი ს ა ჲ“, გრიგოლ სურამელმა კი მისცა მონასტერს დაწერილი, რომელსაც შინაარსის მიხედვით და ზემორე მოწმობის („დაწერილი მონასყიდობისაჲ“) ანალოგიით შეიძლება უწოდოთ „დაწერილი აზადებისაჲ“, ან „დ ა წ ე რ ი ლ ი შ ე უ ვ ა ლ ო ბ ი ს ა ჲ“ (შ. მღ. 58. ქრონ. II, 102).

შიომღვიმის მონასტერში გაჩენილი იყო იოანე მთავარეპისკოპოსის სამწირველო სახლი. ეს სახლი ნაწყალობევად ჰქონდა ვინმეს (მისი გვარიდან მხოლოდ ერთი ასო პ-არი გადარჩენილა). ეს პირი ამოწყვეტილიყო და სამწირველო სახლიც „ხუარაზმელთა მორბევასა შიგა“ მოშლილიყო. იოანე მთავარეპისკოპოსის გაზრდილს დემეტრე წილკნელს შიომღვიმის კრებულთან შეთანხმებით ეს მოშლილ-დარბეული სამწირველო საქმე საბასათვის უწყალობებია. და აი ამ წ ყ ა ლ ო ბ ი ს საბუთს (საამისო კარგი მოწმობაა ფორმულა: „აწ გიბედნიეროს ღმერთმან ერთგულობასა შინა ჩუენსა“) დემეტრე წილკნელი უწოდებს დ ა წ ე რ ი ლ ს: „ესე დაწერილი მე დემეტრე (წილკნელმან), მამამან ჩემმან ნიკოლოზ და ძმათა ჩემთა იოანე და გიორგი დაგიწერეთ“... (ქრონ. II 125-126, შ. მღ. საბ. 63).

XIII საუკუნის 50-იან წლებში ქართლის ერისთავმა გრიგოლ სურამელმა შიომღვიმის მონასტერს მტკვარზე წისქვილი აუშენა, ციხედიდს მონასტრისაგან გლეხი იყიდა და ამ წისქვილს მკაზმავად მიუყენა. ყველა ეს გრიგოლმა შიომღვიმის მონასტერს შესწირა.

მონასტრის კრებულმა ქართლის ერისთავს საუკუნო სალოცავი გაუჩინა და საამისო საბუთიც მისცა[23] „...ესე დ ა წ ე რ ი ლ ი ჩუენ მღუიმელთაგანვე მოჴსენებული თქუენ გრიგოლ მსახურთუხუცესისათუის სულისა თქუენისა საჴსრად წინაშე ღმრთისა ჩუენ ყოველთავე ძმათა მღუიმისათა დაგუიმტკიცებია“.

თუ რა სახეობითი სახელი უნდა სწოდებოდა ასეთ დაწერილს, ეს ჩანს ნიკოლოზ კ´ზის დამტკიცებაში „ქ... ესე ვითა წმიდათა და

---

[23] ქრონ. II, 127—128, შიომღვ. საბ. 64—65, ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, „სიგელი მსახურთუხუცესის გრიგოლ სურამელისა 1250 წელს შიოღვიმისათვის დაწერილი“. გამომცემელი არა მარტო საბუთის სწორად დასახელებას ვერ იძლევა,—ეს საბუთი „დაწერილია“ და არა „სიგელი“,—არამედ ამავე საბუთის დასათაურებაში სრულიად შებრუნებითაა შინაარსი წარმოდგენილი საბუთის გამცემისა და მიმღების შესახებ.

ღმერთშემოსილთა მამათა მემღუიმეს და სხუათა ძმათა დიდის მსახურთუხუცესის გრიგოლ სურამელის და მისთა მომავალთათუის სალოცავად საუკუნოდ დაწერილი ესე დაუწერია და პატრონთა საუფლოითა ჭელითა დაუმტკიცებია, ჩუენც გლახაკი ქ~ეს მიერ ქ~კზი ნიკოლოზ მოწამე და დამამტკიცებელი ვარ". ასე რომ ამ საბუთის სახელი შესაძლებელია იყოს „დაწერილი საუკუნო სალოცავისად"[24].

მეფე დავით გიორგის ძემ XIII საუკუნის 60-იან წლებში მცხეთის სოფელი შუბანი, კლარჯეთში, არვანბეგ საბაისძეს უწყალობა. ნიკოლოზ კათალიკოზმა მცხეთის ნაქონევი მოიკითხა. საბაისძემ მეფის სიგელი წარმოადგინა. ~ზმაც შეიწყალა საბაისძე და სოფელი შუბანი უბოძა სამკვიდროდ იმ პირობით, რომ ის ყოველწლიურად ოც ლიტრა ცვილს მიართმევდა მცხეთის ეკლესიას და აი, ამ ტიპიურ სამამულოდ შეწყალების საბუთს ნიკოლოზ ~ზი „დაწერილს" უწოდებს: „ქ... ესე დაწერილი ჩუენ გლახაკმან ქართლისა კათალიკოზმან ნიკოლოზ დაგიწერეთ და მოგეცით თქუენ საბაისძესა არვანბეგს და შვილთა და მომავალთა ყოველთა სახლისა თქუენისათა... გქონდეს შუბანი... მკუიდრად სამამულოდ ერთგულებით მსახურებასა შინა კათოლიკე ეკლესისა და საყდრის მპყრობელთასა"... (ჩვენი საკითხისათვის განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ ნიკოლოზ კათალიკოზის ამ „დაწერილს" ყველა ის მოწმე დამამტკიცებელნი, რომელნიც მისი ხელქვეშეთნი არიან, „ბრძანებას" უწოდებენ, მაგრამ სარგის ათაბაგი, აგრეთვე მოწმე, აწერს: „სარგის ათაბაგი მოწამე ვარ ამა დაწერილისაი"[25]. თითქო გამოდის: დაწერილი დამწერის ხელქვეშეთთათვის ბრძანებაა, აქედან გასაგებია, რომ მეფის საბუთს „ბრძანება" და „სიგელი" ეწოდება: ის ყველასათვის ბრძანებაა).

არსენ ჭყონდიდელ მწიგნობართუხუცესმა XIII ს. 40-იან წლებში შეიწყალა მგელა აბულახტარისძე „ერთგულად მსახურებისათვის" და უბოძა სოფელი ღუერკი „სამამულოდ, თავისუფლად, შეუვალად და შეუცვალებლად". ტიპიური წყალობის საბუთია: პატრონი, ჰაჯა, ბოძება, ერთგულად სამსახურის პირობაა... და ეწოდება ამ საბუთს „დაწერილი". ამ სახელს უწოდებს მას როგორც არსენი, ისე მოწმე დამამტკიცებელნიც (საისტორიო მოამბე, II, 1925, 132—133).

საბუთის სახეობის აღნიშვნა რომ საერთო წესად ყოფილიყო

---

[24] ამ ხასიათის საბუთები ჩვენ მრავლად მოგვეპოვება გვიანი დროიდან.

[25] ეს საბუთი ჯერჯერობით გამოუცემელია. მე ვსარგებლობ მისგან გადაწერილი პირით.

მიღებული, როგორც ამას ადგილი აქვს ნაგვიანევ ხანაში, არსენის ამ საბუთს „დაწერილი წყალობისაჲ“ ან „დაწერილი სამამულოდ ბოძებულობისაჲ“ ერქმეოდა (შდრ. ზემოთ „სიგელნი სამამულოდ ბოძებულობისანი“).

კახა თორელმა სოფელი ხოვლე იყიდა და რკონის ღ-თის მშობელს შესწირა. შემწირველმა მონასტერში საუკუნო სალოცავი გაიჩინა[25].

თვითონ კახა მის მიერვე შექმნილს ამ საბუთს „დ ა წ ე რ ი ლ ს“ უწოდებს. „ესე დაწერილ დაგიწერეთ და მოგაკსენეთ თქუენ რკონისა ღთის-მშობელსა... თუ აფხაზთა მეფეთა წარიკითხონ ესე ჩემი დაწერილი და მათ არა მიასაბიონ, მათ ჰკითხნეს ღმერთმან“. აგრეთვე „დაწერილებს“ უწოდებს ის სოფ. ხოვლეს ნასყიდობის საბუთებს, ორტაღებს რომ ჰქონიათ მიღებული ამ სოფლის მემამულე აღბუღასა და მისთა შვილთაგან. „მე კახამან (და თანამეცხედრემან ჩემმან) ხათუთამან ვიყიდე ხოვლე თქუენთუის მემამულეთა აღბუღაისგან და მისთა შვილთაგან გასყიდულნი, ვითა თუით დ ა წ ე რ ი ლ ნ ი მათნი თქუენს წინაშე დაგუისხმან ორტაღთა ზედა გასყიდულობისანი“. ამითვე გაირკვა, რომ ნასყიდობის საბუთს კახა თორელის ენით ეწოდება „დაწერილი გასყიდულობისაი“. ამავე დროს კახა თორელი მეფის მიერ გაცემულ საბუთს მხოლოდ „ს ი გ ე ლ ს“ უწოდებს[27].

„დ ა წ ე რ ი ლ ს“ უწოდებენ კახას ამ საბუთს ყველა მოწმე დამამტკიცებელნიც.

XIII საუკუნის 60-იან წლებში ძაგან აბულეთის ძემ, ძემან ერისთავთერისთავისა ივანესამან, იყიდა სოფელი ანგროინი და შიომღვიმის მონასტერს შესწირა. ამით მან საუკუნო სალოცავი გაიჩინა. და ამ საბუთს საუკუნო სალოცავის შესახებ ძაგან აბულეთისძე „დაწერილს“ უწოდებს.

„...დაგიწერე და მოგაკსენე დაწერილი ესე... წმიდასა მამასა შიოს და მღუიმეს შინა დამკუიდრებულთა წმიდათა მამათა“... საბუთის სახეობითი განმარტება ამ დროს რომ მიღებული ყოფილიყო, ამ საბუთს „დაწერილი შეწირულობისაჲ ან დაწერილი საუკუნო სალოცავისაი“ ერქმეოდა.

XIII საუკუნის 70-იან წლებში შიომღვიმის მონასტრის კრებული უმტკიცებს კვირიკე კახთა მეფის მწირველ-მეაღაპეს ზოსიმეს ხსენებულ სამწირველოს და ეს არის „დაწერილი[28]; „აწ ამას დაწე-

---

[26] ქრონ. II, 132—140. გამომცემლის ტერმინოლოგიით „რკონის სიგელი“.

[27] ეს ჩვენ ზემორე უჩვენეთ.

[28] ამისდა თანახმად საბუთის გამომცემლის აღნადგენი: „სიგელი“ უნდა შეესწორდეს „დაწერილით“ შიომღვ. საბ. 59.

რილსა ჩვენსა მოწამენი ვართ ამას უდაბნოსა შინა მყოფნი ძმანი და მოწაფენი და შვილნი წმიდისა მამისა შიოჲსნი“...

ამავე საბუთში მოიპოვება ცნობა ერთი სხვა დაწერილის შესახებაც. „და კულა იოანეს მთხრობელი აუდგა. ივანბერი წუერ-გრძელისძე და მიწაჲ დაკარგული უთხრა და მან მისითა მოჭირვებითა და საურავითა ზედავე შესძინა. თვთ ამისი დ ა წ ე რ ი ლ ი ძეს“ ...ეს ივანე ზოსიმეს გამზრდელი იყო და მასთან ერთად კვირიკე კახთა მეფის სამწირველო სახლის მეურნეობაზე ზრუნავდა. როგორც ჩანს, ამ სახლის მიწა ვიღაცას მიუთვისებია. ივანბერ წვერგრძელისძეს საქმე გაუმხელია. ზოსიმეს გამზრდელს იოანეს დაკარგული მიწა ამოუგია და სამწირველო სახლისთვისვე დაუბრუნებია. ამ საქმის შესახებ საბუთს (უნდა ვიფიქროთ, ზოსიმეს გამზრდელ იოანეს მიერ დადებულს), რომელიც აქვე ყოფილა დაცული ეწოდება „დ ა წ ე რ ი ლ ი“ (შ. მღ. საბ. 60, ქრონ. II, 150).

თ. ჟორდანიას თავისი ქრონიკების II ტომში დაბეჭდილი აქვს ერთი საბუთი, რომელსაც ის XIII საუკუნის 60-იანი წლებით ათარიღებს (გვ. 148—149).

ესაა ტიპიური ნასყიდობის წიგნი. როგორც უძველესი დოკუმენტი ამ სახეობისა, ის მეტად საინტერესოა (ამის შესახებ სხვაგან, თავის ადგილას, გვექნება საუბარი). და ამ საბუთს ეწოდება „დ ა წ ე რ ი ლ ი“.

„სახელითა ღმრთისაითა... დაგიწერეთ დაწერილი ესე ჩუენ ჩაფქევასძეთა... თქუენ ვერხულასძეთა... მოგყიდე ნავენახები“... ამ საბუთს ამტკიცებს გრიგოლ სურამელი: „მე გ ᲒᲚ სურამელსა დამიმტკიცებია და[წერილ]ი ესე“.

სახეობით განმარტებაზე რომ საქმე მიმდგარიყო, ეს იქნებოდა იმდროინდელი გამოთქმით „დ ა წ ე რ ი ლ ი გ ა ს ყ ი დ უ ლ ო ბ ი ს ა ი“.

შიომღვიმის მონასტერში დაცული ყოფილა XIII საუკუნიდან ერთი საბუთი, რომელიც გვიანი ხანის დიპლომატიკური ტერმინოლოგიით ტიპიური გარდაწყვეტილობის წიგნია. აქ კი მას „დ ა წ ე რ ი ლ ი“ ეწოდება.

—„ესე დაწერილი დაგიწერეთ ჩუენ ჯარაისძეთა კუირიკე და ბასილმან შენ გიორგის მუშირისძესა მას ჟამსა, ოდეს ძმა შენი ზოსიმე მიცვალა, ოქროსა ვეჴედით ჩუენთა მშობელთაგან დანადებსა ზოსიმეს თანა და ამის საქმისათუის შენ, გიორგის, გერჩოდით, ვიძიეთ და ვცან მართალი, რომელ ძმასავე ჩუენსა იოანე თფილელსა წაეგო თჳნიერ ამისგან გარეშე, რომელ ზოსიმეს ჴელსა მინდობით შესამოსელი იყო და იგი დაიკარგა და წაჴდა და ესე შესამოსელი

რვა დრაჰკნად ვაჭრულად დააფასეს. შენ ოქროდ არ ძალგინჩდა და მოგუეც ორი გუთანი მიწაი მჭედლითური"... (ქრონ. II, 152).

იმ დროსაც, საფიქრებელია, ამ საბუთის სახეობითი სახელი იქნებოდა „დ ა წ ე რ ი ლ ი გ ა რ დ ა წ ყ უ ე ტ ი ლ ო ბ ი ს ა".

იქვე შიომღვიმის მონასტერში დაცული ყოფილა საბუთი XIII საუკუნიდან, ტიპიური „ვალის წიგნი" გვიანი ტერმინოლოგიით. აქ კი მასაც „დ ა წ ე რ ი ლ ი" ეწოდება, „ქ... ისე დაწერილი დაგიწერეთ ჩუენ ბურჯულთა კავთულამა და თევდორამა და ჩუენთა შვილთა ბასილამა და მშუიდამა. დაგუეჰირუა ჰავისა ჟამისაგან და ხარაჯობისაგან და ავიღეთ თქუენ მოძღურისაგან დემეტრესაგან ტუხუაისძისაგან სამოცი თეთრი დეკემბერსა ათსა და გამიჩინეთ ოცი კოკაი ტკბილი წელიწადსა შიგა მზაი, რომე უსიტყუელადა ჭელთა მოგაჭსენებდეთ, ვიდრემდისცაღა ამა ოეთრსა შენსა ჭელთა მოგაჭსენებდეთ" (ქრონ. 153). თანამედროვე სახეობითი განმარტება ამ „დაწერილისა" იქნებოდა „დ ა წ ე რ ი ლ ი ვ ა ლ ი ს ა ჲ".

XIII საუკუნის საეკლესიო კრების ოქმის ერთი ადგილი ჩვენი საკითხისათვის საყურადღებო დაკვირვების საშუალებას იძლევა: კრება მიმართავს მეფეს: „რომელსა დიდებულსა ანუ აზნაურსა ანუ დარბაზის ერსა ანუ გლეხსა აქუს სიგელი თქუენთა გუართაგან ბოძებული, — და თუ ვის აქუს, არავინ დამალავს, რად არავინ გამოაჩინა,—რომე საყდართა სოფელი ვისზედა გაცემულ იყოს და „ეწეროს" თუინიერ ამისსა, რომე თქუენ გაგიცემიან და გიბოძებიან სიგლითა"?

გამოდის, მეფე ვინმეზე „გასცემს" ანუ „დასწერს" საყდართა სოფელს. ასე რომ ამ პირს ექნება ამიერიდან მეფის „დაწერილი ბოძებულობისაი" (შდრ. ზემოთ ნიკოლოზ კ'ზის დაწერილში „სიგელი სამამულოდ ბოძებულობისაი"). ეწოდება კი, აქვე, მეფის ამ „დაწერილს" ს ი გ ე ლ ი. თითქო შესაძლებელია დასკვნა: დაწერილი საერთო სახელია, სიგელი დაწერილის სახეობაა: ის მეფის „დაწერილია".

„დ ა წ ე რ ი ლ ს" უწოდებს ბეგა სურამელი სამამულე წიგნს (გვიანი ტერმინოლოგიით), რომელსაც ის ვინმე ტოტებას აძლევს XIII ს. 70-80-იან წლებში. „დაგიწერე დაწერილი და... [მ]ე ბეგამან სურამელმან თქუენ ტოტებ[ასა] და გიორგის.. არ შეგეცვალოს დ ა წ ე რ ი ლ ი ე ს ე თქუენ ტოტებაისა შვილთა და მომავალთა ჩუენსა ერთგულობასა შიგა, გქონდეს მკუიდრად მამულად" (ქრონ. 153-154).

საუკუნო სალოცავის ანუ, გვიანი ტერმინოლოგიით, სააღაპე წიგნებს სდებენ მეფე დავით რუსუდანისძე და დეოფალი თამარ ემენელაისძის ასული XIII საუკუნის მეორე ნახევარში. ორივე

ყიდულობენ სოფლებს, მეფე—საბანელას, დედოფალი—კვახჭირს, და სწირავენ გელათს. მეფის ამ საბუთს აქ ეწოდება „ბრძანებაი და სიგელი“, დედოფალი კი გვაუწყებს: „დაწერილი ესე დავსდევ დიდ-სა და წმიდასა მონასტერსა... გელათს“-ო (ქრონ. II, 160). აქვე დ ა-წ ე რ ი ლ ს უწოდებს თამარ დედოფალი იმ ნასყიდობის წიგნს, რომელიც მას მისცა სოფელ კვახჭირის გამომყიდველმა ამირეჯიბმა ბეღე ქობულისძემ (იქვე, 161).

ბატონი ბეგა სურამელი მამულს გამოუცვლის თავის ყმას (ჯომარდიძეს) და ამ გაცვლილობის წიგნს (გვიანი ტერმინოლოგიით) აქ ეწოდება „დ ა წ ე რ ი ლ ი“... „ესე დაწერილი დაგიწერე მე მსახურთაუხუცესმან ბეგამან ძემან გრიგოლ სულკურთხეულისამან შენა ჯომარდისძესა ქუფაქუასა და ძ[მ]სა შენსა ჯიბისა, შვილთა და ყოველთავე მომავალთა თქუენთა; მომინდა თქუენი მკუიდრი მამული პატარაი ადგილი ჩემდა დასაჯდომად და მისი ადგილისთანაი პატარა ვენახი და მოგეც მისდა სანაცვლოდ შენისა განაყოფისა ოქროისა მამული ნასყიდი და უსყიდები და მისი საჯდომი სახლითა“... (ქრ. 169).

XIII საუკუნის მიწურულს ბეგა სურამელის შვილის მიქელის ცოლი ქაქანა აღაპს გაიკვეთს ქვათაკევის მონასტერში. გვიანი ტერმინოლოგიით ეს არის ტიპიური „სააღაპე წიგნი“, ქაქანა კი ამ საბუთს „დ ა წ ე რ ი ლ ს“ უ წ ო დ ე ბ ს: „...ესე დაწერილი დაგიწერე და მოგაკსენე თქუენ (ქვათაკევის ღმრთის) მშობელსა მე სურამელის ბეგას შვილის მიქელის ცოლმან ქაქანამან“... (ქრონ. II, 170).

ასევე დაწერილს უწოდებს ქართლის კათალიკოზი მიქელ მის მიერვე გაცემულ საბუთს, რომელიც გვიანი ტერმინოლოგიით „წყალობის წიგნია“. ამ საბუთის სახეობითი განმარტება იმ დროსვე „დაწერილი სამამულოდ ბოძებულობისაჲ“ ან კიდევ „დაწერილი წყალობისაჲ“ უნდა ყოფილიყო.

XIII საუკუნის მეორე ნახევრით არის დათარიღებული კორიდეთის ბერძნული ოთხთავის ის მინაწერი, რომელიც ამირახორს ჟან ჭიასძეს ეკუთვნის. გვიანი ტერმინოლოგიით ეს არის შეწირულობის წიგნი. მინაწერის ავტორი კი მას დ ა წ ე რ ი ლ ს უწოდებს (ИАН, 1911, г., № 4, გვ. 223), იმავე დროისად (დაახლოებით) არის ნაგულისხმევი ორი სხვა მინაწერიც. ესენი ტიპიური ნასყიდობის წიგნებია, ორივეს კი „დ ა წ ე რ ი ლ ი“ ეწოდება (იქვე, 230, 235).

XIII საუკუნეში კორიდეთის მემამულე ბეშქენ ათავისუფლებს ხსენებულ სოფელს მაზედ დადებული ახალი ბეგარისაგან. გვიანი ტერმინოლოგიით ესაა აზატობის წიგნი. ბეშქენი კი მის მიცემულ საბუთს „დაწერილს“ უწოდებს. იმ დროის სახეობითი განმარტება ამ საბუთისა იქნებოდა „დაწერილი გაშუებულობისაი ან აზატები-

საჲ“ (იქვე 233). იმავე კორიდეთის ბერძნული ოთხთავის ქართულ მინაწერებში მოიპოვება საბუთი, რომელსაც დიდი აზნაური მურვან აძლევს მიქელ ხუცესს. გვიანი ტერმინოლოგიით ეს არის წყალობის წიგნი, მურვანი მას „დ ა წ ე რ ი ლ ს“ უწოდებს. იმ ხანის ტერმინოლოგიით ეს იქნებოდა „დაწერილი სამამულოდ შეწყალებისაი“ (231). იქვე მოიპოვება ორი ნასყიდობის წიგნი (230, 235) XIII—XIV საუკუნისა (ქართული დიპლომატიკის ისტორიისათვის ეს წიგნები მეტად საინტერესონი ჩანან). აქ ორივეს „დაწერილი“ ეწოდება.

ჯვარის მონასტრის ერთ-ერთი შემწირველის მოლარეთუხუცესი ხელას სურვილი ყოფილა, რათა მისთვის „ერთი კანდელი საფლაკსა ქ(ر)ესსა საუკუნოდ დაუვსებლად ენთებოდეს, სადამდისცა ესე ჯუარის სახლი ეგოს“. მონასტრის კრებული გაუჩენს შემწირველს სამარადისო კანდელს. კრებულის საამისო საბუთს „პ ი რ ი და დ ა წ ე რ ი ლ ი“ ეწოდება (იქვე § 122).

XIII საუკუნის მიწურულს სამცხის მთავარი ბექა მანდატურთუხუცესი აძლევს ერთგულობის, გაუყრელობის, მოკეთეობის წიგნს კახა თორელს. აქ ამ საბუთსაც „დაწერილი“ ეწოდება. საფიქრებელია, სახეობითი სახელი ამ დაწერილისა იქნებოდა „დაწერილი მოდაწერილობისაჲ“, ან „დაწერილი გაუყრელობისაი“, ან „დაწერილი სამოკეთოი“ (საქ. სიძ. II, 8).

1344 წ. შიომღვიმის მონასტერი სამი დღის მიწას საბეგროდ მისცემს ვინმე ბავტისძე ჯაუნარს. გვიანი ტერმინოლოგიით ეს იქნებოდა წყალობის წიგნი. აქ მას „დ ა წ ე რ ი ლ ი“ ეწოდება.

1376 წ. შიომღვიმის მონასტრის კრებული დაუწერს სუნღულს „დ ა წ ე რ ი ლ ს“. ეს საბუთი იმავე ხასიათისა არის, როგორიც გრიგოლ მსახურთუხუცესმა ამავე მონასტრის კრებულისაგან მიიღო. ასე რომ ამ საბუთის სახეობითი სახელი „დაწერილი საუკუნო სალოცავისა“ იქნებოდა.

დიპლომატიკური ტერმინი „დაწერილისათვის“ მეტად საინტერესოა სვანური წარმოშობის საბუთები (ბ. ინგოროყვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნაკვეთი მეორე, ტექსტები, 1941). ამ საბუთების დიდი უმრავლესობა XIV-XV საუკუნისაა. ამაზე უფრო გვიანი დროის საბუთი აქ თითო-ოროლაა. ამ უკანასკნელთ გამოუკლებლად წ ი გ ნ ი ეწოდება.

სამაგიეროდ ძველი საბუთების დიდ უმრავლესობას[29] „დაწერილი“ ეწოდება. შინაარსის მიხედვით ეს საბუთები სხვადასხვაა, ასევე სხვადასხვაა საბუთის მიმცემ-მიმღებნიც. მეფის მიერ გაცემული საბუთი აქ არ მოიპოვება. ასეთი საბუთი ერთს არასვანური წარმო-

---

[29] 90%—მეტი.

შობის დოკუმენტში არის აღნიშნული. მას „ს ი გ ე ლ ი“ ეწოდება[30].

სვანური წარმოშობის ეს საბუთები ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო იმითაა, რომ აქ შედარებით ხშირად ვხვდებით ამა თუ იმ „დაწერილის“ სახეობით განმარტებას:

„დაწერილი სამაგრობელი“ (გვ. 5 და სხვ.)

„დაწერილი ქვეყნის სამაგრობელი“ (25, 65,)

„დაწერილი სამოკეთოი“ (გვ. 13 და სხვ.)

„დაწერილი საერთოი და საერთპიროი“ (3021, 70, 1911, № 4, 234)

„დაწერილი ერთობისა და გაუყრელობისა“ (45, 62)

„დაწერილი გარდაწყვეტილობისა“ (49, 89)

„დაწერილი ბოლომოღებულობისა“ (49, 50)

„დაწერილი სყიდულობისა“ (78, 79)

„დაწერილი ვაჭრობისა და მკვიდრად ნასყიდობისა“ (83, 84)

„დაწერილი ერთსახლობისა და გაუყრელობისა“ (90)

„დაწერილი გარდაწყვეტილობისა და მოწყობისა“ (91)

„დაწერილი ერთობისა და ერთსახლობისა“ (96)

„დაწერილი გაუყრელობისა“ (97)

* * *

ამ ფაქტების განხილვის შედეგად ჩვენი დასკვნა შემდეგი შეიძლება იყოს:

XI—XIII საუკუნეთა მანძილზე ქართულ დიპლომატიკაში ყოველ იურიდიულ დოკუმენტს „დაწერილი“ ეწოდება, თუ ის მეფისაგან არ არის გაცემული. „სიგელი“ მხოლოდ მეფის სახელით შესრულებულ იურიდიულ დოკუმენტს ეწოდება.

„დაწერილისა“ და „სიგლის“ აღრევის ფაქტი აღნიშნულ საუკუნეებში იშვიათია[31]. ასევე ზოგადი ტერმინია „სიგელიც“.

* * *

ეს დასკვნა ჩვენ საგანგებოდ შემოვსაზღვრეთ XI—XIII საუკუნეებით.

რა თქმა უნდა, ტერმინი „დაწერილი“ XIV—XV სს. და უფრო გვიანაც გვხვდება დიპლომატიკური ფაქტის აღსანიშნავად. სიგელიც მეფეთა საბუთებს XIII ს-ის შემდეგაც ეწოდება. მაგრამ ახალი აქ ისაა, რომ ტერმინი „დაწერილი“, როგორც დიპლომატიკური ფაქ-

---

[30] წიგნი სასისხლო საქმისა ბელას (sic) ზემო სვანეთისა და თაეად ჯაფარიძეთა შორის, გვ. 32.

[31] ამავე საუკუნეებში ქართული დიპლომატიკური ფაქტების აღსანიშნავად გარდა „დაწერილისა“ და „სიგლისა“ სხვა ტერმინებიც იხმარება, მაგრამ ისინი ჩვენი მიზნებისათვის საინტერესო არაა.

ტების ზოგადი სახელი, სულ უფრო და უფრო იშვიათი ხდება და ბოლოს (დაახლოებით XVI საუკუნეში) სავსებით ქრება. „სიგლის“ შინაარსი კი ფართოვდება. ამ ტერმინით აღინიშნება არა მარტო მეფეთა. არამედ კერძო პირთა საბუთებიც. ასე რომ ტერმინი „დაწერილის“ ადგილსაც თანდათან „სიგელი“ იჭერს. მესამე საყურადღებო გარემოებაც XIV—XV საუკუნეებიდანვე იჩენს თავს: იურიდიულ-დიპლომატიკური. ფაქტების აღმნიშვნელ ზოგად ტერმინად შემოდის „წ ი გ ნ ი“, რომელიც სულ უფრო და უფრო ვრცელდება და საბოლოოდ განდევნის „დაწერილს“. ამავე დროს ის ხშირად „სიგლის“ მაგივრადაც იხმარება.

ჩვენს მიზნებში არ შედის იმის კვლევა, თუ რა ნიადაგზე ხდებოდა აღნიშნული ცვლილებები ქართულ დიპლომატიკაში. ეს საკუთრივ ქართული დიპლომატიკის ისტორიის საკითხია. ჩვენი კვლევის მიზანი აგრე ფართე არაა. ამიტომ ჩვენ აქ მხოლოდ ამ ფაქტების კონსტატაციით დავკმაყოფილდებით.

მოვიტანთ საჭირო მოწმობებს:

ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდში მოიპოვება ერთი საბუთის ფრაგმენტი. ის ჯავახიშვილების სახლიდან უნდა იყოს შემოსული[32]. ამ საბუთს ახლავს სპარსული და მონღოლური მინაწერები. მოწმე დამამტკიცებელთა მიხედვით საბუთი XIV ს. პირველ მეოთხედს მიეკუთვნება[33].

როგორც გადარჩენილი ნაწილიდან ჩანს, ეს არის ნასყიდობის წიგნი. მოსალოდნელი იყო, რომ მას „დაწერილი“ რქმეოდა. მართლაც, მოწმეები მას „დაწერილს“ უწოდებენ: „მე ლაშა მოწამე ვარ ამ დ ა წ ე რ ი ლ ი ს ა ი“, ან კიდევ, „მე ორბელი ივანე მოწამე ვარ ამ დ ა წ ე რ ი ლ ი ს ა ი“. „დაწერილს“ უწოდებს მას ქართლის კათალიკოზიც. ამავე დროს საბუთის დამწერი ქუაბულ[ისძე] წერს: „დაიწერა ს ი გ ე ლ ი ესე...“ ამავე ტერმინით აქვს დამწერს მოხსენებული ეს საბუთი მეორე ადგილასაც: „რამანცა გინდა ადამიანმან შეგიცვალოს დაწერილი[34] ს ი გ ე ლ ი, ჰრისხავსმცა მამა, ძე და სულიწმიდა და ესე ზემოთ წერილნი წმიდანი“.

ა ს ე რ ო მ უ კ ვ ე XIV ს ა უ კ უ ნ ი ს პ ი რ ვ ე ლ ნ ა ხ ე ვ ა რ შ ი ვ ე ტ ერ მ ი ნ ე ბ ი დ ა წ ე რ ი ლ ი დ ა ს ი გ ე ლ ი ა რ ე უ ლ ი ა[35].

---

32 მე ეს საბუთი მაშინ გადმოვწერე, როცა ის ჯერ კიდევ აღნუსხული არ იყო. ეხლა კი სახელდახელოდ ვერ ვიპოვე, რომ მისი № მეჩვენებინა.

33 შაჰანშა ათაბაგი, ქვეშელი ლიპარიტ.

34 ტექსტის ნაკლულობის გამო ვერიდებით მსჯელობას იმის შესახებ, არის თუ არა ეს სიტყვა „დაწერილი“ აქ ნახმარი როგორც ტერმინი.

35 რადგან დანამდვილებით არ ვიცით, თუ ვინაა ამ საბუთის მიმცემი, ამიტომ სხვა დასკვნების გამოტანას ვერიდებით.

თ. ჟორდანიას თავის ქრონიკებში (II, 188) დაბეჭდილი აქვს „სიგელი ალექსანდრე მეფისა“. გამომცემელი მას XIV საუკუნისად თვლის[36]. მაგრამ, რადგანაც ეს საბუთი უფრო გვიანი ხანისა ჩანს, ამიტომ ტერმინი „სიგელის“ ნაცვლად აქ „წიგნის“ არსებობა არც თუ განსაკუთრებული ყურადღების ღირსია. „ქ. ჩუჷნ ჯელმწიფემან მეფემ ალექსანდრემ ესე „წ ი გ ნ ი“ მოგართვი თქუჷნ ცათა მობაძავსა დიდსა საყდარსა მცხეთას... და... კ᾽ზს ბასილის“[37]...

ასევე შეცდომაა თ. ჟორდანიას მიერ დათარიღება ორი საბუთისა 1391 წლით (ქრონ. II, 191, 192); ორივე ეს საბუთი XV საუკუნის მეორე ნახევარზე ადრინდელი არა ჩანს. ორივე საბუთში „წ ი გ ნ ი“ ან სცვლის „ს ი გ ე ლ ს“ ან ამ უკანასკნელთან ერთად იხმარება. „ქ. ჩუენ მეფეთ მეფემან პატრონმა ალექსანდრე... ეს წ უ ა ლ ო ბ ი ს წ ი გ ნ ი გიწყალობეთ (sic)... თქუენ მაღალაძეს ამილბარს, დამიტრის და გიორგის“... მეორე საბუთში სწერია: „ქ. ჩუენ ღთივ გვირგვინოსანისა მეფეთ მეფისა გიორგისა ძემან პატრონმან მეფემა ალექსანდრე და ძეთა ჩვენთა გიორგი და დიმიტრი ესე წიგნი და ნიშანი გიბოძეთ და მოგეცით თქუენ ჩუენის საყდრისშვილთა ქადაგს მახარებელსა...

დაიწერა წ ი გ ნ ი და ს ი გ ე ლ ი ესე... ჯელითა კარისა მწიგნობრისა ჩუენისა იოანესითა“.

ასე რომ „წიგნის“ ხმარების ეს ფაქტები შესაძლებელია ამ საბუთების ნაგვიანევობის მოწმობადაც იყოს გამოყენებული. არც 1397 წლით დათარიღებული საბუთი (ჟორდანია, ქრონიკები II, 202) არის უეჭველი. ყველა ნიშნით ეს საბუთი რამდენიმე ათეული წლით მაინც უფრო ნაგვიანევია. ამ გარემოებას უჭერს მხარს ტერმინი „წიგნის“ ხმარებაც „სიგელის“ ნაცვლად: ქ... ჩუენ... მეფეთ მეფემან ალექსანდრე... ესე წ ი გ ნ ი... მოგვიჯსენებია და შემოგვიწირავს თქუენ სვეტიცხოველს“...

1405 წელს ამირახორი ხიმშია სვეტიცხოველს სწირავს გლეხს შერგილასშვილს და გაიჩენს აღაპს. და დემეტრე მარკოზაშვილი (საბუთის დამწერი) წერს: „დაიწერა ს ი გ ე ლ ი და ა ღ თ ქ უ მ ა ესე ქკნსა: ეგ, აპრილსა იგ: დღესსა:“ როგორც ვხედავთ, აქ „სიგელი“ კერძო პირის მიერ დადებულ შეწირულობის წიგნს ეწოდება: „ს ი გ ე ლ მ ა“ შ ე ც ვ ა ლ ა „დ ა წ ე რ ი ლ ი“. 1399—1419 წლებში ელიოზ კათალიკოზი მცხეთიშვილ იოვანეს წყალობად უბო-

---

[36] აღნიშნულ საბუთში მოხსენებული ტერმინი „საბარათიანო“ შეუძლებელს ყოფს ამ საბუთის ასეთ დათარიღებას. ის, თუ საერთოდ ნატყუარი არაა, უფრო გვიანი ხანისაა.

[37] შეიძლება ტერმინი „წიგნის“ ხმარება სწორედ ამ საბუთის ნაგვიანევობის მოწმობა იყოს.

ძებს ძველად ნაქონებ მამულს. XII-XIII საუკუნეთა ტერმინოლოგიით ეს იქნებოდა „დაწერილი სამამულოდ შეწყალებისაი". ელიოზ კათალიკოზი კი წერს: ესე წყალობის წიგნი და სიგელი გიბოძეთ (ქრონ. II 218). უკვე შეცვალა „დაწერილი" „წიგნმა", ტერმინი „სიგელიც" გაფართოვდა, მასში იგულისხმება კათალიკოზის მიერ ნაბოძები „დაწერილი სამამულოდ შეწყალებისაჲ".

1411 წელს დავით ბერისძე აძლევს საბუთს კათალიკოზს ელიოზს: „ესე წიგნი დაგიწერე და მოგაკსენე... თქუენთუის თეთრი მოეკსენა ოთარს ვარაზსა, რომემცა ვენაჯი გეყიდა და მცხეთას მათისა სულისათუის აღაპი დაედვა ნიკოლოზობის დღესა... აწ მე მოგყიდე ჩემგან ნასყიდი" (ქრონ. II, 219).—**„წიგნმა" შეცვალა „დაწერილი".**

1413 წ. დეკანოზი ანდრია მიჰყიდის მიწას წითლისძეს. „ესე დაწერილი დაგიწერე მე დეკანოზმა ანდრია... შენ წითლისძესა დემეტრესა. მე ანდრია ვიყიდე ნავენაკობი ერთი მონესელიძისაგან. დამეპირა სხუა ღონე არა მქონდა და მე შენ მოგყიდე... ერთი საწისქვილეცა ყოფილიყო შიგა და ერთი საბზელ-კალო. ყველაი შენ მოგყიდე და ავიღე ფასი სრული ...დაიწერა სიგელი ეს ქრონიკონსა: რა: მაისსა თორმეტსა..."—„დაწერილისა" და „სიგელის" ცნებები ერთი მეორეში არეულია. „სიგლის" ცნება გაფართოებულია: მასში „დაწერილი მონასყიდობისაი" იგულისხმება.

1420—1428 წლების საბუთი: მაწყვერელი გერასიმე აძლევს საბუთს მიქელ კათალიკოზს. „ესე წიგნი გკადრე და მოგაკსენე" (ეს არის ხელწერილი იმის შესახებ, რომ მაწყვერელი ამიერიდან კათალიკოზის მორჩილი და მისი ნებისმყოფელი იქნება). და მაწყვერელი ხელს ურთავს: „მე მაწყუერელი გერასიმე ამა დაწერილისა გამთავებელი ვარ" (ქრ. II, 227).—ტერმინები, „წიგნი" და „დაწერილი" ურთიერთში არევით და ერთიმეორის შესატყვისობით იხმარება.

1426 წლის საბუთით მეფე ალექსანდრე შეიწყალებს ზევდგინიძეებს. „მოვიდეს წინაშე ჩუენსა (ზევდგინისძეებიო), გუეაჯნეს, რათამცა სიგლითა ამით შეგვეწყალნეს (უწყალობებს აზნაურ ქარუმიძეებს)... და თუ ვის რა ამა ჩუენგან ბოძებულისა წიგნი და ნიშანი აქუს, ყველა ამა სიგლითა გაგვიცუდებია... დაიწერა ბრძანებაი და სიგელი ესე ჩუენი..." (ქრონ. II, 230).—„წიგნი" შემოსულა „დაწერილის" და „სიგლის" ნაცვლად.

1428 წ. ბარათა ქაჩიბასძე სწირავს სვეტიცხოველს მამულს და აღაპს გაიჩენს:

„ქ. ესე... წ ი გ ნ ი... მოგაჯსენე... კ'ზს დავითს მე ქაჩიბასძემან სალაროს მოლარემან ბარათამან და მეუღლემან ჩუენმან პატრონმან თინათინ... მოგაჯსეხეთ... სოფელი ყორანთა... თქუენ გაგუიკ'ულეთეთ ორი დღე აღაპი“.. (ქრონ. II, 232).—**„წიგნმა“ შეცვალა „დაწერილი“.**

1429 წ. ალექსანდრე მეფის ძე ვახტანგი წერს: „... ესე წ ი გ ნ ი დ ა გ ი წ ე რ ე და გიბოძე შენ ურდოელსა, შენსა შვილსა სუმბატს... ღვთივ გვირგვინოსანმან მამამან ჩემან ამისი ი მ ე დ ი ს ა წ ი გ ნ ი მოგცა და გიბოძა... რომელ რასაც მქონებელი დღეს ხარ, იგი თქუენს უკანით თქუენსა შვილსა და თქუენსა სახლისა მომავალთა დარჩეს... ჩუენც დაგიმტკიცეთ... დაიწერა ს ი გ ე ლ ი ესე ჭელითა კლიმი კიკლაჩას-ძისათა“ (ქრონ. II, 235, ისტ. საბ. II, 14).—ტ ე რ მ ი ნ ე ბ ი წ ი გ ნ ი და ს ი გ ე ლ ი ერთი მ ე ო რ ე შ ი ა რ ე ულ ი, ისინი ერთი მეორის შესატყვისობით ეხმარება.

1429 წ. მეფე ალექსანდრე წყალობად უბოძებს ზევდგინიძეებს მამულებს. და წერს: „და თუ ვის რა ამა ნასისხლისა კასპ-იგოეთისა და ანუ ჩუენგან წყალობად ბოძებულისა გომთა და ნადარბაზევისა ს ი გ ე ლ ი ჰქონდეს, იგი ყუალა ამა დ ა წ ე რ ი ლ ი თ ა გაგვიცუდებია და მტკიცე ესე ოდენ არის... დაიწერა ბ რ ძ ა ნ ე ბ ა ი და ს ი გ ე ლ ი ესე ჩუენი ქ'კნსა რიზ... ჭელითა კარის მწიგნობრისა კლიმი კაკლაჩას-ძისათა“.—მოტანილი მოწმობა ტერმინების: „სიგლისა“ და „დაწერილის“ ერთი მეორეში არევის მაგალითად გამოსადეგია, მაგრამ აქ სხვა ვითარებაცაა: კ ა კ ლ ა ჩ ა ს ძ ე აქ „დ ა წ ე რ ი ლ ი თ“ ა ღ ნ ი შ ნ ა ვ ს ს ი გ ე ლ ს და არა პ ი რ უ კ უ, რ ო გ ო რ ც გ ვ ხ ვ დ ე ბ ა ა მ დ რ ო ს ჩ ვ ე უ ლ ებ რ ი ვ...

ისიც საკითხავია: კლიმი კაკლაჩასძის „დაწერილი“ აქ ტ ე რ მ ი ნ ი ა თუ არა.

1431—1435 წწ. მაწყვერელი სერაპიონ აძლევს საბუთს თეოდორე ქართლის კათალიკოზს,—„ესე წ ი გ ნ ი გკადრეთ... თქუენ ქართლისა კათალიკოზს თეოდორეს მე მაწყუერელ მთავარეპისკოპოსმან სერაპიონ მას ჟამს, ოდეს მაწყუერელობა მიბოძეთ და მკურთხეთ, მე ესე ს ა ე რ თ გ უ ლ ო წ ი გ ნ ი მოგაჯსენეთ“... (ქრონ. II, 238).—**„წიგნმა“ შეცვალა „დაწერილი“.**

1431—1435 წწ. მანგლელი იოანე აძლევს საბუთს თეოდორე ქართლის კათალიკოზს.

„ქ... ესე წ ი გ ნ ი გკადრეთ... ოდეს გამიწყერი და ომოფორი წამიღე და მერმე კიდევე მიბოძე და მე ესე ს ა ე რ თ გ უ ლ ო წ ი გ-

ნ ი მ ო გ ა კ ს ე ნ ე თ“... (ქრონ. II, 239). — **„წიგნმა“ შეცვალა „დაწერილი“.**

1433 წ. თაყა ზევდგინიძე შესწირავს სვეტიცხოველს სოფელ ქვეშს და გაიჩენს აღაპს. ამ საბუთის ბოლოზე მეფის მესტუმრე და კარის მწიგნობარი კლიმი კაკლაჩასძე წერს: „დაიწერა ს ი გ ე ლ ი ქნ<კს რკა“ (ისტ. საბ. III, 6) — **„დაწერილი““ შეცვალა „სიგელმა“.**

1440 წელს მანგლელ-თბილელი მთავარეპისკოპოსი იოანე უბოძებს საყდრიშვილ დანიელ ნექისძეს მიწას სამემკვიდრეოდ. „ე ს ე წ ი გ ნ ი დ ა ს ი გ ე ლ ი მ ო გ ე ც ი თ ჩ უ ე ნ ქ რ ი ს ტ ე ს მ ი ე რ მ ა ნ გ ლ ე ლ თ ბ ი ლ ე ლ მ ა ნ ი ო ვ ა ნ ე თ ქ უ ე ნ ნ ე ქ ი ს ძ ე თ ა“ (ისტ. საბ. III. 7). XII — XIII საუკუნეთა ტერმინოლოგიით ეს არც „წიგნია“ და არც „სიგელი“, არამედ „დაწერილი“. ასე რომ წ ი გ ნ მ ა დ ა ს ი გ ე ლ მ ა შ ე ც ვ ა ლ ე ს „დ ა წ ე რ ი ლ ი“.

1442 წ. ედილაშვილი აძლევს საბუთს ჭარმაულს:

„ე ს ე ა ნ დ ე რ ძ ი ს წ ი გ ნ ი მ ო გ ე ც მ ე ე დ ი ლ ა შ ვ ი ლ მ ა მ ი ს რ ი შ ე ნ ჭ ა რ მ ა უ ლ ს ჭ ა რ მ ა უ ლ ს ა (?) მ ღ რ დ ე ლ ს ი ო ა ნ ე ს... ერთი ქალისა მეტი ჩუენი ნათესავი აღარა დარჩა და იგი შენ მოგეცით და ჩვენად შვილად და მემამულედ შემოგიყვანეთ და დ ა გ ი წ ე რ ე თ ჩ უ ე ნ ი მ კ უ ი დ რ ი და მ ო უ დ ე ვ ა რ ი მ ა მ უ ლ ი მ ცხ ე თ ა ს რ ა ც ჩ უ ე ნ ს ა ს ა ხ ლ ს ა ჰ ქ ო ნ ე ბ ი ა, მ ი ს ი თ ა ს ა კ ე ლ ო თ ი და ს ა მ ც ხ ე თ ი შ ვ ი ლ ო თ ი“ (ქრონ. II, 252).—„დ ა წ ე რ ი ლ ი“ შ ე ც ვ ა ლ ა „წ ი გ ნ მ ა“, ხ ო ლ ო ი უ რ ი დ ი უ ლ ი გ ა მ ო თ ქ მ ა დ ა გ ი წ ე რ ე“ (ე. ი. საბუთით მოგეცი) კ ი დ ა რ ჩ ა.

1443 წ. ათაბაგ-ამირსპასალარის შვილი ყვარყვარე სწირავს სვეტიცხოველს გლეხს,—„ქ... ესე მტკიცე... სიგელი... მოგაკსენე თქუენ... მცხეთის საყდარსა და ქ. კზ<სა პატრიაქსა შიოს მე ათაბაგ ამისპასალარისა ივანეს შვილმან ყვარყვარე, შემოგწირე და მოგაკსენე ქორდვას გლეხი სამხარაძე მისითა მამულითა“.—**„სიგელმა“ შეცვალა „დაწერილი“.**

1443 წ. ვარამ დიასამიძე საპატიჟოდ უდებს მცხეთას ერთ გლეხს, — „ქ. ესე წ ი გ ნ ი... გკადრე... ქკზ<ს შიოს... ჩუენ დიასამიძემან ვარამ და ჩემთა შვილთა ავთანდილ და დიასამ... ეშმაკისა ცთუნებითა... ასეთი რამე სარჯულო საქმე წამეკიდა, რომე თქუენ გამიწყერით... და საპატიჟოდ ყვიბისს ერთი გლეხი მოგაკსენე მისითა მამულითა“ (ქრონ. II, 255).—**„წიგნმა“ შეცვალა „დაწერილი“.**

1445 წ. „ჩუენ მეფეთ მეფის ალექსანდრეს ძემან მეფემან დიმიტრი ე ს ე ნ ა ს ყ ი დ ო ბ ი ს ს ი გ ე ლ ი გ ი ბ ო ძ ე თ ქ უ ე ნ დ ა რ [ჩ ი] ბ ე გ ი ს შ ვ ი ლ ს ზ ა ქ ა რ ი ა ს... მ ო გ ყ ი დ ე თ ქ ა ლ ა ქ ს მ ე ფ ი ს ზ უ ა რ ი... კ ლ დ ე ს ქ ვ ე ი თ“...

აქ ჩვენ დიპლომატიური ტერმინების აღრევა კი არა გვაქვს, არამედ საინტერესო ფაქტი იმის ვარაუდისათვის, თუ როგორ და რატომ მოხდა, რომ „სიგელმა“ თანდათან დაიპირა „დ ა წ ე რ ი ლ ი ს“ (დ ა „წ ი გ ნ ი ს“) ა დ გ ი ლ ი. ჩვენი სახელდახელო დაკვირვება ამ მოვლენაზე ასეთია: მეფე უზენაესი ხელისუფალი იყო და მისი სახელით გაცემული ყოველი საბუთი ხელქვეშეთს ჰგულისხმობდა. ამდენად მეფის სახელით გაცემული ყოველი საბუთი „ბრძანება“ იყო და მას „სიგელი“ ეწოდებოდა.

XIV—XV საუკუნეებში „მეფეები“ გამრავლდნენ, სხვადასხვა პატრონნი გაჭელმწიფდნენ ან ჭელმწიფობის მაძიებელნი შეიქმნენ. ამიტომ ამ ახალ მეფე-მთავრების მიერ გაცემულ საბუთებსაც „სიგელი ტერმინიღა შეშვენისთ. შეიძლება ტერმინი „დაწერილი“ სულ უფრო და უფრო სათაკილო და ოდიოზური გახდა... ჭელმწიფე-მთავრებს ნახევარ-ხელმწიფენი მიჰყვნენ და ასე თანდათან ყველას მიერ გაცემულ ყოველ საბუთს „სიგელი“ ეწოდა. ეს მოვლენა XIV ს-ნის სიგრძეზე და XV ს-ში უნდა განვითარებულიყოს, სახელმწიფოების წარმოქმნის პროცესის პარალელურად... გადახვევებიც (დაწერილისათვის სიგლის წოდება) XIII საუკუნეში ამ ნიადაგზე აიხსნება...

1451 წ. რამინ გაბელის ძე ამირეჯიბი საკანონოდ დაუდებს სვეტიცხოველს ერთ გლეხს,—

...„ესე წ ი გ ნ ი დ ა ს ი გ ე ლ ი სამკუიდრო სამამულე... მოგაჯსენეთ თქუენ... მცხეთისა საყდარსა და... ქართლისა კათალიკოზსა და პატრიარქსა დავითს ჩუენ გაბელისძეთა ამირეჯიბმან რამინ... შემოვსწირეთ და მოგაჯსენეთ კრცხილოანს ერთი გლეხი ლალასძე მისითა მამულითა უკლებლად და ერთი გლეხი ერგნეთს ჯოხასძე ორითა ვენაჯითა და ერთი ვენაჯი სხვაეე შენი და ველი მიწად სამისა დღისა.

დ ა ი წ ე რ ა წ ი გ ნ ი დ ა ს ი გ ე ლ ი ე ს ე ქ კ ნ ს ა რ ლ თ...“ (ისტ. საბ. III, 9 — 10).

XII — XIII ს. ტერმინოლოგიით ეს არც „წიგნია“ და არც „სიგელი“, არამედ „დაწერილი საკანონოდ დადებისა“ ან „დაწერილი ჯურუმისა“.

1452 წ. ნინიტა ყიფიანი სწირავს სვეტიცხოველს ვენაჯს და აღაპს დაიდებს. ტიპიური სააღაპე საბუთია. მდივანი კი წერს: „დაიწერა ს ი გ ე ლ ი ესე ქრ ̄კსა რმ, დეკემბრის ოცს და იქვე მისდევს: ნასყიდობის სიგელი ქონდა იას და ქურციკს კერძ, ამა სიგლითა გაგუიცუდებია“ (ისტ. საბ. III, II).—„დაწერილი“ შეცვალა „სიგელმა“.

1453 წ. ანჩელი ეპისკოპოსი ერთგულობის პირობას აძლევს მცხეთის კათალიკოზს დავითს „ქ... ეს წ ი გ ნ ი დ ა პ ი რ ი გკადრეთ

თქუენ ქრისტეს ღთისა მიერ ქ კზსა დავითს მე აბელისძემან ანჩელ არქიმანდრიტმან ქერობინ“...

XII—XIII სს. ტერმინოლოგიით ეს იქნებოდა „დაწერილი ერთგულობისა“.—**„წიგნმა“ შეცვალა „დაწერილი“.**

1453—1459 წწ. კუმურდოელი ეპისკოპოსი იოანე ერთგულობის პირობას აძლევს მცხეთის კათალიკოზს დავითს:

„...ესე წიგნი... გკადრეთ თქუენ.. ქ კზსა დავითს მე ლასურისძემან კუმურდოელმა იოანე“...

და ბოლოს ამტკიცებს „ჩუენ კუმურდოელ მთავარეპისკოპოზი იოვანე ამა დაწერილისა გამთავებელი ვარ“... (ქრონ. II, 268).—**„წიგნი“ ცვლის „დაწერილს“.**

1454 წ. ქ კზი დავით აძლევს საბუთს ჯუარის მსახლობელთა მეკულუხეთა:

„ესე უკუნისამდის გასათავებელი... სამკუიდრო და სამამულე წიგნი და სიგელი კულუხი[ს] დაკუეთილობისა დაგიწერეთ და გიბოძეთ და მოგეცით... ჩუენ... ქართლის პატრიაქმან კათალიკოზმან დავით თქუენ დიდთა და მცირეთა ჯუარის მსახლობელთა მეკულუხეთა“ (ისტ. საბ. II 33).

XII—XIII ს. ტერმინოლოგიით ეს არც „წიგნია“ და არც „სიგელი“ არამედ „ბრძანება“ და „დაწერილი“. „წიგნმა“ და „სიგელმა“ შესცვალეს „დაწერილი“.

1453 — 1459 წწ. სვეტიცხოვლის ყმები აძლევენ პირობას დავით კათალიკოზს,—„ესე ჟამთა გასათავებელი პირი გკადრეთ და მოგაჯსენეთ თქუენ... ქ კზსა დავითს ჩუენ... ერთობლითა კალაურელთა მას ჟამსა, ოდეს ჩუენსა და გოგრიაშვილსა შუა ცოტა რამე სამდურავი გამოვიდა. აწ ეს წიგნი მოგაჯსენეთ: თუ ამის უკანის თუ რამე ჩუენგან ერთმანეთზედა ავკაცობა გამოვიდეს, თქუენი და თქუენი საყდრის შემცოდენი ვიყუნეთ და კუამლის თავსა ათას ათასჯ თანგა მოგაჯსენოთ“. — **„წიგნმა“ შეცვალა „დაწერილი“.**

1459 წ. ფავნელ უჯარმელი მამულს უცელის ვირშის მთავარანგელოზის მეგანძურს ჯინჯიხაძე ბადაშვილს გრიგოლს,—„ესე წიგნი და სიგელი სამკუიდრო სამამულო... დაგიწერეთ და მოგაჯსენეთ და დაგიცვალეთ ოჯიკასძესა ოქროთა ნასყიდსა და მიქაურსა მამულსა ზედა მოგაჯსენეთ ქუბეშური მამული... მრგულივ თექუსმეტისა დღისა მიწა ბროწლეთს“.

XII — XIII საუკუნეთა ტერმინებით ეს იქნებოდა „დაწერილი მიწის გაცულილობისა“.

1465 წ. ერისთავი ვამეყ შაბურისძე სასჯულო-საკანონოს იხდის, „დასაურვებელს“ დაუდებს სვეტიცხოველს,—შესწირავს მამულს:

„ესე წიგნი და სიგელი სამკუიდრო-სამამულო... გკადრეთ და მოგჴსენეთ.. სვეტსა ცხოველსა... და... პატრონსა ქ"ზს მარკოზს ჩუენ შაბურისძეთა ერისთავმან ვამიყ და სარო და ძეთა ჩუენთა:

დაიწერა სასჯულოდ ნოქიკეეთა შემოწირულობის წიგნი და სიგელი ესე... ქ"ზსა რნგ"...

XII — XIII საუკუნეთა გამოთქმით ეს იქნებოდა „დაწერილი სასჯულოდ შემოწირულობისა".

* * *

მაგალითები საკმაოა. XV საუკუნის შუა წლებისათვის აღნიშნული ტერმინოლოგიური ცვლილება ქართულ დიპლომატიკაში უკვე დასრულებულია. იურიდიული დოკუმენტის ზოგად სახელად შემოდის „წიგნი". „სიგლის" არე ფართოვდება და ამ ტერმინით აღინიშნება არა მარტო მეფის მიერ გაცემული საბუთები, არამედ ყოველგვარი იურიდიული საბუთი და ყველას მიერ გაცემული. ასე რომ „სიგელში" სავსებით თავსდება XII — XIII საუკუნეთა „დაწერილი"[38]. XV საუკუნის შუა წლებიდან „დაწერილი", როგორც ცოცხალი დიპლომატიკური ტერმინი, ქრება.

ზემოთ ჩვენ დიპლომატიკურ ფაქტებზე უშუალო დაკვირვებით მივიღეთ:

XII — XIII საუკუნეებში ქართულ იურიდიულ დოკუმენტს „დაწერილი" ეწოდება.

მეფის სახელით შესრულებულ დოკუმენტს „სიგელი" ჰქვიან.

---

38 ამის ყველაზედ თვალსაჩინო მოწმობაა კახა თორელის „დაწერილის" მინაწერები ალექსანდრე და გიორგი მეფეებისა. რკონის მონასტრის კრებულს ჩვეულება ჰქონია წარედგინა კახას დაწერილი მეფეებისათვის, რათა სამეფო გადასახადები მონასტრის ამ საქონებელს არ შეხებოდა.

და მეფე ალექსანდრე წერს: „ჩუენ მეფეთა მეფეს ალექსანდრეს და ჩემთა შვილთა ვახტანგს და დემეტრეს და ჩემთა ძმათა ბაგრატ და გიორგის ეს წიგნი ამა პირსა ზედა მოგვიჴსენებია თქუენ... რკონის ღვთისმშობლისათვის. ვნახეთ თქუენის ხოვლის სიგელი და პირველი სხუათაგანცა შემოწირული იყო. ახლა ჩუენცა შემოგვიწირავს სალოცველად სულისა ჩუენისა... ჩუენგან და ჩუენისა სიტყვისა მომსმინოთა კაცთაგან არა ეთხოვებოდეს და არა ეწერებოდეს არასთანა სათხოვარი და გამოსაღები დიდის სათათროს ულუფისაგან მეტი... ესე ზემო დაწერილი სიგელიც ამა სიგლითა დამიმტკიცებია".

შემდეგი მინაწერი მეფე გიორგის ეკუთვნის: „ესე წიგნი ამისადა მედგრად და ნიშნად მოგუიჴსენებია თქუენ რკონისა ღვთისმშობლისა... ენახეთ თქუენი ხოვლისა სიგელი... ჟამთა ეითარებისაგან ატენის ციხის სათხოვარი რაიმე შესულიყო"—ამოუკვეთს... „სათათროს სათხოვარის მეტი არა გეთხოვებოდეს".

ასე რომ XV ს-ში სიგელს უწოდებენ XIII საუკუნის „დაწერილსაც კი": „ხოვლისა სიგელი" ეს კახა თორელის „დაწერილია"...

XII—XIII საუკუნეებში ქართული იურიდიული დოკუმენტის აღმნიშვნელ ტერმინად „წ ი გ ნ ი“ არ გვხვდება.

შემდეგ ჩვენ განვიხილეთ აგრეთვე ქართული დიპლომატიკის ამ სამი ტერმინის ურთიერთობა და თავგადასავალი XIV—XV საუკუნეებში და სავსებით გარკვეული სურათი მივიღეთ.

ჩვენ განზრახ ბოლოს განსახილველად მოვიტოვეთ XI საუკუნისა და უფრო ძველი ფაქტები ქართული დიპლომატიკიდან.

უძველესი წერილობითი იურიდიული დოკუმენტები, სამწუხაროდ, მეტად მცირედ გადარჩენილა. მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, იმას ოდნავადაც არ ნიშნავს, თითქო ასეთი დოკუმენტები ამ დროს თავისთავად მცირე იყო. ჩვენ მოგვეპოვება საკმაო საშუალება იმისათვის, რათა დავარწმუნოთ მკითხველი წინააღმდეგში[39].

მეფე ბაგრატ ოპიზართა და მიჯნაძოროელთათვის მიცემულ სიგელში აღნიშნავს რამდენიმე დიპლომატიკურ ფაქტს ძველი დროიდან. ასეთებია ს ი გ ლ ე ბ ი: გურგენ ერისთავთა ერისთავისა, გურგენ მეფეთა მეფისა, ბაგრატ კურაპალატისა და გიორგი მეფისა. აქვე მოხსენებულია „დაწერილი“ გუარამ მამფლისა. ყველა ეს საბუთები IX, X, XI საუკუნისანი არიან.

ასევე საინტერესო ცნობებს გვაწვდის კიდევ უფრო ძველი დიპლომატიკური ფაქტების შესახებ მეფე გიორგი თავის 1073 წლის სიგელში, რომელსაც ის შიომღვიმის მონასტერს აძლევს. „გაგუიახლებიან სიგელნი მამისა და პაპათა ჩემთანი და დაგვმტკიცებიან დაწერილნი ყოველთა მთავართა, ყოველთა (დიდებულთა) და აზნაურთა შემწირველთანი და სიგელი ესე სიმტკიცისათუის დაგუიწერიან და მოგუიკსენებიან წმიდისა მამისა შიოსდა და წმიდისა ლავრისა მღუიმისადა“. შემდეგ საბუთში ჩამოთვლილია მღვიმის „ყოველი საქონელი“, ამ სიგლებით და დაწერილებით რომ ფლობს მონასტერი და მეფე განაგრძობს: „ესე ყოველნი საქონელნი მათნი ვითა თუით პირველთა სიგელთა სწერიან და ვით შემწირველთა ჴელითწერილსა შინა სწერიან შეუვალობისა და თავისუფლობისა მათისათუის, აწ ჩუენცა მასვე ზედა გაგუითავისუფლებიან ესე ყოველნი საქონელნი მღუიმისნი“...

აქედან ცხადია, რომ შიომღვიმის მონასტერში ამ დროს დაცული ყოფილა მეფეთა „სიგლები“ და მთავართა თუ სხვა კერძო პირ-

---

39 ამაების შესახებ საუბარი დაწვრილებით გვექნება იმ შრომაში, რომელმაც წინამდებარე გამოკვლევა გამოიწვია,—სახელდობრ: „ინსტიტუტი ნასყიდი ფეოდალურ საქართველოში“.

თა „დაწერილები“. მათ იურიდიულ ძალას განაახლებს ან კიდევ ამტკიცებს ახლად გამეფებული გიორგი მეფე.

სასიამოვნოდ ჩვენდა, მოიპოვება მეორე საბუთი, რომლის მიხედვით შესაძლებელი ხდება შიომღვიმის მონასტრის ამ „სიგელთა“ და „დაწერილთა“ უფრო ზედმიწევნილობით განსაზღვრა.

1170 წელს გიორგი III განუახლებს და დაუმტკიცებს შიომღვიმის მონასტერს მისი მფლობელობის საბუთებს. საბედნიეროდ, გიორგი III სიგელი განსხვავებული წესითაა დაწერილი, ვიდრე გიორგი II, და ამიტომ ამ უკანასკნელის ცნობათა დაზუსტება შესაძლებელია.

გიორგი მეფე წერს: „მოვიდეს ჩუენ წინაშე წმიდანი მამანი უდაბნოისა დიდისა მღუიმისანი... და მოიხუნეს სიგელნი დიდისა მეფეთა მეფისა პაპისა ჩუენისა დავითისი და მამისა ჩუენისა დემეტრე მეფისანი, და სხუანი ძუელნი მრავალნი პაპათა და მამათა ჩუენთანი და გუეჰაჯნეს და მოგუაკსენეს, რათამცა, ვითა მათ სიგლითა მათითა გაუჩენია და გაუგია პირუელად თუით წმიდისა მის უდაბნოისა მღუიმისათუის და მერმე ყოველნი სოფელნი მათნი გაუთავისუფლებიან ყოვლისა მაწყენრისა მათისა და დამაჭირებელისა და ჩუენთა ჭელისუფალთა შესავლობისაგან, ეგრეთვე ჩუენ გაუახლენით ძუელნი სიგელნი სიგლითა ჩუენითა და დავამტკიცეთ ბრძანებაი და სიგელი პაპათა და მამათა ჩვენთაი.

ჩუენ ვისმინეთ ჰაჯაი მათი და მოკსენებაი და დიდთა მეფეთა პაპისა ჩუენისა და მამისა ჩუენისა ბრძანებანი და სიგელნი ამით ჩუენითა სიგლითა გაგუიახლებიან და მათნი დაგუიმტკიცებიან.

პირველად, თუით წმიდაი იგი უდაბნოი მღუიმე, ვითა ყოვლითურთ უწყენარი ყოფილა და თავისუფალი ყოვლისა წყენისაგან, ეგრევე იყოს, ვითა თუით პაპისა ჩუენისა ანდერძსა სწერია, ნუმცა ვის უკადრებია მას ზედა სიტყუისა შემოღებაი და ცილობაი“.

მამისა და პაპის სიგელთა განახლება-დამტკიცების შემდეგ გიორგი მეფე ჩამოთვლის მონასტრის ყველა იმ საქონებელს, რომელსაც ის განუახლებს შეუვალობას. და, რაც ჩვენთვის განსაკუთრებით ძვირფასია, ამ საქონებელთა ზოგადი აღნიშვნით კი არ კმაყოფილდება, არამედ ასახელებს თითოეული „საქონებელის“ ი უ რ ი დ ი უ ლ ს ა ბ უ თ ი ა ნ ო ბ ა ს...

„აგარანი მათნი სახელდებით სოფელი სხალტბაი და მათი კერძი გოროვანი წმიდისა ე ვ ა გ რ ე ს ა გ ა ნ მ ო ს ყ ი დ უ ლ ი; აგარაი ჯ ო ჯ ი კ ი ს გ ა ნ მ თ ა ვ რ ი ს ა მ ო ს ყ ი დ უ ლ ი; რუეთი ნასყიდი და შ ე მ ო წ ი რ უ ლ ი; შიოს უბანი ყოველი მ ო ს ყ ი დ უ ლ ი თუით მონაზონთა მეუდაბნოეთაგან; ჩიქუნურნი რუსისა ნ ა ს ყ ი დ ნ ი, მისგან აშენებულნი და შ ე მ ო წ ი რ უ ლ ნ ი; ხორვაი მამისა ჩე-

მისა ნაბოძვარი სამღუიმოდ, გოგრაჭისაგან შ ე მ ო წ ი რ უ ლ ი; ი ვ ა ნ წ მ ი დ ა ი ძუელადვე გოდერძისა შემოწირული; დაოთი კვირიკე კახთა მეფისაგან შ ე მ ო წ ი რ უ ლ ი; ალაჭინი ხახუილაგისაგან შ ე მ ო წ ი რ უ ლ ი; თრიალეთს ბჭითი ადრნერსესგან ნ ა ს ყ ი დ ი და შ ე მ ო წ ი რ უ ლ ნ ი; მანგლისკევს ბორცუის-ჯუარი ძუელადვე მღუიმისაი ლიპარიტეთგან წ ა ღ ე ბ უ ლ ი, აწ ახლად პაპისა ჩემისა დიდისა მეფისა დავითისაგან შ ე მ ო წ ი რ უ ლ ი; მოუგონელთა, ფერჯადის და ფიცეს წურილმანად გლეხები; ცხირეთს ცხეევრი და გავაზელნი წმიდისა შიოის ოქროითა და ვეცხლითა მ ო ნ ა ს ყ ი დ ი ფავნელთა და ტბელთაგან; კობალი რაც რატი სურამელისაგან შ ე მ ო წ ი რ უ ლ ი ა და მათ მიდამოთა რაიცა გლეხები ნიჩბის, სასხორს და ყოელგან სადმე მ ო ს ყ ი დ უ ლ ი და შ ე მ ო წ ი რ უ ლ ი. მესამედ ციხე-დიდს გლეხნი ძუელადვე ნ ა ს ყ ი დ ნ ი... ესე ყოელნი მათნი საქონებელნი შეუვალ გუიქმნიან ყოვლისა შესავლისაგან"... (საქ. სიძ. III დამატება, გვ. 2—4).

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ სიგლის დამწერს ოვალწინ ჰქონდა მონასტრის ამ „საქონელთა" დამსაბუთებელი ყველა იურიდიული დოკუმენტი. მწიგნობარს დანგა ბრუტაისძეს ოსტატურად შემოაქვს ერთიან სიგელში თითოეული დოკუმენტიდან იურიდიულად საჭირო ცნობები: „ს ა ქ ო ნ ე ლ ი ს" დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა (სოფელი სახელდებით, გლეხები სად და სად), დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა ი მ პ ი რ ი ს, ვინც ესა თუ ის „საქონელი" მონასტერს შესძინა (ევაგრედან დიმიტრი მეფემდე), დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა ი მ ს ა შ უ ა ლ ე ბ ი ს („მოსყიდვა", ყიდვა და შეწირვა, მეფისგან შესაწირავად ნაბოძვარის შეწირვა, მამეულის შეწირვა), რომლითაც ესა თუ ის „საქონელი" მონასტერს შეეძინა.

თანაც ეს ცნობები ურთიერთისაგან ისეთი განსხვავებით და აქაიქ ისეთი ცოცხალი შტრიხებით არის გადმოცემული, რომ ჩვენი მოსაზრება სავსებით საბუთიერი გვეჩვენება. მართლაც და დანგა ბრუტაისძემ იცის, რომ სხალტბაი და მათი კერძი გოროვანი წმიდისა ევაგრესაგან „მოსყიდულია", ხოლო ჩიქუნურნი, მაგალითად, რუსისა „ნასყიდნი", მისგან აშენებულნი და შემოწირულნია.

ეს გამოთქმანი ჩვენ ასე გვესმის: ევაგრემ იყიდა მონასტრისათვის სოფელი სხალტბა და მათი კერძი გოროვანი, როცა ეს მოღვაწე თვითონ შიომღვიმის მონასტერში მოღვაწეობდა. რუსი კი გარეშე კაცია, მან მონასტრისათვის შესაწირავად იყიდა სოფელი ჩიქუნურნი, გააშენა და ასე შესწირა[40].

---

[40] ასეთი გაგების საფუძველზე ჩვენ უნდა დავუშვათ, რომ მთავარი ჯოჯიკი ისევე, როგორც წმიდა ევაგრე, გარკვეულ დროს შიომღვიმის მონასტრის მკვიდ-

საიდან აქვს ასეთი ცნობები ამ მწიგნობარს? რა თქმა უნდა, ასეთი რამ მონაზვნების ზეპირად მონათხრობად არ წარმოიდგინება. ერთადერთი საამისო წყარო სათანადო იურიდიული დოკუმენტები უნდა ყოფილიყო.

ან კიდევ, მწიგნობარმა იცის, რომ დაოთი „მოსყიდული“ არაა, ის არც „ნასყიდი და შეწირულია“, არამედ მხოლოდ „შეწირულია“ კვირიკე კახთა მეფისაგან. მეორე მხრით ჰწიგნობარს აღნიშნული აქვს: „ცხირეთს ცხევერი და გავაზელნი წმიდისა შიოს ოქროითა და ვერცხლითა მონასყიდი ფავნელთა და ტბელთაგან“.

კვირიკე კახთა მეფის მიერ დაოთის შეწირულობის „ს ი გ ე ლ ი“ ერთ XIII საუკუნის დაწერილითაც იგულისხმება (შ. მღვ. საბ. 24), ხოლო ცხირეთს ცხევერისა და გავაზელთა ნასყიდობის დოკუმენტი დაბეჭდილია კიდევაც[41].

ამ საბუთში ხაზგასმულია სწორედ, რომ აღნიშნული სოფლები მონასტერმა შიოს კუბოსა შემონაყარი ოქრო-ვერცხლით იყიდა ფავნელთაგან[42].

რა თქმა უნდა, ესეც იმის მოწმობაა, რომ დანგა ბრუტაისძეს წინ ედო მის მიერ აღნიშნული აქტების (სყიდვის, შეწირულობის) შემცველი დოკუმენტები.

თუ ეს ასეა, გამოდის, რომ XII ს ა უ კ უ ნ ე შ ი შ ი ო მ ღ ვ ი მ ი ს მ ო ნ ა ს ტ ე რ შ ი დ ა ც უ ლ ი ყ ო ფ ი ლ ა ნ ა ს ყ ი დ ო ბ ი ს ა თ უ შ ე წ ი რ უ ლ ო ბ ი ს ს ა ბ უ თ ე ბ ი VI ს ა უ კ უ ნ ი დ ა ნ მ ო ყ ო ლ ე ბ უ ლ ი ვ ი დ რ ე XII ს ა უ კ უ ნ ე მ დ ე.

ძველი ქართული იურიდიული საბუთების არსებობა სხვაგანაც არის აღნიშნული. დავით აღმაშენებელი თავის ანდერძში წერს: „არცა რა ვის სხუასა საქმე უც მღუიმესა თანა და არცა მღუიმისა ქუაბთა, ვითარ იგი თჳთ სანატრელისა მამათა ნათლისა შიოისა ანდერძში სწერია“ (შ. მღ. საბ. 18). თითქო უნდა ვიფიქროთ, რომ შიომღვიმის მონასტერში XII საუკუნეში ჯერ კიდევ დაცული ყოფილა შიომღვიმელის ა ნ დ ე რ ძ ი (თუ ასეთ ანდერძად შიომღვიმელის ცხორება არ იგულისხმება). ამ ანდერძში უკვე გამოთქმული

რი ყოფილა და აგარაიც მაშინ „მოუსყიდნია“ მღვიმისათვის. კიდევ მეტიც, საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ჯოჯიკ მთავარი ამ მონასტრის წინამძღვარი იყო. თუ ეს არა, მაშინ ჯოჯიკ მთავარი აგარაის „მომსყიდველთან“ ერთად მისი შ ე მ წ ი რ ვ ე ლ ი ც უნდა ყოფილიყო...

[41] სამწუხაროდ, ეს არის ამ დოკუმენტის ფრიად დამახინჯებული პირი, უფრო სწორად, ესაა იმ ძველი საბუთის უხეირო (და ნაკლულიც) შეერთებული გადმოთხრობა XV საუკუნის საბუთიდან.

[42] შ. მღვ. საბ. 4. საყურადღებოა, რომ ამ ნასყიდობის საბუთში ტ ბ ე ლ ი არ არის დასახელებული.

ყოფილა იურიდიული დებულება, რომ მღვიმესა და ქვაბებთან არავის რა ხელი აქვს. ასე რომ აქ ჩვენ გვაქვს თითქო დამოწმებული ერთ-ერთი უძველესი იურიდიულ-დიპლომატიკური ძეგლი,—ანდერძი VI საუკუნიდან. ეს დოკუმენტი (შიომღვიმელის ანდერძი) და ამ დოკუმენტის დავითისეული ანდერძით ზემომოტანილი დამტკიცება აქვს მხედველობაში გიორგი მეფეს, როცა წერს: „პირველად, თუით წმიდაი-იგი უდაბნოი მღუიმე, ვითა ყოვლითურთ უწყენარი ყოფილა და თავისუფალი ყოვლისაგან, ეგრევე იყოს, ვითა თუით პაპისა ჩუენისა ანდერძსა სწერია. ნუმცა ვის უკადრებია მას ზედა სიტყუისა შემოღებაი და ცილობაი“ (საქ. სიძ. III. დამატება, 3).

მსახურთუხუცესმა გრიგოლ სურამელმა შიომღვიმის მონასტერს მტკვარზე წისქვილი აუშენა. შემდეგ მონასტრისგანვე იყიდა ერთი გლეხი ციხედიდს და მის მიერვე აშენებული „წისქუილისათუის საკაზმავად“ შესწირა იმავე მონასტერს. და მღვიმის კრებული ეუბნება შემწირველს „...და ვითა წმინდისა ევაგრესობითგან გუქონებია უცილობელად და უწყინელად, ჰაგრევე თქუენთა ჩამომავალთაგან გუქონდეს“[43].

საბუთის ამ ჩვენებას ჩვენ აგრე სარწმუნოდ არ მივიჩნევდით, რომ ამის ერთგვარი დადასტურება გიორგი III ზემოაღნიშნულ ერთიან საბუთში არ გვეჩვენებოდეს. დანგა ბრუტაისძე აღნიშნავს იურიდიული დოკუმენტის ენით შიომღვიმის მონასტრის „საქონელთა შორის: „მესამედ ციხედიდს გლეხნი ძუელადვე ნასყიდნი მათითა სამართლიანითა ტყითა, წყლითა, ველითა, საჭმრითა და უჭმრითა“... მოტანილი ადგილის გამომცემლისეული პუნქტუაციაა, ჩვენ მას ვიცავთ, შეიძლება რამდენადმე შესასწორებელი იყოს, მაგრამ ასეთი შესწორება ჩვენი მიზნებისათვის საჭირო დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას არ შეცვლიდა.

როგორც აღვნიშნეთ, დანგა ბრუტაისძე ისეთ იურიდიულ დოკუმენტსა წერდა, რომ ყოველი „საქონელის“ კანონიერ საფუძველს აღნიშნავდა. გამოდის, რომ შიომღვიმის მონასტერს XII საუკუნეში ციხედიდს მართლაც ჰყოლია გლეხები. ეს გლეხები ძუელადვე „ნასყიდნი“ ყოფილა და შიომღვიმის კრებული XIII საუკუნეში აზუსტებს ამ ცნებას: ეს ციხედიდური გლეხები მონასტერს წმიდისა ევაგრესობითგან ჰკუთვნებია. ე. ი. ეს გლეხები ევაგრეს დროს შესძენია მონასტერს ნასყიდობით[44],

---

[43] შ. მღვ. საბ. 64; ს. კაკაბაძე, „სიგელი მსახურთუხუცესის გრიგოლ სურამელისა, 1250 წელს შიომღვიმისათვის დაწერილი“ (?), 5.

[44] თუმცა სიტყვასიტყვით მნიშვნელობა „ევაგრესობისა“ ასეთია, მაგრამ ჩვენ შესაძლებლად გვეჩვენება დავუშვათ, რომ შიომღვიმის მონასტერში ტერმინი

ასეთი ცნობების შემდეგ ჩვენ ზეპირგადმოცემად აღარ გვეჩვენება ზაქარია კათალიკოზის განცხადება 1624 წლის „მცხეთის სიგელში“: პირველადაცა ვახტანგ გორგასლისაგან ფიცისტეხისათვის შემოწირული იყო ძეგვი და ციხე დიდი და აწ სახასოდ საკათალიკოზოდ გავკადეთ“, (ქრ. ნ. II „446). მცხეთას. უეჭველია, მოეპოვებოდა იურიდიული საბუთი, რომ ძეგვი და ციხედიდი ძველიდანვე მისი „საქონელი“ იყო. თუ ეს არა, ზაქარია კათალიკოზს სამცხეთრ ოდ არავინ დაანებებდა ამ სოფლებს. და როცა ზაქარია კათალიკოზი ამ ადგილებზე მცხეთის მფლობელობის უფლების საფუძვლად ვახტანგ გორგასალის შეწირულობას ასახელებს, ეს იმას ნიშნავს, რომ მცხეთაში ამ დროს დაცული იყო: ან ვახტანგ გორგასლის შეწირულობის საბუთი, ან უფრო გვიანი საბუთი ამავე სოფლების კუთვნილების შესახებ, სადაც მოიპოვებოდა ცნობა ვახტანგ გორგასლის მიერ ამ სოფელთა შეწირულობის შესახებ, ე. ი. სადაც გორგასლის შეწირულობის საბუთი იურიდიულ საფუძვლად იყო გამოყენებული[45].

ცნობა მიწის ნასყიდობის შესახებ ჩვენ მოგვეპოვება ცნობილ წყისეს წარწერაში. ამ წარწერითვე უეჭველობით იგულისხმება, რომ ნასყიდობის იურიდიული საბუთი VII საუკუნის ქართლში ჩვეულებრივი მოვლენაა.

ასეთივე საბუთები (ჩვენი ვარაუდით „დაწერილი მონასყიდობისაჲ“) VIII — IX საუკუნეთა მიჯნაზე მიიღო, საგულისხმებელია, შავშეთ-კლარჯეთში დამკვიდრებულმა ashოტ კურაპალატმა, როცა „სოფლები ზოგი იყიდა საფასოთა“[46].

იურიდიული ხასიათის დიპლომატიკურ დოკუმენტებს ასახელებენ ლეონტი მროველი (ქ^ცა, 112), ეუანშერი (ქ^ცა, 163, 192), ქართული ორიგინალური ჰაგიოგრაფიული ძეგლები, ასეთი დოკუმენტები მრავლად იგულისხმებიან მელქისედეკ კათალიკოზის დაწერილში (საქ. მუზ. მოამბე VI, 1931, 290) და კიდევ უფრო მეტი ნი-

---

„ეეაგრესობა“ აღნიშნავდა ამ მონასტრის უძველეს ხანას, ამ მონასტრის მშენებლობის პირველ პერიოდს.

[45] ძეგვი და ციხედიდი რომ მცხეთას ძველი დროიდანვე ეკუთვნოდა, ამის მოწმობა XV საუკუნის „სია მცხეთის საეკლესიო მამულებისა“ (ქრ. II, 195. გამომცემლისეული დათარიღება უმართებულო ჩანს. ამ ძეგლში მოიპოვება უეჭველი ნიშნები იმის, რომ ის XV ს. 40-იან წლებშია შექმნილი). ალექსანდრე მეფე ამ ძეგლით ახლად კი არ სწირავს, არამედ კვლავ აღუდგენს სვეტიცხოველს ძველად ნაქონევს, მაგრამ „ყამთაეითარებისაგან“ დაკარგულ მამულებს და, რა თქმა უნდა, კათალიკოზს უნდა ხელთ ჰქონოდა და მეფის სასამართლოსათვის (დარბაზისათვის) უნდა წარედგინა მცხეთის ტახტის საქონელთა საამისო მტკიცე იურიდიული საფუძვლები.

[46] ^ქ^ცა, სუმბატ დავითისძე, 343.

კორწმინდის მონასტრის წინამძღვრის დაწერილში (ქრონ. II, 43-50) და სხვ.

ჩვენ აქ არ გვჭირია ყველა ცნობა მოვიტანოთ ძველი დროის ქართული დიპლომატიკური ფაქტების შესახებ. ზემოდასახელებული საკმაოა, ვფიქრობთ, იმისთვის, რათა დავიჯეროთ, რომ X—XI საუკუნეებზე დიდი ხნით ადრე არსებობდა ქართული იურიდიული დოკუმენტები. სამწუხაროდ, უძველესი დროის დოკუმენტებს ჩვენს დრომდის არ მოუღწევია. ამის გამო ჩვენ პირდაპირი ცნობები მათი ფორმის შესახებ არ გაგვაჩნია. არც ის ვიცით, თუ რა იყო ამ დოკუმენტების ზოგადი ან კერძო სახელი. ამ უკანასკნელი საკითხის გარკვევაში XI საუკუნის იურიდიული დოკუმენტები, ვფიქრობთ, რამდენადმე გვშველიან.

XI საუკუნიდან ჩვენ მოგვეპოვება ექვსი იურიდიული დოკუმენტი: ორი „ბრძანებაი და სიგელი" ბაგრატ IV-ისა (შ. მღ. საბ. 3-7; 8-9), ერთი „ბრძანებაი და სიგელი" გიორგი II-ისა (შ. მღ. საბ. 10-12), და სამი „დაწერილი" ძელქისედეკ ქ'კზისა (მცხეთის საბუთი XI საუკუნისა—საქ. მუზ. მოამბე VI, 1931, 288—294), ნიკორწმიდის მონასტრის წინამძღვრისა (ქრონ. II, 43) და ზაზისა და თოთის (საისტორიო მოამბე, I, 1925, 102).

პირველი სამი, როგორც ვხედავთ, მეფეთა სახელით შექმნილი იურიდიული დოკუმენტებია და სახელწოდება „ბრძანებაი და სიგელი" მათთვის სავსებით შესაფერისია. ასევე შესაფერისია ტერმინი „დაწერილი" დანარჩენი სამი დოკუმენტისათვის: საბუთის სუბიექტი სამივე შემთხვევაში არამეფეა. ამ მხრით, როგორც ვხედავთ, ყველა ექვსივე დოკუმენტი ეთანხმება XII—XIII საუკუნეთათვის ჩვენ მიერ მიღებულ სურათს.

მაგრამ განსხვავებულ სურათს იძლევა ტერმინების „დაწერილისა" და „სიგლის" ურთიერთობა.

XII — XIII საუკუნეთა მანძილზე, როგორც ვნახეთ, ტერმინების „სიგლისა" და „დაწერილის" ხმარების არე შედარებით მტკიცედ გარკვეულია. XIV საუკუნიდან და შემდეგ მდგომარეობა იცვლება. ტერმინი „სიგელის" ხმარების არე ფართოვდება, მაშინ, როცა ტერმინი „დაწერილი" ასეთ ტენდენციას არ იჩენს. ტერმინი „სიგელი" სულ უფრო და უფრო ხშირად ითვისებს ტერმინი „დაწერილის" შინაარსაც, ვიდრე ბოლოს, XVI საუკუნისათვის, საბოლოოდ არ გააქრობს მას.

ეხლა ჩავუკვირდეთ, როგორია ამ ტერმინების ურთიერთობა XI საუკუნეში.

ბაგრატ მეფემ XI ს-ის 60-იან წლებში შიომღვიმის მონასტერს შესწირა და ყოველივე შესავალისაგან გაუთავისუფლა მანგლისის

ჭევს ადგილი ბორცუის-ჯუარი. ამ საბუთის ბრძანებულების ნაწილში მეფე აცხადებს: „აწ ვინცა ჰნახოთ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა ი და ს ი გ ე ლ ი ესე ჩუენი... ყოველთავე... დაუმტკიცეთ და ნუვინ უშალავთ ბრძანებულსა მას და გაგებულსა ჩუენსა“ (4). ასევეა ამ საბუთის ხელრთულობა-სათვალავშიც: „დაიწერა: ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ი ს ი გ ე ლ ი: ესე ჩუენი: ინდიკტიონსა მეფობისა. ჩემისასა მეო: ლა: (31) სა“... (იქვე).

ამავე საბუთის ბრალთგადამხდელობის ნაწილში კი მეფე მიმართავს კათალიკოზს „და თქუენ ქრისტეს მიერ გიორგი ქართლისა კათალიკოზმან და წმინდათა მღდელთ-მოძღუართა დ ა წ ე რ ი ლ ი ესე ჩუენი დაამტკიცეთ, ვითა წესი არს წყევლანი და შეჩუენებანი დაწერენით, ვინცა უქციოს და შეუცვალოს“ (იქვე). კრულობით მოწმობაში გიორგი ქართლისა კათალიკოზი სწერს: „ქ... ესე ვითა, ადიდენ ღმერთმან, ძლიერს ბაგრატ აფხაზთა მეფესა და ყოვლისა აღმოსავლეთისა ნოველისიმოსა დაუწერია და ბორცუისჯუარი... მღუიმის მონასტრისდა შეუწირავს, მე გიორგი ქართლისა კათალიკოზი მოწამე ვარ დ ა წ ე რ ი ლ ს ა მათსა. აწ ვინცა და რამანც გოარმან კაცმან რასცა ჟამსა, ვითა მათსა დ ა წ ე რ ი ლ ს ა სწერია, უქციოს და შალოს დ ა წ ე რ ი ლ ი მათი... და ვითა დაუწერია, გაუთავისუფლებია, მას ზედა მკუიდრად და შეუვალად არა იპყრან, ჰრისხავსმცა მამაი ძე და სული წმიდაი... და ვინ დაამტკიცოს და არა შალოს ბრძანებული და დ ა წ ე რ ი ლ ი მათი, მიიღენ კურთხევაი მღრთისაგან და ჩემ გლახაკისაგან“.

როგორც ვხედავთ, მ ე ფ ი ს ა მ ს ა ბ უ თ ს ე წ ო დ ე ბ ა რ ო გ ო რ ც „ს ი გ ე ლ ი“, ი ს ე „დ ა წ ე რ ი ლ ი ც“. თვითონ მეფე თავის ამ „ბრძანებას და სიგელს“ უწოდებს „დაწერილს“, როცა კათალიკოზსა და მღვდელთმოძღვართ მის დამტკიცებასა და მოწმობას სთხოვს. ხოლო ქართლის კათალიკოზი თავის კრულობით მოწმობაში ოთხჯერ იხსენიებს ამ საბუთს და არც ერთხელ მას „სიგელს“ არ უწოდებს, არამედ „დ ა წ ე რ ი ლ ს“.

ხ ს ე ნ ე ბ უ ლ ი ტ ე რ მ ი ნ ე ბ ი ს ა ს ე თ ი ვ ე ე რ თ ი მ ე ო რ ი ს. შ ე ს ა ტ ყ ვ ი ს ო ბ ი თ ხ მ ა რ ე ბ ა ჩ ა ნ ს ბ ა გ რ ა ტ მ ე ფ ი ს მ ე ო რ ე ს ა ბ უ თ შ ი[47]. მიჯნაძოროელ მონაზვნებმაო „მოიხუნეს ს ი გ ე ლ ნ ი გურგენ ერისთავთ ერისთავისა, გურგენ მეფისა, პაპისა ჩემისა ბაგრატ კურაპალატისა და მამისა გიორგი მეფისა, რომლითა იგი ტყენი და ზღვარნი მიჯნაძოროისათუის დაემტკიცნეს... და მოიღეს ოპიზართა დაწერილი გურამ მამფლისა... და

[47] ო პ ი ზ ი ს სიგელი მეფისა ბაგრ:ტ IV. საქართველოს სიძე. II, 2—5, შიომღვიმის საბ. 8—9.

ამათ მიჯნაძოროისა ს ი გ ე ლ თ ა შინა გუარამ მამფლისა დ ა წ ე რ ი-ლ ი, რომელ ოპიზართათვის დაუწერია, არა ჯსენებულ იყო არც დამტკიცებულად და არცა გარდაგდებულად“.

დარბაზი მოვიწვიეო განაგრძობს მეფე, „და წავიკითხნეთ მათ-ნიცა და მათნიცა დ ა წ ე რ ი ლ ნ ი და რომელი სიტყუისგება იყო მათ შორის, მოვისმინეთ და სამართლად ესე გავიგონეთ, რომელ ჯელნი ამათნი მრავალნი და მტკიცენი იყუნეს და ჩუენგან მათი გა-ტეხა არა ჯერ იყო...

და აწ... ესრეთ განვაგე და დავამტკიცე საქმე მათი: ტყენი და ზღვარნი ამათნი, ვითა მათ პირველთა მეფეთა დ ა წ ე რ ი ლ თ ა ს ი გ ე ლ ს ა შიგან უწერიან... ესე ზღვარნი მტკიცენი არიან მიჯნა-ძოროელთა ზედა.

აწ ვინცა ჰნახოთ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა ი და ს ი გ ე ლ ი ესე ჩუენი... ყ ლ თა ჯელისუფალთა და საქმისმოქმედთა დაუმტკიცეთ...“

როგორც ზემორე შევნიშნეთ, განსვენებულ ივანე ჯავახიშვილს ჩვენისაგან განსხვავებულად ესმის ამ საბუთის ადგილი: „წავიკით-ხენით მათნიცა და მათნიცა დაწერილნი და რომელი სიტყუისგება იყო მათ შორის, მოვისმინეთ და სამართლად ესე გავიგონეთ, რომელ ჯელნი ამათნი მრავალნი და მტკიცენი იყუნეს და ჩუენგან მათი გა-ტეხაი არა ჯერ იყო“...

აკად. ი. ჯავახიშვილის აზრით, „მათნიცა და მათნიცა დაწერილ-ნი“ ნიშნავს სარჩელის მხარეების მიჯნაძოროელ და ოპიზარ მონაზვ-ნების მიერ წარდგენილ წერილობით მოხსენებებს (მომდევნო ტერ-მინი „ჯელნი“ განსვენებულ მკვლევარს უყურადღებოდ დაუტოვე-პია). ჩვენ კი გვგონია, რომ „მათნიცა და მათნიცა დაწერილნი“ აქ ნიშნავს იმ წერილობით დოკუმენტებს (სიგლებს და დაწერილებს), რომლითაც მხარეები თავიანთ უფლებებს ასაბუთებდნენ. სწორედ ამ „დაწერილნი“-ს ერთი ნაწილი (ე. ი. მიჯნაძოროელთა მიერ წარ-დგენილი „დაწერილნი“) იყო ის „ჯელნი“, რომელთა შესახებ, რო-გორც ზემოთ უჩვენეთ, აცხადებს მეფე, რომ „ისინი („ჯელნი ამათ-ნი“) მრავალნი და მტკიცენი იყუნეს და ჩუენგან მათი გატეხაი არა ჯერი იყო“. სწორედ ასეთი გაგება (ჯელნი ამათნი-მიჯნაძოროელთა მიერ წარმოდგენილი წერილობითი საბუთები), რომელიც ჩვენ ზე-მორე დავასაბუთეთ, მოითხოვს, რომ მაინცა და მაინც „დაწერილ-ნში“ ორივე მონასტრის ეს წერილობითი დოკუმენტები ვიგულის-ხმოთ და სხვაგვარად საქმე არც წარმოიდგინება:

მონასტრები ურთიერთს მიწაადგილებს ეცილებოდნენ; ორივემ თავთავიანთი საბუთები მეფის წინაშე წარადგინეს (ერთმა „სიგლე-ბი“, მეორემ „დაწერილი“). მეფემ სასამართლო მოიწვია. სასამართ-

ლო მეფის მონაწილეობით დაჯდა[48]. სხდომაზე წაიკითხეს მხარეთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები („მათნიც და მათნიცა დაწერილნი"), აქვე მოისმინეს მხარეთა ზეპირი განცხადებანი — კამათი („სიტყუისგებაი") და „სამართლად ესე გაიგონეს", რომ მიჯნაძოროელთა მიერ წარმოდგენილი საბუთები (= „ჭელნი ამათნი") „მრავალნი და მტკიცენი იყუნეს და ჩუენგან მათი გატეხა არა ჯერ იყო". თუ ჩვენ გამოთქმაში „წავიკითხენით მათნიცა და მათნიცა დაწერილნი" მხარეთა მიერ წარმოდგენილ საჩივრის წიგნებს ვიგულისხმებდით, მაშინ სასამართლოსათვის უმნიშვნელოვანესი საბუთების წაკითხვის შესახებ არაფერი გვეცოდინებოდა, ხოლო საქმის განსჯა კი სწორედ ამ საბუთების წაკითხვა-შესწავლის და შეფასების ნიადაგზე მოხდა. უცნაური იქნებოდა (კონტექსტის უხერხულობას რომ თავი დავანებოთ), რომ დოკუმენტში, რომელიც მიზნად ისახავს ოქმის სიზუსტით გადმოგვცეს სასამართლოს პროცესი, რათა დაასაბუთოს აქ მიღებული განაჩენი, არ ყოფილიყო აღნიშნული მხარეთა უმთავრესი არგუმენტების გაცნობა (სიგელ-დაწერილთა წაკითხვა).

ამიტომ, ჩვენ ვფიქრობთ, „მათნიცა და მათნიცა დაწერილნი", ესაა, ერთის მხრით, „ს ი გ ე ლ ნ ი", მიჯნაძოროელთა რომ „მოიხუნეს", ხოლო მეორეს მხრით „დ ა წ ე რ ი ლ ი გუარამ მამფლისა", ოპიზართა რომ „მოიღეს"[49].

ეხლა მესამე საბუთი XI საუკუნისა.

მეფე გიორგი ბაგრატისძე ამბობს; „მოვიდეს მღუიმეს ჩუენს წინაშე წმიდაჲ მამაჲ მიქელ და ყოველნი მამანი მკჳდრნი მღჳმისანი და მოიხუნეს ს ი გ ე ლ ნ ი მამათა და პაპათა ჩემთანი და დ ა წ ე რ ი ლ ნ ი მთავართა ყოველთა (და აზნაურთა) საქონელთათჳს მათთა, რომელნი ჰქონან ლავრასა მღჳმისსა თრიალეთს და მანგლისის ჭევს და მოგვაჴსენეს, რათა იგი ს ი გ ე ლ ნ ი გაუახლენით და დ ა წ ე რ ი ლ ნ ი დაუმტკიცენით....

გაგუიახლებიან ს ი გ ე ლ ნ ი მამისა და პაპისა ჩემთანი და დაგუიმტკიცებიან დ ა წ ე რ ი ლ ნ ი ყოველთა მთავართა, ყოველთა დიდებულთა და აზნაურთა შემწირველთანი და ს ი გ ე ლ ი ესე სიმტკიცისათუის დაგუიწერია... ესე ყოველნი საქონელნი მათნი, ვითა თუით პირველთა ს ი გ ე ლ თ ა სწერიან, და ვითა შემწირველთა ჭელითწერილსა 'მინა სწერიან შეუვალობისა და თავისუფლობისა

---

[48] ჩვენთვის არაა მთლად ნათელი გამონათქვამში „და დაესხენით წინაშე ჩუენსა" იგულისხმება მეფის მიერ მოწვეული დარბაზის წევრნი თუ მხარეთა მიერ წარმოდგენილი „დაწერილნი".

[49] სამწუხაროდ, ოპიზის სიგელს ის ნაწილი აკლია, სადაც კათალიკოზის მოწმობა-დამტკიცება ყოფილა მოთავსებული. ამიტომ ჩვენ არ ვიცით, თუ რას უწოდებდა კათალიკოზი მეფის ამ „ბრძანებას და სიგელს".

მათისათუის, ან ჩუენცა მასვე ზედა გაგუითავისუფლებიან ესე ყოველნი საქონელნი მღუიმისანი... და ვითა პირველთა ს ი გ ე ლ თ ა შინა უწერია გაგებით, მას წესსა ზედა იყუნენ“...

აქვე, საბუთის ბრალთგადამხდელობითს ნაწილში მეფე ამბობს: „და თქუენ წმიდაო მეუფეო ქართლის კათალიკოზო და ყოველნო მღდელთ მოძღუარნო უჯუარობით და წყევით დაუმტკიცეთ დ ა წ ე რ ი ლ ი და ს ი გ ე ლ ი ესე“...

დაბოლოს, სათვალავში, წერია: „დაიწერა ბრძანებაი და ს ი გ ე ლ ი ესე ჩუენი ინდიკტიონსა მეფობისა ჩემისასა“: ა: (შიომღ. საბ. 10-11).

მოტანილ საბუთში, ისევე როგორც ზემოთ ოპიზის სიგელში, მწიგნობარი დაჟინებით ცდილობს ურთიერთისაგან განასხვავოს ტერმინები „სიგელი“ და „დაწერილი“. „სიგელი“ მეფეთა მიერ გაცემული იურიდიული საბუთია, ხოლო „დაწერილი“ ყველა სხვა. საბუთების ასეთი დანაწილება-დაჯგუფების ტენდენცია XI ს-ში სრულიად უდავოა. ამას უეჭველობით მოწმობს ის გარემოება, რომ XI საუკუნის არცერთ „დაწერილს“ (ასეთი დაწერილი, როგორც აღნიშნეთ, სამი მოგვეპოვება) „სიგელი“ არ ეწოდება. ამავე ტენდენციის არსებობას მოწმობს აგრეთვე XII — XIII საუკუნეთა საბუთებში წარმოდგენილი სურათი (როცა აღნიშნული ტენდენცია დასრულებულ სახეს იღებს), როგორც ეს ჩვენ ზემორე ვუჩვენეთ, —როცა „სიგელისა“ და „დაწერილის“ შინაარსი და სამოქმედო არე კიდევ უფრო გარკვეულია და ურთიერთისაგან გამიჯნული ჩანს. მაგრამ ზემომოტანილ სამივე საბუთში ერთი მოვლენა შეინიშნება: ტერმინები „დაწერილი“ და „სიგელი“ ურთიერთისაგან ჯერ კიდევ საბოლოოდ არ გამიჯნულან (უკანასკნელ საბუთში ერთი საინტერესო გარემოება იქცევს ყურადღებას: მეფე თავისი წინაპრების სიგლებს „განუახლებს“ მონასტერს, ხოლო მთავართა და აზნაურთა დაწერილებს „დაუმტკიცებს“ მას).

როგორც ამავე ხანის სხვა საბუთებიდან ირკვევა, „დამტკიცება“ შეიძლებოდა არა მარტო „დაწერილის“, არამედ „სიგლისაც“. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ იოანე მონაზონი (გიორგი II სიგლის დამწერი) ამით ცდილობს ხაზი გაუსვას განსხვავებას „სიგელსა“ და „დაწერილს“ შორის. დაჟინებით აღნიშვნა (ორჯერ) ამ გარემოებისა (რომ მეფე სიგლებს „განაახლებს“, ხოლო დაწერილებს „დაამტკიცებს“), ასეთი მოსაზრების საფუძველს გვაძლევს. ჩვენს მიერ მოტანილი სამივე საბუთი კარგად ასხვავებს „დაწერილს“ „სიგლისაგან“. მაგრამ აქვე კარგად ჩანს, თუ რაა საერთო „დაწერილსა“ და „სიგელს“ შორის. „სიგელი“ ესაა მეფის (ქელმწიფის) „ბრძანება“, მეფის „წყალობა“ (და მეფის წიგნი სხვა არც შე-

იძლება იყოს რა, თუ არ „ბრძანება-წყალობა“), „დაწერილი“ კი არ-ის ყველა იურიდიული დოკუმენტი.

მეფის მიერ გაცემული საბუთიც, მაშასადამე, „დაწერილია“, მაგრამ ამ უკანასკნელს საკუთარი სახელიც აქვს—„სიგელი“. ამიტომ, რამდენადაც გაჩნდა „სიგელი“, როგორც მეფის მიერ გაცემული საბუთების აღმნიშვნელი ტერმინი,—ტერმინი „დაწერილიც“ არამეფის მიერ გაცემულ იურიდიულ საბუთებს განეკუთვნა. ამრიგად, „დაწერილის“ ორგვარი მნიშვნელობა გასაგებია, ზოგადი და კერძო: „დაწერილი“ ზოგადი სახელია იურიდიული დოკუმენტებისა, კერძოდ, კი „დაწერილი“, მეფეთა მიერ გაცემული საბუთების („სიგელთა“) დაპირისპირებით, არამეფეთა მიერ გაცემულ იურიდიულ დოკუმენტებს ეწოდება. სწორედ ასეთი ორნაირი ხმარება ტერმინი „დაწერილისა“ გვაქვს ჩვენ სამივე საბუთში.

„დაწერილი“ როგორც იურიდიული დოკუმენტის აღმნიშვნელი ტერმინი ჩვენ სხვაგანაც გვხვდება.

სუმბატ დავითისძე (ავტორი XI საუკუნისა) მოგვითხრობს: გიორგი მეფესა და ბასილ კეისარს შორის საზავო მოლაპარაკება იყო გამართული. გიორგი მეფის აზნაურებს ზავი არ ენებათ. ამიტომ „აზრახეს მას (გიორგი მეფეს) ბრძოლად“. ბასილი კეისარი ომს არ ელოდა, როცა გიორგის ლაშქარი მას თავს დაესხა, განრისხებულმა ბასილი მეფემან „უბრძანა... დამოკიდება წუერსა ჰოროლისასა დ ა წ ე რ ი ლ ი მათი[50], რომელნი მისად დ ა ე წ ე რ ნ ე ს გიორგი მეფესა სიმტკიცისა და ზავისანი[51] და ესრეთ ბასილი მეფემან ჰოროლისა წუერითა ამართნა იგინი, მიუპყრა ღმერთსა და თქუა: იხილე უფალო[52] წ ე რ ი ლ ი ესე მათი და საქმე, რომელსა აწ იქმოან“[53].

ამოიგად, გიორგი მეფემ ბასილი კეისრისად დაწერა დ ა წ ე რ ი ლ ი ამ დოკუმენტში მეფე გიორგი ფიცით ზავს სთავაზობდა მოწინააღმდეგეს. ეს იყო „დ ა წ ე რ ი ლ ი ს ი მ ტ კ ი ც ი ს ა ჲ“ და „დაწერილი ზავისაჲ“. აქ საინტერესო ჩანს შემდეგი: გიორგი მეფეა, ხელმწიფეა. ამიტომ მისი სახელით გაცემულ იურიდიულ დოკუმენტს თითქო „სიგელი“ უნდა ერქვას. მაგრამ გიორგი არაა ხელმწიფე ბასილის მიმართ და ამდენადვე ვერც „სიგელს“ დაუწერს მას. სიგელს, ოქრობეჭედს ხელმწიფე სუვერენი დაუწერს ყმას, ვასალს, როგორც, მაგალითად, რომანოზ კეისარმა „მოსცნა ფიცნი და სიმტ-

---

[50] სწერია „და: წუერილი: მათ“. ახალი ქ“ცაში: „წერილი მათი“.

[51] უკანასკნელი ხუთი სიტყვის მაგივრად სწერია: „გიორგი მეფისა ჩუენისა სიმტკიცისა და ძლევისანი“.

[52] ახალ ქ“ცა-ში: მეუფეო

[53] ქ“ცა, 357

კიცენი ერთობისა და სიყუარულისათუის, დაუწერნა ოქრობეჭედნი, მოსცა პატიეი კურაპალატობისა“ ბაგრატ მეფეს, რომელმაც ბიზანტიის კეისრის ვასალობა იკისრა (მატიანე ქ“ჲ, ქ“ცა 183, ანა).

გიორგი მთაწმიდელი აუწყებს მკითხველს, თუ რა მისცა თორნიკის გარდაცვალების ჟამს მამა იოანემ დიდსა ლავრასა. და თავის მონათხრობის სინამდვილეში მკითხველის დასარწმუნებლად ამბობს: „ესე ყოველი თჳთ წმიდისა მამისა ეფთჳმეს ხელთა ნუსხისაგან დაგჳწერია“. შემდეგ ასწერს, თუ რა მისცეს „საშოალსა“ ან „მთასა გასაყოფელად“ თუ სხვ. და ისევე, როგორც ზემორე, იმოწმებს „და ესეცა ყოველი მამათავე ჩუენთა დ ა წ ე რ ი ლ ი ს ა გ ა ნ დაგვიწერია“[54]. ვფიქრობთ, აქ ლაპარაკია იმ დოკუმენტზე, „დაწერილზე“, რომელიც იოანემ და ეფთჳმემ ამ მონასტრებს, „დაუწერეს“ უხვი შესაწირავის გაღებასთან ერთად.

ვახტანგ გორგასალი ოსეთს სალაშქროდ მოემზადა. „და დაუტევა განმგებლად სანეფოსა მისისა დედა მისი საგდუხტ და დაჲ მისი ხუარანძე და დ ა წ ე რ ა ა ნ დ ე რ ძ ი ესრეთ: უკეთუ არღარა შევიქცე ცოცხალი, ხუარანძე შეირთოს მიჰრან,—რომელი ეყვოდა ვახტანგს მამის ძმისწულად...,—მან შეირთოს დაჲ ჩემი და მან იპყრას მეფობა. და ესე დ ა წ ე რ ი ლ ი დედასა მისსა მისცა და სხუასა არავის აუწყა და იგი მიჰრან მამის ძმის წული მისი დაუტევა მცხეთას. (ქ“ცა 129, ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა...). აქ, როგორც ვხედავთ, მეფის სახელით შექმნილ იურიდიულ დოკუმენტს დ ა წ ე რ ი ლ ი ეწოდება. ეს მოვლენა, საცთური ბუნებრივია, ჩვენ შეგვეძლო ამ ცნობის სიძველის ნიშნად მიგვეღო, რომ ამას ხელს არ უშლიდეს ორი გარემოება: „დაწერილი“ მეფის მიერ გაცემულ იურიდიულ საბუთს X I ს-შიც ეწოდება, მეორეც: ამავე თხზულებაში მოიპოვება ცნობა, საიდანაც ჩანს, რომ მის ავტორს (ჯუანშერს) ტერმინი სიგელი კარგად მოეხსენება (თუ, რა თქმა უნდა, აღნიშნული ადგილი, როგორც ეს დღემდის მიღებულია ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში, ამ თხზულების ნაწილია, რაც ჩვენ საეჭვოდ მიგვაჩნია). ასე რომ ჩვენ აქ იმავე მოვლენასთან გვაქვს საქმე, როგორიც X I საუკუნის სიგლებში შევნიშნეთ. როგორ უნდა აიხსნას ეს გარემოება? პასუხი, ვფიქრობთ ერთი შეიძლება იყოს. ძველად, ვიდრე ტერმინი „სიგელი“ (და სხვა: ნიშანი, ქარტა, პატრუცაგი, პიტაკი, ჰროარტაგი, ჩაქი, გუჯარი) არ შემოსულიყო, ქართული იურიდიული დოკუმენტის ზოგადი სახელი იყო „დაწერილი“. „დაწერილის“ სახეობანი ჩანან: „ბრძანებული“, „გაგებული“, „გახს-

---

[54] ათონის კრებული, 18.

ნითი"[55], „წარკვეთილი", „სიმტკიცე". დაწერილი იგივე კ ე ლ ი იყო. გარკვეულ დროს შემოდის უცხოური „სიგელი", როგორც ჭელმწიფეთა მიერ გაცემული იურიდიული დოკუმენტის სახელი. ამის შემდეგ „დაწერილი" ზოგადი მნიშვნელობის გვერდით თანდათან კერძო სპეციალურ მნიშვნელობასაც ითვისებს (არამეფეთა მიერ გაცემულ იურიდიული დოკუმენტის სახელი). ასეთი ორმაგი მნიშვნელობით ვხვდებით ჩვენ მას XI ს-ში. თანდათან „დაწერილის" ზოგადი მნიშვნელობა საზოგადოების ცნობიერებაში სუსტდება, რამდენადაც „სიგელი" სულ უფრო და უფრო შემოდიან და მტკიცდება (შიგა და შიგ „სიგლისა" და „დაწერილის" ურთიერთში არევით ხმარება სავსებით ბუნებრივია) და „დაწერილი" მხოლოდ სპეციალური მნიშვნელობის ტერმინად ღა გვევლინება: არამეფეთა მიერ გაცემული იურიდიული დოკუმენტები (XII — XIII სს.).

მაგრამ „სიგელი" ამის შემდეგაც არ უსვენებს „დაწერილს" და როგორც აღვნიშნეთ, თანდათან აძევებს მას ქართული დიპლომატიკის სფეროდან (XIV — XV სს.). აქ, „დაწერილის" გაძევების საქმეში „სიგლის" დამხმარედ გამოდის ქართული დიპლომატიკური ფაქტების ზოგადი ტერმინი „წიგნი".

„წიგნი" და „სიგელი" გვიანფეოდალურ ხანაში რჩებიან ქართული დიპლომატიკური ფაქტების ზოგად სახელად...

გვიან, XIX საუკუნის დასაწყისს, როცა წ ი გ ნ მ ა სულ უფრო და უფრო სპეციალური მნიშვნელობა მიიღო (ერთიანი, შინაარსისაგან დამოუკიდებლივ, ნაწარმოები), დიპლომატიკური ფაქტების ზოგად ს ა ხ ე ლ ა დ უ კ ვ ე წ ე რ ი ლ ი გამოვიდა.

რა მივიღეთ? ქართული დიპლომატიკის ტერმინების „სიგლისა" და „დაწერილის" ურთიერთობის ისტორია სამ ეპოქად იყოფა.

პირველი, როცა ტერმინი „დაწერილი" ორგვარი შინაარსით იხმარება: „დაწერილი" ეწოდება ყოველგვარ იურიდიულ დოკუმენტს ვის მიერაც არ უნდა იყოს ის გაცემული; „დაწერილი", „სიგლის" დაპირისპირებით, ეწოდება არამეფეთა მიერ გაცემულ ყოველ იურიდიულ დოკუმენტს.

ეს ეპოქა იწყება ტერმინი „სიგელის" შემოსვლიდან და XII საუკუნემდის გრძელდება. „სიგელსა" და „დაწერილს" შორის წონასწორობა არა ჩანს: კერძო პირთა მიერ გაცემულ იურიდიულ დოკუმენტს (დაწერილი) „სიგელი" არც ერთხელ არ ეწოდება, ამა-

---

[55] ორივე ტერმინი „გაჭსნითი" და „წარკვეთილი" უთუოდ ქართული წარმოშობისაა და ამის დამტკიცება ეთნოგრაფიული მასალით ადვილად შეიძლება. ეგულისხმობ „ჭდეს (=ჭკდეს) ამოგდებას", ჭდის წარკვეთას, „ნასკვს" და მის გაჭსნას. შდრ. ულუ დავითის მიერ შეკრულობის წიგნის გაჭსნა, გაკვეთა...

ვე დროს „დაწერილით“ ხშირად აღნიშნავენ მეფეთა მიერ გაცემულ იურიდიულ დოკუმენტს (სიგელს).

მეორე ეპოქა, როცა ტერმინებს „სიგელსა“ და „დაწერილს“ შორის ერთგვარი წონასწორობა მყარდება, როცა ტერმინი „სიგელი“ მეფეთა მიერ გაცემულ საბუთებს, ხოლო „დაწერილი“ ყველა დანარჩენ საბუთებს მტკიცედ განეკუთვნება.

მესამე ეპოქა. წონასწორობა „სიგელსა“ და „დაწერილს“ შორის კვლავ ირღვევა, მაგრამ ეხლა უკვე „სიგლის“ სასარგებლოდ. ტერმინი „სიგელის“ ხმარების არე თანდათან ფართოვდება და ის კერძო პირთა მიერ გაცემული, იურიდიული დოკუმენტების (დაწერილის) აღმნიშვნელიც ხდება. „დაწერილი“ თანდათან უთმობს ადგილს „სიგელს“ და XVI საუკუნისათვის ის საბოლოოდ ქრება.

ასეთია ფაქტიური მასალის განხილვის შედეგად მიღებული ამ ურთიერთობის განვითარების ტენდენცია. რა მოსაზრების წამოყენების უფლებას გვაძლევს მიღებული დაკვირვება? იმისას, რომ ვიდრე ტერმინი „სიგელი“ (თუ სხვა ასეთია) არ შემოსულიყო, იურიდიული საბუთის ერთადერთი ზოგადი სახელი „დაწერილი“ იყო (იგივე „ქელი“ ან „ხელწერილი“).

მაგრამ ასეთი მოსაზრების წამოყენებისას უმალვე წამოიჭრება საკითხები ტერმინი „დაწერილის“ რაობისა და სადაურობის, „დაწერილისა“ და „წიგნის“ ურთიერთობის.

შეიძლება საშუალო ფეოდალური ხანის ქართული დიპლომატიკა თავის იმ ნაწილში, რომელიც „სიგელს“ შეეხება, მართლაც რომაულ-ბიზანტიურ საფუძველზე იყოს აღმოცენებული, მაგრამ ჩვენ ამასვე ვერ ვიტყვით, ჯერჯერობით მაინც, მთელი დიპლომატიკის შესახებ, რამდენადაც ქართული დიპლომატიკის სხვადასხვა ფაქტები არც შესწავლილია და არც შედარებულია ანალოგიურ უცხოურ ფაქტებთან[56].

კერძოდ, „notitia“-„დაწერილის“ ტერმინოლოგიური მსგავსება ინსტიტუტის ნასესხობის საბუთად, რა თქმა უნდა, ვერ გამოდგებოდა. ამისთვის საჭირო იქნებოდა შესადარებელი ფაქტების კერძოობითი და შედარებითი შესწავლა.

ტერმინი „დაწერილისათვის“

ქართულ დიპლომატიკაში ტერმინი „დაწერილი“ იურიდიული შინაარსის წერილობით დოკუმენტს აღნიშნავს. ფეოდალური ეპოქის

---

[56] ამისდა მიხედვით უნდა დაზუსტდეს განსვ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს დასკვნა: „ცხადი ხდება, რომ თუმცა ქართული სიგელთმცოდნეობა რომაულ-ბიზანტიურ საფუძველზეა აღმოცენებული, მაგრამ“... და სხვა.—ქართული სიგელთმცოდნეობა ანუ დიპლომატიკა, გვ. 155.

დიპლომატიკის განვითარებულობის ასაკში „დაწერილი“, როგორც ვნახეთ, ფრიად ფართე შინაარსისაა: ის ყოველგვარ იურიდიულ შესაქმეებას მოიცავს.

პრინციპულად დასაშვებია, რომ „დაწერილი“ იმთავითვე, ე. ი. მას შემდეგ, რაც „დაწერა“ გაჩნდა, ყოველგვარ იურიდიულ შესაქმეებას მოიცავდა, მაგრამ მისი შინაარსი იმთავითვე ფართე არ ყოფილა, რამდენადაც, საზოგადოებრივი ცხოვრების სიმარტივის გამო, იურიდიული შესაქმებანი მრავალსახოვანი არ იყო. ასეთ მსჯელობას ჩვენ „დაწერილის“ უძველეს და უმარტივეს ფორმამდე მივყავართ, ქართული იურიდიული საბუთების სათავემდე...

ტერმინი „დაწერილი“ დაწერა ზმნისაგან ნაწარმოები მიმღეობაა. დაწერა ზმნის ჩვეულებრივი შინაარსი გასაგებია: საერთოდ, ესაა რისამე აღნიშვნა მკვრივ ნივთიერებაზე, კერძოდ, ესაა პიროვნული ნიშნებით სიტყვის გადმოცემა (ჩუქურთმა დაწერა, სახელი დაწერა...), მაგრამ ძველ ქართულში დაწერა ზმნა სხვა შინაარსითაც იხმარებოდა, — ი უ რ ი დ ი უ ლ ი შ ი ნ ა ა რ ს ი თ (დაწერნეს ორნი დაბანი)[57]. ამისდა მიხედვით ტერმინი „დაწერილიც“ ორგვარი შინაარსისა იყო.

ჩვენ ამჟამად იურიდიული შინაარსის „დაწერილი“ გვაინტერესებს.

სტეფანოზ მთავარმა შიომღვიმის მონასტერს ორი აგარაკი მისტაცა: „არა მივსცე შეურაცხის-მყოფელთა მამული ჩემიო“. წმიდა შიომ სტეფანოზი დაბრმავებით დასაჯა: მთავარი გატყდა, მონასტერში მონანული მივიდა. აი აქ „მოუწოდა უკუმ სტეფანოზ მწიგნობარსა თჳსსა და უბრძანა მას, რათა დ ა ს წ ე რ ნ ე ს ორნი დ ა ბ ა ნ ი საჰეფოთა ურჩეულესნი, მერმე აიღო ხელითა თჳსითა ქ ა რ ტ ა იგი და დადვა საფლავსა ზედა წმიდის შიოსსა და ესრეთ ჰგოდებდა: აჰა მამაო პატიჟი ბრალისა ჩემისა, მიიღე ხ ე ლ ი თ წ ე რ ი ლ ი ესე და შემინდევ ბრალი ჩემი“. მონანულის ვედრება შეწყნარებულ იქმნა და მას თვალები აეხილა. სტეფანოზმა ამის შემდეგ „დაამტკიცა უკუმ ხ ე ლ ი თ ა წ ე რ ი ლ ი იგი ხელითა თჳსითა და მას-

---

თუ „სიგელთამცოდნეობა“ „დიპლომატიკას“ ნიშნავს,—ასე ესმის განსვ. მკვლევარს,—და არა მხოლოდ მეფეთა მიერ გაცემულ წიგნებს (სიგლებს), მაშინ აეტორისეული დასკვნა მეტია, ვიდრე მას ამის საფუძველი ჰქონდა. მკვლევარს მრავალი სახეობანი ქართული დაწერილისა არც შეუსწავლია და არც უცხოური დაწერილობისათვის შეუდარებია ისინი. ასე რომ სიგელების (უმთავრესად) შესწავლის შედეგად მიღებული დასკვნის, როგორც ჩანს, საფუძვლიანის აგრე განზოგადება შესაძლებელია მცდარი აღმოჩნდეს. მაინც და მაინც ასეთი დასკვნა საკმაოდ დასაბუთებულად ვერ გამოიყურება.

[57] ს ა ბ ი ნ ი ნ ი, 258.

ვე ჟამსა დასწერა ჰ რ ო ა რ ტ ა გ ი და დაამტკიცა ხელითა თჳსითა და წარსცა ყოვლისა შინა ქუჱყანისა ქართლისასა, რათა ყოველნი ეკლესიანი განთავისუფლდნენ მძლავრებისაგან და ხარკის მიცემისა".

„დასწერა ჰროარტაგი" და „დასწერნეს ორნი დაბანი" სულ სხვადასხვა მნიშვნელობის გამოთქმებია. „დასწერა ჰროარტაგი" (=ბრძანება) გაუგებარს და უჩვეულოს არაფერს შეიცავს. სულ სხვაა „დასწერნეს ორნი დაბანი". ეს ნიშნავს, რომ დასწერეს ისეთი იურიდიული დოკუმენტი, რომლითაც დაბის მფლობელობის უფლება ერთის (სტეფანოზის) მიერ მეორეს (მონასტერს) გადაეცა. მწიგნობარმა დოკუმენტი სტეფანოზის სახელით დასწერა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს ტ ე ქ ნ ი კ უ რ ი გ ა მ ო თ ქ მ ა (დაბის დაწერა) უფრო რთული წინადადების შემოკლების ნიადაგზე მიღებული კი არაა, არამედ უძველესი დროიდან მოდის, როდესაც დაბის თუ სხვა რისამე „დაწერა" ბუნებრივად ესმოდათ, როგორც მ ფ ლ ო ბ ე ლ ობ ის უ ფ ლ ებ ის ე რ თ ი ს მ ი ერ მ ე ო რ ე ზ ე გ ა დ ა ც ე მ ა.

მცხეთიშვილი ედილაშვილი მისრი წერს: „ესე ანდერძის წიგნი მოგეც მე ედილაშვილმა მისრი შენ ჭარმაულსა მღრდელს იოანეს... კითხვითა და ბრძანებითა ქართლისა კათალიკოზისა შიოსითა და ყოველთა მცხეთისშვილთა... მას ჟამსა, ოდეს საქმე უნათესაოდ შეიქნა, ჩუენი სახლი და მამული ერთი და გაუყოფელი იყო. ერთისა ქალისა მეტი ჩუენი ნათესავი აღარა დარჩა და იგი შენ მოგეცით და ჩუენად შვილად და მემამულედ შემოგიყუანეთ და დ ა გ ი წ ე რ ე თ ჩუენი მკუიდრი და მოუდევარი მამული, მცხეთას რაც ჩუენსა სახლსა ჰქონებია, მისითა საკელოთი და სამცხეთიშვილოთი, კარსანს, ჯუარს, ფოსუს, ოროტას, კუტალას და ძაგნაკორათა, რაც საყდრისაგან ჩუენ გუქონებია, ხატისწობენა... რაგუარაც მეფეთა და კათალიკოზთაგან სამკჳდროდ გუქონებია"... (ქრონ. II, 253. 1442 წ. საბუთი). მცხეთიშვილმა ედილაშვილმა, როგორც ვხედავთ, თავისი სიძე ჭარმაული იშვილა, თავისი სახლის მკვიდრი მამული საკელო ქონებით, სამცხეთიშვილოთი კანონიერი გზით (კითხვითა და ბრძანებითა ქართლის კათალიკოზისა შიოსითა და ყოველთა მცხეთისშვილთა) მას დაუმკვიდრა, თავისი უფლება ამ საქონებელზე მას გადასცა. და ედილაშვილს უფლების გადაცემის გამოსახატავად საკმაოდ მიაჩნია სთქვას: და დ ა გ ი წ ე რ ე თ ჩუენი მკვიდრი და მოუდევარი მამული და სხვ. ცხადია „დაგიწერეთ" აქ ნიშნავს: კანონიერად მოგეცით, უფლებით მოგეცით, მოგეცით. საყურადღებოა, რომ აქ ამ ტერმინში—დაგიწერეთ—ყველაზე ნაკლებად ჩანს წერილობითი აქტი, მაინც და მაინც ის მეორეხარისხოვანი მნიშვნელობისაა და

ამ გამოთქმის მთავარი მნიშვნელობა კანონიერი გადაცემაა და მხოლოდ მეორადი—წერილობითი გადაცემა.

ჯუანშერი მოგვითხრობს: ვახტანგ გორგასალი და რომის კეისარი მორიგდნენ. მათ შორის სალაპარაკოდ დარჩა ქვეყანა ეგრის წყლიდან ხაზარეთის მდინარემდე. კეისარმა უთხრა ვახტანგს: „ეს საზღუარი არს საბერძნეთისა ალექსანდრობითგან, რომელი ესე აწ შენ მიგიღია მკლავითა ჩუენგან, აწ იგი უკმოგუეც და ოდეს წარიყუანებდე ცოლსა შენსა—ასულსა ჩემსა, მაშინ მოგცე ქუეყანა მისგან“ (და) დაუწერა ქუეყანა ეგრის წყალსა და კლისურას შუა და სხუა აფხაზეთი უკუსცა ვახტანგ ბერძენთა“ (ქ“ცა, 157). აქაც „დაუწერა ქუეყანა“ ნიშნავს: ამ ქვეყანაზედ უფლება გადასცა, ეს ქვეყანა გადასცა. აქაც „დაუწერა“-ში წერილობითი აქტი აღარ იგულისხმება პირველ თავში, არამედ ეს უფლებრივი მომენტი—გადაცემა.

იმავე ავტორის გადმოცემით სპარსეთის მეფემ თავის მოხელეს (რანის ერისთავს) ქართლის ერისთავების გადაბირება დაავალა. შაჰის მოხელემ „უწყო ზრახვად ერისთავთა ქართლისათა და აღუთქვა კეთილი დიდი და დაუწერა ერისთავთა მამულები შვილითი შვილამდე“ (ქ“ცა 189). შაჰის მოხელემ ქართლის ერისთავების მუცლის ტკივილისა იცოდა და რომ ისინი ქართლის მეფისათვის გაეორგულებინა და შაჰის მხარეზე გადაებირებინა, „დაუწერა ერისთავთა მამულები შვილითი შვილამდე“ ე. ი. ერისთაობა (ანუ გარკვეული ქვეყნის სამხედრო და სამოქალაქო მმართველობა) სამემკვიდრეოდ გადასცა, რა თქმა უნდა, შაჰის სახელით, შაჰმა, ამრიგად, ქართლის ერისთავებს მიანიჭა უფლება საერისთაო ქვეყნების საშვილიშვილოდ მფლობელობისა და ჯუანშერი ამ მოვლენას გადმოგვცემს გამოთქმით: დაუწერა. „დაუწერაში“ წერილობითი აქტი აქაც, რა თქმა უნდა, იგულისხმება (სხვა ადგილას შაჰის; და შემდეგ, ბერძენთა მეფის, ამ „დაწერილებს“ „სიგელნი მკვდრობისანი“ ეწოდება—ქ“ცა 192), მაგრამ აქაც, ისე როგორც ზემორე შემთხვევებშიც „დაუწერაში“ ხაზგასმულია ეს მომენტი უფლების გადაცემისა (აქ „დაუწერა“—შეიძლება ნიშნავდეს: აღუთქვა გადაცემა და საამისო პირობა მისცა: რადგან შაჰის მოხელე ქართლის რეალური მფლობელი არ იყო. მისი „დაწერილი“ ამიტომ უფრო ხელწერილია).

შაჰი მოაბადი მისწერს შაროს, ვისი ცოლად გამომიგზავნეო და „შენ თუით განაღამცა საპატიოდ დაგიჭირავ და თქუენს ქუეყანასა მამულობით მორჭმით და აზატად დაგიწერ“[58].

58 ვისრამიანი ალ. ბარამიძის, პ. ინგოროყვას და კ. კეკელიძის რედაქციით და შესავალი წერილით, თბილისი, 1938, გვ. 16.

მოაბადი ხელმწიფეა, ვირო მისი ერთი მთავართაგანია. შაჰს შეეძლო სწორედ თავისი ყმის ქვეყანა მისთვისვე „მამულობით, მორჭმით და აზატად დ ა ე წ ე რ ა“—ესე იგი საშვილიშვილოდ და ყოველგვარი გადასახადებისაგან განთავისუფლებით მისთვის გაეს-აკუთრებია ანუ მიეცა ამ თავისი ყმისათვის ხსენებულ ქვეყანაზე განსაკუთრებული უფლება.

ეს აქტი, რა თქმა უნდა, დაიწერებოდა (მისი სახელი იქნებოდა „სიგელი სამამულოდ ბოძებულობისაჲ“ ან „სიგელი გაშუებულობისაჲ), მაგრამ „დაგიწერ“ ტერმინში უპირველეს ყოვლისა უფლების გადაცემა იგულისხმება.

ბაგრატის სამართალში ეკითხულობთ: „თუ სიძისა შვილებულისა ასრე იცოდით: თუ წიგნითა შესრულიყვნენ და მ ა მ უ ლ ი დ ა ე წ ე რ ო ს, რა გაიყუნენ, საუხუცესო მამულის პატრონსა, სხვა შუა გაუყავით და შეტანილი და დახვედრებული თავთავისი გაიტანონ“ (§ რნ).

სამართლის ამ მუხლში გათვალისწინებულია სწორედ ისეთი შემთხვევა, როგორიც ჩვენ ზემოთ მოვიტანეთ — ედილაძვილის მიერ თავისი სიძის ჭარმაულის ნაშვილეობა და მამულის დაწერა. აქაც, ამრიგად, „მ ა მ უ ლ ი დ ა ე წ ე რ ო ს“ ნიშნავს, რომ სიმამრმა თავისი სახლის მამულზედ მფლობელობის უფლება სიძე-შვილებულს წერილობით („დაწერილით“) გადასცეს[59].

აღბუღას სამართალში წერია: თუ ვის კაცი შეეწყნაროს და თ ა ვ ი დ ა უ წ ე რ ო ს და მან სეფე ქალზედა შეისიძოს და ანუ გლეხისა ასული მისცეს, წასვლასა არ ემართლების (§ ოგ).

თუ თ ა ვ დ ა უ წ ე რ ე ლ მ ა ნ კაცმან შეირთოს ცოლი, (არც) გლეხსა შეესიძოს და ანუ არცა სეფე ქალსა, ვისცა იგი კაცი მართებს, მისი ცოლი და შვილიც მას მართებენ (§ ოდ).

თ ა ვ ი დ ა უ წ ე რ ო ს აქ უპირველეს ყოვლისა ნიშნავს თავის თავზედ უფლება გადასცეს. უფლების ეს-გადაცემა სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს. შეიძლება ერთმა მეორეს „თ ა ვ ი ნ ა ს ყ ი დ ა დ ა უ წ ე რ ო ს“ (ვახტანგი § სჟთ) ან კიდევ სხვა რიგად. რა თქმა უნდა, ყველა ამ შემთხვევაში წერილობითი აქტი იგულისხმება.

ასე რომ დ ა წ ე რ ა, ესაა უფლების გადაცემა წერილობითი აქტის საშუალებით, მაგრამ უმთავრესი აქ მაინც უფლების გადაცემაა. აქედან: თავდაწერილი ყმა ისაა, ვინც თავისი თავი სხვის უფლე-

---

[59] ამ მუხლის აზრს ზოგადად სწორად მიმხვდარა ლექსიკოგრაფი დ. ჩუბინოვი, რომელიც აღბ. (?) 157 დამოწმებით წერს: დავსწერ მამულსა ვისზედმე, переписать имение на имя кого-либо. იხ. ქართულ-რუსული ლექსიკონი, დაწერა.

ბაში წერილობით გადასცა, თავდაუწერელი კი ისაა, ვინც თავისი თავი სხვის უფლებაში წერილობით არ გადასცა (ზეპირ გადაცემას კი კანონი არ იყაბულებს).

ჯუანშერი გადმოგვცემს: სპარსეთის შაჰმა ქართლის მეფე ფარსმანი დასძალა. ფარსმანი ეევედრა ხოსრო შაჰს, „რათა არა მოაოხრონ ეკლესიანი და იპყრას ქართლი სჯულსა ზედა ქრისტესა". შაჰი დაეთანხმა. მაშინ „ფარსმან დაუწერა მას მორჩილებაჲ და მსახურებაჲ და წარვიდა სპარსთა მეფე" (ქც. 187). „დაუწერა მას მორჩილებაჲ და მსახურებაჲ" ნიშნავს აღუთქვა მორჩილება და სამსახური ანუ მისცა მას უფლება მორჩილება-სამსახურის მოთხოვნისა. ასეთივე მნიშვნელობისაა „დაუწერა" ქვემორე მოტანილ მოწმობაშიც.

მატიანე ქართლისაჲ მოგვითხრობს: ბაგრატ მეფემ შამქორი ასაღებად მისწერა. შევიწროებულმა განძის ამირამ. ფადლონმა, ბაგრატ მეფეს „მოუვლინა მოციქული... ითხოვა შენდობა, აღუთქუა დღეთა შინა სიცოცხლისა თჳსისათა მსახურება, გაუკეთა ხარაჯა და დაუწერა თავის თავით ლაშქრობა მტერთა მისთა ზედა". ბაგრატი დაეთანხმა და ფადლონს აუწყა ზავის დასტური. განძის ამირამ კი „აღუსრულა ყოველი იგი სიტყვით აღთქმული საქმით" (ქ-ცა 244).

ფადლონმა ბაგრატს „დაუწერა თავით თვისით ლაშქრობა მტერთა მისთა ზედა" ანუ თავი ბაგრატის ყმად იცნო ე. ი. მისცა მას უფლება ლაშქრობის მოთხოვნისა.

ზემომოტანილ მაგალითებში ჩვენ არ გვაქვს საფუძველი „დაწერა" „დაუწერაში" წერილობითი აქტი არ ვიგულისხმოთ, თუმცა, როგორც უკვე შევნიშნეთ, ეს მხარე ყოველთვის პირველ რიგში როდი იგულისხმება. ხშირად „დაწერაში" უმთავრესად იურიდიული აქტი იგულისხმება. ამიტომ მოულოდნელი არაფერია, თუ ჩვენ ისეთ „დაწერასაც" შევხვდებით, სადაც წერილობითი აქტის გულისხმობა გამორიცხული იქნება.

რეხიმეი, აქიელი ჯინჭარაძის სახლისშვილი, ტრაპიზონიდან წერს თავის დებს (XIX საუკუნის მიწურული): მამიჩემის ნაქონევს ჩემი დებიო „ვოზდაათი წელიწადია—ჰამენ. იგი ეყოს. მეც ბაბაისშვილი ვიყავი. ბაბას ჩემზე ხონდა ოჯახი დაწერილი. დანებმა არაფერი არ მახვენდრა. დანებს გეწყინენ ჩემი მოსულა" (ჩემი საბუთები). „ბაბას ჩემზე ხონდა ოჯახი დაწერილი" ნიშნავს: ბაბას ჩემზე ჰქონდა ოჯახი მოკუთვნებული. მაგრამ დაწერილი აქ წერილობით აქტს არ ნიშნავს: წერილობითი აქტით რომ ჰქონებოდა მიკუთვნებული, მაშინ რეხიმეი სულ სხვა კილოთი ილა-

პარაკებდა... ასე რომ „დაწერა“ აქ ზეპირ მიკუთვნებას ნიშნავს (ასეთი დაწერა-მიკუთვნება არც იურიდიული ძალის მქონეა).

ბურნაშენის ეკლესიის კედლის XII—XIII სს. წარწერაში[60] ვკითხულობთ:

1. ქ. სხლთა ღსთა დ	ანუ ქ. სახელითა ღმრთისაჲთა
2. ა შმდგმლთა წა გრ	და შუამდგომლობითა წმიდისა
3. თა დგწერე მე გრგმ	გიორგისითა დაგიწერე მე
4. ნ. თქვნ ბრნშნლთა მღ	გიორგიმან (sic) თქვენ ბურნაშ-
5. დლთა მოგც ყნაჲ თქრ	ნელთა, მღდელთა. მოგეც ყანაჲ
6. ოანს ჩმგნ ნსყდი	თიქაროანს ჩემგან ნასყიდი

ეს წარწერა, ჩვენ ეფიქრობთ, იმითაა განსაკუთრებით საინტერესო, რომ ტერმინი „დაგიწერეს“ გვერდით აქ იხმარება ტერმინი „მოგეც“ იმავე შინაარსით.

ტერმინი „დაგიწერეს“ განვითარების თვალსაზრისით ეს მაგალითი განსაკუთრებით საინტერესოა. აქ დაჭერილია ტერმინი „დაგიწერეს“ გარდმავალი საფეხური „დაგიწერედან“—„დაგიწერე და მოგეცემდე“, გვიან საბუთებში ჩვეულებრივ რომ გვხვდება.

რეკის (საროს) ციხის წარწერაში[61] ვკითხულობთ:

1. ქე ადნ ძრი და (ო	ქრისტე ადიდენ ძლიერი და უ
2. ძლი მეფთა მეფე	ძლეველი მეფეთა მეფე
3. დტე რლნ რკი მმთ	დემეტრე, რომელმან რეკი მამუ-
	ლობით გკბოძა. მას ჟამსა ესე
4. გბძა მს ჟმსა ესე	
5. ცხე ავაგთ მე ვ	ციხე ავაგეთ. მე ვ—
6. ა ჩედავწერენ	აჩე დავწერენ
7. ე ესნ (?)და მჭას მ	ერისთავთ ერისთავისნი და მაჭას
8. მოლი	მამული

ეს ბუნდოვანი წარწერა ჩვენ ისე გვესმის, რომ ციხის ამგებელმა ვაჩემ, რომელსაც მეფემ მამულობით რეკი უბოძა, დაწერა ე. ი. ციხის შესავალად აქცია (?) ერისთავთ ერისთავისა და მაჭას მამული.

კორიდეთის ბერძნული ოთხთავის ქართულ მინაწერებში ორი მეტად საინტერესო დაწერილი მოიპოვება[62].

---

60 წარწერა გადმოღებულია ჩემს მიერ 1933 წელს ჯავახეთში ს. ჯიჭიასთან ერთად მოგზაურობისას.

61 იქვე (სოფელ საროს).

62 ИАН, VI Серия, 1911, стр. 230. 235.

„ქ. სახელითა ღთისათა და შუამდგომლობითა წმიდისა ღმრთისმშობლისათა მე ივანე მათეშელმან დ ა გ ი წ ე რ ე მიქაილ ხუცესსა კორიკეს ძესა, მას ჟამსა, ოდეს ფარსმან გამგებლად იყო, შ ო ღ ე ლ ე თ ი, ივანწმინდასა თანა რომელ მიწა იყო, მისი ნახევარი ნიგოზითა და ვიყიდე. გიბედნიერენ ღმერთმან. ამას დაწერილსა მოწამენი არიან ვაშანი და იანესა კორიდელი და თადეო-ი და ნადირბერი და პეტრე და სრულად კორიდეთნი. დაიწერა ნადირის ძის ჭელითა და ვინც ესე დაწერილი შალოს, ათი ბოტინატი ზღოს და ესე გაგებული ჰასრევე იყოს“[63].

იქვე მეორე საბუთი.

„ქ. სახელითა ღმრთისაჲთა ესე დაწერილი მე თიხჩე დ ა გ ი წ ე რ ე შენ იოანე და გიორგის ირემეთისა ჩემისა კერძისა ნახევარი; ღმერთმან გიბედნიერენ თქუენ და თქუენთა მომავალთა. დაიწერა გამგებლობასა იოანე ფჩუშთისსა, ტანოტრობასა. კორიდელისასა. დორჩელი იოანე ტხრი, თავგოგისძე პეტრე და სრულად კორიდეთი. და ვინც ესე დაწერილი შალოს ლბ დრაჰკანი ზღოს და ესე არცა ეგრე იშალოს“[64].

ორივე ამ შესანიშნავ ნ ა ს ყ ი დ ო ბ ი ს წ ი გ ნ შ ი „დაგიწერე“ ჰგულისხმობს როგორც უფლების გაცემას, აგრეთვე, საამისო წერილობით აქტსაც[65]. საფარის წარწერა (XIV ს.):

„...მე იოანე, სულ კურთხეულისა ღავასა შვილმან, დაუპირველმან, სრულსა ცნობასა ზედა მყოფელმან მ ო ვ ა ხ ს ე ნ ე წმინდასა საბას, პატრონსა ციხისჯვარელსა მამული ჩემი დაუკლებლად ციხითა, ეკლესიითა, წყლითა, ტყითა, ჭალითა, სეფეთ ყანითა, ვენაკითა, წისქვილითა ყოვლისფრითა. არავინაა მცილებელი. მამასა ჩემსაცა დ ა ე წ ე რ ა. მე დიდი მეჭირა, რამეთუ ვითა ზებედეს ზითვიცასაგან კიდე: კ: თავნი მიწანი არ დამაკლენ პატრონმა მონასტერმან მონაწილემან. ვინცა მამული ჩემი წმიდასა საბას დააკლოს, ჩემთამცა ბრალ-

---

[63] ძეგლის გამომცემელი აკად. ნ. მარი რუსულად თარგმნის ამ საბუთს: Христе! Во имя Бога ходатайством святой Богородицы я, Иван Матешели, п о ж а л о в а л п р и г р а м о т е (букв. написал) тебе, священику Михаилу, сыну Кунрика, в то время, когда управляющим был Парсман, половину земли Шогелети, которая находилась близ (церкви) святого Иоанна, с орешником купил я ее...

[64] აკად. ნ. მ ა რ ი ს თარგმანი: Христе! Во имя Бога я, Тихчей. эту грамоту написал (значит: „при сей грамоте пожаловал“) тебе Иоанну, и Георгию, половину моей доли (от вотчины) Иремети. Бог да даст ее на частье вам и вашим потомкам. Написано в правление Иоанна П-чуэта: в танутерство корида...

[65] აკად. ნ. მ ა რ ი ს თარგმანი, თუ იქ пожаловал-ის ნაცვლად передал-ს ჩავსვამთ, სწორია და გონებამახვილური: (ან, შეიძლება უფრო სწორი იყოს,

თა ზღვავს, საბას ორგულობასა შიგან მიჰავლინენ სულნი იმისი. მეტი რაცა დ ა წ ე რ ი ლ ო ბ ა ს ა მეტობს ზედა, ჩემ ზემო რომელ კართა ზედა დამიწერია, აღაპი გაგვიკვეთეს საუკუნოდ, ვინ შეცვალოს, კრულმცა არს ღთისა პირითა"[66].

ჩვენთვის საინტერესო ადგილის „დაეწერა"-ს გამომცემლისეული თარგმანი: и мой отец написал, რა თქმა უნდა, ჩვენ ვეღარ დაგვაკმაყოფილებს: „დაეწერა" ნაცვალია, „მოვაჯსენეს", იოანე რომ წერს ზემორე[67].

продал) при грамоте „დაწერილი", ამის მიხედვით, არის უფლების გადაცემის დამმოწმებელი ნიშანი. თითქო ეს გარემოება ამ ჩვენ საბუთებში დაბერილია. „ვინც ესე დაწერილი შალის, ათი ბოტინტი ზღის, და ესე გაგებული ჰასრვეე იყოს". აქ ლაპარაკია, თითქო, არა საბუთის მექანიკურ შლაზე, არამედ თვით ამ საბუთით შექმნილი ურთიერთობის (აქტის) დარღვევაზე..

[66] **Арх. Экск. I, 85.**

[67] მელქისედეკ ქართლის კათალიკოზი თავის ცნობილს „დაწერილში" ორჯერ ხმარობს ტერმინ „დაწერას": მცხეთის ტაძარიო, ამბობს კ^ზი, „შეეამკეე ყოელითა სამკაულობითა ოქროჲთა და ვეცხლითა, თუალითა და მარგალიტითა და საღრთოთა წიგნთა დაწერითა"... (საქ. მუზ. მოამბე VI, 1931, გვ. 288). შემდეგ, მელქისედეკ კათალიკოზი სახელდებით ჩამოთვლის იმ ნივთებს, რომლითაც მან ტაძარი „შეამკო", თითოეულად ასახელებს წიგნებსაც და ბოლოს ამბობს: „ესე წიგნები, რომელ მე დამიწერიან, ჯუმლად არს თავი კე" (იქვე 290).

აკად. ჯ. კ ე კ ე ლ ი ძ ე შენიშნავს: მცხეთის სვეტიცხოველის ტაძარი მელქისედეკს „შეუმკია", როგორც თვითონ ამბობს, სხვათა შორის, „საღმრთოთა წიგნთა დაწერითა", ე. ი. შეუწირავს მისთვის წიგნებიც. სიტყვა „დაწერითა" აქ არის იურიდიული ტერმინი, ის აღნიშნავს შეწირულების წერლობით დადასტურებას, და არა იმას, თითქოს ყველა ის წიგნი, რომელიც ანდერძის სიაშია აღნიშნული, მელქისედეკს თავის ხელით დაეწეროს (ეს ფიზიკურადაც შეუძლებელი იქნებოდა); ეს იქიდანაც ჩანს, რომ ერთ-ერთი შეწირული წიგნის შესახებ მელქისედეკი ამბობს: „დედის ძმასა ჩემსა ანტონის ებოძა" ჩემთვის—, მაშასადამე, ეს წიგნი მელქისედეკის გადაწერილი ვერ იქნებოდა"...

„ესე წიგნები, რომელ მე დამიწერიან, ჯუმლად არს თავი კე", მაშასადამე, მელქისედეკს შეუწირავს სვეტიცხოველისათვის 25 თავი წიგნი (ლიტერატურის მატიანე, წიგნი 3-4, 1942, გვ. 326—327).

პატ. ავტორის დაკვირვება იმ მხრით არის სწორი, რომ გამონათქვამებში: „საღმრთოთა წიგნთა დაწერითა" და „წიგნები, რომელ მე დამიწერიან" მელქისედეკი არ ჰგულისხმობდა, თითქო ეს წიგნები მან საკუთარი ხელით დაწერა (გადაწერა), მაგრამ ამ დაკვირვების დასასაბუთებლად საჭიროა სხვა არგუმენტები. საჭიროა დასაბუთდეს, რომ გამონათქვამებში: „საღმრთოთა წიგნთა დაწერითა" და „წიგნები, რომელ მე დამიწერიან" მელქისედეკი არც იმას ჰგულისხმობდა, თითქო მან ეს წიგნები სხვებს დ ა ა წ ე რ ი ნ ა: „დაწერითა"—„დამიწერიან"-ში, კათალიკოზს შეეძლო სამცხეთოდ წიგნების გადაწერის საქმის მისეული ორგანიზაცია—ინიციატივა და მატერიალური ხარჯი—ეგულისხმა და ეს უფრო დასაშვები და შესაძლებელია, ვიდრე საკუთარი ხელით გადაწერა და ასეთი დაშვებისას „ფიზიკურად შეუძლებელობის" არგუმენტი, პატ. მკვლევარს რომ აქვს წამოყენებული, თავისთავად მოიხსნებოდა.

მოტანილ მაგალითში, ამრიგად, „დაწერა“ უპირველეს ყოვლისა ნიშნავს ერთის მიერ მეორესათვის უ ფ ლ ე ბ ი ს გ ა დ ა ც ე მ ა ს წ ე რ ი ლ ო ბ ი თ. და „დაწერილი“, მაშასადამე, მისი სპეციალური მნიშვნელობით ასეთივე შინაარსის იურიდიული საბუთია. ყველა სხვა მნიშვნელობანი (აღთქმა ზეპირი თუ წერილობითი, შეწირვა, გადაცემა-მოხსენება) მეორადია და შემდეგ განვითარებულია.

1. „დაგიწერე... შოღელეთი“.

მეორე არგუმენტი—ბიძისაგან წიგნი, ავტორმა რომ შეიტანა მის მიერ „დაწერილ“ წიგნებში—ძირითადია, მაგრამ მას შემაგრება სჭირია.

როგორც ამას პ-ლი მკვლევარიც შენიშნავს, მელქისედეკის დაწერილში „სია ამ წიგნებისა პირველნდელი სახით არ შენახულა“. ასეთ პირობებში საჭიროა არგუმენტაციის სიმძიმე გადავიტანოთ იმ მომენტზე, რომ წინადადებაში: „ესე წიგნები, რომელ მე დამიწერიან ჯუმლად არს თავი კე“—მელქისედეკ კათალიკოზი უ ც ი ლ ე ბ ლ ა ვ ჰ გ უ ლ ი ს ხ მ ო ბ დ ა ანდრია სალოსის ცხოვრებას, რომელიც მისთვის ებოძა „დედის ძმასა ანტონის“.

ერთის შეხედვით საქმე თითქო მართლაც აგრე უნდა იყოს.

კ-ზი სახელდებით ჩამოთვლის წიგნებს, რომელნიც მან სვეტიცხოველს შესძინა. ამათ შორის მეთერთმეტე ცალად დასახელებულია: „დედისა ძმასა ჩემსა ანტონის ებოძა ჩემდა ანდრია სალოსი [ს] ცხო[რებაჲ] წიგნი ა“ და სიის დასასრულს კ-ზი შეაჯამებს დასახელებულ წიგნებს: „ესე წიგნები, რომელ მე დამიწერიან, ჯუმლად არს თავი კე“. უცილობელია, თითქო, რომ „ესე წიგნებ“-ში ანდრია სალოსის ცხორებაც იგულისხმება. და რადგან ეს წიგნი მელქისედეკ კათალიკოზს არც საკუთარი ხელით დაუწერია და არც დაუწერინებია, ჩვენ თითქო უდავო საბუთი გვაქვს დავასკვნათ, რომ გამონათქვამში: „ესე წიგნები, რომელ მე დამიწერიან“, კ-ზი ვერ იგულისხმებდა ვერც საკუთარი ხელით დაწერას და ვერც დაწერინებას; რომ, მაშასადამე, „დამიწერიან“ იურიდიული ტერმინია და „აღნიშნავს შეწირულების წერილობით დადასტურებას“. ვამბობთ „თითქო“, რადგან ჩვენ მთლად დარწმუნებული მაინც ვერა ვართ, რომ კ-ზი „დაწერითა“ და „დამიწერიან“-ში საკუთარ ინიციატივას არ გულისხმობდა ამ წიგნების დაწერის საქმეში (საკათალიკოზო სამწერლოში ან მისი დაკვეთით და საფასის გაღებით დაწერა). უპირველეს ყოვლისა ეჭვის აღმძვრელია ის გარემოება, რომ მელქისედეკი ამ გამონათქვამებს: „დაწერითა“ და „დამიწერიან“ მხოლოდ წიგნების მიმართ ხმარობს. მან ხომ ასევე შესძინა სვეტიცხოველს ხატები, შესამოსელი, სოფლები და არც ერთის მიმართ არ ამბობს, რომ მან ისინი „დაწერა“. თუ სხვა არა (და რატომ არა?), სოფლები, მელქისედეკმა რომ მოიგო სვეტიცხოველისათვის, წიგნებზე ნაკლებ არ საჭიროებდნენ „შეწირულების წერილობით დადასტურებას“. ეკლესია „შევამკევ“, საკურთხეველი „შეეჭედე“, კარნი და კანკელნი „მოეჭედენ“, ძელი ცხორებისანი „შეეკმნენ“, წმიდაჲ სამარტჳლოჲ „შეეკმენ“, ხატი „დაუსვენე“, წიგნები „დამიწერიან“, „ოქსინონი დავაკიდენ“, მონასტრები, სოფლები და უბანნი „მომიგიან“, სოფელნი „ავაშენენ“, სახლნი „დავდგენ“. ესაა ის გამონათქვამები, რომლითაც მელქისედეკი თავის ნაქმარს აღნიშნავს. თითქოს საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ დ ა მ ი წ ე რ ი ა ნ არ ნიშნავს სხვა რამეს, თუ არ წ ი გ ნ ე ბ ი ს დ ა წ ე რ ი ნ ებ ა ს. მელქისედეკს თავისი ხელით არც კანკელი მოუჭედია, არც სამარტჳლო შეუქმნია, არც სოფელნი აუშენებია და არც სახლები დაუდგამს. როგორც ვიცით, მელქისედეკმა მრავალი რამ „შექმნა“, „მო-

2. „დ ა გ ი წ ე რ ე მ̄ (სახელი) ბურნაშნელთა მღდელთა, მ ო-
გ ე ც ყანაჲ“[68].

აქვე მოვიტანთ ერთ საბუთსაც ჩვენი საქმისათვის განსაკუთრებით საინტერესოს:

3. „სახელითა ღმრთისაჲთა მე ერისთავთერისთავმან გიორგი
დ ა უ წ ე რ ე და მ ი ვ ე ც ამის ეკლესი[ი]სა ნახევარი სავანისა სო-
ფელსა. თანადამიდგეს, ოდეს შენებაჲ დავიწყეთ, მუშაობითა, ფა-
სათა და ყოვლითა ფერითა. ღმერთმან უბედნიერენ უკუნისამდე.
ეინ უქციოს, ჰრისხავსმცა ღმერთი და წმიდაჲ გიორგი“[69].

მოტანილი სამი მაგალითი „დაწერის“ განვითარებისათვის საყურადღებოა. სამივე მაგალითი ამ იურიდიული ცნების განვითარების ძველი საფეხურია, როცა მარტივი „დაგიწერე“ (ესა და ეს) სრულიად საკმაო იყო იურიდიული უფლების გადაცემის გამოსახატავად, როცა ჯერ კიდევ არ შემუშავებულიყო „დაგიწერე დაწერილი“,

---

გო“, ააშენა (ხატები, საღვდელთმსახურო ნივთები, სამღვდელთმოძღვრო შესამოსელი, მონასტერნი და სოფლები) და არც ერთი ამათგანის მიმართ არ წერს, რომ მან ის სვეტიცხოველს შ ე წ ი რ ა. ჩანს, თავის ამ ნ ა ქ მ ა რ ს მელქისედეკ კ̄ზი შემწირველის თვალით არ უყურებს, ეს თავისი ნაქმარი მას შეწირულობად არ მიაჩნია. მაშასადამე წიგნების „დაწერაც“, რომელსაც ამ თავის ნაქმართა რიგში ჰგულისხმობს კ̄ზი, არ შ ე ი ძ ლ ე ბ ა ნ ი შ ნ ა ვ დ ე ს აქ „შ ე წ ი რ უ ლ ე ბ ი ს წ ე რ ი ლ ო ბ ი თ დ ა დ ა ს ტ ურ ე ბ ა ს“.

კიდევ ერთი მოსაზრებაც: მელქისედეკს წესად აქვს აღნიშნოს, როგორც ამას მოითხოვს „დაწერილის“ იურიდიული ფორმა, სადაც საჭიროა, თავისი ნაქმარის სახეობა-წარმოშობა (ყიდულობს, მოიგებს, უბოძებენ და სხვ.), ხოლო იქ, სადაც ეს აღნიშნული არაა, ასეთი რამ უცილობლად იგულისხმება. როგორია ამ მხრივ საქმე წიგნების მიმართ? ოცდახუთიდან მხოლოდ ერთი წიგნის შესახებ აქვს აღნიშნული მელქისედეკს, რომ ეს წიგნი მისთვის „დედისძმასა... ანტონის ებოძა“. ბუნებრივად გვეჩვენება გამოთქმაში: „ესე წიგნები, რომელ მე დამიწერიან“ დაწერა ისეთივე სახეობა—წარმოშობად გაიგოთ კ̄ზის ნაქმარისა, როგორც „მონასტერნი და სოფელნი, რომელ მე მ ო მ ი გ ი ა ნ ამის წმიდისა დედაქალაქისათვის“ (იქვე 290).

ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ გამონათქვამებით „საღმრთოთა წიგნთა დაწერითა“ და „წიგნები, რომელ მე დამიწერიან“—მელქისედეკ კათალიკოზი აღნიშნავს თავის საქმიანობას შესაქმნელად წიგნებისა, რომლითაც მან სვეტიცხოველი შეამკო (იურიდიული დოკუმენტის დადებით შემკობა გაუგებარია). „დამიწერიან“, როგორც ჩანს, ფართე შინაარსითაც იხმარებოდა და აღნიშნავდა როგორც საკუთარი ხელით დაწერას ან კიდევ საკუთარი ფასით დაწერინებას, ისე სხვა გზითაც (ბოძების თუ სხვა საშუალებით) ეკლესიისათვის შეძენასაც (ისევე როგორც ტერმინში „მომიგიან“ მელქისედეკი ჰგულისხმობს ნასყიდს, მოგებულს (საკუთრივ), ბოძებულს, შეპყრობილს თუ აშენებულ სოფლებს.

[68] იხ. ზემორე.

[69] წარწერა სავანის ეკლესიის აღმოს. ფასადზე. ეს წარწერა, გაუშიფრავი, მომაწოდა დოც. ვახტანგ ბერიძემ. წაკითხვა ჩემია, ის რამდენადმე განსხვავდება სხვათა წაკითხვისაგან.

რომელშიაც ეს იურიდიული აქტი ზედმიწევნით მოთხრობილი იქნებოდა[70].

მაგრამ აღნიშნულ საფეხურზედაც განვითარების თანმიმდევრობა მოჩანს. უძველესად გამოიყურება პირველი მაგალითი (რა თქმა უნდა, იგულისხმება, რომ საბუთის შექმნის თარიღი აქ საყურადღებო არაა): „დაგიწერეს“ აქ ჯერ კიდევ არ დართვია „მოგეცი“, „მოგაჯსენე“ და სხვა ასეთი. ყველაფერს ჯერ კიდევ თვით ამ ტერმინში იგულისხმება.

მეორე მაგალითი, როგორც ზემოთაც შევნიშნეთ, გარდამავალია პირველიდან მესამისაკენ. ტერმინი „მოგეცი“ უკვე გაჩენილა, მაგრამ ის ჯერ კიდევ „დაგიწერეს“ საბოლოოდ არ გამოჰყოფია. აქ „დაგიწერეში“ ჯერ კიდევ იგულისხმება მომენტი „მოგეცი“, მიუხედავად იმისა, რომ ის ცალკეა აღნიშნული. მესამე მაგალითი განვითარების თვალსაზრისით უგვიანესია. „დაუწერე“ და „მივეცი“ აქ ურთიერთისაგან საბოლოოდ გაყოფილია და ისინი იურიდიული აქტის ორ სხვადასხვა აუცილებელ მომენტადაა ნაგულისხმევი.

ამრიგად, ჩვენი მოსაზრება, მოტანილ მაგალითებზე დაკვირვებით მიღებული, შემდეგია: ის გარემოება, რომ „დაგიწერეს“ ზოგჯერ არ ახლავს „მოგეცი“, ხოლო ზოგჯერ კი—განსაკუთრებით საინტერესოა. მომენტი—„მოგეცი“—შემდეგ განვითარებულია. თავდაპირველად, როგორც ჩანს, „დაგიწერე“, სრულიად საკმაო იყო იმის გამოსახატავად, რომ ესა თუ ის ქონება ან უფლება ამ ქონებაზე ამა თუ იმ პირმა გადასცა მეორე პირს. ეს კი გვაფიქრებინებს, რომ „დაწერა“ თავდაპირველად ისეთი მოქმედება იყო (დაწერა იმ დროს ისეთი სახით წარმოებდა), რომელიც უფლების გადაცემასთან ერთად ნივთის მატერიალურ გადაცემასაც გულისხმობდა...

მხოლოდ გვიან და თანდათან, აქტის გართულებისდა შესაბამისად, შემუშავდება ამ ორი მომენტის—დაწერის და გადაცემის ურთიერთისაგან გათიშვა... აქვე არა ნაკლებ მნიშვნელობისად გვეჩვენება ის დაკვირვებაც, რომ „დაწერის“ აქტებში იმ ძველ დროს ტერმინი „დაწერილი“ არ იხმარება[71].

საქმე გვაქვს, ვფიქრობთ, უძველეს მოვლენასთან, როცა „დაწერილის“ ფორმა შემუშავების პროცესში იყო. „დაწერა“ გაჩნდა, მაშასადამე გაჩნდა „დაწერილიც“ (პრიმიტიული), მაგრამ ფორმა-

---

[70] „დაწერილის“ ისტორიულ-დიპლომატიკური შესწავლა მნიშვნელოვან შუქს შეიტანდა მთელ ამ საკითხში.

[71] ჩვენ, რა თქმა უნდა, არ ვფიქრობთ, რომ ეს „ძველი დრო“ ჩვენ მიერ მოტანილი „უდაწერილო“ საბუთებით დადგენილი თარიღებია. ტერმინი „დაწერი-

ლურ იურიდიულ დოკუმენტად „დაწერილი“ მხოლოდ გვიან იქცა. ამიტომაც „დაწერის“ აქტებში ტერმინი „დაწერილი“ ვვიან უნდა წარმოჩენილიყო,—განვითარებული იურიდიული აზროვნების პირობებში. ასე რომ „დაგიწერე დაწერილი“ დიდი ტეხილია, უკანასკნელი საფეხურია „დაგიწერეს“ განვითარებაში.

დაწერილი დაგიწერე...

დაწერილი დაგიწერე და მოგაჯსენე...

სიგელი დაგიწერე და მოგაჯსენე...

წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მოგაჯსენეთ... ნასყიდობის (თუ სხვა), წიგნი დაგიწერეთ და მოგაჯსენეთ... ნასყიდობის (თუ სხვა), წიგნი დაგიწერინეთ და მოგაჯსენეთ (ან მოგეცით)... ნასყიდობის (თუ სხვა), წიგნი (ან წიგნი და სიგელი, ან წიგნი და პირი, ან წიგნი და ნიშანი...) მოგეცეთ, (ან გიბოძეთ ან მოგაჯსენეთ)...

ასეთი იყო ქართული იურიდიული საბუთის ამ ნაწილის განვითარების გზა:

„დაწერილი“ შეცვალა „სიგელმა“ და „წიგნმა“, მომენტი „დაგიწერე“ გაქრა (მაინც და მაინც ის უმნიშვნელო გახდა); „წიგნის“ (თუ სიგლის) სახეობის აღმნიშვნელი მომენტი გაჩნდა (ნასყიდობის, წყალობის და სხვ.); უცვლელი დარჩა მომენტი „მოგაჯსენე“ (შეცვალა მისმა იდენტურმა „მოგეცით“ ან „გიბოძეთ“).

„დაწერილი“ რომ „სიგელმა“ შეცვალა, ჩვენ ამაზე უკვე ვისაუბრეთ, „წიგნის“ შესახებ კი საუბარი ქვემოთ გვექნება.

ამხელად ჩვენი ყურადღების საგანია „დაგიწერე“ მომენტის გაქრობა.

უძველეს დროს, როგორც ზემოთ ვვარაუდობდით, „დაგიწერე“ ქართული იურიდიული საბუთის უმთავრესი მომენტი იყო და მის გარეშე საბუთი არც წარმოიდგინებოდა. ჩვენ ზემოთვე აღვნიშნავდით, რომ „დაგიწერე“ მომენტის განვითარებაში „დაგიწერე დაწერილი“ ამ განვითარების უკანასკნელი საფეხურია. ამიერიდან მთავარია „დაწერილი“, რომელიც შეიცავს შესაქმების იურიდიულ შინაარსს. „დაგიწერე“ კი ამიერიდან აღნიშნავს მხოლოდ წერა-მოქმედებას და არა უფლების გადაცემას (ძველად ორივე ეს მომენტი ურთიერთისაგან განუყრელი იყო და „დაგიწერე“ აღნიშნავდა როგორც წერის აქტს, ისე უფლების გადაცემის აქტსაც. ეხლა ეს უკანასკნელი „დაწერილის“ შინაარსს შეადგენს). ამავე დროს „დაგიწერეში“ შესაქმების იურიდიული სუბიექტის პირადი ნოქმედებაა

ლის“ არსებობა ჩვენ გაცილებით უფრო ადრე გვეგულება. ეს არის მხოლოდ, რომ ააქ აღნიშნული საბუთები, ჩვენ გვგონია, „დაწერილის“ ძველის ძველ ფორმებს იცავს.

ხაზგასმული. ეს გარემოება (პირადი მოქმედება) გადმონაშთი ჩანს ძველი ვითარებისა, როცა „დაწერილს“ მხოლოდ ის „დაუწერდა“, ვინც „მოაჯსენებდა“ კიდეც და სხვა პირს სხვის მაგივრად დაწერა არც შეეძლო. რამდენადაც „დაწერაში“ იმ პირობითი ნიშნის (თარჯი, ჭდე, ...ჭელი, ჯვარი...) გამოსახვა იგულისხმებოდა, რომლითაც ერთი პირი (დამწერი) მეორე პირს რაიმე უფლებას გადასცემდა. აქედან, საფიქრებელია, მომდინარეობს წესი დაწერილის წერისა დოკუმენტის სუბიექტის მიერ და, შემდეგ, წესი იურიდიული დოკუმენტის პირველი პირით თხრობისა.

დავით აღმაშენებლის ანდერძი ამ მხრით ფრიად საინტერესოა. მეფე თითქო გახაზავს იმ წესს, რომ იურიდიულ საბუთს ამ საბუთის სუბიექტი უნდა წერდეს და ანდერძს საკუთარი ხელით იწყებს: „ნებითა ღმრთისაჲთა მე დავითს მიწყიეს“. ასევე საკუთარი ჭელით ასრულებს მეფე ამ საბუთს: „სიმტკიცეო ყოველთაო, ღმერთო, მტკიცე მტკიცედ აქციე“.

„დაგიწერე დაწერილში“, ამრიგად, მომენტი „დაგიწერე“ გადასული მოვლენის ისტორიული გადმონაშთი ჩანს. რეალურად ის ეხლა მხოლოდ საბუთის ხელრთულობას შეეფერება. თავდაპირველად „დაწერილი“, ჩვენ ასე ვფიქრობთ, მხოლოდ ამ „ხელრთულობისგან“ შედგებოდა და სხვა აქ არც არაფერი იყო. ასეთ „დაწერილს“, რა თქმა უნდა, სხვა ვერ „დასწერდა“, თუ არ მიმცემი და ვერც ვინ მისცემდა, თუ თითონ არ დასწერდა: დაწერა და მიცემა ერთსა და იმავე აქტში სახიერდებოდა.

დრო გადიოდა. ადამიანთა შორის იურიდიული შესაქმებანი რთული და მრავალსახოვანი ხდებოდა. თანდათან შემოდის წესად ამ აქტის (დაწერის) შინაარსის წერილობით აღნიშვნა („დაწერილი“). ჩნდებიან ასეთი საქმის სპეციალისტები (მწიგნობრები). „დაგიწერე“ ამიერიდან გამოხატავს მწიგნობრის ჭელით „მოჯსენებას“ (შდრ. „სიმტკიცისათვის სეფისა მწიგნობრისა იოანეს მაჩხოიტისძის ჭელითა მომიჯსენებია“ შ. მღ. საბ. 67). „დაწერა“ და „მიცემა“ ამიერიდან ერთსა და იმავე აქტში არ სახიერდება. დაწერა ამიერიდან საქმის ტექნიკური მხარეა (საკმაოა, რომ „დაწერილი“ იურიდიულად სწორად იყოს შედგენილი დამტკიცება-საჯერობის ჭელის ჩართვით და სხვა აუცილებელი მომენტით (და იურიდიული აქტის სიმძიმის ცენტრი ამ დაწერილის მიცემაშია[72]).

---

[72] „დაწერის“ შეცვლა „მიცემით“ ჯერ ისევ ოთხთავის ქართულ თარგმანში მოგვეპოვება. მარკოზ 10,4. „...მოსე ბრძანა წიგნი განტევებისაჲ მიცემად და გან-

ეს გარემოება, შეიძლება ვიფიქროთ, ერთ-ერთი საფუძველი იყო იმისა, რომ „დაწერილი“ შეცვალა „წიგნმა“: მას შემდეგ რაც „დაწერილში“ „დაწერის“ სპეციფიკური შინაარსი გადაშენდა, — იმიტომ რომ იურიდიული აქტის — „დაწერილის“ შინაარსი მეტის მეტად გაფართოვდა, — ხოლო ტექნიკური დაწერის მომენტი მეორე ხარისხოვანი გახდა, - შესაძლებელი შეიქნა დიპლომატიკური ტერმინი „დაწერილის“ ადგილი დაეჭირა „წიგნს“, რომელიც „ყველასი და ყოველგვარი საბუთების საერთო სახელი იყო“. ამ ნიადაგზე, გასაგებია, „დაგიწერე“ („დაგიწერინე“) მომენტი გაზედმეტდა. საბუთის ტექნიკური დაწერა ამიერიდან ბუნებრივად იგულისხმებოდა იმ „წიგნში“ (მისი სახეობის დართვით: ნასყიდობის, წყალობის თუ სხვ.), რომელსაც ერთი პირი მეორეს „მოაჯსენებდა“, „მისცემდა“, „უბოძებდა“ „დაუდებდა“ თუ სხვ. ასე და ამრიგად გაქრა ქართული იურიდიული დოკუმენტის ოდესღაც უმთავრესი მომენტის აღმნიშვნელი ეს ტერმინი.

აკად. ივ. ჯავახიშვილს, როგორც ერთხელ უკვე ვუჩვენეთ, „დაწერილის“ შესახებ გამოთქმული აქვს მოსაზრება, „რომ მე IX საუკუნეში საბუთებს ჯერ კიდევ „სიგელი“ არ რქმევიათ, არამედ „დაწერილი“ და მხოლოდ მე-X-ე საუკუნის მეორე მეოთხედითგან უნდა იყოს ტერმინი „სიგელი“ ხმარებაში შემოსული“ (დიპ. 26). ამრიგად, პ-ლი მკვლევრის აზრით, „დაწერილი“, როგორც დიპლომატიკური ტერმინი, წინ უსწრებს სიგელს: IX საუკუნეში, როცა ჯერ კიდევ „სიგელი“ არ იყო შემოსული, საბუთებს „დაწერილი“ ეწოდებოდა. ამავე დროს ივ. ჯავახიშვილს აღნიშნული აქვს, რომ მას შემდეგ, რაც მეფეთა მიერ ნაბოძებ საბუთებს „სიგელი“ ეწოდა, ტერმინი „დაწერილი“ „კერძო პირთა“ მიერ გაცემული საბუთების აღმნიშვნელად დარჩა (იქვე 29).

მკვლევრის ამ მოსაზრებათა შეწყობით ჩვენ მივიღებთ: IX საუკუნეში საბუთების საზოგადო სახელი იყო „დაწერილი“; X საუკუნის მეორე მეოთხედიდან „დაწერილთა“ ერთი ჯგუფის (=მეფეთაგან ბოძებულ საბუთებს) ზოგად სახელად „სიგელი“ შემოვიდა. დანარჩენი საბუთების ზოგად სახელად ძველებურადვე „დაწერილი“ დარჩა.

ტევებად“. მარკოზ 10,4 „...მოსე ბრძანა წიგნი განსატევებელი დაწერად და განტევებად“. ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია გამოსცა აკაკი შანიძემ. შესატყვისი ბერძნული ტექსტი იძლევა: Μωϋσῆς επέτρεψεν βιβλίον Μωυσῆς ἐπέτρεψε βιβλίον ἀποστασίου γράψαι, καὶ ἀπολῦσαι.

ჩვენ აქვე ერთხელ კიდევ მოვიტანთ ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებას საბუთების საერთო სახელის—„წიგნის“ შესახებ. „თუ „სიგელი“ მე X ს-თგან და „გუჯარი“ XV ს-ის პირველი ნახევრის დამლევითგან მეფეთა მიერ ბოძებული საბუთების აღსანიშნავად იხმარებოდა და ამავე დროს „დაწერილი“ დანარჩენ პირთა და დაწესებულებათაგან შედგენილს საბუთს ერქვა, „წიგნი“ ყველასი და ყოველგვარი საბუთების საერთო სახელი იყო“[73].

მკვლევარი არ აღნიშნავს ნიშანდობლივ, თუ როდის იყო „წიგნი“ „ყველასი და ყოველგვარი საბუთების საერთო სახელი“. კონტექსტის მიხედვით[74], თითქო X საუკუნიდან და შემდეგ, როცა „სიგელი“ (გუჯარი) და „დაწერილი“ საბუთების გარკვეული ჯგუფების საერთო სახელებად იხმარებოდნენ. მაგრამ ამ თავისი დებულების დამამტკიცებელი მაგალითები ავტორს ისეთი ხასიათისა მოაქვს[75], რომ საფუძვლიანად გამოიყურება დასკვნა: ავტორის აზრით „წიგნი“ „ყველასი და ყოველგვარი საბუთების საერთო სახელი იყო“ უძველესი დროიდანვე, ვიდრე XIX საუკუნემდის. მაგრამ ასეთ დასკვნას გარკვევით ეწინააღმდეგება ავტორისავე განცხადება, რომ მისი ეს გამოკვლევა „მხოლოდ სრულიადი საქართველოს მეფეთა სიგელთმცოდნეობას ეხება“ (გვ. 53). ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ განსვ. მკვლევრის მსჯელობა აქ შემდეგი იყო: „წიგნი“ საბუთების საერთო სახელად იხმარებოდა უძველეს დროსვე; ამავე შინაარსით ეს ტერმინი გვიანაც იხმარებოდა; მაშასადამე, ესევე ტერმინი ასეთივე შინაარსით იხმარებოდა X — XIV საუკუნეებში, როცა საბუთთა ერთი ჯგუფის საზოგადო სახელი „დაწერილი“ იყო, ხოლო მეორესი—„სიგელი“.

ამრიგად, ივ. ჯავახიშვილის აზრით, „წიგნი“ „სიგელისა“ და „დაწერილის“ მიმართ გვაროვნული ცნებაა, „სიგელი“ და „დაწერილი“ „წიგნის“ სახეობანია. ამავე დროს ავტორი გულისხმობს თითქო, თუ ჩვენ სწორად გვესმის მისი, რომ „დაწერილი“ და „სიგელი“ თანაბარი ფასის ცნებებია.

---

73 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სიგელთმცოდნეობა ანუ დიპლომატიკა, 30.

74 მოტანილი ამონაწერის სხვა დებულებათა მართებულობა ჩვენ ამჯამად არ გვაინტერესებს.

75 გვ. 30—დაბადების ქართულ თარგმანიდან, XI ს. დაწერილი ძეგლიდან, გვ. 36,—ი-ე და ეფთვმეს ცხოვრებიდან, გვ. 12, XII ს.-ის აღაპიდან, გვ. 42—. მეექვსე მსოფლიო კრების სჯულის კანონის ეფთვმესეულ თარგმანიდან, გვ. 44, 47, და 51, სამი მაგ. XV საუკუნის საბუთებიდან, გვ. 43, 45, 47, 50—ხუთი XVI საუკუნის საბუთებიდან, გვ. 42, 43, 44, 45, 46—შვიდი XVII საუკუნის საბუთებიდან, გვ. 43, 44, 46, 48, 49, 50—ცხრა მაგ. XVII. საბუთებიდან.

ჩვენ ამ უკანასკნელ აზრს ვერ გავიზიარებთ და ამის თაობაზე ჩვენი შეხედულება უკვე ზემორე გამოვთქვით.

რაც შეეხება პირველ დებულებას, ის სწორი ჩანს, მაგრამ შევსებას საჭიროებს იმ მხრით, რომ „ყველას და ყოველგვარი საბუთების საერთო სახელი“ ყოველთვის მხოლოდ „წიგნი“ არ ყოფილა. ეს გარემოება აღნიშნული აქვს საბა ორბელიანს „წერილის“ კლასიკურ განმარტებაში[76].

საბას განმარტებით „წ ე რ ი ლ ი ეწოდების ყოელსა კალამთაგან აღწერილსა“. შემდეგ ლექსიკოგრაფი აღნიშნავს, თუ როგორი „განყოფენ ბრძენნი“ წერილს მისი შ ი ნ ა ა რ ს ი ს მ ი ხ ე დ ვ ი თ და იტყვიან საღუთო წერილთა და წმიდათ წერილთა და გარეშე წერილთა და ზღაპრობათა გინა ბეჭდის ტჯფართა“. შემდეგ საბა განმარტავს წერილის თვითეულ ამ სახეობის (გარდა ბეჭდის ტჯფართა) შინაარსს და ისევ უბრუნდება „წერილის“ განმარტებას, მაგრამ ეხლა უკვე ფ ო რ მ ი ს თ ვ ა ლ ს ა ზ რ ი ს ი თ: „წიგნი ეწოდების ერთსა წერილთაგანსა მრთელსა, ვისიცა იყოს“... ასე რომ „წიგნი“ ერთი წერილთაგანია, სულერთია რა შინაარსისა, ოღონდ კი „მთელი“ იყოს. მაშასადამე, შეიძლება იყოს „საღუთო წიგნი“ (ეს იქნება საღუთო წერილთაგან ერთი), „წმიდათა წიგნი“ (ეს იქნება წმიდათ წერილთაგან ერთი), „გარეშე წიგნი“ (ეს იქნება გარეშე, არა საღმრთო წერილთაგან ერთი), „ზღაპრობათ წიგნი“ (ეს იქნება ზღაპრობათაგან ერთი. ასეთივე „წიგნი“ ერქმევა, საფიქრებელია, საბას გაგების თანახმად, ბეჭდის ამონატჯფრსაც: ისიც ხომ „ერთი წერილთაგანია მრთელი“. შემდეგ საბა თანმიმდევრულად ავითარებს აზრს წერილის შესახებ და შინაარსის მიხედვით იძლევა „წიგნის“ („წერილთაგან ერთის“) საყურადღებო კლასიფიკაციას (იხ. ლექს. „წერილი“).

ასე რომ საბას აზრი „წერილისა“ და „წიგნის“ შესახებ შემდეგია: „წერილი“ გვაროვნული ცნებაა, ყოველი „წიგნი“ „წერილია“ („წერილთაგან ერთი“). ამიტომ მართალია „ყველასი და ყოველგვარი საბუთების საერთო სახელი“ „წიგნი“ იყო, მაგრამ თვით წიგნი „წერილთაგან ერთი“ იყო. ასე რომ საბუთების საერთო სახელი „წიგნის“ არსებობის პირობებშიაც კი შეიძლებოდა „წერილიც“ ყოფილიყო, ხოლო უფრო ძველად, ვიდრე წიგნი შემოვიდოდა[77], „წერილი“, სავარაუდებელია, ერთადერთი საერთო სახელი იყო „ყველასი და ყოველგვარი საბუთებისაც“.

---

[76] ბ-ლი აკად. ივ. ჯავახიშვილისაგან განსხვავებით, საბას განმარტება, ჩვენ თე სწორად გვესმის, ბუნდოვანად არ გვეჩვენება. იხ. დიპლომატიკა 30.

[77] ჩვენ ვვარაუდობთ, რომ წიგნი უცხოურია და შედარებით გვიან შემოსული.

ასეთ დასკვნას (საბას მონაცემთა საფუძველზე მიღებულს) მხარს უჭერს ძველს ქართულს მწერლობაში შემონახული საამისო მასალა[73].

К ВОПРОСУ О ФОРМЕ ЗЕМЛЕВЛАДЕНИЯ В ФЕОДАЛЬНОЙ ГРУЗИИ

(«ДАЦЕРИЛИ», «СИГЕЛИ», «ЦИГНИ»).

Резюме

Статья представляет собой часть монографического труда по изучению форм землевладения в феодальной Грузии. В ней подвергнуты рассмотрению юридические памятники «дацерили», «цигни» и «сигели». На основании анализа первоисточников устанавливаются взаимоотношения этих памятников, а также прослеживается определенная последовательность в их появлении и дальнейшем видоизменении.

---

[73] უნდა აღენიშნო, რომ ქართული ენის ძეგლების გამოუცემლობისა ან კიდევ ჭეშმარიტად შეუწყნარებელ გამოცემაა გამო, ჩვენი საამისო მასალა არც სრულია და არც ყოველთვის უეჭველი.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

გამოცემაზე:„ ისტორიული დოკუმენტები საქართველოს ებრაელთა შესახებ (პროფ. ნ. ბერძენიშვილის რედაქციით)“*

საქართველოს ებრაელთა შესახებ წერილობითი ცნობები წინამდებარე 87 საბუთით არ ამოიწურება. ცნობები გაცილებით მეტია. დიდძალი მასალა მუზეუმს უკვე მოპოვებული აქვს. სხვების გამოვლინება გრძელდება.

ამ გამოცემაში მკითხველი სისავსით ვერც ბატონყმური ურთიერთობის ხანის საქართველოს ებრაელთა შესახებ ცნობებს იპოვის. აქ წარმოდგენილის გარდა, ასეთი ცნობები მუზეუმსაც მრავლად გააჩნია და გამოუვლინებელიც ბევრია. მუზეუმში მიმდინარე ინტენსიური მუშაობა იმის საიმედო საწინდარია, რომ ახლო მომავალში საქართველოს ებრაელთა შესახებ წერილობითი ცნობების (ქართულის თუ უცხოურის) შემცველი სრული გამოცემა მზად იქნება.

ტექნიკური ხასიათის მიზეზით აიხსნება, რომ მუზეუმმა ამხელად მის განკარგულებაში არსებული მასალის მხოლოდ ნაწილი დაბეჭდა.

მიუხედავად თავისი სიმცირისა, აქ წარმოდგენილი საბუთები ძვირფასი მასალაა ბატონყმური ხანის საქართველოს ებრაელთა შესახებ.

წინააღმდეგ რაბინების მტკიცებისა, ჩვენი საბუთების წამკითხველი უტყუარი ცნობით დარწმუნდება, რომ საქართველოს ებრაელობა ბატონყმობის ხანაში ქართველი ფეოდალის მიერ თანაბრად მიმძლავრებულს, ერთ მთლიან სოციალურ წრეს კი არ წარმოადგენდა, არამედ სრულიად გარკვეულს და ურთიერთის მიმართ კლასობრივად დაპირისპირებულ სოციალურ კატეგორიებს. არაერთი აქ დაბეჭდილი საბუთიდან უსაცილოდ აშკარავდება, რომ ღარიბი ყმაებრაელი ყმა ქართველთან თუ ყმა სომეხთან ერთად ერთ სოცია-

---

* პირველად დაიბეჭდა 1940 წელს, საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, ტ. I.

ლურ კატეგორიას ქმნიდა, მათთან ერთად ატარებდა მებატონის მძიმე უღელს და მჩაგვრელთა წინააღმდეგ მათთან ერთად იბრძოდა. ამავე დროს ცხადი ხდება, რომ საქართველოს ამ დაცემის ხანაშიც, ებრაელთა შორის მოიპოვებოდნენ ეკონომიურად დაწინაურებული ელემენტები, ყმა-მამულის მქონენი ვაჭარ-მოიჯარადრენი. ამათ, რა თქმა უნდა, სოციალურად საერთო აღარა ჰქონდათ რა თავიანთ ყმა-მეტომეებთან.

თავისი სოციალური მოძმეების მსგავსად ყმა ებრაელიც მებატონის საკუთრებას წარმოადგენდა, ბატონის ნებაზე იყო დამოკიდებული ასეთი ყმის გასყიდვა, გაჩუქება, ნამზვითვად გატანება, დაწინდვა თუ სხვაგვარად გასხვისება.

კუთვნილების თვალსაზრისით ყმა ებრაელები იყოფებოდნენ სამეფო-სადედოფლოდ, საეკლესიო-სამონასტროდ, სათავადაზნაუროდ.

ქართველ თუ სომეხ ყმებთან ერთად მოიპოვებოდნენ ებრაელი მკვიდრი ყმები, ხიზნები, ბოგანოები, აყრილები...

ამას გარდა, ჩვენი საბუთები იძლევა ცნობებს იმის შესახებ, რომ ებრაელობა ფეოდალურ საქართველოში უმთავრესად ხელოსნობა-აღებმიცემობას მისდევდა. ყმა ებრაელი, რა თქმა უნდა, მიწასაც ამუშავებდა, ვენახს, ხილს აშენებდა, პურეულიც მოჰყავდა, მაგრამ „ურიას“ ეს კი არ ახასიათებდა, არამედ ვაჭრობა. ბატონს ებრაელი უმთავრესად „თ ე თ რ ი თ ე მ ს ა ხ ურ ე ბ ო დ ა“.

ჩვენს საბუთებზე დაკვირვებიდან ცხადი ხდება სხვა ცნობებითაც დამოწმებული გარემოება, რომ ფეოდალურ საქართველოში ებრაელები უმთავრესად ცალკე სოფლებად ან უბნებად ცხოვრობდნენ. საინტერესოა, რომ ასეთ სოფლებში მებატონის მოხელეებად იგივე ებრაელები ჩანან (მამასახლისი, ხელოსანი).

ებრაელთა მოსახლეობა გვიან ფეოდალურ საქართველოში ისეთსავე ბედუკუღმართობას განიცდიდა, როგორც სხვები. მრავალ ადგილებში ეს მოსახლეობა სავსებით აძოწყვეტილია, სხვაგან კიდევ დიდად შემცირებულია. კერძოდ, საინტერესოა რომ გვიანფეოდალური ხანის თბილისსა და გორში ებრაელობა არ იხსენიება. ამის მიზეზი კიდევ სხვა იყო. არც XVII—XVIII საუკუნეთა კახეთში ჩანს ებრაული მოსახლეობა (აქედან ებრაელები შაჰ-აბასის მიერ ქვეყნის აოხრების შედეგად აიყარნენ). აღმოსავლეთ საქართველოში ებრაელთა მთავარი ადგილსამყოფელი ჩანს: ცხინვალი, სურამი, მძოვრეთი, ახალდაბა, ატენი. ყველა ესენი სავაჭრო-სახელოსნო პუნქტები იყვნენ (კერძოდ, ცხინვალი XVIII საუკუნის მეორე ნახევარში „ქალაქური“ წესით სარგებლობდა). ასევე სავაჭრო-სახელოსნო პუნქტებში ცხოვრობდნენ ებრაელები უმთავრესად დასავ-

ლეთ საქართველოშიაც. ონში, საჩხერეს, ჩიხორს, ჭალატყეს, ქუთაისს, სენაკს...

მრავლად მოიპოვებოდნენ ებრაელები ოსმალთა მიერ მოტაცებულ სამცხე-საათაბაგოში, მაგრამ მათ შესახებ ჩვენი საბუთები არას ამბობენ.

გვიანფეოდალურ საქართველოში ებრაელთა მოსახლეობის შემცირების საკითხში ჩვენი საბუთები ერთ განსაკუთრებულ გარემოებას აღნიშნავენ. საერთო მიზეზების გვერდით, რომლებიც ფეოდალური საქართველოს მოსახლეობის საერთო შემცირებას იწვევდნენ, ჩვენი საბუთები ებრაელთა ასიმილაციას გარკვევით უჩვენებენ. ჩვენ სხვა მოწმობებიც მოგვეპოვება, ხოლო ეს საბუთები კიდევ ერთხელ ადასტურებენ, რომ სხვადასხვა პირობების გამო ებრაელები საქართველოში ზოგჯერ იძულებული ხდებოდნენ დაეტოვებიათ მამაპაპეული წესი და „გაქართველებულიყვნენ", ე. ი. გაქრისტიანებულიყვნენ.

მართალია, ჩვენ ისეთი საბუთიც გაგვაჩნია, როცა ებრაელი მებატონის ქრისტიანი ყმა „გაურიავდა", ე. ი. მოსეს სარწმუნოება აღიარა, მაგრამ უეჭველია, პირუკუ შემთხვევები გაცილებით ხშირი იყო...

მოკლედ, წინამდებარე საბუთები ფასდაუდებელი უტყუარი წყაროა საქართველოს ებრაელთა სოციალურ-ეკონომიურის თუ პოლიტიკურ-კულტურული ცხოვრების შესასწავლად ბატონყმურ საქართველოში.

ეს მასალები კიდევ უფრო მნიშვნელოვანი და მეტყველი იქნება, როცა სხვა ანალოგიური საბუთები, განსაკუთრებით XIX საუკუნის პირველი ნახევრისა, გამოქვეყნდება.

ჩვენი საბუთების ცნობები მხოლოდ საქართველოს ებრაელთა ცხოვრებით როდი ამოიწურება, აქ მრავალი რამაა „არაებრაულიც"... საქართველოს ებრაელთა ცხოვრების შესწავლაც საქართველოს ისტორიის ფრიად მნიშვნელოვანი საკითხია. ამდენადვე ჩვენი მუზეუმის ეს გამოცემა, ისე როგორც განზრახული შემდგომი გამოცემანიც, ყოვლად გამართლებული მოვლენაა.

წინამდებარე საბუთების გამოვლინება ამ სტრიქონების ავტორმა დაიწყო, როცა საქართველოს მუზეუმის თანამშრომლად იყო. საქართველოს ცენტრალური არქივისა და ქუთაისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის საბუთები გამოავლინეს საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის თანამშრომლებმა.

აღმოსავლეთ კახეთის წარსულიდან*

(მოკლე პოლიტიკური ცნობა)

ს ა ი ნ გ ი ლ ო დღეს ეწოდება კახეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ქვეყანას, რომელიც საბჭოთა ადერბაიჯანში შედის და მის სამ რაიონს შეადგენს: ბელაქნის, ზაქათლის და კახის.

ტერმინი ს ა ი ნ გ ი ლ ო ახალია (XIX საუკუნეში შექმნილი) და ნიშნავს ი ნ გ ი ლ ო ე ბ ი თ დასახლებულ ქვეყანას, ხოლო „ინგილო“ XIX საუკუნეში ეწოდა ამ ქვეყნის მკვიდრ უძველეს ქართველ მოსახლეობას (უკეთ, ამ მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს). მეფის რუსეთის დროის ადმინისტრაციულ-პოლიტიკური დაყოფით ხსენებული მხარე 1803—1830 წლებში „საქართველოს“ მოხარკე ქვეყანა იყო, 1832—1840 წლებში „საქართველოს“ (შემდეგ 1841—1845 წწ. „საქართველო-იმერეთის“ გუბერნიის) უშუალო ნაწილი, 1844—1860 წლებში „ჰ ა ერ-ბ ე ლ ა ქ ნ ი ს ს ა მ ხ ე დ რ ო ო ლ ქ ი“, ხოლო 1860 წლიდან ვიდრე 1917 წლამდე „ზაქათლის ოლქი“.

უძველეს დროდან ეს ქვეყანა, ისევე როგორც აწინდელი კახეთის დიდ ნაწილი და ჩრდილო-დასავლეთი ადერბაიჯანი (ყოფილი შაქის ოლქი, ანუ ნუხის მაზრა), დასახლებული იყო ქართველთა მონათესავე ტომებით, რომელთა საერთო ქართული სახელი—ჰერეთი უკვე V საუკუნეში არის დამოწმებული[1].

V საუკუნეში ჰერეთი ქართლის სახელმწიფოში შემავალი ქვეყანა იყო და მის ერთ-ერთ საერისთავოს შეადგენდა. იაკობ ცურტაველი (V საუკუნის მწერალი) გადმოგვცემს, რომ, როცა ქართველი დიდ-მოხელე ვარსქენ პიტიახში სპარსეთის სამეფო კარიდან ქართლში წამოვიდა, „ვითარცა მოიწია იგი ს ა ზ ღ ვ ა რ თ ა ქ ა რ თ ლ ი-

---

* პირველად დაიბეჭდა 1953 წელს, ჟიმრამხილველი, ტ. III.

[1] უძველესი დროის ჰერეთის (რანის, ალვანეთის) ისტორიულ-გეოგრაფიული საკითხების კვლევა-ძიება ამ ჩვენი „მ ო კ ლ ე ი ს ტ ო რ ი უ ლ ი ცნობისათვის“ აუცილებელ საქმედ არ გვეჩვენება. ხსენებული საკითხების ვანილვას ჩვენ სხვა თემასთან დაკავშირებით ვაპირებთ.

სათა, ქუეყანასა მას ჰერეთისასა, ზრახვა ყო, რაჲთა აუწყოს და წინა მიეგებნენ მას აზნაურნი და მისი ძენი და მსახურნი მისნი, რაჲთა მათ გამო ვითარცა ერთგული სოფლად შევიდეს“ (იაკობ ცურტაველი, მარტვილობაჲ შუშანიკისი, გვ. 5, 1938 წლის გამოც. თბილისი). სახელგანთქმული ვახტანგ გორგასალის (V ს.) პოლიტიკურ-ადმინისტრაციული მოღვაწეობის შესახებ ჰერეთში ორი სხვადასხვა დროისა და წარმოშობის მოწმობა მოგვეპოვება. XI საუკუნის მწერალი მოწმობს, რომ ჰერეთი ვახტანგის სახელმწიფოში ერთ-ერთი საერისთავო იყო (ანასეული ქცა, ჯუანშერი, 125), ხოლო მეორე მწერალი (ანონიმი) აღნიშნავს, რომ VIII საუკუნეში ჰერეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში (წუქეთს) ისხდნენ „მთავარნი, რომელთადა მიებოძა ვახტანგ მეფესა წუქეთი. და იყო მაშინ, რომელი ერისთაობდა თუშთა და ღუნძთა ზედა და ყოველთა წარმართთა მის მთისათა, სახელით აბუ-ხუასრო“ (ანასეული ქცა, გვ. 125). კიდევ უფრო ნიშანდობლივია ცნობა VIII საუკუნის ქართველთა მეფის არჩილის მოღვაწეობის შესახებ ჰერეთში. ის აშენებს ციხე-ქალაქებს (მათ შორის ნუხს), აწყობს ქვეყანას ადმინისტრაციულად, მისივ „ბრძანებითი“ (ე. ი. შემწეობით და ნებართვით) დაემკვიდრნენ აქ, ჰერეთის აღმოსავლეთ ნაწილში—შაკიხში (შემდეგი დროის „შაქნი“, ანუ შაქი) დასავლეთიდან ლტოლვილ მთავართა შვილები. არჩილსავე მიაწერს ეს წყარო ნუხელების გაქრისტიანებას (ანასეული ქცა, 155).

როცა, შემდეგ, საქართველოში ფეოდალური სამეფო-სამთავროები წარმოიშვა (VIII—IX სს.) და პოლიტიკური ჰეგემონობისათვის მათ შორის ბრძოლა გაჩაღდა, ჰერეთი ერთი იმ ქართულ ერთეულთაგანი იყო, რომელიც ამ პროცესში, ორგანულად მონაწილეობდა.

XI საუკუნის ათიან წლებში ჰერეთი, ისევე როგორც კახეთი, გაერთიანებული საქართველოს ფეოდალურ სახელმწიფოში შევიდა (1010 წ.). მაგრამ მალე (ამავე საუკუნის ოციან წლებში) ჰერ-კახ დიდებულთა ერთმა ჯგუფმა ისარგებლა საქართველოს პოლიტიკური გართულებით და ბიზანტიის კეისრის აქტიური მხარის დაჭერით ჰერეთ-კახეთი დანარჩენ საქართველოს მოსწყვიტა.

კახეთის ქორიკოზმა კვირიკე დიდმა ჰერეთ-კახეთი პოლიტიკურად გააერთიანა, ადმინისტრაციულად მოაწყო ის და ამ ახალი ერთეულის მეფე იქმნა. ამით ჰერეთ-კახეთის პოლიტიკური შერწყმის პროცესი დასრულდა[2].

---

[2] ვგულისხმობთ პოლიტიკურსა და არა კულტურულ-ეთნიკურ შერწყმას, ვინაიდან ასეთი რამ, ე. ი. კულტურულ-ეთნიკური შერწყმა, ჩვენ გაცილებით უფრო

XI საუკუნის მთელ მანძილზე ცხოველი ბრძოლა მიმდინარეობდა „აფხაზთა მეფესა“ (ე. ი. საქართველოს მეფესა) და კახეთის მეფეს შორის. აფხაზთა მეფენი დაჟინებით ცდილობდნენ ჰერეთ-კახეთის შეერთებას დანარჩენ საქართველოსთან. საქმის წარმატებას აქაც, საშინაოს გვერდით, საგარეო ხასიათის მომენტი დიდად აბრკოლებდა. XI საუკუნის სამოციანი წლებიდან ჰერეთ-კახეთის ფეოდალ-სეპარატისტებს ახალი „მფარველი“ გაუჩნდა—თურქ-სელჩუკთა სულტანი—საქართველოს დაუძინებელი მტერი. XI საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ჰერეთ-კახეთის მეფე თურქ-სელჩუკთა სულტანს ემორჩილებოდა.

როცა, XII საუკუნის დამდეგს, დავით აღმაშენებელმა თურქ-სელჩუკების შემოტევის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლა დაიწყო, ჰერეთ-კახეთის შემოერთება საქართველოსთან მან უპირველეს საქმედ დასახა (თურქთა წინააღმდეგ ბრძოლა აუცილებლად მოითხოვდა საქართველოს ძალთა უკიდურეს მობილიზაციას). დავითი შეესაქმა საქართველოს გაერთიანების მომხრე ჰერ დიდებულებს. 1103 წელს ჰერეთ-კახეთის მეფე ახსართან „შეიპყრეს ჰერთა დიდებულთა ა რ ი შ ი ა ნ მ ა ნ ბ ა რ ა მ და დედისძმამან მისმან ქავთარ ბარამისძემან, მოსცეს მეფესა (დავითს) და აიხუნა მეფემან ერეთი და კახეთი“ (ანასეული ქცა, 208). სელჩუკიან თურქთა სულტნის დიდ-მოხელე გ ა ნ ძ ი ს ა თ ა ბ ა გ ი ფიცხლავ წამოვიდა დავით მეფის წინააღმდეგ. ქართველთა მეფე მტერს ჰერეთში — ერწუხს— დაუხვდა, სასტიკად დაამარცხა ის და უკუაქცია (1104 წ.).

დავითმა ჰერეთ-კახეთი „ნებისაებრ“ მოაწყო ადმინისტრაციულად. პატრიოტულ საქმეზე თავდადებულობისათვის საქართველოს მეფემ განსაკუთრებული პატივი დასდო ჰერ დიდებულს ბარამ არიშიანს და ა რ ი შ ი ა ნ ო ბ ა (არიშის მფლობელობა და მასთან დაკავშირებული სამხედრო და ადმინისტრაციული თანამდებობა) საქართველოს სახელმწიფო წყობილებაში ჩვეულებრივ ერისთაობაზე უპირატეს თანამდებობად აქცია. ამის შემდეგაც დავით აღმაშენებელი საქართველოს აღმოსავლეთის ამ სანაპიროს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა[3].

ადრე საუკუნეებში გვეგულება. მაინცდამაინც IV საუკუნისათვის ეს პროცესი ძირითადში დასრულებულად არის საკვლევადებელი. აქ, რა თქმა უნდა, იგულისხმება არა მთელი ჰერეთი ალვანიის შესატყვისობით, არამედ ივერიის მოსაზღვრე ჰერული ტომები.

[3] რატომ უტევდა დავითი შარვანს, როცა თურქ-სელჩუკთა დასაყრდენს აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში—განჯას ხელუხლებლად სტოვებდა? აქ გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებანი: 1. თურქები შარვანის საბოლოოდ დაუფლებას აპირებდნენ. შარვანის დაუფლებით ისინი რეალურ საფრთხეს შეუქმნიდნენ

ქართველთა მეფე შარვანშაჰთან შეთანხმებას და სელჩუკიან თურქთა წინააღმდეგ ბრძოლაში მის გადმობირებას ცდილობდა. ამ მიზნით იყო, რომ 1110-ან წლებში დავითმა თავისი ქალი თამარი შარვანშაჰს ცოლად მიათხოვა. მაგრამ, როცა ასეთი ზომა საკმაო არ აღმოჩნდა, დავითი გადამწყვეტ შეტევაზე გადავიდა შარვანშაჰის წინააღმდეგ.

1117 წელს დავით აღმაშენებელმა „დაიპყრა გრიგოლის ძენი ასათ და შოთა და აღიღო ციხე გ ი შ ი“ (ანასეული ქცა, 212). აღნიშნულ გრიგოლის ძეთა სამფლობელო ქვეყანა ციხე გიშით ქართული ჰერეთის უკიდურესი აღმოსავლეთი ნაწილი იყო. გ ი შ ი (გიშის წყალზე შაქში, აწინდელი ნუხის ჩრდილოეთით) VIII საუკუნიდანვე ბაგრატიონთა ერთ-ერთი შტოს ადგილსამყოფელი იყო ჰერეთში, აქვე იჯდა ქართველი „ეპისკოპოზი მწყემსი ელისენისა, წუქეთისა და შაკიხის“ (ვახუშტი, გეოგრაფია, 147); ამ ეპისკოპოსს— „გიშელს“ საქართველოს საეკლესიო იერარქიაში ოცდამეთხუთმეტე ადგილი ეპირა.

სწორედ ჰერეთის ეს უკიდურესი აღმოსავლეთი ნაწილი დასაყრდენად გაიხადა დავით აღმაშენებელმა თურქ სელჩუკთა წინააღმდეგ აქტიური თავდაცვის საწარმოებლად, აქედან ლაშქრობდა დავითი შარვანში და თურქთა სულტნის ხელიდან ამ ქვეყნის გამოგლეჯას ლამობდა. 1117 წელს უფლისწულმა დიმიტრიმ შარვანში ციხე ქალაძორი დალაშქრა. 1120 წელს თვით დავითმა ილაშქრა შარვანში და ქალაქი ყაბალა აიღო. შარვანშაჰი იძულებული იყო ქართველთა მეფის ყმადნაფიცობა ეკისრნა. 1123 წელს სელჩუკიან თურქთა სულტანი შარვანში მოვიდა, შამახია აიღო, ქართველთა მეფის ყმადნაფიცი შარვანშაჰი შეიპყრა და თვით იყმო. ამრიგად, სელჩუ-

---

საქართველოს ჰერეთ-კახეთის მხრიდან; 2. შარვანში თურქთა დამარცხება საქართველოს მეფეს მეტად გააძლიერებდა, ხოლო თურქების პოზიციებს აღმოსავლეთ ამიერკავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში მეტად შეასუსტებდა. არსებითად ეს იქნებოდა თურქთა აგრესიის დასაყრდენის—განჯის ღრმა შემოვლა; 3. ამავე დროს თურქთა დამარცხება შარვანში უფრო ადვილი იყო: შარვანის მკვიდრი მოსახლეობა, განსაკუთრებით ამ ქვეყნის დასავლეთ ნაწილში, ქრისტიანული იყო და დამპყრობელი თურქების წინააღმდეგ მისი ამხედრება ადვილად მოსახერხებელი ჩანდა. დავითის პოზიციები, ამრიგად, აქ უკეთესი იყო, ვიდრე თურქ-სელჩუკებისა. ქართველთა მეფე, ისევე როგორც სომხეთში, შარვანშიაც განმათავისუფლებლის როლში გამოდიოდა.

ერთი სიტყვით, შარვანისათვის ომი ეს იყო ყოველი მხრით გამართლებული, ღრმად მოფიქრებული ტაქტიკური სვლა, რაც საბოლოო მიზნად ისახავდა გადამწყვეტ ომს, რომლის მოგებით დავითი თურქ-სელჩუკებს ამიერკავკასიიდან საბოლოოდ გადარეკავდა. საფიქრებელია, რომ ეს გადამწყვეტი ომი რ ა ნ შ ი (განჯისათვის) მოხდებოდა, სადაც მტერი ყველაზედ უფრო მტკიცედ იჯდა. ასე რომ შარვანისათვის ბრძოლა მომავალი განჯის ომის შემზადება იყო.

კიან თურქთა სულტანსა და საქართველოს მეფეს შორის შარვანისათვის გადამწყვეტი ბრძოლა გაიმართა. საბოლოოდ გამარჯვებული დავითი გამოვიდა. 1123 წელს დავით მეფემ ორგზის ილაშქრა შარვანში, თურქთა სულტანი უკუქცია, აიღო ქალაქი შამახია და დაიპყრა „სრულიად ყოველი შარვანი" (ანასეული ქცა, 220).

შარვანისათვის ბრძოლაში ქართველთა მომხრედ გამოდიოდა ადგილობრივი მკვიდრი ქრისტიანი მოსახლეობა — „ქურდნი, ლეკნი და თარსანნი" (ანასეული ქცა, 220). გამარჯვებულმა დავითმაც ეს თავისი მომხრეები „აღავსნა კეთილითა საბოძვარითა" (ანასეული ქცა, 220). თურქთა ბატონობისაგან განთავისუფლებული ქვეყანა შარვანი დავით აღმაშენებელმა საქართველოს შემოუერთა. მან იქ „დაუტევნა ციხეთა და ქალაქთა შინა ლაშქარნი დიდნი, ჰერნი და კახნი; გამგებელად და ზედამხედველად ყოველთა საქმეთა მანდაურთა აჩინა მწიგნობართ უხუცესი თუისი სუიმონ ჭყონდიდელი მთავარებისკოპოზი მაშინ ბედიელ-ალავერდელი"—(ანასეული ქცა, 220). ამის მატერიალური მოწმობაა კალეი გურჯი („ქართველთა ციხე"), შამახიის მიდამოებში რომ არის ნაჩვენები 1538 წლისათვის.

ამრიგად, ხანგრძლივი ბრძოლა შარვანისათვის ქართველთა საბოლოო გამარჯვებით დამთავრდა და ამიერიდან საქართველოს საზღვრებს ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრით (ე. ი. ჰერეთს) თურქ-სელჩუკთა შემოსევა აღარ ემუქრებოდა.

შემდეგ, უფრო გვიან, XII საუკუნეში, დავითის მემკვიდრეების დროს ამიერკავკასიის ამ ნაწილში შემდეგი ვითარება დამყარდა. შარვანის ქვეყანა ორად გაყვეს. აღმოსავლეთ ნაწილში შარვანშაჰის უფლება აღადგინეს და ეს სამფლობელო ამიერიდან, ისევე როგორც დარუბანდის ქვეყანა, საქართველოს მეფის მიმართ ყმადნაფიცის მდგომარეობაში იმყოფებოდა. შარვანის დასავლეთი ნაწილი კი საარიშიანოს შემოუერთეს, ე. ი. საკუთრივ საქართველოს საზღვრებში შემოიტანეს. ასე რომ ამიერიდან საკუთრივ საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთის საზღვარი ქალაქ შამახიის ახლოს, მისგან ოდნავ დასავლეთით მდინარე თეთრ წყალზე (აწინდელი აყსუ) გადიოდა.

შარვანის ქვეყნის ასეთი დაყოფა იმ საფუძველს გულისხმობდა, რომ მისი დასავლეთი ნაწილის ჰერთა მოძმე მოსახლეობაში მაჰმადიანობა ჯერ კიდევ ფეხმოკიდებული არ იყო და ეს მხარე ჰერეთ-კახეთთან ერთად ქართველობას იჩემებდა, **ქართველ ხალხში** შემოდიოდა (ამასვე მოწმობს შამახიის ახლოს მის დასავლეთით ორი „ქართველთა მონასტერი" და ვართა-

შნელი უდების მიერ ჩვენ დრომდე შემონახული „ქართული“ ქრისტიანობა).

ბუნებრივია, თუ საარიშიანო ჰერეთი (კახეთის გვერდით) აქტიური მონაწილე იყო იმ დიდი სოციალურ-პოლიტიკური ამბებისა, საქართველოში რომ დატრიალდა XII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში: დიდგვარიან ფეოდალთა აჯანყება გიორგი III წინააღმდეგ 1178 წელს, დიდგვარიან ფეოდალთა გამოსვლა თამარის წინააღმდეგ 1185 წელს, დიდგვარიან ფეოდალთა აჯანყება თამარის წინააღმდეგ 1190 წელს (მარიამისეული ქცა, 386, 411, 436, 440).

XIII საუკუნე საქართველოსათვის მძიმე პოლიტიკური განსაცდელის ხანა იყო. საქართველო, ისევე როგორც მთელი წინა აზია, მონღოლებმა დაიპყრეს. საქართველოს სახელმწიფოს მონღოლებმა საყმადნაფიცო ქვეყნები ჩამოართვეს, ხოლო საკუთრივ საქართველო თავის მოხარკე ქვეყნად აქციეს. საკუთრივ საქართველოში შემოდიოდა ჰერეთთან ერთად გიშ-არიშის ქვეყანაც XIII საუკუნის მთელ მანძილზე და ქვეყნის ჩრდილო-აღმოსაკლეთი საზღვარი იგივე თეთრი წყალი იყო (მონღოლურად ჩალან უსუნ) შამახიის ოდნავ დასავლეთით (მარიამისეული ქცა, 623, 689). XIII საუკუნის 60-ან წლებში ახალქალაქის ერისთავი და მეჭურჭლეთა უხუცესი კახა თორელი მისი დროის საქართველოს ორ უკიდურეს საერისთავო ქვეყნის აღსანიშნავად ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრით გიშს (აწინდელი ნუხის გვერდით) ასახელებს, ხოლო სამხრეთ-დასავლეთის მხრით—ფანასკერტს ტაოში (ქრონიკები, II, 135).

ამ გარემოებასვე მოწმობს ქართველი მწერლის—ჟამთა აღმწერელის ცნობა. XIII საუკუნის 40-ან წლებში საქართველოში უმეფობის ხანა იყო (მეფობის ორივე მაძიებელი ყარაყორუმს წასულიყვნენ მონღოლთა ყაენთან). ადგილობრივ მონღოლებმა კი საქართველო (რა თქმა უნდა, საკუთრივ საქართველო) სამხედრო-ადმინისტრაციულ ერთეულებად — დუმნებად. დაყვეს. თითო ასეთი ერთეული (დუმანი) მონღოლებმა ქართველ დიდებულს ჩაებარეს და აი ერთ-ერთი დუმნის შესახებ მწერალი გვამცნობს: მონღოლებმაო „გამოარჩიეს მთავარნი, პირველად, ეგარსლან ბაკურციხელი, კაცი ღრმად მოუბარი, მჯნედ მეომარი. ამას მიათვალეს ლაშქარი ჰერეთისა და კახეთისა და კამბეჩიანისა ტფილისითგან დაადგმართ ვიდრე მთამდე შამახიისა“ (მარიამისეული ქცა, 623).

ილხანების სამხედრო-პოლიტიკურ ღონისძიებებთან იყო დაკავშირებული ის გარემოება, რომ XIII საუკუნის 60-ანი წლებიდან

მოკიდებული საკუთრივ საქართველოს ამ უკიდურეს ნაწილში — საარიშიანოში მონღოლ-თათართა მომთაბარენი თანდათან ჩამოსხდნენ. მათი დანიშნულება იყო ჩრდილოეთის (ოქროს ურდოს) ყაენთა წინააღმდეგ გამაგრებულ ხაზზე (სიბაზე) დგომა (ეს ხაზი საკუთრივ საქართველოს ტერიტორიაზე გადიოდა, ქვეყნის უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთის საზღვარზე მდინარე თეთრი წყალის გასწვრივ.—მარიამისეული ქცა, 689) და ამასთან ერთად სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიის მთიანეთის თავისუფალ ხალხთა მეთვალყურეობა, მათი დამორჩილება.

XIII საუკუნის მიწურულიდან საილხანოს მონღოლთა შორის მაჰმადიანობა გავრცელდა და ქრისტიანული მოსახლეობის სარწმუნოებრივი დევნა ილხანთა სახელმწიფოებრივი პოლიტიკის მკვეთრი იარაღი შეიქნა. ამავე ხანებში დაპყრობილ კულტურულ ხალხთა სოციალურ-ეკონომიურმა წყობამ დამპყრობელ მომთაბარეთა შორის თანდათან გზა გაიკვლია. მონღოლ-თათართა ტომის მეთაურები დაპყრობილ ხალხთა არისტოკრატიას მიწისმფლობელობაში შეეცილა. საკუთრივ საქართველოს განაპირა ოლქებს უმალ საფრთხე დაუდგა—საათაბაგოს (სომხეთში) და საარიშიანოს (შაქში). შედეგი ამ უკანასკნელისათვის ის იყო, რომ XIV საუკუნის მიწურულში საარიშიანოს ამ ნაწილის (შაქის) მმართველად ჩვენ ვხედავთ მონღოლთა ერთ-ერთი ტომის (ორლატთა ტომის) მეთაურს. რა თქმა უნდა, აქვე, შაქის ოლქში, მომთაბარეობს ამ დროს მისი ურდოც. ამგვარად, საკუთრივ საქართველოს თანდათან ჩამოსცილდა საარიშიანოს აღმოსავლეთი ნაწილი, რომელიც „შაქის სახანოდ“ იქცა. ამ ქვეყნის მკვიდრი მოსახლეობა იმ დროს, და დიდხანს ამის შემდეგაც, ისევ ქრისტიანული იყო, მაგრამ მაჰმადიან მონღოლ-თათართა პოლიტიკური და სოციალური ბატონობა, ბუნებრივია, ხელს უწყობდა ამ მოსახლეობის გამაჰმადიანების ტენდენციას (**cuius regio ejus religio**).

საქართველო დიდხანს არ შერიგებია ამ უსამართლობას და „არეშის ქვეყნის“ დაბრუნებისათვის ის დაჟინებით იბრძოდა, თუმცა მოვლენათა შემდგომი განვითარება სულ უფრო და უფრო ნაკლებად ხელსაყრელი იყო ასეთი ბრძოლის წარმატებისათვის.

შაქის სახანოს ჩამოყალიბების შემდეგ სასაზღვრო ქართული ქვეყანა საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრით საკუთრივ ჰერეთის საერისთაო იყო (XIV საუკუნის მიწურულს ამ განაპირა ქვეყნის ერისთავად ვინმე ხიმშია ჩანს).

XIV საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოს განაპირა ოლქები, როგორც აღვნიშნეთ, გამაჰმადიანებულ მონღოლ-თათართა

ტომების და მათ მეთაურთა სულ უფრო და უფრო მეტ მოძალებას განიცდიდნენ. საქართველო გიორგი VI („ბრწყინვალე") მეთაურობით დიდის გამძლეობით იცავდა თავს საშიში შემოტევისაგან. ამ ბრძოლის ნაყოფი ის იყო, რომ ჩვენმა ქვეყანამ, თუმცა მძიმე მსხვერპლის ფასად (საარიშიანოს აღმოსავლეთი ნაწილის დაკარგვა), მაგრამ მაინც გაუძლო გასაჭირს და საერთო გადაშენება-გადაგვარების საფრთხე ამჯერად თავიდან აიცდინა.

მაგრამ ახალი განსაცდელი კიდევ უფრო დიდის ძალით მოევლინა საქართველოს XIV საუკუნის მიწურულს.

17 წლის მანძილზე (1385—1403 წ.) თემურლენგის რვაგზისმა შემოსევამ ჩვენი ქვეყანა განსაკუთრებით დააზიანა. თემურთან ომის შედეგად საქართველოს საბოლოოდ ჩამოსცილდა მისი სამხრეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის რაიონები (მოძმე სომხეთი), სადაც ადგილობრივ მიწისმფლობელთა კლასი უმთავრესად მონღოლ-თათარ-თურქმან მომთაბარეთა არისტოკრატიამ შეცვალა. ასეთ საფრთხეს ვერ ასცდა ჩვენი ქვეყნის ზოგიერთი უშინაგანესი რაიონიც კი (ლორე), სადაც ქართველი აზნაურობა იძულებული იყო მიწისმფლობელობა თურქმანებისათვის დაეთმო და მამაპაპეულს გასცლოდა.

თემურლენგის აგრესიულ-მაჰმადიანური პოლიტიკა არა მარტო საქართველოს შეეხო. 1385 და 1392 წლებში მრისხანე თემურმა ორგზის ილაშქრა შაქში, რომლის მმართველი სეიდ ალი შაქისელი საქართველოს მეფესთან ერთად თემურის მოწინააღმდეგე იყო. მტერმა შაქის ქვეყანა, ამ დროს ჯერ კიდევ ქრისტიანული, სასტიკად ააოხრა. აქედანვე ძლიერი მარბიელი ჯარი გაუსია თემურმა კავკასიის მთიანეთის „უსჯულოებს". შემუსვრილ ქვეყნებში ქრისტიანობის აღმოფხვრა და მის ნაცვლად მაჰმადიანობის გავრცელება თემურმა თავის პოლიტიკურ მიზნად დაისახა.

სეიდ ალი შაქისელი არ გატყდა და ამის შემდეგაც საქართველოს მეფე გიორგისთან ერთად დიდხანს იბრძოდა თემურის ჯარების წინააღმდეგ, ვიდრე ომში არ დაიღუპა 1396 წელს.

1399 წელს, თემურის მეოთხე ლაშქრობისას საქართველოში, დამპყრობელს მორჩილებით ეახლა შარვანის მფლობელი იბრაჰიმი, რომელმაც შაქის ახალი მფლობელი სეიდ აჰმედიც მას შეავედრა. თემურლენგმა სეიდ აჰმედს შაქის მფლობელობა დაუმტკიცა და ეს ახალი ყმები მათი ჯარებით თავის ლაშქართან ერთად საქართველოს შეუსია ჰ ე რ ე თ ი ს მხრიდან.

ქართველთა მედგარი წინააღმდეგობით გაბოროტებულმა თემურმა ქვეყნის სიმტკიცის გასატეხად—ველურ საშუალებას მიმართა. ყველა სხვა ნგრევა-ოხრების გვერდით მტრის საგანგებო ჯარი კაფავდა ვენახს, თუთის ხეს, კაკალს და სხვა კულტურულ ნარგაობას.

აყვავებული მხარე ჰერეთი საშინლად დაზიანდა, თუმცა თემურმა მიზანს მაინც ვერ მიაღწია. საქართველო არც ამჯერად გატყდა და მძიმედ დაზარალებული მტერი იძულებული გახდა უკუქცეულიყო. მიუხედავად ამისა, საქართველოს მარცხი აუნაზღაურებელი იყო. მისი პოზიციები თემურთან ბრძოლაში სულ უფრო და უფრო უარესდებოდა. მტრის მხარეზე შაქი-შარვანის გადასვლის შემდეგ საქართველოს აღმოსავლეთი საზღვარი (ჰერეთი) შიშველი იყო. მტრის ლაშქარში იბრძოდნენ საქართველოს ეს მეზობლები 1403 წელსაც, როცა თემურლენგი უკანასკნელად (მერვეჯერ) შემოესია ჩვენს ქვეყანას.

თემურის „იმპერია" თან გადაყვა მის შემქმნელს, მაგრამ ამ დამპყრობელის „მოღვაწეობის" შედეგები საქართველოსათვის განსაკუთრებით მძიმე იყო. ქვეყანა სისხლისაგან დაიცალა, მტერმა, სადაც კი მისწვდა, საგანგებოდ გაანადგურა ქართული კულტურის ყოველივე შენამოქმედი: სამხედრო, სამოქალაქო, საკულტო, სასოფლო-სამეურნეო. მაინც ყველაზე მძიმე საქართველოსათვის თემურის ლაშქრობის პოლიტიკური შედეგები იყო. სამასწლოვანი ბრძოლა ველურ მომთაბარეთა წინააღმდეგ საქართველოს დამარცხებით დამთავრდა. დავით აღმაშენებლის პოლიტიკური წამოწყება მოიშალა. საქართველომ ვერ განახორციელა დიდი ამოცანა კავკასიის გაერთიანებისა; მეზობელი ქრისტიანული ქვეყნებიც მან საბოლოოდ დაკარგა და მოზღვავებულ მომთაბარეთა აგრესიის პირისპირ მარტოდ-მარტო აღმოჩნდა. მიწისმფლობელობისათვის მებრძოლმა ველურმა მომთაბარეებმა მაჰმადიანობა თავის ალამად აღიარეს და „უსჯულოთა" (ქრისტიან მიწისმფლობელთა) წინააღმდეგ ბრძოლა „საღმრთო საქმედ" გამოაცხადეს. თემური „მაჰმადიანური" პოლიტიკის თანმიმდევრული გამტარებელი იყო. ქრისტიანობის წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლა, ქრისტიანობის მოშლა და მის ადგილზე მაჰმადიანობის დანერგვა დამახასიათებელი იყო თემურის პოლიტიკისათვის კავკასიაში.

დამარცხებულ საქართველოს აღარ შესწევდა კავკასიის მთიანეთზე ძველებურად გავლენის უნარი და ბარის მიმართ მუდამ „ავის მოხარკული" მთა თანდათან განთავისუფლდა მისი კულტურული და პოლიტიკური მეურვეობისაგან. ეს პროცესი სულ უფრო და უფრო საგრძნობი ხდება მთისა და ბარის ურთიერთობაში, კერძოდ, ჰერეთ-კახეთის ურთიერთობაში დაღისტანთან, სადაც საქართველოს, როგორც მაორგანიზებელ ძალას, თანდათან ხელიდან გამოეცალა მთიელებზე გავლენისა და მათი დამორჩილების ძლიერი

იარაღი. XV საუკუნიდან მოკიდებული აქ, ისევე როგორც სხვაგან კავკასიის მთიანეთში, ქრისტიანობა სუსტდება და, განსხვავებით დანარჩენი მთიანეთისაგან, ქრისტიანობის ადგილს აქ მაჰმადიანობა იჭერს.

XV საუკუნეში საქართველო მხოლოდღა თავს იცავდა თავის შეიწროებულ ეთნიკურ საზღვრებში. თურქმანების შემოტევა არ ნელდებოდა, ველური მომთაბარენი დაჟინებით იბრძოდნენ ლორე-ბამბაკის იალაღებისათვის, ქცია-ალგეთისა და მტკვრის პირის ყიშლაღებისათვის.

ქართველთა ეს ბრძოლა თურქმან მომთაბარეთა შემოტევის წინააღმდეგ ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა და ის არც XV საუკუნეში დამთავრებულა.

XVI საუკუნიდან თურქმანთა სახელმწიფო ყიზილბაშურმა ერანმა შეცვალა. ამით საქართველოსათვის არაფერი შეცვლილა. ბრძოლას საქართველოს დაპყრობა-დამორჩილებისათვის, ქრისტიანობის მოშლისა და მაჰმადიანობის გავრცელებისათვის, ქართული მიწების მიტაცებისათვის ყიზილბაშური ერანი კიდევ უფრო მეტის ენერგიით განაგრძობდა მთელი ამ საუკუნის მანძილზე, ვიდრე მისი „შავი თუ თეთრბატკნიანი" წინაპრები.

შაჰაბასი XVII საუკუნეში (1587—1629) ამ-ყიზილბაშურ-თურქმანული შემოტევის ახალი ეტაპი იყო.

დაუშრეტელი ენერგიით ებრძოდა ქართველი ხალხი ამ სასიკვდილო საფრთხეს. ქვეყნის ხსნისათვის თავდადებულთა შორის ოთხი მეფეც იყო (საქართველოს მეფენი გიორგი—1407 წ. და კონსტანტინე — 1412 წ., ქართლის მეფე ლუარსაბ — 1558 წ. და კახეთის მეფე ალექსანდრე — 1605 წ.), მაგრამ ქართველთა წინააღმდეგობის ძალას მეტისმეტად ასუსტებდა და ბრძოლას მომთაბარეთა წინააღმდეგ განსაკუთრებით ამძიმებდა ის გარემოება, რომ სწორედ XV საუკუნეში საქართველო, აქამდე პოლიტიკურად მთლიანი, ურთიერთ შორის მოქიშპე სამ სამეფოდ დაიშალა.

ამიერიდან თითოეული ქართული სამეფო საკუთარ ძალთა ანაბარა იყო უზომოდ ძლიერი მტრის წინააღმდეგ.

კახეთიც მარტო იბრძოდა თავის გადასარჩენად.

XV საუკუნეში კახეთში მნიშვნელოვანი სამხედრო და ადმინისტრაციული რეფორმა ჩატარდა, რაც ქვეყნის თავდაცვის უნარს საგრძნობლად ზრდიდა.

ამ რეფორმის ერთ-ერთი შედეგი ის იყო, რომ გაუქმდა „ჰერეთის საერისთავო" და მის ნაცვლად სამოურავოები (კაკენისლის, ჰიაურის) შეიქმნა. ამიერიდან ტერმინი „ჰერეთიც" გაქრა პო-

ლიტიკური ნომენკლატურიდან და ახალ პოლიტიკურ ერთეულს ძველი „ჰერეთ-კახეთის“ ნაცვლად კ ა ხ ე თ ი ს ს ა მ ე ფ ო ეწოდა.

კახეთის მესვეურნი XVI საუკუნეში (მეფე ლევან 1520—1574, მეფე ალექსანდრე 1574—1605) დიდი ოსტატობით იცავენ თავს ყიზილბაშთა შემოტევისაგან. მოქნილი დიპლომატია და სამხედრო მზაობა მათ საშუალებას აძლევდა გარკვეული დათმობის ფასად (ფორმალური ყმობა და შედარებით მცირე ხარკი) დამპყრობელი კახეთის საზღვრებში არ შემოეშვათ.

თუმცა ყიზილბაშური ერანის შაჰებმა XVI საუკუნეში კახეთის საზიანოდ ის მაინც მოახერხეს, რომ წახურის სამფლობელო (წახეთი, წუქეთი) — სამურის ზემო წელში, რომელიც უძველესი დროიდანვე საქართველოში შემომავალი ქრისტიანული ქვეყანა იყო, კახეთის მეფეებს ფაქტიურად ჩამოართვეს და ერანის შაჰისაგან უშუალოდ დამოკიდებულ ერთეულად აქციეს. საარიშიანოს აღმოსავლეთი ნაწილის (=შაქის სახანო) დაკარგვის შემდეგ ეს ფაქტი—წახურის ჩამორთმევა განსაკუთრებით საზიანო და საშიში იყო ჰერეთისათვის.

XV — XVI საუკუნეთა მანძილზე კახეთის სამეფოსა და დაღისტნის ურთიერთობა თანდათან შეიცვალა. აქამდე საქართველოს გავლენა-მორჩილების ქვეშ მყოფი დაღისტანი თანდათან შეტევაზე გადმოვიდა და ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილს, კაკ-ენისელისა და ჭიაურის სამოურავოებს აოხრების უშუალო საფრთხე შეუქმნა.

XVI საუკუნის 80-ან წლებამდე კახეთის სამეფო მაინც ახერხებდა მტკიცე ხელით აელაგმა მთიელი მტაცებლები და დაღისტნელი ტომების მეთაურები მორჩილებაში ჰყოლოდა (არჩილიანი. გაბაასება რუსთველის და თეიმურაზისა § 327; С. Белокуров, Сношение России с Кавказом, вып. I, 1578 — 1616, М. 1889). ამ პირობებში მწირი დაღისტნის შვილები კახთა მეფეების ყმობის პირზე ესახლებოდნენ ხოლმე მდიდარი კახეთის (=ჰერეთის) ზეგანებში. ასე შეიქმნა, მაგალითად, XVI საუკუნეში ავარიელთა მოსახლეობა სოფელ ფიფინეთში (=ჭარი).

დაღისტნელი აბრაგები კახეთისათვის განსაკუთრებით საშიში მას შემდეგ შეიქმნენ, რაც კავკასიის მთიანეთში ოსმალეთის გავლენა გაძლიერდა. იმიერკავკასიასა და დაღისტანში ამ გავლენის გამტარებლად ყირიმ-ხანი და შამხალი გამოდიოდნენ. მაჰმადიანობა (ოსმალური ყაიდისა), დაღისტანში რომ სულ უფრო და უფრო ფეხს იკიდებდა, ოსმალეთის პოლიტიკურ გავლენას ამ მხარეში გზას უკაფავდა. ოსმალეთივე იყო ამოურწყველი მომხმარებელი ქრისტიანი ტყვეებისა (მონებისა), რომელთა მოპოვება და გასყიდვა სულ უფრო და უფრო ფეხს იკიდებდა კავკასიის მთიელთა შორის.

ამრიგად, კახეთის ამ ნაწილს (ძველ ჰერეთს) მოძმე კეთილმეზობლის ნაცვლად, როგორც ეს ძველად იყო, ჩრდილოეთიდან თანდათან მაჰმადიანი ტყვისმსყიდველი გაუჩნდა. ამიერიდან ტყვეებისა თუ სხვა ნადავლის მოპოვებისათვის სულ უფრო და უფრო ხშირად ეწყობოდა დაღისტანში აბრაგთა დასტები კახეთის (ჰერეთის) საძარცვავად. კახეთის ხელისუფლება XVI საუკუნეში დიდ ენერგიას ხარჯავდა დაღისტნელ აბრაგთა ასალაგმავად. მაგრამ შამხალ-დაღესტნელებთან ბრძოლა განსაკუთრებით მას შემდეგ გაძნელდა, რაც 1578 წელს ოსმალეთმა სპარსეთის წინააღმდეგ დიდი ომი დაიწყო, მოწინააღმდეგე დაამარცხა და ამიერკავკასია თითქმის სულერთიანად დაიპყრა.

ალექსანდრე კახეთის მეფემ ოსმალეთის გამოყენება სცადა თავის სასარგებლოდ. მან უარყო ერანის შაჰის „მფარველობა", მიეგება ოსმალთა სარდალს და ყიზილბაშთა წინააღმდეგ ომში „სამსახური" შესთავაზა მას. ოსმალთა სარდალმა კახეთის მეფეს „ერთგული სამსახური" დაუფასა (ალექსანდრე მეფემ შაქში ილაშქრა, სადაც სპარსელებს კახთა მეფის მოქიშპე ძმა—გამაჰმადიანებული იესე ჩანად დაესვათ და რომლის გამეფებას კახეთშიაც აპირებდნენ). ოსმალებმა კახეთი თავისუფლად დატოვეს და ალექსანდრესაგან, მორჩილების ნიშნად, მხოლოდ მცირე ხარკს დასჯერდნენ.

მაგრამ კახეთში კარგად იცოდნენ, რომ ოსმალეთი კახეთის მფარველ მოკავშირედ ისევე არ გამოდგებოდა, როგორც ყიზილბაშური ერანი. მართლაც და ამავე ხანებში ოსმალეთის ხვანთქარს ეყმო შამხალი. კახეთის დაუძინებელი მტერი, დაღისტნელ აბრაგთა კახეთზე თავდასხმების მთავარი ორგანიზატორი. ოსმალების მფარველობის ქვეშ შამხალი კახეთისათვის განსაკუთრებით საშიში შეიქმნა. „ათასი წლის ყმები" (ე. ი. დაღისტნელები), როგორც ალექსანდრე მეფე ამბობდა, ხელიდან წაუვიდნენ კახეთის მეფეებს და შამხალის მეთაურობით საძარცვავ-საოხრებლად შემოადგნენ მშვიდობიან ქვეყანას. ოსმალეთის სულტანთან სამართლის ძებნა უიმედო საქმე იყო: ოსმალეთი დაინტერესებული იყო ქართველი ტყვეების შეძენაში და შამხალ-დაღისტნელთა აბრაგობას ხელს უწყობდა.

შეეიწროებული პოლიტიკური მდგომარეობიდან გამოსავალი ალექსანდრე მეფემ რუსეთთან კავშირში დაიგულა. 1587 წელს ის ეყმო მოსკოვის მეფე თეოდორეს და შამხალ-დაღისტნელთა წინააღმდეგ (და საბოლოოდ კი ერან-ოსმალეთის წინააღმდეგაც) მისი გამოყენება სცადა.

1592 წელს ოსმალეთმა კიდევ ერთი მტრული აქტით გამოამჟღავნა კახეთის მიმართ თავისი ნამდვილი დამოკიდებულება. ისევე როგორც სპარსეთის შაჰმა ამ ოცდაათი წლის წინ, ხვანთქარმაც წა-

ხურის ბეგს წყალობის თვალით შეხედა და ის ალექსანდრე მეფის მხრით „შეეიწროებისაგან“ საგანგებოდ „დაიცვა“.

ალექსანდრე მეფე კარგად იყო მიხვედრილი ყიზილბაშთა შაჰისა და ოსმალეთის სულტნის ასეთი შეთანხმებული საქმიანობის აზრს. ის, რა თქმა უნდა, მოძალადეთა ამ აქტებს არა სცნობდა და წახურის ქვეყანას ძველებურადვე თავის სამფლობელოდ სთვლიდა. 1588 წელს კახეთის მეფის ელჩები აცხადებდნენ მოსკოვში, რომ „Саѳурской подданой Александра царя; а от Саѳурского до Иберские земли ходу 3—2 дни“., (Белокуров, СРК, I, 59).

კახეთის პოლიტიკური მდგომარეობა სულ უფრო და უფრო ვართულდა. მის დაპყრობას ცდილობდნენ ყიზილბაშური ერანიც და ოსმალეთიც. ალექსანდრე მეფის მიერ მიღებული საწინააღმდეგო ღონისძიება — მოსკოვის მეფისადმი ყმობა და რუსთა ჯარის კახეთში მოხმობა (საშამხლო — დაღისტნის წინასწარი დაპყრობით) საბედისწერო აღმოჩნდა კახეთის მეფისათვის და, შემდეგ, თვით კახეთისათვის. ოსმალთა და შამხალ-დაღისტნელთა შეერთებულმა ჯარმა რუსთა ლაშქარი საშამხლოში დაამარცხა, ხოლო შაჰაბასმა რუსთმოყვარე ალექსანდრე მეფე და მისი მემკვიდრე ღალატით ამოახოცვინა 1605 წელს(Белокуров, СРК, I, 485).

მაგრამ, ვიდრე ამ მუხანათურ საქმეს შეასრულებდა, შაჰაბასმა კახეთის ტერიტორიას ხელი ადრევე შეახო. მან კახეთის მეფეს გამოსთხოვა ჰერეთის აღმოსავლეთი განაპირა თემი, რომელიც სამმართველოდ წახურელ ალიბეგს უწყალობა, სულტნის პატივში აიყვანა ის და შაჰის მფარველობის ქვეშ გამოაცხადა. ცბიერმა შაჰმა ალექსანდრე მეფეს სამაგიეროდ მრავალი სოფელი უწყალობა... ერანში. ამრიგად, ამიერიდან კაკ-ენისელის (ძველი ჰერეთის) აღმოსავლეთი ნაწილი კახეთს ჩამოსცილდა და შემდეგი დროის ელისუს სასულტანოს საფუძველი ჩაეყარა. ადგილობრივი ქართული მოსახლეობის გვერდით ამიერიდან თანდათან იწყეს ჩამოსხდომა მთის გადაღმიდან წახურელმა მოახალშენეებმა. ალექსანდრე მეფე იძულებული იყო შერიგებოდა, სათვალმჩენოდ მაინც, ცბიერი შაჰის ამ მზაკვრულ ღონისძიებას. ელისუს ან კაკის სასულტნო მდინარეებს ყანი ყობისა და ყაფიჩაის შორის მდებარე ტერიტორიას ეწოდა. ასე რომ 1605 წელს კახეთის სამეფოს აღმოსავლეთ საზღვრად ყიზილბაშები ყაფიჩაის სთვლიდნენ(Белокуров, СРК I,), თუმცა ქართველები ამ ფაქტს არ ურიგდებოდნენ და ელისუს სასულტნოს ისევ საქართველოდ (კახეთად) უყურებდნენ და კახეთის აღმოსავლეთის საზღვრად ისევ ყანი ყობი მიაჩნდათ (Посольство князя Мышецкого и дьяка

Ключарева в Кахетию, 161). წახურის სულტანსა და კახეთის მეფეს შორის, ბუნებრივია, ჭტრობა-უნდობლობა სუფევდა. საქართველოს მტრების მიერ და მისდაგე სამტროდ შექმნილი სულტანი მფარველობა-დახმარებას სპარსეთის შაჰისა თუ ოსმალეთის ხვანთქრის კარზე ეძებდა და პოულობდა კიდევაც; საქართველოს დამხობის საქმეში ორივე მტაცებელი—ყიზილბაშური ერანი და ოსმალეთი ერთიმეორეს ტოლს არ უდებდნენ.

1607 წელს წახურელი ალი სულტანი კვლავ ეღირსა ოსმალეთის ხელმწიფის წყალობა-მფარველობას. ხვანთქარმა ოსმან II ალი სულტან წახურელს ელისენის ზეგანის ქართული სოფლები კაკი მეშაბაში, ზარნა, ყუმი და სხვ. „უწყალობა“.

თავისი მხრით არც შაჰაბასს მოუკლია „წყალობის თვალი“ ალი სულტნისათვის და ამის შედეგი ის იყო, რომ, როცა გვიან, 1613 — 1616 წლებში, ყიზილბაშთა შაჰი კახეთის მოსათხრელად წამოვიდა, მას ახლდა თავისი რაზმით წახურელი ალი სულტანიც და კახეთის წასახდენად თავს არ ზოგავდა.

საქართველოს მიმართ შაჰაბასი ყველაზედ თანმიმდევრულიყიზილბაში იყო. მისი მოღვაწეობა ამიერკავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში თურქმან-ყიზილბაშ მომთაბარეთა მიერ ქართული მიწების მიტაცებისათვის ბრძოლის ახალ ეტაპს მოასწავებდა. საქართველოსა და თურქმან-ყიზილბაშებს შორის ორასი წლის მანძილზე მიმდინარე ბრძოლას შაჰაბასმა თავი მოაბა. საქართველოს სამხრეთით და აღმოსავლეთით, მის ყოფილ მიწა-წყალზე გაქრა ქართული მიწისმფლობელობა, გადაშენდა ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობა. საბოლოოდ განმტკიცდა ამ ადგილებში სახანო-სასულტანოები (ლორე-ბამბაკი, შორაგალი, შამშადილუ, ყაზახი, ბორჩალუ, ბაიდარი და მტკვრის მარცხენა მხარე—დემურჩი ასალუ) თურქმანულ-ყიზილბაშური მომთაბარე მოსახლეობით.

მაგრამ შაჰაბასმა საქართველოს გადაგვარება-გადაშენების შემდგომი ეტაპიც დასახა. ჯერ კიდევ 1603 წელს, სწორედ იმავე დროს, როცა ერთის მხრით აღმოსავლეთ კახეთში ელისუს სასულტნოს საფუძველი ჩაუყარა, ხოლო ქართლში ლორის სასულტნო შექმნა, შაჰმა აიძულა კახეთის მეფე ალექსანდრე, რათა თავის სამეფოში თურქმან მომთაბარეთა ერთი ტომი ხიზნად მიეღო (Белокуров, СРК, 484).

1613 წელი შაჰაბასმა შესაფერისად სცნო იმისათვის, რომ გადამწყვეტი შეტევა დაეწყო საქართველოს წინააღმდეგ. 1613 — 1616

წლებში მან სავსებით გამოამჟღავნა საიდუმლო ზრახვები, აქამდე რომ აგრე ოსტატურად შენიღბულს ატარებდა. შაჰმა კახეთის (თავდაპირველად) ქართველთაგან დაცლა და მისი თურქმან-ყიზილბაშ მომთაბარეთა სადგურად გადაქცევა დაიგულა.

ომისათვის შაჰაბასი საგანგებოდ შეემზადა. კახეთის ამოსაგდებად წამოსული შაჰი მხსნელ-მფარველად მოევლინა არა მარტო წახურელ სულტანს, არამედ ტყვეებით მოვაჭრე შამხალ-დაღისტნელებსაც და ყველა ამათ რუსთა მოკავშირე კახეთის ამოსაგდებად მოუწოდა.

საქართველოს ისტორიაში უმაგალითო დღეები დადგა. ეელურის ენერგიით ანგრია მტერმა სასახლეები, ციხეები, ეკლესია-მონასტრები, საგანგებოდ აჩეხინა შაჰმა კახეთის ბაღ-ვენახები. ხოლო მოსახლეობა, ვინც გაწყვეტას გადაურჩა, სპარსეთს გადაასახლა (40. 000 კომლი).

უდაბნოდ აქცია მტერმა აყვავებული ქვეყანა, თუმცა თავის საბოლოო მიზანს მან მაინც ვერ მიაღწია. კახეთისათვის ომი უახლოეს წლებშივე ქართლისათვის ომად გადაიქცა და დიდი მოურავი გიორგი საკაძე ქართველობისათვის ბრძოლაში დაუღალავ თეიმურაზს ურყევ ბურჯად გვერდში ამოუდგა.

ქართველ ხალხს ეყო გამძლეობა იმისათვის, რომ დაუნდობელ მტერთან გადამწყვეტ ომში (1623—1625 წწ.) თავი დაეცვა საბოლოო განადგურებისაგან. მტერი დარწმუნდა, რომ ამჯერად მას განაზრახის შესრულების ღონე არ შესწევს. შაჰაბასმა საქართველოს მოთხრის პოლიტიკა ეხლა მასთან მორიგების პოლიტიკით შეცვალა, თუმცა თავდაპირველი განაზრახი—საქართველოს გადაქცევა თურქმანულ-ყიზილბაშური ტომების სამომთაბარეოდ — მას საბოლოოდ არ უარუყვია და თავის მემკვიდრეებს ეს ამოცანა ანდერძადაც დაუგდო.

შაჰაბასთან ომში ქართლზე უფრო კახეთი აოხრდა. შაჰის საგანგებო ღონისძიებანი ქვეყნის გასანადგურებლად კახეთში უფრო ეფექტიანი აღმოჩნდა. განსაკუთრებით კი ამ ქვეყნის აღმოსავლეთი ნაწილი დაზარალდა. ამის მიზეზი ის განსხვავებული ვითარება იყო, რომ კახეთს ამ ნაწილში ზურგის მისაყრდენი საიმედო მთა არ ახლდა, სადაც მოსახლეობას დახიზნვა შესძლებოდა. პირიქით, დაღისტანი, როგორც აღვნიშნეთ, კარგა ხანია მისდა სამტროდ იყო ამდგარი. შაჰმა ოსტატურად ისარგებლა ამ ვითარებით და ყოველი მხრით ალყაშემორტყმულ ქვეყანას საკუთარ ყიზილბაშებთან ერთად დაღისტნელ აბრაგთა დასტები ასაოხრებლად მიუსია.

წახურელი ალი სულტანი განსაკუთრებით გაისარჯა. კახეთის ამოგდების ორგანიზატორმა შაჰაბასმა საგანგებოდ აღნიშნა, 1616

წელს, სულტნის ეს სანაქებო ერთგულება და მოუწოდა მას, რათა ამის შემდეგაც ასეთივე თავდადებით განაგრძოს შაჰის სამსახური და შარვანის ბეგლარბეგ ჯუსუფ ხანთან ერთად კახეთის რბევა-ოხრება არ შეანელოს. და ალი სულტანი იმის შემდეგაც თავს არ ზოგავდა კახეთის სამტროდ, ვიდრე თეიმურაზ მეფემ მოღალატე ყმას არ „შეანანა სიკვდილით მოყოლა შაჰაბაზისა“ (არჩილიანი, გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა, § 708). როგორც კი თეიმურაზ მეფემ დრო იხელთა (ეს იყო 1626—1628 წლებში), მან ჯარი შეუსია ს ა რ უ ბ ა შ ს (მთის სოფელია ქურმუხის წყალზე), სადაც წახურის სულტანი იმყოფებოდა. მიმხდურებმა სოფელი აიკლეს, ხოლო ალი სულტანს თავი მოსჭრეს.

შაჰაბასთან სისხლიან ომში კახეთი თითქმის სულერთიანად დაიცალა ქართველი მოსახლეობისაგან. შაჰმა პირველად გაევრანებული კახეთი განჯის ხანს ჩააბარა და მისი თურქმან-ყიზილბაშებით „დასახლება“ ამავე ხანს დაავალა. მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ქართლისათვის ომი შაჰმა ვერ მოიგო და ის იძულებული გახდა დაეთმო და ქედმოუდრეკელი თეიმურაზი ისევ კახეთის მეფედ ეცნო.

ამრიგად, კახეთში თურქმანები ამჯერად ვერ დაასახლეს, მაგრამ იქ აღარც ქართული მოსახლეობა იყო და ქვეყანა, განსაკუთრებით მისი აღმოსავლეთი ნაწილი, უფრო პარტახსა და ნაოხარს წარმოადგენდა.

თეიმურაზ მეფე ბევრს ეცადა უკან დაებრუნებინა შაჰაბასის მიერ ერანს გადარეკილი ქართველი მოსახლეობა, მაგრამ ამაოდ ქართველი მიწის მუშა ძვირფასი შენაძენი იყო ყიზილბაშური ერანისათვის, ხოლო მოსახლეობისაგან დაცალიერებული კახეთის თურქმანებით დასახლების განზრახვას შაჰი საბოლოოდ მაინც არ ეხსნებოდა.

კანონში კარგად იცოდნენ, რომ „Иверия (ე. ი. კახეთი) хорошая страна и скоро укрепляется“ (Переписка на иностранных языках грузинских царей с Российскими государями, 50), იცოდნენ, რომ მისი მოშენება სწრაფად მოხდებოდა, ოღონდ საამისო პირობები შექმნილიყო. და თეიმურაზ მეფე გადარჩენილი კახელებით დაუღალავად იბრძოდა ასეთი პირობების შექმნისათვის, მაგრამ მძიმეც ის იყო, რომ ამ პირობების შექმნა მეტისმეტად ძნელდებოდა. ამის უმთავრესი მიზეზი დაღისტნელთა (ავარიელთა) შემოტევა იყო.

შ ა ჰ ა ბ ა ს ყ ა ე ნ მ ა კ ა ხ ე თ ი ს ა ო ხ რ ე ბ ი თ დ ა ღ ი ს ტ ნ ე ლ ე ბ ს გზა გ ა უ ხ ს ნ ა. დასუსტებულ ქვეყანას მთიელ აბრაგთა აქტიური მოგერიების ღონე აღარ შესწევდა და შემოტევაც სულ უფრო და უფრო საშიშ ხასიათს იღებდა.

გავერანების შემზარავ სურათს წარმოადგენდა კახეთი XVII საუკუნის 40-ან წლებშიაც კი,—განსაკუთრებით მისი აღმოსავლეთი ნაწილი, ე. ი. ძველი ჰერეთი. ოდესღაც აყვავებული ქალაქებისა და სოფლების ნანგრევებზე ტყე გაზრდილიყო, ცოცხალი სოფელი იშვიათი იყო. ქვეყანას დაღისტნელი აბრაგები მოსდებოდნენ. დარბეულ ამოწყვეტილი დიდად შემცირებული ქართული მოსახლეობა თავს ძლივს იცავდა ამ მტაცებელთაგან (М. Полиевктов, Посольство князя Мышецкого и дьяка Ключарева в Кахетию 1640—1643 гг., Тб., 1937, გვ. 124—125 და სხვ.)

წახურელ-ავარიელნი თანდათან ჩამოსხდნენ კაკ-ენისელის მთისძირობა სოფლებში, სადაც ქართველი მოსახლეობა განვლილი კატასტროფისა და, შემდეგ, ბოლომოუღებელი ტყვენვა-ოხრების გამო მეტისმეტად ათხელებულიყო.

XVII საუკუნის 70-იან წლებამდე ქართლ-კახეთისა თუ კახეთის მეფეები (თეიმურაზი, როსტომი, არჩილი) ახერხებდნენ, რათა ეს დაღისტნელი მოახალშენეები მორჩილებაში ჰყოლოდათ; ჩამოსახლებულნი კახეთის მეფის ბატონობას სცნობდნენ.

ასეთი ვითარება გრძელდებოდა, ვიდრე სპარსეთის შაჰი კახეთში ქართველ მეფეთა ხელისუფლებას იწყნარებდა.

მდგომარეობა არსებითად შეიცვალა XVII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში.

როგორც აღვნიშნეთ, კახეთის თურქმან-ყიზილბაშებით დასახლების იდეა სპარსეთის შაჰის კარზე საბოლოოდ არ გამქრალა. XVII — XVIII საუკუნის მანძილზე შაჰის ხელისუფლებამ ორჯერ სცადა ამ შაჰაბასისეული იდეის განხორციელება. ერთი ასეთი ცდა 1656—1663 წლებში მოხდა. შაჰმა კახეთი ჩამოართვა ქართლის მეფეს როსტომს, გადასცა ის ყიზილბაშ სელიმ ხანს და დაავალა მას ქვეყნის დასახლება თურქმან-ყიზილბაშ მომთაბარეებით. ხანმა კახეთში დიდი რაოდენობით შემოიყვანა თურქმანთა ურდოები, რომელთაც იორ-ალაზნის ჭალები ერთიანად დაიჭირეს. ქართულ კახეთს სიკვდილი კარს მოადგა. ამას კი სახალხო ომი მოყვა. ქართული მთა და ბარი ერთბაშად წამოიშალა და თურქმანი მომთაბარე-მოახალშენეები კახეთის მიწიდან აღგავა (1659 წ.). სპარსეთში ერთხელ კიდევ დაინახეს, რომ საქართველოს მოთხრის ღონე მათ არ შესწევთ და უკან დაიხიეს: კახეთი ისევ ქართველ მეფეს (არჩილს) ჩააბარეს. მაგრამ 1674 წლიდან კახეთში პოლიტიკური მდგომარეობა კვლავ შეიცვალა. ქართველი მეფის ადგილი ისევ ყიზილბაშ ხანმა დაიჭირა, ხოლო ქართული სახელმწიფოებრივი წყობილების ნაცვლად აქ ეხლა სპარსულ-ყიზილბაშური წესების შემოღება სცადეს.

ხანების ასეთი პოლიტიკით უკმაყოფილო კახელებს თვალი აჯანყებისაკენ ეჭირათ, ბუნებრივია, ხანებიც უნდობლად უყურებდნენ მათ და ხელისუფლების დასაყრდენს ქართველთა მოწინააღმდეგეებში ეძებდნენ. ასეთები იყვნენ: ყიზილბაშთა ჯარი, ხანს რომ ახლდა, თურქმანი მომთაბარენი, რომელნიც კახეთის ველებში აქაიქ კიდევ ბოგინობდნენ და კაკ-ენისელის მოახალშენე წახურელ-ავარიელნი. 1674 წლიდან 1703 წლამდე გრძელდებოდა კახეთში ყიზილბაშ ხანების მმართველობა. ამ დროის განმავლობაში ვითარება კახეთის აღმოსავლეთ ნაწილში არსებითად შეიცვალა. დაღისტნელები მრავლად ჩამოსხდნენ კაკ-ენისელის ზეგანის ქართულ სოფლებში. ხანების ხელისუფლება წახურელ-ავარიელ მოახალშენეებსა და აბრაგებს მფარველობდა, ხოლო ადგილობრივ ქართველ მოსახლეობას სასტიკად ავიწროებდა.

— დაღისტნელი მოახალშენეები ახალ მიწახე, ქართულ სოფლებში, იმავე წესით ეწყობოდნენ, როგორიც მათ მთაში ჰქონდათ,—გვარებად, თემებად (თოხუმებად, ჯამაათებად). ადგილობრივ ქართველ მოსახლეობას ეს პირველყოფილი მოახალშენეები ან „ძმად შეიჯრიდნენ", ე. ი. გაამჰმადიანებდნენ და თავიანთი თემის (ჯამაათის) წევრად მიიღებდნენ, ან, „ურწმუნოებს", მონებად დაჰყიდდნენ.

ასეთ პირობებში ყოველმხრით დევნილი, სასომიხდილი ქართველი გლეხობა თანდათან გატყდა, მან „გალეკება" იწყო. გ ა ლ ე კ ებ ულ ი ქ ა რ თ ვ ე ლ ი მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ა მ ო ა ხ ა ლ შ ე ნ ე ე ბ ს შ ე ე რ ი ა და, ა მ რ ი გ ა დ, თ ა ნ დ ა თ ა ნ წ ა რ მ ო ი შ ვ ა კ ა კ-ე ნ ი ს ლ ი ს ზ ე გ ა ნ ი ს ა წ ი ნ დ ე ლ ი „ლ ე კ უ რ ი" ს ო ფ ლ ე ბ ი: ბელაქანი, კატეხი, მაწეხი, გოგამი, ჭარი, თალა, მუხახი, შამრუხი და სხვ. (ეს ფაქტი ჭარ-ბელაქანის მცხოვრებთ კარგად ახსოვდათ XIX საუკუნის 70-ან წლებში. „ზაქათლის ოლქის წოდებათა და საადგილმამულო ურთიერთობის გამომკვლევ კომისიას" 1872 წელს გ ო გ ა მ ე ლ ე ბ მ ა განუცხადეს, რომ ისინი „как себя, так и большинство лезгин причисляют к коренным жителям здешней местности—грузинам" იხ. „საარქივო საბუთები ჭარ-ბელაქნის შესახებ" გვ. 508, გამოცემა დოც. მ. დუმბაძის, ცალკე ამონაბეჭდი).

როცა გვიან, 1703 წელს, სპარსეთის შაჰმა კახეთი ისევ შემკვიდრე ქართველ მეფეს ჩააბარა (ერეკლე I და მისი ძე დავით), „კაკ-ენისელში მდგომარეობა არსებითად შეცვლილი იყო. მთის ძირობის „ლეკურ" მაჰმადიანური მოსახლეობა ქართველი მეფის მორჩილებას არ აპირებდა. „ჭარ-ბელაქნელ" „ლეკებს" დამხმარედ ჰყავდათ დაღისტნელი აბრაგები, რომლებთან ერთად ეს „მოახალშენეები" მთელს კახეთს სატყვენავად-საძარცვავად მოსდებოდნენ.

ბოლომოუღებელი ომი გაიმართა: „კახეთში თავადები აღარ დარჩნენ, ჯარში კი ვაჟკაცები“ („В Кахетии не осталось тавадов а в Джаре молодцов“—Хроника воин Джара в XVIII столетии გვ. 9). დავით კახთა მეფე ძალებს არ ზოგავდა, რათა ეს ახლად შექმნილი „ლეკური“ თემები („უბატონო“ თემები) კვლავ დაემორჩილებინა, მაგრამ რაც დრო გადიოდა, „ლეკებთან“ ბრძოლა სულ უფრო და უფრო ძნელდებოდა. 1706 წელს დავით კახთა მეფე (იმამყული ხან) ქიზიყიდან (ყარაღაჯა) გაღმა მხარეში, ანუ ენისლის სამოურავოში გადავიდა და ქართულ სოფელ ვ ა რ დ ი ა ნ შ ი (აწინდელი გ ჯ ე ულ ლ ჯ უ კ კახსა და ზაქათალას შორის) დადგა. აქედან კახთა ჯარმა ენისელის ზეგანის „ლეკურ“ სოფლებს შეუტია. კახელებმა ჩ ა რ დ ა ხ ი აიღეს და თალა-ჭარისაკენ გაილაშქრეს, მაგრამ დამარცხდნენ. დავით მეფე ყარაღაჯს დაბრუნდა, ხოლო გამარჯვებული „ლეკები“ გაღმა მხარის დაბლობის დაპყრობას შეუდგნენ.

უთანასწორო ომი მრავალ წელს გრძელდებოდა. მერაბ ენისელთ მოურავი გაღმამხრელ ქართველი გლეხებით მხნე თავგამოდებით ებრძოდა მომხდურებს. შიგადაშიგ დავით მეფეც კახელებით ეშველებოდა საფრთხეში ჩავარდნილ კუთხეს, მაგრამ კარგად ჩანდა, რომ მრავალგზის ამოწყვეტილ-აოხრებულ კახეთს დაღისტნელთა შემოტევის მოგერიება ძველებურად არ შეუძლია და ამის უმთავრესი მიზეზი თვით კახეთის სოციალურ-პოლიტიკური წყობა უფრო იყო, ვიდრე დაღისტნელთა სიმრავლე ან მათი სამხედრო ორგანიზაცია.

მრავალწლოვან ომში გაწყდა კახელ, განსაკუთრებით, გაღმამხრელ გლეხთა დიდი რაოდენობა. ერთ-ერთი მარცხის დროს (1716 წლის ახლო) სხვა ოცდაექვს „წარჩინებულთან“ ერთად ომში დაიღუპა მერაბ ენისელთ მოურავიც და „გლეხნი მრავალნი“ (ვახუშტი, საქ. ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, 204), მაგრამ ყველაზედ უარესი ის იყო, რომ გაღმა მხარი, განსაკუთრებით, ყოვლად გაუსაძლისი გახდა კახელი გლეხისათვის: „ლეკური ომი“ და კულტურული მეურნეობა—მიწისმოქმედება შეუთავსებელი მოვლენები იყო.

„ლეკთა“ მოძალების გამო კახეთის მეფემ ჯერ ისევ 1706 წლის ახლო ხანში დასტოვა ქიზიყი და თავისი ადგილსამყოფელი ყ ა რ ა ღ ა ჯ ი დ ა ნ. თ ე ლ ა ვ ს ა და მ ა ნ ა ვ ს გადმოიტანა (ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, 200—201).

სწორედ ამ ხანებში (ე. ი. XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში) საერთაშორისო ურთიერთობა წინა-აზიაში კრიტიკული შეიქნა. განვითარების უნარდაშრეტილი სეფიანთ ყიზილბაშური სახელმწიფო სიკვდილის პირას მიმდგარიყო. მის მიერ დაპყრობილი ხალხე-

ბი განთავისუფლებისათვის ომს იწყებდნენ. აღმოსავლეთში ავღანნი აჯანყებულიყვნენ, დასავლეთში ქართველები ურჩობდნენ. გარეშემო სახელმწიფოები კი მისუსტებული მეზობლის ნაქონევის მისატაცებლად ემზადებოდნენ. განსაკუთრებით ოსმალეთი აქტიურობდა.

ერანის პოლიტიკური დასუსტებით დაღისტნელებმა დრო იშოვეს და აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ქვეყნებს საძარცვავად მოედვნენ. შარვანი, შაქი, ყარაბაღი და შორეული არაზს გაღმართიც კი არდაველამდის დაღისტნელ აბრაგთა სათარეშოდ იქცა. მეორეს მხრით დაღისტნელებმა „გაღმამხრელ ლეკებთან" ერთად გადმოლახეს კახეთი და ქვემო ქართლს შემოუტიეს.

აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ცხოვრება სულერთიანად აირია, ნორმალური მშვიდობიანი ურთიერთობის ისედაც არამყარი პირობები ადვილად მოიშალა და ტყვეენა-ოხრობის აუტანელი ხანა გაბატონდა.

დაღისტნელების ასეთ მოქმედებას ოსმალეთი მფარველობდა. „უზენაესი ხალიფა" (ე. ი. ოსმალეთის სულტანი) „ურწმუნოების" (ე. ი. ქრისტიანებისა და შიას მიმდევარი მუსლიმანების) წინააღმდეგ ბრძოლას (ე. ი. ამ ქვეყნების ტყვეენა-ოხრობას) ღვთის სათნო საქმედ აცხადებდა და „მართლმორწმუნე" დაღისტნელებს (დაღისტნელები ოსმალური ყაიდის მუსლიმანები იყვნენ) კიდევ უფრო დაუნდობელი ბრძოლისათვის მოუწოდებდა. რეალურად კი ის გამოდიოდა, რომ ა ღ მ ო ს ა ვ ლ ე თ ა მ ი ე რ კ ა ვ კ ა ს ი ი ს დ ა ს ა პ ყ რ ობ ლ ა დ ო ს მ ა ლ ე თ ი ნ ი ა დ ა გ ს დ ა ღ ი ს ტ ნ ე ლ თ ა ს ა შ უ ა ლ ე ბ ი თ ი მ ზ ა დ ე ბ დ ა.

ერანის თავგზააბნეული მთავრობა დაღისტნელ მოთარეშეთა წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციას ვერ ახერხებდა. დაღისტნის მეზობელი სახანოები ამ საქმისათვის უვარგისნი ჩანდნენ: ზოგი სუსტი იყო, ზოგს კიდევ შაჰი არ ენდობოდა. ქართლის მეფის ერთგულებისა შაჰს არა სწამდა, ეშინოდა, და არც თუ უსაფუძვლოდ, რომ დაღისტნელების დამარცხებით ქართლის მეფე გაძლიერდებოდა, „ლეკთა" მიერ მინატაცებ „ქვეყანას ის დაიჭერდა" (საქართველოს ცხოვრება, სეხნია ჩხეიძე, 33) და შაჰის წინააღმდეგ თვით აჯანყდებოდა.

ერანის შაჰმა დაღისტნელთა წინააღმდეგ ლაშქრობა ისევ შარვანის ხანს უბრძანა. „ლეკებმა" ხანი დაამარცხეს, მოკლეს და თვით შარვანიც (შამახიით) დაიჭირეს (იქვე). გამარჯვებულმა ჭარელებმა ეხლა კიდევ უფრო დიდის ძალით შემოუტიეს კახეთს.

ამავე ხანებში აჯანყებულმა ავღანელებმა (მაჰმუდის მეთაურობით) ისპაანი აიღეს და სპარსეთის ხელმწიფე შაჰ სულთან ხუსეინი დაატყვევეს (1722 წ.). შაჰის ერთ-ერთი შვილი ისპაანიდან გამოიპარა და ყაზვინ-თავრიზში შემოხიზნული შაჰობას იჩემებდა. ამრიგად, სპარსეთის პოლიტიკური საქმეები უიმედოდ აირია. ოსმალეთმა დრო შესაფერისად სცნო და სპარსეთის ნაქონევი ქვეყნების დასაპყრობად ამოძრავდა. ამასთან დაკავშირებით რუსეთიც (პეტრე I) იძულებული შეიქნა ნაადრევად დაეწყო ლაშქრობა კასპიის ზღვის სანაპიროების დასაჭერად.

მთელი ეს საქმე ამჯერად იმით დამთავრდა (1724 წ.), რომ კასპიის ზღვის დასავლეთისა (კავკასიის) და სამხრეთის (გილან-მიზანდარანის) სანაპირო ზოლი რუსეთმა დაიჭირა, ხოლო დანარჩენი ამიერკავკასია და სხვა მრავალი ქვეყანა ოსმალეთმა.

ვახტანგ მეფე რუსეთს გადაიხვეწა. ქართლში „ოსმალობა" დაიწყო.

კახეთის მეფე კონსტანტინე ბევრს ეცადა, მაგრამ ისე დაიღუპა (1731 წ.), რომ ოსმალეთთან მორიგების პირი ვერ გამონახა.

ამავე დროს დაღისტნელები სულ უფრო და უფრო მეტის ენერგიით ცდილობდნენ კახეთის მთლიანად დაპერას. მართალია, მათ საამისოდ ძალა არ ეყოთ და აჯანყებულმა კახელებმა ახალი დამპყრობლები იფრინეს, მაგრამ გაღმა მხრის ზეგნელმა „ლეკებმა" ამასობაში ის მაინც მოახერხეს, რომ ენისლის ალაზნის-პირა ქართული სოფლები მტკიცედ დაიპყრეს.

1727 წელს ოსმალეთის სულტანმა საგანგებო ფირმანით საშვილიშვილოდ დაუმტკიცა ჭარელ ლეკებს მათ მიერ მინატაცები ქვეყანა იმ სამსახურისათვის, რომელიც ჭარელებმა მართლმორწმუნეთა ფადიშაჰს ისლამის გავრცელების საქმეში აჩვენეს (Кавказский календарь. 1866 г. А. Посербский, Очерк Закат. Округа, 23. Хроника войн Джара XVIII столетия, 13)[4].

ამრიგად, მტაცებელმა ოსმალეთმა მტაცებელ ჭარელებს გავაზის წყალსა და ყაფუჩაის შორის გაღმა მხარი დაუმტკიცა (ყაფუჩაის აღმოსავლე-

---

[4] XIX საუკუნეში ცარიზმმა იცნო „კანონიერება" ოსმალო მტაცებლის ამ აქტისა მის ის ნაწილში, რომელიც ჭარ-ბელაქნელ დამპყრობელთა შემამულეობას შეეხებოდა. ცარიზმმა იცნო ჭარ-ბელაქნელ აღლარების მებატონური „უფლება" ინგილოთა სოფლებზე, ინგილოთა მიწებზე. რაღა გასაკვირველია, თუ ოსმალეთის სულტნის მმადლობელი ჭარ-ბელაქნელი აღლარები „грамоту эту турецкого правительства берегают как святыню и до ныне и показывают ее с особенною горлостью (როგორც აღნიშნავდა А. Посербский 1866 წელს ზემორე მითითებულ სტატიაში).

თით ვიდრე ყანიყობიმდე გაღმა მხარი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ელისუს სულტანს ეპყრა იმავე ოსმალეთის სულტნისა და სპარსეთის შაჰის ნება-სურვილით).

გაღმამხრის ლეკური „უბატონო თემები“, ამრიგად, მ ე ბ ა ტ ო ნ ე თ ე მ ე ბ ა დ იქცნენ. დაპყრობილი ქართული სოფლები ჭარელებმა მძიმედ დაბეგრეს. ამავე დროს მათ თანდათან აიძულეს ქართველი მოსახლეობა მაჰმადიანობა მიეღოთ. აი, ამ დამორჩილებულ-დაბეგრილ ქართველ გლეხს ეწოდა ი ნ გ ი ლ ო განსხვავებით ტერმინ „ლეკისაგან“, რომელშიაც უპირატესად მებატონე ან თავისუფალი იგულისხმებოდა დამოუკიდებლად იმისაგან, თუ ვინ იყო ის წარმოშობით: ავარიელი, წახურელი თუ ქართველი („გალეკებული“). ა ს ე რ ო მ „ლ ე კ ი“ დ ა „ ი ნ გ ი ლ ო“ უ ფ რ ო ს ო ც ი ა ლ უ რ ი შ ი ნ ა ა რ ს ი ს ც ნ ე ბ ე ბ ი ა, ვ ი დ რ ე ე თ ნ ი კ უ რ ი. (კიდევ უფრო მეტად სოციალური შინაარსი ხაზგასმულია ეთნიკურ სახელს „მუღალში“. ამ სახელით აღინიშნება გაღმა მხარეში მეზობელ განჯა-შაქიდან XVII — XIX ს-ში შემოსახლებული მონღოლურ-თურქმანული წარმოშობის გლეხობა. მაგრამ ამ სახელს („მუღალ“) „ლეკები“ XIX ს-ში უწოდებდნენ უკვე არა მარტო თურქმან-მონღოლ გლეხობას, არამედ ყველა მებეგრეს, მათ შორის ინგილოსაც).

ასე წარმოიშვა საქართველოს მიწაზე ეს ახალი პოლიტიკური ერთეული „უბატონო“ „ლეკური“ თემების სახელმწიფო. მას ჭ ა რ ბ ე ლ ა ქ ა ნ ი ან მარტივად ჭ ა რ ი ეწოდა (იმ უპირატესობის გამო, რომელიც ჭარსა ჰქონდა ამ თავისუფალ თემთა კავშირში).

საქართველოს დაუძინებელი მტრების—სპარსეთისა და ოსმალეთის ხელისშეწყობით საქართველოსავე სამტროდ შექმნილი ეს პოლიტიკური ერთეული ქართველთა მძიმე მარცხის მაჩვენებელი იყო მტაცებელ-დამპყრობელებთან საუკუნოვან ბრძოლაში. ეს ფაქტი უშუალო კავშირში იმყოფებოდა ოსმალეთის მიერ მესხეთის, ქვემოგურიის და აფხაზეთის მიტაცებასთან, უშუალო კავშირში იმყოფებოდა ის ქართლის მიწაზე ყიზილბაშური სახანო-სასულტნოების შექმნასთან შორაგალში, ლორეში, ბორჩალუში, ბაიდარში, ყაზახში, შამშადილში.

ეხლა სპარსეთი და ოსმალეთი საქართველოს (და „ქართველობის“) გასაქრობად უკანასკნელ გადამწყვეტ შეტევაზე გადმოსულიყვნენ. 1723 — 1735 წლებში ოსმალეთმა ქართლში „ოსმალობა“ შემოიღო, ამასვე აპირებდა ის იმერეთ-სამეგრელოშიაც, სადაც ქვეყნის უმნიშვნელოვანესი ციხე-სიმაგრეები უკვე დაჭერილი ჰქონდა. სპარსეთიც ქართლ-კახეთში „ქართველობის“ გაქრობასა და „ყიზილბაშობის“ შემოღებას ცდილობდა (1736—1745 წწ.).

საქართველოს ყოფნა-არყოფნის დღე იდგა.

ქვეყნის სასიცოცხლო ძალთა უკიდურესი დაჭიმვით საქართველომ შესძლო მტრების განაზრახთა ჩაშლა. ქართლ-კახეთმა ჯერ „ოსმალობა", ხოლო შემდეგ „ყიზილბაშობა" უკუაგდო და ერეკლე მეფის ბრწყინვალე ხელმძღვანელობით საქართველოს „აღდგომისა" და „გამოხსნის" საბრძოლო გეგმა დასახა. მტერთა მიერ მიტაცებული მიწების შემოერთება „აღდგომაში" იგულისხმებოდა, ხოლო „გამოხსნა" აზიელ დამპყრობელთა პოლიტიკური დამოკიდებულებისაგან საბოლოო განთავისუფლებას ნიშნავდა.

ასევე გმირული და ბრწყინვალე იყო ბრძოლა, რომელსაც სოლომონ პირველის მეთაურობით იმერეთის სამეფო ოსმალეთის წინააღმდეგ აწარმოებდა XVIII საუკუნის მეორე ნახევარში. იმერლებმა გააძევეს დამპყრობელი ოსმალები ქვეყნის შიგნითიდან და შემდგომი ომისათვის ემზადებოდნენ, რასაც დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური გამთლიანება, ხოლო ოსმალთა საბოლოო უკუქცევა ჰქონდა მიზნად.

სპარსეთისა და ოსმალეთის აგრესიის წინააღმდეგ ქართველთა ამ გადამწყვეტ ბრძოლაში ჭარ-ბელაქანი განსაკუთრებული მნიშვნელობის ხელისშემშლელი გარემოება იყო. ჭარბელაქნელები იყვნენ ქართლ-კახეთის ბოლომოუღებელი რბევის ორგანიზატორები; ჭარ-ბელაქანი იყო საიმედო სადგური და დასაყრდენი საქართველოს სარბევ-საოხრებლად წამოსულ დაღისტნელი აბრაგებისათვის, ჭარ-ბელაქანი ის პოლიტიკური ერთეული იყო, რომლის მეშვეობითაც ოსმალეთი დაღისტნელებს უკავშირდებოდა, დაქირავებულ აბრაგთა ბანდებს თავს უყრიდა ახალციხეში და საჭიროებისდა მიხედვით ხან იმერეთს არბევინებდა მათ, ხან კი ქართლს აოხრებინებდა.

ამიტომაც იყო, რომ „გამოხსნა"-„აღდგომისათვის" მებრძოლი საქართველო ჭარ-ბელაქნის საკითხის გადაწყვეტას ამ ბრძოლის წარმატების წინაპირობად სთვლიდა. კახეთის ამ ნაწილის ისევ კახეთთან შეერთება, ჭარბელაქნის სახელმწიფოს მოშლა და აქ „ქართველობის" აღდგენა ის ერთადერთი რამ იყო, რომელსაც არა მარტო ი ს ტ ო რ ი უ ლ ი ს ა მ ა რ თ ლ ი ა ნ ო ბ ა, ა რ ა მ ე დ ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს გ ა დ ა რ ჩ ე ნ ი ს ა მ ო ც ა ნ ა კ ა ტ ე გ ო რ ი უ ლ ა დ მ ო ი თ ხ ო ვ დ ა.

ამიტომაც იყო, რომ XVIII საუკუნის მეორე ნახევრის განმავლობაში, ე. ი .„აღდგომა-გამოხსნისათვის" გადამწყვეტი ბრძოლის ხანაში, ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტიკური მოღვაწენი ყველა საშუალებით (პირდაპირი ომით, დიპლომატიური გზებით და სხვ.) შეუნელებლად ცდილობდნენ ამ პირველხარისხოვანი საკითხის გადაწყვეტას.

მაგრამ ჭარ-ბელაქნის საკითხის გადაჭრა უშუალოდ დაუკავშირდა საქართველოს დამოკიდებულების საკითხს დაღისტანთან, ხოლო ორივე ერთად მჭიდროდ იყო გადახლართული საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის საკითხთან. როგორც ზემოთ აღვნიშნავდით, დაღისტანს დიდი ხანია ოსმალეთი თავისი აგრესიის დასაყრდენ პუნქტად სთვლიდა აღმოსავლეთ იმიერს თუ ამიერკავკასიაში, ხოლო ოსმალეთის ხელის შეწყობით შექმნილი ჭარ-ბელაქანი დაღისტან-ოსმალეთისავე აგრესიის საყრდენი იყო აღმოსავლეთ საქართველოში. ამრიგად, ბოროტების მთავარი სათავე აქაც ძველი მტაცებელი ოსმალეთი იყო. გასაგებია, რომ ჭარ-ბელაქნის საკითხის გადაჭრა ერეკლემ ვერ მოახერხა და აღდგომა-გამოხსნისათვის ბრძოლაში დამარცხებულმა ფეოდალურმა საქართველომ საინგილოს საკითხიც გადასაჭრელად ახალ საქართველოს უანდერძა.

ИЗ ПРОШЛОГО ВОСТОЧНОЙ КАХЕТИ

(Краткая политическая справка)

Резюме

В статье на основании первоисточников, а также соответствующей литературы дается краткий обзор политической жизни Восточной Кахети (Сааришиано) за время феодального периода истории Грузии (V—XVIII вв.).

Устанавливается ряд этапов политичесского возвышения и упадка названного феодального образования в связи с политическими судьбами грузинского феодального государства.

მცირე შენიშვნა დიდი საკითხის გამო*

ბოდიშს ვიხდი, რომ თქვენ თხოვნას საკმაო სისრულით ვერ დავაკმაყოფილებ. ამის მიზეზი გახლავთ თქვენ მიერ დასმული საკითხების შეუსწავლელობა ჩვენს ისტორიოგრაფიაში.

როგორც მოგეხსენებათ, ჩვენს—ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტს, აფხაზეთის საკვლევო-სამეცნიერო ინსტიტუტთან ერთად, მხოლოდ 1951 წლიდან აქვს განზრახული აფხაზეთის ისტორიული შესწავლა. ყველა საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ,—ეს ჩვენი წამოწყება ნამდვილად მეცნიერულ შუქს შეიტანს საქართველოს ამ მხარის ისტორიულ შესწავლაში და სამუდამოდ დაფლეთს იმ ანტიმეცნიერულ ქსელს, რომელსაც ასე გულმოდგინედ თხზავდნენ ასზე მეტი წლის მანძილზე ცარიზმის მსახური კოლონიზატორები და სხვა მათი მიმყოლნი.

მაგრამ ყველაფერი ეს მომავლის საქმეა, თქვენ კი პასუხს დღესვე ითხოვთ.

გარდა ამისა გთხოვთ ანგარიში გაუწიოთ ჩემს უდროობა-მოუც-

---

* ეს მცირე წერილი მე 1950 წელს 7. X-ს დავწერე. აფხაზეთის საკვლევო-სამეცნიერო ინსტიტუტის დირექტორმა ამხ. პ. რატიანმა მთხოვა, რათა წერილობით გამომეთქვა აზრი აფხაზებისა და ქელაიშ აპმედ ბეგ შარვაშიძის შესახებ. ეს მცირე შენიშვნა მე მაშინვე გაუგზავნე ადრესატს, მაგრამ მისგან (და ჩემგან) დამოუკიდებელი მიზეზის გამო ამ წერილის დაბეჭდვა იმ დროს ვერ მოხერხდა.

მას შემდეგ ვითარება შეიცვალა: აფხაზეთის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურას ამხ. პ. ინგოროყვას საყურადღებო გამოკვლევა შეემატა; მეორეს მხრით, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტმაც აფხაზეთის საკვლევო-სამეცნიერო ინსტიტუტთან ერთად ამ მხარის ისტორიულ არქეოლოგიური შესწავლა წამოიწყო. ასე რომ აფხაზეთის ისტორიულ-მეცნიერული შესწავლის საქმე საგრძნობლად წინ წავიდა (და სრული იმედია, ახლო მომავალში ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიის ჩამორჩენა ამ საკითხში საბოლოოდ გადალახული იქნება). მიუხედავად ამისა ამ ჩემს წერილს ჯერ კიდევ არ დაუკარგავს სამეცნიერო და საზოგადოებრივი მნიშვნელობა და მეც, ამიტომ, მისი გამოქვეყნება შესაძლებლად მივიჩნიე.

ლელობას და ეს ჩემი მოსაზრებანი წინასწარ და სახელდახელო პასუხად იგულოთ.

სამეცნიერო-საისტორიო მწერლობაში აწინდელ აფხაზთა წარმოშობის საკითხი შესწავლილი და საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის. ჩემთვის, როგორც ისტორიკოსისათვის, ენის მომენტი ასეთი საკითხის ერთადერთ განმსაზღვრელ მომენტად მისაღები არაა. შორს რომ არ წავიდეთ, მაგალითისათვის საკმაოა ჩვენი მეზობელი აზერბაიჯანი: დღეს აზერბაიჯანელები ენით თავანკარი თურქები არიან, ბაგრამ ასეთივე თურქები არიან განა ისინი წარმოშობით? ვის შეუძლია უარყოს, რომ ისინი წარმოშობით სანახევროდ მაინც, თუ უფრო მეტად არა, კავკასიური მოდგმის „ალბანელები“ არიან? მაშასადამე, ისტორიკოსის წინაშე საკითხი დგას იმის შესახებ, თუ ვინ იყვნენ აწინდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე მოსახლე ის ტომები (ბერძნული წერილობითი წყაროების მოწმობით, და ამას მხარს უჭერს სხვა რიგი ფაქტებიც, მათი რიცხვი მრავალი იყო!), საქართველოს ისტორიის მშენებლობაში ორგანიულად რომ მონაწილეობდნენ ამ ისტორიის მთელს სიგრძეზე უძველესი დროიდანვე მოკიდებული (გაიხსენეთ კოლხური კულტურა, ქართულმა საბჭოურმა არქეოლოგიამ რომ აგრე სარწმუნოდ გამოავლინა).

საქართველოს ისტორიის ფეოდალურ ხანაში აქ უკვე ტომთა სიმრავლე დიდად შემცირებული ჩანს და აწინდელი აფხაზეთის ტერიტორია წარმოადგენდა რიგს ერთიმეორისაგან დამოუკიდებელ საერისთავოს (ფ ე ო დ ა ლ უ რ ი ხ ა ნ ი ს ა დ მ ი ნ ი ს ტ რ ა ც ი უ ლ ი ე რ თ ე უ ლ ი ს — ს ა ე რ ი ს თ ა ვ ო ს — შ ე ქ მ ნ ი ს ა თ ვ ი ს ა მ ო ს ა ვ ა ლ ი პ რ ი ნ ც ი პ ი ტ ო მ ო ბ რ ი ვ ი მ ო მ ე ნ ტ ი ი ყ ო) და მხოლოდ ე რ თ მ ა თ გ ა ნ ს ე წ ო დ ე ბ ო დ ა „ ა ფ ხ ა ზ თ ა ს ა ე რ ი ს თ ა ვ ო“, რომელიც მოიცავდა ქვეყანას აწინდელი ახალი ათონის (ანაკოფიის) დასავლეთით ვიდრე კაპოეტის მდინარემდე (ბზიფამდე) ან, შეიძლება, გაგრის ვიწროებამდეც.

მაინცდამაინც მეცნიერებას არ მოეპოვება იმის საბუთი, რომ აფხაზეთში მობინადრე ეს ტომები უფრო შორს იდგნენ იბერ-ლაზებისაგან, ვიდრე, ვთქვათ, სვანები, მესხები, ჰერები. მარტო ის რადა ღირს, რომ ქართული გადმოცემით ქვეყანა ლიხის მთიდან ვიდრე ყუბანის მდინარემდე—და მაშ შუა საუკუნეების „აფხაზთა საერისთავოც“—უძველეს დროიდანვე ეგროსის წილი იყო და რომ ქალაქი ბედია (აფშილეთში) დაარსებულია იმავე მეგრელთა ეპონიმის (მამამთავრის) ეგროსის მიერ.

XI საუკუნის ქართველ ავტორთან (ლეონტი მროველი) დაცული ეს გადმოცემა—ყველა საბუთი გვაქვს ვამტკიცოთ—შექმნილია VII—VIII საუკუნეზე უფრო ადრე. ეს გადმოცემა ანგარიშგასაწევი

მოწმობაა დასავლეთ საქართველოს ტომთა როგორც ეთნიკური მონათესაობისა, ისე მათი მრავალსაუკუნოვანი ისტორიულ-კულტურული თანამშრომლობისა (რაც აგრე. ცხადად ჩანს ძველი პერძნულ-ლათინური მწერლობისა და, განსაკუთრებით, არქეოლოგიის მონაცემთა სინათლეზე).

ხოლო რაც შეეხება ისტორიულ თანამშრომლობას, საშუალ-საუკუნეებში, კერძოდ,—თანამშრომლობას საქართველოს სახელმწიფოს შექმნის საქმეში, აქ „აფხაზეთის" და აფხაზების როლი სრულიად განსაკუთრებულია და მას არა თუ მთიელი ქართველი ტომების, არამედ ზოგი ბარის ქართველთა ტომის როლიც კი ვერ შეედრება. მარტო ისიც საკმაოა მოვიტანოთ, რომ „აფხაზეთის სამეფოს" (ე. ი. დას. საქართველოს) ქართული ეკლესიის საკათალიკოზო ტახტი საკუთრივ აფხაზეთში იყო (ბიჭვინტაში), ხოლო პოლიტიკურად გაერთიანებული საქართველოს მეფე უპირატესად „აფხაზთა მეფედ" იწოდებოდა, რაც, რა თქმა უნდა, მაჩვენებელია იმ როლის მნიშვნელობისა, აფხაზებმა რომ შეასრულეს ფეოდალური საქართველოს პოლიტიკურად გაერთიანების საქმეში.

საქართველოს კლასიკური ფეოდალური კულტურის შექმნაში აფხაზეთის ორგანიული მონაწილეობის გამორიცხვა ისევე შეუძლებელია, როგორც შეუძლებელია გამორიცხვა ამ კულტურის შექმნაში ქართლის, კახეთის, სამცხის თუ ტაო-კლარჯეთის მონაწილეობისა...

ისტორიკოსისათვის აწინდელი აფხაზეთის წარმოქმნის საკითხში ის კი არ არის გადამწყვეტი, თუ რომელი ტომი იყო პირდაპირი (უპირატესად) წინაპარი აწინდელი აფხაზებისა, არამედ ის, თუ რომელი ტომი რა ტომებთან ურთიერთობაში, როგორი კულტურული და პოლიტიკური თანამშრომლობით, როგორი განვითარების გზით მოვიდა იმ მდგომარეობამდე, როგორიც აწინდელი აფხაზეთია.

რა ენაა ის, რომელზედაც დღეს აფხაზები საუბრობენ,—ეს ენათმეცნიერის საპასუხოა. როგორია აწინდელი აფხაზების ყოფა, ეს მხარეთმცოდნისა ან კიდევ ეთნოგრაფის მოსაკითხავია, მაგრამ ვინ არის აფხაზი კულტურულ-ისტორიულად, ე. ი. რომელი ხ ა ლ ხ ი ს (და არა ტომის) წევრია ის, რომელ კ ულ ტ ურ ულ-ის ტ ო რ ი ულ ერ თ ე ულ ს ეკუთვნის ის, ამის პასუხი ის ტ ორ ი კ ო ს ი ს ა მ ო ც ა ნ ა ა და ჩვენი პასუხი ამ კითხვაზე სხვა არ შეიძლება იყოს, თუ არა ის, რომ ა ფ ხ ა ზ ე თ ი კ ულ ტ ურ ულ-ის ტ ორ ი-ულ ად ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ორ გ ა ნ ი ულ ი ნ ა წ ი ლ ი ა, რომ კულტურულ-ისტორიულად საქართველოში „აფხაზი" იმდენადვე (და არა უფრო მეტად) არსებობდა, რამდენადაც ქართი, ჰერი, კახი, მესხი, ჯავახი, კლარჯი. შავში, ეგრი, სვანი, ზანი და სხვ. ან კი-

დევ „კახელი“, „ქართლელი“, „გურული“, „მეგრელი“, „იმერელი“, „აჭარელი“ და ა. შ., რომ ფეოდალური აფხაზეთი მხოლოდ „ქართული“ შეიძლებოდა ყოფილიყო, რომ აფხაზი კულტურულ-ისტორიულად „ქართველი“ იყო.

ისტორიკოსისათვის, ამრიგად, თქვენ მიერ დასმულ საკითხებზე დღეის პირობებში მეცნიერული პასუხის გაცემა ასე ძნელი არაა, რამდენადაც ძნელია ამ პასუხით არასპეციალისტის დარწმუნება. საქმე ისაა, რომ ისტორიულ-კულტურული ერთობა „აფხაზეთთან“, ათეულ საუკუნეთა განმავლობაში აგრე ორგანიული და ინტენსიური, უკუღმართ ისტორიულ მოვლენათა მიზეზით გვიანფეოდალური საქართველოს ძნელბედობის ხანაში თანდათან შესუსტდა. მტაცებელმა ოსმალეთმა ამ მოვლენებს განსაკუთრებით ძლიერად შეუწყო ხელი. მთლიანი საქართველოს სიმტკიცის გასატეხად ოსმალეთმა ერთ-ერთი დასაყრდენი სწორედ ჯიქეთ-აფხაზეთში დაიგულა. ასეთივე დასაყრდენები გაჩინა მან სამცხე-სათაბაგოში, ქვემო გურიაში. ამიერიდან სოხუმში, ახალციხეში, ბათომში ეწყობოდა საქართველოს წახდენა-გადაშენების ოსმალური გეგმები. ახალციხისა და სოხუმის ფაშები თუ ბათომის მუტესარიფები იყვნენ ოსმალეთის აგრესიის მოწინავე დროშის მეთაურები. ქართული ქრისტიანობის გაქრობა, ქართული წყობილების მოშლა და მის ნაცვლად მაჰმადიანობისა და თურქობის დანერგვა, ქვეყნის დაცლა ყოველივე დოვლათისაგან და მისი გადაქცევა ტყვის მსყიდველთა ველურ ბუნაგად,—ასეთი იყო ოსმალეთის „სახელმწიფოებრივი შემოქმედების“ მიზნები მის მიერ დაპყრობილ ამ ქართულ ქვეყნებში.

ქართველი ხალხის შემოქმედებითი ენერგია XVI—XVIII საუკუნეებში თითქმის მთლიანად ამ საფრთხისა და ამის ძსგავს სხვა საფრთხეთა წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლამ შეიწირა.

მაგრამ არც XIX საუკუნე იყო საქართველოსათვის ამ მხრივ ნიავკეთილი. ცარიზმის აგენტ-კოლონიზატორებისათვის არ იყო ხელსაყრელი და სასურველი ქართველი ერის ჩამოყალიბება, საქართველოს ეროვნული გამთლიანება არ ეთანხმებოდა კოლონიზატორთა მიზნებს და ცარიზმიც ღონეს არ ზოგავდა აღდგომა-გაერთიანების გზაზე შემდგარი საქართველოს ძალების დაშლისათვის. ცარიზმის აგენტ-კოლონიზატორები არაქართველებად აცხადებდნენ აფხაზებს, ქვემო გურულებს (ქობულეთელებს), მესხებს, კლარჯებს, შავშებს, აჭარელებს, აღმოსავლეთ-კახელებს (ინგილოებს), მეგრელებს, სვანებს...

ამ მზაკვრული მიზნის სამსახურად იყო ამოძრავებული ძლიერი აპარატი—ადმინისტრაციული თუ „კულტურულ-მეცნიერული“. ამ გზით უნდა შემზადებულიყო პირობები ქართველი ერის მოსაშლელად, მის გასაქრობად...

აი ამ უკეთმართობათა შედეგია, რომ ჩვენ დღეს მტკიცებაც კი გვჭირდება აფხაზების, მესხების (შავშ-კლარჯ-ტაოელთა), ლაზების, აჭარლების, ქობულეთელების და ინგილოების ქართველობისა...

•

• •

რაც შეეხება თქვენ მიერ დასმულ მეორე კითხვას ქელაიშ აჰმედ ბეგ შარვაშიძის როლის შესახებ საქართველოს ისტორიაში, აქ ჩემი პასუხი უკვე ზემონათქვამიდან იგულისხმება. საქართველოს ისტორიის თვალსაზრისით ქვეყნის მოღალატე იყო ყველა ის, ვინც მის პოლიტიკურ დაშლა-დასუსტებას ხელს უწყობდა. ქვეყნის მოღალატენი იყვნენ ყველა ეს გურიელები, დადიანები, ჯაყელ-ათაბაგები, აფხაზეთის თუ სვანეთის მთავრები. მათი პოლიტიკური მოღვაწეობა ოსმალეთის, სპარსეთის და საქართველოს ყველა სხვა მტრის მიზნების განხორციელებას უწყობდა ხელს დამოუკიდებლად იმისაგან, თუ რა სურდა ამა თუ იმ მთავარს. სწორედ ამიტომაც იყო, რომ საქართველოს გასატეხად მოსული ყველა დამპყრობელი ასეთი „მზრუნველობით“ ეკიდებოდა ამ მთავრებს და მათ ქართველ მეფეთა მხრით „მიმძლავრებისაგან“ „იფარავდა“... როგორც ცნობილია, საქართველოს ეს სამთავროები უფრო დღეგრძელი აღმოჩნდნენ, ვიდრე საქართველოს სამეფოები. და ეს მოხდა სწორედ ამ მთავრების მხრით საერთო საქვეყნო საქმის ღალატის წყალობით. მთლიანი საქართველოს პოლიტიკური არსებობის ხარჯზე...

მაგრამ თუ ასეთი მოღალატურია ობიექტურად ყველა ამ მთავრის როლი საქართველოს ისტორიაში, კიდევ უფრო მოღალატურია (ობიექტურადაც და სუბიექტურადაც) იმ მთავართა თუ თავადთა როლი, რომელნიც ოსმალეთის პოლიტიკის აქტიურ გამტარებლებად გამოდიოდნენ საქართველოში. „ღვთისა და ქვეყნის წინაშე პირშერცხვენილები“ (ასე უწოდებდნენ იმ დროს ქართველ რენეგატს) იყვნენ ყველა ეს ფაშები და ბეგები, რომელნიც ოსმალეთისადმი დამორჩილებით და მაჰმადიანობის მიღება-გავრცელებით საქართველოს გადაგვარება-გაქრობის საქმეს ემსახურებოდნენ. ყველა ამ ჯაყელებმა, აბაშიძე-თავდგირიძეებმა და შარვაშიძეებმა მოსწყვიტეს საქართველოს და შეუერთეს ოსმალეთს სამცხე-საათაბაგო, ქვემო გურია და აფხაზეთი. კიდევ მეტი: ახალციხე, ბათომი და სო-

ხუმი იყო ის პუნქტები, საიდანაც ოსმალეთი თხრიდა დანარჩენ საქართველოს და ამ საქმის შესრულებისათვის თავიანთ ძალ-ღონეს არ ზოგავდნენ ქართველი რენეგატები, ამ ადგილებში რომ ოსმალეთის ფაშებად და ბეგებად ისხდნენ.

სხვა არა იყოს რა, ჯაყელ-ათაბაგების და შარვაშიძეთა კისერზეა ხრესილის, ჩხერის და რუხის ომები, სადაც იმერეთის მეფე სოლომონ I თავგანწირული ბრძოლით იცავდა ქართველობას ოსმალეთის მხრით გადამწყვეტი შემოტევისაგან. სოლომონის წინააღმდეგ და საქართველოს საბოლოოდ გასაქრობად იქნევდა ხმალს ამ ომებში ყველა ეს რენეგატი და კერძოდ ქელაიშ აჰმედ ბეგ შარვაშიძე...

ასე რომ საკითხი შეიძლება შეეხებოდეს იმას, თუ რა იყო მიზეზი ქელაიშ აჰმედ ბეგ შარვაშიძისა და ოსმალეთის სულტანის ურთიერთშორის სამდურავისა, რაშიც სულტანის ეს მოხელე—ბეგი XIX საუკუნის ათიან წლებში მეფის რუსეთის ხელში მიიყვანა, და არა იმას, თუ როგორი „პატრიოტი" და თურქთა აგრესიის წინააღმდეგ როგორი „მებრძოლი" „გმირი" იყო ის რენეგატი, რომელიც არა ერთი ათეული წლის მანძილზე საქართველოს (და ამდენადვე აფხაზეთის) ეროვნულ გადაგვარებისაკენ მიმართულ ოსმალეთის აგრესიას აგრე ერთგულად ემსახურებოდა.

ქელაიშ ბეგი ისეთივე „გმირია", როგორი „გმირებიც" იყვნენ სელიმ ფაშა ხიმშიაშვილი ან შერიფ ფაშა ჯაყელი, მიხრწნილი ოსმალეთის ცენტრალურ ხელისუფლების სისუსტეს რომ გრძნობდნენ და სხვა უფრო მწყალობელ „პატრონს" ეძებდნენ. რა თქმა უნდა, ეს ფეოდალები ასეთ საქმიანობაში რაიმე პროგრესული იდეებით არ ხელმძღვანელობდნენ. და მათი მოღვაწეობა, ისევე როგორც აქამდე, ეხლაც მიმართული იყო საქართველოს გაერთიანების წინააღმდეგ. ამდენადვე გმირობის მომენტიც მათ ამ მოღვაწეობაში სრულიად გამორიცხულია.

ან როგორ შეიძლება პატრიოტობდეს (პროგრესისტობდეს) დღეს ვინმე და გ მ ი რ ს იმ ისტორიულ მოღვაწეში ხედავდეს, ვინც ნებით თუ უნებურად, პროგრესის წინააღმდეგ იბრძოდა, ვინც ობიექტურად რეაქციის საქმეს ემსახურებოდა. ფეოდალური საქართველოს გაერთიანება ტომობრიობის გადალახვისა და ქ ა რ თ ვ ე ლ ი ხ ა ლ ხ ი ს ჩ ა მ ო ყ ა ლ ი ბ ე ბ ი ს თანმხლები პროცესი იყო, ხოლო ქართველი ხალხის ჩამოყალიბება ეს ხომ პროგრესის გზით ახალი საფეხური იყო ტომიდან ნაციისაკენ. ასევე გაერთიანებული საქართველოს პოლიტიკური დაშლა, პირუკუ პროცესს—ტომობრიობისაკენ დაბრუნებას გულისხმობდა.

როგორი იყო ამ პროცესში მეფისა თუ მთავრების როლი? ყველა ეს მთავრები: მეგრელი, გურული, აფხაზი, სვანი თუ მესხი, საქართველოს გაერთიანების მტრები იყვნენ, გაერთიანებული საქართველოს დაშლის მოღვაწენი იყვნენ. როგორღა შეიძლება, რომ ისინი პროგრესის მოღვაწენი, ე. ი. შემოქმედი პატრიოტები ყოფილიყვნენ? ყველა ეს მთავრები ხომ სანახევროდ გარეშე მტრის, საქართველოს დამხობა-გაქრობის მოღვაწეთა ნახელავნი იყვნენ და ამავე მტრის სამსახურში რჩებოდნენ (ობიექტურად ყოველთვის, თუ სუბიექტურად არა). როგორღა შეიძლება, რომ ისინი პროგრესის მოღვაწენი ყოფილიყვნენ? ყველა ესენი ხომ საქართველოს ეკონომიური უკან დახევისა და პოლიტიკური უდროობის პირობებში წარმოიშვნენ. ესენი ხომ ამ რეაქციის ნაშობნი არიან და არა პროგრესისა, როგორც ამას ზოგი ვინმე დღესაც ფიქრობს. ნეტავი იცოდეს კაცმა, როგორ ათანხმებს ეს „ზოგი ვინმე" თავის ამ „ორიგინალურ" დებულებას იმ ფაქტთან, რომ საქართველოს მომთხრელ-ამომგდები მონღრლები, თურქ-ოსმალები, ყიზილბაშები—ყველანი ამ მთავრებს მფარველობდნენ საქართველოს მეფის მხრით „შევიწროებისაგან" ან იმ ფაქტთან როგორ ათანხმებს ამ თავის „ორიგინალურ" დებულებას ეს „ზოგი ვინმე", რომ ფეოდალური საქართველოს გაერთიანება მისივე სოციალურ-ეკონომიური განვითარების პოლიტიკური შედეგი იყო?

და როგორ შეიძლება საბჭოთა პატრიოტმა (=შემოქმედ პროგრესისტმა) გმირი დაიგულოს ასეთ რეაქციონერში, ქვეყნის მოღალატეში, ოსმალეთის თუ ყიზილბაშის მსახურში და ეს იმ დროს, როცა ამ „გმირის" გვერდით და მის საწინააღმდეგოდ არსებობს მეფის ხელისუფლება, რომელიც მოწოდებულია იბრძოლოს ქვეყნის ერთიანობისათვის, მისი წინსვლისათვის, ხელი შეუწყოს კ ლ ა ს თ ა ბ რ ძ ო ლ ი ს გ ა ზ რ დ ა-გ ა ღ რ მ ა ვ ე ბ ა ს, ხელი შეუწყოს პროგრესს[1].

---

[1] ამბობენ, მეგრელი ნაციონალისტი ისაკ ქვანია ეუბნებოდაო მწერალ შალვა დადიანს: გვძულხარ იმიტომ, რომ ქართველობ, მეგრულს ღალატობ, ქართულად სწერო. ისაკ ქვანია კომუნისტობას იჩემებდა და ეს უკეცი იმას კი ვერ ამჩნევდა, რომ სწორედ თითონ ღალატობდა კომუნისტობას, რომ მისი „მეგრული პოლიტიკა" შუა საუკუნეებშიაც კი ჩამორჩენილობისა და რეაქციის პოლიტიკა იყო, რომ მისი პოლიტიკა მეგრელთა ტომის მოწყვეტა იყო ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან საერთო კულტურისაგან, რომლის შექმნაშიაც დიდი ხანია მეგრელთა ტომს სხვა ქართველურ ტომების გვერდით ღირსეული წილი ედო, რომ მწერალი შალვა დადიანი ამ უბადრუკთან შედარებით ისტორიული განვითარების მთელი ეტაპით წინ იდგა და ქართველი ერის პროგრესს ემსახურებოდა, ხოლო ისაკ ქვანია სამთავრო-სათავადოების შავბნელი ხანის ჩამორჩენილობას ასახიერებდა.

როგორ შეიძლება რომელიმე დადიანი გმირად ესახებოდეს პროგრესისტს, თუგინდ „დიდი“ ლევან დადიანი, რომელიც აგრე თავგამოდებით ებრძოდა იმერეთის მეფეებს მაშინ, როცა ეს უკანასკნელნი საქართველოს გაერთიანებისათვის იბრძოდნენ? (შეიძლება ლევან დადიანი მიზნად ისახავდა ლიხთიქითი საქართველოს გაერთიანებას, მაგრამ ამ შემთხვევაში ის „მთავარი“ კი არ იქნებოდა, არამედ „მეფე“: მთავარი, რამდენადაც ის მთავარია, ქვეყნის გამაერთებელი არ შეიძლება იყოს, ქვეყნის გაერთიანებას მოღვაწე ფეოდალურ ქვეყანაში მეფის ხელისუფლებაა. და თუ რომელიმე ლევანი „მეფობდა“ ან „მეფობას“ ეძებდა, ეს უპირველეს ყოვლისა უნდა დამტკიცდეს და გმირიც, ე. ი. პ რ ო გ რ ე ს ი ს ა თ ვ ი ს მ ებ რ ძ ო ლ ი მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ასეთ მოღვაწეში დავიგულოთ).

გვიანფეოდალურ საქართველოში არასოდეს შეწყვეტილა ბრძოლა ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანებისათვის. თავი რომ დავანებოთ დიდ ბრძოლას XV საუკუნეში (რომელიც გამაერთიანებელ ძალთა დამარცხებით დამთავრდა), ჩვენ საქარველოს ისტორიის მძიმე პოლიტიკურ ხანაშიაც კი—XVI—XVII საუკუნეებში, ოსმალეთისა და ყიზილბაშური ერანის უკიდურეს მძლავრობის ხანაშიაც კი, მუდამ ვხედავთ, თუ როგორ იბრძვიან პროგრესული იდეიის მატარებელი ძალები ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანებისათვის და როგორ ებრძვიან ამ პროგრესულ ძალებს მთავარ-თავადები და მათი ამ საქმეში მფარველი ოსმალეთი და ერანი. დავით ქართლის მეფე, ლუარსაბ I „ს ა მ ი ს ა ვ ე ტ ა ხ ტ ი ს გ ა მ ა ე რ თ ი ა ნ ებ ე ლ ი“, ბაგრატ III იმერეთის მეფე, სიმონ I და მისი ბრძოლა ლიხთიქითის შემოერთებისათვის, ალექსანდრე კახთა მეფე და მისი გეგმები საქართველოს გაერთიანების შესახებ რუსეთის მფარველობის ქვეშ, თეიმურაზ I და მისი ცდები საქართველოს გაერთიანებისათვის რუსეთის მფარველობის ქვეშ, ვახტანგ V და მისი ბრძოლა ლიხთიქითის შემოერთებისათვის, გიორგი XI და მისი ბრძოლა კახეთის შემოერთებისათვის, ვახტანგ VI-ის გეგმები საქართველოს გაერთიანებისა; საქართველოს გაერთიანებისა და მისი აღდგომა-გამოხსნის თავდადებული მოღვაწენი იყვნენ სოლომონ I და ერეკლე II, ასევე გამაერთიანებლად გამოიყურება სოლომონ II მისი გეგმებით გურიასამეგრელო-აფხაზეთის მიმართ, რომლის „კანცლერმა“—საქართველოს გაერთიანების მოღვაწემ და ნიჭიერმა დიპლომატმა სოლომონ ლიონიძემ უკანასკნელად სცადა ფეოდალური საქართველოს გაერთიანება-აღდგომის ეს იდეა შეეთანხმებინა ცარიზმის მისწრაფებათათვის ამიერკავკასიასა და ახლო აღმოსავლეთში.

და სადა ვხედავთ ამ დროს ჩვენ „გმირ“ მთავრებს, მებრძოლთა რომელ მხარეზე?—გაერთიანების წინააღმდეგ მებრძოლ მოსისხარ მტერთა მფარველობის ქვეშ, ერან-ოსმალთა სერასკერების თუ სპასალარების ამალაში, სოხოისტას ომის მოღალატეებად (ათაბაგი, დადიანი), ბანძის ომის მოღალატეებად (დადიანი, გურიელი), ხრესილის ომის მოღალატეებად (რაჭის ერისთავი, ლევან აბაშიძე), ჩხერის ომის მოღალატეებად (დადიანი), რუხის ომის მოღალატეებად (შარვაშიძე), ქართული ეკლესიის მომშლელებად და თურქობა-მაჰმადიანობის დანერგვის მოღვაწეებად (ათაბაგი-ჯაყელი, შარვაშიძე, თავდგირიძე), ტყვის მსყიდველებად და ერთი მეორის ქვეყნის მომთხრელებად... და ამის შემდეგ როგორ „გმირი“ შეიძლება იყოს ქელაიშ აჰმედ ბეგი—ოსმალეთის სულტანის ერთგული მსახური, მაჰმადიანი და მაჰმადიანობის მოღვაწე აფხაზეთში, დრანდის, მოქვის, ბედიის, ლიხნის, ანაკოფიის და ბიჭვინტის შემგინებელ-უარისმყოფელი?

რამდენად წარხოცილი უნდა ჰქონდეს ადამიანს საკუთარი პროგრესული წარსულის პატივისცემა, რამდენად დაჩლუნგებულ-გამრუდებული უნდა ჰქონდეს ადამიანს ისტორიული პროგრესის გრძნობა, რომ აფხაზეთის ისტორიული გმირი მაჰმადიან ქელაიშ აჰმედ ბეგში დაიგულოს! (გამაჰმადიანება ჩვენს შემთხვევაში ბარბაროსულ ოსმალეთის სამსახურში შესვლას ნიშნავდა საკუთარი ქვეყნის გადაგვარების გზაზე, ჩამორჩენა-გადაშენების გზაზე შეყენებას ნიშნავდა, მისი კულტურული წარსულისათვის ზურგის შექცევას ნიშნავდა).

ქელაიშ ბეგები ეს აფხაზეთის ათასწლოვანი ისტორიის უარყოფაა, თანამოძმეებთან ათასწლოვანი კულტურულ-ისტორიული თანამშრომლობის უარყოფაა, საკუთარი დიდი კულტურული წარსულის უარყოფაა, ქართველობისაგან გამოთიშვაა, საქართველოს (და თვით აფხაზეთის) ღალატია, ოსმალეთის სამსახურში ყოფნაა. და როგორ შეუძლია დღეს აფხაზ საბჭოთა მოქალაქეს უარყოს საკუთარი წარსული, საკუთარი სახელოვანი ისტორია და გმირი სწორედ ამ ისტორიის შემგინებელ-უარისმყოფელში დაიგულოს? გმირი იყო ლეონ 1, ლიხთიქითის გამაერთიანებელი, გმირები იყვნენ ის გიორგი-კონსტანტინეები, საქართველო-კავკასიის გაერთიანებას რომ ალევდნენ ძალებს, გმირები იყვნენ მოქვის, ბედიისა და ლიხნის თუ ანაკოფიის მაშენებელნი, გაერთიანებული საქართველოს მაშენებელნი და არა ქელაიშ აჰმედ ბეგები—სულტანის ყურმოჭრილი მონები. გმირი იყო ის ახალგაზრდა აფხაზი (მთავრის შვილი), ხრესილის ომში სოლომონ მეფესთან ერთად რომ ოსმალთა წინააღმდეგ

იბრძოდა და არა ქელაიშ აჰმედ ბეგი, რუხის ომში რომ ოსმალეთის გადამწყვეტ შემოტევას ხელმძღვანელობდა.

ან რა არის აფხაზეთი ამ თავისი წარსულის, ე. ი. საქართველოს ისტორიის გარეშე? როგორ შეიძლება ათასწლოვანი საკუთარი კულტურის უარყოფა და თავისი თავის დაკავშირება უკულტურობასთან?

მთელი აფხაზეთი რომ სანთლით მოიხილოთ, იქ ვერ იპოვით ერთ უმნიშვნელო ძეგლსაც კი, რომლის წარმოშობა ამ ქვეყანაში ოსმალთა ბატონობის ხანას უკავშირდებოდეს... დაცემა ეკონომიური, დაქვეითება კულტურული,—ესაა ის, რაც თან მოჰქონდა აფხაზეთში ოსმალეთს (ისევე როგორც ყველგან, სადაც კი ეს ბარბაროსი გაბატონებას ახერხებდა). მოქვი, ანაკოფია, ბედია, ლიხნი, ბიჭვინტა თუ სხვა ხომ ყველა ქართველ მოძმეებთან უმჭიდროეს თანამშრომლობაში შექმნილი ძეგლებია და ამ ისტორიული თანამშრომლობის მოწმობანია; ეს ხომ ქართული ფეოდალიზმია „მეფით", „თავადით", „აზნაურით" ქართული ჩვეულებით, ეთიკით, ქრისტიანობით, ენით და ძლიერი აღმავალი შემოქმედებით, ქართული ფეოდალური კულტურით. ყველაფერი ეს უნდა უარყოფილ იქნეს და ქელაიშ აჰმედ ბეგი უნდა იდიდოს?... ეს ხომ საკუთარი კულტურული თავის უარყოფაა. ეს ხომ იმ ერთი აჭარელი უბადრუკის საქციელს ემსგავსებოდა, რომელმაც საკუთარი წინაპრის საფლავის ქვა, მარმალილოსი, ფეხისადგილად გამოსჭრა იმის ფამო, რომ ხსენებულ ქვაზე ამ გაველურებულს ქრისტიანული წარწერა ეგულებოდა[2].

მაგრამ საკუთარი წარსულის ასეთ უპატივცემლობას მთელი ხალხი როგორ გამოიჩენს?

---

[2] ეს ქვა დღესაც დაცულია ბათომის სამხარეთმცოდნეო მუზეუმში.

აფხაზეთის შესახებ*

ფეოდალური ურთიერთობის წარმოქმნის ხანიდან მოკიდებული, აფხაზეთი საქართველოს ფეოდალური სამყაროს ისეთივე ორგანულ ნაწილს შეადგენდა, როგორც დასავლეთ საქართველოს ქართველი ტომები.

აფხაზთა და ქართველთა ასეთი ერთიანობა, როგორც წყაროები მოწმობენ, იყო შედეგი არა ურთიერთ დაპყრობის, არამედ აფხაზთა თანდათანი მშვიდობიანი შემოსვლისა ქართველთა კულტურულ სამყაროში.

აფხაზთა შემოსვლა ქართულ ფეოდალურ სამყაროში განსაკუთრებული მნიშვნელობის ისტორიული ფაქტია, ის უდავო მოწმობაა ამ მეზობელ მონათესავე ტომების აქტიური და შემოქმედებითი კულტურული თანამშრომლობისა მრავალ საუკუნეთა სიღრმიდანვე.

აფხაზთა შემოსვლა ქართველთა კულტურულ სამყაროში და მათი აგრე აქტიური მოღვაწეობა ამ სარბიელზე, უეჭველი მოწმობაა აგრეთვე იმისა, რომ ამ მოვლენას წინ უძღოდა ამ მონათესავე ტომების უმჭიდროესი კულტურული გაერთიანება.

საშუალ საუკუნეთა მთელ მანძილზე, და აქამდეც, აფხაზები დასავლეთ საქართველოს ქართველ ტომებთან ერთად ერთიან „ქვეყანას“ ქმნიდნენ, ერთ სამყაროს წარმოადგენდნენ.

ფეოდალური ხანის აფხაზეთის კულტურა იგივე საქართველოს ფეოდალური კულტურაა. ესაა „ვეფხისტყაოსნის“ კულტურა (საბოლოოდ გამოკვეთილი სახით), რომლის შემუშავებაში აფხაზთა ტომი ისეთივე მონაწილეობას იღებდა, როგორც დასავლეთის თუ აღმოსავლეთის ქართველი ტომები.

„ვეფხისტყაოსნის“ კულტურის შემქმნელ საქართველოს ფეოდალურ საზოგადოებას (მათ შორის აფხაზეთს) ერთი კულტუ-

---

* იბეჭდება პირველად

რის ენა ჰქონდა; ეს იყო ქართული ენა (ფეოდალური საზოგადოების სასუბრო ენა, საერო თუ საეკლესიო მწიგნობრობისა და სახელმწიფო-ადმინისტრაციული საქმისწარმოების ენა), რომლის მიმართ ყველა ქართველი თუ არაქართველი ტომების ენები და კილოები „საშინაო“ ენას (patua) წარმოადგენდა.

ამ ფეოდალური კულტურის საერთო ენის შემუშავებაში ფეოდალურ საქართველოში შემავალ ყოველ ტომს თავისი წვლილი შეჰქონდა და ფეოდალური აფხაზეთი ამაში სხვა ტომებს არაფრით ჩამორჩებოდა.

განვითარებული ფეოდალური ურთიერთობის ხანაში აფხაზეთის საერისთავო ისეთივე ადმინისტრაციული ერთეული იყო საქართველოს სახელმწიფოში, როგორც სხვა დანარჩენი საერისთავოები.

აფხაზეთის სამთავრო საქართველოს სხვა სამეფო-სამთავროებთან შედარებით ყველაზე გვიან (XVII ს-ში) ჩამოყალიბდა. აქამდე ის დადიან-ბედიანის საერისთავოერისთავოში და, შემდეგ, სამთავროში შედიოდა. აფხაზეთის საერისთავო თუ სამთავრო გვიანფეოდალური ხანაში კულტურულ-პოლიტიკურად ისეთივე „საქართველო“ იყო, როგორიც სხვა დანარჩენი „საქართველოები“.

აწინდელი ტერიტორიული მოცულობით აფხაზეთი XVII საუკუნის მეორე ნახევარში ჩამოიკვეთა. კოდორის სამხრეთ-აღმოსავლეთი ქვეყანა ფეოდალური ურთიერთობის დასაწყისიდანვე (ხოლო ტრადიციით—უძველესი დროიდანვე) ეგრისში შედიოდა. აფხაზეთში ეს ქვეყანა XVII ს-ში შევიდა.

XVII — XVIII საუკუნეებში მიმდინარეობდა პროცესი მთიელ აფხაზების ჩამოწოლისა ზღვისპირა აფხაზეთსა და საბედიანოში.

ეს პროცესი (მთიელთა ჩამოწოლა ბარში) საერთო დამახასიათებელი მოვლენა იყო გვიანფეოდალურ საქართველოში, რის შედეგადაც ერთის მხრით მივიღეთ ჭარ-ბელაქან-საინგილო, მეორეს მხრით თიანეთის მხარე, მესამე მხრით სამხრეთ ოსეთი, ხოლო იქ, დასავლეთში, mutatis mutandis, აწინდელი აფხაზეთი.

აფხაზებს უეჭველია, მონათესაური და კულტურული კავშირი ჰქონდათ კავკასიანებთან (ჩერქეზ-ადიღურ ტომებთან). ამ მოვლენის მეცნიერული წარმოჩენა საჭიროა და სასურველი, ოღონდ ასეთი რამ არ უნდა ამქღავნებდეს მავნე ტენდენციას მეზობელ ქართველ ტომებთან ნათესაური და დიდი კულტურული კავშირის დამცირებამიჩქმალვისას. ასეთი მავნე ტენდენცია—გამოთიშვა საქართველოს ფეოდალური კულტურის სამყაროდან უზომოდ გააღარიბებდა აფხაზი ხალხის ისტორიას; ეს იქნებოდა აფხაზი ხალხის ისტორიის გაძარცვა, ისტორიული სინამდვილის შეუწყნარებელი დამახინჯება.

გ ო რ ი

(ისტორიული მიმოხილვა)*

უფლისციხე, ურბნისი, ნაჭარმაგევი, გორი შიდა ქართლის დიდმნიშვნელოვანი პუნქტები იყო სხვადასხვა დროს ჩვენი ქვეყნის წარსულში.

უფლისციხე უხსოვარი დროისაა. X საუკუნეში ის ჯერ კიდევ რჩებოდა შიდა ქართლის პოლიტიკურ ცენტრად. ამის შემდეგ უფლისციხე თანდათან ჰკარგავს მნიშვნელობას.

ურბნისი ქალაქი იყო ძველის ძველიდანვე. ის კიდევ უფრო ადრე გაქრა, ვიდრე მისი მეზობელი უფლისციხე.

XI—XII საუკუნეებში შიდა ქართლის პოლიტიკური ცენტრი ნაჭარმაგევია. აქ იყო ამ დროს საქართველოს მეფის კარი-სასახლე.

ნაჭარმაგევს იჯდა დიდი დავით აღმაშენებელი. აქ გეგმავდა ის საქართველოს განთავისუფლების საქმეს, დამპყრობელ თურქთა შემუსვრის საქმეს. აქ, შიდა ქართლის შუაგულში, გამართა დიდმა დავითმა ახალი ქართული ლაშქარი, აქ აღიმართა და საქართველოს მტერთა საზარად გაიშალა დავითის უძლიერესი დროშა.

გორის თავგადასავალში დავით აღმაშენებელს განსაკუთრებული ადგილი უკავია. ბრძენმა მეფემ საგანგებო ზომები მიიღო გორის განსადიდებლად. მან აქ მრავლად დაასახლა ვაჭრები და ერთბაშად გააძლიერა გორის მნიშვნელობა ქართლისათვის. დავითის დროიდან გორმა ქართლში უფლისციხის ადგილი დაიჭირა. ამის შემდეგ ათასნაირი ოხრობა-უდროობის გამო საქართველოში არა ერთი ქალაქი წახდა და დაეცა. შიდა ქართლში მოიშალა უფლისციხე, ატენი, ახალქალაქი, სურამი, ცხინვალი.

გორი კი გადაურჩა ათას ქარტეხილს. გორის მდებარეობა, განსაკუთრებით ხელსაყრელი იყო. მას აკრავდა შიდა ქართლის უმდიდრესი რაიონი. თვით ქალაქი კი გაშენებული იყო გზასაყარზე: სამხრე-

---

* პირველად დაიბეჭდა 1947 წელს, გაზ. „ნორჩი ლენინელი", № 26—27, 29, VI.

თისაკენ (ატენზე), დასავლეთისაკენ (სურამზე, ალზე), ჩრდილოეთისაკენ (კასრის კარსა თუ დარიალზე), აღმოსავლეთისაკენ (მუხრანზე, ახალქალაქზე), სამხრეთ-დასავლეთისაკენ (ტაშის კარზე).

ბუნებრივია, რომ გორი თანდათან შიდა ქართლის ეკონომიურ და პოლიტიკურ ცენტრად იქცა.

გორელი ვაჭრები განთქმული სოვდაგრები იყვნენ, მესტამბოლე-მობაღდადენი ისინი გემქარავნებით გაბედულად სერავდნენ უშორესი ქვეყნების ზღვასა და ხმელეთს, გაჰქონდათ ქართული ნედლეული თუ ნაწარმი და შემოჰქონდათ: ინდური თვალმარგალიტი, ყაშმირის ქსოვილები, სპარსული ფარჩა, ფრანგული ატლასი, ერაყული ფოლადი, ხვარასნის რკინა, სალიანის თევზი, ზეითუნის ზეთი, არაბული ნელსაცხებელი და ათასი სხვა.

დიდად აფასებდნენ გორს საქართველოს მეფეები. დიდი შემოსავალი ჰქონდათ მათ აქედან. XIII—XIV საუკუნეებში გორის მმართველად მეფის ვეზირი იყო, XV საუკუნიდან კი გორს მეფის დიდმოხელე მოურაობდა,—ამირახორი.

გორის ციხე უძველესი დროიდანვე არსებობდა. აპის საბუთია ამ ორიოდე წლის წინ შემთხვევით აღმოჩენილი კედელ-გალავანი აწინდელი ციხის ჩრდილოეთის მხარეზე, ეს კედელი დაახლოებით 1500 წლისაზედ მეტისაა.

ძველ საქართველოში ციხე ქვეყნის პოლიტიკური სიმაგრე იყო. ამიტომ იყო, რომ დამპყრობელი თუ კი მოახერხებდა, ქვეყნის ციხეებში მოიკალათებდა ხოლმე.

გორის ციხე განსაკუთრებით სასურველი იყო საქართველოს მტრისათვის. ის მდიდარ ქალაქზე და მჭიდროდ დასახლებულ დიდ რაიონზე ბატონობდა.

გორის ციხის დაკარგვა შიდა ქართლის თავდაცვის წელში გატეხას ნიშნავდა, და პირიქით, ვიდრე გორის ციხე ქართველთა ხელში იყო, მტერი შიდა ქართლში ვერ იბოგინებდა. თავის მხრით კი შიდა ქართლის ვითარება, მისი სიმტკიცე თუ გატეხილობა, მთელი საქართველოს განმსაზღვრელი იყო.

ეს მტერმაც კარგად იცოდა და საქართველოს დამპყრობნი გორის ციხის ხელში ჩაგდებას განსაკუთრებით ცდილობდნენ.

XVI საუკუნეში, როცა სპარსეთის შაჰი თამაზი საქართველოს დამონებას გააფთრებით ცდილობდა (15 წლის მანძილზე 5-ჯერ შემოესია ქართლს), ქვეყნის დაცვას სათავეში ედგა ლუარსაბ მეფე, მეფე, უდრეკი მეომარი და დიდი ქართველი პატრიოტი. გორი შიდა ქართლიანად ლუარსაბის სამყოფელო იყო. საქართველოს თავისუფლება აქ ისხამდა იარაღს. რათა თბილისიდან გაერეკა მომხდურნი.

შაჰთამაზმა ვერ გატეხა შიდა ქართლი, გორი საბოლოოდ ლუ-

არსაბს დარჩა და როცა გმირი მეფე ლუარსაბი მტერს შეაკვდა, ქართველთა თავისუფლებისა და ბრძოლის დროშა მისმა ღირებულმა შვილმა სიმონმა ასწია.

სიმონის საბუდარიც გორი და შიდა ქართლი იყო. ორმოცი წლის განმავლობაში სიმონ მეფე საქართველოს თავისუფლებას ღირსეულად დაჯარაჯობდა ვიდრე ისიც, მამის მსგავსად, არ შეეწირა სამშობლოს თავისუფლების დაცვის წმინდა საქმეს.

XVI საუკუნის 80-იან წლებში გორის ციხეში ოსმალები ჩამსხდარიყვნენ. მთელი საქართველო ხელთ ჰქონდათ და თავისი ვერაგული გეგმის განხორციელებაზე ოცნებობდნენ. ჩვენი ქვეყნის სამუდამოდ დამონებას, მის გათურქებას აპირებდნენ.

სიმონ მეფე ცოცხალის თვით დამპყრობელთ არ ნებდებოდა. ქართლში დაუნდობელი სახალხო ომის ცეცხლი ღვივოდა. გორი ხელიდან ხელში გადადიოდა...

1599 წელს სიმონ მეფემ მორიგი ომი ოსმალო დამპყრობელთა წინააღმდეგ გორის იერიშით დაიწყო. ქართველმა ვაჟკაცებმა იფრინეს ოსმალები და სამშობლოს თავისუფლებამ კვლავ დაისადგურა ქართლის გულში. ქართლი გადაურჩა გაოსმალებას და საქართველოც გადაურჩა გადაგვარების საშინელ საფრთხეს.

1609 წელს ოსმალო-ყირიმელი მტაცებლები ქართლს შემოესივნენ. ქვეყნის მარბიელ ველურებს გორის დარბევაც ეწადათ. ქართლის ვაჟკაცებმა გიორგი საკაძის სარდლობით თავხედ მტერს ბედი აწყევლინეს: სასტიკად დაამარცხეს ქვიშხეთის ბოლოხე. მაგრამ ოსმალო დამპყრობლები ჩქარა სპარსელებმა შესცვალეს და გორის ციხეში საქართველოს მტარვალი შაჰაბასის ჯარი ჩადგა.

შემდეგ, როცა ქართველმა ხალხმა გიორგი საკაძის წინამძღოლობით, 1623—1626 წლებში სპარსელ დამპყრობლებს სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გაუმართა, გორის ციხე და ქალაქი სულ ერთიანად აოხრდა.

ქართველებმა გორის ციხეში შაჰაბასის გარნიზონი გაჟლიტეს, მტერმა კი, როცა ძალი მოიცა, ციხეც დაანგრია და ქალაქის მოსახლეობაც თითქმის მოშალა.

1633 წელს, როცა მშვიდობა ჩამოვარდა, ქართლის მეფემ, როსტომმა გორის ციხე განაახლა. აქვე მან შესანიშნავი სასახლე აიშენა. ქალაქმაც მოშენება იწყო.

XVII საუკუნის მეორე ნახევარში გორი შესამჩნევად გაიზარდა. ვახტანგ VI დროს, XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში, ის ცხოველი სავაჭრო პუნქტია. ვახტანგმა გორი კიდევ უფრო გაამშვენიერა.

მაგრამ ტაროსი წახდა, ქართლის ცაზე კვლავ ქარიშხალმა დაჰქროლა. ქვეყანა ჯერ ოსმალებმა დაიპყრეს, ხოლო შემდეგ სპარსე-

ლებმა. 1723—1735 წლამდე გორის ციხეში ოსმალთა გარნიზონი იდგა, ამ ველურებმა გორის მშვენება—სასახლე დაანგრიეს, ხოლო 1740 წელს ირანის ხელმწიფემ გორის ციხეც დაანგრევინა. ეს ციხე ამ დროს ქართველ აჯანყებულთა მთავარი სიმტკიცე იყო სპარსელთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ შავბნელ დროს ცხოვრება გორში კვლავ ძალზე შესუსტდა.

ერეკლე მეორემ დაუღალავი ბრძოლით შეანელა ველურ მოთარეშეთა (სპარსელების, ოსმალების, ლეკების) მოწოლა და ქვეყნის მშენებლობას ენერგიულად შეუდგა. გორიც გამოცოცხლდა. 1770 წელს გორში 2500 მცხოვრები იყო. მეფემ გორის ციხე განაახლა-აღადგინა...

დიდმა ერეკლემ საქართველოს ბედის ჩარხი წაღმა დაატრიალა. ქართველი ხალხის მომავალი მოძმე რუსი ხალხის მომავალს დაუკავშირა და დიდჭირნახულ სამშობლოს მშვიდობიანი განვითარების პირობები მოუპოვა.

XIX საუკუნეში საქართველომ მოისვენა ბოლომოუღებელი ომისა და ველური თარეშისაგან. გორიც ზრდა-განვითარების გზით თანდათან წინ წავიდა.

XIX საუკუნის პირველი ნახევრის დამლევს გორში 3.500 მცხოვრები იყო, 1880 წელს კი—5. 668.

XIX საუკუნის სამოციანი წლებიდან რუსეთში ახალი ცხოვრება დაიწყო. სულისშემხუთავი ძველი ბატონყმობა მოიშალა და ბურჟუაზიული ურთიერთობას შედარებით ფართო სარბიელი გადაუშალა.

ცხოვრება გაცხოველდა, თავისუფლების სიომ დაჰქროლა.

ცარიზმი ბატონყმური რუსეთის ნაშრომ-ნახელავი იყო, ის ახალ ცხოვრებას ვერ ეგუებოდა და დაუნდობლად ებრძოდა.

საქართველოში რუსული ცარიზმი ხალხის სოციალურ ჩაგვრას ველური ეროვნული ჩაგვრით კიდევ უფრო ამწვავებდა.

რუსი და ქართველი ხალხის მოწინავე ადამიანებმა საერთო მტერი იცნეს და მის წინააღმდეგ საერთო ბრძოლის საქმეს გატაცებით შეუდგნენ.

ჩვენს ქვეყანაში გორი ამ დიდი საქმის მეთაური იყო. სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლის მედროშეობა გორმა აქაც შეინარჩუნა. 70-იან წლებში აქ შეიქმნა ქართველ რევოლუციონერ მოღვაწეთა ძლიერი დასი, რომელიც ჩვენი ხალხის სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან განთავისუფლების საქმის მეთაურად გამოდიოდა.

ისტორია

(წიგნში: „მეცნიერება საბჭოთა საქართველოში 40 წლის მაწყილზე")*

საბჭოთა ხანის ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების შესახებ დღემდე არაერთი სტატია დაბეჭდილა[1].

საკითხის ერთი მხარე—მასალის ქრონოლოგიური დალაგება—ხსენებულ სტატიებში სისრულით არის წარმოდგენილი. ამიტომ ჩვენ უკვე ნათქვამის გამეორებას მოვერიდებით და თვალს გავამახვილებთ ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიის განვითარების ისეთ მხარეზე, რომელსაც, ჩვენი აზრით, დღემდე ჯეროვანი ყურადღება არ დასთმობია. ამდენადვე შეიძლება ჩვენი ეს სტატია ხსენებულ ნაშრომთა შევსებად იქნეს ნაგულისხმევი.

ქართველი ერი ძველი კულტურის ხალხია. საუკუნეთა სიღრმიდან ახსოვს მას საკუთარი თავგადასავალი. ი ბ ე რ ი ე ლ ე ბ ს თავისი პოლიტიკური წარსულის ცოდნა მწყობრად გამართული თხრობის სახით ჯერ ისევ წინაქრისტიანულ ხანაშივე მოეპოვებოდათ, ხოლო იმავე დროს მათ მოძმე ე გ რ ი ს ე ლ ე ბ ს თავი მოჰქონდათ ძველ მსოფლიოში სახელგანთქმულ კოლხთა ათასწლოვანი მემკვიდრეობით.

მდიდარშინაარსიანი ისტორიოგრაფია შექმნა ქართველმა ხალხ-

---

* პირველად დაიბეჭდა 1961 წელს.

1. მათ შორის: დ. გვრიტიშვილის და ნ. ლომოურის სტატია—„ისტორიულ მეცნიერებათა მიღწევები", თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ დიდი ოქტომბრის რევოლუციის 40 წლისთავისადმი მიძღვნილ „საიუბილეო კრებულში" და ა. აფაქიძის, გ. ჩიტაიას და ე. ხოშტარიას სტატია საქართველოს მეცნიერებათაკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის „შრომების" III ტომში: „ქართული საბჭოთა ისტორიული მეცნიერება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლის თავზე" (ეგულისხმობ ამ სტატიაში მის საკუთრივ ისტორიის ნაწილს).

მა ფეოდალურ ხანაში. საზოგადოებრივ ცხოვრების აურაცხელი საკითხებით დატვირთული ქართული ისტორიოგრაფია ფეოდალური ხანისა წარმატებით ახერხებს საზოგადოებას მიაწოდოს მშობლიური ისტორიის აქტიური (პოლიტიკურ-„პარტიული“) ცოდნა.

აღმავალი ფეოდალური ხანის ქართველი ისტორიკოსები (ლეონტი მროველი, დავითისა და თამარის დროის ისტორიკოსები, ჟამთააღმწერელი და სხვანი) მშვიდი მემატიანე—ქრონისტები კი არ არიან, არამედ ღრმად განათლებული პოლიტიკური მწერლები, ამა თუ იმ საზოგადოებრივი დაჯგუფების ენერგიული მოსარჩლენი.

აღმავალი ფეოდალური ურთიერთობის ხანის ქართული ისტორიოგრაფია თავისი დროის მსოფლიო ისტორიოგრაფიის მოწინავეთა რიგში იდგა.

და შემდეგაც, მრავალსაუკუნოვანი ძნელბედობის მძიმე პირობებშიაც კი, დიდკულტურაგამოელილი ქართველი ხალხი წარმატებით ახერხებდა ძველებურადვე მაღლა სჭეროდა მშობლიური ისტორიოგრაფიის ალამი. ჩვენ დღეს თავი ღირსეულად გვესახელება ვახუშტი ბაგრატიონით, რომელმაც ქართული ისტორიოგრაფია თავისი დროის მსოფლიო ისტორიოგრაფიის მეცნიერულ სიმაღლეს გაუტოლა.

არც სხვა, გვიანფეოდალური ხანის, მაღალპოლიტიკური იდეებით დატვირთული ისტორიკოსთა დასახელება გაჭირდებოდა (პაპუნა ორბელიანი, დავით, იოანე და თეიმურაზ ბატონიშვილები და სხვ.), რომ ასეთი რამ ჩვენი ამოცანის მთავარ საგანს არ გვაშორებდეს.

ასე თანდათან იქმნებოდა „ქართლის ცხოვრება“, დიდი სასწავლო-პოლიტიკური წიგნი, ქართული ფეოდალური საზოგადოების იდეური დასაყრდენი.

მძიმე იყო ქართველი ხალხის ცხოვრებაში მისი ბურჟუაზიული ურთიერთობის ხანა. ცარიზმის კოლონიური პოლიტიკით ხელოვნურად შეფერხებული ქართული საზოგადოებრივი განვითარება, ბუნებრივია, ვერ იქნებოდა საღი და ნოყიერი ნიადაგი მისი ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის ნორმალური განვითარებისათვის. კლასობრივი გადაშენების გზაზე შემდგარ თავად-აზნაურთა შვილები, ეროვნული გადაგვარების ქვეშ მოყოლილი ნიჰილისტები შეთანხმებულად უტევდნენ ქართველ ერს, მის ისტორიას და ცარიზმის ოფიციალურ აგენტებს საქართველოს მოთხრის ბნელ საქმეში შველოდნენ. ასეთ პირობებში, ბუნებრივია, ამ დროის ქართველ პატრიოტ-ისტორიკოსთა მიდრეკილება წარსულის რომანტიკული იდეალიზა-

ციისაკენ, წარსულში, და არა აწყმოსა და მომავალში, ძებნა „ოქროს ხანისა“.

მიუხედავად ამ მძიმე ვითარებისა, ქართველ პატრიოტ ისტორიკოსთა სასახელოდ უნდა აღინიშნოს მათი თვალსაჩინო წარმატება ეპოქის შესაფერის ისტორიათმწერლობაში. მაგალითისათვის საკმაოა დიმიტრი ბაქრაძე, უდავოდ მეთაური და ყველაზე მაღალკვალიფიციური მოწინავე მეცნიერი ცხრაას ხუთამდე ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიაში.

XX საუკუნის დამდეგი დიდმნიშვნელოვანი ტეხილია ჩვენი ქვეყნის განვითარებაში. ქართველი ერის მშრომელთა კლასებმა არა მარტო დიდი პოლიტიკური ომი გაუმართეს მფლობელთა კლასებს, არამედ ერის კულტურული მესვეურობაც, მისი იდეურ-სულიერი მედროშეობაც დაიჩემეს.

განახლების სიომ დაჰქროლა ქართველი ერის კულტურის ყოველ დარგში. 1905—1907 წლების სახალხო რევოლუციის შემოქმედი საზოგადოება, ბუნებრივია, ძველი, რევოლუციამდელი ისტორიოგრაფიით ვერ დაკმაყოფილდებოდა. ისტორიკოსთა წინაშე ქართველი მწარმოებელი საზოგადოების მოსარჩლე ისტორიოგრაფიის შექმნის დიდი ამოცანა დადგა.

ჩვენი სახელოვანი პროგრესული მოღვაწენი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეთაურთა ბანაკიდან ჯერ ისევ 1905 წლის რევოლუციამდე აღიარებდნენ, რომ ფეოდალური ხანის ქართულ ისტორიოგრაფიაში, „ქართლის ცხოვრებაში“, ქართველი ხალხის ფართო მასები არ ჩანდა, რომ „ქართლის ცხოვრების“ მონაცემები არ იყო საკმარისი იმისათვის, რათა ქართველი ერის ისტორია ახალი დროის მოთხოვნილების შესაფერისად დაწერილიყო. დიდმა ილიამ პირველმა აღნიშნა ფეოდალური ხანის ქართული ისტორიოგრაფიის ეს ნაკლი და მანვე დასვა გადასაჭრელად ქართველი ისტორიკოსების წინაშე ისტორიის ქვაკუთხედად დასადები ამოცანები: ქართველი ხალხის მწარმოებელი საზოგადოება და ქართველი ხალხის ეკონომიკა ისტორიულ წარსულში.

ილიას მიერ დასმული საკითხები ამიერიდან არც მოხსნილა ქართული ისტორიოგრაფიის დღის წესრიგიდან და ბურჟუაზიული ხანის ქართველი ისტორიკოსები ახალი საისტორიო მასალების შეგროვება-გამოქვეყნებით ენერგიულად ცდილობდნენ „ქართლის ცხოვრების“ აღნიშნული ნაკლის შევსებას. დ. ბაქრაძემ, თ. ჟორდანიამ, ე. თაყაიშვილმა, ალ. ცაგარელმა და სხვებმა დიდი შრომა გასწიეს ამ მიმართულებით.

პატრიოტ-ისტორიკოსთა ასეთი მუშაობა 1907 წელს დაგვირგვინდა იმით, რომ შეიქმნა კოლექტიური ორგანიზაცია—საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება.

და სავსებით მართალი იყო ამ საზოგადოების ყველაზე აქტიური ენთუზიასტი ე. თაყაიშვილი, როცა ამ ორგანიზაციას უმთავრეს ამოცანად საისტორიო მასალების შეგროვება-გამოცემას უსახავდა.

ცარიზმის რეაქციის სულისშემხუთველ პირობებში, ქართველი ერის უუფლებობისა და პატივაყრილობის ხანაში საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების ენთუზიასტებმა შესძლეს ჩვენი ქვეყნის მოწინავე წრეების ამოძრავება დიდი პატრიოტული საქმის შესასრულებლად. სისტემიანი, ხანგრძლივი და დაჟინებული მუშაობის შედეგად გამოვლინებულ იქნა საქართველოს ისტორიის დიდძალი მასალა, მკვიდრი საფუძველი ჩაეყარა რიგ მუზეუმებსა და სიძველეთსაცავებს, მოეწყო მეცნიერული გამოფენა, გამოქვეყნდა დიდი მასალა ისტორია-არქეოლოგიიდან, ეთნოგრაფია-ფოლკლორიდან.

საისტორიო მასალის შეგროვება-გამოქვეყნების გვერდით სულ უფრო და უფრო ღრმავდება თეორიულ საკითხებზე მუშაობა თბილისში (ნ. ხიზანიშვილი, ს. გორგაძე, ს. კაკაბაძე და სხვ.).

ამავე დროს საქართველოს ისტორიის საკითხები წარმატებით მუშავდება რუსეთის საუნივერსიტეტო ქალაქებში მოღვაწე ქართველ მეცნიერთა მიერ,—ოდესაში, მოსკოვში და, განსაკუთრებით, პეტერბურგში, სადაც 900-იანი წლებიდანვე ჩამოყალიბდა ნ. მარის მეთაურობით კავკასიისმცოდნეობის ძლიერი ისტორიულ-ფილოლოგიური სკოლა. ამ სკოლის ღირსეული პირმშო იყო ივ. ჯავახიშვილი, რომელიც სამართლიანად ითვლება ახალი ქართული ისტორიოგრაფიის დედაბოძად. XX საუკუნის პირველ ოცეულში, ოქტომბრის რევოლუციამდე, ივ. ჯავახიშვილმა გამოაქვეყნა თავისი დროის მეცნიერულ სიმაღლეზე თამამად მდგომი არაერთი კაპიტალური ნაშრომი საქართველოს ისტორიის სხვადასხვა დარგიდან (Государственный строй древней Грузии и древней Армении, 1905; „ქართველი ერის ისტორია“, წ. 1, 1908; „ქართველი ერის ისტორია“, წ. II, 1914; „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა“, 1916; „ქართული სამართლის ისტორია“, I, 1919; „საქართველოს ეკონომიური ისტორია“, 1907 და სხვ.).

ამრიგად, ქართული ისტორიული მეცნიერება დროის შესაფერისად გაიზარდა და გაღრმავდა. შემზადდა მტკიცე მეცნიერული ბაზა ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების შემდგომი ეტაპისათვის. დიდი ოქტომბრის რევოლუციამ ქართველი ერი სოციალური და ეროვნული ხუნდებისაგან გაათავისუფლა. საბჭოთა საქართვე-

ლომ სწრაფად გაშალა შემოქმედებითი ძალები თავისუფლების სარბიელზე. მშობლიურ დედაქალაქში შეიქმნა ქართული ეროვნული მეურნეობის კერა—თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ამ დიდ ორგანიზაციაში გაერთიანდა ქართველი ერის მეცნიერული ძალები. მათ შორის ქართული ისტორიოგრაფიის სარბიელზე მომუშავე მეცნიერები.

მარქსიზმმა საბოლოოდ გამოთიშა ისტორიოგრაფია პოეზიისა და საერთოდ მხატვრული შემოქმედების სფეროს, მეცნიერებად აქცია ის და საზოგადოებათმცოდნეობის სამსახურში ჩააყენა.

საქართველოში საბჭოთა წყობილების გამარჯვებით მარქსიზმ-ლენინიზმის სუფევა დამყარდა, ბუნებრივია, ქართველი საბჭოთა ისტორიკოსების წინაშე დიდი ამოცანა დაისვა: აქამომდელი ქართული ისტორიოგრაფიის გადასინჯვა და მისი ახლად, მარქსისტულად გამართვა.

არ შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში აქამდე არ ყოფილიყოს მარქსისტული ისტორიოგრაფიის დანერგვის ცდა. მაგრამ არასპეციალისტი ისტორიკოსების ეს ცდები იმ მნიშვნელობისა და ოდენობის ვერ იყვნენ, რომ გაბატონებული პოზიციები დაეჭირათ ქართულ საზოგადოებათმეცნიერებაში და ისინი ბოლომდე ეპიზოდური ხასიათის მოვლენებად რჩებოდნენ.

ეხლა, საბჭოთა წყობილების გამარჯვების შემდეგ, მოთხოვნილება მარქსისტულ-ლენინურ ისტორიოგრაფიაში განსაკუთრებით მწვავედ იგრძნობოდა: საზოგადოების გარდაქმნისათვის ტიტანურ ბრძოლაში სოციალისტური რევოლუცია ამ დიდი მნიშვნელობის იდეოლოგიურ იარაღს უყურადღებოდ ვერ დატოვებდა, ახალი ხანა თავის შესაფერის ისტორიოგრაფიას მოითხოვდა. საბჭოთა ხელისუფლება თავიდანვე ცდილობდა ამ მიმართულებით. საქართველოს ისტორიის მარქსისტულად გამართვის მოხალისეებიც მალე გაჩნდნენ, მაგრამ ამ სახელდახელო ცდებს წარმატება არ მოჰყვა. აიხსნებოდა ეს მარცხი არა მარტო ამოცანის სიმძიმით, არამედ იმითაც, რომ საქმეს ისეთი მუშაკები წამოეჭიდნენ, რომელთაც არც საკმაო თეორიულ მარქსისტული აღჭურვილობა მოსდევდათ და არც საქართველოს წარსულის ფაქტების საჭირო ცოდნა გააჩნდათ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრაზე კი, რომელსაც ივ. ჯავახიშვილი განაგებდა, ამ დროს დიდი მუშაობა მიმდინარეობდა: მზადდებოდა ისტორიკოსთა კადრები, ქვეყნდებოდა ისტორიული ძეგლები და სამეცნიერო ნაშრომები: „ნუმიზმატიკა-მეტროლოგია“ (1925); „პალეოგრაფია“ (1926); „დიპლომატიკა“ (1926); „ქართველი ერის ისტორია“, წ. IV (1924) და „ქართველი ერის ისტორია“ წ. I (1928); „ქართული სა-

მართლის ისტორია", წ. I, და II, 1928—1929; „საქართველოს ეკონომიური ისტორია", წ. I (1930); წ. II (1934).

ამავე დროს ქართველთმცოდნეობის დარგში მუშაობა გაიშალა რიგ სხვა სახელმწიფო დაწესებულებებში: ცენტრალურ არქივში, სახელმწიფო მუზეუმში, უნივერსიტეტის მუზეუმში. საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებაში იკითხებოდა სამეცნიერო მოხსენებები; უფროსი თაობის მეცნიერთა გვერდით მოხსენებებით გამოდიოდნენ ახალგაზრდები—ისტორიკოსები, ენათმეცნიერები. სწორედ ამ დროს განახლდა ქართული არქეოლოგია (გ. ნიორაძე), საფუძველი დაედო ქართულ მეცნიერულ ეთნოგრაფიას (გ. ჩიტაია). ეს მუშაობა უპირატესად საქართველოს მუზეუმის ხაზით მიმდინარეობდა[2]. ამავე დროს მიმდინარეობდა დიდი მუშაობა საქართველოს ცენტრალური არქივის ორგანიზაციის ხაზით. (საარქივო ფონდების მეცნიერულ წესრიგში მოყვანა, ისტორიული დოკუმენტების შეგროვება-დაცვა, გამოქვეყნება).

უნივერსიტეტში შეიქმნა ქართული ხელოვნების ისტორიის კაბინეტი. რომელმაც ნაყოფიერი მუშაობა გაშალა როგორც ძეგლების აღრიცხვა-შეგროვებისა, ისე ამ დარგის საკითხების მეცნიერული დამუშავების ხაზით (გ. ჩუბინაშვილი).

ყველგან და ყველაფერში იგრძნობოდა ენთუზიაზმი, მშობლიური მეცნიერების დარგში მუშაობის დიდი ხალისი. ქართული ისტორიოგრაფიის ფრონტის ხელმძღვანელის ხელი ყველა დარგში თავს იჩენდა.

მოსალოდნელიც ასე იყო და მარქსიზმმა თავდაპირველად ფეხი აიდგა ქართული ისტორიოგრაფიის XIX—XX საუკუნეთა უბანზე. XIX საუკუნის სპეციალურ-პოლიტიკური მოძრაობანი და ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარება მარქსისტ ისტორიკოსთა ყურადღების ცენტრში მოჰყვა და აქამდე ქართული ისტორიოგრაფიის შეუძრავ ყამირს მარქსისტული სახვნელი პირველად მოხვდა (ფ. მახარაძე, ს. ხუნდაძე, გ. ხაჭაპურიძე).

ამასობაში 30-იანი წლებმა მოატანა. მარქსიზმს ნაზიარები ახალგაზრდა ისტორიკოსები წამოიზარდნენ და შესაფერისი მუშაობა ძველი ისტორიის სხვადასხვა უბანზეც თანდათან გაიშალა.

1932—1937 წლებში ს. ჯანაშიამ საქართველოს უძველესი ისტორიის ძირითადი საკითხების მარქსისტულად გაშუქება წარმატებით სცადა („გვაროვნული წყობილება ქართველ ტომებში", 1932; „საზოგადოებრივი კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობა ქართ-

---

[2] მუზეუმი ქართულ სამეცნიერო დაწესებულებად მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციის წყალობით იქცა.

ველ ტომებში", 1932; „ფეოდალური რევოლუცია საქართველოში", 1935; „საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე", 1937). წარმატებით აღინიშნა აგრეთვე საშუალო საუკუნეების საქართველოს ისტორიაში რიგი საკითხების მარქსისტულად გაშუქების ცდები (ნ. ბერძენიშვილი).

ამავე ხანებში შუქდებოდა დიდმნიშვნელოვანი ფაქტოლოგიური საკითხები საქართველოს კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის ურთიერთობიდან (ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, აკ. შანიძე).

საკითხების ისეთმა გადაწყვეტამ, როგორიც ს. ჯანაშიამ წარმოადგინა ქართველ ტომებში კლასობრივი ურთიერთობის წარმოქმნის დროის შესახებ, საქართველოში მონათმფლობელური ხანის არსებობის შესახებ, აგრეთვე ფეოდალური ურთიერთობის გამარჯვების შესახებ, მწვავე აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. კამათი საბოლოოდ დღემდეც არ დამთავრებულა. ზეპირი აზრთა გაცვლა-გამოცვლა, საჯარო დისკუსიები (უნივერსიტეტში, ისტორიის ინსტიტუტში), ლიტერატურული გამოხმაურებანი ხელს უწყობდნენ ამ ძნელი და დიდმნიშვნელოვანი საკითხების გაღრმავებით შესწავლას, ძველად მოპოვებული ფაქტების ახლებურად გაშუქებას, ახალი ფაქტების მოპოვება-აღმოჩენას, საკითხების თეორიული მხარის სწორ მარქსისტულ გაშუქებას.

1936 წელს ქართული მეცნიერების განვითარებაში მნიშვნელოვანი ტეხილი აღინიშნა. შეიქმნა საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალი (კავკასიისმცოდნეობის ინსტიტუტის ბაზაზე). ფილიალში ჩამოყალიბდა მატერიალური კულტურის ინსტიტუტი. ეს სპეციალური დაწესებულება თანდათან ქართველთმცოდნეობის ძირითად სამეცნიერო ცენტრად იქცა, კერძოდ—ქართული ისტორიოგრაფიის ცენტრად.

„ენიმიკის" ისტორიის განყოფილებაში იმთავითვე გეგმიანი მუშაობა გაიშალა. ისტორიის წერილობითი წყაროების შესწავლა-გამოქვეყნება, მატერიალური კულტურის ძეგლების აღმოჩენა-გამოკვლევა, საქართველოს ისტორიის საკითხების მეცნიერული დამუშავება და ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების მომზადება,—ასეთი იყო ქართული ისტორიოგრაფიის ამ უჯრედის ძირითადი სამუშაო გეგმა.

ამ გეგმიანობის შედეგი იყო არქეოლოგიურ სამუშაოთა გაშლა-გაფართოება, კერძოდ, მცხეთის გათხრების წამოწყება. მცხეთის გათხრებმა საქართველოს ისტორიოგრაფიას ფასდაუდებელი ფაქტების საგანძური შესძინა.

კერძოდ, აღმოჩნდა წერილობითი ძეგლები, რომელთა შესწავლამ (გ. წერეთელი) არა მარტო ახალი ფაქტები მრავალად შემოიტა-

ნა ქართულ ისტორიოგრაფიაში, არამედ სრულიად ახლებურად დასვა საკითხი ქართული კულტურის უდიდესი მოვლენის—ქართული დამწერლობის შემოსვლისა და ვითარების შესახებ გვიანანტიკურ ხანაში. დიდი მნიშვნელობის ფაქტები გამოიტანა დღის სინათლეზე არქეოლოგიურმა გათხრებმა თრიალეთში, დაბლაგომში და რიგ სხვა ადგილებში (ბ. კუფტინი).

თანდათან ქართული ისტორიოგრაფია გაღრმავდა, თვალსაწიერი გაუფართოვდა, მეთოდოლოგიურად შეიარაღდა, ფაქტებით გამდიდრდა. მაგრამ რევოლუციის ეტლი ქართველ ერს ისე სწრაფად მიაქანებდა განახლების გზით, რომ ქართული ისტორიოგრაფია, უეჭველ წარმატებათა მიუხედავად, ჩამორჩენილობიდან ვერ გამოდიოდა. საბჭოთა საზოგადოების წინაშე ქართული ისტორიოგრაფია ვალმოუხდელი რჩებოდა: არსად იყო მარქსისტულად გამართული მთლიანი საქართველოს ისტორია. საბჭოთა საქართველოს კი სწორედ ეს სჭირდებოდა.

1938 წელს საბჭოთა მთავრობამ ქართველ ისტორიკოსთა კოლექტივს საქართველოს ისტორიის სახალხო საკითხავი წიგნის დაწერა დაავალა.

ეს იყო ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფის საჯარო გამოცდა.

დიდი მუშაობა გაიშალა. აქამდე ხელუხლებელი არაერთი საკვანძო საკითხი ახლად გაშუქდა, მთელი ეპოქები ახლებურად მოიხაზა. მხოლოდ 1941 წელს მოხერხდა საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს მაკეტის გამოქვეყნება (ამასობაში ჩვენი წიგნის დანიშნულება მნიშვნელოვნად შეიცვალა: „საკითხავი წიგნის“ ნაცვლად საქართველოს ისტორიაში საშუალო სკოლის სახელმძღვანელოს დაწერა დაგვევალა).

მაკეტი საჯარო მსჯელობის საგანი გახდა. მძიმე ნაკლი გამომჟღავნდა: XIX—XX საუკუნეთა ისტორიის უბანი სუსტად დამუშავებული აღმოჩნდა და ავტორთა კოლექტივი იძულებული შეიქნა ისტორიის სახელმძღვანელო XVIII საუკუნის დასასრულზე შეეწყვიტა.

სამამულო ომის წლებმა, ბუნებრივია, ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებას დაბრკოლებანი შეუქმნა. შემცირდა საკვლევაძიებო სამუშაოები, არქეოლოგიური გათხრები, ეთნოგრაფიული ექსპედიციები, მასალათა პუბლიკაცია. ამავე დროს ქართულმა ისტორიოგრაფიამ მძიმე დანაკლისი განიცადა: 1940 წელს გარდაიცვალა აკად. ივ. ჯავახიშვილი.

მაგრამ, მეორე მხრით, ამავე ხანებში ოფიციალურად აღიარებულ იქნა ქართული მეცნიერების მოწიფულობა: 1941 წელს გა-

იხსნა. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, შეიქმნა ქართული მეცნიერების ცენტრი.

ამ დროისათვის აკადემიაში შემავალი „ენიმიკი“ ისე გაიზარდა, რომ მისი დანაწილება მიზანშეწონილად იქნა ცნობილი: ენიმიკის ბაზაზე სამი ინსტიტუტი გაჩნდა: ისტორიის, ენათმეცნიერებისა და ხელოვნების ისტორიისა.

1943 წელს დაიბეჭდა საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო, 1945 წელს ამ სახელმძღვანელოს გაეცნო ი. ბ. სტალინი. მან ის ძირითადად მოიწონა, ხოლო ამ წიგნის მთავარი ნაკლის (XIX — XX საუკუნეთა ისტორიის დაუწერლობა) შევსება ქართულ ისტორიოგრაფიას უახლეს ამოცანად დაუდო.

1947 წელს აღნიშნულმა სახელმძღვანელომ სახელმწიფო პრემია დაიმსახურა. ეს იყო ქართული ისტორიოგრაფიის უცილობელი წარმატების მოწმობა მარქსისტული ისტორიოგრაფიისათვის ბრძოლაში.

ქართველ ისტორიკოსებს ნიადაგ სახელმძღვანელოდ ჰქონდათ მითითება რომ მიიღეს და მთელი ენერგიით ცდილობდნენ როგორც თვალსაჩინოდ ცხადი ნაკლის ლიკვიდაციას, ისე საქართველოს ისტორიის სხვა აურაცხელი საკითხების მარქსისტულად დამუშავებას.

ეხლა, რა თქმა უნდა, ასეთი მუშაობა იმ სიძნელეს აღარ წარმოადგენდა, როგორც ეს თავდაპირველად იყო. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის რიგ დაწესებულებებში (ისტორიის ინსტიტუტში, ენათმეცნიერების ინსტიტუტში, ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში, ლიტერატურის ინსტიტუტში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, ეკონომიკის ინსტიტუტში), უნივერსიტეტის სხვადასხვა კათედრაზე (საქართველოს ისტორიის, საბჭოთა კავშირის ხალხთა ისტორიის, აღმოსავლეთმცოდნეობის, იურიდიულ მეცნიერებათა, ქართული ენისა, ლიტერატურისა, ეკონომიურ მეცნიერებათა და არქეოლოგია-ეთნოგრაფიის კათედრები), რესპუბლიკის რიგ პედაგოგიურ ინსტიტუტებსა და სხვა დაწესებულებებში ინტენსიური მუშაობა გაიშალა ქართველთმცოდნეობის სხვადასხვა უბანზე. ყველაფერი ეს ხელს უწყობდა ისტორიის საკითხების ღრმამეცნიერულად დასმას, აადვილებდა მათ მართებულად გადაწყვეტას.

ამ ხანებში ქართულმა ისტორიოგრაფიამ კვლავ მძიმე დანაკლისი განიცადა. 1947 წელს უდროოდ გარდაიცვალა აკად. ს. ჯანაშია, მაგრამ ისტორიის ინსტიტუტისა და უნივერსიტეტის შესაფერის კათედრათა გეგმიანი მუშაობის შედეგად ქართული ისტორიოგრაფია საჭირო კადრებით იქამდე მომარაგებული იყო, რომ მძიმე დანაკლისი აუნაზღაურებელი აღარ შეიძლებოდა ყოფილიყო.

ქართული ისტორიოგრაფია ამის შემდეგაც შეუფერხებლივ წინ მიდიოდა.

1954 წელს ისტორიის ინსტიტუტში ჩამოყალიბდა ბურჟუაზიული ურთიერთობის ხანის საქართველოს ისტორიის განყოფილება, ხოლო 1953 წელს საბჭოთა პერიოდის საქართველოს ისტორიის განყოფილება.

ამავე დროს სულ უფრო და უფრო გაფართოვდა და გაღრმავდა მუშაობა საქართველოს არქეოლოგიის უბანზე და გეგმაშეწონილი გათხრების შედეგად დიდძალი მასალა გამოვლინდა საქართველოს ისტორიის უძველესი დროიდან მოკიდებული გვიან ხანამდე. გათხრითი სამუშაოების გვერდით ქართველი არქეოლოგები წარმატებით ცდილობდნენ მათ მიერვე მოპოვებული მასალის საფუძველზე საქართველოს უძველესი წარსულის რეკონსტრუქციას (ამის მოწმობაა, სხვათა შორის, კოლექტიური ნაშრომები: „მცხეთა, I" და „საქართველოს არქეოლოგია", რომელიც პირველად დაიწერა).

გაიზარდა და მოიწიფა ქართული მარქსისტული ეთნოგრაფია. ეთნოგრაფიული გადმონაშთების მეცნიერული შესწავლის საფუძველზე ქართველმა ეთნოგრაფებმა შეძლეს მთელი რიგი პირველხარისხოვანი საკითხების დასმა-გადაჭრა საქართველოს ისტორიიდან: მეურნეობა, საზოგადოებრივი წყობა, იდეოლოგია, ძველი და ახალი ყოფა და სხვ. დაიწერა (პირველად) საქართველოს ეთნოგრაფია (საუნივერსიტეტო კურსი).

ჯერ კიდევ უნივერსიტეტში საქართველოს ისტორიის კათედრის გახსნის დღიდანვე მისი პირველი ორგანიზატორი და გამგე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა საქართველოს ისტორიის საკითხების შესწავლას მეზობელ ხალხთა ისტორიის საკითხებთან მჭიდრო ურთიერთობაში. ამ სწორმა იდეამ თანდათან ხორცი შეისხა და, ბოლოს, რეალურად იმაში გამოიხატა, რომ უნივერსიტეტში და მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტში მომზადდა შესაფერისი კადრები და ფრიად ნაყოფიერი სამეცნიერო მუშაობა გაიშალა საქართველოსა და მის გარშემო ხალხების ისტორიული ურთიერთობის საკითხებზე.

თავისთავად იგულისხმება, რომ საგანგებო ყურადღება ექცეოდა საქართველოს რუსეთთან ისტორიული ურთიერთობის საკითხების კვლევას. დიდი ოქტომბრის რევოლუციამ პირველად შექმნა შესაფერისი პირობები ამ ისტორიული პრობლემის ნამდვილი მეცნიერული გაშუქებისათვის. დიდი დოკუმენტური მასალა იქნა შესწავლილი, დიდი ლიტერატურა იქნა კრიტიკულად გათვალისწინებული. არაერთი საკითხი მონოგრაფიულად დამუშავდა (ნ. ბერძენიშვილი, ი. ცინცაძე). მეცნიერების შუქზე განიავდა თავადაზნაურულ-

ბურჟუაზიულ ცრუპატრიოტთა ნააზრევი, გაცამტვერდა ცარიზმის ისტორიკოსთა ველიკოდერჟავნიკულ-კოლონიზატორული ნაყალბევი. თანდათან ნათელი გახდა რეალურ-ისტორიული შინაარსი დიდ პარტიულ მოღვაწეთა მიერ შემოთავაზებული მარქსისტულ-ლენინური ისტორიული ფორმულისა „უმცირესი ბოროტების“ შესახებ.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის მუშაობა, რომელიც არა მარტო ცალკეული, ხშირად პირველხარისხოვანი, ფაქტების დადგენით დიდად შველოდა ქართულ ისტორიოგრაფიას, არამედ საქართველოს ისტორიის არაერთ დაბინდულ უბანს მეცნიერული სინათლის შუქს პირველად ჰფენდა.

ყველა ამის შესაფერისი იყო წერილობითი წყაროების გამოვლინება გამოქვეყნებაზე ზრუნვა. საქართველოსა თუ რუსეთის არქივთსაცავებში დიდი მასალა იქნა გამოვლინებული. მრავლად გამოაქვეყნეს ეს მასალა საქართველოს ცენტრალურმა არქივმა, უნივერსიტეტმა, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმმა და ისტორიის ინსტიტუტმა. ქართული დოკუმენტური წყაროების გვერდით უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კაბინეტი და მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტი (მისი პუბლიკაციის განყოფილება) ინტენსიურად აქვეყნებდნენ უცხო ენებზე დაცულ საქართველოს ისტორიის შესახებ წყაროებს, დოკუმენტურს თუ ნარატიულს. საგანგებოდ აღსანიშნავია „ქართლის ცხოვრების“ კრიტიკული გამოცემა, პუბლიკაციის განყოფილებამ რომ განახორციელა ს. ყაუხჩიშვილის ხელმძღვანელობით.

ასე და ამრიგად, თანდათან და გეგმაზომიერად მზადდებოდა პირობები ქართული ისტორიოგრაფიის კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე ასაყვანად.

1954 წელს ისტორიკოსთა კოლექტივს საქართველოს ისტორიის ახალი სახელმძღვანელოს დაწერა დაევალა.

დიდ კოლექტივში ფართო წინასწარი მუშაობა გაიშალა. არაერთი საკითხი სპეციალისტებს ახლად დასამუშავებლად მიეცდო, განსაკუთრებით სადაო უბნების გარშემო საჯარო დისკუსიები გაიმართა (საქართველოში ბურჟუაზიული ურთიერთობის შემოსვლის დრო და ვითარება; კლასობრივი ურთიერთობის შემოსვლა ქართველ ტომებში და მონათმფლობელური ურთიერთობის პრობლემა საქართველოში). მუშაობის ამ მეთოდმა მნიშვნელოვანი დადებითი ნაყოფი გამოიღო. დისკუსიასთან დაკავშირებით საქართველოს ისტორიის აღნიშნულ უბნებზე მუშაობა გაცხოველდა, აქამდე არაერთი ბნელი საკითხი გაშუქდა.

1955 წელს სახელმძღვანელოს მაკეტი უკვე მზად იყო. 1956 წელს დაიბეჭდა და ფართო საზოგადოების მსჯელობის საგანი გახდა.

მაკეტის გარჩევაში მონაწილეობა მიიღეს ორმოცდაათამდე სპეციალისტმა და აგრეთვე პედაგოგებმა. ერთხმად აღინიშნა მაკეტის ფაქტოლოგიური და მეთოდოლოგიური მიღწევანი, მაგრამ არა მცირედ აღინიშნა ნაკლიც, განსაკუთრებით—პედაგოგიკური ხასიათისა. მაინც მაკეტის ნაკლი ის იყო, რომ ის XIX საუკუნის მიწურულზე წყდებოდა. არსად იყო XX საუკუნის საქართველოს ისტორია. აღმოჩნდა, რომ XX საუკუნის საქართველოს ისტორია დამუშავების მხრით საგრძნობლად ჩამორჩებოდა ისტორიის სხვა უბნების დამუშავებას. ამ ნაკლის გამოსასწორებლად მიღებულ იქნა ღონისძიებანი. საბჭოთა პერიოდის საქართველოს ისტორიის გაწყოფილება ახალი სამეცნიერო ძალებით შეივსო; ამას გარდა, ის გაძლიერდა უნივერსიტეტისა და მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის („იმელის") მეცნიერ მუშაკთა შემოშველებით. ამრიგად, გარღვევა ლიკვიდირებულ იქნა და 1959 წელს შესაძლებელი გახდა, პირველად ქართულ ისტორიოგრაფიაში, საქართველოს ისტორიის ისეთი სახელმძღვანელოს დაბეჭდვა, რომელიც მოიცავს ჩვენი ქვეყნის თავგადასავალს უძველესი დროიდან დღემდე. 1960 წელს გამოვიდა ამ წიგნის მეორე გამოცემა. ამავე დროს დაიბეჭდა მისი რუსული ვარიანტი. ხოლო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ორმოცი წლისთავისათვის გამოსაცემად გამზადებულია და სტამბაში გადაცემულია „საქართველოს ისტორიის" სამტომეული (ქართულად და რუსულად).

უკანასკნელ წლებში ქართულ ისტორიოგრაფიას სხვა თვალსაჩინო წარმატებებიც ჰქონდა. მნიშვნელოვანი კერძოული საკითხების თუ მთელი ეპოქების გარშემო გამოქვეყნდა მონოგრაფიული გამოკვლევანი (შ. ჩხეტია, შ. მესხია, ა. კივკიძე, კ. გრიგოლია, ვ. გაბაშვილი, დ. გვრიტიშვილი, მ. დუმბაძე, ზ. ანჩაბაძე, ი. ანთელავა, პრ. რატიანი, ი. კაჭარავა, აკ. სურგულაძე, ა. იოსელიანი, გრ. ბრეგაძე და სხვ.), გამოიცა პირველხარისხოვანი ქართული ძეგლები (აპ. როგავა), დოკუმენტების კრებულები (ნ. ბერძენიშვილი), საქართველოს შესახებ უცხოური წყაროები: ბერძნული (ს. და თ. ყაუხჩიშვილები, მ. კახაძე, ალ. გამყრელიძე), სპარსული (ვ. ფუთურიძე, მ. ხუბუა), თურქული (ს. ჯიქია); გაიშალა მუშაობა საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის დარგში და მთაკავკასიონის ხალხთა ისტორიაში. ამ მიზნით ინსტიტუტში შეიქმნა ისტორიული გეოგრაფიისა და კავკასიის განყოფილებანი.

ამავე დროს უცილებელი წარმატება ხვდა საქართველოს ისტორიის უძველეს უბანს. ქართული ისტორიოგრაფიის ეს მიღწევა ლენინის სახელობის პრემიით აღინიშნა (გ. მელიქიშვილი).

ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების შესახებ საუბრისას საგანგებოდ უნდა აღინიშნოს მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის დიდი კვლევითი მუშაობა საქართველოში მუშათა მოძრაობისა, კომუნისტური პარტიის ისტორიისა და რევოლუციის სხვა საკითხებზე. უხვ ფაქტიურ მასალაზე ამ დიდი საკითხების მარქსისტულ-ლენინური დამუშავებით „იმელი" არსებითი ხასიათის სამსახურს უწევს ქართული ისტორიოგრაფიის ამ განსაკუთრებული მნიშვნელობის სამეცნიერო უბანს.

ამჟამად ქართული ისტორიოგრაფია გეგმავს მორიგ დიდ ამოცანას—საქართველოს ისტორიის მრავალტომეულის შექმნას. ეს იქნება მისი ახალი გამოცდა მარქსისტულ-ლენინური ისტორიოგრაფიის სარბიელზე და ჩვენ არ ვეჭვობთ, რომ ისტორიკოსთა ძლიერი კოლექტივი ღირსეულად გადაჭრის ამ ამოცანას და კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა საზოგადოების წინაშე პირნათლად ვალმოხდილი გამოვა.

საქართველოს ისტორიის საკითხებიდან*

დღეს ჩვენში მეცნიერება ს ა ხ ა ლ ხ ო ა. სახალხოა, კერძოდ, ისტორიული მეცნიერება. ეს მარტო იმას როდი ნიშნავს, რომ დღეს მეცნიერი, ისტორიის წერისას, მწარმოებელი საზოგადოების განვითარების საკითხებიდან ამოდის, არამედ ეს იმას ნიშნავს აგრეთვე, რომ დღეს ხალხი აქტიურად მონაწილეობს მეცნიერული ისტორიის შექმნაში.

ძველი ქვეყანა გადაქარდა. პროგრესის შემფერხებელი ძალები რევოლუციის ქარიშხალმა გააცამტვერა.

ახალი ქვეყნის მშენებელი საზოგადოება ახალმონაშენისათვის დამახასიათებელი ენერგიულობით მოითხოვს საკუთარი წარსულის ა ხ ლ ე ბ უ რ ც ო დ ნ ა ს.

ახლა ის დრო აღარაა, როცა ადამიანი მისთვის შეუცნობელ მოვლენის ცოდნას ღმერთს აკისრებდა („ღმერთმა იცის რა იქნება". ან „ღმერთმა იცის როგორ იყო"). საბჭოთა ადამიანი დღეს ღმერთს არა, მეცნიერებას აკისრებს ყველაფრის ცოდნას და მისგან მოითხოვს პასუხს ყოველ საკითხზე. ასევეა, კერძოდ, ისტორიაშიც.

ახალი ქვეყნის მშენებელ ადამიანს აინტერესებს არა მარტო მთელი ერის თავგადასავალი, ეს ხომ ასეა, მაგრამ ამავე დროს მას სურს იცოდეს ისტორია მშობლიური კუთხის, მშობლიური ქალაქის, მშობლიური სოფლის, სურს იცოდეს ისტორიული შინაარსი ამა თუ იმ სოციალური მიკროუჯრედის (გვარის) და სხვადასხვა.

აკვირდება დღეს ხალხი ადამიანის მოქმედების ყოველგვარ ნაკვალევს და აღძრული საკითხების პასუხს ჩვენგან, ისტორიკოსთაგან, კანონიერად მოითხოვს.

---

* წაკითხულია ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის საქართველოს სამეცნიერო საზოგადოების ისტორიის სექციის გაფართოებულ სხდომაზე ქ. თბილისში 1962 წლის 23 ნოემბერს. პირველად დაბეჭდა 1964 წელს, მრავალთავი, ტ. I.

ამ ორი წლის წინ ავტორთა ჯგუფმა ისტორიის ინსტიტუტიდან სცადა თავისი პროდუქციის—„საქართველოს ისტორია"—კრიტიკა, ადგილობრივ მოესმინა.

მრავალი საფუძვლიანი შენიშვნა მივიღეთ, მაგრამ განსაკუთრებით ნიშანდობლივი ის იყო, რომ ჩვენს კრიტიკოსებს ადგილობითი ისტორია ნაკლებად გაშუქებული ეჩვენათ. ბათუმში აჭარის შესახებ თხრობის ნაკლულობას აღნიშნავდნენ, ფოთში ამ ქალაქზე დუმილს გვისაყვედურებდნენ, ზუგდიდში კოლხეთის შესახები მასალა ენაკლულებოდათ, ქუთაისში ჩვენ ყურადღებას ბაგრატის ტაძარსა, გელათის აკადემიასა და გეგუთის სასახლეს მიაქცევდნენ და ასევე სხვაგანაც...

დღე ერთია და არ შეიძლება შეკითხვა არ მიიღოს პერიოდული პრესის რომელიმე რედაქციამ, ისტორიის ინსტიტუტმა, სახელმწიფო მუზეუმმა და სხვა სამეცნიერო დაწესებულებამ. ამ შეკითხვებში საბჭოთა მოქალაქენი პასუხს ითხოვენ ისტორიის ათასნაირ საკითხებზე...

საბჭოთა საზოგადოების ამავე მეცნიერული ცოდნისმოყვარეობის დაკმაყოფილებას ემსახურება ადგილობრივი სამხარეთმცოდნეო მუზეუმები...

ახალმა მშენებლობამ დედამიწას წიაღი გაუხსნა და სამზეოზე გამოიტანა მის სიღრმეში აქამდე მშვიდად განსვენებული ნაშთები ჩვენი შორეული წარსულისა...

ცოდნისმოყვარე მშენებელი კანონიერად მოითხოვს ჩვენგან ასეთი ნაშთების მეცნიერულ ამეტყველებას...

დიდი ხანია ჩათავდა ის დრო, როცა ისტორია გადასულობის კარზე მიმდგარი საზოგადოების გულისგასართობი ლიტერატურული შემოქმედება იყო, წარსული „ბედნიერი დროის" ოხვრით მოგონების წყარო. ახალი ქვეყნის მშენებელს სულ სხვა რიგი ისტორია სჭირია,—საზოგადოების ისტორია მისი წარმოქმნიდან დღემდე, ისტორია მეცნიერული, ისტორია შრომისა და ბრძოლისა, ისტორია მარცხ-სიძნელეებისა და წინსვლა-გამარჯვებისა, ისტორია რევოლუციისა და სოციალიზმის მშენებლობისა...

ამრიგად, საბჭოთა საზოგადოება, რომელიც უშუალოდ ქმნის თანამედროვე ცხოვრებას, ჩვენი დროის ისტორიას, ასევე უშუალოდ მონაწილეობს ჩვენი წარსულის ისტორიის მეცნიერულ შემოქმედებაში და უფლებამოსილი გვკარნახობს, თუ როგორი უნდა იყოს ეს ს ა ხ ა ლ ხ ო ი ს ტ ო რ ი ა.

ახლა გასაგებია, თუ რა მძიმე ამოცანა უნდა გადაწყვიტოს საბჭოურმა ისტორიოგრაფიამ და განსაკუთრებით ქართულმა საბჭოურ-

მა ისტორიოგრაფიამ, რომლის წინაშე წარსული ცხოვრების უძრავ ყამირზე მეცნიერული ხნულის პირველი კვალიც კი ხშირად გატარებული არაა.

გასაგებია, რომ ჩვენი პარტია და ხელისუფლება, რომლებიც დღეს განსაკუთრებულად ზრუნავენ ფიზიკა-მათემატიკურის, ტექნიკურისა და ბუნებისმეტყველების სხვა წამყვანი მეცნიერული დარგების განვითარებაზე, ოდნავადაც არ ანელებენ თავიანთ ყურადღებას საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგებისადმი: ისინი ხომ „შეადგენენ საზოგადოების განვითარების ხელმძღვანელობის მეცნიერულ საფუძველს“.

კერძოდ, სრულიად კონკრეტულად არის დასახული ისტორიული მეცნიერების ამოცანა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალ პროგრამაში: „მსოფლიო ისტორიისა და თანამედროვე მსოფლიოს განვითარების პრობლემების კვლევა, — ნათქვამია ამ დოკუმენტში, უნდა გვიჩვენებდეს კომუნიზმისაკენ კაცობრიობის წინსვლის კანონზომიერ პროცესს, ძალთა თანაფარდობის შეცვლას სოციალიზმის სასარგებლოდ, კაპიტალიზმის საერთო კრიზისის გამწვავებას, იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის ნგრევას და მის შედეგებს, ხალხთაერთაშორისო-ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობას“.

პარტიის პროგრამა, როგორც ვხედავთ, საბჭოური ისტორიოგრაფიის არა მარტო თანამედროვე მიზანს განსაზღვრავს,—კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის იდეური მომსახურება,—არამედ იქვე ნაჩვენებია გზები, რომლითაც ეს ისტორიოგრაფია ამ მიზანს უნდა აღწევდეს. ეს გზებია „მსოფლიო ისტორიის და თანამედროვე მსოფლიოს განვითარების პრობლემათა კვლევა“. და მართლაც, თანამედროვე სოციალურ მოვლენებს ჩვენ მეცნიერულად ვერ გავიგებთ და ვერც სხვას გავაგებინებთ, თუ ეს მოვლენები ისტორიულად არ იქნა შესწავლილ-გაშუქებული. ისტორიულად შესწავლა კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ყურადღების ცენტრში ასევე უნდა იდგეს გარდასული ეპოქები, რომ მარქსისტულ-ლენინური მეცნიერული კონკრეტულობით უნდა იქნას წარმოჩენილი ჩვენი ისტორიული ცხოვრების კანონზომიერებანი. მხოლოდ ასეთი შესწავლით იქნება თავალსაჩინოდ დასაფუძვლებული „კაცობრიობის კომუნიზმისაკენ წინსვლის კანონზომიერი პროცესი“.

ასე რომ, როგორც გარდასულის, ისე თანამედროვე ცხოვრების მარქსისტულ-ლენინური შესწავლა ურთიერთისაგან განუყოფელია და ამდენადვე თანაბრად სავალდებულო და აუცილებელია.

განსხვავება გარდასულისა და თანამედროვე ცხოვრების შესწავლის მნიშვნელობას შორის მხოლოდ ის შეიძლება იყოს, რომ თანამედროვე ცხოვრების მეცნიერული შესწავლა უშუალო პრაქტიკულ კავშირშია კომუნიზმის მშენებლობასთან, მაშინ როცა გარდასულ ეპოქათა შესწავლა თეორიის ფარგლებში რჩება, მაგრამ მეცნიერული თეორია ხომ, როგორც პარტიის პროგრამა მიგვითითებს, ჩვენი კომუნისტური პრაქტიკის საფუძველია.

* * *

ქართული საბჭოური ისტორიოგრაფია დღენიადაგ იმის ცდაშია, რომ დიდი დავალება—კომუნიზმის მშენებელი საზოგადოების იდეური მომსახურება—ღირსეულად შეასრულოს. ის დღითი დღე უფრო და უფრო ღრმად ეუფლება ისტორიული კვლევის მარქსისტულ-ლენინურ მეთოდს, სულ უფრო და უფრო მეტი მეცნიერული წარმატებით აშუქებს თანამედროვე თუ გარდასული ცხოვრების ურთულეს საკითხებს. მოკლედ, ხატოვანად რომ ვთქვათ, სულ უფრო და უფრო მეტი წარმატებით წერს კომუნისტურ „ქართლის ცხოვრებას“.

დღეს აქ ჩვენი მიზანი არაა ქართული საბჭოური ისტორიოგრაფიის მიღწევათა დემონსტრაცია. მიღწევები, უთუოდ, თვალსაჩინო გვაქვს და უახლოეს მომავალში კიდევ უფრო მეტი გვექნება (ამის შესახებ უკვე ითქვა და კვლავაც ითქმება). დღეს ჩემი მიზანია, თქვენდა საყურადღებოდ გამოვიტანო ქართული საბჭოური ისტორიოგრაფიის მხოლოდ ზოგიერთი ისეთი საკითხი, რომელიც უფრო აღელვებს ჩვენ საზოგადოებას, გვაღელვებს ჩვენც, ისტორიკოსებს და, მაშასადამე, რომელთა შესახებ საუბარი, იმედია, ნაძალადევად მოსმენილი არ აღმოჩნდება.

* * *

ქართული საბჭოური ისტორიოგრაფია კარგად ითვალისწინებს, რომ დღეს ისტორიის დარგში „მთავარია კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკის შესწავლა და თეორიული განზოგადება, სოციალიზმის ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული განვითარების და კომუნიზმში მისი გადაზრდის ძირითად კანონზომიერებათა გამო-

კვლევა“ (საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა, 1961 წ., გვ. 141).

ამ ამოცანას უპასუხებს საქ. მეცნ. აკადემიის ისტორიის ინსტიტუტში საქართველოს ისტორიის საბჭოთა პერიოდის განყოფილება (ოცზე მეტი სპეციალისტით). საქართველოს ისტორიის საბჭოთა პერიოდის პრობლემატიკაზე მუშაობენ აგრეთვე ჩვენ რესპუბლიკაში უმაღლეს სასწავლებელთა ისტორიის კათედრები და სხვა სამეცნიერო-საკვლევო და პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებანი.

ორმოცი წლის (1921—1961) მანძილზე 298 წიგნი და 183 სტატია, ამ თემატიკიდან რომ მოგვეპოვება, თავისთავად მცირე პროდუქცია არ არის. გარდა ამისა, ამ პროდუქციის საფუძველზე შექმნილია განმაზოგადოებელი ნაშრომი: „საქართველოს ისტორია, III, საბჭოთა პერიოდი“.

ყველაფერი ეს კარგი საქმეა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ შესასრულებელი სამუშაოს მოცულობას და ხარისხს, როგორიც დღეს საბჭოურ ისტორიოგრაფიას მოეთხოვება,—უნდა გარკვევით ითქვას (თვითკრიტიკის წესით), რომ გასაკეთებელი უზომოდ მეტი გვაქვს. ზოგიერთი ძირითადი მნიშვნელობის საკითხი ჯერ თითქმის ხელმიუწვდომელია და, რაც კიდევ უფრო სამძიმოა, იშვიათი როდია მაგალითი, როცა საკითხის დამუშავება ზერელეობის უსიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს.

ჩვენ კარგად გვესმის, რომ ჩვენი დროის ისტორიის წერა, ე. ი. კრიტიკული შესწავლა თანამედროვე ურთულეს საზოგადოებრივი მოვლენებისა, მეცნიერული დასკვნები ამ ცოცხალი ისტორიის შესახებ, მასში მონაწილე ისტორიული პერსონებით, განსაკუთრებით ძნელი და პასუხსაგები საქმეა.

ამისათვის საჭიროა აუცილებელი მასალის სრულად გათვალისწინება, მისი კრიტიკული ანალიზი, საჭიროა მოვლენაში ინდივიდუალურის, სპეციფიკურობის დანახვისა და მისი მეცნიერული განზოგადების უნარი,—არა გულისამრევი ტრაფარეტი და უადგილო ციტატების კორიანტელი, არამედ, მოკლედ ვიტყვი, შესასწავლი მოვლენის სრული კონკრეტულობით დაუფლება და მკაცრი თეორიული შესაბამისობით მისი ცოცხლად, შემოქმედებითად წარმოჩენა.

შესასრულებელი კი გვაქვს დიდი პატრიოტული საქმე. ჩვენთვის სოციალიზმი არავის უწყალობებია. ჩვენ ის რევოლუციური ბრძოლით მოვიპოვეთ, გმირულად დავიცავით, დიდი მონაპოვარი და მხნედ ვაშენებთ დღეს კომუნიზმს, და ბუნებრივია სურვილი, რომ გვქონდეს სოციალიზმის მოპოვებისათვის, მისი დაცვისა და კომუნიზმის მშენებლობისათვის გმირული ბრძოლის მეცნიერულ პატრიოტული ცოდნა.

ასეთი სამუშაო ერთბაშად არ სრულდება, მაგრამ, ჩვენ გვწამს, ის უთუოდ შესრულდება. ჩვენი (ისტორიკოსთა) კოლექტივის რიცხობრივ-ხარისხობრივი განუხრელი ზრდა ამის საწინდარია.

ჯერჯერობით კი ვალმოუხდელნი ვრჩებით საბჭოთა საზოგადოების წინაშე.

მაგრამ ჩამოვრჩებით, როგორც აღვნიშნეთ, არა მარტო სოციალისტური საქართველოს ისტორიის შესწავლის საქმეში...

* * *

ისტორია პატრიოტული მეცნიერებაა. ისტორია, რომელიც პატრიოტს გულს არ უმაგრებს, მის თავმოყვარეობას არ ემსახურება, აწმყოსა თუ მომავალ შრომა-ბრძოლაში მას არ ამხნევებს, ასეთი ისტორია საჭიროც არაა, ოღონდ ასახსნელია, თუ ვინ არის პატრიოტი. პატრიოტი არის პროგრესის მოღვაწე და პროგრესის მტერი არ შეიძლება პატრიოტი იყოს. პატრიოტი არის ახალი ქვეყნის მშენებელი და რეტროგრადი არ შეიძლება პატრიოტი იყოს. ჩვენ დროში პატრიოტია მთელი საბჭოთა საზოგადოება.

კომუნიზმში შევდივართ და სიცოცხლე გვინდა. ამ სიცოცხლეს ამტკიცებს და ამშვენებს არა მარტო დღევანდელი დღე, არამედ ისტორიაც, მომთხრობელი ჩვენი თავგადასავლისა, მომთხრობელი იმისა, თუ როგორი შრომით, ბრძოლით, დამარცხება-გამარჯვებით, ჭირითა და ლხინით, ოფლითა და ჭაპანწყვეტით ვიარეთ პროგრესის გზით, მომთხრობელი იმისა, თუ როგორ ვეძებდით და ან როგორ გამოვიხსნიდით ქაჯეთის ტყვეობიდან პროგრესს, როგორ ვეძებდით ძმადნაფიც მოკავშირეთ, როგორ მხნედ ვიტანდით უთვალავ სიმძიმეს და გულს არ ვიტეხდით...

თუ ეს არა, თუ „გმირები“ და „გმირობა“ არა, თუ იდეალი არა, თუ ამისათვის ბრძოლა არა, ვის რად უნდა პატივახდილი ისტორია, ის ჩვენ სიცოცხლეს არც გაამაგრებს, არც დაამშვენებს...

და ჩვენ ქართველებს გვაქვს სათქმელი; ჩვენი დამსახურება პროგრესისათვის ბრძოლაში იმოდენა არის, რომ სიამაყის შეგნებით წარმოვაჩინოთ ის. და ეს არა სხვის დასაჩაგრავად ან შეურაცხსაყოფელად, არამედ იმისათვის, რომ სხვათა გვერდით ღირსეულად ვიდგეთ-და, ვიდგეთ არა კომუნიზმის ნაწყალობევად (ის ყველას თანაბრად სწყალობს), არამედ მის (კომუნიზმის) შემოქმედადაც.

ცარიზმის სასტიკი შემოტევის პირობებში წარმოიქმნა ახალი საქართველო. ჩვენი ეროვნული გაქრობისათვის ყოველი საშუალებით იბრძოდა მტერი.

ქართველი ხალხის პროგრესული ნაწილი თავდაუზოგველად ებრძოდა გადაგვარებულ მუხრანბატონებს, ტროგლოდიტ აშორდიებს, კოსმოპოლიტ ნიჰილისტებს, დერჟიმორდა კატკოვებს, გრენებს, ვოსტორგოვებს,—ყველა იმათ, ვინც ცარიზმს ამ შავ საქმეში შველოდა.

პროგრესულმა საქართველომ გაიმარჯვა, წარმოიქმნა ქართველი ბურჟუაზიული ერი.

ამ ბრძოლაში, გასაგებია, ისტორიულ არგუმენტაციას განსაკუთრებული მნიშვნელობის როლი ეკისრებოდა.

მტერი „დაყავი და იბატონეს“ ნაცად ხერხს მიმართავდა და ქართველი ხალხის შიგნით სუსტ ადგილებს ზვერავდა. ისტორიული საქართველოს სპეციფიკური ვითარების გამოყენებას ცარიზმი თავისი მზაკვრული მიზნების მისაღწევად ლამობდა: საქართველოს საშუალ-საუკუნეთა ეთნოგრაფიული სიჭრელე მას ახალ ეროვნებათა შექმნის არგუმენტად გამოქონდა და ქართველი ხალხის კულტურულ მთლიანობას უარყოფდა.

ქართველმა პატრიოტებმა მგლის ამ ვითომცდა მეცნიერულ საბუთიანობას ქართველი ხალხის კულტურული ერთიანობის მაჩვენებელი უტყუარი ფაქტები დაუპირისპირეს. თავისი დროისათვის ბრწყინვალე მეცნიერული არგუმენტაციით აკადემიკოსმა მარმა ერთიანად გაანადგურა ცარიზმის მოხელეთა ცრუმეცნიერული არსენალი...

მტერს ამის შემდეგაც არ დაუყრია ფარხმალი. მგელმა „მეცნიერულ“ არგუმენტაციებს თავი დაანება და ქართველი ერის გაქრობა, მისი ციმბირში გადასახლებითა და საქართველოს მიწა-წყალზე კოლონისტთა დასახლებით დააპირა.

არც ქართველ პატრიოტებს შეუნელებიათ წინააღმდეგობა და ერთგული მოკავშირეც რევოლუციურ რუსეთში, რუსეთის მუშათა კლასში იპოვეს. ბრძოლა გრძელდებოდა, ვიდრე დიდმა ოქტომბერმა „ხალხთა საპყრობილე“—ცარიზმი არ დაამსხვრია და ქართველი ერი (სხვა ასეთივე პატიმარ ერებთან ერთად) ეროვნული საფრთხისაგან სამუდამოდ არ იხსნა.

დღეს, მართალია, საკითხი ქართველი ერის რაობისა, მისი წარმოქმნის დროისა და განვითარების შესახებ თეორიულ-მეცნიერულ

ფარგლებში თავსდება, მაგრ ამ საკითხის, აქტუალური მნიშვნელობა ამით არ მცირდება.

და ჩვენ მოვალე ვართ კომუნიზმის მშენებელ საბჭოთა საზოგადოებას მივაწოდოთ მეცნიერული ცოდნა ქართველი ერის წარსულის ამ მოვლენის შესახებ.

ქართული საბჭოური ისტორიოგრაფია ამ მხრივ დროის მოთხოვნილებას ჩამორჩება.

ჩვენ დღემდე არა გვაქვს მონოგრაფიული ნაშრომი, რომელიც მეცნიერული დამაჯერებლობით კონკრეტულად გააშუქებდა ქართველი ერის წარმოქმნის ხანგრძლივ ისტორიულ პროცესს.

ჩვენი ისტორიოგრაფიის ამ ნაკლის შედეგია, რომ დღეს ერთიმეორის გვერდით ცოცხლობს ერთიმეორის გამომრიცხავი ორი ანტიმეცნიერული შემონათავაზები: ერთი ამ თეორიით ქართველი ერი ისტორიული კი არა, მარადიული კატეგორიაა, მეორე თეორიით კი ქართველი ერის კონსოლიდაცია 1926 წლის სახალხო აღწერიდან ვიდრე 1959 წლის აღწერამდე მომხდარა.

კიდევ უფრო კურიოზული მაგალითების მოტანით თავს არ შეგაწყენთ... ცხადია, **აღნიშნული საკითხი ყოვლად აქტუალურია** და მისი დაუყოვნებლივ მონოგრაფიულად შესწავლა ქართული საბჭოური ისტორიოგრაფიის ღირსების საქმეა.

* * *

მეცნიერული ისტორიის შექმნისათვის აუცილებელი პირობაა ისტორიის საშენი მასალის მეცნიერული მოპოვება. მასალა მრავალნაირია: წერილობითი, მატერიალური, ზეპირსიტყვიერი. მასალის მეცნიერული მოპოვება მის კრიტიკას გულისხმობს. კრიტიკისათვის აუცილებელია შესაფერისი ტექნიკური და თეორიული აღჭურვილობა. უამისოდ შეიძლება ნამდვილი მარქსისტული ისტორიის ნაცვლად ქვაზიმეცნიერული ნალაყბევი შევქმნათ.

მაგალითად, ჩვენში იყვნენ და ახლაც არიან ისეთი კრიტიკოსები, რომლებიც ისტორიული ფაქტის „შესწორებას“ მიამიტური გულუბრყვილობით ენერგიულად მიმართავენ როცა ესა თუ ის ფაქტი მათ ორთოდოქსალურ შეხედულებას ჯიუტად ეწინააღმდეგება, ხოლო თუ ასეთი „შესწორება“ საქმეს არ შველის, ამ ოდიოზური ფაქტის უკუგდებას მარტივად გვთავაზობენ.

აჯანყების გმირ აზნაურს, მაგალითად, გლეხად ნათლავდნენ (იმიტომ, რომ აჯანყება გლეხურად ქონდათ მიჩნეული, ხოლო გლეხურ აჯანყებაში აზნაურს საგმიროდ რა ესაქმებოდა?), ხოლო ამავე აჯანყების მოღალატე გლეხს აზნაურობაში აიყვანდნენ (იმიტომ, რომ გლეხური აჯანყების მოღალატეობა აზნაურს შეშვენოდა და

არა გლეხს!) და თავს არ იწუხებდნენ ეს ვითომცდა მართლმორწმუნე მარქსისტ-ისტორიკოსები ჩაფიქრებოდნენ ფაქტს, თუ რატომ იყო რომელიმე აზნაური ამ აჯანყების გმირი, ან რომელიმე თავანკარი გლეხი რატომ იყო ამავე აჯანყების მოღალატე...

წყაროს ასეთი „კრიტიკის" შედეგად ის მოხდა, მაგალითად, რომ ცნობილმა რომანისტმა ანტონოვსკაიამ თავისი რომანის თავდაპირველ ვარიანტში გლეხად წარმოადგინა გიორგი საკაძე, რომლის აზნაურობის დასადგენად არაერთი უეჭველი საბუთი მოიპოვება.

ისტორიული წყაროს ასეთი პრიმიტიული „კრიტიკის" ნაირსახეობაა, როცა დღეს ზოგი ვინმე წერილობითი ძეგლის შეცვლა-შესწორებას უბოდიშოდ მოითხოვს. დღეს ზოგიერთ „პატრიოტს", მაგალითად, აშფოთებს ჩვენი „ქართლის ცხოვრების" ცნობილი ადგილი ლეონტი მროველის თხზულებიდან, სადაც საუბარია ქართლოსიანებთან შედარებით ჰაოსიანთ უპირატესობისა და ქართული ენის წარმომავლობის შესახებ. ქართველთა შეურაცმყოფელ ნაყალბევად მიაჩნია ის პატრიოტ კრიტიკოსს და ხსენებული ძეგლის ახალ გამოცემაში ამ ადგილის უცვლელად დატოვებას მომაკვდინებელ ცოდვად გვითვლის.

ისტორიული წყაროს შეცვლა-შესწორება შეუთავსებელია მეცნიერულ თვალსაზრისთან. შეიძლება და სავალდებულოცაა ამა თუ იმ საეჭვო-საჩოთირო ადგილის ახსნა-კომენტირება, საამისოდ საკმაო საბუთებით ცდა მისი ასეთი თუ ისეთი გაგებისა, მაგრამ წყაროს უცვლელად დაცვა მეცნიერების ანბანია და ამის წინააღმდეგ ლაშქრობა, თუნდაც პატრიოტული მოტივით, მეცნიერული პრიმიტიულობის მოწმობა შეიძლება იყოს მხოლოდ.

წყაროსთან ასეთი უბოდიშო ბრძოლა ახალი ამბავი არაა. ტექსტის გაყალბება არასასურველი ადგილების შეცვლით, მონუმენტურ ძეგლებზე წარწერების მოშლა და სხვა ასეთი ვანდალობა ძველი დროიდანვე მოდის.

გამორიცხული არაა, რომ ამ შემთხვევებშიც, ზოგჯერ მაინც „პატრიოტული" მოტივებით მოქმედებდნენ...

ჩვენი სახელოვანი მეცნიერი აკად. ივანე ჯავახიშვილი მუდამ ფხიზელ მცველად იდგა ისტორიული წყაროს დაცვის მეცნიერულ სადარაჯოზე და მის რაიმე გაყალბებას თუ გაყალბების ტენდენციას ენერგიულად ებრძოდა...

ისტორიული წყაროს დაუნდობელი მარქსისტული კრიტიკა და არა მისი ნებისმიერი შეწყნარება, შესწორება ან უარყოფა,—აი რა უნდა გექონდეს სახელმძღვანელო პრინციპად ჩვენს მეცნიერულ

მუშაობაში. მხოლოდ ამ პრინციპის განუხრელად დაცვით მოვიპოვებთ ჩვენ ისტორიის საშენ სანდო მასალას.

* * *

მეცნიერულ-პოპულარული შრომების შექმნა და მისი მიწოდება საბჭოთა ფართე მკითხველისათვის ჩ ვ ე ნ დ რ ო ი ს მ ო თ ხ ო ვ ნ ი ლ ე ბ ა ა.

ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია კაბინეტური მეცნიერება იყო და მისი პოპულარიზაცია ს ა ხ ა ლ ხ ო ს ა ქ მ ე დ არასოდეს ქცეულა. ერთადერთი ფორმა ამ ცოდნის პოპულარიზაციისა სასკოლო სახელმძღვანელო იყო.

დღეს ვითარება ძირფესვიანად შეცვლილია. კომუნიზმი ი ს ტ ო რ ი ი ს მ ა რ ქ ს ი ს ტ უ ლ ი ა ნ ა ლ ი ზ ი ს ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ზ ე შექმნილი მოძღვრებაა. გასაგებია, რომ დღეს კომუნისტური საზოგადოების პრაქტიკოს მშენებელთ სისხლხორცეულად სჭირიათ ისტორიის მარქსისტულ-ლენინური ცოდნა.

ამიტომაცაა, რომ დღეს, ყველგან საბჭოთა კავშირში მრავლად ქვეყნდება ასეთი ნაშრომები, უფრო მეტიც: ყველგან მოკავშირე რესპუბლიკებში იგეგმება სახალხო საკითხავი, ანუ მეცნიერულ-პოპულარული ისტორიის მრავალტომეულები.

დღეს ჩვენში აქა-იქ მეცნიერულ-პოპულარულ ნაშრომზე არასწორ შეხედულებასაც გაიგონებთ. თითქო ასეთი სახალხო ფორმით მეცნიერულ მონაპოვართა გადაცემა არ ხერხდებოდეს, თითქო აქ მეცნიერების რაღაც გაიაფება-გავულგარება ხდებოდეს.

სრულიად მცდარი შეხედულებაა. პოპულარული ფორმით რაგინდარა რთული მეცნიერული ცოდნის პუბლიკაცია შეიძლება, ოღონდ ამისთვის აუცილებელი პირობაა ხალხში გასატანი საკითხის წინასწარი ღრმამეცნიერული დამუშავება. მხოლოდ ასეთი დამუშავების საფუძველზე შეიძლება შესაფერისი პოპულარული ფორმით მისი მიწოდება ფართე მკითხველი საზოგადოებისათვის.

რა ვითარებაა ჩვენთან?

რევოლუციამდე ქართული მეცნიერული ისტორიოგრაფია არალეგალურ პირობებში ვითარდებოდა. საქართველო ცარიზმის მიერ არსებითად აკრძალული მოვლენა იყო, ასევე იყო მისი ისტორიაც. საქართველოს ისტორიის საკითხებზე მუშაობას იმ დროს მხოლოდ ენთუზიასტი-პატრიოტები ბედავდნენ. ქართული სკოლა არ არსებობდა, და საქართველოს ისტორიის ის მცირე ცოდნაც კი ნახევრად არალეგალურად ვრცელდებოდა.

ასე რომ საბჭოთა წყობილების ხანაში ქართული მარქსისტული ისტორიოგრაფია მძიმე ამოცანის წინაშე დადგა: საქართველოს ის-

ტორიის საკითხების ჯერ კაბინეტურ-მეცნიერულად დამუშავება და შემდეგ მეცნიერულ-პოპულარული ფორმით მათი მიწოდება ფართე საზოგადოებისათვის.

ქართველი ერის თავგადასავალი ხანგრძლივია, მოვლენებით მდიდარი და შესასწავლად რთული. მთელი ამოდენა ისტორიის ერთიანი მეცნიერული გამართვა დიდ დროს მოითხოვს. საბჭოთა საზოგადოებას კი ახლავე სჭირია თავისი ისტორია. ასეთ პირობებში ჩვენ უნდა შერჩევის მეთოდით ვიხელმძღვანელოთ და პირველ რიგში უნდა მეცნიერულად შევიმუშავოთ და საზოგადოებას მივაწოდოთ ცოდნა ჩვენი ისტორიის ყველაზე აქტუალურ საკითხებზე.

სწორედ ამ პრინციპით გეგმავს თავის მუშაობას ისტორიის ინსტიტუტი, მაგრამ აქ ინსტიტუტის მუშაობა არ კმარა. აუცილებელია რესპუბლიკის ყველა შესაფერის დაწესებულებებთან კოორდინაცია, ერთიანი გეგმის შემუშავება, აქტუალობის მიხედვით დასამუშავებელი საკითხების რიგის დადგენა.

კომუნიზმის მშენებელი საზოგადოების იდეური მომსახურებისათვის ეს იქნება ყველაზე ეფექტური ზომა ჩვენს პირობებში.

* * *

ზოგიერთი კრიტიკოსი ქართველ ისტორიკოსებს უსაყვედურებს კავკასიის წარსულსა და აწმყოში საქართველოსა და ქართველი ხალხის როლის განდიდებას. ასეთი ბრალდება ყოვლად უსაფუძვლოა ქართული ისტორიოგრაფიის მისამართით.

ფეოდალური ხანის ქართული ისტორიოგრაფიაც კი ამ მხრივ ლოიალობა-ობიექტურობის მაგალითი შეიძლება იყოს. ამისათვის საკმაოა მივუთითოთ ლეონტი მროველის ცნობილი თეორია კავკასიელ ხალხთა ძმობისა და იმ ძველი დროის სომეხთა უპირატესობის შესახებ, ხოლო ლეონტის ეს შეხედულება სახელმძღვანელოდ რჩებოდა ქართულ ფეოდალურ ისტორიოგრაფიას დიდი ხნის მანძილზე.

ჩვენს მაბრალობელთ, როგორც ჩანს, არ სურთ გაიგონ, რომ ფეოდალური ხანის საქართველოს ერთ დროს განვითარების განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები შეექმნა. მან შეძლო თავისი შემოქმედებითი ძალები მაქსიმალურად განვითარება და მეზობელ-მოძმე ხალხებს სათავეში ჩადგომოდა დიდი კულტურული სამყაროს წარმოქმნისა და ახალი, უფრო მაღალი, საზოგადოებრივი ურთიერთობის ნიადაგის შემზადებისათვის მობრაობის საქმეში, პროგრესისათვის ბრძოლის საქმეში.

ეს იყო ფაქტი და ჩვენ მიერ ამის აღუნიშვნელობა იქნებოდა ისტორიის გაყალბება.

აქ უსაფუძვლო ზვიადობისა, რა თქმა უნდა, არაფერია. სხვა დროს ასეთი პირველობა კავკასიაში სხვა ჩვენს მოძმე მეზობელსაც სჭერია... საამისო მასალა უხვად მოიპოვება იმ დროის ქართულ-სომხურ საისტორიო მწერლობაში. იგივე ლეონტი მროველი ხომ ამის საუკეთესო მოწმობაა.

ასეთ ფაქტებს მიჩქმალვა კი არ უნდა, თუნდაც „ყოვლად კეთილშობილი პატრიოტული მოსაზრებით", არამედ მეცნიერული ახსნა სჭირია.

ქართული საბჭოური ისტორიოგრაფია კვლავაც ეცდება გამოიკვლიოს, მეცნიერულად ახსნას ჩვენი საზოგადოებრივი დაწინაურებულობის სხვა ფაქტებიც. მაგალითად, ჩვენ რევოლუცია იმიტომ შევითვისეთ, ე. ი. შევძელით გარევოლუციონერება, რევოლუციონერ გმირ შემოქმედთა წარმოშობა, რევოლუციონერ ხელმძღვანელ თეორეტიკოსთა წარმოშობა, სანიმუშო კლასიკური (ლენინის მოწმობა) რევოლუციონური მოძრაობის გაშლა, რომ დიდკულტურაგამოვლილი ვიყავით, რომ ახალი ქვეყნის შენებისათვის მოწოდებული ვიყავით.

და ჩვენ თავი გვესახელება ჩვენი „XII საუკუნით", ჩვენი „საოციანელებით". ჩვენი „905 წლით", კომუნიზმისათვის ჩვენი შემართებით.

და განა ყველაფერი ეს უსაფუძვლო ზვიადობაა? მაშ რატომ უნდა ვმალავდეთ საშუალო საუკუნეებში ჩვენ წარმატებას პროგრესისათვის ბრძოლაში? რატომ არ უნდა გავაცნოთ კომუნიზმის მშენებელ პატრიოტებს მათ წინაპართა მონაწილეობა და დამსახურება კაცობრიობის კულტურულ მშენებლობაში?

საბჭოური ისტორიოგრაფია მასზე დაკისრებულ მისიას ვერ შეასრულებდა, თუ პროგრესისა და რეაქციის მოვლენებს საკმაო საფუძველზე არ ახსნიდა და პროგრესისათვის ბრძოლას და მიღწევებს კეთილშობილ პატრიოტობად არ გამოიტანდა.

ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიას ყველა მოძმე ხალხის კარგი ახარებს... მაგრამ მას არც საკუთარი ხალხის მიღწევათა დემონსტრაცია ეთაკილება.

* * *

ისტორია საზოგადოების შესახებ მეცნიერებაა. ის საზოგადოების წარმოქმნა-განვითარებას სწავლობს და ამ განვითარების კანონზომიერებას წარმოაჩენს.

საზოგადოების განვითარების საშინაო და საგარეო პირობები მრავალგვარია. ქართველი საზოგადოების ზრდა-განვითარება განსაკუთრებით რთულ საგარეო პირობებში მიმდინარეობდა. ამისდა კვალად გავლენაც ამ საგარეო პირობებისა ქართველი საზოგადოების განვითარებაზე დიდია. მით უფრო ძძიმეა ქართული ისტორიოგრაფიის ნაკლი, რომ ჩვენ დღემდე შესაფერისი სისრულით ვერ ვითვალისწინებდით ამ ფაქტს და მეზობლებთან თითქმის მხოლოდ მტრული ურთიერთობის პრიმიტიული აღნიშვნით ვკმაყოფილდებოდით.

დღეს ქართული საბჭოური ისტორიოგრაფია ცდილობს გამოასწოროს ეს ნაკლი, წარმოაჩინოს მეზობელ ხალხებთან, როგორც მტრობისა და ომების ისე მეგობრობისა და მშვიდობიანი ურთიერთობის საფუძვლები, უჩვენოს არა მარტო ის, თუ რა ზიანი მიაყენა ჩვენს საზოგადოებრივ განვითარებას დამპყრობელთა შემოსევებმა და ბატონობამ, არამედ ისიც, თუ რა კეთილშედეგიანი იყო ჩვენი საზოგადოებრივი წარმატებისათვის კეთილმეზობლური ურთიერთობა კულტურულ ხალხებთან.

განსაკუთრებით ვალში ვართ კარის მეზობლების წინაშე: სომხების, აზერბაიჯანელების, მთიელ-კავკასიელების წინაშე... ჩვენ ხომ მათთან საერთო გვქონდა არა მარტო ლხინი, ე. ი. კულტურული თანამშრომლობა, არამედ ჭირიც: ერთად გადაგვქონდა სიმძიმე ბიზანტია-სპარსეთის მძლავრობისა, სიდუხჭირე არაბობისა და თურქობისა, მონღოლ-თათრობისა და ოსმალობა-ყიზილბაშობისა.

არაერთხელ იყო, რომ ძალების გაერთიანებით, ერთიმეორის მხარდამხარ ცდილობდნენ კავკასიის ხალხები უცხო დამპყრობელთა უკუგდებას და ამავე დროს კეთილმეზობლური კულტურული თანამშრომლობით ამზადებდნენ ნიადაგს ერთიანი დიდი ქვეყნის შექმნისათვის...

ქართული ფეოდალური ისტორიოგრაფიის შესანიშნავი ფურცელია კავკასიელ ხალხთა ასეთი გაერთიანების თეორიულად დამსაფუძველებელი ისტორიული კონცეფცია ლ ე ო ნ ტ ი მ რ ო ვ ე ლ ი ს ა.

ლეონტი მროველის ისტორიული კონცეფცია ესაა პოლიტიკური მოწოდება კავკასიის ხალხებისადმი თანამშრომლობისათვის, საერთო ძალით საერთო მტრების წინააღმდეგ ბრძოლისათვის. მით უფრო სირცხვილია, როცა ჩვენ მთელი სისავსით დღემდე ვერ შეგვიფასებია ამ ჩვენ მოძმე-მეზობლებთან ურთიერთობა და ასეთი თანამშრომლობის კეთილი შედეგები ჩვენი საზოგადოებისათვის ვერ გვიჩვენებია...

სიტყვამ მოიტანა და შეიძლება აქვე ითქვას: ასეთი ცოდვა მარტო ჩვენი საკუთრება როდია, სცოდავენ ჩვენი მოძმე მოკალმენი სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან...

ამასთან დაკავშირებით არ შემიძლია არ მოვიტანო ერთი სამწუხარო მაგალითი. 1960 წელს აზერბაიჯანის სსრ ალკკ ც კ-ის ორგანოში გამოქვეყნდა ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ჯაფაროვის წერილი სათაურით: „როგორ წარმოიშვა აზერბაიჯანული ენა და მისი ალფაბეტი"(იხ. „აზერბაიჯან გიანჯლერი"—აზერბაიჯანის ახალგაზრდობა — № 84, 1960, 15/VIII).

ამ თავის წერილში პატივცემული დოქტორი ჯაფაროვი დასკვნის სახით შემდეგნაირ ცოდნას აწვდის აზერბაიჯანის კომკავშირულ ახალგაზრდობას:

„ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ აზერბაიჯანის მოსახლეობა თავისი ისტორიის მიხედვით და იმ ეპოქის თვალსაზრისით მაღალი კულტურის მქონე ხალხს წარმოადგენდა, აზერბაიჯანელი ხალხი ამ ტერიტორიაზე უძველესი დროიდან ბინადრობდა და მათი ენა, როგორც საერთო სახალხო ენა, ჯერ კიდევ უძველეს დროში ყოფილა ჩამოყალიბებული.

ამასთან ერთად ეს ხალხი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მოსახლე ალბანელებისა და ქურთების და ასევე მის მეზობლად მცხოვრებ ქართველ და სომეხ მოსახლეობასთან შედარებით უმრავლესობას წარმოადგენდა.

იმის გამო, რომ აზერბაიჯანული ენა უძველესი დროიდან ხმარებოდა და თანაც წარმოადგენდა როგორც საერთო ენას ალბანელების, ქურთების, ქართველებისა და სომხების, ამიტომ აზერბაიჯანული ენიდან ხსენებულ ხალხთა ენებში ძალიან ბევრი სიტყვა არის შესული. მაგრამ აზერბაიჯანულ ენაში ამ ენებიდან შემოსულ სიტყვებს იშვიათად თუ შეეხვდებით. გასაგებია, რომ კულტურის მხრივ ჩამორჩენილი და თანაც მცირე მოსახლეობის ენა ვერ მოახდენდა გავლენას კულტურით მაღლა მდგომ და თანაც იმ ხალხის ენაზე, რომელიც უმრავლესობას წარმოადგენდა" [1].

რამდენად მეცნიერულია ამ დასკვნაში წარმოდგენილი სხვა დებულებები ჩვენ ამჟამად არ გვაინტერესებს. სომეხი და ქართველი მეზობლების შესახებ მსჯელობას კი მეცნიერულობისა, სამწუხაროდ, არაფერი სცხია. მაგრამ ეს ცოდვის მხოლოდ ერთი მხარეა; უმძიმესი ისაა, რომ პატივცემული ჯაფაროვი, ამ თავისივე შეცდომის სა-

---

[1] პატივცემული ჯაფაროვის ეს სტატია თარგმანის მხრივ შეიძლება აქა-იქ დახვეწას საჭიროებდეს.

ფუძველზე, ვერ ამჩნევს, რომ მისი ასეთი მსჯელობა, რბილად რომ ვთქვათ, მავნეა.

სხვა ასეთი მაგალითების მოტანას განზრახ ვერიდები.

ისტორიულ აზროვნებაში, ჩანს, დღემდის არაა საბოლოოდ უკუგდებული ბურჟუაზიული ხანის იდეური მემკვიდრეობა.

ქართული საბჭოური ისტორიოგრაფია მოძმე სომხურ და აზერბაიჯანულ ისტორიოგრაფიასთან ერთად მოვალეა კიდევ მეტი ენერგიით ეცადოს ამ ნაკლის დროულად გამოსწორებას.

* * *

არაერთხელ აღნიშნულა ქართული ისტორიოგრაფიის მისამართით უსამართლო და უმეცრული საყვედური. რომ ქართველი ისტორიკოსები იდეალს წარსულში ეძებენ, რომ საქართველოს „ოქროს ხანა" მათ სადღაც XII საუკუნეში დაიგულეს...

დღეს ამ საკითხში სინათლის შეტანა ყოვლად აუცილებელია.

იყო დრო, როცა იდეალი ქართულ ისტორიოგრაფიას, ისევე როგორც თვით ისტორიის შემოქმედ საზოგადოებას (იმ დროის „პატრიოტებს") წარსულში კი არა, აწმყოსა და მომავალში ესახებოდა, როცა აწმყო ბატონობდა წარსულზე და არა პირუკუ. ეს იყო ქართული ფეოდალური საზოგადოების აღმავლობის ხანა. V—XII საუკუნეთა ქართული საისტორიო მწერლობა რომანტიკული არ იყო, ის წარსულს არ მისტიროდა. იოანე საბანისძე ძნელბედობის ხანაში ბრძოლისაკენ მქუხარე მოწოდებაა, დავითის ისტორიკოსი დიდი ეპოქის შესაფერისი იდეური მოლაშქრეა, თამარის ისტორიკოსი „ვეფხისტყაოსნის" შესატყვისი პიმნია გამარჯვებული ფეოდალური საქართველოსი.

სულ სხვა ვითარება აღინიშნება XIII საუკუნის შემდგომი ხანის ქართულ ისტორიოგრაფიაში. წარსული სულ უფრო და უფრო სანატრელი ხდება. ქვეყნის პოლიტიკური ძლიერება, ეკონომიური მორჭმულობა, კულტურული მიღწევანი, — სულ ყველაფერი წარსულში იყრის თავს — „თამარის" გარშემო...

თითქოს რაღაც დასრულდა საქართველოს ცხოვრებაში, თითქოს რაღაც გაწყდა, ცხოვრების წინსვლა შეფერხდა და წარსული სანატრელი გახდა... ამის მოწმობაა ქვეყნის სახელმწიფო მესაჭეთა პოლიტიკური მოღვაწეობაც. „რომანტიკოსები" არიან XIV—XV საუკუნეთა ყველაზე დიდი პოლიტიკური მოღვაწენი გიორგი ბრწყინვალე და ალექსანდრე I. მათი პოლიტიკური იდეალი „თამარის ხანის" რესტავრაციაა... (აღნიშნული მდგომარეობა ბევრის მთქმელია იმისათვის, რომ ჩვენ სწორი წარმოდგენა შევიმუშავოთ იმის შესახებ, თუ როგორი ბუნებისა იყო ფეოდალური საქართველოს ის პო-

ლიტიკური დაშლა, XIII—XV საუკუნეებში რომ განხორციელდა, ე. ი. იყო ეს ფეოდალური საზოგადოების ზრდისა და წარმატების შედეგი, თუ ეს იყო ამ ზრდის ღრმა შეფერხებისა, საზოგადოების დაჩიხულობისა, მისი სტაგნაციის შედეგი... ჯანსაღსა და მოზარდ საზოგადოებას სარომანტიკოსო და ისიც წარსულისაკენ პირმისაქცევი რა უნდა ჰქონოდა?).

XIV საუკუნის ქართველი ისტორიკოსი (ქამთააღმწერელი) პირველი „რომანტიკოსია" ჩვენ საისტორიო მწერლობაში.

საქართველოს აწმყოთი და მისი ახლო წარსულით ის უკმაყოფილოა. ქართველი ფეოდალები უპიროები, ურთიერთის გაუტანლები არიან.. ამათ საპირისპიროდ რომანტიკულად შენატრის ჩვენი ისტორიკოსი პრიმიტიულ მონღოლთა პირველყოფილ სათნოებას... საქართველოს მეფენი უღირსნი არიან, ხოლო ეკლესია ავტორიტეტდაკარგულია. გმირი არსადაა, კოხტას თავს შეთქმულთა ეპიზოდი მონღოლთა სათნოების ჩვენება უფროა, ვიდრე ქართველ ფეოდალთა გმირობისა. ცოტნე დადიანი და ბექა ჯაყელი ამინდს ვერა სცვლიან. დიმიტრი თავდადებული უსასო თავწაგებულია და არა გმირი შემოქმედი, სადუნ-სუმბატ-ეგარსლანების ქამია, ჯიქურები იღუპებიან...

XVII საუკუნის მეფე-მწერლები თეიმურაზი და, განსაკუთრებით, არჩილი საბოლოოდ აფორმებენ ქართული გვიანფეოდალური ისტორიოგრაფიის რომანტიკულ ხასიათს... ასეთივენია „ახალი ქართლის ცხოვრების" ავტორები და XVIII საუკუნის მწერალ-ისტორიკოსები: დავით გურამიშვილი, პაპუნა ორბელიანი და თვით ვახუშტი.

მაგრამ ქართული ფეოდალური საისტორიო მწერლობის ეს „რომანტიზმი" განსაკუთრებით XIX საუკუნეში გაღვივდა. და ეს გასაგებიცაა: აქამდე ქართველ ფეოდალთა კლასი თავისი თავის პატრონი იყო („მუნ ჩვენ ხელთ იყო ჩვენობა"). ამიერიდან სოციალურად დრომოჭმული ქართველი თავადაზნაურობა განიდევნა პოლიტიკური სარბიელიდანაც. ქართველ თავადაზნაურობას ყველა საფუძველი ჰქონდა აწმყოთი უკმაყოფილო ყოფილიყო და არც მომავლის იმედი ჰქონოდა: დღევანდელი დღე და ხვალე მას ორივე გაქრობა-გადაშენებით ემუქრებოდა... და, გასაგებია, ის მწარედ ატირდა „სოფლის" ამაოებაზე და თავისი იდეალი შორეულ წარსულში დაიგულა, როცა, ქართველი თავადაზნაურობის აზრით, მისი განუყოფელი ბატონობის ხანა იყო, ხანა ქვეყნის ყოველმხრივი წარმატებისა,—„ოქროს ხანა"...

მაგრამ გვიანფეოდალური ქართული ისტორიოგრაფიის ასეთი ხასიათი, სრულიად კანონზომიერად შემუშავებული, ფეოდალთა კლასის დრომოჭმულობისა და პოლიტიკური დამარცხების ვითარე-

ბაში, შეთვისებულ იქნა ქართული ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის მიერ. ამ ერთის შეხედვით უცნაური გარემოების საფუძველი ის იყო, რომ ახალმოზარდი ქართველი ბურჟუაზია სახელმწიფოებრივ მფარველობას მოკლებული იყო და ძლიერ არაქართველ ბურჟუაზიასთან მეტოქეობაში ის ტანჯვით იზრდებოდა. სიმძიმეებით სავსე აწმყო ჰქონდა და არც ბრწყინვალე მომავალი ესახებოდა.

ასეთ პირობებში პატრიოტულ-რომანტიკული ფეოდალური ისტორიოგრაფია „ოქროს ხანით" ქართველ ბურჟუაზიას გულზე ხვდებოდა.

საქართველოს მუშათა კლასმა, ვიდრე ოქტომბრის რევოლუციამდე, საკუთარი ისტორიოგრაფია ვერ შექმნა.

ეროვნული ნიჰილისტობა ქართველი საზოგადოების ორი სოციალური ფენის იდეური „შეხვედრა" იყო: — გადაგვარებულ ფეოდალურისა (გიორგი მუხრანსკი) და უპერსპექტივო პროტესტანტ-გლეხურისა (ჯაბადარი). ყველა ამათ, ისევე როგორც მთელ ფეოდალ-ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიას, წესი აუგო ქართულმა საბჭოურმა ისტორიოგრაფიამ.

არა ნიჰილისტური უარყოფა თავისი წარსულისა, არა სასოწარკვეთით ხელის ჩაქნევა თავის თავზე, არა მოთქმა და ტირილი დაკარგული სამოთხის გამო, არამედ მეცნიერული შესწავლა ამ წარსულისა, მისი „ავისა" და „კარგის" კანონზომიერების დადგენა და ახალი ქვეყნის პატრიოტ მშენებელთათვის იდეურ საკვებად მიწოდება...

ამას შემდეგ, რაც „ჩვენ ხელთ არის ჩვენობა", რაც „ჩვენი თავი ჩვენვე გვეყუდნა", მას შემდეგ, რაც პოლიტიკურად და სოციალურად განთავისუფლებული ქართველი მშრომელი ხალხი აშენებს სოციალიზმს, ცხადია, აღარაა საფუძველი „ოქროს ხანის" გულვებისა სადღაც XII საუკუნეში: ოქროს ხანას ჩვენ ვაშენებთ. პოლიტიკური რომანტიკოსობის საფუძველი საბოლოოდ მოშალა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამ. ფეოდალური და ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის იდეალი თან გადაყვა მის შემქმნელ კლასებს...

დიახ, ეს ასეა, მაგრამ ერთი განმარტების დართვა მაინც საჭიროა.

ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიას იდეალის თვალსაზრისით „ოქროს ხანა" ძველ დროში არ ეგულება და არც შეიძლება ეგულებოდეს. ეს არის ამ საკითხში ძირითადი განსხვავება ქართული საბჭოური ისტორიოგრაფიისა ფეოდალურ-ბურჟუაზიუ-

ლი ქართული ისტორიოგრაფიისაგან, რომელიც ამ ოქროს ხანაში სწორედ საქართველოს პოლიტიკურ იდეალს გულისხმობდა.

ქართული საბჭოური ისტორიოგრაფია, რა თქმა უნდა, კარგად ამჩნევს კლასობრივი საზოგადოების აღმავლობისა და დაცემის ეპოქებს, კარგად ხედავს, რომ „XII საუკუნე" საქართველოს ფეოდალური ურთიერთობის ხანაში ყველაზე წარმატებული ეპოქა იყო, რომ ამ ეპოქაში ფეოდალურმა საქართველომ ყოველმხრივი განვითარების უმაღლეს საფეხურს მიაღწია, რომ ეს მართლაც ოქროს ხანა იყო ფეოდალური საქართველოს განვითარებისა—მისი მწვერვალი (ასეთივე ოქროს ხანა, უეჭველია, სხვა სოციალურ-ეკონომიურ ფორმაციებსაც ჰქონდათ. იგულისხმება, რა თქმა უნდა, კლასიკურად ნორმალურ პირობებში — განვითარებული ესა თუ ის ფორმაცია და არა ისეთი უდღეურ-ნასაწყლევი, როგორიც იყო ჩვენში ბურჟუაზიული ურთიერთობა).

საბჭოური ისტორიოგრაფიის თვალსაზრისით, კლასობრივი ბრძოლის განვითარების თვალსაზრისით „XII საუკუნე" იყო პროგრესი, წინსვლა, ე. ი. კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო ბ ა თ ა გ ა ღ რ მ ა ვ ე ბ ა და ამდენადვე „შრომის ახსნისაკენ" მიახლოვება (თუმცა არა შრომის თანდათანი განთავისუფლების გზით, არამედ მისი, ე. ი. შ რ ო მ ი ს ა და მ შ რ ო მ ე ლ თ ა კ ი დ ე ვ უ ფ რ ო დ ა მ ო რ ჩ ი ლ ე ბ ა-დ ა მ ო ნ ე ბ ი ს გ ზ ი თ).

ასე რომ კლასობრივი საზოგადოების განვითარების ეტაპებში საბჭოური ისტორიოგრაფია ხედავს პ რ ო გ რ ე ს ს და ა რ ა ო ქ რ ო ს ხ ა ნ ა ს. ოქროს ხანას, იდეალს ის ხედავს კ ო მ უ ნ ი ზ მ ს ი და აქეთკენ მიმართული ყველა გზა, ესაა გზა პროგრესისა და რაც უფრო მეტი ინტენსივობისაა ეს გზა ამა თუ იმ ეპოქაში, მით უფრო პროგრესულია ის ეპოქა.

* * *

გვიყვარს გმირები და მაშენებელნი. წერილობით წყაროებს თუ ზეპირ გადმოცემებს მრავლად შემოუნახავთ მათი სახელები.

გვიყვარს ისინი და რა უნდა იყოს აქ სააუგო? ეს უსაფუძვლო განდიდება (იდეალიზაცია) კი არ არის, არამედ საკმაო საფუძველზე ახსნილი და მორალურად მისაბაძ მაგალითებად განოტანილი ის პროგრესული მოღვაწენია, რომელთაც დაამშვენეს ჩვენი წარსული და ამშვენებენ ჩვენს აწმყოს...

გმირებია აღმავალი ფეოდალური ეპოქის დიდი მშენებელნი (ვახტანგ გორგასალი, გრიგოლ ხანძთელი, ბაგრატ III, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე და მრავალი სხვა)...

ჩვენი ისტორიის თავისებურებაა, რომ „მაშენებელთა" გვერდით არა ნაკლების სიმრავლით იხსენიებიან „მეორედ მაშენებელ-

ნი", ე. ი. რესტავრატორები. მოდიოდნენ ვისი „სპეციალობაც" ნგრევა იყო და აოხრება, გვანგრევდნენ და გვაოხრებდნენ, ხოლო ჩვენ „მეორედ ვაშენებდით", რადგან ინტენსიური მეურნეობის მიმდევარი საზოგადოების ხვედრი შენებაა.

ღირსეულად ვაფასებთ ფეოდალური საქართველოს ამ ძნელბედობის ხანის „მეორედ მაშენებელთ" (ალექსანდრე I, კახი მეფენი ლევანი და ალექსანდრე, ვახტანგ VI, ერეკლე II და სხვანი).

ჩვენ არ გვავიწყდება, რა თქმა უნდა, რომ გმირი, მშენებელი, თუ მეორედ მაშენებელი თვით ხალხია, რომელიც თავის წიაღიდან წარმოშობს მოღვაწეებს და უქმნის მათ საკმაო პირობას გმირობისას თუ მშენებლობისას... ჩვენ კარგად გვახსოვს სახელოვანი 905 წელი, როცა ჩვენი ხალხის წიაღიდან, თითქო შევარდნის საბუდარიდან, აგრე მრავლად წარმოიშალნენ გმირი რევოლუციონერები, ან ჩვენი თანამედროეობა, რომელიც სოციალიზმის გმირ დამცველთა და მშენებელთა ლეგიონებს წარმოშობს...

მაშ რატომღა უნდა იყოს ვინმესთვის საჩოთირო, მაგალითად, დავით აღმაშენებლის მიერ ქვეყნის მშენებლობის აღნიშვნა? ჩვენ არ გვავიწყდება, რომ ის დრო კლასთა ბრძოლის ხანა იყო და ფეოდალური ქვეყნის მშენებლობა მწარმოებელი საზოგადოების ექსპლოატაციის გზით ხორციელდებოდა. ეს უნდა მთელი სისავსით და ხაზგასმით ითქვას, მაგრამ აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოებრივი პროგრესის გზა იმ დროს ასეთ სიძნელეებზე გადიოდა...

ჩვენი მიზანი უნდა იყოს წარმოვაჩინოთ მეცნიერული დასაბუთებით ძველი და ახალი მშენებელნი, ძველი და ახალი მებრძოლნი საშინაო თუ საგარეო დუხჭირი პირობების წინააღმდეგ. ჩვენი ცხოვრების პროგრესის მატარებელნი წარსულსა თუ აწმყოში.

ჩვენ უნდა ვწერდეთ მათ შესახებ მეცნიერულ გამოკვლევებს და პოპულარული ბროშურების სახით უნდა ვაწვდიდეთ კომუნიზმის მშენებელ საბჭოთა საზოგადოებას.

მაგალითად, თამარი და „მისი ხანა"—XII საუკუნე ფეოდალური საქართველოს ყოველმხრივი პროგრესის მწვერვალია. და როგორ ვწერდით, ან ჯერ კიდევ ვწერთ ამ ეპოქის შესახებ? გვიტაცებს სამხედრო საქმეები, სამეფო კარის ბრწყინვალება, ზეიმები. მასალისათვის თავი ვერ გაგვირთმევია, კრიტიკულად ვერ გაგვიშიფრავს ისტორიული წყაროები და მოვლენებს აღვწერთ ისე, ან თითქმის ისე, როგორც ამას მოგვითხრობდა იმ ომებისა და ზეიმების მონაწილე ფეოდალი. და ამ საზეიმო გინწყობილებისას შიგა და შიგ წამოგვაგონდება „ბისმილა" და მოვყვებით უნივთო რახარუხს კლასთა ბრძოლაზე, ენერგიულად შეეუკურთხებთ ფეოდალებს, ბრალად დავ-

დებთ მწარმოებელი საზოგადოების უმოწყალოდ ყვლეფას, „საბრალო გლეხებს“ თბილი სიტყვით მოვიხსენიებთ და „ბისმილაც“ გათავდა; თავს ვალმოხდილად ვგრძნობთ და საზეიმო განწყობილებას ვუბრუნდებით.. აღვწერთ თამარს, ძისი გაწმინდანების ტენდენციით, მის სათნოებას, — მეფის ქველმოქმედებაზე უფრო მეტი ხალისით ვსაუბრობთ, ვიდრე ამ მოვლენის საზოგადოებრივ შინაარსსა და იმ სოციალურ ფენაზე, ვის მიმართაც ეს მეფე ქველმოქმედებდა... და არსადაა ამ შესანიშნავი ისტორიული პიროვნების მეცნიერულად დადგენილი ცოცხალი სახე.

თამარის დრო უაღრესად დიდ მნიშვნელობის სოციალურ-პოლიტიკური დუღილის ხანა იყო. მიუხედავად ამისა, დღემდე არ მოგვეპოვება ამ საზოგადოებრივი მოძრაობის სრული მეცნიერული შეფასება, თუმცა ისტორიკოსთა მცირე ენერგია როდი შელევია ამ ჭეშმარიტად საკვანძო ეპოქის გახსნას (რაც, უეჭველია, ჩვენი ისტორიოგრაფიის სისუსტის მოწმობაა).

აქვე სიტყვამ მოიტანა: ფეოდალური საქართველოს ამ „ოქროს ხანის“ კულტურის მწვერვალად ქართულ ისტორიოგრაფიას სამართლიანად გამოაქვს რუსთაველის ვეფხისტყაოსანი, „XII საუკუნის“ საქართველოს ეს გენიალური ჰიმნი.

და როგორ კრიტიკულად განიხილავს მას ქართული ისტორიოგრაფია?.

საშუალო საუკუნეებში კლერიკალებმა გაბედეს და ვეფხისტყაოსანი გააკრიტიკეს: უღმერთობა და უზნეობა დაწამეს (თუმცა ამით ფეოდალებს ვერ შეაძულეს მათი წმინდა წიგნი, მათი ეს სახარება და ვერც შეაძულებდნენ...).

ვახტანგ VI ლიტერატურული ცდა ამ წიგნის რეაბილიტაციისა ზედმეტი შრომა იყო: ის არც კლერიკალებს არწმუნებდა და არც ფეოდალებს სჭიროდა...

ჩვენ დროშიც გრძელდება ამ დიდი ქმნილების ისტორიული „კრიტიკა“.

მე მხოლოდ კურიოზს მოვიტან: რუსთველოლოგთა ერთი ნაწილი ვეფხისტყაოსანში ხედავს ხალხთა შიგნით ძმობისა და სოციალური ზავის, ხოლო ხალხთა შორის მეგობრული ურთიერთობის იდეების ქადაგებას. მაგრამ თუ კრიტიკოსების ერთ ნაწილს რუსთაველის ეს „თითქმის სოციალისტური“ იდეები იმ დროის საქართველოს მაღალ საზოგადოებრივ განვითარების ნაყოფად ეჩვენება, მეორე ნაწილს „ვეფხისტყაოსნის“ ეს იდეები ქართული პირველყოფილი თემური ცხოვრებიდან მომდინარე ცოცხალ ატავიზმად წარმოუდგენია. ორივე შეხედულება მეცნიერული უმწეობის ტოლფასოვანი მოწმობაა...

წარსულის იდეალიზაციას (უსაფუძვლო გაზვიადებას) გვაბრალებენ. და ეს იმიტომაც ხდება, რომ ჩვენ ხშირად ისტორიულ მოვლენას ცალმხრივად ვაშუქებთ და მისი ყოველმხრივი მეცნიერული შესწავლისათვის თავს არ ვიწუხებთ. საჭიროა, მაშასადამე, ისტორიული მოვლენის (მისი გმირებით) ყოველმხრივი კრიტიკული შესწავლა, მეცნიერული შეფასება.

ჩ ვ ე ნ ი ი ს ტ ო რ ი ი ს ლ ი გ მ ი რ ე ბ ი მ ე ც ნ ი ე რ უ ლ ა დ დ ა დ გ ე ნ ი ლ ი პ რ ო გ რ ე ს ი ს ტ ე ბ ი შ ე ი ძ ლ ე ბ ა ი ყ ვ ნ ე ნ მ ხ ო ლ ო დ.

*

* *

კლასობრივი საზოგადოების ისტორია კლასთა ბრძოლაა. კლასობრივი საზოგადოების ესა თუ ის სახეობა ამ საზოგადოების შიგნით მიმდინარე კლასობრივი ბრძოლის ფორმაა. კლასობრივი საზოგადოების ცხოვრების ყოველი მხარე საშინაო თუ საგარეო, მატერიალური თუ სულიერი, სოციალურ-ეკონომიური თუ იდეური,— ყველაფერი კლასობრივ ბრძოლას უკავშირდება, კლასობრივი ბრძოლის კვალს ატარებს, კლასობრივი შინაარსისაა. კლასობრივ საზოგადოებაში კლასობრივი ბრძოლის გვერდისავლით არაფერი ხდება.

ამას დღეს ჩვენში არავინ დაობს, ოღონდ სიმძიმე იმაშია, რომ ამ თვალსაზრისით საზოგადოების თავგადასავლის შესწავლა ღრმა თეორიულ გაწაფულობას, დიდ ტექნიკურ შეიარაღებას, მახვილ ალღოს და ხანგრძლივ შრომას მოითხოვს.

ჩვენი ახალგაზრდა საბჭოური ისტორიოგრაფია მხნედ შეუდგა ამ დიდ სამუშაოს და შედარებით მოკლე დროში გარკვეული წარმატებაც მოიპოვა, თუმცა ეს მხოლოდ საქმის დასაწყისია და გასაკეთებელი ჯერ უზომოა.

მაგრამ სიძნელე მხოლოდ სამუშაოს სიდიდე როდია. უფრო დამაფიქრებელია და საზრუნავი საქმის მეორე მხარე.

საზოგადოების ცხოვრების, მისი თავგადასავლის მარქსისტული ანალიზი და მარქსისტული ისტორიის შენება რთული საქმეა. გაუწაფავ მკვლევარს ხიბლავს ლოზუნგთა სიმარტივე, ვერა სწვდება მარტივად გამოთქმულ მარქსისტულ დებულებათა ღრმა მეცნიერულ აზრს, ვერ ახერხებს საზოგადოებრივი მოვლენის შესაფერის ანალიზს, ვერ ახერხებს წყაროს მარქსისტულ კრიტიკას, ადვილად ექცევა წყაროს ტყვეობაში და მარქსიზმის ვულგარიზატორი ხდება.

როცა კლასობრივი ბრძოლის გამოვლინებას მხოლოდ გლეხთა აჯანყებებში ვხედავთ და არა მწარმოებელ საზოგადოების ფეოდალთა კლასთან ურთიერთობის ყოველ მხარეში, როცა კლასობრივი

ბრძოლის გამოვლინებას ვერ ვხედავთ მწარმოებელთა და მფლობელთა კლასების სტრუქტურაში, როცა კლასობრივი ბრძოლის საფუძველზე ვერ ვხსნით კლასობრივი საზოგადოების სტრუქტურას, სახელმწიფო წყობილებას, მის კანონმდებლობას, ეკლესიის ორგანიზაციას, როცა კლასობრივი ბრძოლის მიღმა გვრჩება ქართული მატერიალური და სულიერი კულტურა, ქართული მხატვრული მწერლობა,—ყველაფერი ეს არის ჩვენი, როგორც მარქსისტი ისტორიკოსების, უილაჯობის მოწმობა.

არაა საკმაო, მაგალითად, ფეოდალურ საზოგადოებაში გლეხთა კატეგორიების ჩვენება მათი უფლება-მოვალეობით, საჭიროა ამ კატეგორიების ბუნების გარკვევა, მათი წარმოშობისა და არსებობის მიზეზ-პირობების ჩვენება, საჭიროა გლეხთა სოციალური ცხოვრების ყოველმხრივი ანალიზი „შრომის ახსნისათვის", შრომის განთავისუფლებისათვის პერმანენტული ბრძოლის შუქზე, ე. ი. კლასობრივი ბრძოლის შუქზე.

საკმაო არაა, მაგალითად, ფეოდალურ საზოგადოებაში აზნაურთა კლასის დასახელება. საჭიროა ამ კლასის წარმოშობა-ფორმირებისა და თავგადასავლის კლასობრივი ბრძოლის შუქზე გარკვევა, საჭიროა ამ კლასის საზოგადოებრივი ფუნქციის ჩვენება ფეოდალური საქართველოს ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე: მისი პროგრესულობა და რეაქციულობა, პატრიოტობა და ცრუპატრიოტობა, მშენებლობა-შემოქმედება და უქნარობა-გახორცმეტება...

საკმაო არაა, მაგალითად, ქრისტიანული რელიგიის რეაქციულობის ჩვენება. საჭიროა ქრისტიანული ეკლესიის, როგორც ფეოდალური ორგანიზაციის, წარმოჩენა, მისი აღმავლობისა და დაცემის ჩვენება, საჭიროა იმის წარმოჩენა, თუ როგორ და როდის იქცნენ „უდაბნოების ქალაქად მყოფელი" საეკლესიო მოღვაწენი მუქთახორა მჭამელებად, სახალხო ქონების გამნიავებელ მრუშ ლოთებად, ტყვეებით მოვაჭრე ყაჩაღებად.

და ვინ მოთვლის კიდევ რამდენი რა არის საჭირო...

როგორც აღვნიშნე, ჩვენ ყველა ამ დიდ საქმეს შედგომილი ვართ და იმედიც გვაქვს, რომ საქართველოს ისტორიკოსთა ლეგიონი შეძლებს ამ მიმართულებით მეცნიერული ლელოს გატანას...

ქართული ისტორიოგრაფიისათვის*

ქართული ისტორიოგრაფიული შემოქმედება ისევე ძველია, როგორც ქართული საზოგადოება. ქართულ ხალხურ ზეპირთქმულებებში უძველესი ისტორიული აზროვნების არა ერთი ელემენტი შეინიშნება. უცხო დამპყრობლებთან („სპარსებთან") ტომთა ბრძოლის ეპიკური გადმოცემანი იყო, შეიძლება ვამტკიცოთ, ერთ-ერთი ისტორიული წყარო, რომლის ნიადაგზე შეიქმნა მხატვრულ-ისტორიული მოთხრობა კავკასიის მკვიდრთა საერთო ბრძოლისა, XI საუკუნის ქართველი ისტორიკოსის ლეონტი მროველის თხზულებაში რომ აისახა.

მაგრამ ქართულ ხალხურ ისტორიოგრაფიულ შემოქმედებას ცხოველად დაუცავს არა მარტო სატომთაშორისო ურთიერთობის (ბრძოლისა თუ მშვიდობიანი თანამშრომლობის) ეპიზოდები, ქართულ ხალხურ ისტორიას უხვად დაუცავს აგრეთვე საზოგადოების შიგნით მიმდინარე ურთიერთობის, კლასობრივი ბრძოლის ამსახველი ცხოველი ეპიზოდები: ომი ლობჟანიძე-ჯაფარიძეთა, ომი ფშავ-ხევსურთა და არაგვის ერისთავთა, დვალთა ბრძოლა როსტომ ბიბილურის წინააღმდეგ, სვანთა ბრძოლა აზნაურთა წინააღმდეგ, მოხევეთა ბრძოლა ღუდუშაურთა წინააღმდეგ, „არსენას ლექსი" და სხვა არა ერთი ისტორიული გადმოცემა (ლექსით თუ პროზად) დაუცავს ხალხის მეხსიერებას, სადაც არეკლილია თავისუფალი მეთემეების თუ გლეხების მედგარი კლასობრივი ბრძოლის ეპიზოდები.

ყველა ეს აშკარად განეკუთვნება ანტიფეოდალური კლასის ისტორიულ აზროვნებას, ხ ა ლ ხ უ რ გ ლ ე ხ უ რ ქ ა რ თ ლ ი ს ც ხ ო ვ რ ე ბ ა ს.

სამწუხაროდ, საამისო მეცნიერული გამოკვლევა ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიას საკითხის შესაფერისი სისრულით ჯერ კიდევ არ ჩაუტარებია.

---

* იბეჭდება პირველად.

* * *

რთულ საზოგადოებრივ ურთიერთობაში, მწვავე წოდებრივ-კლასობრივი ბრძოლის პირობებში შემუშავდა წერილობითი „ქართლის ცხოვრება“, რომელიც ქართული ფეოდალური ისტორიულ აზროვნების ყველა ნიშანს ატარებს.

ფეოდალური ურთიერთობის აღმავლობისა და გამარჯვების ხანის ქართული ფეოდალური ისტორიული აზროვნება ეპოქის შესაფერისია. ამ დროის ისტორიკოსთა გადმოცემებში წარსული თუ აწმყო ცხოვრება ზოგჯერ რთულია და მძიმეგანსაცდელიანი, მაგრამ მუდამ წინმავალი და იმედიანი. ამის მაგალითად საკმაოა მე-8 საუკუნის მწერალი დიდი პატრიოტი იოანე საბანისძე, რომელიც ღრმა ცოდნითა და დიდი სიტყვის ძალით ხატავს არაბ დამპყრობელთა უღლის ქვეშ მოყოლილ ქართლის ეროვნულ განსაცდელს, მაგრამ ხატავს არა უიმედო სასომიხდილი, არამედ ხატავს როგორც მხნე მებრძოლი და სამშობლოს მომავალ გამარჯვებაში დარწმუნებული.

აღმავალი ფეოდალური ურთიერთობის ხანაში ქართველი ხალხი წარმატებით ებრძვის სპარს-არაბ-ხაზართა მძლავრობას, ბიზანტიელ დამპყრობლის მოძალებას, ველის თურქთა შემოსევებს და კავკასიელ ხალხებთან თანამშრომლობით ქმნის ერთიან ფეოდალურ-კულტურულ სამყაროს.

აქვე ფრიად დამახასიათებელი მომენტი შეინიშნება: ამ დროის „ქართლის ცხოვრებამ“ ორგვარი ომი იცის,—ომი კავკასიელ ხალხთა ურთიერთ შორის და ომი უცხოელებთან. უცხოელი მტერი ქვეყნის მოშლა-აოხრებასა და დახარკვა-დამონებას ისახავს მიზნად. კავკასიელ ხალხთა შორის ომი კი ეს უფრო საშინაო ომია, მის შედეგად დაპყრობა-დამონება კი არა, არამედ მონათესავე ქვეყანათა გაერთიანება იგულისხმება ამა თუ იმ მონაწილის ჰეგემონობით.

ამ დროის ქართველ ისტორიკოსთა წარმოდგენაში (ლეონტი, ჯუანშერი, მატიანე ქართლისაჲს ავტორი, დავითის და თამარის ხანის ისტორიკოსები..) კავკასია ერთი კულტურული სამყაროა. კავკასიის პოლიტიკური გაერთიანებისათვის ამ მწერალთა მოწმობით იბრძვიან არა მარტო ქართველები, არამედ ამ დიდ ბრძოლაში მხურვალედ მონაწილეობენ ქართველთა მოძმენი: სომხები, ალბანელები, კავკასიელი მთიელები.

აქ წარმოდგენილი თვალსაზრისი, ჩვენ გვეჩვენება, ფრიად მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენების მართებულად გაგებას შეუწყობს ხელს და აგვაცდენს იმ მძიმე შეცდომებს, თანამედროვე ცნებათა ისტორიის სიღრმეში უსაფუძვლო გადატანის შედეგად რომ მოგვდის ზოგჯერ ამიერკავკასიის ისტორიკოსებს.

ხანგრძლივი თანაცხოვრებისა და საერთო პოლიტიკური თავგადასავლის საფუძველზე, უპირატესად, უნდა შემუშავებულიყო ლეონტი მროველის ისტორიული კონცეფცია კავკასიის ხალხთა მონათესავობისა, კონცეფცია, რომელსაც ქართული ისტორიული აზრი ფეოდალური ურთიერთობის მთელ სიგრძეზე იზიარებდა. რა თქმა უნდა, მეცნიერება დღეს აქ, გარდა საერთო ისტორიული თავგადასავალისა, სხვა მომენტებსაც ვარაუდობს. მათი წარმოჩენა, გამოკვლევა, დამტკიცება საბჭოურ ისტორიულ-ფილოლოგიურ მეცნიერებათა საპატიო ამოცანაა.

* * *

აღმავალი ფეოდალური საზოგადოება ახალგაზრდული ბრძოლით მიიწევს წინ, ამსხვრევს ძველ ფორმებს, შობის პროცესშია ახალი ხარისხის საზოგადოება—ბატონყმური საქართველო. ამ საზოგადოებრივი დუღილის შესაფერისია ახალი ეპოქის დიდი მოსარჩლე ისტორიკოსი (დავითის ისტორიკოსი), რომელიც უკომპრომისო პრინციპულობით ასაბუთებს ამ ახალი ურთიერთობის გამარჯვებისათვის წარმართულ სახელმწიფო ღონისძიებებს.

ისტორიკოსის ასეთ პოზიციას იზიარებდა და აქტიურად მხარს უჭერდა მას ძლიერი დასი ქართული ფეოდალური საზოგადოების პროგრესულ მოღვაწეთა, რომელთა წრეში განმტკიცდა ერთი მხრით მეფის ხელისუფლების ღმრთისნებითობის თეორია, ხოლო მეორე მხრით შემუშავდა ჩვენს დრომდის ზეპირი სიტყვით შემონახული, ამ დინამიკური ეპოქის ეპიგრაფად გამოსადეგი პოლიტიკური შინაარსის შაირი: „ათასად გვარი დაფასდა, ათიათასად ზრდილობა“[1]...

---

[1] ნიკო მარი (Проф. Н. Марр, История Грузии (культурно-исторический набросок). По поводу слова прот. И. Восторгова о грузинском народе. СПБ, 1906) შენიშნავდა ამ შაირის გამო:... Грузинский поэт еще в XII веке отлил в стальные музыкальные стихи народной формы общественный суд о белой и черной кости: „если высокое происхождение можно оценить в тысячу золотых, то истинное образование стоит десяток тысяч, ибо, если человек недостоин как человек, происхождение – пустое дело“ (зз. 82).

მარით გამოდის, რომ ეს შაირი შექმნილია პოეტის მიერ XII საუკუნეში, მარი არ ასახელებს ამ შაირის შემოქმედ პოეტს, სამაგიეროდ გარკვევით ამბობს, რომ ამ შაირში მოცემული იდეია არის იმ დროის ფართე წრეების იდეია, მათი საზოგადოებრივი აზრი. მარით ეს შაირი მაღალნიჭიერი პოეტის შემოქმედებაა, რომელიც „ხალხური ფორმის ფოლადისებურ ლექსად აყალიბებს“ თავისი დროის საზოგადოებრივ აზრს.

„ზრდილობას“ ნ. მარი თარგმნის თავისი დროის „образование“-თ. ასეთი თარგმანი თითქო ნაკლულია: ჩვენი დროის „образование“ XII საუკუნის ქართულ „ზრდილობას“ არ ფარავს.

XII საუკუნე, ამიერკავკასიაში და კერძოდ საქართველოში, დიდი საზოგადოებრივი დუღილის ეპოქა იყო. მოზარდი ბატონყმური ურთიერთობა თავის შესაფერის სახელმწიფოებრივ ფორმას მოითხოვდა. ბრძოლა ძველსა და ახალს შორის შეუნელებლად მიმდინარეობდა. ამ ბრძოლის გამოვლინება იყო ცამეტწლოვანი პოლიტიკური კრიზისი, საქართველოს სამეფო კარი რომ მოიცვა მე-12 საუკუნის მიწურულს (1178—1191).

ამ დროის ისტორიკოსები („თამარის ისტორიკოსები") პოლიტიკური ცხოვრების კიდეგან კი არ იმყოფებიან, არამედ მ ი ს შ ი გ ნ ი თ ტ რ ი ა ლ ე ბ ე ნ, ა ქ ტ ი უ რ ა დ მ ო დ ა ს ე ო ბ ე ნ დ ა მ ო ძ რ ა ო ბ ი ს ი დ ე უ რ მ ე ს ა ჭ ე ო ბ ა ს ი ჩ ე მ ე ბ ე ნ.

* * *

ცნობილი ამბავია ახლო აღმოსავლეთის კულტურული ქვეყნებისა და მათ შორის საქართველოს საზოგადოებრივი განვითარების შეფერხება XIII—XV საუკუნეებში. მონღოლ-თათართა საუკუნოვანი ბატონობის მძიმე ხანაში ქართული საზოგადოებრივი განვითარების შეფერხების შესაფერისია ქართული ისტორიული აზროვნება. XIV საუკუნის ქართველი ისტორიკოსი მაღალგანათლებული მწერალია, მაგრამ მას აშკარად აკლია აღმავალი ფეოდალური ურთიერთობის ხანის ისტორიული აზროვნებისათვის დამახასიათებელი შემართება. ქვეყნის ეკონომიური დაცემის მოწამე და მისი პოლიტიკურ დაშლის თანამედროვე ჟამთააღმწერელი აღარაა იმედიანი მებრძოლი; ის არაა ეპოქის იდეური მესაჭე ძველთა მსგავსად და ჩაითვლება წინამორბედად ქ ა რ თ უ ლ ი ი ს ტ ო რ ი ო გ რ ა ფ ი უ ლ ი რ ო მ ა ნ ტ ი ზ მ ი ს ა, რომელიც საბოლოოდ XVII საუკუნეში გაფორმდა (არჩილი), ხოლო კიდევ უფრო გაძლიერდა XIX საუკუნის თავადაზნაურულ ისტორიკოსთა წრეში.

კიდევ უფრო დაკნინდა და დაეცა ქართული ისტორიული აზროვნება XV—XVI საუკუნეებში, საქართველოს სოციალური და ეკონომიური დაჩიხულობის ხანაში. ამ დროიდან ჩვენ უბირი ქრონიკე-

---

ფეოდალურ საზოგადოებაში „ზრდილობა", ე. ი. ფეოდალურ „ზნეთა" ცოდნა საფუძველი იყო ყოველგვარი „განათლებისა". ფეოდალურ ზრდილობაში, რა თქმა უნდა, წიგნური განათლებაც შედიოდა, მაგრამ აქვე იგულისხმებოდა მრავალ სხვა ისეთ ზნეთა დაუფლებაც, რომელნიც ადამიანის სულიერ განათლებას ყოველ შემთხვევაში არ განეკუთვნებოდა.

მაინც და მაინც პოლიტიკური შინაარსის იშვიათ ზაირში არეკლილია წვრილი ერის, წვრილ აზნაურთა, წვრილ მოლაშქრეთა მასების ძლიერი ბრძოლა დიდგვარიანულ არისტოკრატიულ ტენდენციების წინააღმდეგ. მოცემულია საუკუნოვანი ბრძოლის კვინტესენცია, ფოლადისებურ ლექსად ჩამოსხმული მაღალნიჭიერი პოეტის მიერ.

ბი-ღა შემოგვრჩენია. და მხოლოდ XVII საუკუნის მეორე ნახევარიდან ემჩნევა ქართულ ისტორიულ აზროვნებას აღორძინება დასავლეთ ევროპასა და რუსეთთან კულტურული ურთიერთობის გამოცოცხლებისა და ირან-ოსმალეთის წინააღმდეგ ეპიკური ბრძოლის პირობებში. არჩილის, თბილელის და სხვათა ისტორიულ-ლიტერატურული შემოქმედების ხანა ცნობილი ღონისძიებით დამთავრდა XVIII საუკუნის დასაწყისში: მეფე ვახტანგის ბრძანებით შეიქმნა „სწავლულ კაცთა" კომისია, რომელსაც საქართველოს ისტორიის („ქართლის ცხოვრების") შედგენა დაევალა. აქედან ჩანს, თუ რაოდენ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ამ დროს ისტორიოგრაფიას, როგორც იდეოლოგიურ იარაღს. ამ მხრივ კიდევ უფრო საინტერესოა, რომ ამავე ხანის მეცნიერ-ისტორიკოსმა ჭახუშტი ბაგრატიონმა დაიწყუნა ხსენებული კომისიის ნამუშაკევი და საქართველოს ისტორია უძველესი ხანიდან თავის დრომდე ინდივიდუალურად გამართა[2].

ამიერიდან „ქართლის ცხოვრება" ქართული ფეოდალური საზოგადოების აღიარებული სახელმძღვანელო წიგნი იყო, რომლითაც საქართველოს თავგადასავალი შეისწავლებოდა. საქართველოს ისტორიის ერთიანი წიგნის შექმნა იყო ქართული ფეოდალური ისტორიული აზროვნებისათვის თავის მობმა და ამდენადვე ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების გარკვეული ეტაპი.

* * *

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში საქართველო დიდი პოლიტიკური არჩევანის წინაშე აღმოჩნდა. ირან-ოსმალეთ-რუსეთის პოლიტიკური ინტერესები ამიერკავკასიაში გაინასკვა. საქართველო გადაჭრით რუსეთის მხარეს დადგა. ნიჭიერმა პოლიტიკოსმა და დიდმა პროგრესულმა მოღვაწემ ერეკლე მეორემ შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას საქართველოს „გამოხსნისა" და „აღდგომის" ხანა უწოდა. რითაც შესანიშნავად გამოხატა ქართულ ისტორიულ აზროვნებაზე აგებული პოლიტიკური იდეალი. „გამოხსნა", გასაგებია, შეკრულობაში, ტყვეობაში, თავისუფლების მოკლებულობაში მყოფის განთავისუფლებას ნიშნავდა, „აღდგომა"

---

[2] თავისთავად ქართლის ცხოვრების კრებულის შედგენა ისტორიული აზროვნების მაღალი განვითარებულობის ფცილობელი მოწმობაა. ქართლის ცხოვრების ეს ისტორიოგრაფიული რედაქცია ჯერ კიდევ XI საუკუნეში იწყება. საუკუნეთა მანძილზე გრძელდება ის და XVII საუკუნის მიწურულს სრულდება ძირითადად (იხ. ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა).

მეტ-ნაკლები მნიშვნელობის რედაქციული მუშაობა (შევსება-შესწორება) ქართლის ცხოვრების კრებულზე ამის შემდეგაც წარმოებდა.

კი თავისუფალი გაკვითარების გზით იმ მდგომარეობის მიღწევას გულისხმობდა, რომელიც, ფეოდალური საზოგადოების წარმოდგენით, საქართველოს ერთ დროს ჰქონდა („ოქროს ხანა").

ამავე დროს ერეკლესეული ეს ფორმულა იყო ფ ე ო დ ა ლ უ რ ი ხ ა ნ ი ს ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ი ს ტ ო რ ი უ ლ ი გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი ს კ ვ ა ლ ი ფ ი კ ა ც ი ა: რომ საქართველო დასავლეთის („ევროპის") ხალხთა კულტურული ოჯახის წევრია, აღმოსავლეთელ დამპყრობელთა მიერ მისგან ძალით მოწყვეტილი.

თავისი ქვეყნის წარსულის ასეთი ისტორიული გაგება სრულიად ნათლად მოჩანს ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეთა არაერთ საერთაშორისო აქციაში XV—XVIII საუკუნეთა მანძილზე.

ერეკლე მეორე, რომელსაც, რუს მოხელე ბურნაშოვის მოწმობით, „არაფერი ისე არ სწადდა, როგორც თავისი სამეფოს ევროპულად გამართვა", ამ ფორმულაში სრულიად კონკრეტულ შინაარსსა სდებდა: რ უ ს ე თ თ ა ნ კ ა ვ შ ი რ ი თ ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს გ ა მ ო ხ ს ნ ა ი რ ა ნ-ო ს მ ა ლ ე თ ი ს მ ძ ლ ა ვ რ ო ბ ი ს ა გ ა ნ.

მთელ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ამ ფორმულის გარშემო მწვავე პოლიტიკური ბრძოლა არ ნელდებოდა. ყველაფერი რაც პროგრესული იყო ქართულ ფეოდალურ საზოგადოებაში, ერეკლესა და მის თანამზრახველთა მხარეზე იბრძოდა, ყველაფერი რეაქციული ამის წინააღმდეგი იყო.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ნ ე ბ ა ყ ო ფ ლ ო ბ ი თ ი შ ე ს ვ ლ ა რ უ ს ე თ ი ს მ ფ ა რ ვ ე ლ ო ბ ა შ ი, 1783 წ ლ ი ს ა ქ ტ ი, პ რ ო გ რ ე ს ი ს ძ ა ლ თ ა ე პ ო ქ ა ლ უ რ ი გ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ ა ი ყ ო.

* * *

XIX საუკუნე ქართველი ერის ცხოვრებაში დიდი ეროვნული ტეხილის ხანა არის. „ვეფხისა" და „ბაბრის" კლანჭებიდან გამოხსნისათვის დიდი ბრძოლა წარმატებით გრძელდებოდა, მტერთაგან მიტაცებული ქვეყნები დედასამშობლოს უბრუნდებოდა. პოლიტიკურად დაშლილი ფეოდალური საქართველო თავს იყრიდა, ერთიანდებოდა, ეკონომიურად ძლიერდებოდა, ქართველი ბურჟუაზიული ერი ყალიბდებოდა.

ისტორიის მიერ დასაღუპავად განწირულ ფეოდალურ წყობილებას თან უნდა გადაჰყოლოდა საზოგადოებრივ-ფუნქციამოშლილი ფეოდალთა კლასი. ფეოდალყოფილებს საკუთარი წოდებრივი აღსასრული ეროვნულ აღსასრულად წარმოედგინათ და ამის შესაფერისი ისტორიული კონცეფცია სახელმძღვანელოდ გამოჰქონდათ. ჭეშმარიტად ისტორიული აზროვნების კრიზისი იყო. მაგრამ ეს იყო ქ ა რ თ უ ლ ი ფ ე ო დ ა ლ უ რ ი ა ი ს ტ ო რ ი უ ლ ი ა ზ რ ო-

ვ ნ ე ბ ი ს კ რ ი ზ ი ს ი. ამის მაჩვენებელია, რომ ერთსა და იმავე დროს ორი ერთიმეორის გამომრიცხავი ისტორიული კონცეფცია ბოგინობდა (60—70 წლები): ფეოდალური ისტორიული აზროვნების წარმომადგენელი გიორგი მუხრანსკი პოლიტიკურად უფლება აყრილ საქართველოს „სულთათანას“ უგალობდა, ქართველი ერის აღსასრულს წინასწარმეტყველებდა; ხოლო თერგდალეული ილია ჭავჭავაძე „ქართლის ცხოვრების“ ახლებურად გამართვისათვის ზრუნავდა და საქართველოს წარსულსა და აწმყოში მშრომელი საზოგადოების როლის წარმოჩენას მოითხოვდა.

აშკარად ჩანდა, რომ ქვეყნის პროგრესის იდეურ მესაჭეობას ხელთ იღებდა ფეოდალთა მესამარე კლასი. თერგდალეულთა ბელადმა მოუწოდა ქართველ დემოკრატიულ წრეებს, დაგმო წარსულისადმი პირმიქცეულობა, საბრძოლო სარბიელად მას ერის აწმყო და მომავალი დაუსახა, ხოლო ფეოდალური „ქართლის ცხოვრება“ გადაჭრით დაიწუნა.

ამავე დროს თერგდალეულთა ბელადმა ილია ჭავჭავაძემ დიდი რეალისტი მხატვარის კალმით დახატა ბატონყმური საქართველოს კლასობრივი ურთიერთობის სურათები, პირველმა აღნიშნა და განმარტა „ჩატეხილი ხიდის“ სოციალური ფაქტი და ამ ხიდის ჩატეხის დროც სწორად განსაზღვრა.

მაგრამ თერგდალეულებმა, იმ დროის საქართველოს სპეციფიკურ პირობებში, ვერ დასახეს რევოლუციური გამოსავალი და კლასთა ბრძოლის ნაცვლად კლასთა შეთანხმების ქადაგება თავსიდვეს.

ამის შემდეგ თერგდალეულთ, რა თქმა უნდა, არ შეეძლოთ მდგარიყვნენ რევოლუციონერ დემოკრატთა პოზიციაზე ე. ი. იმ პოზიციაზე, რომლის ერთადერთი სწორი შემდგომი განვითარება იქნებოდა მარქსიზმი ანუ რევოლუციური კლასთა ბრძოლის აღიარება საზოგადოებრივი პროგრესის ერთადერთ გზად. ამდენადვე თერგდალეულები ვერ შერჩნენ მარქსიზმის წინამორბედთა პოზიციებს.

XIX საუკუნეში საქართველო „ხალხთა საპყრობილეს“ პირობებში ვითარდებოდა. ცარიზმის ტლანქი რუსიფიკატორული პოლიტიკა მისი როგორც კოლონიური სახელმწიფოს სისუსტის შესაფერისი (უკუღმა პროპორციული) იყო.

ქართველი საზოგადოების პროგრესული ნაწილი ეროვნულ-ბებში ვითარდებოდა. ცარიზმის ტლანქი რუსიფიკატორული პოლილის წარმატებას უკავშირებდა დეკაბრისტებიდან მოკიდებული რევოლუციონერ დემოკრატებითა და სოციალდემოკრატიული მოძრაობით დამთავრებული.

რეაქციურ რუსეთში პოულობდნენ იდეურ ხელმძღვანელობას და ბრძოლაში საიმედო მოკავშირეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ქართველი მოღვაწენი.

XIX საუკუნის 70—80-ანი წლებიდან რეაქციულ რუსიფიკატორული რეჟიმის მკაცრი შემოტევის პირობებში, ქართული საზოგადოებრიობის წინაშე მკვეთრად დაისვა ქართველი ერის გადარჩენის საკითხი. საქმე შეეხებოდა ქართულ ენას, სკოლას, კულტურას. საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმდინარეობა, თითოეული მოწოდებული იყო გაერკვია თავისი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი. პასუხის ასეთი თუ ისეთი სახეობა, ბუნებრივია, გულისხმობდა საქართველოს როგორც აწმყოსა და მომავლის გააზრებას, ისე მისი ისტორიული წარსულის პრინციპულ შეფასებას.

გვიანთერგდალეულებმა ერის საერთო მოქმედების ნიადაგის თეორია კიდევ უფრო წინ წამოსწიეს, კლასთა ბრძოლა უგულვებელყვეს და ქართველი ერის გადასარჩენად კლასთა თანამშრომლობა იქადაგეს.

ასეთ იდეურ ატმოსფეროში ადვილად მოიკიდა ფეხი ისტორიის გაყალბებამ, საქართველოს ისტორიული წარსულის უსაფუძვლო იდეალიზაციამ. უარყოფილ იქნა ისტორიულ წარსულში ქართული ბატონყმობის სისასტიკე, შემუშავდა ე. წ. „მამაშვილობის“ თეორია. ისტორია თავდადებულ პატრიოტთა სარბიელად წარმოდგა. კლასთა სანატრელი თანხმობისა და პატრიოტ თავდადებულთა ქვეყნად დაისახა ისტორიული საქართველო, რომლის ბედნიერებას ხელს ვითომცდა მხოლოდ გარეშე მტერი უშლიდა[3]...

---

[3] მე ზემოთ ქართული ისტორიული აზროვნების განვითარებაში ისტორიოგრაფიული რომანტიზმის ფაქტი აღვნიშნე.

გვიანფეოდალურ ხანაში საზოგადოებრივი განვითარების დაჩიხულობის პირობებში იბრძოდა ქართველი ხალხი ამ პირობების გადასალახავად. არჩილის „მუნ ჩვენ ხელთ იყო ჩვენობა“, ვახტანგის „ვეფხი“ და „ბაბრი“ (მგლებით), ერეკლეს „გამოხსნა და აღდგომა“ და სხვა მისთანანი ყველა ისტორიული აზროვნების გამოკვეთილი ნიშნებია, ისტორიოგრაფიული რომანტიზმის მოწმობანია.

იბრძოდნენ საქართველოს პროგრესის ძალები იმ ეითარების აღსადგენად, რომელიც, მათი ისტორიული შეხედულობით ქვეყანას იმ „ოქროს ხანაში“ ჰქონდა. ამავე დროს კარგად ირკვევა, რომ ეს მებრძოლი რომანტიკოსები „ოქროს ხანაში“ მხოლოდ საგარეო წარმატებას როდი ჰგულისხმობენ. „ოქროს ხანაში“ ასევე იგულისხმება ქვეყნის შინაგანი „წყობა და გარიგება“.

არც XIX საუკუნის პროგრესისტებს ჰკლებიათ ეს საბრძოლო ლოზუნგი დიდმა ილიამ მოხვევისა და სახალხო მთქმელის პირით საქვეყნოდ გამოთქვა საოციანელთა რომანტიკული იდეალი.

მაგრამ ილიას, აკაკის, და სხვათა ეს რომანტიზმი მათი სასომიხდილობის ნიშანი კი არ იყო, არამედ საბრძოლო ლოზუნგი უკეთესი მომავლისათვის. ილია

ასეთ პირობებში კანონზომიერი მოჩანს ქართველი ხალხოსნების ნიჰილისტური პოზიცია საქართველოს წარსულის შეფასებაში. ეს იყო პროტესტი ისტორიის უსაფუძვლო შელამაზება-იდეალიზაციის წინააღმდეგ, მაგრამ ამავე დროს ეს იყო ხალხოსანთა ურწმუნოების მოწმობა საკუთარ გამარჯვებაში.

ბურჟუაზიის იდეოლოგები (ნიკოლაძე...) ერის გადარჩენის მისიას ქართველ ბურჟუაზიას აკისრებდნენ.

ქართველმა რევოლუციონერ მარქსისტებმა (ალ. წულუკიძე, ი. სტალინი) ლენინიზმის პოზიციებიდან ერთიანად გააკამტვერეს ნიკოლაძის თეზისი ქართველი ბურჟუაზიის პროგრესულ პატრიოტული მისიის შესახებ. მეორეს მხრით მათ ცხადყვეს ქართველი ერის გადასარჩენად მოწოდებულ ყოველგვარ წვრილბურჟუაზიულ ოცნებათა რეაქციულობა.

პროლეტარიატის პარტიამ, ქართველმა მარქსისტ-ლენინელებმა გაბედულად აიღეს ხელში საზოგადოებრივი განვითარების იდეური მესაჭეობა. მომავლის იმედიანმა მშენებლებმა ქვეყნის წარსულიც მეცნიერულად განსჭვრიტეს და იქ ადვილად დაინახეს არა მხოლოდ ფეოდალები და მათი ბატონობა, არამედ ქვეყნის მატერიალური დოვლათის შემქმნელი მარად მებრძოლი საზოგადოება.

რევოლუციონერი მარქსისტ-ლენინელები ქართველი ერის აღდგომას, ქართული ენისა და კულტურის დაცვას რუსეთის პროლეტარიატის რევოლუციურ ბრძოლას და მის გამარჯვებას უკავშირებდნენ.

და ქართველმა მარქსისტ-ლენინელებმა გასაგები გახადეს ქართველ პროლეტარიატისა და საერთოდ მშრომელთათვის დიდი ლენინის პოლიტიკური ფორმულა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა უყვარდეს პროლეტარიატს მშობლიური ენა, მშობლიური კულტურა, როგორ უნდა უყვარდეს რევოლუციონურ პროლეტარიატს თავისი სამშობლო და რა უნდა უყვარდეს ან სძაგდეს ამ სამშობლოს წარსულში.

ამრიგად, საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების კარდინალური საკითხების ისტორიულ გაშუქებაში მარქსიზმ-ლენინიზმი წამყვან პოზიციებს ეუფლებოდა. უკვე 1900-ანი წლებიდან ქართველი რევოლუციონერები მარქსისტულ მოძღვრების ლენინურ ეტაპს ნა-

---

და სამოციანელები ისტორიოგრაფიულ რომანტიკას, წარსულს „ოქროს ხანას" მომავლისათვის ბრძოლის საშუალებად განიხილავდნენ.

სულ სხვაა ისტორიოგრაფიული რომანტიზმი XIX საუკუნის ქართველი ფეოდალებისა. საზოგადოებრივად განწირულ კლასს, აწმყოში ფუნქციამოშლილს და მომავლის არა მქონეს, მას მხოლოდ წარსული უღიმოდა. ამდენადმე მისი „ოქროს ხანა" რეაქციული ისტორიოგრაფიული რომანტიზმი იყო.

ზიარები იყვნენ და ის სახელმძღვანელოდ ჰქონდათ თავიანთ პრაქტიკულ მოღვაწეობაში თუ თეორიული საკითხების გაშუქებაში.

ასე შემოდიოდა ქართულ ისტორიოგრაფიაში მარქსიზმ-ლენინიზმი, რომელმაც მოხსნა ყველა და ყოველგვარი კრიზისი ქართულ ისტორიულ აზროვნებაში: ყორნის ჩხავილი გადაგვარებულ ფეოდალებისა, რომანტიკული იდეალიზაცია წვრილბურჟუაზიული პატრიოტებისა, უსასო ნიჰილიზმი ხალხოსნებისა, იდეური სიღატაკე ქართველი ბურჟუაზიისა.

*

* *

დიდი ოქტომბრის რევოლუციის დღიდან საბჭოთა ისტორიკოსების ამოცანა მარქსიზმ-ლენინიზმის შუქზე საქართველოს ძველი და ახალი ისტორიის გამოკვლევა-გამართვა იყო. ამ ამოცანის გადაწყვეტა თავს იდვა ქართულმა საბჭოთა ისტორიოგრაფიამ, რასაც ის თანდათან მეტის და მეტის წარმატებით ახორციელებს.

*

* *

დასასრულ, შესახებ ერთი ისტორიული ფაქტისა, რომელსაც ესოდენ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ახალი საქართველოს დადგინებისათვის. ეს იყო რუსეთის იმპერიაში საქართველოს შესვლის ისტორიული შეფასების საკითხი.

1783 წლიდან დღემდე საქართველოში არ დარჩენილა არც ერთი სოციალური წრე, არც ერთი პოლიტიკური პარტია, რომელსაც ამ საკითხისადმი საკუთარი დამოკიდებულება არ გაერკვიოს. ვინ იწონებდა და მადლობით იგონებდა, ვინ იწუნებდა და სწყევლიდა ამ აქტის ავტორებს და მხოლოდ მარქსისტ-ლენინელებმა გასცეს ამ კითხვას მეცნიერულ-ისტორიულად სწორი პასუხი:

მრავალსაუკუნოვანი ფეოდალური დაჩიხულობიდან ქართველი ხალხის თავდასაღწევი ერთადერთი გზა „ხალხთა საპყრობელეზე" გადიოდა. ამდენად ქართველი ხალხის გამოხსნისა და აღდგომის ერეკლესეული გეგმა გვიანფეოდალურ ხანაში ჩვენი ქვეყნის ისტორიული განვითარების სწორი შეფასების შედეგი იყო.

*

* *

ქართველმა ხალხმა გაუძლო მძიმე განსაცდელს. ცარიზმის საპყრობილეში მშრომელთა საქართველომ უანგარო მოკავშირე,— მშრომელი რუსეთი მოიპოვა. „ხალხთა საპყრობილე" რუსეთის პროლეტარიატმა გაანადგურა და ყოფილი იმპერიის ჩაგრული ხალხები თავისუფალ ერთა ძმურ კავშირში შეადუღა.

* * *

ქართული ისტორიოგრაფიის ამ მოკლე ნიმოხილვითაც კი („ქართლის ცხოვრების“ მაგალითზე) ადვილსაჩვენებელი ჩანს მეცნიერული დებულების სისწორე იმის შესახებ, რომ კლასობრივი საზოგადოების ისტორიული აზროვნება ისევე კლასობრივია, როგორც მთელი მისი იდეოლოგია, რომ თითოეულ კლასს თავისებური ისტორიოგრაფია გააჩნია. ბრძოლა „ქართლის ცხოვრების“ გარშემო, ბრძოლა მისი შინაარსისა და იდეური გამართულობის გარშემო საამისო თვალსაჩინო მაგალითია. თითოეული კლასი თავისი სოციალ-პოლიტიკური იდეალების შესაფერისად ქმნის თავის „ქართლის ცხოვრებას“. მშრომელი ხალხი მას თავისებურად ქმნის, ფეოდალები—ფეოდალურად, ბურჟუაზია—თავისი კლასობრივი მიზნების შესაბამისად.

მხოლოდ სოციალიზმის გამარჯვების პირობებში, მხოლოდ ანტაგონისტური კლასების გადასულობის პირობებში პირველად იქმნება რეალური შესაძლებლობა ნამდვილი მეცნიერული ისტორიოგრაფიისა, საყოველთაო „ქართლის ცხოვრების“ შექმნისა.

სიტყვა აკად. ივ. ჯავახიშვილის სსოვნისადმი მიძღვნილ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის საჯარო სხდომაზე 1941 წლის 18 ნოემბერს*

დღეს, როცა მძვინვარე მტერმა ჩვენი სამშობლოს ჭიშკარი ვერაგულად შემოარღვია და გახელებული ის საბჭოეთის დედაციხეს ეხეთქება, უეჭველად, არახელსაყრელი დროა განსვენებული აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილის პიროვნებისა თუ მეცნიერულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობის რამდენადმე სრული შეფასებისათვის. გვწამს, ქარიშხალი გადაივლის, სიმართლის მზე კვლავინდებურად ინათებს და დროც დადგება, როცა ეროვნული კულტურის ამ დიდ მოღვაწეს შესაფერისად და ღირსეულად შეაფასებენ მისი დაზრდილები. მაგრამ ეს საღამო, როგორი მკრთალიც არ უნდა იყოს, არც ზედმეტია და საჭიროცაა. იმ დროს, როცა ჩვენს ეროვნულ არსებობას, ჩვენს კულტურულ მომავალს კვლავ განსაცდელი ემუქრება, იმ ადამიანის მოგონება, რომელმაც მთელი თავისი დიდი ძალ-ღონე ჩვენი ეროვნული კულტურისათვის ბრძოლას და ამ კულტურის სამსახურს პატიოსნად შეალია,—სასარგებლო საქმეა: ივ. ჯავახიშვილის ხსოვნის საღამო ჩვენი სამშობლოს უკეთესი მომავლისათვის ბრძოლას ემსახურება.

დღეანდელს ჩვენს მცირე სიტყვაში განსვენებული მეცნიერის შეფასება, რა თქმა უნდა, არ გვიკადნიერებია. ჩვენი მიზანია აღვნიშნოთ სულ მოკლედ და ზოგადად მისი სამეცნიერო საზოგადოებრივი მოღვაწეობიდან მხოლოდ ორიოდე მომენტი.

---

* პირველად დაიბეჭდა 1942 წელს, ენიმკის მოამბე, ტ. XIII.

XIX საუკუნის მიწურულს, როცა ივანე ალექსანდრეს ძე ჯავახიშვილი სამეცნიერო ასპარეზზე სამოღვაწეოდ გამოვიდა, საქართველოს თავისი ახალი ისტორიის კრიტიკული ხანა უკვე განვლილი ჰქონდა. სიცოცხლისუნარიან ქართველ ხალხს ბრძოლის სწორი გზა უკვე ეპოვნა. საუკეთესო შვილების სახით ის რუსეთის რევოლუციური კლასის მეწინავე მებრძოლთა რიგებში ჩამდგარიყო და თავისი ეროვნული მომავალიც ამ დიადი ბრძოლისათვის დაეკავშირებია. მაგრამ ეს პროცესი იმ დროს ჯერ კიდევ მთელი სისავსით გაშლილი არ იყო და არც ამ ბრძოლის პერსპექტივი იყო ყველასათვის ნათელი.

ქართველ ხალხში ამ დროს ჯერ კიდევ ბევრი იყო დაგვიანებული მოტირალი, გადასულ დიდებაზე უიმედოდ რომ მოსთქვამდნენ; მრავლად იყვნენ „ალაverدი-ს პატრიოტებიც", უფრო სუფრაზე რომ ემარჯვებოდათ ხოლმე „предания Иверской земли"-ს მოგონება. ქართველი ხალხისაგან მოწყვეტილს და წოდებრივად მომაკვდავს ქართველ თავადაზნაურობას საქართველოც მომაკვდავი ეჩვენებოდა. ცარიზმის პენსიონერად ქცეულმა ქართველმა თავად-აზნაურობამ 1901 წელს საკუთარ პანაშვიდში ცხოველი მონაწილეობა მიიღო: საქართველოს პატივაყრილობის ასი წლის თავი „კეთილშობილთა" წოდებამ საქართველოს მესაფლავე ცარიზმსა და მის მოხელეებთან ერთად იდღესასწაულა.

ქართველი საზოგადოების ამ ფენასთან განსვენებულ მეცნიერს, რასაკვირველია, საერთო არა ჰქონდა რა. ძირძველი თავადის სახლის შვილი, ივანე ჯავახიშვილი ჩვენი ინტელიგენციის იმ წრეს ეკუთვნოდა, რომელიც ქართველი ხალხის საღ მაჯისცემას ცხოვლად გრძნობდა და ჩვენს ეროვნულ მომავალს იმედიანად შესცქეროდა. ქართველი ერის ბრწყინვალე მომავალის ურყევი რწმენით შეუდგა განსვენებული მოღვაწე ხალხის სამსახურს და ასეთივე რწმენით დასტოვა მან თავისი ნაჭირნახულევი სამშობლო.

იმ დროს ქართველ ისტორიკოსს განსაკუთრებული პასუხსაგები მოვალეობა აწვა. ბრძოლად ამდგარ ქართველ ხალხს საკუთარი ისტორია სჭიროდა, ისტორია თანამედროვე მეცნიერების მონაპოვართა სიმაღლეზე მდგომი, ისტორია არა გადასულ ამბავთა მოსაგონარი, ისტორია არა საპანაშვიდო განწყობილებით დაწერილი, არა მიცვალებულის ისტორია, არამედ ისტორია ცოცხალის, მებრძოლის და მომავალის მქონე ხალხისა, ისტორია ამ ხალხის სიყვარულით გამთბარი, ისტორია მკაცრი, ჭეშმარიტი და სასარგებლო.

ქართველ ერს დიდი ისტორიული წარსული აქვს. კულტურულ ხალხს შესაფერისი ისტორიოგრაფიაც გააჩნია. ქართული ისტორიო-

გრაფია უძველესი დროიდან მოდის. მისი დასაწყისი ქრისტიანობის იქით ხანაში იმალება. ქართული ისტორიოგრაფიის განვითარება ჩვენი ხალხის ისტორიული ბედის შესაბამისია. საქართველოს პოლიტიკური და კულტურული აღმავლობისას მისი ისტორიოგრაფიაც იზრდება და მეცნიერულად ვაჟკაცდება (IX—XIV სს.), ხოლო ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური დაცემისა და კულტურული დაქვეითების დროს ქართული ისტორიოგრაფიაც ქვეითდება, მარტივდება, ქრონიკულ წელთაღრიცხვად იქცევა (XV—XVI სს.) და ზოგჯერ საკვლევით ქრება (XVI ს-ის მიწურულიდან—XVII ს-ის მეორე ნახევრამდე). ქართული ისტორიოგრაფიის ეს თავგადასავალი განსვენებულმა ივ. ჯავახიშვილმა პირველმა შეამჩნია და თავის კაპიტალურ შრომაში—„ძველი ქართული საისტორიო მწერლობა"—ხაზგასმით აღნიშნა ის.

XVIII ს-ის ქართული ისტორიოგრაფია ქართლის კულტურული აღორძინების შესაფერისი იყო. ვახუშტი და პაპუნა ორბელიანი ქართული ისტორიული აზროვნების ბრწყინვალე გამოშუქებაა.

სამწუხაროდ, ქართული აღორძინების ოაზისი კიდევ ერთხელ წალეკა (და ვინ უწყის, მერამდენჯერ!) ახლო-აღმოსავლეთის ველურობის ტალღამ. ვერ-იხსნა საქართველო დიდი ერეკლეს ხმალმაც და დამოუკიდებლობის პატივაყრილი შევიდა დიდჭირნახული ქვეყანა XIX ს-ში.

დაცემას განიცდიდა ქართული ისტორიოგრაფია XIX ს-ში, ბატონიშვილები, ო. ხერხეულიძე, ნ. დადიანი, ალ. ჭავჭავაძე, ალ. ორბელიანი, პლ. იოსელიანი და მორუსული სულხან ბარათოვი დიდად ჩამოუვარდებოდნენ ვახუშტის, ხოლო კულტურულ ხალხთა თანამედროვე ისტორიოგრაფიის სინათლეზე ისინი განსაკუთრებით ჩამორჩენილად გამოიცქირებოდნენ.

XIX ს-ის დიდ მანძილზე ქართული ისტორიოგრაფია მეტად არახელსაყრელ პირობებში მოექცა. გადაგვარების გზაზე შემდგარი თავად-აზნაურობისათვის საქართველოს ისტორია წარსული დროის რომანტიკული მოგონება ღა იყო მხოლოდ. საიქიოსაკენ პირმიქცეულს, მომაკვდავ წოდებას ისტორია პრაქტიკულად აღარ სჭიროდა. ქართველი ხალხი (დემოკრატია) კი ჯერ კიდევ არ ამდგარიყო და პოლიტიკურ სარბიელზე აქტიურად არ გამოსულიყო. რა თქმა უნდა, ქართული ისტორიული აზროვნების ზრდა-განვითარება არც ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის ანგარიშებში შედიოდა.

ასეთ პირობებში გასაგებია, თუ საქართველოს ისტორიის დამუშავების საქმე უცხოელთა ხელში გადავიდა. მარი ბროსე, რომელმაც ჩვენი ისტორიის დამუშავების საქმეს ეგოდენი ღვაწლი დასდო, ქართული ისტორიოგრაფიის გარეშე დგას (ამდენადვე ადვილად

გასაგებია, რომ ბროსეს მეცნიერული მემკვიდრეობის ამთვისებელი საქართველოს ისტორიის დარგში და მის წამოწყებათა გამგრძელებელი დიდხანს არავინ იყო ჩვენში).

რასაკვირველია, არაფერი აქვთ საერთო ქართულ ისტორიოგრაფიასთან ბუტკოვს, დუბროვინს და სხვა მათ ძმებს (როგორც ფორმალურად, ისე არსებითადაც მათი შრომა რუსულ ისტორიოგრაფიას ეკუთვნის), რომელნიც საქართველოს და მის ისტორიას რუსეთის იმპერიის საშენ მასალად უყურებდნენ (ჩვენი ქვეყნის წარსულის ასეთი „მოამაგენი" XIX საუკუნეში და შემდეგაც ბევრი იყვნენ, „მოამაგენი", რომელთაც საქართველო მხოლოდ დამონებული და პოლიტიკურად მკვდარი უყვარდათ. კლასიკურია ერთი მათგანის: „люблю Грузию, только под властью России").

XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან ქართულ ისტორიოგრაფიას გამოცოცხლება დაეტყო. ნიჭიერი მკვლევარი დიმიტრი ბაქრაძე ქართული ისტორიული აზროვნების ახალი ხანის პირველი წარმომადგენელია. ამავე ხანებში პეტერბურგის უნივერსიტეტში თანდათან გაძლიერდა აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტი, რომლის სამუშაო გეგმაში, სხვათა შორის, ქართული ენისა და საქართველოს წარსულის შესწავლაც იყო გათვალისწინებული. რა თქმა უნდა, პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტი ქართული ენისა და საქართველოს ისტორიის შესწავლით ქართველი ხალხის სამსახურს არ აპირებდა, ისე როგორც არ აპირებდა ის სამსახურს არა ერთი მკვდარი თუ ცოცხალი ხალხისას, რომლის ენასა და წარსულს ასეთივე ხალისით და წარმატებით სწავლობდა.

მაგრამ ჩვენს ქვეყანაში ახალმა სიომ დაჰქროლა. ქართველმა ხალხმა თავის ახალ ისტორიაში გადასვლის კრიტიკული პერიოდი გადალახა და თავისუფლებისათვის ბრძოლის ასპარეზზე გამოსულ ერს საკუთარი ძველი კულტურის ცოდნის ძლიერი მოთხოვნილება გაუჩნდა. და პეტერბურგის ქართული ფილოლოგიის სკოლასაც წილად ხვდა სულ სხვა საპატიო ამოცანის შესრულება.

თავისი ქვეყნის უკეთესი მომავლისათვის ბრძოლის წყურვილით გატაცებული არა ერთი ქართველი ნიჭიერი ახალგაზრდა დაეწაფა ამ ხანებში მეცნიერების სხვადასხვა დარგს, რათა თანამედროვე იარაღით აღჭურვილიყო და მშობელი ხალხის ღირსეული სამსახური შესძლებოდა.

80-ანი წლებიდან პეტერბურგის უნივერსიტეტში ქართული ფილოლოგიის შესწავლას სათავეში ქართველები უდგანან. ჯერ ნიჭიერი პროფესორი ალექსანდრე ცაგარელი შემდეგ დიდი მეცნიერი აკად. ნიკო მარი. ქართველი ერის კულტურისა და ისტორიის შესწავლის საქმე მკვიდრ მეცნიერულ ნიადაგზე დადგა.

ამ სკოლაში გაიარა მეცნიერული წარმოება ივანე ჯავახიშვილმა. შრომისა და ცოდნის უსაზღვრო წყურვილით შეუდგა ის მეცნიერების მძიმე ტვირთს და მთელი სიცოცხლის განმავლობაში სასახელოდ ატარა, ისე რომ სულიერი მოღლა არ უგრძნია, შრომისა და ცოდნის წყურვილი არ შენელებია.

ივანე ჯავახიშვილი პეტერბურგის ქართველოლოგიის სამჭედლოში ახალი საქმის მოთავედ გამოვიდა. მას არ აკმაყოფილებს რუსული მეცნიერების წარმატება საქართველოს შესწავლის საქმეში და, როგორც მშობელი ხალხის ჭეშმარიტი მსახური, ის ქართული მეცნიერების შექმნისათვის იბრძვის. მისი იმდროინდელი სამეცნიერო მოღვაწეობა ამის სანიმუშო მაგალითი იყო. 1899 წლიდან 1917 წლამდე ივანე ჯავახიშვილმა 40 სხვადასხვა სახელწოდების სამეცნიერო ნაშრომი გამოაქვეყნა. აქედან 23—რუსულ ენაზე, 16—ქართულზე, ერთი—გერმანულზე. ახლა, თუ ამ სიას ნაშრომთა მნიშვნელობა-მოცულობის თვალსაზრისით განვიხილავთ, სულ სხვა სურათს მივიღებთ. გარდა ერთი ნაშრომისა (Государственный строй древней Грузии и древней Армении), სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად რომ იყო დაწერილი, განსვენებულ მოღვაწეს რუსულ ენაზე მხოლოდ მცირე წერილები უწერია. ამავე დროს, ყველა კაპიტალური ნაშრომი („საქართველოს ეკონომიური ისტორია", „ქართული სამართლის ისტორია", „ქართველი ერის ისტორია", „ისტორიის მიზანი, წყაროები, მეთოდები წინად და ეხლა") მან ქართულად გამოაქვეყნა. ამავე ხანებში, გატაცებული მეცნიერი ხშირად, ზაფხულობით, თითქო მშობელ ხალხს საკუთარი მუშაობის ანგარიშს აბარებსო, მთელი რიგი მოხსენებით. გამოდიოდა თბილისში და ქართველ საზოგადოებას მის ნამდვილ წარსულს მეცნიერული სიტყვით აცნობდა.

ასეთი საქმისათვის იმ დროს მშობელი ხალხის სამსახურით გატაცება და ძლიერი ნებისყოფა იყო საჭირო. ოფიციალური ხელისუფლება ასეთი შრომისათვის წარჩინებას არ იძლეოდა, ხოლო დაბრკოლებას კი ყოველგვარს უქმნიდა პატრიოტ-მოღვაწეს. საამისოდ დამახასიათებელია, რომ ზემოდასახელებული შრომებიდან ყველა, რუსულ ენაზე დაწერილი, პეტერბურგში დაუბეჭდავთ, ხოლო ქართულად დაწერილი ნაშრომები—ყველა თბილისში.

მაგრამ ეს გარემოება თუ ერთი მხრით იმას მოწმობს, რომ ქართულ მეცნიერებას პეტერბურგში არ სწყალობდნენ, მეორე მხრით იმის მაჩვენებელიცაა, რომ აქ, საქართველოში, ქართული მეცნიერების საჭიროება უკვე შექმნილიყო. და ეს საკვლევით გასაგები და ბუნებრივია: ეს დრო ცხრაას ხუთი წლის რევოლუციის ეპოქა იყო.

ასეთ პირობებში ქართული უნივერსიტეტის დაარსებაზე ფიქრი არაფერს ფანტასტიკურს არ შეიცავდა. და როცა განსვენებული მეცნიერი, სტოლიპინის რეაქციის დროს, ქართველ მეცნიერ მუშაკთა აღრიცხვას თავის უბის წიგნაკში აწარმოებდა, აქ საკვირველი არაფერია. ეს სრულიად ბუნებრივი საქმიანობაა იმ ადამიანისა, რომელიც ახალი ქართული მეცნიერების ფუძემდებლად გამოვიდა. ქართული მეცნიერება რუსულ უნივერსიტეტში ვერ აყვავდებოდა და ვინც ქართული მეცნიერების სამსახურს აპირებდა და ამ საქმის მომავალი სწამდა, მას უნდა ქართული უნივერსიტეტის შექმნის ფიქრიც ჰქონოდა. ეს იმ დროს უნიადაგო ოცნება სრულიადაც არ იყო: ვისაც ქართველი ერის მომავალი სწამდა, ვისაც რუსეთის რევოლუციური აზვირთება სიხარულს ჰგვრიდა და აიმედებდა, მას ისიც სწამდა, რომ რეაქცია, სტოლიპინის თუ სხვების, განწირულია, რომ მომავალი რევოლუციისა და თავისუფლებისაა. ამიტომაც ქართული უნივერსიტეტის თადარიგი რეალური, მეცნიერულ-რევოლუციური მოღვაწეობა იყო.

ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებაში ივანე ჯავახიშვილი ახალი ეტაპის შემქმნელია. ქართული ისტორიოგრაფიისათვის აქამდის უჩვეულო სიღრმითა და მოცულობით სრულიად ახლად დაამუშავა განსვენებულმა მეცნიერმა ჩვენი ისტორიის აურაცხელი საკითხები: პოლიტიკა, ეკონომიკა, სამართალი, ეთიკა, იდეოლოგია, მატერიალური და სულიერი კულტურა... დიდი ერუდიცია, მაღალი მეცნიერული აღჭურვილობა, ფართო ისტორიული პერსპექტივი, ბასრი კრიტიკული ალღო, სანიმუშო და მისაბაძი მეცნიერული სინიდისი, მუშაობით შეუნელებელი გატაცება, დიდი ნებისყოფა და მშობელი ხალხის კეთილშობილი სიყვარული, ყველაფერი ეს ერთად ამკობდა განსვენებულ მოღვაწეს და საშუალებას აძლევდა მას ქართული მეცნიერების დაკორდებული ყამირი ძლიერი მკლავით ღრმად გადაეხნა.

დიდი შემოქმედის სიმკაცრით გაწმინდა განსვენებულმა მეცნიერმა ქართველი ერის ისტორიის საშენი მასალა (ისტორიის წყაროების კრიტიკა ჩვენში აქამდის სრულიად არ არსებობდა და მეცნიერების ეს დარგი ქართულ ისტორიოგრაფიაში განსვენებულმა ჯავახიშვილმა შემოიტანა). არა ერთი საისტორიო წყარო, რომლის სანდოობაში აქამდის ეჭვიც არავის შესდიოდა, ულმობელი კრიტიკის სინათლეზე გამოიტანა და უკუაგდო, არა ერთი პატრიოტული გადმოცემა, ხალხური შემოქმედების ლამაზი ნაყოფი, როგორც ისტორიისათვის უვარგისი წყარო, შეუბრალებლად გასწირა; უზარმაზარი შრომის შედეგად საკვლევით დაამსხვრია მის დრომდის არსებული შეხედულება ქართულს ისტორიოგრაფიაზე და სრულიად ახა-

ლი შეხედულება დაასაფუძვლა. ამავე დროს მან შემოკრიბა უცხოური წყაროები ქართველი ხალხის წარსულის შესახებ. ყველაფერი ეს შედარებითი შესწავლის მკაცრი კრიტიკით გაცხრილა და აგრე დამზადებული სანდო საშენი მასალით ქართველი ერის ისტორიის წერას შეუდგა.

მრავალი რამ გასწორდება განსვენებული მეცნიერის ნაშრომებში, მის ნამუშაკევის საფუძველზე თანდათან ახალი მეცნიერული ნაგებობანი გაჩნდება, ქართული ისტორიოგრაფია განვითარების შემდეგ საფეხურებს მიაღწევს, მაგრამ სამუდამოდ დარჩება ეტაპი, ივანე ჯავახიშვილმა რომ შექმნა ქართულ ისტორიულ აზროვნებაში, — დარჩება და იარსებებს ისევე, როგორც არსებობს ქართული ისტორიული აზროვნების ეტაპები ეამთააღმწერელის, დიდი ვახუშტის...

1917 წელს, როდესაც რევოლუციამ მეფის რუსეთი დაამსხვრია და ხალხთა საპყრობილის კარები გაიხსნა, ქართული უნივერსიტეტის შექმნის საკითხი სადღეისო ამოცანად იქცა. პეტროგრადში ივანე ჯავახიშვილის მოთავეობით ახალი ქართული მეცნიერების შტაბი ჩამოყალიბდა. აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტს დაზრდილი ქართველი „შევარდნები გადაუფრინდა". გატაცებული მოღვაწის დიდი ხნის ოცნებამ ხორცი შეისხა. პატრიოტებმა სამშობლოს მოაშურეს და აქ ქართულ უნივერსიტეტს საძირკველი ჩაუყარეს. ამიერიდან ივანე ჯავახიშვილი ქართულ მეცნიერებას საათავეში ედგა.

ჩქარა საქართველო ოქტომბრის რევოლუციის მზემ გაანათა და საბჭოთა წყობილებით გაპოხიერებულ ნიადაგზე თბილისის უნივერსიტეტმა მთელი რიგი უმაღლესი სასწავლებლები იბარტყა. ქართულ მეცნიერებას უსაზღვრო პერსპექტივები გადაეშალა.

ფიზიკურად დასუსტებული მხცოვანი მეცნიერი სულიერად გაჭაბუკდა: ამ წლებზე მოდის მისი სამეცნიერო მუშაობის უნაყოფიერესი პერიოდი.

საბჭოთა მთავრობამ ღირსეულად დააფასა ხალხის მსახური.

20 წლის მანძილზე ქართული მეცნიერება მომწიფდა, დავაქკაცდა. მეცნიერთა ათეული ბევრეულად იქცა. ქართული მეცნიერების დიდი შენობისათვის თავის მოდგმა შესაძლებელი გახდა: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დაარსება დღის წესრიგში დადგა. ქართული მეცნიერების პატრიარქი პირადად ვერ მოესწრო ჩვენი კულტურის ამ ზეიმს, მაგრამ ის მშვიდი და დაჯერებული დაგვშორდა: სწამდა, რომ ამ დიდ საქმეს, ყოველი მხრით დროულსა და შემზადებულს, ბრწყინვალე მომავალი უზრუნველყოფილი აქვს.

სიტყვა აკად. ს. ჯანაშიას სსრკ-ისადმი მიძღვნილ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების გამსვლელ სესიაზე სოხუმში 1953 წლის ნოემბერს*

ამხანაგებო, დღეს რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მორიგი სამეცნიერო სესია სოხუმში მოეწყო, ამის მიზანი ერთია, საფუძველი მეორეა, ხოლო უშუალო მიზეზი კიდევ სხვა.

ახალმა ქართულმა მეცნიერებამ ლეგალობა, ე. ი. არსებობა-განვითარების ხელისშემწყობი პირობები მხოლოდ ოქტომბრის დიდი რევოლუციის შედეგად მოიპოვა და რა გასაკვირველია, თუ მან მხოლოდ დღეს მოიცა შესაფერი ძალა, რომ აქ, სოხუმში, გაემართნა მეცნიერული დემონსტრაცია, რომელიც უპირატესად საქართველოს ამ მხარის ისტორიის საკითხების გაშუქებისათვის იქნებოდა გამიზნული.

აქვე უნდა განვაცხადო, რომ ეს ჩვენი სესია იმდენად შეჯამების არა, რამდენადაც წამოწყების დემონსტრაციაა იმ დიდი საქმისა, რომელსაც აფხაზეთის და აფხაზთა საბჭოურ-ისტორიული შესწავლა ეწოდება.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვალია ჭეშმარიტი, საბჭოურ-მეცნიერული სიტყვა სთქვას ამ მხარის შესწავლაში.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ აკადემია უახლოეს მომავალში ღირსეულად შეასრულებს ამ საპატიო ამოცანას და ამით მოიხდის მძიმე ვალს სოციალისტური საქართველოს მშენებელი საბჭოთა საზოგადოების წინაშე. ამის გარანტია არის პარტიისა და ხელისუფლების მიერ უზრუნველყოფილი ხელისშემწყობი პირობები, კვლევის

---

* იბეჭდება პირველად.

მარქსისტულ-ლენინური ბასრი მეთოდი და ჩვენი, მეცნიერ მუშაკთა, მოწოდების სიმაღლეზე დგომა.

ამოცანა კი, ჩვენ რომ უნდა შევასრულოთ, მცირე და მსუბუქი არაა.

მეტნაკლებად საქართველოს ყოველ კუთხეს დღემდე აჩნევია ისტორიის უკუღმართობის მძიმე ნაკვალევი, მორალური თუ ფიზიკური. სამხრეთ-დასავლეთით საქართველოს ღვიძლი არა ერთი მხარე დღემდეც კი სისხლიანი ოსმალეთის ხელთაა. ჩვენი არსებობის დაუძინებელ მტერთა მსახვრელი ხელი მძიმე ნაკვალევად აჩნევია სამცხეს, ჯავახეთს, ქვემო ქართლს, აღმოსავლეთ-კახეთს, აჭარას და ქვემო გურიას. აფხაზეთი საქართველოს ერთი ასეთ მხარეთაგანია. მასაც საქართველოსათვის დაკარგულად ჰგონებდა პირსისხლიანი ოსმალეთი და ფიქრობდა, რომ ამისთვის საკმაო საბუთიც ჰქონდა: აქ სოხუმში (ისევე როგორც ბათომსა, ფოთსა თუ ახალციხეში) ერთი საუკუნის მანძილზე გეგმავდა და აწყობდა ის დანარჩენი საქართველოს დამონებისა და მოთხრის საქმეს.

მაგრამ ქართველ ხალხს გამძლეობისა და ბრძოლის ისეთი უნარი აღმოაჩნდა, რომ მტარვალ-დამპყრობელთ მათი მზაკვრული გეგმები სულერთიანად დაუყირავა. ხალხის გენიამ ქართველი ხალხის ამ ბრძოლის მთელი ისტორია ორიოდე მხატვრული ფრაზით სიმღერაში გამოთქვა:

მუმლი მუხასაო გარს ეხვეოდაო,
მუხა შეწუხდაო, წყალში ჩავარდაო,
წყალი შეგუბდაო, ნაპირს გადვიდაო,
მუმლი დაიხრჩოვო, მუხა გადარჩაო.

ბრძოლაში გამძლეობა ხალხმა თავის უსაყვარლეს მცენარეში მუხაში დასახა, მტერთა სიმრავლე—საძაგელ მუმლში, მოულოდნელი საბრძოლო უნარი კი მუხის წყალში ჩავარდნა და მისი იქაც გამძლეობაა.

მუმლი დაიღრჩო, მუხა გადარჩა... დიახ, გადარჩა, მაგრამ გადარჩა იქაც, „წყალში“, უდიდესი გამძლეობისა და ბრძოლის უნარის წყალობით. რუსეთს, რომელიც ქართველმა ხალხმა მტარვალ-დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლაში „ღონედ თავისი უძლურებისა“ მოიწვია, თვით მას, რუსეთს სულს უხუთავდა ცარიზმი, რომელიც ორმაგი სულთამხუთავი იყო მის ხელქვეშ მოყოლილი ხალხებისა, კერძოდ, ქართველი ხალხისა.

ქართველი ერის (ისევე როგორც სხვა ერების) გაქრობის მიზნით ცარიზმი ყოველ ღონეს მისაღებად სთვლიდა: ფიცისტეხა და უნდობელი, ბდაბალი მოსყიდვა, უტიფარი სიცრუე, მზაკვრული პროვოკაცია, ულმობელი სიმკაცრე, ღალატით მკვლელობა, — ყველა ეს და სხვა ასეთი „სათნოებანი", ცარიზმის თანდაყოლილი თვისება იყო დამორჩილებულ ხალხთა წინააღმდეგ ბრძოლაში, ამ ხალხთა გასაქრობად.

ფეოდალურ საქართველოს ტომების ურთიერთის წინააღმდეგ ამხეადრება, საქართველოს ტერიტორიის უცხოელებით დასახლება, ქართული ენისა და კულტურის დევნა (და ვითომ აფხაზურის, ისევე როგორც მეგრულის, სვანურის „მფარველობა", ნამდვილად კი ეს იყო მათი ქართულიდან გამოთიშვისა და ადვილად გაქრობის ხერხი),—ასეთი იყო ცარიზმის „კულტურული მისია" საერთოდ საქართველოში და აქ აფხაზეთში, კერძოდ. საამისოდ საკმარისია მოვიგონოთ აფხაზების ტრაგედია 1878 წლისა (ოსმალეთისა და ცარიზმის საერთო ღონისძიების—პროვოკაციის ნაყოფი) ან მეგრელების ბოლომოუღებელი ტანჯვა აფხაზეთში.

ასე რომ, თუ ბარბაროსული ოსმალეთის გავლენით აფხაზეთში ქართული ქრისტიანული კულტურის ათასწლოვანი კერა—ბიჭვინტის საკათალიკოზო მოიშალა (ამას მიჰყვა შემდეგ თანდათანობით ყველა ასეთი ცენტრების მოშლა), „კულტუროსანი" ცარიზმი არა ნაკლების დაჟინებით ცდილობდა ქართული კულტურის ყოველივე კვალის ამოგდებას ამ მხარეში. საამისოდ ცარიზმს ჰყავდა ამოქმედებული ადმინისტრაცია, ეკლესია, სკოლა, პრესა და ეგრეთწოდებული „მეცნიერება". უკანასკნელი ძალღონეს არ ზოგავდა, რათა დაერწმუნებინა, ვისი დარწმუნებაც, მისი აზრით, საჭირო იყო, რომ ამ კუთხეს საქართველოსთან საერთო არაფერი აქვს, რომ, მაშასადამე, ქართველების მტკიცებანი აფხაზეთ-საქართველოს ერთობის შესახებ მხოლოდ მათი უნიადაგო სურვილების ნაყოფია, რომ ეს მონუმენტური ნაგებობანი:—ციხე-სასახლეები, მონასტერ-ეკლესიები, ხიდები, რომელნიც ყველა ბოწმობით საქართველოს ფეოდალური კულტურის დროისანია,—ყველა ეს უცხოელ ბერძნებს, დამპყრობელ რომაელებს, მეკობრე-ვაჭარ ვენეციელებს და... ბარბაროს თურქებსაც კი, რომელთა მფლობელობის დროს, გადაჭრით უნდა ითქვას, არც ერთი ღირსშესანიშნავი ძეგლი არ შექმნილა მთელს აფხაზეთში (ისევე როგორც ოსმალთა ხელში მოყოლილ საქართველოს არც სხვა რომელიმე ნაწილში), ამ თურქებსაც კი მიეწერებოდა ცარიზმის აგენტ „მეცნიერთა" მიერ, ოღონდ ქართველები როგორმე გამოერიცხათ, ოღონდ მათი სახსენებელი გაექროთ აქ.

ცარიზმის ასეთი პოლიტიკური ხაზი ადვილად გასაგებია. ის თავგამეტებით ებრძოდა სახლში, თვით რუსეთში, ყოველივე პროგრესულს და რა გასაკვირველია, რომ ასევე ებრძოდა ყოველივე იმას, რაც ამ პროგრესულს შინ თუ გარეთ უკავშირდებოდა. საქართველო ის ქვეყანა იყო, რომელიც ცარიზმის ნებართვის გარეშე ცოცხლობდა და შემდეგშიაც სიცოცხლეს აპირებდა, თავს იყრიდა და, ბუნებრივია, აფხაზეთს, ისევე როგორც სხვა თავის ნაწილებს, საქართველოდვე უყურებდა. ცარიზმმა ამიერკავკასიაში ოსმალო მოქიშპე დაამარცხა და მოიცილა, ხოლო სხვა დანარჩენი ყველა ეს ბერძენ-რომაელ-ვენეციელები უწყინარი წარსული იყო. ბურჟუაზიულ საქართველოს კი ისტორიაც იმ ახალი ცხოვრებისათვის უნდოდა, რომლის შექმნისთვისაც ის ახლა იბრძოდა. ამიტომ გასაგებია, რომ ცარიზმის აგენტ-მეცნიერები სწორედ და მხოლოდ ყოველივე ქართულს უარყოფდნენ აფხაზეთში (ისევე როგორც სამეგრელოში, სვანეთში, სამცხეში, აჭარაში, ქვემო გურიაში).

ვიდრე ამ ქვეყნად სიმართლე და მისი მსახური — ჭეშმარიტი მეცნიერება დევნილი იყო და ბურთი და მოედანი უკუნეთ ძალმომრეობას და სიცრუეს დარჩენოდა, ცარიზმის აგენტ-„მეცნიერთა" ნაყალბევსაც გასავალი ჰქონდა. თვით ადგილობრივთა შორის არა მცირედ აღმოჩნდნენ ცარიზმის მიერ მოსყიდული-აგენტები თუ ბრძოლაში სულმოკლე რენეგატები ან სხვის ფეხის ხმას აყოლილი უვიცმიამიტები, რომელთაც სიტყვით, ,ალმით თუ პრაქტიკული საქმიანობით მცირე ზიანი როდი მიაყენეს მართალ საქმეს. სახსენებლად საწყევარ მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ს გარდა არა ერთი ასეთივე რენეგატის დასახელება შეიძლებოდა, რომ პატივცემული საზოგადოების სმენის სიფაქიზეს არ ვერიდებოდე....

პროგრესული საქართველო როდი იყო ავბედის მონა-მორჩილი. მას უკვე კარგა ხანია აღმოეჩინა პროგრესული რუსეთი, წრფელის გულით მინდობოდა მას და ორივე ძმურად იბრძოდნენ მაჯლაჯუნა ცარიზმის დასამსხვრევად. აქაც სოხუმში თან და თან შეიქმნა ქართველ პროგრესულ მოღვაწე პატრიოტთა დასი (ჭარაია, ჯანაშია, სახოკია, ნორაკიძე, ჯუღელი...), რომელიც გაბედულად შეებრძოლა ცარიზმის აგენტურას აფხაზეთში,—სკოლას, პრესას, ცრუმეცნიერთ.

თავისი ქართველობა არ დავიწყებოდა ზოგიერთ აფხაზ ფეოდალსაც კი (შარვაშიძე, ჩქოტუა და ჯგუფი), რომელნიც დამაჯერებელი საბუთიანობით ამტკიცებდნენ საქართველოს და მასში შემავალ აფხაზეთის კულტურულ ერთიანობას. მაგრამ იმ დროს, როცა ამ ფენისათვის ეს ფაქტი უპირატესად წარსულის მართალი აღნიშვნა იყო, ჭარაია—ჯანაშია—სახოკიას ბრძოლა სულ სხვა მიზანს ისახავ-

და. ესენი ახლად ფეხზე წამომდგარი ბურჟუაზიული საქართველოს მომავლისათვის იბრძოდნენ, რომლის ერთ-ერთ ორგანულ ნაწილად აფხაზეთი მიაჩნდათ...

ცარიზმმა დაიგვიანა. `იმ დროისათვის, როცა მან საბოლოოდ შეიმუშავა მოქმედების პროგრამა რუსეთში შემავალ „ინოროდცების“ გასაქრობად, დაშლილ დანაწილებულ საქართველოს უკვე თავი მოეყარა, ფეოდალური ხალხი ახალი, ბურჟუაზიული ერით შეცვლილიყო და ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ერის ეს მორალური ერთობა სულ უფრო და უფრო მტკიცდებოდა.

ცარიზმს ამ ბრძოლაში აუცილებელი დამარცხება ელოდა: მისი საბრძოლო პოზიცია რეაქციული იყო და რეაქციისავე საქმეს ემსახურებოდა, ახლად წარმოშობილ ერთა (და მათ შორის საქართველოს) საბრძოლო პოზიცია კი პროგრესის ნაშობი იყო და პროგრესისავე საქმეს ემსახურებოდა. ამიტომაც იყო, რომ ახლად წარმოშობილ ერებს ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მთელი პროგრესული რუსეთი მოკავშირეობდა სახელოვანი მუშათა კლასისა და მისი ავანგარდის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ხელმძღვანელობით.

როგორც ზემოთაც აღვნიშნე, ცარიზმის აგენტების საქმიანობას, ცარიზმის ცრუ-მეცნიერთა „მოღვაწეობას“ უკვალოდ არ ჩაუვლია. მათ შექმნეს აფხაზთა შორის საკუთარ კულტურული წარსულის უბადრუკ უარისმყოფელთა ჯგუფები, საქართველოსთან საერთო კულტურის უარისმყოფელთა ჯგუფები, უნდობლობა-სიძულვილის შხამით მოწამლეს მათ მოძმე ტომების ურთიერთობა, ცრუმეცნიერული გამოკვლევებით უსიერ ბურუსში გახვიეს მათ ჩვენი ქვეყნის წარსული საერთოდ და ამ მხარისა კერძოდ...

ოქტომბრის რევოლუციამ დაფლითა ამ ობობათა ნაქსელავი, მტვრად აქცია ცარიზმის ხუროთმოძღვართა ცრუმეცნიერული გოდოლი და აი ამ ნანგრევებზე ნამდვილ მეცნიერული შენობის აგება ახალ საქართველოს დაავალა.

და დღეს, როცა პარტია და ხელისუფლება სოციალისტური ერების თავდადებული შრომით კომუნიზმის საძირკველს ადუღაბებს, ჩვენი, მეცნიერების მუშაკთა, უწმიდესი ვალია ვიდგეთ მოწოდების სიმაღლეზე ქართველი სოციალისტური ერის სამსახურში, სოციალისტური საბჭოთა კავშირის სამსახურში.

საფუძველი იმისა, თუ რატომ ეწყობა ჩვენი გამსვლელი სესია სოხუმში, ის სასიამოვნო ფაქტი გახლავთ, რომ დღეს აფხაზეთი ის კუთხე კი არაა, სადაც მეცნიერება ჩააქვთ, არამედ ისეთი სოცია-

ლისტური მხარე, სადაც მეცნიერება, კერძოდ, ისტორიული მეცნიერება დანერგილია და მოწიფულობაში შედის. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია თავისი მუშაობის აქტივში სთვლის და სამართლიანადაც,—რომ მის მიერ მიღებულ ღონისძიებათა შედეგად შეიქმნა აქ, სოხუმში, ისტორიული მეცნიერების ღირსეული კერა, რომ ეს უჯრედი, შემდგარი უპირატესად აფხაზთა ნიჭიერი ტომის შვილთაგან, წარმატებით ეუფლება საქართველოს ისტორიის, კერძოდ აფხაზთა წარსულის მარქსისტულად გაშუქების ამოცანას, რომ აქ სოხუმში დღეს უკვე შექმნილია, ის მეცნიერული ატმოსფერო, მეცნიერული აუდიტორია, რომელიც კრიტიკულის თვალით აღიქვამს ჩვენი მეცნიერების მიღწევებს.

აფხაზეთის საკვლევო-სამეცნიერო თუ პოლიტ-საგანმანათლებლო და აგრეთვე უმაღლეს სასწავლო დაწესებულებათა წინაშე დიდი და საპატიო ამოცანა დგას: კიდევ უფრო, ვიდრე აქამომდე, დაეუფლონ ისტორიულ მეცნიერებას და ხელთ იპყრან მისი დროშა ჩვენი დროის მოთხოვნილებათა სიმაღლეზე, საბოლოოდ გააკამტვეერონ ცრუ-მეცნიერთა ნაყალბევი ამ მხარის შესახებ და მაქსიმალური ეფექტიანობით ამსახურონ ჭეშმარიტი ისტორია კომუნიზმის მშენებელ საბჭოთა საზოგადოებას. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვალია ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინოს ამ დაწესებულებებს მათ სასახელო, მაგრამ მძიმე საქმის ღირსეულად შესრულებაში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების ეს სესია სწორედ ამ დახმარების ერთ-ერთი სახეა.

მიმდინარე სესიაზე აფხაზეთის სამეცნიერო დაწესებულებანი, ადგილობრივი მეცნიერი მუშაკები შედარებით მცირედაა წარმოდგენილი და თბილისელი დამხმარენი სჭარბობენ, მაგრამ ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ მალე აფხაზეთის სამეცნიერო დაწესებულებანი თბილისიდან დახმარების გარეშე შეძლებენ ისეთ მაღალმეცნიერული მუშაობის ჩატარებას, რომ მის დემონსტრაციას, ე. ი. სესიას თბილისელი ამხანაგები მხოლოდღა სტუმრად დაესწრებიან...

დღეს, როცა აფხაზეთის წარსულის მეცნიერულად შესწავლის საქმეზე ვმსჯელობთ ან როცა აფხაზეთის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის მეცნიერულ წარმატებას აღვნიშნავთ, ჩვენ უპირველეს ყოვლისა ამ საქმის საბჭოური პატრიოტი, ამ საქმის პიონერი, მისი სულისჩამდგმელი და დიდი მოამაგე აკად. სიმონ ჯანაშია გვაგონდება. სრულიად ბუნებრივია, რომ საქ. მეცნიერებათა აკადემი-

ამ აფხაზეთის საკითხებისადმი მიძღვნილი პირველი სამეცნიერო სესია განსვენებული მეცნიერის სახელის ხსოვნას დაუკავშირა.

წარსულ ხუთმეტ ნოემბერს ხუთი წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც საბჭოთა მეცნიერების ცოცხალ რიგებს აკადემიკოსი სიმონ ჯანაშია გამოეცალა. ხუთი წელია, რაც შეწყდა სოციალისტური საქართველოს პატრიოტის მგზნებარე მაჯისცემა, რაც დაბინდდა სოციალისტური-სამშობლოს მცველის ურულო თვალები. დღემდე შეუნელებელი სიმწვავით ვგრძნობთ მისი თანამოსაგრენი დანაკლისის აუნაზღაურებელ სიმძიმეს, მოწაფენი—მზრუნველი ხელის მოშორებას, სოციალისტური სამშობლო—ფალავანი შვილის დაკარგვას და ქართული საბჭოთა მეცნიერება—მშენებელთა რიგებიდან სახელოვან ხუროთმოძღვრის გამოკლებას.

აკად. სიმონ ჯანაშიას სახელი განუყრელია აფხაზეთთან, მაგრამ დღეს მისი ხსოვნის აქ, სოხუმში, აღნიშვნას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. სიმონ ჯანაშიას სახელი ასევე განუყრელია მთელ საქართველოსთან. განსვენებული მეცნიერი იდეალური განსახიერება იყო სოციალისტური საქართველოს პატრიოტ-მშენებელი აფხაზისა. ისევე როგორც მამა მისი ბურჟუაზიულ საქართველოს მოღვაწეების მეწინავეთა რიგებში იდგა აქ აფხაზეთში და თავდაუზოგავად იბრძოდა საქართველოს მომავლისათვის, სიმონ ჯანაშია ქართველი სოციალისტური ერის შვილი და მისი პატრიოტი იყო. ქართველი სოციალისტური ერის მშენებლობას უშურველად ახმარდა განსვენებული მეცნიერი თავის მაღალ ნიჭსა და ღრმა ცოდნას. მაგრამ მთლიანი საქართველოს ისტორიის საკვანძო საკითხების შესწავლის გვერდით სიმონ ჯანაშია არასოდეს არ ივიწყებდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სწორედ იმავე მთლიანი ისტორიის მეცნიერული გაშუქებისათვის საქართველოში შემავალი ამა თუ იმ ტომის, კერძოდ აფხაზთა და აფხაზეთის, ისტორიის საკითხების მეცნიერულ შესწავლას. ამიტომაც იყო, რომ ს. ჯანაშია დიდის სიყვარულით და მისთვის დამახასიათებელი თავდადებით აქ, სოხუმში, აფხაზეთის შემსწავლელ დაწესებულებებს საბჭოურ საფუძველს უქმნიდა. ამ მიზნით განსვენებული მეცნიერი სათუთად ზრდიდა ადგილობრივი ახალგაზრდობისაგან საკუთარი კუთხისა და მთელი საქართველოს მომავალ მკვლევართ. სიმონ ჯანაშიას ოჯახი თბილისში ამიტომაც იყო აფხაზთა თავშესაფარი, მაგრამ არა უამინდობის თავშესაფარი, არამედ აფხაზთა საბჭოური ასპინძა (სასტუმრო, კლუბი), სადაც ღირსეული მასპინძელი დიდის ტაქტით და ხელოვნებით თავის სტუმრებს სოციალისტური საქართველოს პატრიოტიზმს აზიარებდა.

თუ ერთის მხრით, ამრიგად, განსვენებული მოღვაწე აფხაზეთის წარსულის შემსწავლელ სამეცნიერო დაწესებულებას ქმნიდა, მეორეს მხრით, ის თვით იძლეოდა ბრწყინვალე მაგალითს ხსენებული მხარის ისტორიის საბჭოური მეცნიერული შესწავლისას. რიგი ღრმამეცნიერული გამოკვლევებით აკადემიკოსმა სიმონ ჯანაშიამ მტკიცე საფუძველი დაუდვა აფხაზეთის ისტორიის ქართულ-საბჭოურ მეცნიერულ შესწავლას და ეს არა მარტო მისი უძველესი წარსულის მიმართ, არამედ მე-19 საუკუნის მიმართაც. ამ ნაშრომებში აკად. სიმონ ჯანაშიამ, სრულიად დამაჯერებელი საბუთიანობით ცხადყო, რომ აფხაზეთის კულტურა უძველესი დროიდანვე ეს იგივე კოლხურ-ქართული კულტურაა, რომ ფეოდალური აფხაზეთი იგივე ფეოდალური საქართველოა, რომ ეს კულტურული ერთობა ისეთი ფაქტია, რომელმაც გაუძლო ოსმალ-ბარბაროსთა ბატონობის მძიმე ხანას, გაუძლო ცარიზმის გზაკვრულ ხელს და მრავალი განსაცდელგამოვლილი დღეს ის ახალი ძალით იმოსება სოციალისტური საქართველოს სამსახურად.

გაივლის დრო, კომუნიზმის ჩაუვალი მზე მაღლა შეიმართება, მშენებლობის მუწუხიც გაივლის და ბედნიერებას ნაზიარები ქართველი ერი სიყვარულით და მადლობით მოიგონებს პროგრესისათვის თავდადებულ გმირებს, ახალი საქართველოს მშენებელ პატრიოტებს, რომელთა შორის განსვენებულ სიმონ ჯანაშიას მუდამ საპატიო ადგილი ექნება.

დიდია და ბრწყინვალე სოციალისტური ერების მიღწევანი; დიდია, კერძოდ, ჩვენი, სოციალისტური საქართველოს მიღწევანი, სოციალისტური ქართველი ერის მიღწევანი.

წყეული საფრთხე სამუდამოდ გადალახულია, ხვალის შიში წარსულს ჩაბარდა, ნათელი აწმყო ბრწყინვალე მომავალს გვიქადის, წინ გვიძევს შეუზღუდველი განვითარების ფართე გზა. მაგრამ თვითკმაყოფილება არ გვმართებს, მით უფრო წარმატების თავბრუსხვევა: მშენებლობის სიძნელენი წინა გვაქვს და არც მტერი გამოგვლეულია საბოლოოდ.

სიტყვა ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის სამეცნიერო საზოგადოების დამფუძნებელ ყრილობაზე 1958 წლის 28 სექტემბერს*

ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის სამეცნიერო საზოგადოების დამფუძნებელ ყრილობას სიხარულით მივესალმები.

ქართველი ერი ძველი კულტურის ხალხია. საუკუნეთა სიღრმიდან ახსოვს მას საკუთარი თავგადასავალი. იბერიას თავისი პოლიტიკური წარსულის ცოდნა მწყობრად გამართული თხრობის სახით ჯერ ისევ წინაქრისტიანულ ხანაშივე მოეპოვებოდა. იმავე დროის ლაზებს თავი მოჰქონდათ ძველ მსოფლიოში სახელგანთქმულ კოლხთა ათასწლოვანი მემკვიდრეობით.

ასევე მდიდარშინაარსიანი ისტორიოგრაფია შექმნა ქართველმა ხალხმა ფეოდალურ ხანაში. საზოგადოებრივი ცხოვრების აურაცხელი საკითხებით დატვირთული ქართული ისტორიოგრაფია ფეოდალური ხანისა ცდილობს მკითხველ საზოგადოებას მიაწოდოს მშობლიური წარსულის ცოდნა.

აღმავალი ფეოდალური ხანის ქართველი ისტორიკოსები (ლეონტი მროველი, დავითისა და თამარის დროის ისტორიკოსები, ჟამთააღმწერელი და სხვანი) მშვიდი ქრონისტი—მემატიანენი კი არ არიან, არამედ ღრმად განათლებული პოლიტიკური მწერლები, ამა თუ იმ საზოგადოებრივი დაჯგუფების ენერგიული მოსარჩლე-ადვოკატები.

აღმავალი ფეოდალური ურთიერთობის ხანის ქართული ისტორიოგრაფია თავისი დროის მსოფლიო ისტორიოგრაფიის მოწინავეთა რიგში იდგა.

---

* პირველად დაიბეჭდა 1961 წელს, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ V, ნაკვ. II.

და შემდეგაც, მრავალსაუკუნოვანი ძნელბედობის პირობებშიაც კი, დიდკულტურაგამოვლილი ჩვენი ერი ღირსეულად ცდილობდა ძველებურადვე მაღლა სჭეროდა მშობლიური ისტორიოგრაფიის ალმი. ჩვენ თავი ღირსეულად გვესახელება ვახუშტი ბაგრატიონით, რომელმაც ქართული ისტორიოგრაფია თავისი დროის მსოფლიო ისტორიოგრაფიის მეცნიერულ სიმაღლეს გაუტოლა.

ასე იქმნებოდა „ქართლის ცხოვრება"—დიდი სასწავლო წიგნი—ფეოდალური საქართველოს იდეური დასაყრდენი.

მძიმე იყო ქართველი ხალხის ცხოვრებაში მისი ბურჟუაზიული ურთიერთობის ხანა. ცარიზმის კოლონიური პოლიტიკით ხელოვნურად შეფერხებული ქართული საზოგადოებრივი განვითარება, ბუნებრივია, ვერ იქნებოდა ჯანმრთელი და ნოყიერი ნიადაგი მისი ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის ნორმალური განვითარებისათვის. კლასობრივი გადაშენების გზაზე შემდგარ თავადაზნაურთა შვილები თუ გადაგვარებული ჰეროსტრატები შეთანხმებულად უტევდნენ ქართველ ერს, მის ისტორიას და ცარიზმის აგენტებს მათ ბნელ საქმეში შველოდნენ. ასეთ პირობებში გასაგებია ამ დროის ქართველ პატრიოტ-ისტორიკოსთა მიდრეკილება წარსულის რომანტიკული იდეალიზაციისაკენ. მიუხედავად ამ მძიმე პირობებისა ქართველ პატრიოტ-ისტორიკოსთა სასახელოდ უნდა აღინიშნოს მათი უდავო წარმატება ეპოქის შესაფერის ისტორიათმწერლობაში. სამაგალითოდ დასასახელებლად საკმაოა დიმიტრი ბაქრაძე, უდავოდ მეთაური და ყველაზე მაღალკვალიფიციური მეცნიერი ცხრაასხუთამდელ ქართულ ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიაში.

XX საუკუნის დამდეგი დიდმნიშვნელოვანი ტეხილია ჩვენი ქვეყნის განვითარებაში. ქართველი ერის მშრომელთა კლასებმა არა მარტო დიდი პოლიტიკური ომი გაუმართეს მფლობელთა კლასებს, არამედ ერის კულტურული მესვეურობაც, მისი იდეურ-სულიერი მედროშეობაც იკისრეს.

და განახლების სიომ დაქროლა ქართველი ერის კულტურის ყოველ დარგში.

ქართული ისტორიოგრაფიის წინაშეც ახალი საკითხები დადგა. 1905 — 1907 წლების სახალხო რევოლუციის შემოქმედი საზოგადოება, ბუნებრივია, ძველი, რევოლუციამდელი ისტორიოგრაფიით ვერ დაკმაყოფილდებოდა.

და ჩვენმა სახელოვანმა პატრიოტებმა სწორად აუღეს ალღო ახალ დროს. ცარიზმის რეაქციის სულისშემხუთველ პირობებში მათ შეძლეს ჩამოეყალიბებინათ ორგანიზაცია, საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება, რომელიც მოწოდებული იყო შეესრულებინა დიდი მნიშვნელობის საქ-

მე: — საქართველოს მეცნიერული ისტორიისათვის მასალის გამოვლენა და შეგროვება.

და სავსებით მართალი იყო ამ საზოგადოების ყველაზე აქტიური ენთუზიასტი ე. თაყაიშვილი, როცა საზოგადოების მოქმედების იმ ეტაპზე მის უმთავრეს მიზანს სწორედ საისტორიო მასალის მეცნიერულ შეგროვება-გამოვლინებაში ხედავდა.

ჩვენი სახელოვანი მოღვაწენი სამართლიანად ფიქრობდნენ, რომ „ქართლის ცხოვრების" მონაცემები არ იყო საკმარისი იმისათვის, რომ ჩვენი ხალხის ისტორია ახალი დროის შესაფერისად დაწერილიყო. „ქართლის ცხოვრების" ამ მხრივ ნაკლულობა ადრევე შენიშნა დიდმა ილიამ და ამით ჩვენში პირველმა დასვა დიდი ისტორიოგრაფიული საკითხი.

ილიას მიერ დასმული საკითხი ამიერიდან არც მოხსნილა დღის წესრიგიდან და ბურჟუაზიული ხანის ქართველი ისტორიკოსები და სხვა საზოგადო მოღვაწეები ახალი საისტორიო მასალების შეგროვება-გამოქვეყნებით ენერგიულად ცდილობდნენ „ქართლის ცხოვრების" აღნიშნული ნაკლის შევსებას. ფურცელაძემ, ხახანაშვილმა, ჯანაშვილმა, ჟორდანიამ, ხიზანიშვილმა, ცაგარელმა და სხვებმა დიდი შრომა გასწიეს ამ მიმართულებით.

საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების დაარსება უპირველეს ყოვლისა ამ მუშაობის თავის მობმა, მისი მაღალ მეცნიერულ საფეხურზე აყვანა იყო.

ცარიზმის რეაქციის სულისშემხუთველ პირობებში, ქართველი ერის უუფლებობისა და პატივაყრილობის ხანაში საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების ენთუზიასტებმა შეძლეს ჩვენი ქვეყნის მოწინავე წრეების ამოძრავება დიდი პატრიოტული საქმის შესასრულებლად. სისტემიანი, ხანგრძლივი და დაჟინებული მუშაობის შედეგად მკვიდრი საფუძველი ჩაეყარა რიგ მუზეუმებსა და სიძველეთსაცავებს (არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის, ხელოვნების ისტორიის და ხელნაწერთა მუზეუმებს), მოეწყო მეცნიერული გამოფენა, გამოქვეყნდა დიდი მასალა ისტორია-არქეოლოგიიდან, ეთნოგრაფია-ფოლკლორიდან; გაიშალა ისტორიული და ისტორიულ-ფილოლოგიური ხასიათის თეორიული სამეცნიერო მუშაობა.

ამრიგად, ქართული ისტორიული მეცნიერების სამოქმედო სარბიელი ახალი დროის შესაფერად გაღრმავდა და გაფართოვდა, შემზადდა მტკიცე მეცნიერული ბაზა ქართული ისტორიოგრაფიის შემდგომი წინსვლისათვის.

საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება ახალ ეტაპს მოწმობდა ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებაში. ისტორიოგრაფია თანდათან სახალხო საქმე ხდებოდა.

და როცა დიდი ოქტომბრის რევოლუციამ ქართველი ერი სოციალური და ეროვნული ხუნდებისაგან გაათავისუფლა, საბჭოთა საქართველომ სწრაფად გაშალა შემოქმედებითი ძალები ახალ სარბიელზე.

მარქსიზმ-ლენინიზმმა საბოლოოდ გამოთიშა ისტორიოგრაფია პოეზიისა და საერთოდ მხატვრული შემოქმედების სფეროს, მეცნიერებად აქცია ის და საზოგადოებათმცოდნეობის სამსახურში ჩააყენა. საბჭოთა ისტორიკოსების წინაშე დიდი ამოცანა დაისვა: მარქსიზმამდელი ისტორიოგრაფიის გადასინჯვა და მისი ახლად, მარქსისტულად გამართვა.

ამრიგად, საბჭოთა წყობილების გამარჯვებით ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებაში ახალი ხანა დაიწყო: მარქსისტული ისტორიოგრაფიის შექმნის პერიოდი. ასეთი ისტორიოგრაფია სჭიროდა სოციალისტური საზოგადოების მშენებელ მუშათა კლასს და მშრომელ გლეხობას.

ქართველმა საბჭოთა ისტორიკოსებმა თავს იდვეს ეს დიდი ამოცანა და ხანგრძლივი ბრძოლითა და შრომით თვალსაჩინო წარმატება მოიპოვეს.

დღეს ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფია გვერდში უდგას მოძმე საბჭოთა ხალხების ისტორიოგრაფიას და კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა საზოგადოების იდეური მომსახურების საპატიო საქმეს ღირსეულად ეწევა.

მარქსისტული ისტორიოგრაფიისათვის შემოქმედებითი ბრძოლის პროცესში ქართველ საბჭოთა ისტორიკოსებისათვის ნათელი გახდა, რომ მათ წინაშე იდგა არა მარტო აქამდე მოპოვებული დიდი მასალის ახლებურად გაშუქების ამოცანა, არამედ ნათელი გახდა ისიც, რომ აქამდე მოპოვებული მასალა მისი რაოდენობის თვალსაზრისით ნაკლულია, ხოლო სანდოობის თვალსაზრისით—ცალმხრივი.

და გაჩაღდა ინტენსიური მუშაობა არსებულ ნაკლთა სალიკვიდაციოდ. ახლა საამისოდ მოწოდებული იყვნენ რიგი სამეცნიერო დაწესებულებანი, ახლად დაარსებულნი და საბჭოთა ხელისუფლების მიერ მატერიალური და მორალური მხარისდაჭერით უზრუნველყოფილნი: უნივერსიტეტი, აკადემია, ინსტიტუტები, მუზეუმები...

გაიშალა თეორიული და პრაქტიკული მუშაობა საკვლევო-სამეცნიერო და პედაგოგიურ დაწესებულებებში. ამოიზარდნენ ისტორიკოსთა გუნდები, გაჩნდა ისტორიის ახალი დარგები, გაიფურჩქნა საბჭოთა არქეოლოგია და ეთნოგრაფია. არქეოლოგებმა დედამიწას წიაღი გაუხსნეს და იქ დაცული ჩვენი მდიდარი წარსულის უტყუარი ფაქტები საბჭოურ ისტორიოგრაფიაში შემოიტანეს, ეთნოგრაფებმა

მეცნიერულად აღადგინეს მშრომელი ხალხის მეურნეობის, ყოფისა და სულიერი კულტურის გადასული სურათები.

ზღვა მასალა გადაიშალა, საბჭოური ისტორიოგრაფია ჰეშმარიტად სახალხო საქმე გახდა.

დღეს უკვე ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფია გადასცდა ცალკეულ სპეციალისტთა სარბიელის ფარგლებს.

და შემთხვევითი როდია, რომ ყველგან საბჭოეთში ერთი მეორის მიყოლებით იქმნება დღეს ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და სხვა სამეცნიერო საზოგადოებანი.

ასეთი მასობრივი ორგანიზაციის შექმნა ერთადერთი სწორი გზაა დიდი საქმის წარმატებით შესრულებისა,—მატერიალური დოვლათის შემოქმედი საზოგადოების ისტორიის შემუშავებისა. ჩვენი სამეცნიერო საზოგადოება საბჭოური კოლექტივიზმის სახეა მეცნიერებაში.

კომუნიზმის მშენებელ საბჭოთა საზოგადოებას მებრძოლი, პარტიული ისტორიოგრაფია სჭირია. საბჭოური ისტორიოგრაფია მოწოდებულია წარსულის მეცნიერული, მარქსისტულ-ლენინური გაშუქებით და ისტორიის ყოველი ჯურის ფალსიფიკატორთა დაუნდობელი მხილებით მორალურ-იდეური საყრდენი გაუმაგროს საბჭოთა საზოგადოებას.

ჩვენ უნდა შევქმნათ ჩვენი ერის მეცნიერული ისტორია. ჩვენ უნდა ვუჩვენოთ კომუნიზმის მშენებელ საზოგადოებას, საზოგადოებრივ ფორმაციათა კანონზომიერი ცვლის საფუძველზე, თუ როგორ გარდაუვალია კომუნიზმის გამარჯვება მთელს მსოფლიოში.

ჩვენ უნდა ვუჩვენოთ საბჭოთა საზოგადოებას ჩვენი ხალხის საამაყო წარსული, ვუჩვენოთ, თუ როგორ თავდადებული შრომით ქმნიდა მშრომელი საქართველო და მსოფლიო კულტურის საგანძურში შეჰქონდა საკაცობრიო მიღწევანი მეტალურგიაში, მეცხოველეობაში, მემინდვრეობაში, მევენახეობაში, ხელოსნობაში, და სულიერი სამყაროს სხვადასხვა დარგში.

ჩვენ უნდა ვუჩვენოთ საბჭოთა საზოგადოებას, რომ მას თავი ესახელება არა მარტო „ვეფხისტყაოსნით", არამედ რაჭული სახვნელითაც ან სვანური სევადით...

ჩვენ უნდა მეცნიერულად ავხსნათ და საბჭოთა საზოგადოებას ვუჩვენოთ, თუ სად და რაში იყო ქართველი ხალხის ესოდენი გამძლეობის უნარი, მისი სიმტკიცე-გაუტეხელობა. ჩვენ უნდა გავცეთ მეცნიერული პასუხი დიდი ილიას მიერ დასმულ ამ საკითხს.

ჩვენ უნდა ვუჩვენოთ საბჭოთა საზოგადოებას, თუ როგორ ებრძოდა ქართველი ხალხი გარეშე მტრებს, შორით მოსულს თუ მახ-

ლობელს, უნდა ავხსნათ შინაარსი და საფუძველი ამ ბრძოლისა; მაგრამ არა ნაკლები მონდომებით უნდა ვუჩვენოთ საბჭოთა საზოგადოებას, თუ როგორ თანამშრომლობდა ქართველი ხალხი მოძმე მეზობელ ხალხებთან, როგორ უზიარებდა საკუთარი შემოქმედების მიღწევებს და როგორ იზიარებდა მათ კულტურულ მონაპოვრებს.

და უმთავრესი: ჩვენ უნდა ვუჩვენოთ საბჭოთა საზოგადოებას, რომ მთელი ეს ისტორია, ჩვენი წინაპარი საზოგადოების კლასებად დაყოფიდან მოკიდებული, კლასთა ბრძოლის ნიშნის ქვეშ მიმდინარეობდა, რომ კლასთა ბრძოლა იყო ამიერიდან უმთავრესი შინაარსი საზოგადოებრივი ცხოვრებისა, რომ კლასობრივი ბრძოლის სურათებია არა მარტო ლობჟანიძეთა ეპიკური ომი კუჭაიძე-ჯაფარიძეებთან და ნუგზარ ერისთავის „სისხლის წვიმები", ან 1905 წლის რევოლუცია მისი სახელოვანი ნაძალადევ-ნასაკირალით, არამედ ასევე კლასობრივი ურთიერთობის შედეგია დიდგორის სახელოვანი გამარჯვებაც და კრწანისის ტრაგედიაც.

ჩვენი ეს სიტყვა ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის სამეცნიერო საზოგადოების მიზნებისა და ამოცანების შესახებ ყოვლად ნაკლული იქნებოდა, თუ ჩვენ მხოლოდ შორეული წარსულის ისტორიოგრაფიის საკითხებით შემოვიფარგლებოდით და მთავარ ყურადღებას არ დავუთმობდით იმის მარქსისტულ-ლენინურად გაშუქების ამოცანას, თუ როგორ შემზადდა და იშვა დიდი ოქტომბრის რევოლუცია—კაცობრიობის ისტორიის ეს უდიდესი მოსაბრუნი; როგორ იქცა„ ხალხთა საპყრობილე"—მეფის რუსეთი თავისუფალ ერთა დიდ კავშირად. როგორი შეუპოვარი ბრძოლით ძლია მუშათა კლასმა და მშრომელმა გლეხობამ შინაგან თუ გარეთულ რეაქციას, როგორი ბრძოლით და თავდადებული შრომით ააშენა საბჭოთა საზოგადოებამ ახალი სამყარო—სოციალიზმი, როგორი გიგანტური ომით იხსნა საბჭოთა კავშირმა კაცობრიობა ფაშისტური საფრთხისაგან და როგორის ენთუზიაზმით შეუმართავს დღეს მას კომუნიზმის გაშლილი მშენებლობისათვის.

ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიის ვალია მეცნიერულად გააშუქოს მშრომელი საქართველოს მონაწილეობა, მისი როლი ამ დიად შემოქმედებაში, ქართულმა საბჭოთა ისტორიოგრაფიამ უნდა უჩვენოს კომუნიზმის მშენებელ საზოგადოებას, თუ როგორ იქცა ჩამორჩენილი კოლონიური ქვეყანა მოწინავე ინდუსტრიულ რესპუბლიკად, როგორ გარდაიქმნა წვრილბურჟუაზიული საქართველო მოწინავე სოციალისტურ ერად, როგორ იქცა მჭედელ-ნალბანდების მეტალურგია—რუსთაველ, გვიმრა-ტურების სამყარო—მწვანე ოქროს მადნად, სამიკიტნოების ქიმია—ატომურ რეაქტორად.

როგორც ვხედავთ, ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიის წინაშე დიდი ამოცანა დგას. ჩვენ, ისტორიის მეცნიერების დარგში მომუშაენი, კარგად ვგრძნობთ ამ სიძნელეს, მაგრამ მაინც გულდამშვიდებით შევყურებთ მომავალს, რადგან ვგრძნობთ, და ხელშესახებად ვგრძნობთ იმას, რომ მარტონი არა ვართ, რომ ამ დიდ საქმეში გვერდში გვიდგას არმია ისტორიკოსთა, ჩვენი წარსულისა და აწმყოს პატრიოტი—მთელი საბჭოთა საზოგადოება.

საჭიროა ოღონდ ამ ძალის მობილიზაცია, ორგანიზება, მისი სწორად დამიზნება და ჩვენ შეგვეძინება ისეთი ძალა, რომელიც ადვილად დაძლევს ყველა სიძნელეს.

სწორედ ამ კეთილშობილ მიზანს ისახავს ეს ჩვენი ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის სამეცნიერო საზოგადოების დაარსება.

საბჭოთა კავშირი დღეს ისე ძლიერია, როგორც არასოდეს. ამის შედეგია, რომ დღეს ომის ტაქტიკაზე იმარჯვებს მშვიდობიანი თანაარსებობისა და შეჯიბრების ტაქტიკა.

კომუნიზმსა და კაპიტალიზმს შორის ბრძოლა ახალ ფაზაში შევიდა.

ისტორია ჩვენს მხარეზეა. მონოლითური სოციალისტური ფრონტის ენთუზიაზმი მტკიცე საწინდარია დიადი გამარჯვებისა ამ მსოფლიო შეჯიბრებაში.

ჩვენი წმინდა ვალია თავდადებული თანამშრომლობა ამ დიად საქმეში, მონაწილეობა მებრძოლი კადრების იდეურ აღზრდაში, კომუნიზმის მშენებელთა ლეგიონების ფორმირებაში და არ ეეჭვობთ, რომ ეს ჩვენი ახალი საზოგადოება ღირსეულად მოიხდის ამ პატრიოტულ ვალს სოციალისტური საშობლოს წინაშე.

გაუმარჯოს ყველა მეცნიერების სულის ჩამდგმელს და მასაზრდოებელს მშობლიურ კომუნისტურ პარტიას!

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს დიდ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ ოჯახში!

ს. ჯანაშია, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე.

რეცენზია*

ეს იყო 1938 წელს. მას შემდეგ საქართველოს ისტორიის შესწავლის საქმე, დიდად დაწინაურდა, კერძოდ, იმ ნაწილში, რომელსაც სარეცენზიო ნაშრომი შეეხება და, უნდა ითქვას, სხვაზედ მეტი აქაც სწორედ ამავე ნაშრომის ავტორმა გააკეთა. იმ დროიდან დღემდე ამ ნაშრომში მრავალი რამ გასწორდა ან შეივსო, ისე როგორც მრავალი რამ დადასტურდა და განმტკიცდა.

დღეს, 14 წლის გასულს, ამ ნაშრომის რეცენზირება ჩვენ მიზნად არ დაგვისახავს. ეს ჩვენი რეცენზია ის სიტყვაა, უ ც ვ ლ ე ლ ა დ დ ა.ბ ე ჭ დ ი ლ ი, რომელიც 1938 წელს 23 ივნისს წაკითხული იყო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე, სადაც ამ შრომის საფუძველზე მისი ავტორი ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციას იცავდა.

ზოგი რამ დღეს ამ ჩვენი რეცენზიიდან მისაღები აღარაა, მაგრამ ზოგი დებულება დღესაც ფასიანად მიგვაჩნია. გარდა ამისა რეცენზიას ისტორიული ინტერესიც აქვს.

ასეთი საფუძველი ჩვენ საკმაოდ მივიჩნიეთ ხსენებული რეცენზიის დასაბეჭდად აგრე დაგვიანებით.

*

* *

ტფილისის სახ. უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის უბანში ზეიმია.

პროფ. ს. ჯანაშიას აქ წარმოდგენილი ნაშრომების სახით საქ. ისტორიის კათედრამ თავისი მეცნიერული მიღწევანი საბჭოთა საქართველოს საზოგადოების წინაშე გამოიტანა. დღეს ის უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოსაგან ამ თავის მიღწევათა პირუხვამ შეფასებას ელის.

დიდი ყურადღება, პარტია და ხელისუფლება რომ იჩენენ საქართველოს ისტორიისადმი, მისი მეცნიერულად დამუშავებისად-

---

* პირველად დაიბეჭდა 1953 წელს, მიმომხილველი, ტ. III.

მი,—საქ. ისტორიაში მომუშავეთ საბჭოთა პატრიოტ-მოქალაქის წმინდა და მძიმე მოვალეობას ყოველი ცისმარე-დღე მოგვაგონებს, მაგრამ პარტიისა და ხელისუფლების გულთბილი მზრუნველობა, გვმატებს რა სიმხნესა და გამძლეობას, ნაკისრ მოვალეობათა სასახელოდ შესრულების გაბედულ რწმენას გვისადგურებს.

სადისერტაციოდ წარმოდგენილი ნაშრომი საამისო პირველი ნივთიერი დემონსტრაციაა. ამდენადვე ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებაში დღევანდელი დღე ღირსშესანიშნავია: წარმოდგენილი ნაშრომი პირველი მთლიანი, ორიგინალური, მარქსისტულ-მეცნიერული სიტყვის ცდაა საქართველოს ისტორიის უძველესი ხანის შესახებ. ამავე დროს ეს პირველი გამოსვლა სრულიადაც არ ჰგავს ახლად ფეხადგმულის ტაატს. შიშით და ბორძიკით კი არ გამოდის ავტორი, არამედ დაჯერებით და გაბედულად მოაბიჯებს ის და ეს არა თავის ძალთა ახალგაზრდული ზეშეფასებით, არამედ მეცნიერულ მოწიფულობის დინჯი შეგნებით. მარქსისტულ ისტორიოგრაფიის დაუფლებამ, ერთის მხრით, და ქართული ისტორიოგრაფიის ტექნიკურ მიღწევათა დაუფლებამ, მეორეს მხრით, პროფ. ს. ჯანაშიას შესაძლებლობა მისცა გამარჯვება მოეპოვებია ესოდენ ძნელად შესამართავ საქმეში.

ვინც მცირედ მაინც გაცნობილია ქართული ისტორიოგრაფიის მდგომარეობას საერთოდ და განსაკუთრებით მის იმ ნაწილში, რომელსაც აქ წარმოდგენილი ნაშრომი ეხება, იცნობს საამისო ისტორიულ წყაროთა თუ დამხმარე საისტორიო დისციპლინების მონაპოვართა მდგომარეობას, ის ადვილად გაითვალისწინებს იმ დიდ სიძნელეებს, რომელთა დაძლევა ავტორს უხდება: ამაში ყველაზედ დამაჯერებელი მოწმობა თვით ეს შრომაა. ხსენებული ისტორიული შრომის შესრულებისას პროფ. სიმონ ჯანაშია არა მარტო ორიგინალებში იცნობს ბერძნულ-ლათინურ-სომხურ თუ სხვა წყაროებს, არა მარტო იცნობს და მარჯვედ იყენებს ისტორიის დამხმარე თუ სხვა მონათესავე დისციპლინათა მიერ მოპოვებულ მეცნიერულ ფაქტებს, არამედ თვით გვევლინება ფილოლოგიურ-ენათმეცნიერული თუ არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიული ფაქტების დამდგენის როლში და გარკვევით უნდა აღინიშნოს, რომ ავტორი აქაც სრულ მოწიფულობას ამჟღავნებს. ქართული ისტორიოგრაფიის პირობებში ერთპიროვნულად გადაჭრის ცდა იმოდენა პრობლემისა, როგორიცაა: „ფეოდალური ურთიერთობის წარმოშობა საქართველოში“, დიდად მძიმე საქმეა, ამდენადვე ამ ცდის მეტ-ნაკლები წარმატებით შესრულება დისერტანტის მეცნიერულ ძალთა უდავო დადებითი მოწმობაა.

იმისათვის, რომ სამართლიანად შევაფასოთ სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილი მიღწევანი, ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ აღნიშნული პრობლემა, გეოგრაფთა ენით რომ ვთქვათ, დღემდის „თეთრ“ ლაქას წარმოადგენდა საქართველოს ისტორიის სამყაროში. აქ არა თუ მარქსისტული, წინამარქსისტულიც კი რაიმე საყურადღებო არაფერი მოიპოვებოდა. საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობის შესახებ ბევრი რამ დაწერილა სპეციალისტ ისტორიკოსთა, თუ არასპეციალისტთა მიერ. აქ ფეოდალური ურთიერთობის თუ მთელი მოცულობით არა, მისი ამა თუ იმ ხანის შესახებ ჩვენ სერიოზული მეცნიერული გამოკვლევები მოგვეპოვება. განსაკუთრებით ბედნიერი აღმოჩნდა ამ მხრით ქართულ ფეოდალური ურთიერთობის შუა ხანა, რომლის შესწავლას ესოდენი ენერგია დიდის წარმატებით შეალია საქ. ისტორიის დაუღალავმა მუშაკმა პროფ. ივანე ჯავახიშვილმა. სულ სხვა მდგომარეობა იყო დღემდის ქართულ ფეოდალური ურთიერთობის წარმოშობის შესწავლის საკითხში. აქ მცირე და მცდარი შენიშვნების გარდა დღემდის არა მოიპოვებოდა რა... ასე რომ სადისერტაციოდ წარმოდგენილი შრომა პირველი სპეციალური გამოკვლევაა საქართველოში ფეოდალური ურთიერთობის წარმოშობის შესახებ. ამიტომ, გასაგებია, რომ ავტორის მიერ წამოყენებული თითქმის ყოველი დებულება ახალი სიტყვის ცდაა ქართულს ისტორიოგრაფიაში. და პროფ. ს. ჯანაშიას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მრავალი ამ დებულებათაგან საიმედო შენაძენად შერჩება ქართულს ისტორიულ მეცნიერებას. ყველა ამ დებულების ჩამოთვლა აქ შეიძლება საჭიროც არ იყოს, მაგრამ უმთავრეს მიღწევათა აღნიშვნა სავალდებულოა.

1. ორიგინალურია და უცილობლად დამტკიცებულია ძირითადი დებულება ადრინდელი ფეოდალური ურთიერთობის არსებობის შესახებ საქართველოში აღნიშნულს ეპოქაში. ორიგინალურად და მეცნიერულად სწორად არის წარმოდგენილი ამ ეპოქის შინაარსი, როგორც ჭიდილი სამი სოციალურ-ეკონომიურ წყობისა ფეოდალური წყობის თანდათანი გამარჯვებით დრომოჭმულ საგვარეულო წყობილებაზე და შედარებით განუვითარებელ მონათმფლობელობაზე. შეიძლება დეტალებში შესწორდეს ავტორის ეს დებულებანი, შეიძლება თარიღიც. განსაკუთრებით მისი დასაწყისი ხანისა, დაზუსტდეს, მაგრამ ძირითადად ეს დებულებანი ჩვენი ისტორიოგრაფიის განვითარების დღევანდელ ეტაპზე ურყევი დარჩებიან. ისინი საძირკვლად დაედებიან საქ-ში ფეოდა-

ლურ ურთიერთობის მომავალ დაღრმავებულ კვლევას. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამ დებულებათა მკაცრი მეცნიერული შემოწმება საქართველოში ფეოდალური ურთიერთობის შემდგომი ეპოქის შესწავლის ნიადაგზე უნდა მოხდეს; ამ მხრით ჯერჯერობით შეგვიძლია განვაცხადოთ: დღემდის მოპოვებული მეცნიერული ცოდნანი ქართულ ფეოდალურ ურთიერთობის შესახებ, მის საშუალო თუ ნაგვიანევ ხანაში, არაფერში ეწინააღმდეგებიან მოცემულ დებულებებს, პირიქით, ნაგვიანევი ხანის ფეოდალური მოვლენების მთელი რიგი თავის ახსნას მხოლოდ დისერტანტის მიერ წამოყენებულს დებულებებში პოულობს. ასე რომ, მაპატივეთ ხატოვანი გამოთქმის უხეირო ცდისათვის, პროფ. ს. ჯანაშიამ წარმოდგენილი შრომით ს ა ძ ი რ კ ვ ე ლ ი შ ე უ ყ ე ნ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი ფ ე ო დ ა ლ უ რ ი უ რ თ ი ე რ თ ო ბ ი ს შ ე ს წ ა ვ ლ ი ს მ ე ც ნ ი ე რ უ ლ შ ე ნ ო ბ ა ს, რომლის რამოდენადმე მაინც არის სრულქმნილობას ეს არსებითი ნაწილი აკლდა.

2. ორიგინალური და მეცნიერულად დამაჯერებელია დებულება კოლხეთ-იბერიაში კლასობრივი საზოგადოების არსებობის შესახებ I ს. ქ. წ. (და ეს დამოუკიდებლად ქართლის სტრაბონისეული სოციალური სურათის ინტერპრეტაციისაგან). ეს დებულებაც ამიერიდან ქართულ ისტორიული მეცნიერების საუნჯეში შევა.

3. ახალი და ორიგინალურია საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადების საკითხის სოციალ-პოლიტიკურ საფუძვლებზე გადაწყვეტა. შესწორებანი აქ შეიძლება შეტანილ იქმნეს, მ ა გ რ ა მ ა ვ ტ ო რ ი ს ც დ ა—იბერია-კოლხეთის საზოგადოების კლასობრივს ურთიერთობაში იპოვოს ახსნა ქრისტიანობის გავრცელებისა თუ სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადებისა—ე რ თ ა დ ე რ თ ი მ ა რ თ ე ბ უ ლ ი ა. ქრისტიანობის შემოსვლის შესახებ საქ-ში არა მცირე მეცნიერული ლიტერატურა მოიპოვება. მაგრამ მთელი ეს ლიტერატურა უმთავრესად ამ მოვლენის თარიღისა, პერსონების და შემოსვლის გზების ძიებას შეეხო. პირველად ჩვენ ამ ნაშრომში ვპოულობთ საკითხის დასმას საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად აღიარების სოციალურისა და პოლიტიკური საფუძვლების შესახებ. პროფ. ს. ჯანაშიასვე ეკუთვნის ამ საკითხის შესახებ ყველა აქამდის არსებულთაგან უფრო სწორი და მწყობრი პასუხი, რომ ქ რ ი ს ტ ი ა ნ ო ბ ი ს ო ფ ი ც ი ა ლ უ რ კ ე ლ ტ ა დ გ ა მ ო ც ხ ა დ ე ბ ა პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ა დ რ ო მ ი ს გ ა ვ ლ ე ნ ი ს ე რ ა ნ ი ს ა ზ ე უ პ ი რ ა ტ ე ს ო ბ ი ს დ ა დ ა ს ტ ურ ე ბ ა ა, ხ ო ლ ო ს ო ც ი ა ლ უ რ ა დ ქ ა რ თ ლ ი ს წ ა რ ჩ ი ნ ე ბ უ ლ თ ა კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ი გ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ ა ა.

4. ორიგინალური და უეჭველად სწორია დებულება, რომ ქართული ფეოდალური ურთიერთობის განვითარება „ერის“ სოციალური დიფერენცირების გზით მიდიოდა.

5. ქართული ისტორიოგრაფიის მეცნიერულ საგანძურში შეევა აგრეთვე დებულება მძიმე აბჯრის მნიშვნელობის შესახებ „ერის“ სოციალური დიფერენციაციის საქმეში.

6. ახალი, ორიგინალური და ძირითადად სწორია დაკვირვება სოციალური კონფლიქტის შესახებ ქართლში V — VI ს-ში ბეფის ხელისუფლებასა და წარჩინებულთ შორის,—ამ კონფლიქტის საფუძვლების შესახებ... ასეთ პირობებში უაღრესად საყურადღებოა და მნიშვნელოვანი ქართლში ერანელთა მიერ მეფობის გაუქმების ახსნა: წარმოდგენილია მეტად საინტერესო დებულება, რომ მეფობის გაუქმება ეს იყო არა იმდენად გარეშე ძალის აქტი, რამდენად წარჩინებულთა, აღმავალი ფეოდალური კლასის სოციალური მოწიფულობის შედეგი... ცნობათა კიდევ მეტი შემოკრება, ახალი ფაქტების მოპოვება, უნდა ვიფიქროთ, წამოყენებულ დებულებას დააზუსტებს, შეასწორებს, მაგრამ დისერტანტის მიერ უკვე აქ წარმოდგენილი ფაქტებისა და მათი ანალიზის ნიადაგზე, ვფიქრობთ, ის დებულება მაინც ურყევად დარჩება, რომ ქ ა რ თ ლ ში მ ე ფ ობ ის გ ა უ ქ მ ე ბ ა მ „ა ზ ნ ა უ რ ო ბ ა“, ე. ი. ა ღ მ ა ვ ა ლ ი ფ ე ო დ ა ლ უ რ ი კ ლ ა ს ი, პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ად დ ა ს ო ც ი ა ლ უ რ ად გ ა ა ძ ლ ი ე რ ა.

7. ღრმა და მახვილგონიერია მეცნიერული დაკვირვებანი „სახლის“, „სახლისშვილობის“, „ერის“, „წურილი ერის“, „სეფეს“, „სეფეწულობის“, „პალატბანაკის“, „სამამასახლისო სამსახურებელის“, „სოფლის“, „აგარაკის“, „მარგილის“, „გლეხის“, „სეფობის“, „ბეგრის“, „ხარკის“ და სხვათა შესახებ. დიდი უმრავლესობა ამათგან პირველად შემოდის ქართული ისტორიოგრაფიის სალაროში, ხოლო სხვა დანარჩენი, მკვლევართა მიერ უკვე აღნიშნული, პროფ. ს. ჯანაშიას მიერ მოხდენილადაა გამოყენებული საქართველოში ადრეული ფეოდალური ურთიერთობის მეცნიერული შენობის საშენ მასალად. აღნიშნულ მასალის გამრავლება შეიძლებოდა, საჭიროცაა; მოყვანილ დაკვირვებათაგან ზოგიერთი დამატებით დამუშავებას მოითხოვს, მაგრამ ამით პროფ. ს. ჯანაშიას მიერ ჩატარებული მუშაობის სიდიდე და მნიშვნელობა ოდნავადაც არ მცირდება და ის ძვირფას შენაძენად დარჩება ქართულ ისტორიოგრაფიას.

8. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მონოგრაფიული ნარკვევი ციხექალაქ პეტრას ადგილმდებარეობის შესახებ; პროფ. ს. ჯანაშიას პასუხი ამ საკითხზე აქამდის არსებულთაგან უფრო სრული და დამაჯერებელი ჩანს.

*

სადისერტაციოდ წარმოდგენილი ნაშრომის ერთ-ერთი ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ მისი განხილვისას დიდია საცთური უმართებულო და უსამართლო შეფასებისათვის. ასეთი უსამართლობა ადვილად შესაძლებელია მოუვიდეს ყველა იმას, ვინც ამ ნაშრომის განხილვისას ქართული ფეოდალური ურთიერთობის უფრო ნაგვიანევ ფაქტებს არ ან კიდევ ვერ ითვალისწინებს. ამ ნაშრომში წარმოდგენილი ისტორიული კონცეფცია მთლიანად, ისე როგორც მრავალი კერძოული ფაქტები,— ეს ერთხელ უკვე აღვნიშნეთ,—თავიანთ საბოლოო ახსნას და დამტკიცებას უმთავრესად ამ ნაგვიანევი ხანის მოვლენებში პოულობენ. პროფ. ს. ჯანაშია გულისხმობს ამ მოვლენებს, ზოგჯერ მიუთითებს კიდევაც, მაგრამ მითითება ასეთ მოვლენებში სპეციალურად ჩაუხედველი მკითხველისათვის დამტკიცების ფუნქციებს ვერ ასრულებს და იქმნება საცთური...

ამ ნაკლს, მართალია, ბოდიშის მოვხდელი საფუძველი გააჩნია; ეს გახლავთ შრომის უზომო სიდიდე, რომლის ჩატარებაც ავტორს დასჭირდებოდა, უკეთუ ის თავის ზოგიერთი დებულების მაქსიმალურად ნათელსაყოფად ნაგვიანევი ხანის სათანადო მოვლენების მთელი სიგრძე-სიგანით შესწავლას აქვე ხელს მოჰკიდებდა. მაგრამ ეს საპატიო მიზეზი შრომას აღნიშნული ნაკლისაგან ოდნავადაც ვერ ათავისუფლებს და მკითხველს ვერ მოვთხოვთ ლმობიერი იყოს მსჯავრის დადებისას იმიტომ, რომ საქართველოს ისტორიის უფრო ნაგვიანევი ხანიდან ესა თუ ის საკითხი, ამ ნაშრომის ზოგიერთი დებულების ნათელსაყოფად რომ გამოდგებოდა, ჯერჯერობით დამუშავებული არაა. ვფიქრობთ, ნაშრომი დიდად მოიგებდა, თუ ავტორი მეტის გულდასმით და ზედმიწევნილობით განიხილავდა მოვლენებს, უფრო ნაგვიანევს ხანაში რომ არიან მოცემული და რომელთა წარმოშობა თუ ჩამოყალიბება სწორედ ადრინდელი ფეოდალიზმის ხანაშია საგულვებელი. უფრო კონკრეტულად აღნიშნული ნაკლის შესახებ მითითება ქვემოთ გზა და გზა მოგვიხდება.

მეორე ნაკლი ზოგადი ხასიათისა ეს არის ავტორის მიერ ამა თუ იმ საკითხის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის მოუხსენებლობა. პროფ. ს. ჯანაშია იცნობს, რა თქმა უნდა, ამ ლიტერატურას, ითვალისწინებს („ყრუდ") იქ მოცემულ დებულებებს, ეს ნაშრომი კრიტიკა და გადაფასებაა მათი, მაგრამ ავტორის დამოკიდებულება ამ ლიტერატურასთან მეტად თავისებურია და, ჩვენი აზრით, არასწორი. არსებულს ლიტერატურას ის მაშინ ასახელებს, როცა სავსებით ეთანხმება იქ გამოთქმულ

აზრს, როცა დაესესხება მას (ასეთი თანხმობის შემთხვევაში პროფ. ს. ჯანაშია არა თუ წერილობით, ზეპირად გამოთქმული აზრის ავტორსაც არ სტოვებს მოუხსენებლად), საწინააღმდეგო მოსაზრებათა შემცველ ლიტერატურას ის ჩვეულებრივ არ ასახელებს. ვფიქრობთ, ეს ნაკლია ამ შრომისა. რაიმე საკითხის მეცნიერულად გადაწყვეტისათვის აუცილებელია ამ საკითხის ისტორიაც, თუ ასეთი კი მოიპოვება, აუცილებელია მეცნიერული აზრის ზრდის ჩვენება აღნიშნულ საკითხის გარშემო და „ზედმეტი" შრომა როდია მის შესახებ შემცდარ და დღეს მოძველებულ შეხედულებათა მოტანა, პირიქით, მათი მეცნიერული გაკრიტიკება სასარგებლო და აუცილებელია ახლად წამოყენებული, თუნდაც აბსოლუტურად სწორი მეცნიერულ დებულების მაქსიმალურად ნათელსაყოფად.

გარდა ამისა, აქ სხვა უხერხულობაცაა: აქამდის არსებულ მიღწევათა გაუთვალისწინებლობა-უგულვებელსყოფაში და წინა მკვლევართადმი დაუმსახურებელ უმადურობაში შესაძლოა ჩამოერთვას ავტორს... ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, კარგად მოეხსენება პროფ. ს. ჯანაშიას და, ვფიქრობთ, უნდა დაგვეთანხმოს, რომ სადისერტაციოდ წარმოდგენილი შრომის ხასიათი ავალებდა მას ამ წესის მტკიცედ დაცვას...

მ ე ს ა მ ე ნ ა კ ლ ი ზოგადი ხასიათისა ეს არის საკითხების არათანაზომიერი დამუშავებულობა; ზოგიერთი საკითხი სასურველი სისრულით არის განხილული (სტრაბონის ცნობათა ანალიზი, პეტრას ადგილმდებარეობა) და დებულება საკმაო ფაქტებით არის შემაგრებული, სხვა ზოგიერთის განხილვა, სამწუხაროდ, მოკლებულია ასეთ სისრულეს (აგარაკი, სეფე) და უარეს შემთხვევაში არავითარი დამტკიცება არაა (ხარკი, გლეხი). ამავე დროს საკითხთა ასეთი არათანაზომიერი შესწავლა მათ შესახებ არსებული მასალის უთანაზომობის საპატიო მიზეზით ყოველთვის როდი აიხსნება...

კ ი დ ე ვ ე რ თ ი ნ ა კ ლ ი ს შესახებ. ავტორს მეცნიერული შემოქმედების ძალა (ანალიზი, სინთეზი) ჭარბად მოსდევს. ამავე დროს გამართული ისტორიული სურათის აღდგენის ჭარბი სურვილი აქვს. დაჟინებით ცდილობს ყველაფერი ნათელყოს და აუცილებელ ცნობათა მეტისმეტ სიმცირის პირობებშიაც კი (რასაც არაერთხელ უჩივის) მსჯელობათა რიგით სასურველ ისტორიულ სურათს დაწვრილებით აღადგენს. ვფიქრობთ, შრომას ნაკლად არ ჩაეთვლებოდა, თუ შედარებით „უნივთო" პასუხების მაგივრად ზოგიერთი კითხვა ჯერჯერობით უპასუხოდ დარჩებოდა. მკვლევარისათვის ის თუა საძრახისი, რომ ცნობა სისრულით ვერ შეაფასოს (ამაში ჩვენი ავტორი უნაკლოა), არც ისაა სანაქებო, რომ ცნობაში მეტი დაინახოს, ვიდრე მასშია საგულისხმებელი.

ყველა ამ დეფექტს უეჭველად გააჩნია საკმაო საფუძვლები (შრომის სიდიდე, საკითხთა დაუმუშავებლობა, ცნობათა სიმცირე), მაგრამ, დამეთანხმებით, საკმაო საფუძველი და საპატიო მიზეზი თუ ავტორის გამამართლებელ არგუმენტებად კიდევ გამოდგებიან, შრომას ნაკლთაგან ოდნავადაც ვერ ათავისუფლებენ.

ვიდრე კონკრეტულ შენიშვნებზე გადავიდოდე, საჭიროდ მიმაჩნია წინდაწინ განვაცხადო. პრინციპულად სადაო ამ შრომაში წამოყენებულ დებულებებთან მე არა მაქვს რა და პროფ. ს. ჯანაშიას ისტორიული კონცეფცია ადრინდელი ფეოდალიზმის შესახებ ძირითადად სწორად მიმაჩნია. აქვე უნდა განვაცხადო: პროფ. ს. ჯანაშიას მიერ აქ წარმოდგენილი ისტორიული კონცეფციის შემუშავებაში მე ერთგვარი მონაწილეობა მაქვს მიღებული. ამის გამოხატულებაა ჩვენი საუნივერსიტეტო სასწავლო პროგრამა, რის შესახებაც კოლეგა ჯანაშიაც აღნიშნავს თავისი შრომის ბოლოსიტყვაობაში. მართალია, პროგრამის ამ პირველი განყოფილების შედგენაში ჩემი მონაწილეობა იმ ოდენობისა არ ყოფილა, რა ოდენობითაც მე იქ წარმოდგენილ კონცეფციისათვის ყოვლად უმართებულო ლანძღვა-თრევას მიზიარებდნენ,—ჩემი მონაწილეობა ხსენებული პროგრამის შუა და განსაკუთრებით ბოლო ნაწილშია („ბატონყმური ურთიერთობა") წარმოდგენილი,—მაგრამ თუ მის შემუშავებაში დიდი მონაწილეობა არა, ამ კონცეფციასთან ჩემი პრინციპული თანხმობა უკვე ამით ნაგულისხმევია.

ჩემი შენიშვნებიც ამიტომ, ბუნებრივია, უმთავრესად „დეტალებს" შეეხება.

გარდა ამისა, დღევანდელს პაექრობაში პროფ. ს. ყაუხჩიშვილის მონაწილეობა მე, ბუნებრივად, მათავისუფლებს შრომის იმ მხრით განხილვისაგან, რაც ჩემი დღევანდელი თანამოსაგრის სპეციალობას შეადგენს.

პროფ. ს. ჯანაშიამ პირველმა წამოაყენა აზრი, რომ იბერიაკოლხეთში პირველ საუკუნეში ძველი წელთაღრიცხვით უკვე არსებობდა კლასობრივი საზოგადოება. ამ დებულების დასაბუთება მან ჯერ კიდევ 1932 წელს დაწერილს ნაშრომში სცადა. საკითხის გარშემო შემდეგში ცხარე კამათი გაიმართა... პროფ. ს. ჯანაშიამ თავისი პოზიციები არ დასთმო. ის კიდევ მეტის დაჟინებით იცავდა თავის აზრს და ახალი ფაქტების შემოკრებით თუ ძველად მოპოვებულთა ანალიზის კიდევ მეტის დაღრმავებით, ჩვენ გვგონია, საკმაოდ დამაჯერებლად გადაწყვიტა აღნიშნული საკითხი ისე, რო-

გორც ეს მან პირველად წამოაყენა. სადისერტაციო ნაშრომში პროფ. ს. ჯანაშია მოკლედ იმეორებს წინათ მის მიერვე გამოთქმულს არგუმენტებს და თან ახალს საგულისხმიერო დაკვირვებებს ურთავს, რითაც დასაცავ დებულებას კიდევ უფრო ამაგრებს.

როგორც აღვნიშნეთ, ამ საკითხის ავტორისეული გადაწყვეტა ჩვენ სწორად მიგვაჩნია, მაგრამ სტრაბონისეული იბერიის სოციალური სურათის ავტორისებური გაგება დამაჯერებლად ვერ გამოიყურება. ამ საკითხის გარშემო მე ერთხელ მქონდა უკვე შემთხვევა ოფიციალურად გამომეთქვა ჩემი აზრი. სადისერტაციო ნაშრომში ს. ჯანაშია იმავე პასუხს ავითარებს, რაც ჩემ მიერ დასმული საკითხის შესახებ მაშინ გამოსთქვა. ვფიქრობთ, პასუხი ვერაა დამაჯერებელი. მე ვამბობდი: ისტორიულ ცნობათა ანალიზის ნიადაგზე დასაჯერებელი ხდება, რომ იბერია პირველ საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე კლასობრივი საზოგადოებაა. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ სწყვეტს სტრაბონისეული იბერიის სოციალური სურათის ინტერპრეტაციის საკითხს. საქმე იმაშია, რომ სტრაბონისეული იბერიის სოციალური სურათის შედარებისას ამავე დროის სხვა ისტორიულ მონაცემთა ნიადაგზე მიღებულ სოციალურ სურათთან აშკარა ხდება არსებითი განსხვავება მათ შორის. სტრაბონით ბასილევსი იბერიაში მხედართმთავარი არაა, ის არც მსაჯულია. ორივე ეს ფუნქცია მეფის მეორე პირის ხელშია. სტრაბონის ბასილევსი არც მეზობლებთან სადაო საკითხებს აწესრიგებს. ამას ქურუმები საქმიანობენ. ბასილევსი არც უზენაესი ქურუმი ჩანს, ყოველ შემთხვევაში ამის შესახებ სტრაბონის ცნობა სდუმს.

სხვა ისტორიული მონაცემებით (არა ერთი, არამედ სხვადასხვა წყაროთი: დიონ კასიუსი, ტაციტუსი...) იბერიის ესათუის კონკრეტული ბასილევსი ქვეყნის ნამდვილი ბატონ-პატრონია: ისაა და სხვა არავინ მხედართმთავარი, მხოლოდ მის ხელთაა საგარეო საქმეები და, უნდა ვიფიქროთ, იგივეა მთავარმსაჯულიც. სტრაბონისეული ბასილევსი ჩვენ რეალურ მეფედ ვერ მივიჩნიეთ, მისი კელი უშინაარსოდ გვეჩვენა. ამის გამო ჩვენ ეჭვი გამოვთქვით: ან სტრაბონი მის დრომდის რაღაც დიდი ხნის წინ არსებულ მდგომარეობას გადმოგვცემს, ან კიდევ შეცდომაში შეიყვანეს ზეპირად ცნობების მიმწოდებლებმა.

პროფ. ს. ჯანაშია ცდილობს სტრაბონის ამ ცნობების გადარჩენას, სხვა ცნობებთან მათ შეთანხმებას. მისი აზრით სტრაბონისეული იბერიის ბასილევსის ხელთაა სამოქალაქო მმართველობა (გვ. 14—15). აქ ავტორის მსჯელობა შემდეგია: „მართლაც, ჩვენ ვნახეთ, რომ იბერიის „ბაზილევსი" მხედართმთავარი არ არის.

სტრაბონის ცნობით, მხედართმთავრობა ეკუთვნის მეორე პირს ბაზილევსის შემდეგ, ბაზილევსებისავე გვარში. ესეც პირია აგრეთვე მსაჯულიც. მაშ რაღა დარჩა ბაზილევსს, თუ იგი არც მხედართმთავარია, არც მთავარი მსაჯული. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ეს მეორე პირი „ბაზილევსობის" მემკვიდრე უნდა ყოფილიყო, რადგანაც, სტრაბონის ცნობით, ბაზილევსად იყო ბაზილევსების გვარის ის წარმომადგენელი, რომელიც ყველაზე უხუცესი და ახლობელი ნათესავი იყო წინანდელი მეფისა. ბუნებრივია, რომ ასეთ პირს ვიდრე მეფე ცოცხალია, „მეორე" პირი ეწოდოს. შეიძლება თუ არა ვიფიქროთ, რომ მემკვიდრე ჰკარგავდა იმ უფლებებსაც კი, რომელიც მას მემკვიდრეობის დროს ჰქონდა, მაშინ როცა იგი თითქოს წინაურდებოდა? უნდა ვიფიქროთ ამიტომ, რომ სამოქალაქო მმართველობა ბაზილევსის, მეფის ხელშია. დასაჯერებელია განა ასეთი მეფის არსებობა, რომელსაც არაფერი ეკითხება არც სარდლობის, არც მართლმსაჯულების, არც მეზობლებთან სადაო საქმეებისა და არც სამოქალაქო მმართველობის სფეროში?" ჩვენ ვეთანხმებით კოლეგა ჯანაშიას, რომ ასეთი უშინაარსო მეფის არსებობა დაუჯერებელია. მაგრამ ჩვენი ეს თანხმობა უმალ ირღვევა, რაწამს საქმე მიდგება სტრაბონისეული იბერიის ბაზილევსის ჯელის შინაარსის პოზიტივურ განსაზღვრაზე. პროფ. ს. ჯანაშიას აზრით ესაა სამოქალაქო მმართველობის სფერო. ამავე დროს, როგორც ზემოთ დავინახეთ, ავტორის აზრით ესაა უფრო დიდმნიშვნელოვანი სფერო იბერიის სამეფოში, ვიდრე სარდლობა, მართლმსაჯულება და საგარეო ურთიერთობის საკითხები. სამწუხაროდ, პროფ. ს. ჯანაშია საჭიროდ არ სთვლის განსაზღვროს კონკრეტულად ამ „სამოქალაქო მმართველობის სფეროს" შინაარსი, რომ მკითხველს სცოდნოდა, თუ რას ემყარებოდა იბერიის ბაზილევსის ეს უზენაესობა. ჩვენ კი გვგონია, რომ სტრაბონისეული იბერიის ბაზილევსი მართლაც დაუჯერებელი მეფეა.

რომ „სამოქალაქო მმართველობის სფეროც" არაა მთლად ბაზილევსის ხელში, რომ, პირიქით, ასეთი რამეც უმთავრესად მეორე პირის კომპეტენციას შეადგენს, ეს აშკარაა, ვფიქრობთ, იმ გარემოებიდან, რომ მართლმსაჯულება ამის ხელთაა. რაღაა მაშინდელი „სამოქალაქო მმართველობის სფერო" მართლმსაჯულების გამოკლებით? ყოველ შემთხვევაში ეს ნაშთი ვეჰვობთ იმ ოდენობისა იყოს, რომ სახელმწიფოს არსებობის პირობებში ის „მემკვიდრე" სარდალსა და მთავარმსაჯულს აწინაურებდეს უკანასკნელის ბაზილევსად დაყენებისას...

პროფ. ს. ჯანაშია აქ შემდეგში სცოდავს: დასამტკიცებელი დებულება — რომ იბერიის სტრაბონისეული სოციალური სურათი კლასობრივი საზოგადოებაა, რომ სტრაბონისეული იბერიის ბაზილევსი „მ ე უ ფ ე მ ა მ ა ს ა ხ ლ ი ს ი კი არა, „მ ე ფ ე ა", — აი ეს დებულება დამტკიცებულად გამოაქვს და ააგებს სრულიად გამართულ სილოგიზმს, რომლის შედეგად მიიღებს, რომ ის საშოქალაქო მმართველობის სფერო, ბაზილევსს რომ ექვემდებარება, უფრო დიდნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა რომელიმე და მაშასადამე მისი მიმღები „მემკვიდრე" სარდალი და მთავარი მსაჯული წინაურდება, რომ, მაშასადამე, იბერიის ბაზილევსი უზენაესი პროკურატორების მატარებელია, რომ ის ნამდვილი მეფეა. ე. ი. რომ იბერია კლასობრივი საზოგადოებაა...

მაგრამ პროფ. ს. ჯანაშიას ამის შემდეგაც რჩება გადასალახავი ისეთი სიძნელე, სადაც, ვეჰკვობ, ამ ხასიათის ტვირთის უზიანოდ გატანა შეიძლებოდეს. საკითხი შეეხება იმ აშკარა შეუთანხმებლობას, წინააღმდეგობას, რომელიც თავს იჩენს სტრაბონისეული ბაზილევსის შედარებისას იბერიის მეფეებთან, რომელთა შესახებ ჩვენ არაერთი ისტორიული ცნობა მოგვეპოვება. პროფ. ს. ჯანაშიას გამოთქმით „ამ ცნობებიდან ჩანს, რომ რომაელები იბერიის ბატონ-პატრონად სწორედ იბერიის ბაზილევსებს სთვლიდნენ და მასთან იჭერდნენ, უწინარეს ყოვლისა, საქმეს". სრულიად მართალია, მაგრამ იბერიის ეს მეფეები სტრაბონისეული ბაზილევსები კი არ არიან, რომელთაც არც სამხედრო და არც საგარეო საქმეებისა არაფერი ეკითხებოდათ. ყველა ეს სხვადასხვა ისტორიული ცნობები თანხმობით მოწმობენ, რ ო მ ა მ დ რ ო ი ს ი ბ ე რ ი ი ს მ ე ფ ი ს ხ ე ლ თ ა ა რ ო გ ო რ ც ს ა რ დ ლ ო ბ ა, ი ს ე ს ა გ ა რ ე ო ურ თ ი ე რ თ ო ბ ი ს ს ა კ ი თ ხ თ ა მ ო გ ვ ა რ ე ბ ა ც მ ი ს ხ ე ლ თ ა ვ ე ა, დ ა რ წ მ უ ნ ე ბ უ ლ ი ვ ა რ თ, მ ა რ თ ლ მ ს ა ჯ უ ლ ე ბ ი ს ს ა ქ მ ე ც... ამ აშკარა შეუთანხმებლობის მოსარიგებლად პროფ. ს. ჯანაშია შემდეგ მოსაზრებას აყენებს: „ცხადი ხდება, რომ სტრაბონი აგვიწერს კონსტიტუციას, თეორიულ ნორმას, რომელთან შედარებითაც სინამდვილე გაცილებით უფრო შორს იყო წასული და ქართლის მეფე თავის ხელს მმართველობის ყველა დანარჩენ სფეროშიაც ურევდა, მეტნაკლები უფლებამოსილებით" (გვ. 15).

არა გვგონია, ასეთი მსჯელობით შეიძლებოდეს სტრაბონის ბაზილევსის გადარჩენა.

პროფ. ს. ჯანაშია არბილებს ნაჩვენებ შეუთანხმებლობას, როცა ამბობს, რომ (ისტორიული) „ქართლის მეფე თავის ხელს მმართველობის ყველა დანარჩენ სფეროშიაც ურევდა მეტნაკლები უფ-

ლებამოსილებით“. არა თუ ხელს ურევდა „მეტნაკლები უფლებამოსილებით“, არამედ მხოლოდ მას ეკითხებოდა ყველა ეს საქმეები, მის აუცილებელ პრეროგატივს შეადგენდა და ვერავინ სხვა „ხელს ვერ ურევდა“ (არტაგი, ფარსმანი, მირიანი, ვახტანგი). სტრაბონისეულ იბერიის ბაზილევსთან ამ მეფეებს საერთო არა აქვთ რა გარდა სახელისა („ბაზილევსი“), რომელიც, როგორც სამართლიანად მიუთითებს პროფ. ს. ჯანაშია, განურჩევლად ეწოდებოდა „სახლის“ უხუცესს და მეფეს. „სინამდვილე ისე შორსაა წასული“, რომ ქურუმთა გენეს დაუკარგავს თავისი ნიშანი: ის საგარეო საქმეების მოწესრიგებაში მონაწილეც კი არა ჩანს, გამქრალა აგრეთვე ბასილევსის „მეორე პირი“, „მემკვიდრე“ მთავარსარდალი და მთავარმსაჯული. რა თქმა უნდა, იბერიის ამ ცოცხალ მეფეებს აღარავინ „დასვამს“, ისინი თვით ჯდებიან მამისეულ ტახტზე... პროფ. ს. ჯანაშია უნდა დაგვეთანხმოს, რომ „სინამდვილის აგრე შორს წასვლა“ ეს მთელი გადატრიალებაა და რომ სტრაბონისეული ბაზილევსის ევოლუციით, როგორც ეს ჩვენი ავტორის აზრთა წყობიდან ივარაუდება, ასეთი ხელისუფალი არ მიიღება.

ერთგან ქვემოთ (გვ. 26), პროფ. ს. ჯანაშია „მეფე“ ტერმინის შესახებ საუბრისას ამბობს: „ოთხთავის უძველესი ქართული ვერსიების, რომელნიც უკვე მეოთხე საუკუნეში ჩნდებიან, ცნობებით გამოვარკვიეთ, რომ ბაზილევს მონარქის ძველი ქართული შესატყვისობა სწორედ „მეფეა“. ირკვევა ამასთანავე, რომ „მეფე“ ჩნდება ძლიერი გარდატეხის შედეგად, რადგანაც მისი პროტოტიპი „მეუფე“ (პროფ. ივ. ჯავახიშვილის სამართლიანი განმარტებით, „მეფე“ „მეუფის“ განვითარებაა), გვაროვნულ წყობილების ხანაში წარმოშობილი, ახალ შინაარსს ველარ იტევს და წარმოდგენილი სახით იცვლის ფორმას. მეფის ხელისუფლების წარმოშობის შემდეგ ჩნდება სამეფო დინასტია“... პროფ. ს. ჯანაშიას წარმოდგენით, სტრაბონისეული ბაზილევსი ამ „ძლიერი გარდატეხის შემდგომდროინდელი მეფეა“. ჩვენ კი ვფიქრობთ: ეს ძლიერი გარდატეხა იყო სწორედ საჭირო იმისათვის, რომ სტრაბონისეულ იბერიის ბაზილევსისაგან (მეუფისაგან), რომლის კომპეტენციის გარეთ იყო ქვეყნის სამხედრო, საგარეო და, თუ მთლად არა ნაწილობრივ მაინც, საშინაო საქმეებიც, სხვა ისტორიული წყაროების კელმწიფე მეფე შობილიყო.

არ გვეჩვენება ამიტომ დამაჯერებლად პროფ. ს. ჯანაშიას მსჯელობა, თითქო სტრაბონი „აგვიწერს იბერიის კონსტიტუციას, თეო-

რიულ ნორმას“, რომ მისი დროის იბერიის სოციალური სინამდვილე მხოლოდ „გაცილებით შორს წასული“, მაგრამ მაინც იმავე ხარისხის სიდიდეა...

როგორც ვხედავთ, სტრაბონისეული იბერიის სოციალური სურათის ამ ნაწილის ინტერპრეტაცია არსებითი ხასიათის კამათს იწვევს. ამისდა შესაბამისად ხსენებული სურათის დანარჩენი ნაწილის ინტერპრეტაციაც აღარ რჩება უკამათო... ამათ შესახებ სიტყვის გაგრძელებას ჩვენ აქ არ ვაპირებთ: უფრო მართებულად მიგვაჩნია უპირველეს ყოვლისა საკითხი დაისვას სტრაბონის ცნობათა წყაროთმცოდნეობითი შესწავლის შესახებ. ამაში კი სიტყვას პროფ. ს. ყაუხჩიშვილს ვუთმობთ.

გვ. 27. საკითხი „სეფეს“ შესახებ. თავი რომ დავანებოთ ზემოთქმულის ნიადაგზე უკვე სადავოდ შექმნილ დებულებას, თითქოს „სეფე“ სტრაბონის პირველი „გენეს“ სახელწოდება არის, ის მაინც სწორად გვეჩვენება, რომ ქართლის სამეფო დინასტიის სახელწოდება „სეფე“ იყო. სამწუხაროდ, ეს მეტად მნიშვნელოვანი და საინტერესო დაკვირვება სასურველის სისრულით დამუშავებული არ არის. ავტორი სამართლიანად აღნიშნავს, რომ „სეფე“ „ენობრივად „მეფესთან“ დაკავშირებით არის აღმოცენებული“, და განაგრძობს: „მეუფეს“ კი ასეთი მნიშვნელობის შესატყვისი არ მოეპოვება. „მეუფის“ მსგავსი შესატყვისის როლში გამოდის ნაწილობრივ „სოფელი“, რომელსაც „სეფეს“ მნიშვნელობა არასოდეს არ მიუღია“.

იმ პასუხს, თუ რატომ არ მიიღო „სოფელმა“ „სეფეს“ მნიშვნელობა, ავტორი გვიან (გვ. 141) იძლევა: „მეუფე-სუფელი“ პატრიარქალური ხანის უკანასკნელი პერიოდის ნაშთია, ყველა ნიშნის მიხედვით, ხოლო „მეფე-სეფე“ კლასობრივ საზოგადოებასა და სახელმწიფოსთან ერთად ჩნდება.... „მეუფე“ პატრიარქია, ხოლო „სუფელი“ ტერიტორიული თემი, რომელიც გვაროვნული საზოგადოებიდან კლასობრივისაკენ გარდამავალ ხანაში ჩნდება. ეს სწორი მსჯელობაა და ჩვენს შორის უთანხმოება აქ მხოლოდ იმაში შეიძლება იყოს, თუ როდის მოხდა ის „ძლიერი გარდატეხა“, რომლის შედეგადაც „მეუფე-სუფელის“ ადგილი „მეფე-სეფემ“ დაიჭირა.

კერძოდ, საინტერესო და მნიშვნელოვანი იქნებოდა „ოჩეს“ საკითხის დაკავშირება „სოფელისა“ და „სეფეს“ საკითხთან.

შემდეგ ავტორი აკვირდება ძველ ქართულს და სომხურ საისტორიო ცნობებს და დაასკვნის: „სეფე-წულები თანდათანობით დაშორდნენ მთავარ სამეფო შტოს და გადაიქცნენ ძველი ქართლის

არისტოკრატიის უმაღლეს წრედ, ყველაზე ძლიერ მემამულეებად, უძველეს მესაკუთრეებად და უძველეს აზნაურებად". ძირითადად სწორი ეს დებულება, ვფიქრობთ, დაზუსტებას მოითხოვს იმ მხრივ, რომ არ ეგონოს მკითხველს, — არ ვფიქრობთ, რომ ავტორს აგრე აქვს წარმოდგენილი, — თითქო ძველი ქართლის არისტოკრატიის უმაღლესი წრე წარმოშობით „სეფე წულთაგან" შედგებოდა მხოლოდ და ეს VII—VIII საუკუნეებშიც კი!! შეიძლება მოსე ხორენელის ცნობას, ამიტომ, ოტა სხვაგვარი ინტერპრეტაცია სჭიროდეს, ვიდრე ეს პროფ. ს. ჯანაშიას მოეპოვება. ყოველ შემთხვევაში საინტერესო იყო ანგარიში გასწეოდა იმ დამაფიქრებელ გარემოებას, თუ რატომ მოხდა, რომ ქართულ ფეოდალური ურთიერთობის საშუალო და გვიან-ხანაში უმაღლესი არისტოკრატიის აღსანიშნავად ეს ტერმინი აღარა გვხვდება. არც მეფის შვილი მოიხსენიება ჩვეულებრივ ამ დროს სეფე წულობით. საამისო ტერმინია, უეჭველია ასევე ძველი, უფლის წული (უფლისწულობით მოიხსენიებიან როგორც მეფის, ისე მაღალფეოდალთა სახლის შვილებიც). ამავე დროს „სეფე" და „სამეფო" გადარჩა, სანამ ის უფრო გვიან არ შესცვალა უცხოურმა „სახასომ" და „ხასმა"... ანგარიში უნდა გასწეოდა იმ გარემოებას, რომ ქართლის (საქართველოს) ფეოდალური საზოგადოების უმაღლეს ფენებს X—XI საუკუნეში თავიანთი გენეალოგია ქართლის მეფის „სახლიდან" არ გამოჰყავთ, პირიქით, თავიანთ მემამულეობას ისინი სამეფო სახლის სიძობით ასაბუთებენ... ამ მხრით ყურადღებას იქცევს ჯუანშერის თხზულების ის ადგილი, სადაც მოცემულია ამ ცნობის დაწერის დროის საქართველოს ერისთავთა გენეალოგია. რვა თუ ცხრა ერისთავიდან „სეფე წულობას" აქ მხოლოდ ერთი თუ დაიჩემებდა. ყველა დანარჩენთ უცხოელ მეფეთა ან კიდევ ქართლის წარჩინებულთა ჩამომავლობით მოაქვთ თავი!..

გვ. 30. ავტორი წერს: „ისტორიული წერილობითი სურათი ქართველ ტომთა სოციალურ დიფერენციაციის პროცესისა შენახული არ არის, მაგრამ სამაგიეროდ მოგვეპოვება მერმინდელი ანალოგიები, რომელნიც საშუალებას გვაძლევენ თვალსაჩინოდ წარმოვიდგინოთ აღნიშნული პროცესის ზოგიერთი, მეტად საყურადღებო მომენტი ცოცხალ ცხოვრების მასალაზე": ს რ უ ლ ი ა დ მ ა რ თ ე ბ უ ლ ი ხ ე რ ხ ი ა. სამწუხაროდ, ავტორი რამდენადმე აცრუებს იმედს, როცა იქვე გვატყობინებს: „შევჩერდებით აქ მხოლოდ ერთ მაგალითზეო". დროისა, ადგილის თუ სხვა რისამე დაზოგვასაც აქვს საზღვარი. გაუმართლებელია, ვფიქრობთ, ქართველ ტომთა სოციალური დიფერენციაციის ისტორიული წერილობითი სურათის არარსებობის პირობებში მერმინდელი ანალოგიის

მხოლოდ ერთი მაგალითით დაკმაყოფილება. სადისერტაციო ნაშრომის მთავარი მიზანი კი სწორედ ქართველ ტომთა ამ სოციალური დიფერენციაციის პროცესის მეცნიერულს დადგენაშია. საანალოგიო მასალა, როგორც წერილობითი, ისე ზეპირი, არა მცირე მოიპოვება (სახელდახელოდ: ლეონტი, სვანეთის საბუთები, მთიულეთ-ჴევის თუ საერთოდ ქართულ მთიანეთის ფოლკლორი...). ყველა ესენი, რა თქმა უნდა, მოეხსენება პროფ. ს. ჯანაშიას. სამწუხაროდ, ადგილის გადაჭარბებული დაზოგვით ავტორი ანაკლულებს ნაშრომს... მოტანილი მაგალითი მეტად საინტერესოა, მაგრამ ერთი მაგალითის ნიადაგზე, შედარებითი შესწავლის გარეშე, წარმოდგენილი მახვილგონივრული დაკვირვებანი უკეთეს შემთხვევაშიაც კი მეცნიერულ დამაჯერებლობას მოკლებული რჩებიან. „ძეგლი ერისთავთა“, როგორც ამას პროფ. ს. ჯანაშიაც მართებულად შენიშნავს, საკუთრივ ფეოდალურ სამყაროს ეკუთვნის და საქართველოს მთიანეთში ფეოდალური ურთიერთობის ფეხმოკიდების უძვირფასესი მაგალითია... ყველა აქ მოცემული მოვლენები სავსებით თავსდებიან ფეოდალურ სამყაროში და ადვილად აიხსნებიან ამ სამყაროს საფუძველზე ქსნის ხეობის სინამდვილეში. მთელი ეს მოთხრობა მის ავტორს (ბანდაისძეს?) ფეოდალური იდეოლოგიის (ლარგვისის მონასტრის მამასახლისისა და ქსნის ერისთავის იდეოლოგიის) მიხედვით აქვს გამართული და უფრო ძველს ელემენტს, თუ ასეთი არის რამ აქ, სქელი შრე ჰფარავს. ამიტომ, ვინც სხვა მასალას ამ თვალსაზრისით არ დაჰკვირვებია, მას აქ წარმოდგენილი მითითება ვერ დააკმაყოფილებს...

გვ. 35. ქურუმთა გაბატონებულ სოციალურ კლასად ქცევის პროცესზე საუბრისას, რომლის სათანადო არგუმენტაციაზე „უადგილობის გამო“ ის ვერ ჩერდება (sic), პროფ. ს. ჯანაშია გვეუბნება: „ეს პროცესი დაიწყო და ვითარდებოდა სამხრეთის ერთერთ შორეულ რაიონში, საიდანაც, როგორც ვფიქრობთ, ქართველი ტომები მოსულნი არიან თავიანთ დღევანდელ სამშობლოში“. უეჭველად მძიმე მდგომარეობაა, როცა ავტორს ასეთი არგუმენტით სჭირდება წამოყენებული დებულების შემაგრება. ქურუმთა გაბატონებულ სოციალურ კლასად გადაქცევის ახსნა აწინდელ საქართველოს ტერიტორიაზე ძნელი ჩანს... საჭირო ხდება ამ პროცესის წამოწყება-განვითარება სხვაგან, საამისოდ უფრო მარჯვე პირობებში... მაგრამ აქ ხომ უმალ პრობლემათა მთები წარმოდგებიან და საკითხთა კორიანტელი?..

1. ცხოვრობდნენ კი „ქართველი ტომები“ „სამხრეთში“? 2. სად ცხოვრობდნენ? 3. თუ იქ ცხოვრობდნენ, მოვიდნენ კი? ან იქნებ აქაც ცხოვრობდნენ? 4. თუ საგვარეულო ყოფაგავლილი, მიწათმფლობელნი, გაბატონებული ქურუმთა კლასით მოვიდნენ, რით და როგორ აუხსნათ ჩვენი მთიელების საგვარეულო წყობა? „მეორადობით“? ამდენი — და კიდევ მეტი — გადაუჭრელი საკითხების შემცველი არგუმენტის მოტანა, ვფიქრობთ, ვერაფერ სიმტკიცეს შემატებს დასამტკიცებელ დებულებას.

გვ. 37—38. მეფის ხელისუფლების მეტნაკლებად თ ე ო კ რ ა ტ ი უ ლ ი ხ ა ს ი ა თ ი წინაფეოდალურ საქართველოში ჩვენ ავტორთან ერთად დასაშვებად მიგვაჩნია (და ეს სტრაბონისეული იბერიის სოციალური ხასიათის ცნობათა ინტერპრეტაციისაგან დამოუკიდებლად). მაგრამ ესაა ჰიპოთეზი, რომლის დამტკიცება ვალად გვაწევს. არავითარი პირდაპირი საამისო ჩვენება იმ დროიდან ჩვენ არგაგვაჩნია (სტრაბონიც ხომ იბერია-კოლხეთში საამისოს მცირედ უჩვენებს...). ასეთ პირობებში „მერმინდელ ფეოდალურ საზოგადოების ზოგიერთ მოვლენაზე“ დაკვირვება არის „ზიარების მისწრება“, როგორც იტყვიან. ავტორი მიუთითებს რამოდენიმე მოვლენას და უცბად: „ყოველივე ამის შესახებ დაწვრილებით თავის ადგილას ვიმაუბრებთო“ გვპირდება. ჩვენ კი გვეგონა, რომ ამაზე უკეთესი „თავის ადგილი“ ასეთ საუბარს არსად ექნებოდა... პროფ. ს. ჯანაშიას საინტერესო დაკვირვებები დამტკიცებას საჭიროებენ. უამისოდ ისინი უკეთეს შემთხვევაშიაც კი ავტორის გონების სიმახვილის მოწმობად დარჩებიან მხოლოდ. ავტორის მიერ მითითებული ყველა მოვლენა თავისუფლად აიხსნება გვაროვნული თუ ფეოდალური ურთიერთობის ნიადაგზე და მათი თეოკრატიული ელემენტის გარდანაშთად წარმოდგენისათვის მართლაც „დაწვრილებითი საუბარი“ იყო საჭირო.

31—56. გვ. თავი „უძველესი პოლიტიკური ისტორია“ ფრიად საინტერესო ცნობებს შეიცავს. მოტანილია მრავალი ახალი ცნობა, გამოყენებულია აქამდის უყურადღებოდ მდებარე ფაქტები... სწორია და მართებული რომის მიზნების განსაზღვრა ამიერკავკასიაში და მონათვაჭრობის საკითხის უპირატესობა ამ მიზნებში. მაგრამ აგრე მოხდენილად და დამაჯერებლად არ გამოიყურება ა ნ ი კ ე ტ ი ს ა ჯ ა ნ ყ ე ბ ი ს ე პ ი ზ ო დ ში „სედოხეზების“ მეფის მონათმფლობელური ინტერესები... აჯანყებული პონტოელები მიინდო ადგილობრივმა მთავარმა. ამაში ის თავისთვის სარგებელს ჰხედავდა (ფული, რომაელთაგან გათავისუფლება...). როცა სახიფათო მდგომარეობა შეიქმნა (გაცემა მოსთხოვეს, ჯილდოს შეჰპირდნენ, თუ არა ომით დაემუქრნენ), სედოხეზების მეფემ თავის

დაღუპვას სტუმრის დაღუპვა არჩია... არ ვფიქრობთ, რომ საჭირო იყოს აქ „ალბათ მონათმფლობელი“ „სედოხეზების“ მეფის კლასობრივი დაპირისპირება პონტოელ ლტოლვილთადმი. (ამათი მონობაც ხომ დასამტკიცებელია: აზატ ანიკეტის ჯარში უმთავრესად პონტოს სანაპიროს ხალხები იყვნენ...). აქ ყველაფერი ბუნებრივად წყდება. პირიქით, საკითხის ტყუილუბრალო გართულებად გამოიყურება ანიკეტის მეთაურობით მომხდარი აჯანყების „მონათა აჯანყებად“ გაგება (ტაციტუსი აქ სიტყვა-სიტყვით გასაგები არაა), სედოხეზების მეფის მონათმფლობელად გამოცხადება და ამ ნიადაგზე მისი მოქმედების ახსნა.

გვ. 57—58. სრულიად საფუძვლიანია მსჯელობა მძიმე აბჯრის მნიშვნელობის შესახებ „ერის“ სოციალური დიფერენციაციის საქმეში. შეიარაღების სახეობის დათარიღება ამიტომ უაღრესად მნიშვნელოვანი ამოცანაა. ავტორი ამოჭრებს ცნობებს სომეხთა და ალბანელთა შეიარაღების შესახებ. სამართლიანად ვარაუდობს ასეთივე შეიარაღებას იბერიის შესახებ... ამით ათარიღებს და აცხადებს „არის სხვათა მოსაზრებებიც, რომლებიც ამასვე გვარწმუნებს, მაგრამ აქ მათზე ვერ შევჩერდებით“ (გვ. 60). ვფიქრობთ, ნაშრომი მოიგებდა, ავტორს რომ მოეცალა იმის გამოსარკვევად, თუ როდის შემოდის ესა თუ ის შეიარაღება, ორიგინალურია ის თუ ნასესხებია, თუ ნასესხებია საიდან და როდის? სამხედრო იარაღისა და შეიარაღების უძველესი ტერმინების ამოკრება-შესწავლა, თუ არქეოლოგიურ მონაპოვართა ამ თვალსაზრისით გათვალისწინება, უეჭველია, საგულისხმიერო დასკვნების მიღების საშუალებას მისცემდა ავტორს...

გვ. 64. განსაკუთრებულია საკითხი იბერიაში მევენახეობის შესახებ. არავითარი პირდაპირი ცნობა სოფლის მეურნეობის ამ კულტურის შესახებ იბერია-კოლხეთში ავტორს ამ უძველესი დროისათვის არ მოეპოვება. ამავე დროს, მისი აზრით „მევენახეობის და მეღვინეობის განვითარებას სოფლის მეურნეობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ეთამაშა“. ავტორის თქმით „ვენახსა და ღვინოს ქართველი ტომები, საფიქრებელია, თავის ძველ სამშობლოშიაც იცნობდენ, მაგრამ განსაკუთრებული წონა მეურნეობაში მევენახეობას ახალ ტერიტორიაზე დამკვიდრების შემდეგ უნდა მიეღო“ და აქაც გვპირდება ავტორი, „ამის შესახებ სპეციალურ ნარკვევში ვისაუბრებთ“-ო. ვფიქრობთ, ჯერ სწორედ ეს სპეციალური ნარკვევი იყო საჭირო და მერმე კიამ ნარკვევის მიღწევათა გამოყენება...

შემდეგ ავტორს მოჰყავს სტრაბონის ცნობა ბოსფორელთა მევენახეობა-მეღვინეობის შესახებ და რატომღაც „ს ა ფ ი ქ რ ე ბ ე ლ ი ა“, რომ იბერიის მევენახეობის განვითარების ლონე უფრო ახლოს ამათთან იდგა, ვიდრე ალბანიის (ჰერეთი, გაღმა მხარი!!) მევენახეობასთან, რომლის შესახებ სტრაბონი არაა მაღალი წარმოდგენის... ბოსფორში კი ეს კულტურა საკმაოდ მაღალ საფეხურზედ იყო ასული. აქ ვაზი დაბლარი იყო და ღვინოს ბოსფორელებისათვის სამრეწველო მნიშვნელობა ჰქონდა. შემდეგ ავტორი იმოწმებს სტრაბონის ცნობებს ტანაიდში (აზოვი) ბოსფორიდან ზღვით მოსულ ხალხებსა და ბარბაროს ნომადებს შორის ვაჭრობის შესახებ, სადაც, თურმე, ღვინო ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სავაჭრო საქონელთაგანი იყო და განაგრძობს: „ამ ღვინის მუშტარ ტომებს სამხრეთიდან სწორედ საქართველო (კერძოდ და პირველ რიგში — იბერია) ეკრა. ამიტომ სრულიად ბ უ ნ ე ბ რ ი ვ ი ა მ ი ვ ი ღ ო თ*, რომ მათ ღვინო ქართველ (კერძოდ — იბერიის) ტომთაგანაც შ ე ე ძ ლ ო თ*, შეეძინათ. იბერიასთან სარმატიას ისეთი ჩინებული გზა აკავშირებდა, როგორიცაა დარიალის ხეობა. მ ა შ ა ს ა დ ა მ ე*, იბერიისთვისაც ამ დროს უკვე მეღვინეობას სამრეწველო მნიშვნელობა შ ე ი ძ ლ ე ბ ა* ჰქონდეს, შესაბამისად, თვით კულტურაც (აქ ყოველთვის, უწინარეს ყოვლისა, იბერიას ვგულისხმობთ) შედარებით მაღალი უ ნ დ ა ი ყ ო ს. ვენახი იბერიაში დაბლარია, ჩანს (სტრაბონის შენიშვნები ალბანურ ვენახების მდგომარეობის შესახებ ა ლ ბ ა თ* აგრეთვე დაბლარს გულისხმობენ).

რაკი მეღვინეობას სამრეწველო ხასიათი შ ე ი ძ ლ ე ბ ო დ ა* ჰქონოდა, სათანადო მეურნეობანიც უ ნ დ ა* გაჩენილიყვნენ. მოთხოვნილების ზრდას ამ საქონელზე სათანადო მეურნეობათა გაფართოების ცდა უნდა გამოეწვია და შესაბამისად, საჭირო მუშახელის საკითხიც უნდა გაეჩინა“. შემდეგ ავტორი განაგრძობს მსჯელობას იმის შესახებ, თუ როდის, როგორ და როდემდის შეიძლებოდა მონის შრომის გამოყენება მევენახეობაში და როდის უნდა შექმნილიყო „ეკონომიური შესაძლებლობა (თუ აუცილებლობა? — **ნ. ბ.**) მონის შრომის შეცვლისა ყმის შრომით“.

ცოტა ქვემოთ (გვ. 67) პროფესორ ს. ჯანაშიას მოჰყავს კოლხურ სავაჭრო საქონლის სია, სტრაბონს რომ აქვს დაცული, და ურთავს: „ასეთივეა, ს ა ფ ი ქ რ ე ბ ე ლ ი ა*, იბერიის ბაზრის მდგომარეობაც. აღნიშნულ საქონელს უნდა დაუმატოთ, ზ ე მ ო თ ქ მ უ ლ ი ს მ ი ხ ე დ ვ ი თ, ღ ვ ი ნ ო ც ა და განსაკუთრებით კი, მონებიც“.

* ხაზგასმა ყველგან ჩემია (ნ. ბ.).

ჩვენ თითქმის მთლად მოვიტანეთ ავტორის მსჯელობა მეღვინეობის შესახებ იბერიაში, რომლის მოსმენის შედეგად, ვფიქრობთ, შეიძლება მხოლოდ ითქვას: სანამ სპეციალური ნაშრომი არაა წარმოდგენილი, რომლითაც ამ დროის იბერიაში განვითარებული მევენახეობა-მეღვინეობა უცილობლად იქნება დამტკიცებული, ბოსფორის და ალბანიის მევენახეობა-მეღვინეობის მიხედვით საუბარი იბერიის ამ სამეურნეო კულტურაზე მის ეკონომიურ და სოციალურ მნიშვნელობაზე მეცნიერულად დამაჯერებელი არ შეიძლება იყოს და ავტორის მსჯელობა უკეთეს შემთხვევაშიაც კი მწყობრად აგებულ შ ე ს ა ძ ლ ე ბ ლ ო ბ ა ს არ გადასცილდება.

გვ. 100—ჯვარზე, როგორც ფეოდალური რელიგიის და იდეოლოგიის სიმბოლოზე, საუბრისას პროფ. ს. ჯანაშია წერს: „ჩვენ ვთქვით, რომ როდესაც ჯვარისათვის ხეს ეძებდნენ ცდილობდნენ საუკეთესო, ყველაზე ძვირფასი ხე შეერჩიათ. მევენახეობა წამყვანი კულტურა იყო ქართული ფეოდალიზმისათვის და საუკეთესო მასალად ქრისტიანობის სიმბოლოსათვის სათანადო საზოგადოებრივ წრეში სწორედ ის მცენარე მიიჩნიეს, რომელიც ამ წამყვანი კულტურის მატარებელია“. ეს დებულება სარწმუნოდ გამოიყურება იმ პირობით, თუ ვიგულისხმებთ, რომ ლეგენდა ნინოს ჯვრის შესახებ VIII—IX საუკუნის შემოქმედებაა, როდესაც, სარწმუნო ისტორიულ ჩვენებათა მიხედვით, მევენახეობა-მეღვინეობა მართლაც წამყვანი სამეურნეო დარგი შეიქმნა ქართული ფეოდალიზმისათვის და როდესაც, როგორც სამართლიანად ჰგონებენ, ნინოს ცხოვრება გადააკეთეს (თუ ახლად შექმნეს). ამ დროს, და შეიძლება ცოტა უფრო გვიანაც, უნდა მომხდარიყო „ვაზის რტოდ“, „ვენახის რქად“ განმარტება „მოქცევაჲ ქართლისაჲ-ს“ „ნ ა ს ხ ლ ე ვ ი ს ა“, სადაც მაინცა და მაინც ვაზის ნასხლევის ვარაუდი სრულიადაც არაა სავალდებულო. პირიქით, იქ, სადაც ნინომ ეს ჯვარი შექმნა, მცხეთას, მეფის სამოთხის ახლოს, მაყვლის ბუჩქში, ყველაზედ ნაკლებ ვაზის ნასხლევია მოსალოდნელი. რაც შეეხება ჯვრისათვის უძვირფასესი ხის მასალის შერჩევის წესს, არსად ჩანს, რომ ასეთი ჯვრები ვაზის ხისაგან კეთდებოდა (მაგალითად, მირიანის დროს შექმნილი ჯვრები...). ნინოს ჯვარი კი, პირიქით, უ შ ვ ე რ ი მ ა ს ა ლ ი ს ა გ ა ნ ი ყ ო შ ე ქ მ ნ ი ლ ი: მის მაშინდელ პირობებს სწორედ ეს შეეფერებოდა... და ჯვარი ამ უშვერ მასალისაგან ქვეყნის მომაქცეველი შეიქმნა... ნაგვიანევ გადამკაზმელებისათვის ასეთი აზრი აგრე წარმტაცი როდი იყო, და მათაც, თავიანთი დროისდა შესაფერისად, ეს უშვერი ნასხლევი უძვირფასესი მცენარის ნასხლევად გამოაცხადეს ისევე, როგორც თვით

ამ ჯვარის შემქმნელი ნინო ტყვექალობიდან მთავრის ქალად გარდაიქმნა...

ასე რომ მევენახეობის მნიშვნელობის საკითხი ძველს იბერიაში (IV ს.) ამ მაგალითით ვერ გადაწყდება. პროფ. ს. ჯანაშიას დასკვნა უდავოდ სწორი ჩანს VIII—X საუკუნეებისათვის, მაგრამ ამ ნაგვიანევ დროს სრულიად ზედმეტი ჩანს ასეთი ხერხი ქართლში მნიშვნელოვანი მევენახეობის დასადასტურებლად: საამისო პირდაპირი მოწმობებიც ჩვენ მრავლად მოგვეპოვება.

147 გვ. ცნობა ვახტანგ გორგასალის სიკვდილის შესახებ მონაყოფილის მიერ ჩვენ ნაგვიანევი ლეგენდიდან შემოტანილი გვგონია, (თვით ამ ცნობის შემცველი მოთხრობა მაინც და მაინც XI საუკუნის მიწურულზედ ადრინდელი არ შეიძლება იყოს). ლეგენდები ვახტანგ გორგასალის შესახებ არა ერთია დაცული. ამიტომ არც „სპეციალური“ ყურადღების ღირსად მიგვაჩნია ეს ცნობა. პროფ. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა ს ც დ ა, ღ რ მ ა ს ო ც ი ა ლ უ რ ი ს ა ფ უ ძ ვ ლ ე ბ ზ ე ა ხ ს ნ ა ს ე ს გ ა დ მ ო ც ე მ ა (რომლის სინამდვილეში, ჩანს, მას ეჭვი არ შესდის), მ ო ნ ა თ ა კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ი ბ რ ძ ო ლ ი ს ა ქ ტ ა დ გ ა ი გ ო ს ი ს, ვ ე რ გ ა მ ო ი ყ უ რ ე ბ ა დ ა მ ა ჯ ე რ ე ბ ლ ა დ.

მართლაც და ქრისტიანობამ გაანადგურა მონათმფლობელი ქურუმების კლასი და თვით ფეოდალურ წესზედ მოეწყო. „ერი“ წვრილ მესაკუთრე მწარმოებლის სახით განაგრძობს არსებობას (თემები). აზნაურ-წარჩინებულნი ფეოდალურ წარმოების წესის წარმომადგენელნი არიან, ხოლო „ყმის შრომის ექსპლოატაციას“ თავდაპირველად, ყველაზე ადრე სეფე-სახლი, სამეფო სახლი ეწევა“. სეფე მეურნეობა (მესეფეებით-კოლონებით-გლეხებით) არის დამახასიათებელი სამეფო სახლისათვის... მაგრამ ეს ხომ ფეოდალური მეურნეობის ერთ-ერთი სახეობაა (ე. წ. „აზიური წარმოების წესი“)... სადღაა აქ ადგილი მონური შრომის ექსპლოატატორთა საზოგადოებრივ ფენისათვის, რომელსაც თურმე მეფის ხელისუფლება ეყრდნობა (სხვათა შორის) დიდ აზნაურებთან ბრძოლაში? განა სერიოზულად შეიძლება მსჯელობა წვრილი ერის, როგორც „იმდროინდელ მონურ შრომის ექსპლოატატორთა უმრავლესობის“ შესახებ? მონები, რა თქმა უნდა, შეიძლებოდა ჰყოლოდათ წვრილებსაცა და სხვილებსაც (და ჰყავდათ კიდეც), მაგრამ აქ საკითხი არა თითო-ოროლა მონის ყოლაშია (ასეთი რამ შემდეგაც, ფეოდალური ურთიერთობის მთელს სიგრძეზე გვხვდება ჩვენ), არამედ იმაში, იყო თუ არა ამ დროს იბერიაში მონათმფლობელური წარმოების წესის გამამართლებელი პირობები და არსებობდა თუ არა ისეთი სოციალური კლასი, რომელიც ამ წარ-

მოების წესს ემყარებოდა. არა გვგონია ვინმემ უკანასკნელი კითხვის საპასუხოდ წვრილი ერი დაასახელოს... ვინღა ღარჩა?.. ამ-ღენადვე ქართლში „მონათა და მონაყოფილთა მოძრაობის შესახებ“ ცნობა თუ არის ოდესმე საძიებელი, ეს, ყოველ შემთხვევაში, არა ვახტანგ გორგასალის დროს, არამედ გაცილებით უფრო ადრე... ამიტომ, ვფიქრობთ, უფრო მართებული იქნებოდა, რომ ავტორი შეჩერებულიყო მის მიერვე გამოთქმულ იმ სწორ მოსაზრებაზე, რომ ცნობა ვახტანგ გორგასალის მოკვლის შესახებ მონაყოფილის მიერ „კერძოობითი შემთხვევის შთაბეჭდილებას სტოვებს“...

13 გვ. I და 68 II*. ერანელთა მიერ ქართლის დახარკვაზე საუბრისას პროფ. ს. ჯანაშია მსჯელობს: „საზოგადოდ ფულადი გადასახადები, გარკვეულ დონემდის, ხელს უწყობენ ნატურალურ მეურნეობის შიგნით სასაქონლო და ფულად ურთიერთობათა ზრდას“... ეს დებულება აქ მოსატანი ვერ არის. ფულადი გადასახადი ასეთ ეფექტს მაშინ იწვევს, როცა ის თვით არის სასაქონლო და ფულადი ურთიერთობის ზრდის შედეგი და როცა ეს გადასახადი უცხოეთში კი არ მიედინება უექვივალენტოდ („ხარკის“ სახით), არამედ აქვე ქვეყნის შიგნით დატრიალდება თავისი საკუთარის თუ მისი ექვივალენტის სახით. უ ც ხ ო ე ბ ი ს ხ ა რ კ ი ა რ ა ს დ რ ო ს დ ა ა რ ა ვ ი თ ა რ პ ი რ ო ბ ებ ში ა რ ე მ ს ა ხ ურ ებ ა ხ ა რ კ ი ს გ ა დ ა მ ხ დ ე ლ ს ა ზ ო გ ა დ ო ებ ის ს ა ს ა ქ ო ნ ლ ო დ ა ფ უ ლ ად ურ თ ი ე რ თ ობ ის ზ რ დ ას.

პროფ. ს. ჯანაშიას ასეთმა გამოთქმამ შეიძლება საცთური შეუქმნას ვისმე, თითქო ავტორი უცხოელთა მიერ დაპყრობას რაიმე შემთხვევაში დადებით ფაქტად აღიარებდეს...

სამწუხაროდ, ასეთ აზრს ავითარებს და იცავს „საბჭოთა ეთნოგრაფიის“ ფურცლებზე (№ 5) ვინმე დ ე გ ე ნ კ ო ვ ა ლ ე ვ ს კ ი. ის დადებითად შეაფასებს ს ურ ენ ე რ ე მ ი ა ნ ი ს ნაშრომს და კერძოდ ამ ნაშრომის იმ ადგილს, სადაც თურმე ფეოდალურად უფრო წინწასული ერანის მიერ ქართლის დაპყრობა VI საუკუნეში პროგრესულ მოვლენადაა შეფასებული.

ერთი შენიშვნაც (გვ. 92 II, 100 I) წყისეს ქვა-ჯვარის შესახებ. მიწის ნასყიდობის ეს უძველესი დოკუმენტი მართლაც უდიდესი ყურადღების ღირსია.

პროფ. ს. ჯანაშია ორგზის ეხება მას. პირველად (წიგნი 1, 92) ის ამბობს: „ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესო ის გარემოებაა,

---

* იგულისხმება ს. ჯანაშიას ნაშრომი: ფეოდალური რევოლუცია საქართველოში, თბ. 1935, (რედ.).

რომ მიწის გასხვისების (გაყიდვის ფორმით) ფაქტი დოკუმენტალურად დამტკიცებულია მეექვსე საუკუნისათვის და ისიც საკმაოდ მაღალ ზონაში და საკმაო მოშორებით ცენტრალურ რაიონებიდან". მეორე ადგილას ავტორი ცოტა განსხვავებით გამოსთქვამს: „ეს არის მოღწეულთა შორის უძველესი დოკუმენტი, რომელიც აშკარად მოწმობს, რომ მეექვსე საუკუნის დამლევს თუ მეშვიდე საუკუნის დამდეგს მიწა ყიდვის და, საერთოდ, თავისუფალი გასხვისების საგანია. ამ უფლების, ფეოდალური საადგილმამულო უფლების გარეგანი გამოხატულებაა სწორედ აქ ეს ქვა-ჯვარი".

უკანასკნელი მსჯელობა უფრო სრულია და სწორი თითქო, მაგრამ ნაკლებ კონკრეტული.

ჩვენ კი ვფიქრობთ, ამ დოკუმენტში უფრო მ ე ტ ი ა მოცემული, ვიდრე ამას პროფ. ს. ჯანაშია გამოსთქვამს.

1. ამ დოკუმენტში მარტო მიწის ყიდვის აქტი როდია აღნიშნული. აქ აღბეჭდილია როგორც ყიდვა მიწის, აგრეთვე შეწირვაც. მოვიტანოთ ტექსტი: „ესე ჯუარი ქრისტესი მე, კოსტანტი, ძემან სტეფანესმან და გუდასმან აღჰუმართე, სახელსა მცხეთისა ჯურისასა, ნასყიდევსა ქუეყანასა ზედა, შაჰრამანსა ა, საცოდ (სალოცველად?) ჩუენდა, ცოლისა და შვილთა. ნონბერსა იზ. ამენ". ეს არის მოწმობა არა მხოლოდ „ქუეყნის ნასყიდევობისა", არამედ ამ ნასყიდევის შეწირულობისაც. ამას მოწმობს გამოთქმა: „სალოცველად ჩუენდა ცოლისა და შვილთა". ჩანს, ადგილობრივ სალოცავს — „მცხეთის ჯუარს" შესწირა კოსტანტიმ „ნასყიდევი ქუეყანა". ამის შემდეგ განსაკუთრებით საინტერესო ხდება აღნიშვნა, რომ კონსტანტიმ „ჯუარი აღჰუმართა" „ნასყიდევსა ქუეყანასა ზედა". იბადება საკითხი: სალოცავისადმი მიწის ნაკვეთის შეწირვისას რატომ დასჭირდა კონსტანტის მისი ნასყიდევობის აღნიშვნა?

ვინც იცნობს ქართულ ფეოდალურ ურთიერთობის ამ ინსტიტუტს (შეწირულობას). მისთვის პასუხი ნათელია: ნასყიდევობის სპეციალურად აღნიშვნა იმიტომ იყო საჭირო, რომ მ ხ ო ლ ო დ ა ს ე თ ი ფ ო რ მ ა შ ე წ ი რ ვ ი ს ა ი ყ ო მ ტ კ ი ც ე დ ა შ ე მ წ ი რ ვ ე ლ ი ს მ ე მ კ ვ ი დ რ ე თ ა მ ი ე რ დ ა რ ღ ვ ე ვ ი ს ა გ ა ნ („გამოწირვისაგან") უ ზ რ უ ნ ვ ე ლ ყ ო ფ ი ლ ი. ამიტომ იყო, რომ დიდი მამულისა და ქონების პატრონი ფეოდალებიც კი განსაკუთრებით ყიდულობდნენ შესაწირავ ობიექტს (მიწას). კახა თორელის მოწმობა ამ მხრით კლასიკურია: ეს ფეოდალი სწირავს რკონის მონასტერს სოფელ ხოვლეს, რომელიც მან საგანგებოდ იყიდა 60.000 თეთრად. ის ამბობს: „პატრონმა მამამ ჩემმა ეზომი მამული დამიგდო, რომე, თუცა სხუა რომელი მამულისა სოფე-

ლი შემომეწირა, ესეც ხელმეწიფებოდა, მაგრა, თუ შვილი მომეცემის, მას არ ვემართლები, და თუ შვილი არ მომეცემის, ჩემთა ძმათა არ უზმიდი და ჩემგან ნასყიდი უკეთ დაგრჩებოდა" (ქრონიკები, II, 133).

ეს მოვლენა ერთობ ცნობილი და გასაგებია და მასზე სიტყვის გაგრძელებაც არ ღირს.

ამრიგად, წყისეს წარწერაში ჩვენ გვაქვს არა მარტო მიწის მცირე ნაკვეთის კერძო საკუთრებად ქცევის ფაქტის დადასტურება, არამედ დამოწმებული გვაქვს ის გარემოებაც, რომ ქართლის საზოგადოება VI—VII საუკუნეში უკვე იცნობს მიწის საკუთრების სხვადასხვა ფორმას („მამულს" „ნასყიდევს", „შეწირულს" და, უნდა ვიფიქროთ, „ნაწყალობევს").

ასეთივე ფაქტი ნასყიდევი ქვეყნის შეწირვისა (მონასტრისადმი) ამავე ხანიდან ჩვენ სხვაც მოგვეპოვება, გიორგი მეფე 1170 წლის შიომღვიმის მონასტრისათვის ბოძებულ განახლების სიგელში შეუვალობას უმტკიცებს მონასტრის საქონებელთ. აქ სახელდობრ ჩამოთვლილია მონასტრის საქონებელი ისე, რომ თითოეულ სახეს ამ საქონებლისას თან ახლავს მისი იურიდიული დასაფუძვლება. აშკარად ჩანს, რომ მეფეს განუხილავს საამისო საბუთები და შემდეგ მხოლოდ განუახლებია ისინი ერთიანისიგლის ბოძების სახით: სხვათა შორის (და პირველ თავში!) აქ დასახელებულია „სოფელი სხალტბაი და მათი კერძი გოროვანი წმიდისა ევარგესგან მოსყიდული". როგორც ზემორე შევნიშნეთ, გიორგი მეფის საბუთის ხასიათი ეჭვს არ უნდა სტოვებდეს იმაში, რომ XII საუკუნის 72-იან წლებში შიომღვიმის მონასტერში ჯერ კიდევ დაცული იყო ის დოკუმენტი, რომლითაც „წმიდა" ევაგრეს მისგანვე „მოსყიდული", ე. ი. ნასყიდი სხალტბა და გოროვანის ნაწილი შეუწირავს მონასტრისათვის. საეჭვო აქ არც ამ „წმიდა" ევაგრეს ვინაობა ჩანს, ის იყო შიო მღვიმელის თანამოღვაწე და ხსენებული მონასტრის მეორე მამა. ამიტომ ევაგრეს მიერ სოფლის „მოსყიდვა" და მონასტრისათვის მისი შეწირვა იმავე დროსია დაახლოებით (თუ უფრო ადრინდელი არა), რაც წყისეს წარწერა.

ჩვენი მცირე შენიშვნები ამოვწურეთ. შეიძლება მეტიც შენიშნულიყო — (ამას, ალბათ, პროფ. ს. ყაუხჩიშვილი დაასრულებს), მაგრამ აქ აღნიშნული დეფექტები იმ მიღწევებთან შედარებით, როგორიც ამ დიდ ნაშრომს ახასიათებს, მცირეზედ მცირეა. შეიძლება უფრო არსებითი ხასიათის დეფექტიც აღმოაჩნდეს ამ ნაშრომს ახალი ფაქტების მოპოვებისა თუ არსებულის კიდევ მეტის

დაღრმავებით შესწავლის შედეგად, მაგრამ ეს მომავლის საქმეა... დღეს კი, ყოველ შემთხვევაში, ეს შრომა მეცნიერულად დასაფუძვლებული ახალი სიტყვის თქმის საუკეთესო ცდაა საქართველოს ისტორიის აღნიშნული პერიოდის შესწავლის საქმეში.

ამდენადვე პროფ. ს. ჯანაშიას გამარჯვება ამ დიდ საქმეში უდავოა.

საძიებლები

1. გეოგრაფიული სახელები

აბაზგია 44
აგარა 196, 219
ადერბეიჯანი (აზერბაიჯანი) 77, 79, 80, 278, 319
აზია 60
აზოვი 378
ათონის მონასტერი 8
ალაზანი მდ. 269, 273
ალაქინი 220
ალბანია 378, 379
ალვანეთი 253 შენ.
ალვანია 253 შენ.
ალი 290
ალმუთი 21
ამიერკავკასია 255 შენ., 256 შენ., 264, 266, 284, 272, 273, 331, 349, 376
ანაკოფია 45 შენ., 278, 285, 286
ანგროინი 204
ანისი 12, 65, 66
ანტიოქია 11, 47
არაგვი 114
არაზი მდ. 272
არგვეთი 123, 125, 126.
არგუითი (sic, ნ. ბ.) 196
არდაველი 272
Армения 296, 343
არრანი 79, 80
ასპინძა 352
ატენი 148, 251, 290
ატენის ციხე 217 შენ.
აფშილეთი 278
აფხაზეთი 18 შენ., 26 შენ., 45, 45 შენ., 47, 47 შენ., 48, 49, 51, 51 შენ., 188, 234, 274, 277, 278, 278 შენ., 279 280, 281, 284, 285, 287, 288, 346—353
აფხაზეთი (აბაზგია) 42, 43, 44
ალსტეეი 84
აყსუ მდ. (ძვ. თეთრი წყალი) 257
აჭარა 307, 347, 349
ახალდაბა 251
ახალუბანი (მეჯვრისხევი) 165, 165 შენ.
ახალციხე 47 შენ. 275, 280, 281, 347
ახლოაღმოსავლეთი 62, 59, 284, 341

ბაბერდი 70
ბაბილოვანი 79
ბათომი 280, 281, 286, 307, 347
ბაიდარი 266, 274
ბანა 69
ბანძა 285
ბარეევანი 176
ბარკუშათი 85
ბასიანი 69, 70
ბედია 52, 278, 285, 286
ბეკამი 148
ბელა (? ნ. ბ.)209
ბელაქანი 270
ბზიფი მდ. 278
ბიზანტია 8, 33, 34, 44, 45 შენ., 48, 49, 58, 82, 254, 318
ბიკვინტა 48, 52, 153, 155, 279, 285, 286, 348
ბობოთი 169
ბოლნისი 151
ბოროტენი 100; — ციხე 86, 97
ბორჩალუ 266, 274
ბორცვისჯვარი 220
ბორჯომის ხეობა 68
ბოსფორი 378, 379
ბროწლეთი 216
ბურნაშენის ეკლესია 238
ბღენი 100
ბჭითი 220

ბაგი 163
გაგრა 278

გავაზელნი (სოფელი) 22, 40, 197, 201, 202, 220, 221
გავაზის წყალი მდ. 273
განძა 77, 80, 163, 237, 255, 256 შენ.
განჯა 256, 268, 273
გარნისი 87, 88
გეგუთი 307
გელათი 28, 34, 35, 125, 196, 197, 207, 307
გელაქუნი 84, 100
გილანი 273
გიორგის ეკლესია (დიღომში) 159
გიში 258
გიშის ციხე 256
გიშის წყალი მდ. 256
გჯულჯუკ 271
გოგამი 270
გოგოლეისუბანი 154
გომი 213
გორი 251, 289, 290, 291, 292
გორის ციხე 291
გოროვანი 219, 220, 383
Грузия 55 შენ. 249, 342, 343
გუდა, გუდაყვა (გუდავა?, ნ. ბ.) 51, 52, 382
გუდას საეპისკოპოსო 51
გუთენი 92
გურია 58, 284, 307

დაოთი 220
დარიალი 290
დედაქალაქი წმ. (მცხეთა) 242 შენ.
დრანდა 285
დასავლეთ ევროპა 331, 332
დაღისტანი 261, 263, 264, 265, 272, 276
დემურჩი ასალუ 266
დვინი 84
დიდგორი 359
დიდი ლავრა (ათონი) 230
დიღომი 159

ეგრისი 278, 288
ეგრის წყალი მდ. 235
ედესი 18
ელარი 84
ელისენი 258, 266
ელისუ 273
ელისუს სასულტნო 265, 266

ენისელი 140, 271, 273
ერანი 80, 262, 263, 264 265, 272 284, 285, 381
ერგნეთი 215
ერენონა 87, 100
ერენჯაკის ციხე 79
ეღეგი 100
ეღეგიქი 85
ერწუხი 255

ვაიცძორი 84, 85, 87, 100
ვანის-ვაკე 70
ვარაზი 211
ვარდიანი (გჯულჯუკ) 271
ვაშლოვანი 70
ვაჰანის მონასტერი (ჯავახეთში) 13
ვედი 100
ვირშის მთავარანგელოზი (მონასტერი) 216

ზარნა 266
ზაქათალა 270, 271
ზიღანეოს 43, 52
ზორაკერტი 163
ზუგდიდი 307

თავრიზი 273
თალა 270
თბილისი 128 შენ., 163, 251 254, 290, 297, 345, 351
თეთრი წყალი მდ. (აწინდელი აყსუ) 257; — მონღ. ჩალან უსუ 258, 259
თელავი 271
თიანეთი 288
თიქაროანი 238
თმოგვი 162 შენ.
თორთომის თავი 70
თრიალეთი 159 შენ., 162, 162 შენ, 163, 220, 227

იბერია 43, 44, 49, 364, 369, 370, 371, 372, 373, 376, 377, 378, 380
იგოეთი 213
ივანწმინდა 220, 239
ივერია 255 შენ.
Иверия 268
იერუსალიმი 51 შენ., 62, 80, 199
იმერეთი 58, 116, 148, 274, 275, 282
იმიერკავკასია 24, 263

ინდოეთი 61
ინტაბუეთი 154
იორი მდ. 269
ირანი 332, 333
ირემეთი 239
Иремети 239 შენ.
ისპაჰანი (ისპაანი) 78,273
ისროლის ხეობა 168 შენ.

ჰაიენი 84
კავკასია 82 შენ. 203, 263, 273, 316, 317, 328
კაკ-ენისელი 263, 269, 270
კაკი 266
კაკის სასულტნო 265
კალეი-გურჯი (ქართველთა ციხე) 257
კამბეჩიანი 258
კაპოტის მდ. 278
კარი 162, 163
კარნუქალაქი 163
კარსანი 231
კასპი 213
კასპიის ზღვა 273
კასრის კარი 290
კატეხი 270
კახეთი 58, 117, 128, 251, 253, 254, 255, 258, 262.—273, 275, 279, 284, 347
Кахети 271, 276
კახი 271
კვახჭირი 198, 199, 207
კიევის სამეფო 61
კლარჯეთი 198, 223
კოდორი მდ. 288
კოლხეთი 307, 364, 376, 377
კონსტანტინეპოლი 10, 18, 42, 43, 44, 45 შენ., 48—51, 51 შენ.
კორიდეთი 207, 208, 238
კოტაიქსი 100
ყოხტასთაავი (ჯავეხეთში) 65, 321
Крым 128
კრცხილოანი 215
კრწანისი 359
კუტალა 234

ლაზიკა 42, 43, 43, შენ., 44, 48, 49, 52
ლარგვისის მონასტერი 375
ლაუშა 199
ლილო 117
ლიხთამერეთ-იმერეთი 47
ლიხთიმერეთი 10 შენ., 42, 48, 50, 51, 51 შენ., 52, 53, 94 შენ.
ლიხის მთა 278
ლიხნი 285, 286
ლორე 76, 77, 274
ლორე-ბამბაკი 266

მაზანდარი 273
მამრუხი 270
მანავი 271
მანგლისი 181, 227
მარტიროპოლისი 89, 89 შენ.
მატანი 127
მაღლაკი 125
მაწეხი 270
მაჭა 238
მესხეთი 98. შენ., 273
მეშაბაში 266
მეჯვრისხევი (ახალუბანი) 165
მეჯუდას ხეობა 165, 168 შენ.
მთიულეთის ხევი 375
მიჯნაძორის მონასტერი 176, 177
მიჯნაძორო 225, 226
მონღოლეთი 22, 65
მოსკოვი 127, 128, 264, 265, 296
მოუგონელთა 220
მოქვი 51, 285, 286
მტკვარი მდ. 202, 261, 266
მურღული 70
მუფარკინი 89 შენ.
მუღანის ველი 71
მუხახი 270
მუხრანი 114, 290
მღვიმე, ლავრა (შიომღვიმე) 227
მცირე აზია 69, 82
მცხეთა 43, 47 შენ., 49, 50, 51, 51 შენ., 59, 71, 126, 193, 198, 202, 203, 211, 212, 214, 216, 223, 223 შენ 224, 230, 240, შენ. 302, 379, 382
მძორეთი 251

ნადარბაზევი 213
ნასაკირალი 359
ნაძალადევი 359
ნაპარმაგევი 289
ნახჭავანი 78, 80, 81, 82
ნეფრკერტი (მუფარკინი) 89 შენ.
ნიგალის ხევი 70

ნიკოლოზი წმ. (ნიკორწმინდის მონასტ.) 123, 124, 125
ნიკორწმინდა (მონასტერი) 122, 169, 223, 224
ნიკოფსია 45, 48, 49
Nino-Tsminda 117 შენ.
ნიჩბისი 220
ნორვანქი 46, 84, 84 შენ. 86, 89, 91
ნუხი 253, 256

Ოლთისი 69
ონი 252
ოპიზა 125 შენ., 126 შენ., 176
ოპიზის მონასტერი 176, 193
ორბეთი 85
ორომაშენი 24, 201
ოროტა 234
ოროტენი 85, 97, 100, 103
ორწყალშუა 155
ოსეთი 229, 288
ოსმალეთი 263—266, 272—276, 280—286, 332, 333, 347, 348
ოდესა 296
ოძრხე 119

პალესტინა 59
პეტერბურგი 24, 108 შენ., 296, 342
პეტროგრადი 345
პეტრა 367
პონტო 377

რანი 253, შენ., 256, შენ.
რაჭა 123, 126
რახსი 163
რეი 79
რეისი (ქალაქი) 78
რეჭი 238
რკონი 205, 205 შენ.
რომი 364
Россия 116, 342
რუეთი 219
რუისი 135, 150
რუის-ურბნისი 7, 48 შენ.
რუსეთი 253, 264, 273, 281, 282, 292, 296, 302, 303, 312, 331-337, 340, 342, 345, 347-350, 359
რუსთაეი 175, 359
რუხი 282, 285

საარიშიანო 259, 260, 263
Саришиано 276
საბა (მონასტერი) 239, 240
საბანელა 207
საბედიანო 288
საბერძნეთი 235
სავანე 242, 242 შენ.
საინგილო 253
სალიანი 148, 290
სამეგრელო 58, 274, 284, 349
სამცხე 66, 70, 108, 119, 188, 279, 347, 349
სამცხე-საათაბაგო 58, 252, 280, 281
სამური მდ. 263
სარუბაში (სოფელი) 268
სასხორი 220
საჩხერე 252
სებასტოპოლი (ცხუმი) 43 შენ. 45 შენ. 48
სენაკი 252
სვანეთი 208, 209 შენ., 342, 375, 281
სვანთა ქვეყანა 93
სვეტიცხოველი 211, 213, 214, 215, 216, 217, 148 შენიშვნებში: 240, 241, 242
სივნიეთი 81, 82 შენ., 85, 85 შენ., 92, 99, 100
სირია 59
სკრა (ზემო სკრა) 159
საქართველო (იხ. **Грузия**) 13, 16 შენ., 22, 31, 37, 48 შენ., 58—62, 65—71, 73, 74, 80—83, 87, 88, 90, 93 შენ., 96 შენ., 97, 97 შენ., 98 შენ., 99, 101—103, 103 შენ. 106, 108, 110, 111, 117, 117 შენ., 118, 123, 124, 127, 135, 138, 153, 156—159, 186, 191, 193, შენ., 250, 251, 255, 256, 258, 260—263, 265, 266, 272, 273, 275—292, 293—304, 307, 310—312, 315, 316, 320, 322—325, 327, 331—337, 339—356 359—365, 374, 375, 378; დასავლეთ საქართველო 42, 68, 72, 252
სომხეთი 59, 73, 126, 127
სონთა ქვეყანა 92, 93
სოტერიოპოლისი 45 შენ.
სოხოისტა 285

სოხუმი 280, 281, 346, 349, 352
სპარსეთი 76 შენ., 78, 82, 126, 235, 237, 266, 269, 270, 273, 274, 281, 318
სპერი 70, 163
Σταυροπολις 45 შენ.
სხალტბა 219, 220, 383
სურამი 113, 251, 290

ტათევი 100
ტანაიდი (აზოვი) 378
ტაო 69, 70, 258
ტაო-კლარჯეთი 279
ტაშისკარი 68, 290
ტრაპიზონი 237
ტრძნისი 143, 145
ტფილისი 100, 235, 258, 361

უბნ (მონასტერი) 43 შენ.
უბისი (მონასტერი) 12
უდაბნო მღვიმე (შიომღვიმე) 173, 195, 200
ურბნისი 289
ურწი 100

ფანასკერტი 258
ფერხადი 220
Φάσιδος 43 შენ.
ფიფინეთი 263
ფიცე 220
ფოთი 48, 53, 54, 307, 347
ფოკა 161 შენ.
ფოკანი 46 შენ.
ფოსუ 234
ფოლაჰანქი 100
ფცა 146

ქალაქი (თბილისი) 264
ქალასრაჰი 78, 81
ქართველთა ლავრა (ათონზე) 173
ქართველთა მონასტერი (შამახიის ახლოს) 257
ქართლი 10 შენ., 13, 16, 17, 42, 43, 50, 50 შენ., 51, 51 შენ., 52, 58, 72, 76, 77, 117, 126, 223, 234, 235, 237, 253, 266-268, 275, 279, 289, 291, 332, 332 შენ., 347, 364, 365, 371, 373, 374, 380, 381
ქართლ-კახეთი 269, 275
ქვათახევის მონასტერი 207
ქვეში 214
ქიზიყი (ქისიყი) 117, 271
ქორდავი 214
ქსანი 136
ქუთაისი 21, 48, 52, 153, 307
ქურმუხის წყალი მდ. 268
ქცია-ალგეთი მდ. 262

ღვთისმშობლის ეკლესია ზემო სკრისა 159
ღოლოვნის მიწა 136, 137
ღრტილა 6, 33, 55
ღუერკი 203

ყაბალა 256
ყაზახი 260, 274
ყაზვინი 78, 273
ყანი-ყობი მდ. 265, 273
ყარაბულახი 272
ყარაღაჯი 271
ყარაყორუმი 20, 65, 91, 94, შენ., 95, 96, 108, 258
ყაფიჩაი მდ. 263, 265
ყვიბისი 214
ყვირილას ხეობა 123, 124 შენ.
ყუბანი მდ. 278
ყუმი (ელისენში) 266

შავშეთი 167
შავშეთ-კლარჯეთი 223
შაკიხი (შაქი) 254, 256
შამახია 257, 272
შამახიის მთა 258
შამქორი 237
შამხალი 263, 264
შანქორი 12, 80
შარვანი 59, 73, 255, 256, შენ. 257, 260, 261, 268, 272
შაქი 259, 260, 261
შაქის ოლქი 153, 254, 256, 263, 264, 272, 273
შიდა ქართლი 72, 289
შიოსუბანი (სოფელი) 219
შიო წმ. (შიომღვიმის მონასტერი) 123, 197, 200
შიომღვიმე (მონასტერი) 15, 21, 22, 23, 25, 25, შენ., 26, 28, 120, 122, შენ. 125, 196, 205, 206, 383
შიომღვიმის ლავრა 13
შიომღვიმის მონასტერი 14, 173, 174, 184, 195, 197, 200, 201, 202, 204,

208, 218, 219, 220, 220, შენ., 222, 222 შენ. 239 შენ.
შირაკავანი 65
Шогелети 239 შენ.
შორაგალი 266, 274
შოღელეთი 239
შუა აზია 59, 60
შუბანი 198, 203

ჩარდახი (სოფელი) 271
ჩინეთი 61
ჩინმაჩინი 20
ჩიქუნურნი 219, 220
ჩიხა 122, 124, 125
ჩიხორი 252
ჩხერი 282, 285

ციმბირი 312
ციხედიდი 202, 222, 223
ციხისჯვარი 119
Цона 124 შენ.
ცხეველი 220, 221
ცხინვალი 143, 251
ცხირეთი 220, 221
ცხრამუხა 149
ცხრაძმა 166,167, 168 შენ.

ძაგეძორი 92
ძაგნაკორთა 234
ძეგვი 223

წალკა 162, 163
წახური (წახეთი) 263, 264, 266
წედისი 141
წინა აზია 82 შენ., 271
წუქეთი 254, 256
წყისე 223

ჭალატყე 252
ჭალისუბანი 165, 165 შენ.
ჭარ-ბელქანი 253, 270, 273, 274, 275, 276, 288
ჭარი 270, 271, 273
ჭაჭუკი 79, 81
ჭიაური 262, 263
ჭყვიშური 151
ჭყონდიდი 6, 29, 51, 53

ხაზარეთის მდინარე 235
ხატაეთი („ევფხისტყაოსნიდან") 131
ხატისწობენა 234
ხაჩენი 91
ხახული 125
ხვარაზმი 61, 62
ხვარასანი 79
ხევსურეთი 188
Χερσωνος 43 შენ.
ხლათი 69, 83
ხოელე 204, 217 შენ., 382
ხორასანი 90 შენ. 290
ხორვაი 219
ხრესილი 282, 285

ჯავახეთი 236 შენ., 347
ჯუარი (სოფელი) 234

ჰაბანდი 92
ჰამადანი 79
ჰამამლუ 159
ჰამასარი 84
ჰამიანი (ჰამადანი? ნ. ბ.) 78, 80
ჰერეთი 253, შენ., 254-262, 255 შენ., 256 შენ., 265, 269, 378
ჰერეთ-კახეთი 254, 255, 267
ჰრამკარბერდი 84

II. პირთა სახელები

აბაზაძე უთრუთ 140
აბაშიძე გიორგი 138, 146, 147
აბაშიძე იოანე 149
აბაშიძე ლევან 285
აბაშიძეები 281
აბას, შაჰი ნ. შაჰ-აბასი
აბაღა ყაენი 107
აბოვაშვილი 151
აბრაჰამ (ბიბლიური პერს.) 167
აბუბექრ ათაბაგი 79, 80
აბულაძე უსტინე 130 შენ.
აბულახტარისძე 27
აბულახტარისძე მგელა 203
აბულახტარისძენი 19, 21

აბულხოტრისძე 15
აბულვარდიშვილი ზაზა და ზალ 140
აბულეთის ძე ძაგან 202, 204
აბუსერიძე ტბელი 19 შენ.
აბუ-ხუასრო 254
ავაგ (მხარგრძელი) 89, 91, 96, 103, 107 შენ., 109;-ათაბაგი 27, 92, 106;-ათაბაგი და ამირსპასალარი 201
ავალიშვილი ზურაბ 146
ავალიშვილი პეტრე 139, 144-147
ავთანდილ (დიასამიძე) 214
ავთანდილ („ვეფხისტყაოსნის“ პერს.)
აზატ-მოსე 70
ათაბაგი-ჯაყელი 285
ათანასე მღვდელი 184
ალექსანდრე I, 212, 217 შენ., 223 შენ., 324
ალექსანდრე, იმერეთის მეფე 128, 129, 153
ალექსანდრე I, კახეთის მეფე 211
ალექსანდრე II, კახეთის მეფე 127-130, 262-266, 284, 324
Александр, კახეთის მეფე 128
Александр, იმერეთის მეფე 128
ალექსი, რუსეთის მეფე 128
ალთუ-ხანი 69
ალიბეგ 265
ალი სულთან 266, 268
ამილახვრის შვილი ბეჟანი 145
ამილახვრიშვილი ივანე 189
ამილახვრიშვილი იოანე 143
ამირბარ 148
ანა (დედოფალი) 126 შენ., 254, 258
ანა, „კნეინა“ (იოანე აბაშიძის ქვრივი) 149
ანდრია დეკანოზი 212
ანდრონიკაშვილი იესე 149
ანთელავა ი. 304
ანიკეტი 376, 377
ანტონ 240 შენ., 241 შენ., 242 შენ.
ანტონ გნოლისთავისძე, მწიგნობართუხუცესი 12
ანტონ მწიგნობართუხუცესი 12, 13;— ჭყონდიდელ-მწიგნობარუხუცესი 30
ანტონ კათალიკოსი 148
ანტონ ჭყონდიდელი 196, 201
ანტონოვსკაია (ა.) 314
ანჩაბაძე ზ. 304
არაგვის ერისთავი 114, 328
არიშიანი ბარამ 255
არონ არხიდიაკონი 185
არსენ 13, 15, 16
არსენ ბერი 195
არსენ ბულმაისიმისძე 14, 15, 16, 17, 18, 19, 27;-კათალიკოსი 13, 14, 16, 17, 19, 28
არსენ ბულმაისისძე 15, 18
არსენ ბულმაისისძე კათალიკოზი 15
არსენ „გლახაკი“ 24, 26
არსენ „თარგმანი“ 13, 16
არსენ კათალიკოზი 13, 14, 17, 18, 173
არსენ კათალიკოზი ბულმაისიმისძე 14,
არსენ მწიგნობართუხუცესი 13, 16, 21;
არსენ მწიგნობართუხუცესყოფილი 201
არსენ მწიგნობართუხუცესი-ჭყონ. 15
არსენ ჭყონდიდელი 14, 15, 19, 19 შენ.
არსენ ჭყონდიდელი—მწიგნობართუხუცესი 15, 30, 203
არსენ ჭყონდიდელი კათალიკოზი 15
არსენ მირიანის ძე 188
არსენა 328
არტაგი 372
არღუნ-აღა ყურულტაი (იგივე არღუნ) 95, 100, 101, 101 შენ., 102, 106, 109
არღუნ ყაენი 110
არჩილ მეფე 117, 254, 269, 321, 331, 332, 335
ასლან ნოინი 87, 95, 97
ასფა ბუბას ასული 83, 103
ასფაგურ 126
აფაქიძე ა. შენ. 293
აფრიდონი 76, 76 შენ; 162, 162 შენ.
აქილევსი 88
აღბუღა ვარამის ძე 91
აღბუღა 204
აშორდიები 312
აშოტ კურაპალატი 223
აჩეჩლი 169

ბაგრატ I აფხაზთა მეფე 43
ბაგრატ III 9, 10, 32, 36, 51, 52, 176, 236, 307, 310
ბაგრატ IV 6, 8, 11 შენ., 33, 33 შენ., 34, 40 შენ., 53, 54, 118, 119, 176,

177, 178, 179, 193, 194, 218, 224, 225, 230, 237
ბაგრატ (ალექსანდრე I ძმა) 217 შენ.
ბაგრატ არტანუჯელი კურაპალატი 45, 46
ბაგრატ კურაპალატი 46 შენ., 176, 128
ბაგრატ იმერეთის მეფე 153, 284
ბაგრატიონები 256
ბადრიაშვილი ბერი 148
ბაეტისძე ჯაუნარი 208
ბათო ყაენი 20
ბანდაისძე 375
ბარათაშვილი 115
ბარათაშვილი სულხან 120
ბარათოვი სულხან 341
ბარამ 166 შენ.
ბარამიძე ალ. 130 შენ., 235 შენ.
ბარამიძე ქაეთარ 255
ბარდაველიძე ვ. 159 შენ.
ბართლომე წმ. 176
ბართოლდი ვ. შენიშვნებში: 94, 97, 103
Бартольд В. შენიშვნებში 90, 97, 98, 99
ბარძიმ 117
ბასილ კათალიკოზი 211
ბასილ კეისარი 229
ბასილ მემღვიმე 200
ბასილ (ტაქტიკონის შემდგენელი) 44
ბასილ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი 27, 28, 29, 30
ბასილა ბურჯუელი 206
ბატონიშვილები დავით, იოანე და თეიმურაზ 294
ბაქარ მირიანის ძე 175
ბაქრაძე დიმიტრი 295, 342, 355
ბაღუაში 118, 162 შენ.
ბაშარული გიორგი 136
Белокуров С. 124, 193 შენ., 263, 265, 266
ბეეანიშვილი 149
ბეეუაშვილი 150
ბერი (ცრაზმის ხელისუფალი) 165, 167
ბერიანიძე 136
ბერიძე დავით 212
ბერიძე ვახტანგ 242 შენ.
ბერქა ყაენი 110
ბერძენიშვილი დავით 189
ბერძენიშვილი ნიკ. შენიშვნებში: 26, 47, 177, 193; 302, 304, 378
ბექა მანდატურთუხუცესი 208
ბექა ჯაყელი 321
ბეშქენ 207
ბიბილური როსტომ 328
ბიჩუ ნოინი 92, 93, 100
ბიძინა 151
ბოცო ჯაყელი 118, 119, 120
ბოჟორიძე გ. 140, 165 შენ. 181 შენ.
ბრეგაძე გრ. 304
ბროსე მ. 27 შენ., 33, 41, 46, 33 შენ., 117 შენ., 119, 342
Brosset M. შენიშვნებში: 33, 41, 53, 81
ბუბა (ბუბაკ) 83, 84, 86, შენ.
ბულმაისიმისძე 25, 25 შენ. (ნ. არსენ)
ბურთელი ელიეუმის ძე 89, 103
ბურნაშოვი (ს.) 333
ბურნაშნელნი მღვდელნი 242
ბუტკოვი (ვ.) 342

ბაბაილ (ბიბლ. პერს.) 175
გაბაშვილი ვ. 304
გაბრიელ 173
გაბრიელ გლურჯაძე 184
გაგაძე ფოცხვერა 185
გაგაძე შარმაზან 185
გაგელი ვარამ 65, 89, 91
გავალ (ბიბლ. პერს.) 175
გამრეკელი თორელი 65
გამრეკელი ამირსპასალარი 76
გამყრელიძე ალ. 304
განძის ამირა 78 შენ.
გეგელიშვილი ქიტესა 148
Gelzer H. 49 შენ.
Георгий Мерчул 50 შენ.
გერასიმე მაწყვერელი 212
გვანცა 68, 90, 100, 103, 104, 106, 107, 107 შენ., 108, 109, 110
გვარამაძე-მესხი 47 შენ.
გვარამასძენი 15
გერიტიშვილი დ. 185, 293 შენ., 304
გივი ამილახორი 117
გიორგი (ალექსანდრე I ძმა) 217 შენ.
გიორგი ბატონიშვილი 137
გიორგი,—საბუთის მიმღები 206, 239;—წარწერაში 238
გიორგი აფხაზთა მეფე 10, 51
გიორგი I 176, 227, 229, 229 შენ.
გიორგი II 7, 36, 37, 53, შენ., 218, 219
გიორგი III 11, 12, 60, 74, 76, 77, 195, 219, 222, 383

გიორგი IV (ლაშა) 60, 65, 67, 159, 160, 160 შენ., 161, 162, 163, 196 (ნ. ლაშა)
გიორგი VI (ბრწყინვალე) 72, 73, 76 შენ., 260
გიორგი VII 262
გიორგი XI 117, 287
გიორგი იმერეთის მეფე 115
გიორგი ერისთავთ-ერისთავი 242
გიორგი კათალიკოზი 13, 14, 15, 225
გიორგი-კონსტანტინეები 285
გიორგი მთაწმინდელი 7, 10, შენ., 11, 33, 40, შენ., 47, 47 შენ., 54, 173, 230
გიორგი მერჩულე 188, 189
გიორგი მუშირისძე 205
გიორგი მწიგნობართუხუცესი 7, 11, 34, 35, 38, 55, შენ.
გიორგი მწიგნობართუხუცესი--ჭყონდიდელი 11, 30
გიორგი რუსი 160 შენ.
გიორგი უფლისწული 110
გიორგი ქართლის მთავარეპისკოპოზი 200
გიორგი (სახლთუხუცესი) 184
გიორგი (ცხრაზმის ხელისუფალი) 167, 168.
გიორგი ჭყონდიდელი 11, 35, 160
გიორგი ხუცესმონაზონი 7, 9, 10, 33, 47 შენ.
გლურჯიძე გაბრიელ 184
გლურჯიძე მანუჩარ 184
გოგრაჯი 220
გოგრიაშვილი 216
გოდერძი 220
გოდუნოვი ბორის 127
გორგაძე ს. 296
გოსტაშაბიშვილები 136, 137
გრენები 312
გრიგოლ ხანძთელი 50 შენ., 188, 323; 187 შენ. 188 შენ.
გრიგოლია კ. 304
გრიგოლისძენი ასათ და შოთა 256
გუზან 118
გულაბერის ძე ნიკოლოზ 199, 200
გურამიშვილი დავით 309
გუარამ მამფალი 176, 193, 218, 226, 227
გურამასძე ვაჩე 24, 25, 201
გურგენ ერისთავთ-ერისთავი 176, 218, 225
გურგენ მეფე 176, 218, 225

დადიანი ლევან 284
დადიანი ნ. 341
დადიანი შალვა 283
დადიანი ცოტნე 65, 66, 321
დავით დიდი (აღმაშენებელი) 12, 173, 220
დავით აღმაშენებელი 11, 12, 32, 34, 35, 39, 41, 52, 54, 55, 59, 194, 195, 219, 221, 245, 255, 255 შენ., 256, 257, 289, 323, 324
დავით სევასტოსი (აღმაშენებელი) 7
დავით მეფე (სოსლანი) 13 შენ., 159, 160, 160 შენ.
დავით V, რუსუდანის ძე (ნარინი) 20, 21, 65, 72, 73, 94 შენ., 110, 178 შენ., 181, 198, 199, 206
დავით VI, ლაშას ძე (ულუ) 21 შენ., 26 შენ., 68, 69, 71, 93 შენ., 96 შენ., 103, 104, 106, 108, 109, 109 შენ., 181, 198, 201, 203
დავით VII, დიმიტრის ძე 71, 72, 199
დავით ქართლის მეფე 284
დავით ერეკლე I ძე (ინამყულიხან) 270, 271
დავით, სონთა მეფე 92, 93
დავით ერისთავი 136
დავით კათალიკოზი 213, 215, 216
დავითის ისტორიკოსი 52, 293, 320, 329, 330, 354
დავითის (რუსუდანის ძის) შვილიშვილი, დას. საქართველოს მეფე 73
დავითაშვილი ზაალ 146, 147, 148, 152
დავითიანი ალი 155 შენ. 188 შენ.
დავითიშვილი 144, 145
დავითიშვილი დავით 149
დავითიშვილი ელიზბარ 150
დანგა ბრუტაისძე 220, 221, 222
დარეჯან დედოფალი 143, 145
დარჩიბეგისშვილი ზაქარია 214
დედაბრიშვილები 184

დემეტრე ალექსანდრე მეფის ძე 217 შენ.
დემეტრე მოძღვარი 206
დემეტრე წილკნელი 202
დემნა უფლისწული 74
დიასამიძე ვარამ 214
დიმიტრი I, დავითის (აღმაშენებლის) ძე 12, 194, 195, 219 (დემეტრე, სიგელში), 238 (დემეტრე, წარწერაში)
დიმიტრი II, დავითის ძე (თავდადებული) 71, 111, 308
დიმიტრი ალექსანდრე კახთა მეფის ძე 211
დიმიტრი უფლისწული, დავითის (აღმაშენებლის) ძე 256
დიონ კასიუსი 369
დომეტი კათალიკოზ-პატრიარქი 185
დოიჯასშვილი 189
დოსითეოს ქუთათელი 155
დ'ოპსონი 97 შენ., 98
D'Ohsson 90 შენ.
დუბროვინი (ნ.) 342
დუმბაძე მ. 270, 304
დურგლიშვილი მარქარა 189
დუშია ქისიყის მოურავი 117

ეგნატაშვილი ბერი 113 შენ.
ეგნატი 6, 7
ედილაშვილი მასრი 214, 234, 236
ევაგრე (წინამძღვარი) 219, 220, შენ., 222, 383
ევდემოზ მღვდელი 184
ევსტრატე წმ. 8
ელდიგუზ ათაბაგი 76 შენ., 77, 79 შენ.
ელიგუმ ლიპარტის ძე (ორბელი) 76, 76 შენ., 77, 78, 79, 80, 81, 85—89, 91, 96
ელიზბარ 144, 145, 146
ელიოზ კათალიკოზი 211, 212
ენუქ არქაუნი 110
ეპიფანე კათალიკოზი 15
ერგასლან ბაკურციხელი 65, 218, 321
ერეკლე I. 270
ერეკლე II 135, 139, 142, 148, 149, 151, 163, 164, 275, 284 , 292, 324, 332, 333, 335
ერემიანი სურენ 381
ესაე (მდივანი) 136

ეფთვმე გრძელი 6
ეფთვმე მწიგნობართუხუცესი 9, 10, 11, 33
ეფთვმე (მთაწმინდელი) 172, 173 შენ., 230, 247 შენ.

ვარდან სვანთა ერისთავი 37
ვარდანი (ისტორიკოსი) 74, 78
ვარსქენ პიტიახში 253
ვასაკ ხაჩენელი 65, 85 შენ: 88
ვაშანათ 239
ვაჩე 238
ვაჩე ამირახორი 160, 160 შენ.
ვახტანგ ალექსანდრე მეფის ძე 217
ვახტანგ ბატონიშვილი 139, 152
ვახტანგ გორგასალი 223, 230, 235, 254, 323, 372, 380, 381
ვახტანგ დავითის (აღმაშენებლის) ძე 38
ვახტანგ ნარინ დავითის ძე 111
ვახტანგი, მეფის ძე (შემდეგში ვახტანგ VI) 189
ვახტანგ VI 115, 116, 117, 117 შენ., 118 შენ., 142, 153, 156, 168 შენ., 182, 183, 236, 256, 271, 284, 291, 324, 325, 332, 335
ვახუშტი ბაგრატიონი 321, 332, 341
ვაჰრამი 198
ვერხულასძე 205
ვირო („ვისრამიანის" პერს.) 236
ვისი („ვისრამიანის" პერს.) 130 შენ., 235
Восторгов И. 312, 330

ზაალ (დავითაშვილი) 144, 145, 146
ზაალ (ქობელი) 148
ზაზა (ეშიაღასბაში) 136
ზაზა (ყორიასაულბაში) 150
ზაზა (გლურჯიძე) 184
ზაქარია ბანაელი 8
ზაქარია (მხარგრძელი, ამირსპასალარი) 68, 82, 83 შენ., 160, 160 შენ.
ზაქარია კათალიკოზი 223
ზახაროვ ანტონ 189
ზებედე 239
ზევდგინიძენი 182, 212, 214
ზევდგინიძენი შოთა, შიაოშ, მირიან 184
ზოსიმე (მწირველი-ბერი შიომღვიმეში) 120, 121, 122 შენ., 125, 204, 205
ზურაბაშვილი წურბელა 185

თადეოი 239
თავგოგისძე პეტრე 239
თავდგირიძე 281
თავდგირიძეები 285
თამაზ სპასპეტი 117
თამაზ-შაჰი 290
თამარ მეფე 12, 13 შენ., 14, 60, 76, 77, 78 შენ., 82, 118, 120, 131, 159, 160 160 შენ., 161, 162 შენ., 163, 196, 200, 201, 258, 307, 323, 324, 325, 329
თამარ (დავით აღმაშენებლის ასული) 256
თამარ დედოფალი (დავით რუსუდანის ძის მეუღლე, ემენელაისძის ასული) 198, 199, 206, 207
თამარ დედოფალი (თეიმურაზ მეფის მეუღლე) 140, 149
თამარყოფილი ქრისტინე 186
თამარის პირველი ისტორიკოსი 74, 75, 77 შენ., 118, 131, 162 შენ. 294, 354
თამარის მეორე ისტორიკოსი 75, 163, 329, 331
თამარის ქმარყოფილი რუსი 113
თამარაშვილი მ. 20 შენ.
თამთი (ივანე მხარგძელის და) 83, 83 შენ.
თანკრეყული 92, 93
თარხნიშვილი 137,
თარხნიშვილი დიმიტრი 143
თარხნიშვილი მამუკა 140
თაქაშთან ხორეზმშაჰი 79
თაყაიშვილი ე. 38 შენ., 41, 41 შენ, 46, 93 შენ., 171 შენ., 172 შენ., 295, 296, 356
თბილელი (იოსებ) 332
თევდორა (ბურჯუელი) 206
თედორე (რუსთა მეფე) 127, 264
თეიმურაზ I 114, 114 შენ., 263, 267, 268, 269, 284, 321
თეიმურაზ II 148, 149
თემურლენგი (თემურ) 259, 261
თეოდორე კათალიკოზი 200, 213
თეოდორე მონაზონი 138
თეოდორე მწიგნობართუხუცესი 13; — ჭყონდიდელი 30
თინათინ (ბარათა ქაჩიბასძის მეუღლე) 213
თიხჩე 239
თომა 151
თორელი კახა 198, 217 შენ. 204, 208, 382
თორელი შალვა 160, 160 შენ.
თორნიკ ერისთავი 230
თორღვა -პანკელი 65
თოფურია ვ. შენიშვნებში: 157. 171, 172
ორდატი სომეხთა მეფე 175
თუმანიშვილი ნიკოლოზ, მანუჩარ 139, 140
თუმანიშვილი გოგია 139, 152

ია 215
იაკობ აწრელისძე 196
იაკობ ცურტაველი 253, 254
იაკობისძე 189
იანესა 239
იბრაჰიმ 260
იეველიევი, დიაკი 128 შენ
იესე (კახთა მეფის ძმა) 264
ივანე ათაბაგი (მხარგრძელი) 83, 83 შენ., 84, 85, 99 შენ., 101 შენ., 105 შენ., (ნ. მხარგრძელნი)
ივანე ათაბაგი ამირსპასალარი (სამცხის) 214
ივანე ერისთავთ-ერისთავი (აბულეთის ძე) 205
ივანე ლიპარიტის ძე (სპასალარი) 37
ივანე ლიპარიტის ძე (ორბელი) 76, 78, შენ., 80, 81, 82, 83, 85 (ნ. ორბელი)
ივანე ლიპარიტის ძე (ორბელი, ელიგუმის შვილიშვილი) 86, 91, 103
ივანე (ორბელი) 74
ივანე (სამცხის სპასალარის შვილიშვილი) 70
ივანე შანშეს ძე მანდატურთუხეცესი (მხარგრძელი) 111
ივანე ციხისჯვარელი 64, 89, 118, 119
ილია (ჭავჭავაძე) 349, 358
ინაჯ (ორბელი) 74
ინაჯ (სანობაჯის ძე) 160, 161
ინგოროყვა პ. 208; შენიშვნებში: 130, 159, 235

იოანე ბატონიშვილი 136
იოანე დორჩელი 238
იოანე თბილელი 205
იოანე კარის მწიგნობარი 211
იოანე კუმურდოელი· ეპისკოპოსი, ლასურიძე 216
იოანე მათეშელი 239
იოანე მანგლელი 184, 185
Иоанн Матешели 239 შენ.
იოანე მახარობელი 204
იოანე მთავარეპისკოპოზი ბედიელი 8, 10
იოანე მთავარეპისკოპოზი მანგლელ-თბილელი 214
იოანე მთავარეპისკოპოზი 202
იოანე მთაწმინდელი 173, 173 შენ., 230
იოანე ქართლის მთავარეპისკოპოზი 196
იოანე ოქროპირი ქართლის კათალიკოზი 47 შენ.
იოანე ფჩუმთი 239
Иоанн Пчуэт 239 შენ.
იოანე შიომღვიმელი ბერი 120, 121
იოანე (პეტრიკაოფილის ძმა) 33
იოანე პეტრიწონელი 33
იოანე საბანისძე 320, 329
იოანე ჭყონდიდელი მთავარეპისკოპოზი 7, 8, 10, შენ., 11.
იოანე ჭყონდიდელი მწიგნობართუხუცესი 30
იოვანე მწიგნობართუხუცესი 12
იოვანე მცხეთიშვილი 211
ირაკლ 9
იოსებ თბილელი 114 შენ.
Иосселиани ა. 304
იოსელიანი პლ. 341
ისაყ ფაშა 148
იულონ ბატონიშვილი 141, 143
იუსუბ ხანი შარვანის ბეგლარბეგი 268

ჰავაისძე ჭორვილაი 196
კავთელა (ბურჯელი) 206
კავკასის-ძე 33
კაკაბაძე ს. 13, 14, 15, 17, 19, 20, 23, 27, 41, 46, 194, 329; შენიშვნებში: 13, 16, 23, 29, 53, 124, 192, 202, 222, 240, 296
კარპინი პლანო 96 შენ.
კატკოვები 312
კაცობეიშვილები დავით, იესე, იოანე 189
კაჭარავა ი. 304
კახაბერ რაჭის ერისთავი 69
კახაძე მ. 304
კედელაძე მიხეილ 187 შენ., 188 შენ.
კეკელიძე კ. 13, 14, 15, შენიშვნებში: 13, 14, 15, 16, 53, 114, 130
კვერნიაშვილი ჯაფარა 146
კვირიკე კახთა მეფე 125, 181, 196, 204, 220, 221, 222 შენ.
კვირიკე კახეთის ქორიკოზი 254
კიკვიძე ა. 304
კირაკოს განძაკელი 88, 89, შენ., 91, 94 შენ. 96,
კირილე (კახეთის მეფის ელჩი) 127, 128
კლიმი კაკლაჩასძე 213, 214
Ключарев, დიაკი 226, 269
კოვალევსკი დიგენ 381
კოკოლაშვილი ბერი 146
კონსტანტინე (კახეთის მეფე) 273
კონსტანტინე პორფიროგენეტი 45 შენ.
Constantinus Porphirogenitus 43 შენ.
კონსტანტინე მეფე 262
კოსტანიანცი კ. 78, შენიშვნებში: 80, 81, 84, 85
კოსტანტი 166
კოსტანტი სტეფანეს ძე 382
Куприке 239
კუპრიაშვილი 150
კუფტინი ბ. 300
კუპაიძე-ჯაფარიძეები 359

ლალასძე 215
ლაშა (მეფე) 13 შენ., 82, 85, 105 შენ. 110 (ნ. გიორგი IV)
ლაშას ძე (დავითი) 110
ლევან (მეფე) 263, 324
ლენინი ვ. ი. 317
Leo Sapiens (იმპერატორი) 45 შენ.
ლეონ ბრძენი (იმპერატორი) 45
ლეონ I 51, 256
ლეონიძე გ. 114 შენ.
ლეონტი მროველი 126, 127, 175, 223, 278, 294, 314, 316—318, 328—330, 353, 375
ლეონტიევი, ელჩი 127
ლიონიძე სოლომონ 284
ლიპარიტ (ელიგუმის ძე ორბელი) 31, 32, 83, 84, 85, 86

ლიპარიტ ივანეს ძე 103
ლიპარიტ სუმბატის ძე, ქართლის ერისთავი (ორბელი) 76, 76 შენ. 77
ლიპარიტ ქართლის ერისთავი და სპასალარი 33
ლიპარიტ ქვეშელი 210 შენ.
ლიპარიტ (სტეფანოზის პაპა) 95 შენ.
ლიპარიტის მწიგნობართუხუცესი 6
ლობჟანიძენი 359
ლობჟანიძე-ჯაფარიძენი 328
ლომოური ნოდ., 293 შენ.,
ლუარსაბ I 262, 284, 290, 291
ლუარსაბ II 113, 114 შენ.
ლუკა წოლკნელი 200

მათეშვილი ივანე 239
მაიეან სპასპეტი 126, 127
მალაქია აბელა 108 შენ.
მამადა (იასაული) 150
მამაცაშვილი იოსებ 139
მამიკონიანი 67
მანგასარ 111
მანგუ ყაენი 94, 95, 97, შენ., 100 103, 108 შენ.
მარიამ (დედოფალი) შენიშვნებში: 6, 8, 10, 11, 12, 19-22, 28, 38, 41, 51-54, 181, 258, 259.
მარი ნიკო 29 შენ., 41, 46, 48, 342; შენიშვნებში: 50, 51, 56, 239, 330
Марр Н. შენიშვნებში: 41, 46, 48,
მარკოზ (მახარობელი) შენიშვნებში: 217 245, 246
მაჩაბელი იესე 149
მარწენიანი გრიგოლ 87
მაღალაძე ამილბარ, დიმიტრი, გიორგი 211
მაჩხოიტისძე იოანე 245
მაშვავარიანი 146, 349
მახარაძე ფ. 298
მახარებელი ქადაგი 211
მახვილაძე ზაალ 144, 146
მაჰმუდ 273
მეთოდი (მდივანბეგი) 143, 145
მელიქ აუჰადი 83
მელიქიშვილი გ. 304
მელიქსეთ-ბეგი ლეონ 159 შენ.
მელიქ-შაჰი 103 შენ.
მელქისედეკ კათალიკოზი 47 შენ., 173, 181, 193, 223, 224; შენიშვნებში: 169, 240, 241, 242
მერაბ ენისელთ მოურავი 271
მესხია შ., 304
მეღვინეთუხუცესიშვილი თომა 135, 136, 141, 142, 143, 144, 145, 151, 163
მეღვინეთხუციშვილი პაატა სვიმონ 143
მირიან მეფე 175, 372
მირიან აზნაური 188
მიულერი შენ. 90
Мюллер А. 79, შენ., 80 შენ.
მიქაელ ჭყონდიდელ-მწიგნობაროუხუცესი 30
მიქელაძეები 151, 152, 155
მიქელაძე 153
მიქელაძე დავით 155
მიქელაძე მერაბ 155
მიქელ ქართლის კათალიკოზი 12, 15, 21, 25, 201, 207, 212
მიქელ პატრიარქი 12
მიქელ (ბეგა სურამელის ძე) 207
მიქელ ხუცესი 208
Мишецкий 265, 269
Михаил 239
მიჰრან 230
მოაბადი შაჰ („ვისრამიანის" პერს.) 235, 236
მოადი 150, 151
მოსე (ბიბლ. პერს.) შენიშვნებში: 156, 245, 246
მოსე ხუცესი ხანცთელი (ხანძთელი? ნ. ბ.) 6, 7
მოურავი (საკაძე) 113 (ნ. საკაძე)
მურვან აზნაური 208
მუსხელიშვილი ლ. 159 შენ. 160
მუხრანბატონი 312
მუხრანსკი გიორგი 322, 334
მუჰამედ ელდიგუზის ძე ათაბაგი 76 შენ; 77
მუჰამედ ფეჰლევინ ჯეჰანი 76, 79 შენ.
მშუიდა (ბურჯუელი) 206
მხარგრძელნი 76, 83, 85, 109
მხარგრძელი ზაქარია 68, 76, 160, 160 შენ.
მხარგრძელი ივანე სარგისის ძე 13, 160 შენ.
მხარგრძელი შანშა 69, 89
მხითარ ბერიენელი 94 შენ.

ნადირაპერი 239
ნადირის ძე 239
ნარიმან 160 შენ.
ნარინ დავითი 93 შენ., (ნ. დავითი V)
ნაშჩოკინი 127
ნექისძე დანიელ 214
ნიკოლაძე (ნ.) 336
ნიკოლოზ (გულაბერისძე) 200
ნიკოლოზ კათალიკოზი 15, 198, 202, 203 206
ნიკოლოზ მწაოე 200
ნიკოლოზ 149, 152
ნინო 379, 380
ნიორაძე გ. 298
ნოდარიშვილი 140
ნორაკიძე 349
ნუგზარ ერისთავი 359

Ოთარი 211
ომან (ლაშქარნივისი) 136
ონოფრე მღვდელი 148
ორბელები (ნ. ორბელნი) 82
ორბელი ელიგუმ 64
ორბელი ივანე 82
ორბელი ი. 112
Орбели И. А. 83 შენ.
ორბელი ლიპარიტ 86
ორბელი სტეფანოს 36, 74, 105
ორბელი (სუმბატ) 96
ორბელი სუმბატ 68, 69,
ორბელთა სახლი (იგივე ორბელნი) 91, 94, 94 შენ., 103, 111, 112
ორბელიანები (ნ. ორბელნი) 83, 86, 91, 100
ორბელიანი ალ. 341
ორბელიანი პაპუნა 294, 321, 341
ორბელიანი საბა 118, 130, 248
ორბელიანი (ორბელი) ტარსაიჭ 106
ორბელნი 75, 76 შენ., 78, 78 შენ., 89, 91, 100, 102, 105
ორ-ხანი 69
ოსმან II 260
ოსიყმა 160, 162 შენ.
ოქროპირი კათალიკოზი 46, 148, 161 შენ. 173

პაველ (მოციქული) 176
Парсман 239 შენ.
პატკანოვი 96 შენ.
პატრიკ ნეტარი (იგივე ნეტარი პეტრე-პეტრიკ) 7, 10, 34
პეტრე ვესტი და მწიგნობართუხუცესი 7, 8, 9, 11, 33, 34
პეტრე (მოციქული) 170
პეტრე 239
პეტრე I 273
პოლიევქტოი მ. 128 შენ. 269
Посербский А. 273, 273 შენ.
პუპლიაშვილები 151

ულამთაელმწერელი 75, 92, 93 შენ., 106, 107, 103, 110, 258, 294, 321, 331, 345, 354

ქან ჭიასძე ამირახორი 207

ქვანია ისაკ 283

ქორდანია თ. 13, 14, 23, 34, 41, 46, 204, 211, 356, შენიშვნებში: 7, 10, 11, 14, 22, 29, 35, 46, 47, 54, 173, 192, 195, 196, 204, 211, 295
Жордания Ф. 41 შენ.

რაზმიაშვილი ნასყიდა 149
რამაზ მეფე („ვეფხისტყაოსნის“ პერს.) 131
რამაზიშვილი 146
რამაზიშვილი შანშე 138, 152
რამინ ამირეჯიბი 144, 145
რამინ („ვისრამიანის“ პერს.) 130 შენ., 132 შენ.
რამინ 166 შენ.
რამინ გაბელის ძე ამირეჯიბი 215
რატიანი პრ. 277, 304
რატიშვილი ვახტანგ 148
რაფაილ (ბიბლ. პერს.) 175
რაფედი („ვისრამიანის“ პერს.) 132 შენ.
რაშიდედინი 94, 95
რევ მირიანის ძე 175
რევაზ მილახვარი 140
რეზიმეი 237
როგავა ა.ა. 304
როსტომ 152
როსტომ მეფე 269, 291
როსტომაძს ძე 121
რუსთაველი (შოთა) 58, 263, 325
რუსი (საკუთარი სახელი) 219, 220
რუსი (გიორგი, თამარის ქმარყოფილი) 118
რუსუდან (თამარ მეფის ასული) 12

რუსუდან მეფე 20, 22, 23, 64, 65, 94, 160 შენ. 198

საკაძე გიორგი 114, 114 შენ., 115, 116, 126, 267 291, 314
საბა (სულხან ორბელიანი) 118
საბა (გადამწერი) 47 შენ.
საბა (ქართლის მთავარეპისკოპოზი) 173
საბასძე 198
საბასძე არვანბეგ 203
საბინინი ბ. შენიშვნებში: 6, 9, 39, 171, 233
საგდუხტ 230
სადუნ მანკაბერდელი 69, 106, 107, 108, შენ. 109, 111, 321
საიბეგაშვილი საიბეგა 151
Saint-Martin M. 89 შენ., 95 შენ. (ნ. სენმარტენი)
საკარიანი (ხაჩენელი) ვახტანგ 83 შენ.
სამცხის მთავარი 89
სამძიეარი არსენ 196
სამხარაძე 214
სანანოსძე სტეფანე 10, 11, 53
სანობა 160
სარგის ათაბაგი 203
სარგის ზაქარიას ძე მხარგრძელი 76
სარგის (სამცხის სპასალარის შვილიშვილი) 70
სარგის თმოგველი 65
საყვარელიძე შიო 188
სახოკია (თ.) 349
საპიბი ხოჯა 107, 110, 111
სევინჯბეკი 101
სეიდალი (შაქისელი) 260
სენმარტენი 89, 94
სერაპიონ მაწყვერელი 213
სეფედაელე 124 შენ.
სვიმეონ აფხაზეთის კათალიკოზი 47 შენ.
სვიმეონ ჭყონდიდელი მწიგნობართუხუცესი 12, 30, 31, 257
სვიმონ ბედიელ-ალავერდელი 11, 34
სვიმონ ჭყონდიდელი 34, 35
სვიმონ (სუმბატყოფილი) 12
სიმონი 291
სიმონოვიჩი (გენერალი) 115
სიხარულიძეები: მამუკა, ბერი, და სვიმონ 189
Скабаланович Н. შენიშვნებში: 34, 45, 48
სოლომონ I 131, 151, 153, 275, 282, 284
სოლომონ II 153, 155, 234
სონთა მეფე 97 შენ.
სონღული 208
სოსთენი 6, 13
სოსლანი დავით 113
სოფრომ მწიგნობარი 13 შენ.
სტალინი ი. ბ. 301, 336
Стэнли Лэн-Пуль შენიშვნებში: 77, 79, 94, 103
სტეფანესძე 121
სტეფანოზ ქართლის მთავარი 174, 175,
სტეფანოსი (ისტორიკოსი) 75, 76, 76 შენ., 77, 79 შენ., 82, 83 შენ., 84, 85, 85 შენ., 87,. 87 შენ., 88 , 88, შენ., 89, 89 შენ., 90, 91, 93, 93 შენ., 94, 94 შენ., 95, 95 შენ., 97, 97 შენ., 99 შენ., 100, 102, 107, 108, 109, 109 შენ., 112 შენ.
სტეფანოსი სივნიეთის ეპის. 81, 83
სტრაბონი 367, 369, 370, 372, 373, 376, 378
სუბუდაი 61
სულაა (ალმახელი) 118, 119
სუმბატ დავითის ძე 224 შენ., 229
სუმბატ ივანეს ძე 74
სუმბატ ორბელი (ორბელიანი) 86, 89, 90, 91, 92, 93, 94 შენ. 95, 96, 96 შენ., 97, 99, 100, 101-105, 105 შენ.,106-109, 109 შენ., 110
სუმბატ ურდოელის ძე 213
სუმბატ (სვიმონ)ქმნილი) 12
სუმბატ 308
სურამელი ბეგა 206, 207
სურამელი გრიგოლ (მსახურთუხუცესი და ქართლის ერისთავთ-ერისთავი) 15, 22, 23, 197, 197 შენ., 201, 202, 202 შენ., 203, 204, 207, 208, 222
სურამელი რატი 76. შენ., 220
სურახთანბეკი 26 შენ., 96
სურგულაძე აკ. 304

ტარიელი („ვეფხისტყაოსნის" პერს.) 131
ტარსაიჩი (ლიპარიტის ძე, ორბელი) 86, 86 შენ., 91, 103, 110, 111, 112

ტატუნაშვილი შიო, ბერუა, აღდგომელა, ნინია, 185
ტაციტუსი 369, 377
ტბელი 221 შენ.,
ტბელნი 220, 221
ტერტერაშვილი ზურაბა, 140
Тихчей 239 შენ.
ტობია (ბიბლ. პერს.) 175, 175 შენ.
ტოლოჩანოვი (სტოლნიკი) 128 შენ.
ტონღუზ-ხათუნი 110
ტორმასოვი (გენერალი) 116
ტოტება 206
ტოღრილ III (სულტანი) 79, 80
ტოხაისძე ბასილ 196, 200, 206

ულაუ ყაენი 104, 105, 106, 107
ურდოელი 213

ფადლონი განძის ამირა 237
ფავნელი 201
ფავნელი უჯარმელი 216
ფავნელიშვილი ბიძინა 189
ფავნელიშვილი თეიმურაზ 143, 145
ფავნელნი 220, 221
ფალავანდიშვილი 114
ფანასკერტელი თაყა ტაოს ერისთავი 70
ფარაჯ 167, 168
ფარსმან 239
ფარსმან მეფე 237, 372
ფაპრადაელა (ლიპარიტის ძე, ორბელი) 86, 86 შენ., 91, 103
ფსიტაძეები ვ. და პ. 165, 165 შენ. 169
ფუთურიძე ვ. 304
ფურცელაძე ან. 114 შენ., 356
ფჩუეთი იოანე 239

ქავთარ (ორბელი) 74
ქარუმიძეები 212
ქაქანა 207
ქასრე სასანიანი, სპარსეთის მეფე 125
ქაჩიბასძე ბარათა 213
ქერაური ფოცხვერა 185
ქერობინ აბელისძე ანჩელი არხიმანდრიტი 216
ქვრივიშვილი 146
ქობულისძე ბეღე 198, 199, 207
ქრისტეფორე მონაზონი 188
ქსნის ერისთავი 114
ქუაბულისძე ნიანია 37
ქუაბულისძე 210
ქურციკი 215
ქუციშვილი ნინია 185

ღავასაშვილი იოანე 239
ღუდუშაური 328

უაზან ყაენი 72
ყარამან 166 შენ.
ყარახან (თურქი) 69
ყაფლანიშვილი ზაალ 136, 137, 138, 139
ყაუხჩიშვილი ს. 175, 303, 373, 383
ყაუხჩიშვილები ს. და თ. 304
ყუარყუარე (სამცხის მთავარი) 65, 69, 70, 118, 214
ყიასედდინი 23
ყიზილ არსლან ერანის ათაბაგი 79, 79 შენ., 80, 85
ყირიმ-ხანი 263
ყიფიანი მამისთვალი 149
ყუბასარი ამირსპასალარი 12, 75

შაბურისძე ვამეყ, ერისთავი 216, 217
შალვა 160.
შალიკაშვილი ბართლომე 184
შანიძე აკ. 246 შენ., 299
შანშა (მხარგრძელი) 84
შანშა ზაქარიას ძე (მხარგრძელი) 91, 111
შანშას ძე 68
შანშე მილახვარი 144, 145, 146, 147
შარო („ვისრამიანის" პერს.) 235
შარვაშიძე ქელაიშ აპმედბეგ 277 შენ., 281, 282, 284, 285, 286
შარვაშიძე (გ.) 349
შარვაშიძეები 281, 282
შაქარაშვილი ზურაბიშვილი დავით 155
შაჰ-აბასი 251, 265, 266, 267, 268, 291
შაჰანშა ათაბაგი 210 შენ.
შაჰრამან 382
შაჰ-სულთან ხუსეინი 273
შერგილაშვილი 211
შერეფ-ედდინი 101
შოთა კუპრი 65
შიო (მღვიმელი) 174, 221, 222, 383
შიო ბეშქელი 185
შიო კათალიკოზი 214, 234
შირვან-შაჰი 256
შუშანიკი 186 შენ., 254

ჩაფქევასძე 204
ჩიტაია გიორგი 159 შენ., 167, 197 შენ. 188, 293 შენ., 298, 331
ჩინგიზ-ყაენი 60, 61, 62, 67
ჩოლოყაშვილი რევაზ 117, 120, 131
ჩხეიძე სეხნია 272
ჩხეტია შ. 304
ჩუბინაშვილი დ. 118, 119
ჩუბინაშვილი გ. 298
ჩუბინოვი დ. 119 შენ. 236
ჩქოტუა 349

ცაგარელი ალ. 295, 356, 342
ცინცაძე ი. 19 შენ., 20 შენ., 302
ცისკარ 166, 166 შენ.
ციციშვილი 115, 149
ციციშვილები პაატა და ნიკოლოზ 135
ციხისჯვარელი 120, 131

ძაგან აბულეთისძე 202,204

წერეთელი ზურაბ 116, 117
წითლისძე დემეტრე 212
წირქვალელის ძე 171, 174
წონელა 122, 122 შენ., 124, 125
წუერგრძელისძე ივანბერი 205
წულუკიძე ალ. 336

ჭავჭავაძე ალ. 341
ჭავჭავაძე ილია 334, 335, 356
ჭარაია 349
ჭარმაული 214, 234, 236
ჭარმაული გრიგოლ 199
ჭიაბერი 76 შენ., 200
ჭიჭინაძე ზ. 117 შენ.
ჭყონდიდელი და უჯარმელი 28

ხათუთა 204
ხახანაშვილი ა. 173 შენ., 356
ხახანაშვილი თევდორე 137, 140
ხახუილაგი 220
ხაჭაპურიძე გ. 298
ხელა (მოლარეთუხუცესი) 208
ხერხეულისძენი 70
ხერხეულიძე ო. 341
ხვაშაქი ავაგის ასული 106, 107, 107 შენ. 109, 110
ხიზანა 136
ხიზანიშვილი ნ. 296, 356
ხიმშია ამილახორი 211
ხიმშია ერისთავი 259
ხონელი მოსე 124 შენ.
ხორეზმშაჰ თაქაში 80
ხორენელი მოსე 374
ხორიშაჰი 83 შენ
ხოსრო-შაჰი 237
ხოშაქი 162 შენ.
ხოშტარია ე. 293 შენ.
ხუარანძე 230
ხუბუა მ. 304
ხუნდაძე ს. 298
ხუტლუ-ბუღა სადუნის ძე 69, 111
ხუტლუ ინანჩი ათაბაგი 79

ჯარაისძე კურიკე და ბასილა 204, 205

ჯაბადარი 322
ჯავახაშვილი იესე 115
ჯავახი 149
ჯავახიშვილი ბერუა 115
ჯავახიშვილი ზაქარა 115
ჯავახიშვილი ივ. 6, 7, 28, 41, 42, 94, 135, 226, 246, 247, 277, 296, 297, 299, 300, 314, 339, 340-345, 772; შენიშვნები: 5, 6, 7, 10, 11, 13, 33, 41, 42, 75, 80, 82, 83, 94, 113, 124, 156, 172, 178, 179, 181, 183, 186, 192, 193, 194, 227, 232, 277, 332
ჯავახიშვილი როინ 148
ჯავახიშვილი ფარემუზ 184
ჯავახიშვილი ქაიხოსრო 115
ჯავახიშვილი შერმაზან 140
ჯავახიშვილები 210
ჯალალედინი 21, 62, 63, 86
ჯალალ ერისთავი (ნ. ჰასან ჯალალი) 91, 95
ჯანაშვილი (მ.) 356
ჯანაშია სიმონ 47 შენ., 298—301, 346, 349—353, 361, 366, 368-372, 374-376, 379-383
ჯაფაროვი 319, 319 შენ.
ჯაყელ-ათაბაგები 282
ჯაყელი ბეჭა 70, 321
ჯაყელი სარგის 68, 110
ჯაყელები, ჯაყელნი 73, 98, შენ., 281
ჯებე 61
ჯიგრაიშვილი დათუნა 150
ჯინჭარაძე 237
ჯინჯიხაძე ბადაშვილი გრიგოლ 216
ჯიქია ს. 238 შენ. 304

ჯიქური მესტუმრე 104, 108
ჯიქურები 321
ჯომარდისძე ქუაფაქუა და ჯიბი 207
ჯოხასძე 215
ჯოჯიკი მთავარი 219, 220, 221 შენ.
ჯუანშერი (ისტორიკოსი) 223, 230, 235, 237, 254, 374
ჯულაბაა 160, 161
ჯუღელი 349
ჯუჩიან სართაბი 95 შენ.

ჰასან-ჯალალ (hAсан-Джалал) 8, 83 112
ჰასან ვარამის ძე 91, 95
ჰულაუ ყაენი 89 შენ.

შემოკლებათა განმარტება

ათონის კრებული=ათონის იერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი აღაპებით. საიუბილეო გამოცემა საეკლესიო მუზეუმისა, თბ., 1901
ანასეული ქცა; ანა; ქცა ანა=ქართლის ცხოვრება, ანასეული ნუსხა. ს. ყაუხჩიშვილის რედ. თბ., 1942
Арх. экс.=Е. Такайшвили, Археологическая экскурсия, разыскания и заметки
არჩილიანი=არჩილი, თხზულებათა სრული კრებული ორ ტომად. ალ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედ. ტ. II, თბ., 1937
გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება ნ. მარის გამოცემა=Н. Марр, Георгий Мерчул—Житие св. Григория Хандзтийского (Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, т. VII)
გუჯრები=გუჯრები, ალ. ხახანაშვილის რედ. ქუთაისი, 1891
დას. საქ. საეკლ. საბ.=ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, I, II, თბ., 1921.
დასტურლამალი=დასტურლამალი მეფის ვახტანგ მეექვსისა, რედაქცია პეტრე უმიკაშვილისა, თბ., 1886.
დოკუმენტ. I=დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, ნ. ბერძენიშვილის რედ., თბ., 1940.
ვახუშტი, გეოგრაფია=ბატონიშვილი ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია მ. ჯანაშვილის რედ., თბ., 1904
ИАН=Известия Российской Академии Наук
ИКОИМАО=Известия Кавказского отд. имп. Московск. арх. общества
ისტ. საბ.=ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, I, II, III, IV, V, თბ., 1913.
მ^ამ დ^ფლისი ქ^ცა; ქ^ცა მარ.; მარიამისეული; ქცა=ქართლის ცხოვრება მარიამ დედოფლის ვარიანტი. ე. თაყაიშვილის რედ. თბ., 1906.
პლან. კარპ.=პლანო კარპინი
საქ. სიძე.=საქართველოს სიძველენი, ე. თაყაიშვილის რედ. I, II, III, IV დამატება.
უნ. სიძ. საც. (ყოფ. საეკლ. მუზ.)=თბილისის უნივერსიტეტის სიძველეთა საცავი (ყოფილი საეკლესიო მუზეუმი)
ქ-ცა; ქ.ცხ.=იხ. მ^ამ დ^ფლისი ქ^ცა
ძვ. საქ.=ძველი საქართველო, ე. თაყაიშვილის რედ. I, II, III, IV.
შ. მღ. საბ.=თ. ჟორდანია, ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა, თბ. 1896.

შინაარსი

საეაზირო ფეოდალურ საქართველოში. ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი 5
თათართა ბატონობის ხანა . 57
ეპიზოდი ფეოდალურ საგვარეულოთა სამამულო ბრძოლიდან XIII საუკუნის საქართველოში 74
„მოკიდებულისათვის“ 113
მიწათმფლობელობის ფორმებისათვის ფეოდალურ საქართველოში 135
„ქელი“ . . 135
„დაწერილი“, „სიგელი“, „წიგნი“ 232
К вопросу о форме землевладения в феодальной Грузии (Резюме) 249
შესავალი გამოცემაზე: „ისტორიული დოკუმენტები საქართველოს ებრაელთა შესახებ“ (პროფ. ნ. ბერძენიშვილის რედაქციით) 250
აღმოსავლეთ კახეთის წარსულიდან 253
Из прошлого Восточной Кахети (Резюме) 276
ჭკირე შენიშვნა დიდი საკითხის გამო 277
აფხაზეთის შესახებ 287
გორი . 289
ისტორია 293
საქართველოს ისტორიის საკითხებიდან 306
ქართული ისტორიოგრაფიისათვის . 328
სიტყვა აკად. ივ. ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის საჯარო სხდომაზე 1941 წლის 18 ნოემბერს 339
სიტყვა აკად. ს. ჯანაშიას ხსოვნისადმი მიძღვნილ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების გამსვლელ სესიაზე სოხუმში 1953 წლის ნოემბერს . . 346
სიტყვა ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის საეცნიერო საზოგადოების დამფუძნებელ ყრილობაზე 1958 წლის 28 სექტემბერს . 354
ს. ჯანაშია, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე. (რეცენზია) 361
საძიებლები 385

Николай Александрович Бердзенишвили

ВОПРОСЫ ИСТОРИИ ГРУЗИИ

Книга III

(на грузинском языке)

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედ-საგამომც. საბჭოს დადგენილებით

*

რედაქტორი ბ. ლომინაძე

გამომცემლობის რედაქტორი დ. ბაქრაძე
მხატვარი გ. ნადირაძე
ტექრედაქტორი ნ. ბოკერია
კორექტორი ლ. გორდელაძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 26.7.1966; ქაღალდის ზომა 60×90¹/₁₆;
ნაბეჭდი თაბახი 25.12; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 23.76;
უე 02352; ტირაჟი 3000; შეკვეთა 246;
ფასი 1 მან. 91 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი 60, კუტუზოვის ქ. № 15
Издательство «Мецниереба», Тбилиси 60, ул. Кутузова № 15

გამომცემლობა „მეცნიერების“ სტამბა, თბილისი 60, კუტუზოვის ქ. № 15
Типография Издательства «Мецниереба», Тбилиси 60, ул. Кутузова, 1